UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია

ა თ ი ნ ა თ ი

2024 / 2 / (52)

თბილისი
2024



ღმერთო,

შენი რწმენით

ვცოცხლობ!

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)



წმინდა ნიკოლოზი

ხატმწერი **ხატია ლარიაშვილი**

დაბა წყნეთის მერვე საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის მონასტერი

შობა



აღდგომა

ხატმწერები **გელა, გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**

მამა გაბრიელი

მიცვალებულის სახელზე რომ პანაშვიდი გადაახდევინო, ისეა, თითქოს პატიმარი გაასეირნო დღის სინათლეზე, ხოლო თუ შეკვეთილ წირვას გადაუხდი, მაშინ არწივივით აფრინდება! შვიდ შეკვეთილ წირვას ძალიან დიდი ძალა აქვს, ხოლო თორმეტ შეკვეთილ წირვას ჯოჯოხეთიდან ამოჰყავს სული, რანაირი ცოდვილიც არ უნდა იყოს, რა თქმა უნდა, გარდა ღვთის გმობელისა. მათზე ლოცვაც არ შეიძლება. მხოლოდ კეთილი საქმეები. თქვენ რომ ხედავდეთ, როგორი მადლი გადმოდის წირვის დროს, მზად იქნებოდით ტაძრის იატაკზე მტვერი შეგეგროვებინათ და იმითი სახე დაგებანათ...

/ წმ ბერი გაბრიელი /



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

„მე მინდა მთელ საქართველოს ვუთხრა, რომ არ გაუტყდეს გული, ყველაფერი ეს განსაცდელი, რაც გვაქ, ყველაფერი გაივლის და ღმერთი გადმოგვხედავს, მე ასევე მინდა სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდეთ, აუცილებლად უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, შური არ უნდა ვიძიოთ. ბოროტებით ბოროტება არ იკურნება, ბოროტება ინკურნება სიყვარულით, ერთმანეთს გავუკეთოთ სიკეთე, შეიძლება ღირსიც არ არის ის, ამ სიკეთისა, მაგრამ ათმაგად შენ დაგუბრუნდება. არ შეგეშინდეთ, ყველაფერი კარგად იქნება. გიყვარდეთ ერთმანეთი“.

მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)



საინგილოს ვარდები

ბილიკ-ბილიკ, გზის აღმართზე,
ვარდს ვეძებდი, ვერსად ვნახე,
სხვას არასდროს არ წავართმევ,
უბრალოდაც ხელს არ ვახლებ.

საინგილოს ვარდის კონა,
მე მომართვეს, ჩემი არის,
დავხედე და მომეწონა,
ვერ წამართმევს ამას ქარი.

წყალს დავუსხამ ყოველ დილით,
სურნელებას თვითონ აფრქვევს,
შორი გზა აქვს გამოვლილი,
მე მას საქართველოს ვარქმევ!

SAINGILO ROSES

From trail to trail, up the road,
I was looking for a rose...
Other's belongings I never touch,
I can't do it; it is not my nature.

But, soon, I was given a rose bunch,
From Saingilo, my soul to calm,
As I looked at it, I fell in love,
The wind can't grab it; I can't give it up.

I'll look after it, I will moisten it,
And its fragrance it will emit itself,
She has come with me from a long way,
Its name has been "Georgia" since today.

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

უცნობი პოეტი

* * *

მითხარ უფალო, შენ ჩვენ შეგვქმენი თუ ჩაგვიფიქრე,
რადგან დუმილი გარდა ფიქრისა, ყველაფერს თრგუნავს.
რადგან იცი, რომ მხოლოდ ფიქრს ძალუძს დუმილით აღძრულს,
ამ ქვეყნიურის და ზეციურის ზღვარის გალღობა.

მითხარ უფალო, დასაბამიდან თუ იყო სიტყვა,
და სიტყვა ესე იყო ღმერთთან, სიტყვა უფლობდა,
შესწევდა ძალა, ეზილა თიხა მიწიერისგან
და ერთი სიტყვით მოდგმა ადამის გამოეძერწა.

მაშ, რატომ არის ფიქრის და სიტყვის ნება სხვადასხვა,
ფიქრს ვერ აკრძალავ, ვერ ჩაკეტავ, ტაბუს ვერ ესვრი.
სიტყვა სხვა არის, რომც ღმერთობდეს სწვდებოდეს ზეცას,
მაინც არსებობს სიტყვად – უთქმელი, – რასაც ვერ გეტყვის.

რადგან უთქმელის გათქმას ახლავს სასჯელი თვისი,
რადგან უფლებებს აწესებს მოდგმა პირველ ადამის,
თითოეულ ნათქვამს კანონები აკონტროლებენ,
მკრეხელნი უფალს თრგუნავენ და სდუმან მარადის?

არა, სიტყვა და ღმერთი იყვნენ ერთნი საწყისად,
მოდგმამ კაცისამ გაჩენის დღიდან განაცალკევა.
მას შემდეგ სიტყვა კაცთანაა და ღმერთი ცაში,
ჩვენზე ფიქრებით ცხოვრობს, მაგრამ ჩვენთან არ ჰყვება.

ნეტა, ოდესმე უფალო თუ შენს ფიქრს გამანდობ,
რომ დამეხმარო, რომ განვჭვრიტო ჩემი რაობა,
ჩემმა სიტყვამ თუ ვერ იტვირთა ჩემი სათქმელი,
ფიქრით განმსაჯე, ფიქრით დამსაჯე, როდესაც მოხვალ.

* * *

საქართველოს მისამართია წრეწირი მიწის,
ტაო-კლარჯეთის კათედრალზე რომ გაივლება,
სადაც, ოდესღაც, თავად ღმერთი უფლის დაშვებით,
ციდან მიწაზე უხილავად კალთას გვიფენდა.
წარმოაჩენდა ერისკაცებს ჯვართამტვირთველებს
და მირონცხებულ მეფეებად გამოგვირჩევდა,
ვერ მოვერიეთ, ჩვენ ვერ ვზიდეთ ერისშვილობა,
შემოგვერღვია მანტია და სული გვიფეთქავს!
ჩვენ ვერ შევძელით, ვერ ვივარგეთ საზღვრების ფარად,
რომ გაგვეზარდა თაობები ქართული სულის,
და ამიტომაც დღემდე ვიგლოვთ ოშკსა და ზარზმას,
ხახულს და ბანას მივტირით და მაინც ვერ ვყოფნით.
ეჰ, თითქოს გვინდა, რომ ქვეყანა გვქონდეს ლამაზი,
მაგრამ ერთმანეთს რატომღაც არ გავუზიაროთ,
იოლად ვკიდებთ ჩვენი ცოდვის გუდას პირსავსეს,
სხვა უცხოტომელს და სულს საკუთარს პასუხსაც არ ვთხოვთ.
ხანდახან, სულის არსებობას სულაც ვივიწყებთ,
სიყვარულს ვუმზერთ მარტოდენ სიტყვას ფურცელზე გაკრულს,
და აღარ გვახსოვს დამოწმებად ამ ერთი სიტყვის,
თავად უფალი ჯვარს გაეკრა ადამის გამო.
ვაი, ეს ყველა, ბზე რომ შოთას კერაზე ღვივის,
და ყვავ– ყორნები ჩვენს ზურგსუკან ისევ ჩხავიან
ვაი, რომ სვე-ბედს უკუღმა ვთესთ და წაღმა ვითხოვთ,
ამიტომ ლპება უსამკალოდ ჩვენი ნალია.
და, ... ლამაზია ეს ქვეყანა გავაზზე მეტად,
მაგრამ, გვინდა, რომ უფრო მეტად ლამაზი იყოს?
რატომ ვერ დავრგეთ, ვერ ვახარეთ წესი ეს წესად
– სიტყვა საქმით და სიტყვა კალმით რომ ტოლი იყოს!
ნუთუ, ეს წყევლა არსებობს და ოდითგან მოგვდგამს –
რომ ერთგულება, სიყვარული ვერსად გვესწავლოს,
მადლიერებას თავს და ბოლოს ვერ ვუძებნიდეთ,
სიტყვათა მარაგს მივათვლიდეთ, – ყავლაგარდასულს.
ჩვენ ქართველობას არავინ გვართმევს, – თავად უარვყოფთ,
და გვავიწყდება რომ ერთმანეთს ფარად ვჭირდებით,
ამოსუნთქული ერთმანეთის ჰაერი გვგუდავს,
რადგან, რატომღაც ერთმანეთის ნიჭით ვმძიმდებით.
თითქოს არ ვიცით, რომ ნიჭს თავად ვერვინ იბოძებს,
იქ, სადღაც ზემოთ გადაწყვიტეს სამიზნე მისად,
არ გვაქვს საკმარი, ჩინი თვალთა გონიერების,
შური ზელს ჩვენს გულს, გვაქცევს სხვათა ნიჭის გალიად.
ვერ გვექცევიან ფანფარებად ჩვენი ლექსები, –
რა განგვადიდებს, როცა მზეც კი აღარ მზისგულობს,
სამნებად უჩანთ წინაპართ სისხლი იებს ფესვებზე,
მაგრამ ვერ ვამჩნევთ, მტერს ვკოცნით და მოყვარეს ვუმტრობთ.
ენძელებს ვახრჩობთ ფიფქს გამოცრილ სისხლისფერ თოვლში,
რომ თავს ვაჯეროთ იისფერი თავად თოვლია,
ნუთუ გვგონია, დღესაც გალა დავიმსახურეთ,
ასე ადვილი ქართველობა რატომ გვგონია?

* * *

მზე, შენს სახლთან ამოდის ახლოს, – ჩადის ირიბად.
თან, თვალს აპარებს, მზერას ტოვებს კართან სხივებით.
თოკი გგონია, ფეხს აბიჯებ, მერეღა ამჩნევ,
ანდაც არ იმჩნევ, იწყებ წერას წნული სიტყვებით.

წყევლა ხომ მშვიდი ვერ იქნება, მშვიდი ლოცვაა,
შენ მოგზაურთა შემწე არაკს ეძახი რასაც,
რადგან გგონია, აღარავინ ლოცულობს შენზე –
გემო აქვთ დაღლის, მონატრების ნარჩენებს რადგან.

არც ეგ სიცხეა უმიზეზო, სიცხეა განა?
უფრო სითბოს ჰგავს, გისახსოვრე ოდესღაც დამზრალს,
ისე წახვედი, წაიყოლე, სიტყვა არ გითქვამს,
ალბათ, ამიტომ აღარ ელი წერილზე სალამს.

სადამდე წვდება სიყვარულის დაწნული თოკი? –
პასუხს არ ითხოვ, თოკს თავად წნავ და ცამდე აწვდენ,
რადგანაც იცი, თეთრი კაბა აცვია იმათ,
ვინც არ იმორცხვეს და შენს მკლავზე დანებდნენ ღამეს.

და მერე რა, თუ მათ ხანდახან ქარი შეარხევთ,
შემოუწეწავთ ამ კაბების ბოლოებს დასვრილს,
და რა მერე, თუ ნამდვილ გრძნობას დღეს შავი მოსავს,
და თალხი ფერით გამოჩენის რცხვენია ხალხში.

მწერ, მეკითხები – ვუფრთხი თუ არ? გპასუხობ – არას,
მაინც ორჭოფობ, იგრძელებ გზას, აგრძელებ დაწვნას,
თოკის ცალ ბოლოს დაბნეული მაჩეჩებ ხელში,
და თან არ გინდა, დავიღალო – ბოძს გამოვაბა.

დაზამთრდა. მგონი, მეც ფიფქივით გავხდი სტუმარი,
და სიყვარულის თოკზეც დადო თოვლმა უსიტყვოდ.
მე შენს სახლამდე უტალახო გზებით მოვედი,
შენ ჟინმა გძლია, სხვა ვაგონებს გაჰყევი უხმოდ.

და დღეს ამ თოკის ბოლოები ჩემს ხელებშია,
ორივე ხელით, კანგაცლილით, მტკიცედ მიჭირავს,
ვერ ვნახე ბოძი, ვეღარ ვხედავ, – მგონი ვბრამვდები,
მხოლოდ მზეს ვხედავ, ყველა ბოძს მე ეგ მზე მიჩრდილავს.

ბაღისპირული

მე კვლავ იქ ვდგავარ, ბაღის კართან, – უკვე მოხუცი,
სიმაღლით თითქმის დავეწიე ბავშვობის აჩრდილს,
ლოდინის ორთქლით დაძველებულ ფანჯრის მინაზე,
დამჭკნარი მტევნით ვეძიები ანანეჭდს ბავშვის.
შენ სხვა ქარებმა დაგაშორეს ჩემთან შეხვედრას,
გადაგისროლეს მოგზაურთა უსიერ გზებზე,
მხოლოდ კალამი დაგიტოვეს ხელში უცვლელად,
ერთადერთია, ენდობი რასაც ყრმობიდან დღემდე.
ეს შენი არა, ჩემია მზერა – ბრმა და უსიტყვო.
უხმოდ რომ ფურცლავს ლექსებს მოცმულ მზერის ბარათებს,
ძაფებად ართავს და გაქცეულს სულს სხეულიდან,–
თრთოლვის კანკალით კემსავს ხორცთან ნაშუაღამევს.
ამ დროს – საღამოს, უსხეულოდ ღამდება შენთვის,
ვერმოახლებულს ჩემი ფეხის ხმას აყურადებ,
ჩემთვის ღამეა, დღისითაც კი ჩემთვის ღამეა,
კითხვას გიბრუნებ – დღე და ღამე არ შემოგაცვდნენ?
შენ უსასრულო სიჯიუტის ნაჭუჭში ზიხარ,
ზოგჯერ ისეა, საკუთარი ნიჭიც გატყვევებს.
მხოლოდ მე ვხედავ შენი ფიქრის კალიგრაფიას,
და ეს ერთია, რაც სიცოცხლის გზაზე მაჩერებს.
ვღელავ დღეს რადგან, შენ გაგანდე არასდროს თქმული,
რომ მე დავბერტყე იისფერი თოვლი კალოშის,
ფერი ვიცვალე, ასე ვიქეც ერთ დღეს მუმიად,
და მხოლოდ შენ მცნობ, არ მჯერა მე სხვისი შენდობის.
ალბათ, ბევრი გაქვს სათქმელი და მე ისევ იქ ვარ,
ჩვენს ბაღის კართან, საკუთარ ჩრდილს ვერდამალული,
მესმის უსიტყვიდ, ზუსტად ვიცი რომ ერთ დღეს მოხვალ,
და შენ მოძებნი ანაბეჭდებს ჩვენი ბავშვობის.

რამაზის პარტია:

შენ წახვედი და ანარეკლი შეატოვე ჩემი ფიქრების სიღრმეს,
მას შემდეგ სარკე დასევდიანდა, შენი თვალების ფერებით მიმზერს.
თითქოს შენსავით გახდა ჯიუტი და გაცინებას მთხოვს მე მაშინაც,
როცა იცის, რომ ღიმილს დავშორდი და ვიგერიებ დარდებს შარიანს.
შენ მომანატრე ჩემი თვალები, დატირება რომ ასწავლე მუნჯი,
შენ წახვედი და თან ჩემში დარჩი, ჩაძირული და ჩემსავით უტყვი.
ალბათ ამიტომ ერთნაირები ვერასდიდებით ვერ ძლებენ ერთად.
ერთი აქვთ მზერა, სუნთქვა, ხელწერა, გაცვლილი სევდაც ერთი აქვთ ფერად.
და გაურბიან შიშით ერთმანეთს, საკუთარ თავის ხატების მსგავსად,
ერთი ბოლო აქვთ მაინც ორივეს, ერთგზის გაჭრილი სამარის კართან.
საკუთარ თავზე გადაჩვეული, შეგეჩვიე შენ თითქოსდა უცხოს,
ნანინანატრად ნაფერადები ღიმილის სევდა მაჩუქე უხმოდ,
და იმ სხვებისგან გამოგარჩიე, ჩემი ფიქრები დღემდე რომ იტევს,
თავად არც მიკვირს იმ ბევრეულ სხვას, შენს გვერდით რომ ვერ ვაჩენ,
ვერც ვიმჩნევ.
წარსულის – ყველა – გამიაჩრდილე, ერთ დიდ სენაკში შეჰყარე იმ დღით,
კარი კი მზერით გადაურაზე, დარაბებს მიღმა ჩაკიდულ ფიქრის.
შენ წახვედი და თან ჩემში დარჩი, დავიწყე შენი ფიქრებით თხრობა,
და ქარი როცა შენს სურნელს მჩუქნის, დამიჯერე რომ დაღლამდე ვსუნთქავ.

მედეას პარტია:

შენი ჭაღარა ჩემს საფეთქელთან ანახლებს ჩემში სიცოცხლის ვნებას,
თან მიმძიმს გითხრა, ვერაფერს შევცვლი, ბედმა კლანჭებით მომსხლიტა ნება.
იმ სამჭედლოში, სადაც ოდესღაც დაბადებამდე ჩემს ბილიკს ძერწდნენ,
ძრწოდა პირქუში გადამთიელი და ჩემს სიყვარულს ადნობდა გრდემლქვეშ.
დღე იყო მუქი და დალიბრული, დამფრთხალ სიოსთან ღამენათევი,
ზუსტად ისეთი, როგორიც ამ წამს – მეწამური და განაწამები.
და სხვის მკლავზე მე გარდავიცვალე, შენს არსებობას ნაღალატარი,
სინდისს დაემჩნა იარა სისხლის და ჩემს შუბლის ძარღვს შენი ჭაღარის.
დაჭირხლულ დარდებს ფრთები მოკვეცა, თვალჩაცვენილმა ნაქსოვმა ხსოვნამ,
თითის წვერებით რომ ვაკოწიწე, გრდემლქვეშ ნაღვენთი ცრემლების თხოვნად.

მიწერილი პირველი

შენ შეგიძლია დაინახო ღმერთი ცაში,
და სთხოვო გაქციოს ჭიანჭველად,
რათა ოთხჯერ მეტი იტვირთო ადამიანისთვის,
ვიდრე ადამიანად მყოფი შეძლებდი.
გაქციოს ძაღლად, რათა იმაზე მეტად უერთგულო,
ვიდრე ადამიანად მყოფი შეძლებდი.
და არ გაქციოს ღმერთად, რათა ამ ადამიანმა,
შენში ადამიანი ირწმუნოს და შეიყვაროს.

……
ხვანაირად შეუძლებელია ღმერთის დანახვა.
სხვანაირი ღმერთი არ არსებობს.

…….
მაგრამ საქმეც ეგ არის, რომ
ჭიანჭველად გადაქცეული ვეღარ ითხოვ ადამიანად დაბრუნებას,
ვერც ძაღლად გადაქცეული ითხოვ ადამიანად გადაქცევას.
რადგან, ვისთვისაც შენ ჭიანჭველად და ძაღლად გადაიქეცი,
მან შენში ღმერთი დაინახა და მას შენზე ადრე სთხოვა,
შენთვის ადამიანად დაბრუნება აეკრძალა.

……
ამიტომაც არის ადვილი, ამ დროს ერთმანეთის და ღმერთის დანახვა.
ეს ერთადერთი ადვილი ხვედრია რჩეულთათვის.

…..
დღეს შობაა.
ადამიანის შობაც გვიან დგება.
და შობა მხოლოდ მაშინაა მშვიდი, როცა ის ფერისცვალებას ემთხვევა.

…..
აქ, ამ ქვეყანაში
და სამყაროში ყველაფერი დროული მხოლოდ რჩეულთათვისაა,
რადგან ისინი ადამიანის შობას და ფერისცვალებას ერთ დროში ხედვენ.

მიწერილი მეორე

ლოდინი ტკივილს ჰგავს, სხვა ადამიანს ვერ გაუზიარებ.
სიზმარსაც ჰგავს, ვერც სიზმარს გაუზიარებ.
ნუთუ, მხოლოდ ძაღლებმა შეიძლება გაუზიარონ ერთმანეთს
ტკივილიც და სიზმარიც?
ალბათ, რადგან ერთი ადამიანი შეიძლება ელოდეს მეორეს,
მეორემ იცოდეს, მაგრამ სიზმარი ეგონოს.

მიწერილი მესამე

მზე,
ვარდი,
თოვლი,
მთვარე,
ძაღლი,
ადამიანი.
სულ ახლოდან ატომების გროვაა.
მათ შორის განსხვავება არ არსებობს.
სხვაობა მოლეკულებიდან იწყება.
უნდა დაშორდე, რომ ეს სხვაობა დაინახო.
მთავარია ამ მანძილის გაზომვა შეძლო და გაჩერდე.
მერე ყველა ნაოჭი შენს მიერ აღმოჩენილ ევერესტად გეჩვენება.
მერე ერთი სიცოცხლე აღარ გყოფნის ბედნიერებისთვის.

რა რთული ასატანია ადამიანი, რომელსაც ერთი სიცოცხლე არ ჰყოფნის.

სიმშვიდის ალგორითმი

დღე იყო მძიმე, ღამენათევი,
მზის სხივს ებრძოდა ფერმკრთალი ფარდა,
მისი სტუმრობით ველოდი თურმე,
სამყაროსაგან უხილავ დასჯას.

როგორც წასვლის წინ მიწიდან ცისკენ,
სხეული იწყებს უეცარ წრიალს,
მსგავსად დაეტყო ჩემს სულსაც შფოთვა,
ხორცი აცვია როგორც მანტია.

მიზანი, არსი, განგება, ნება,
ვინ გამოიცნოს რა იყო მაშინ,
ორი სული რომ ერთმანეთს შეხვდა,
მზერადატოვილ მიხურულ კარში.

წავიდა კაცი, დატოვა მზერა,
მანამდე ვერთქმულ, არგაგონილი,
რომელსაც ჩრდილი არსაით ერტყა,
მას შემდეგ ისევ იქ დგას ქორივით.

საოცარია, რომ კაცის არა,
მზერის ნახვისას ალმური ამდის,
უდრის იმ თვალებს, კაცს რომ თან დააქვს,
ქუდქვეშ მალავს და სხვა ქალებს აწვდის.

ამ დროს მე ვშრომობ, ვფიქრობ, ხან ვდარდობ,
დღეები თვლიან კალენდრის ფურცლებს,
და თურმე შურის ღრუბლები ბორბალს,
კაცის ბედისას ხრამში აგორებს.

ერთ დღეს უმტყუნა ნაწრთობ კალამმა,
პასუხი გასცა უდიერ სიტყვას
და გველეშაპი ქვესკნელის ზღაპრის,
ჯოჯოხეთიდან ამოიზიდა.

თავისი ცეცხლის პირღია ენით,
ეკვეთა კალამს, ლაღს და მჭერმეტყველს,
დაახრევინა ამაყი თავი,
და დაამსგავსა შმაგ, უბელო ცხენს.

სიტყვადათრგუნულს, სხვებზე ნამზერი
თვალები ერგო ქუთუთოს ნაღმად,
ვერავინ მიხვდა, ფიქრების ფიქრით
წაღმა ფიქრობდა თუ იყო გაღმა.

მზერა შეშფოთდა, ჩრდილი მოიგდო,
შემომიბღვირა თვალების კვესით,
შენ რომ ხარ მისი ტოლი და სწორი,
მარტო რად არის და რატომ კვნესის.

ვერ მივხვდი ჩემს გულს რა დაემართა,
სად გამოძებნა აბჯარ-ხანჯალი,
გადაივიწყა რომ იყო ქალი,
სახე მოირთო ბრგე მუზარადით.

იომა სიტყვით, საქმით და გარჯით,
სისხლი სდიოდა ცრემლების ნაცვლად,
საკუთარ თავსაც ვერ უტყდებოდა,
რას სჩადიოდა, რად რჯიდა ტანჯვა.

ასე გაგრძელდა ცაზე ქუხილი,
დღე დღეს მისდევდა, თვეები თვეებს,
სამყარო თვალწინ აქრობდა იმათ,
ვინც ერთ დროს ამ კაცს ეკვროდნენ მკერდზე.

ჩემს წინ უარყვეს მისი რაობა,
როგორც ბოლო ჟამს პეტრემ იესო,
იყოს ბავშვივით თავჩაქინდრული,
შენ ეც ნუგეში, შენ ნუ ჰკრავ ხელსო.

ამ დროს წამალი ვეღარ წამლობდა,
სიტყვებიც მგონი დამბლაგვებოდნენ,
ვარდის ფურცლებად ნაკოწიწები,
ბგერები სეტყვას დამსგავსებოდნენ.

ტკბილად ნათქვამი კაცის ყურამდე
ვიდოდა როგორც მტრისგან დამბაჩა,
ვფიქრობდი როგორ მეცა ნუგეში,
ვერ ამოვხსენი რა დილემა მხვდა.

იმედის მე არ მსურდა ჩაქრობა,
მუხლდაჩოქილი გრაალს შევთხოვდი,
მის ბედს, მის ბედად მე რადგან შევხვდი,
თანალმობელად თავად ვხლებოდი.

ქალის ძალა რომ აღმაც ხნავს დაღმართს,
უკვე მასწავლეს ორპირ ქარებმა,
როგორც კოლიბრი ეწევა მზის სხივს,
ისე ვეკვეთე მე მის დარდებსაც.

ჩემი ფიქრების ორეულები
კისერზე მეკვრის ორლესულ ხმალად,
მაგრამ ვერ მსრესენ რადგან ჩემივე,
ლექსი თავის თავს კითხულობს ახლაც.

სიტყვები ფეთქვით ხაზავენ გრაგნილს,
ისე ებმიან ტვინის ხვეულებს,
ასე მგონია, რომ კაცი წერს და
მე ვით შეგირდი, – მას ვიმეორებ.

და რა მძიმეა, როცა ყოველ დღე
მზერას აწყდები ოთახში მსტოვრად,
ფოლიანტი კი ივსება სევდით,
გგონია დრომაც დაგტოვა უბრად.

ამ დროს ფიქრობ, რომ მეფისტოფელმა
თავად დაწერა მეფისტო ვალსი,
გჯერა მსუბუქ ქალს ამძიმებს მხოლოდ,
ფერუმარილი მეძავი ქალის.

ასე ვატარებ მე დღეს და ღამეს,
იმ კაცის მზერის ნების ამარა,
ხან რომ მგონია ღმერთთა დასიდან,
ხანაც მგონია თავად სატანა.

არ მითხოვია ტკბობა განცხრომით,
ლაფაეტებში გასეირნება,
მაგრამ რად მგუდავს ლაბირინთები,
ტანს რომ მეკვრის, თან ნათელს მპირდება,

მე ვწერ, არ ვიცი ეს მე ვარ თუ სხვა –
სიტყვებად მარცვლავს ჩემს სულის ტკივილს,
საგა დაწერეს ლექსებმა ლოცვად,
წესის აგებას დაასწრეს ფიცი.

სიცოცხლე სიკვდილს რომ ვერასოდეს
ფიქრებიდან ვერ გაინაპირებს,
ასე ვერ დავთმე, ვერ შევატოვე
მზერა იმ კაცის, – გაღმა ნაპირებს.

მტვერწაყრილ სევდას მგონია რომ მე,
თავად გავუთხრი ოდესმე საფლავს,
ყოველ დღე ვცდილობ, ჯერ ვერას გავხდი,
მხოლოდ ჭრილობებს ვიჩიჩქნი ხარკად.

იღბალი კაცის, ახლანდელ დროში,
ანარეკლია ჩემი ასკეზის,
თვალებით დააქვს ბედის ქარტია,
ვით მონარჩენი, სხვისი ტრაპეზის.

ერთ დროს შეიპყრო დამუნათებამ,
მისაყვედურა საჯარო სიტყვით,
რად დავუმსხვრიე სიცარიელე,
სადაც გრძნობდა თავს როგორც კაცთ ღმერთი.

მერე დრომ განვლო, გონით დაფიქრდა
და შეაძრწუნა ჭეშმარიტებამ,
მიხვდა, რომ მხოლოდ შეცდომა იყო
ლექსების მკვდრებად მოხსენიება,

რომ ნამსხვრევების თქეშს მე მივუსწრე,
ვზიდე თითებით, ხელნი ვისერე,
სიცარიელე უზარმაზარი
ამ სისხლით ვავსე კიდით კიდემდე.

და ის გადარჩა. და კაცად დარჩა.
მზერამაც იწყო ფერისცვალება,
მისი ოცნება ჩემთან დასახლდა,
არსად არ მიდის, არ ეჩქარება.

მას შემდეგ დააქვს ჩემს გულის ფიცარს,
ათმაგი სევდა ვიდრე მანამდე,
იმ კაცს რომ თურმე ვიცნობდი შორეთს,
მე კი მეგონა ხელის წვდომამდე.

მადლობელი ვარ მე მისგან ყველა,
მოფრთხილებული სიტყვის და ქცევის,
გულში დამალულ გრძნობის არ გათქმის
და არასოდეს გაფერმკრთალების.

ვგრძნობ სულის სიღრმით, სურს საკუთარ თავს
და სიძლიერეს ხელი ჩასჭიდოს,
ელის, დროს ელის, ვინც დაიტია,
თავადაც შესძლოს, მსგავსად იტვირთოს.

ოდესღაც მოვა და დაიბრუნებს
დატოვილ მზერას ოთახის კართან,
მაგრამ მზერა ხომ თვალთ შემეზარდა,
მეც თან გავყვები სამარის კართან.

* * *

მზერა დაიმშა.
  თუმც ბრმა ვერ ტირის, თითქოს
  სამყარომ ცეცხლზე შემოდგა მისი
  თვალები.
ცრემლები ჩაშრა.
  და მარილის ნატეხებად დაეკიდა
  სულს მიმავალს გზაზე ცისაკენ.
ძვალ-რბილშიც ატანს.
  მიწაზე გართხმულ სხეულს
  თითქოს საგზლად უხდებოდეს
  ტარება მათი.
ცოდვილობს სული.
  ბოლომდე ლამობს, რომ გისოსები
  გაალღოს სისხლით თავისი საკნის.
სისხლი ცოტაა.
  ისე ცოტა, რომ გულს ვერ სწვდება,
  და გული იწყება მაჯასთან ფეთქვას.
ფეთქავს სამყაროც.
  დაუკითხავად წერს ბედისწერას,
  რომ სისხლის ფასად ჩვენვე
  მოგვყიდოს.
გუბდება სისხლი.
  ამიტომ არის, რომ გულის
  ფეთქვას, გულის სანაცვლოდ
  მაჯასთან ვზომავთ.
ჩერდება გული.
  და ბრმა თვალს ახელს, რომ
  მომლოდინე იხილოს დედა
  ცის კაბადონთან.

ჯგუფი ზღვარი

ჯგუფ ზღვარის პოეტები

სერგი ლომაძის წინასიტყვაობა: აქ წარმოგიდგენთ როგორც რითმიან, ასევე ურითმო ლექსებს. საერთოდ, მე ყოველგვარი პოეზია მიყვარს და არ ვიცი, რატომ აომებენ, დღესაც კი, რითმიან და ურითმო ლექსებს ერთმანეთში. ორივე კარგია, თუ კარგადაა დაწერილი. შოთა ჩანტლაძეს მოსწონდა ურითმო პოეზიაზე საუბარი, ხოლო ბეჟან ხარაიშვილი, თავის შედევრში („უსახელო მკვდრები") წერს: „– თეთრი ლექსი როგორია? – გაუკვირდა რუსთაველს, – ასეთი რამ არ გამიგია. – ურითმო ლექსია, – უთხრა აკაკიმ, – ურითმო ლექსებს ვერბლანებს და ვერლიბრებს ეძახიან. ბევრი მიმდევარი ყავს." აქ, ბეჟანი, შეიძლება ირონიულად წერდეს, მაგრამ ურითმო სტრიქონები მართლაც პოპულარულია დღეს. ხოდა წარმოგიდგენთ როგორც რითმიან, ასევე ურითმო პოეზიას.

სერგი ლომაძე

სიჩუმე

დუმილს ნუ დაარღვევ, – არა ღირს,
მზის ჩასვლას შეხედე და სული
აავსე ჩურჩულით ბალახის,
ყვავილთა ჩურჩულით... ფარსული
        ცხოვრების ამბები დატოვე
        სადღაც შორს... არა ღირს, არა ღირს, –
        დუმილს ნუ დაარღვევ... მატკბობს მე
        მოსმენა ზეცის, მთის, ბალახის... –
გასწავლი სიჩუმის მოსმენას,
შორსაა ხმაური ქალაქის,
მზე არის მაგ გულის ოდენა,
დრო არის სამყაროს დანახვის
        სხვა თვალით, სხვაგვარი შეგრძნებით...
        ახლა, ლაპარაკი, არა ღირს...

სივრცეები

აზრი არა აქვს სამყაროს – ვამბობ,
თუმც უთვალავმა უპოვა აზრი,
ეზმანებოდა ზოგს ბრიჯიდ ბარდო,
ზოგს კი – კედლები ობოლი ტაძრის,
        ორივე გზაა, გზაა ასივე,
        და ფულის მთებიც – ასჯერ ათასი –
        ზოგთათვის კოსმოსს გადააცილებს,
        ჩემთვის კი მთაა მხოლოდ პარნასი –
ჩემთვის კი მთაა მხოლოდ გოლგოთა –
აი სიმაღლე ევერესტული –
როგორც სამყარო სულთა ობოლთა
ან როგორც სტროფი რუსთველ-მესხური –
        რუსთველ-ქართული... და არის წარღვნა,
        და სადღაც ისევ სტირის ზოზია,
        გრანელის ღმერთი წავიდა მაღლა,
        აქ კი შუბი და ლონგინოზია,
რომ კვლავ დავსისხლოთ იესოს ფერდი,
მაგრამ იესო ცაში წავიდა,
და მოსაკლავი აღარ გვყავს ღმერთი,
თუმც სხვა გოლგოთებს ვქმნით, ვქმნით თავიდან.
        ჩვენ სულ ასე ვართ... არა, ჩვენ არა...
        მე სხვა ვარ... ხოდა, ვით მთებში თერგი
        ისე ვხმაურობ... თუმც მომეცარა
        ხელი, მაინც ვარ მწვერვალი – სერგი...
აზრი არა აქვს; აზრი აქვს; ხოდა
ბრძოლა ბოლომდე... ბოროტს განდგომა...
ეგონათ ღმერთი დასრულდებოდა,
მაგრამ გოლგოთას მოსდევს აღდგომა...
        დაილეწება სამყარო ტანჯვის,
        სტრიქონთა ფრთებს რომ პოეტი გაშლის...

დიდი დღე ჩაფიქრებისათვის

შენ ბევრი რამის გაგება გიჭირს,
და შენს ეპოქას ზედმეტად ენდე,
არა გქონია სიცოცხლის ნიჭი,
მაგრამ სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ
შეგისწავლია ყველაზე უკეთ,
და სტრიქონებში რომ ჩაეფალი,
დაგიჭერია მაგ ზღვაში, უკვე,
ასიათასი ლექსი – კეფალი...
შენ მარტოობა გქონია სახლად,
თან პოემების მთებს გაჰყურებდი...
მიწაზე ქვევით, ზეცაზე მაღლა
მიჭრიალებდა ბედის ურემი.
გულში ცხოვრობდა ტკივილის კბოდე,
ამოდიოდა კლდეთაგან მზენი,
და გიხაროდა, რომ მარტოოდენ
შენ იყავ სტროფთა გოლგოთის მთმენი...
ახლა გაჰყურებ სამყაროს დაისს;
ღვთის გულის ფეთქვას ლოცულობს ცები;
შენ დაისებში პოულობ ხალისს,
და აისების ლოდინით ტკბები...

***

სივრცემ სივრცეებს დიდხანს უძახა,
მთებს სულ მოედო მზეთა ხანძარი,
ზეცამ მიწოდა ღმერთი, თუმცაღა
არსად მქონია სახლი-ტაძარი;
სიმარტოვეა ჩემი სამყოფიც,
ჩემი ფარ-ხმალიც, ჩემი აბჯარიც...

* * *

ის ზეცის ველებზე ხეტიალობდა.
ის ვასკვლავებს ჰკრეფდა ყვავილებად.
მისი სიცილი
მთის ბროლივით იმსხვრეოდა
ცის სივრცეებში,
და ხმა, წკრიალა,
ედებოდა უვრცესს კოსმოსს,
როგორც სინათლე...
ჩემი გოგონა სიზმარი იყო...
სიზმრის გოგონა
(ჩემი სიზმრის გოგონა)...
მაგრამ რამდენ რეალურს სჯობდა...
იქ, ცის ველებზე,
ახლაც ხეტიალობს იგი,
ჩემსავით უყვარს ხეტიალი,
და ჰკრეფს თავის ვარსკვლავ-ყვავილებს...

ქვეყანა-მარადისობა

შენ საქართველოს დასაწყისს ეძებ,
– ტყუილად ეძებ, – ეს ერთ ბერს უთქვამს,
რადგან უფალი არსად იწყება,
თუმც დასასრულიც არა აქვს უფალს...
ლოცულობ, როგორც უდაბნოს ბერი;
ნაომარ ხმალთა იგრძენი სიცხეც;
და საქართველოს მატიანენი
აღიმართება ჯვარად და ქრისტედ.
ძველ ისტორიებს გიამბობს ხმლები,
ჯვრის მსგავსი ხმლები შენ გეტყვის იმას,
რომ ეპოქები ერთმანეთს ებმის,
თუმც საქართველო ჟამთსვლაზე წინ დგას,
რომ ისტორია მეტია მზეზეც,
თუკი დიდგორობს, – თუა იმ დონის,
და საქართველოს სასრულს ვინც ეძებს,
ტყუილად ეძებს, – მას ვერ იპოვნის...

კახა ბაციკაძე

პოეტური გრძნობა

ხვალ, როცა დილა გათენდება, –
მზე რომ ამოვა,
მთელი სამყარო დაინახავს და წაიკითხავს
მზის ტანზე ღამით დაწერილ ლექსს, –
ჩემს ლექსს, სევდიანს.
მერე, როდესაც ცა მოიქუფრება, –
გამოჩნდება ამაყი ღრუბელი,
მთელი სამყარო დაინახავს და წაიკითხავს
ღრუბლის ტანზე დაწერილ ლექსს, –
ჩემს ლექსს, სევდიანს.
მერე კი მოვა ლირიკის წვიმა, –
უკვე ლექსები წამოვა წვიმად,
ფერად წვიმად – მთელს სამყაროში,
და მაშინ,
ადამიანებს, საგნებს...
ყველაფერს დაასველებს
ჩემი პოეზიის საბრალო სევდა...

***

ისევ ვუსმენდი "ავე მარიას",
"ავე მარიას" ისევ ვუსმენდი,
და პოეზია ჩემი ჯვარია,
ხოლო ლექსები – ცხელი ლურსმნები...
ისევ ვუსმენდი "ავე მარიას"...
მე გულის ფეთქვას ისევ ვუსმენდი...

***

ასეთს სამყაროც კი არ გელოდა,
როს დასაბამი მოგცა საოცარს,
ხარ რუსთაველის საქართველოდან,
გეხები, როგორც "ვეფხისტყაოსანს"...
შენა ხარ ის, ვინც დროს შეაჩერებს,
და გზას გაუხსნის მარადისობას...
მზერით წარმოქმნი სინათლის ჩქერებს,
რომ გაიშალოს გულში მზისობა...
სულის მდელოზე ისევ ყვავიან
ლოცვანი – ლურჯი, ლურჯი იები,
თუ ცას ვარსკვლავი შეუზავია,
შენ ღვთისმშობელის ცრემლებს მიები...
სტრიქონებში რომ წმინდა ცეცხლია,
თვალებში მბორგავ ზღვების ბრალია,
ხოლო მაგ თმების ქროლვას, მერცხლიანს,
გზა ტაძრისაკენ გაუკვალია...
მე კი გეძახი, მე კი მოგელი,
როგორც ძილის წინ ბავშვი – ოცნებებს,
ხარ სიყვარული გადმომთოველი,
და მწვერვალივით, თოვლს, თოვლს მოგენდე...
ასეთს სამყაროც კი არ გელოდა,
როს დასაბამი მოგცა საოცარს,
ხარ რუსთაველის საქართველოდან,
გეხები, როგორც "ვეფხისტყაოსანს"...

გული-ტაძარი

ცა ლურჯ ფერებად დაიფერფლება,
მივყვები შარას, ირგვლივ – მაყვლიანს,
სტრიქონს ვაგრძელებ ლექსის მეფეთა,
და მხრებზე ზეცის ფერფლი მაყრია.
თასებს ჩაგრავენ ღვინის მხედრები,
სულში კვლავ ძველი ცეცხლი ანთია,
მე მიწისაკენ არ ვიხედები,
და ვგრძნობ თვით ჩემს გულს –
ათასსანთლიანს.
ფერებს აირევს ფიქრის პალიტრა,
(მივყვები შარას, ირგვლივ – მაყვლიანს),
ხეებს ახურავთ მზისფერი მიტრა,
და მზრებზე ზეცის ფერფლი მაყრია...

გიორგი ზუხბაია

ორი შემოდგომა

(სერგიმ მითხრა: თითქმის არაფერი ვიცით ქართველი
გენიოსის – შოთა რუსთაველის შესახებო. რაც ვიცით,
ისიც, უფრო, ლეგენდებიაო. ძალიან საეჭვოაო ამ პოეტის
კარგად ცხოვრების ამბავი. გასარკვევია თუნდ ესეც –
საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი იყო თუ – იქ, მონასტერში
ანდეს ბერებმა ეს მოვალეობა, პატიოსნებით გამორჩეულ ადამიანსო...
საერთოდ, ისეთნიც კი არსებობენ, თვით ღმერთზე უპირატესიც
რომ მიაჩნიათ საკუთარი პიროვნებებიო, მაგრამ რუსთველს ძალიან
უყვარდა ღმერთი, რომელიც ყველასა და ყველაფერს აღემატება, არის უსაზღვროდ კეთილი, და
ეგებ მართლაც მონასტერში დაასრულა
შოთამ თავისი ცხოვრება, მითუმეტეს, რომ, როგორც ჩანს, სამონასტროდ არაერთი მიზეზი
ჰქონდაო... და მაინც, – ნეტა მართლა
თუ იყო, ის მოხუცი ბერი, პოეტი რუსთველიო...

სერგის უყვარს ფიქრი ღმერთის, რუსთველის, ზღვარის შესახებ... შოთას პოემაში არაერთი
თემაა გაშლილი საოცრად, ხოლო ერთ-ერთი მათგანი არის – სიყვარული. აშკარად შევეცადე,
მე, რომ იგივე თემა რაღაცნაირად, მირაჟიზმულ-მისტიკურად გამეაზრებინა ლირიკაში).

ჩრდილი სინათლეთა თრთოლვას მიმალვია,
ფეთქავს სიწყნარე, სიწყნარე – უხმოდ,
ნელი, ნამიანი, ნორჩი ნიავია,
სულზე ოცნებათა ტკივილია უცხო.
ზეცამ ხეებიდან იგრძნო უსაზღვრობა,
ქროლვამ გადადენა ჩუქურთმები მქრქალი,
ფოთლებს დაესიზმრათ ფერთა გადადნობა –
ორი შემოდგომა – კაცი და ქალი.
სული სილუეტთა უცქერს შემოდგომას,
როცა შემოდგება თვალნი ხამხამებთან...
ტოტებს, როგორც თითებს, კაცი შემოდგომა
ქალი შემოდგომის წვიმას შეახებდა
(ალერსი თმებზე)...
გადის ყოველივე დროთა სიავიდან,
გული გადათელავს დღეთა იმედებს...
ნელი ნიამორი ნორჩი ნიავია,
აქ კი არა, სადღაც მინდვრებზე...

სპარტანელი

დრო, საოცარი, ისე ილევა,
მძვინვარებს ომი, ვგრძნობ სისხლის ხაზებს...
მე დავბრუნდები აუცილებლად,
მე დავბრუნდები ფარით, ან – ფარზე...
ერთხელ, წყვდიადში, მზე ამოვიდა,
და მზედ, ღამეში ვენთები ასე,
ოღონდ მელოდე, და ამ ომიდან
მე დავბრუნდები ფარით, ან – ფარზე...
სული, ბრძოლისთვის, მე, მიმიძღვნია,
რადგანაც სული სივრცეთი მავსებს,
მე სხვანაირად არ შემიძლია,
მე დავბრუნდები ფარით, ან – ფარზე...

ჰაერის ტაძარი

ჰაერში, როცა სიჩუმის სახეს,
ჩამოსდის, თბილი, ზაფხულის წვიმა,
შენ მარტოობას გულზე ხელს ახებ
და მიენდობი სრულიად იმას.
აქ შეჩერებას არავინ გაცლის,
შენ ოცნებები გაიმიზეზე,
და იმ – ჰაერის გამთბარი ტაძრის,
დაგრჩება, თვალი, სინატიფეზე...

ფანქარი და ნახატი

ოთახში ფანქარი დევს
ნახატის ახლოს.
არავინ არის,
მხოლოდ – ეს ფანქარი და
ეს ნახატი,
შუქი კი ამატებს,
და ამ ოთახში დევს
მხოლოდ ფანქარი,
რომლითაც, წამის წინ,
ბალახი დახატეს.
ბალახზე ფეხშიშველ გოგოებს,
დასცილდა,
ასე ნელ-ნელა,
ცისფერი პეპელა.
ოთახში ფანქარი დევს
ნახატის ახლოს,
სხვა – არაფერი.

პოეზია

მამა ამირან ამირანაშვილი

ადამის ძენო!

ადამის ძენო თუ შეძლებთ,
სძლიოთ სამყაროს ვნებები,
უფალს მიენდოთ მთლიანად
და იხმოთ უფლის მცნებები.
ვეღარ გაცდუნებთ სატანა.
იქნებით მადლშემოსილნი,
საცდურს დაუხშეთ კარები,
გახდებით უფლის მორჩილნი...
სატანას თუკი განაგდებთ,
ზნეობით ცად ამაღლდები.
წმინდათა ლოცვაც დაგიცავთ,
მუდამ,,მუსტანგად“ დარჩებით.
ეს ყველაფერი ძნელია,
დაეხსნა გარყვნილ სამყაროს,
დათმო ტახტი და დიდება,
ხორცს რომ მცირედი აკმარო...
თუკი გაუძლებ საცდურებს,
მოუსმენ ციურ გალობას,
მაშინ გწამდეს და ელოდე,
ზეციდან უფლის წყალობას.

მზე სიცოცხლეა

მზემ, გამაოცა აღმოსავლეთში,
უზარმაზარმა გიზგიზა დისკომ.
ამოდიოდა სიცოცხლის წყარო
და სამყაროსთვის მოჰქონდა სითბო.
უპირველესად თბება ჰაერი,
პირველი კვებავს ცოცხალ არსებას,
და თბილი მიწა იძლევა საზრდოს,
ხალხი მადლს ვწირავთ ღვთიურ განგებას!
მზეს უმღერიან დილით მერცხლები,
ღამით ბულბული უგალობს სატრფოს,
დაათენდება ვარდის ტოტოებში,
ღამენათევი შეხვდება მნათობს.
მშვიდი საღამო მიყვარს ზღვის პირას,
ცეცხლივით მზე რომ ჩაწვება ზღვაში.
გრილი ნიავი ყურს ჩაგჩურჩულებს
და დედის ნანას შეიგრძნობ ხმაში.
დალოცვილია მზე და სიცოცხლე,
მარადიულად ამოდის ჩადის,
ეს ხომ მითია, ჩვენ გვეჩვენება,
ის დგას...სამყარო მის ირგვლივ დადის.

ღამის მნათობი

ღმერთმა შეგვიქმნა ჩვენ მზე და მთვარე,
მზე დღეს ანათებს და თანაც გვათბობს.
ღამით კი ცაზე ამოდის მთვარე,
თავის შუქსა და ფუნქციას არ თმობს.
ხანდახან ღამე კუნაპეტია,
თითს ვერ მიიტან საკუთარ თვალთან,
ამ დროს შუქმნათი ამოვა ცაზე,
და მიგაცილებს უვნებლად სახლთან.
მთვარე უმეტეს უყვართ პოეტებს,
უჭირთ თუ ულხინთ, უმხელენ მთვარეს,
პოემებს ქმნიან მნათობის შუქზე
და ცხად, სიზმარში ათევენ ღამეს.
მთვარეა ღამის მანათობელი
და მან შეგვმატა ღამის მხნეობა,
რომ არ შეექმნა მნათობი უფალს,
ცხოვრების არსი დაირღვეოდა.

მადლობა ღმერთო!



უფლის საფლავზე ვილოცე გულით,
ცეცხლის გამოსვლაც გავიზიარე...
ჩემი ქვეყანა ღმერთს შევავედრე
ღმერთო! სამშობლო გამიმთლიანე.
ახლა სავსე ვარ უფლის წყალობით,
ღვთისმშობლითა და წმინდა ნინოთი,
მეფე დავითი, მეფე თამარი,
მათი მადლით და მათი მირონით.
გამთეთრებია თმები ლოცვაში,
ვლოცულობ გულით, სრული არსებით,
ვემსახურები უთბილეს ქრისტეს,
დაუზოგავი თავგამოდებით.
სამოცდათხუთმეტს გადავაბიჯე,
კვლავაც გუგუნებს ჩემი წირვები
ჩხარელი ბაბუ მედგრად დავდივარ
და ჩემ სიბერეს ჯერ არ ვნებდები.
მადლობა გულო უბერებელო,
მადლობა სულო გაუტეხელო,
მადლობა ჩემო ორთავ ხელებო,
სიკეთისა და მადლის მთესველო!

ისევ მოვა გაზაფხული

არ ვიცი რას დავაბრალო,
რა წარმოქმნის სევდის ღრუბელს,
გული როგორ გავახარო,
სული სევდას ძლივსღა უძლებს.
სახე გახდა მოღუშული,
თითქოს წვიმას ელოდება,
თვალებია მოქუფრული.
ლამის ცრემლი გადმოსკდება.
დინჯად უვლი ტაძრის ეზოს,
ვეფერები ვარდის ბუჩქებს,
უხდებოდა გაზაფხულზე,
გულები რომ გადაფურჩქნეს.
სევდა მათაც შევამჩნიე,
უვარდებოდ მოიწყინეს,
იმ თბილ დღეებს იგონებენ,
გაზაფხულზე რომ ილხინეს.
ნუ მოიწყენთ ძვირფასებო,
სევდას შეცვლის სიხარული.
ცივ ზამთარსაც ერტად დავძლევთ,
კვლავ გვეწვევა გაზაფხული.

იმერეთის ნიავი

ო, იმერეთო, რარიგ გიხდება,
თაკარა სიცხის შემდეგ,,ნიავი".
ძილშიაც მესმის ვერხვის რტოებში,
საამო ქართა ფოთოლ შრიალი.
ცივი წყაროს წყლით ყელს გავიგრილებთ,
ნავი მკერდზე გვეალერსება,
დიასახლისი სამზადისშია,
კეცში წიწილა დაიბრაწება.
ჭურს კი გარშემო უვლის ჭიკილა,
სარქველს ახდის და გვასინჯებს ჭაშნიკს.
ხაჭაპურებით მორბის ეთერი
და ჭურისთავზე სამფეხას გაშლის.
თონიდან მოდის გოჭის სურნელი,
ჩიტის რძეც ახლავს იმერულ სუფრას,
ქეიფის ეშხი მით მოგვეძალა,
გამთენიამდე უმღერეთ უფალს.
ჩემს იმერეთში ერთხელ თუ მოხვდით,
ის დღე არასდროს დაგავიწყდება,
მერე სულ მუდამ მოგენატრება,
ის იმერული თავდავიწყება...

ბერდიაკონი ნეოფიტე
გარეჯის ნათლისმცემლის მამათა მონასტერი

მთა-ბარი

ვინ არის აქ ბინადარი
სად იყო ეხლა სად არი?
ან თვალწარმტაცი რად
არი ცივწყარო გადანატარი.
        გოროზი გუდამაყარი,
        ეს ხომ არაა ზღაპარი,
        ბახმაროს თავშესაფარი
        გადავარცხნილი ფაფარით.
და ისევ ისე მხნედ არი
მესხი მელექსე –მხედარი,
თაფლივით ტკბილი ნექტარით,
ბრწყინვალე ნამოქმედარით.
        მტერთან საომრად მზად არი,
        მღერის ხმალ-ხანჯალ-აბჯარი,
        ყველგან ჰანგები ნარ-ნარი,
        მეგრული ნანას სადარი.
ამობზრიალდა ცისკარი
სიტყვაკაზმული მდიდარი,
ყოფნა და წინსვლა ცივწყაროს,
უკუსვლა? – არავითარი!
        აი, აგვიხდა სიზმარი,
        დგას ქართლი ბეჭებმაგარი,
        ვინც ფიცხელ ომში იბრძოდა,
        მათი სამშობლო აქ არის!
გრიალებს კავკასიონი,
დევკაცთა ნაამაგარით,
ნეტავ რა ხელმა დახატა,
ეს საქართველოს მთა-ბარი

სოხუმი

ნგრევა, ქუხილი, სროლა, ტყვიის ნაღმების, ბომბის,
ინგრევა, იწვის მარგალიტი კოლხეთის მიწის,
სანგრებად ქცეულ გარეუბნებს უცხადებს ნდობას
სჯერა მხედრული ფიცის!

        აფხაზეთისა მიწავ,
        მოვალ და კვლავ დაგიცავ,
        იქ წვანან ჩემი ძმები,
        იმათ მარჯვენას ვფიცავ!

იწვის სამშობლო, მოსდებია ცეცხლი-გენია,
დამარცხებიდან გამარჯვების დავდგეთ შარაზე,
აქ ფეხშიშველას ცვრიან ველზე გამირბენია,
აქ ამ მწვანეში ვიძინებდი იავნანაზე.

        აფხაზეთისა მიწავ,
        მოვალ და კვლავ დაგიცავ,
        იქ წვანან ჩემი ძმები,
        იმათ მარჯვენას ვფიცავ!

არ დანებდება, არ სჩვევია, დამდგარა მტკიცედ,
ქალაქი-საფუძვლიანია დაიმედება
ლამის ბავშვები, პირტიტველა, გმირებად იქცეს
ურყევ სვეტებად!

        აფხაზეთისა მიწავ,
        მოვალ და კვლავ დაგიცავ,
        იქ წვანან ჩემი ძმები,
        იმათ მარჯვენას ვფიცავ!

მე აქ დავრბოდი აღმა-დაღმა ამ ფერდობებზე,
ამ გაშლილ ტოტებს ჩაესმოდათ ჩემი ყიჟინა,
ვერაგო მტერო, სამშობლოსთვის შენთან ბრძოლაში
თავს გამოვიჩენ, როგორც ცხრა ძმამ გამოიჩინა.

        არა, არ მოგცემ ამ ქვეყანას, ამ ბაღ-სამოთხეს,
        ამ ტყეს, ამ კლდეებს, ამ ჩანჩქერებს, ამ სიხალისეს!

ლიოხა, სერიოგა, ვიტია, კოსტია, გვესვრიან ნაღმებს,
ვირზე შემჯდარან, არ გვიშვებენ გუმისთის გაღმა,
ვინც გამოგიშვათ მათი შტო და ფესვები გახმეს,
გაივლის დრო და მზიმთას იქით გნახავთ პირაღმა!

დედამიწა

ვუძღვნი სოფო ბანცაძეს

გარიჟრაჟზე მზე ივარცხნის დალალებს
და ჩასვლისას მღერის ჰარი-ჰარალეს,
პირამიდებს ახლოს ყოფნას ავალებს,
ქარბორბალამ რომ არ დაგვაზარალოს.

იქ ღრუბლები თავს იწონებს მრავალი
გვასველებენ, არ აქვთ გამოსავალი,
ცისარტყელა მარჯვნივ-მარცხნივ მავალი,
იისფერი თეთრად გარდამავალი.

შევციცინებთ სანამ თავს აგვარიდებს,
სანამ წრეში გვარბენინებს მარათონს,
მზე ჩასვლისას თვალებს ჩაგვიპაჭუნებს
მთის მწვერვალზე მთვარემ მოიკალათოს.

შემოდგომა ფერად მსწრაფლწარმავალი
საცალფეხო ბილიკებზე ნავალი,
სანამ მოყვითალო ქოჩორს ჩავავლებთ,
გვმასპინძლობს და არასოდეს გვღალატობს.

გახსოვთ წამოხურვა თეთრი ლაბადის?!
გავუფრთხილდეთ მარტმა რომ არ გაგვხადოს,
მზე გვათბობს და ჩვენთანაა მარადის
და თუ ჩავა სიყვარული გაგვათბობს.

ყური ვუგდოთ ნაკადულის ნაკადებს
ხომ სამყაროს დაბადებას ღაღადებს,
მარჯვნივ-მარცხნივ გვიყრის გუდა-ნაბადებს,
რომ ხვალისთვის არაფერი გადადოს.

როგორც ხომალდს გვეხმარება წინქარი,
სადაცა ვართ უეჭველად იქ არის,
გვაფრთხილებს და თან უმატებს სიჩქარეს,
რომ ჩანჩქერმა არაფერი მიჰქაროს.

დედამიწა დგას მზის მოპირდაპირედ
და ვულკანის ამოფრქვევას აპირებს,
ცხრა მთას იქით ჭექს და ქუხს და გაჰყვირის
ცდილობს მარსის გული მოინადიროს.

ქარიშხალი –ზეცის ციალ-ციალით,
მარჯვნივ-მარცხნივ ყველას გაატიალებს,
მე მზის თითქმის მესმის ორომტრიალი,
ვერ გავიგე მთვარე რატომ ტრიალებს.

დედამიწა უკრავს ბუკს და ნაღარას,
თან ტრიალებს,რომ ზამთარი გვახაროს
და ვერ ვხვდებით-რისთვის? ვის გასახარად,
ღამით თოვლში ტოვებს ინიციალებს.

განა გვიკვირს მთვარეს რომ არ იკარებს,
დაწყნარდება?-ჯავრი რომ არ იყაროს,
რა გაათბობს თუ არ გამოიდარებს?
მზე ათბობდა-ისევ მზემ ჩაიბაროს.

დედამიწა მოიშუშებს იარებს,
მთვარის ხვედრი რომ არ გაიზიაროს,
გვანიავებს,ზოგჯერ გვაქარიანებს,
ტანკებივით რომ არ გადაგვიაროს.

ისევ ისე მზე ივარცხნის დალალებს
და არ ცდილობს სიხარული დამალოს,
დედამიწა ეძებს გამოსავალებს
ტრიალის დროს რომ ქეჩოში ჩაავლოს.

რამოდენიმე რჩევა მათ ვინც ლექსის დაწერას აპირებს:

1– ნუ ღლით მკითხველებს,
2– ნუ იმეორებთ სიტყვებს
3– თვითონ ჩაატარეთ ცენზურა
4– ლექსს უხდება უტოპია...
5– მოერიდეთ ისეთ თემას რაც, მკითხველს ათასჯერ აქვს მოსმენილი.
6– სტრიქონები ააწყვეთ ან კენტი, ან ლუწ რითმაზე
7– ლექსი დაასრულეთ დამაგვირგვინებელი სტრიქონით
8– ლექსი არ უნდა დაწერო, უნდა დახატო.

ია მოსულიშვილი

მე დავბრუნდები!

მე დავბრუნდები... არა ზეცის ლურჯი ღრუბლებიდან,
არამედ სადღაც ბნელეთიდან,ფიქრებ ნატანჯი,
მუხლებზე მდგარი თუ მიხილე,ტაძრის კარებთან,
მხრებზე მომასხი აბრეშუმი,თეთრად ნაქარგი.
მე დავბრუნდები... შემოდგომის ფერთა გამაში,
ვერაფრით ახსნის ქარი ჩემში,გულის იალქნებს,
ვერ მომხიბლავდა სიმსუბუქით,გრძნობის თამაში,
გული ჭრილობებს სიმარტოვის შფოთვით იამებს.
მე დავბრუნდები...მიწას ვიგრძნობ ტერფის სიმყარით,
სხვადასხვა ფერად გაიშლება თვალწინ სამყარო,
მუხლებზე მდგარი ვეევედრები ახლა ღვთისმშობელს,
მისმა განგებამ რომ მიშვილოს მიწის სანაცვლოდ.

* * *

ქუხს...
და ღრუბლები ტირიან,
მიწას მეფლობა წაღები,
ოჰ...უსაშველოდ ჩივიან,
ცრემლმონადენი ჭალები.
სადახარ,საით მიჰყვები?
იქნებ მანდ ვარდნი ყვავიან...
გარიჟრაჟისას ნისლები,
ფერდობს ნამ-ნამით ჩადიან?
ალბათ შენ ეს ხმა არ გესმის,
უჩემოდ ცხოვრება გწადია!
დარდიდ ნასერი წუთები,
როგორი ზლაზვნით გადიან.
ქუხს...და ღრუბლები ტირიან,
მიწას მეფლობა წაღები,
სადაც ვიყავ და არ ვჩანდი,
იმ ბნელეთიდან გავედი.

* * *

ჩუუ! გვისმენს სამყარო...
არასდროს ვთამაშობ იცოდე!
სამ გზას, სამ კედელს ვაშენებ,
სევდით გადაღლილ თვალებში
ჩემეულ სიმშვიდეს ვამეფებ.
ჩუუ! უსმინე სამყაროს...
დრო აქ წამით არ გვაჩერებს,
მაგრამ სიყვარულს უფალი
ყოველ ნაბიჯზე გვახსენებს.
ჩუუ! უსმინე სამყაროს...
თავის კანონებს აწესებს,
ამ კანონების რღვევისთვის,
წინ განსაცდელებს გვახვედებს.
ეს ვარ რაცა ვარ, იცოდე!
მზის სხივს ღიმილად გახვედრებ,
სევდით გადაღლილ თვალებში,
ჩემეულ სიმშვიდეს ვამეფებ.

* * *

დავემალები ასე მგონია, თებერვლის ქარებს და მარტის წვიმას,
მოგონებები სულს ისე მაწევს, ვით უსიცოცხლო ფოთოლი მიწას,
ვდუმვარ... მე ვიცი ჩემი სიჩუმე, ჰგავს სავედრებელს, ლოცვას და წირვას
და ვცდილობ, როგორც ლურჯი ზმანება გადავაბრალო უნაზეს სიზმარს.
დავემალები ასე მგონია, გრძნობის კელაპტარს, ოცნების ფთილას.
არც მსაჯულია, არც მოსამართლე და ვერც მე ვბედავ ახლა განკითხვას.
მაშინ სადაა გრძნობის საზომი? ვინ გააშუქებს ფიქრების დილას?!
სულაც ტყუილად არაფრის გამო, ვდუმვარ და პირში ვიგუბებ სიტყვას.

* * *

თვალები თითქმის ამინდს ერწყმიან,
ღელავს ჩემს ზურგთან ბოსფორზე წყალი.
მე დაგტოვე თუ შენ მიმიტოვე,
ორთავ თანაბრად მიგვიძღვის ბრალი.
თითქოს ვარსკვლავნი ჩამოწყდნენ ციდან,
სულს მისერავდნენ თითქოს დანებით
და როგორც რკინა გრდემლისგან,დარდიც
იჭედებოდა ფიქრში წვალებით.
დროს ჩრდილოეთით მივყავარ ახლა,
თვალებს მივსებენ ქვიშით ქარები
და როგორც გვალვით დახეთქილ მიწას,
გულს მაჩნდებიან მსგავსად ბზარები.
ეს ამინდებიც გადაივლიან,
ციდან დაშვებულ კიბეს ავყვები,
მე დაგიტოვებ შენ მარგალიტებს,
შენ კი დაგრჩება ჩემთან ვალები.
ოჰ...ზურგთან ღელავს ბოსფორზე წყალი,
წვიმას ებრძვიან ცივი ქარები,
არ ვიმჩნევ მაგრამ,თავს იკლავს მგონი,
ეს სიყვარული ცალმხრივ ნაშენი.

❤ ❤ ❤

ბზობაზს გილოცავ დე გულნაზ ❤

მზისფერ ალერსით მათბობ,
მკინძავ სიტყვების რითმად,
რა გული იტევს ამდენს ?
რომ შემისახლე შვილად!
არ გადავტყდები წელში,
სულს დაგებნევი მძივად,
გაგიყვავილებ იმედს,
რადგან მიმიღე შვილად!

* * *

ის ხმაურობდა ყველაზე მეტად,
გავდა ქარიშხლით დალეწილ ტოტებს,
მაინც არ ვიცი რა აძლევს რწმენას,
რა დაუკვებს ამდაგვარ შფოთვებს.
მაგრამ ო, არა... ის იდგა მყარად,
ელოდებოდა უკეთეს მომენტს,
რომ მსმენელისთვის სიტყვებს კი არა
სათქმელი ეთქვა მოცარტის ნოტებს.
ის იდგა მშვიდად და უჩვეულოდ,
ის იდგა ქარში,ითვლიდა ფოთლებს
და ამ ფოთლებსვე ატანდა ჩუმად,
ცხოვრებისეულ ჩადენილ ცოდვებს.

* * *

სულში დამიტოვე სევდის ნაწილები,
ხელი გაგიშვი და სუნთქვა შეგატოვე,
უშენობა ახლა შავი ყორანია,
რადგან ჩამისახლდა უკვე სიმარტოვე.
ხან ღრუბლებში ვმალე ჩემი საფიქრალი,
ხან ქარს გავატანე გზა-გზა დასალეწად.
მაგრამ ვერაფერი გულს ვერ მოვუხერხე,
ახლაც წუთებს ითვლის შენთან შესახვედრად.
არც ისე რთულია და არც ისე მარტივია,
ასე შორით ყოფნის მჭიდრო სიახლოვე,
როგორც ზღვის ტალღები,ქვიშის სანაპიროს
ნატვრის ქარიშხლები სივრცეს მიაპობენ

დამხატავ?

დამხატავ? დახატავ თვალებს?
გარე სამყაროს ემოციებს სულისკენ მგზავრებს
ნუთუ შეძლებ,რომ მაცოცხლო,
როცა სხეული აღასრულებს,აქ ყოფნის წამებს.
დახატავ სევდას? ჩემეულს...
კავკასიონის ქედის მსგავსად ნისლად რომ მაწევს,
სარკმელთან მდგარ მთვარეს გუდით
ჩაფიქრებულს და გრძნობებით სავსეს.
ნუთუ დახატავ,თუ შეძლებ...
ერთობ მზის სხივებს მათივე ჩრდილებს მიწაზე ნაფენს.
ნუთუ შეკრავ ფერთა გამას,
ცის სილაჟვარდეს შეადარებ ანთებულ თვალებს.

ნანა ცინცაძე

რაც იყო

ცხოვრების გზა გასავლელი,
ტკივილით და აღმაფრენით,
ხან გვატირებს, ხან სიყვარულს გვპირდება,
გამოაღეთ დარაბები,
ახლა მარტოც გავლაღდები,
ვერ ვიჯერებ... უფრო ადრე ბინდდება.
იყო ჩვენით მთვრალი ღამე,
არ ვითვლიდით როცა წამებს,
არაფერი თუმც არ არის გვიანი,
კვლავ დამნათის ციდან მთვარე,
ამბობს _ ისევ შევიყვარებ
და ბნელ ღამეს დაერქმევა მზიანი.
ყველა სიტყვას ჩუმად ვამბობ,
საიდუმლოს ქარებს ვანდობ,
ამ ფიქრებით სხვანაირად თენდება,
დრო გაქცეულ დღეებს ათბობს,
რაც არ მინდა, მაინც არ ვთმობ,
ვისაც ვნატრობ, აქვეა და შემხვდება.
ახლა უფრო ხშირად ვფიქრობ,
შუქს, ანთებულს, არ ჩავიქრობ,
არაფერი ქვეყნად არ მავიწყდება,
არ მადარდებს ის, რაც იყო,
მზესთან ერთად ჩრდილებს ვიყოფ,
რადგან ჩემთვის სხვა ცხოვრება იწყება.

ვერ გავიგე

გავიგე სიცოცხლე როგორ მიქრის,
წლები არქტიკის ყინულსაც ადნობს,
ის მინდა, რასაც ვნატრობდი ფიქრში,
ღმერთია, ვისაც ცხოვრებას ვანდობ.
მსურს შევეგუო იმას, რაც ხდება,
იქნება მართლა შევძელი რამე
და თუ ტკივილი განმიახლდება,
რჩევისთვის უნდა მივადგე ლამებს.
ღმერთო...
მომეცი ძალა _ წყალზე გავიარო,
არასდროს დავკარგო სინანული,
მინდა რომ მტერი შენით შევიყვარო,
რადგან შევისმინე რჩევა ბრძნული...
შორიდან გამოჩნდა ნათელი შუქი,
ისიც უცნაურად ილევა, არადა,
სიცოცხლევ, სულ ერთად ვიქნებით თუკი,
არჩევანს ვამჯობინებ არადანს.

დაღლილი სიცოცხლე

ვიხსენებ ყველაფერს... არ ვიცი,
სად მიდის დაღლილი სიცოცხლე,
წლების სვლით ყველაფერს განვიცდი,
სულ დროსთან ვკამათობ, იცოდე.
არასდროს ბრუნდება წარსული,
ვერ ვყვირი, ვჭირდებით ერთმანეთს,
ან საით წავიდე ამ გულით,
თუკი დღეს ვერაფერს შეგასმენთ.
თენდება, ეს ღამეც გავიდა,
დრო წლებად, წამებად დაიყო,
ახლა დაბადებაც არ მინდა,
ქარს მიაქვს ის სევდა, რაც იყო.
ვიცი, რომ უკან არ ბრუნდება,
აღმასვლის დათვლილი წუთები,
წამიერ ღიმილს კი უხდება,
ფიქრში გადაყრილი ხუნდები.
ახვრები სიცილით მიდიან,
ვიცით და ვერ შევცვლით ვერაფერს,
სიცოცხლის გზა უცხო ხიდია,
ნეტავ ფონს თუ ვნახავთ შესაფერს...
ვიხსენებ ყველაფერს... არ ვიცი,
სად მიდის დაღლილი სიცოცხლე,
წლების სვლით ყველაფერს განვიცდი
და მაინც დროსთან ვარ, იცოდე...

შევხვდებით

ცხოვრებისგან არ დავღლილვარ არასდროს,
ძველი წლების გახსენებაც მათრობდა,
დღეს მომინდა ყველაფერი გაგანდო,
სიყვარული ხან მკლავდა, ხან მათბობდა.
დავდივარ და ეს ქუჩები დამყვება,
არასოდეს მომბეზრდება სიცოცხლე,
დღეს არავინ არაფერზე არ ყვება,
მეგობრებო, ჩემში რჩებით, იცოდეთ.
აშუღი ვარ, ეთიმ გურჯსაც შევხვდები,
ცივ ზამთარშიც გაზაფხულის მონა ვარ,
ვისაც მინდა უკონტაქტოდ ვეხები,
სად მონახავთ სხვას, ჩემნაირ ონავარს?
თქვენით მინდა, რომ დარდები გავრიყო,
დღეს ბავშვობა ისევ გზაზე შემხვდება,
თუ არა ვარ როგორც მინდა, არც ვიყო...
ვაი იმას, ვინც ამასაც ვერ ხვდება.

სიყვარულს ეყოფა...

სიყვარულს სჭირდება ღიმილად დამღვაროს,
რად უნდა სიტყვები?
სიყვარულს ეყოფა ის უცხო სამყარო,
რომელზეც გიყვები.
სიყვარულს ეყოფა, რასაც ჩვენ შესახებ
ჰყვებიან ვერხვები,
სიყვარულს ეყოფა, რაც მითხრეს თითებმა
უბრალო შეხებით.
სიყვარულს ეყოფა, რაც მისთვის გიჟებმა
დაწერეს ლექსები,
სიყვარულს ეყოფა დაწყება თავიდან,
იმ ძველის შევსებით.
სიყვარულს ეყოფა ერთხელ თქმა – მიყვარხარ...
და ხელზე კოცნები,
სიყვარულს ეყოფა, რასაც ჩვენ ვინახავთ
გამქრალი ოცნებით.

პერსპექტივა

ღმერთო, დღეს სხეული ისე მტკივა,
როგორც ახეული ლაყუჩები,
გაქრა იმედი და პერსპექტივა
და მეც აღარასდროს გავყუჩდები.
თუმცა უცნაური საღამოა,
სულში სტანდარტული მყავს ურჩები.
სიკვდილი აქ ისე საამოა,
აღარც კი მჭირდება მაყუჩები.
ვინც არ მინდოდა და წერილს მწერდა,
ისევ უსურვილოდ დავურჩები,
როგორ შევარჩინო ბედისწერას
ჩემი ახეული ლაყუჩები.

თინათინ უზარაშვილი-თორდუა

ვერ

ვერ დავასრულე ბედთან ჭიდილი,
ვეღარ დავუდე ტკივილს სამანი,
წაიღო ქარმა ხიბლი გვირილის,
რაფაზე ჭკნება იასამანი.

ძველი პალტოდან ამწყდარ ღილივით
დავკარგე სადღაც, ლაღი, ფრთამალი
ნატვრა და სხივი თბილი ღიმილის,
სულის იარის ყველა წამალი.

ვერ დავასრულე გულთან ჭიდილი,
ვეღარ დავუდე სევდას სამანი,
იქ – ნაზი სუნთქვა თეთრი გვირილის,
აქ – გაცრეცილი იასამანი...

ღმერთი მიყვარდა

ჰო, მე მიყვარდა ის მიამიტი
ჩაღიმილებაც და ჩუმი სევდაც,
დიდრონ თვალების კამკამი მშვიდი,
როცა ტკივილში ტკივილი თვლემდა.

ჰო, მე მიყვარდა გაზაფხულივით
სურნელოვანი ჩემი ოცნება,
უსასრულო და არნახული ვით
ქარის ჩურჩული ვერხვის ფოთლებთან.

მიყვარდა მზისკენ გაწვდილ ხელებში
ჭრელი ფიქრების ლაღად დაჭერა,
მიყვარდა წვიმის ფეხშიშველ ჯარში
გამოდევნება ფიქრით — გაჩე, რა!

მე ყველაფერი მიყვარდა თითქოს —
სუნთქვაც, ღიმილიც, სითბოც, სიცივეც...
მერე... ოცნება ლამაზი იყო
და მეც, ლამაზად, დიდხანს ვიცინე...

ჰო, ყველაფერი ლამაზი იყო,
შეუბღალავი და მშვენიერი.
როგორც მაისის ვარდების სითბო,
როგორც დაღლილი შენი იერი...

მე ყველაფერი მიყვარდა ქვეყნად,
სველი ბალიშის და ცრემლის გარდა,
ქარი — უწყინარ ნიავზე მეტად,
წვიმაც მიყვარდა და მზეც მიყვარდა...

და ამ ყველაფერს შენი სახელი,
ჩემი ლამაზი ფიქრი, დავარქვი,
შენ მოგიძღვენი სხივი ნათელი,
შუადღის მზეს რომ ჩუმად წავართვი.

ყველა ღიმილი შენთვის მომქონდა
და ჩემთვის ტკივილს-ღა ვინახავდი,
შენ შენთვის იჯექ მიმქრალ კოცონთან,
და... აბა, რაღას დაინახავდი...

შენ შენი თავი გიყვარდა მხოლოდ,
ასე უგულო, ცივი, ამაყი.
ალბათ, მიტომაც, ბოლოს და ბოლოს,
ის უჩვეულო სევდაც წამართვი...

მე შენ მიყვარდი თითქოს აქამდე,
იმ უცნაური მზერით, იერით,
არ დაიჯერო! მე მხოლოდ ფიქრი
მიყვარდა ჩემი და ჩემმიერი...

ფუჭად ვხატავდი სველ თვალებით ცას,
უბედაწინწკლულს მრავალწერტილით,
მე შენ არასდროს არ მყვარებიხარ,
ღმერთი მიყვარდა, ჩემგან შექმნილი...

მომენატრები

მომენატრები, ვიცი, ერთხელაც,
დაღალულს ქარის ცისფერ აფრებით,
სველი თვალებით, დაღლილ ღიმილით,
ცივი ხელებით, მომენატრები.

მომენატრები, — შეცივნულ მხრებში
ძალას მოიკრებს ფრთასველი სევდა,
და... სინანული იტირებს სულში,
რომ ამ წვიმაში არ მოველ შენთან.

მომენატრება ეს ჩუმი კრძალვა
და დიდრონ თვალთა თბილი ციმციმი,
ამ უჩინარი დარდის გამხელაც,
თვალისმომჭრელი თეთრი სიცივეც...

მომენატრები... მოხვალ და... ვიცი,
სულში წამოშლი მძინარე ფიქრებს,
მაინც მოვდივარ, ვინ იცის, ქარში
შენც მომინატრო ერთხელაც იქნებ...

მენატრება

მენატრები.
უსაშველოდ მენატრები,
ქარი არხევს
გადაპენტილ ალუჩას.
სასოებით
ანთებული კელაპტრები,
უხმოდ ქრება,
ლოდინს ბოლო არ უჩანს.
მენატრები.
ფიქრს, დასერილს ტკივილებით,
ენანები
ქარში დასაკარგავად.
გზა მიჩვენე,
სად ვიპოვო გვირილები,
დანისლული
სულის მოსაქარგავად.

ჰაერივით
მჭირდები და... მენატრები,
უხმო ლოცვად,
ტკივილად ვარ ქცეული,
მენანები,
დასაკარგად მენანები...
რა ამაოდ
გიხმობს სული ეული.
მენატრები,
უსაშველოდ მენატრები,
ირგვლივ მხოლოდ
ამღვრეული ნისლია.
ჩაღვენთილან
სულის ციცქნა კელაპტრები...
ეჰა! მზე და
სიხარული სხვისია...
მ ე ნ ა ტ რ ე ბ ი !

პასუხი დედა დინარას

შენთან შეხვედრის შემდეგ
საკუთარ თავთან ვდაობ,
იმ ერთადერთ გზას ვეძებ,
შენ რომ მახსენებ, დაო!
მიჭირს, გულწრფელად გეტყვი,
პოვნა საშენო სიტყვის...
სული სინათლეს ელტვის
და... სინანულით იწვის, –
რომ ასე დიდხანს იყო
ამაოებით მთვრალი,
რომ სდია ფიქრებს ლიტონს,
და ცრემლით ნამა თვალი,
რომ აერია ბნელში
ცოდვის და მადლის კვალი,

რომ მშიერს – პური, მწყურვალს
ვერ მიუტანა წყალი...
შენი ბარათის სითბომ
ყინვის გაალღო ზღუდე,
და მზით აავსო თითქოს
გული – ტკივილის ბუდე.
გმადლობ, რომ ჩემი გესმის,
გმადლობ, რომ ჩვენზე დარდობ,
რომ სანთელს გვინთებ ბნელში
და აღარ გვტოვებს მარტო...
ცოტაც... დავჯაბნი, ვიცი
ტკივილებს სათითაოდ...
მოვალ შენს ფრთათა ჩრდილში,
უსათნოესო, დაო!

თათო, ბაჩაჩო და ხატი

ჩემი გალანდული სიხარული,
მზე, ღიმილი და ელდა,
ჩემი უსასრულო სიყვარული
თქვენშია, თქვენით და თქვენთან.

ჩემი უძილობა და სიმშვიდე,
ძაფი – ასაკემსი სულის,
ღმერთმა თქვენი თავი მომივლინა,
წამლად და სალბუნად წყლულის.

მინდა, ლამაზები მყავდეთ,
მინდა, ბედნიერნი გნახოთ,
მინდა სულ გახსოვდეთ, ვინც ხართ,
და ვის საძვალეზე სახლობთ.

ჩემი დამსხვრეული ფრთებით
მინდა, მოგიჩრდილოთ ხვატი,
თქვენ ხართ ყველაფერი ჩემთვის —
თათო, ბაჩაჩო და ხატი!

ამირანი

გარეთ თოვდა
და შეშლილი ცივი ქარი
დაგმანულ კარს
დასიცხულ შუბლს ახლიდა,
დამსხვრეულ ფრთებს
იკეცავდა მერე მძლავრი
სტვენა-ქშენით
და ქოქოლას გვაყრიდა.
გარეთ თოვდა,
ბუხართან კი, თეთრი ქალი
ამირანის
გმირულ ამბებს ჰყვებოდა,
თან ხელების
საოცარი სინარნარით
ქსოვდა წინდებს
და გული უთბებოდა.
გარეთ ქროდა
უსაშველოდ ცივი ქარი,
ცა ქათქათა
ფიფქებს ცრიდა მაღლიდან,
ოთახში კი,
ხვალინდელი ამირანი,
დედის ღიმილს
შეჰხაროდა აკვნიდან...

სინანული

რარიგ სწრაფად გაიკრიფნენ წლები,
როგორ ჩუმად მომეპარა ღამე,
როგორ მტკივა დაწყვეტილი გზები...
სინანული წვეთ-წვეთ წყდება თვალებს.

მხოლოდ ცა და სუსხიანი ბინდი
და სიცივით შეჭმუხნული მთვარე.
მოგონება სველ ბურანში მიდის,
ცივი ქარი ეხეთქება კარებს.

მხოლოდ ცივი ჟრუანტელი ტანში,
მხოლოდ სველი, ნესტიანი ღამე.
კიდევ ერთი ვერცხლის სიმი თმაში
და იმედი – ეს დღეებიც წავლენ...

როგორ ჩუმად გაიკრიფნენ წლები
და ფინიშთან მარტოსული ვდგავარ.
ფერად სიზმრებს შეტრუსვიათ ფრთები...
ღმერთო! ჩემს თავს თითქოს აღარც ვგავარ...

არ იცის ღამემ...

წვიმს უსაშველოდ
და ცივ ღამეს სველი აქვს კაბა,
ფიქრი წყვდიადში
საოცნებო ნაკვალევს კარგავს...
მოდის სიბნელე
და ღრუბლებით ცის კიდეს ქარგავს.

შავი ლანდებით
სავსე ღამე თავის თავს არ ჰგავს.

შორს, ღრუბლებს შორის,
მარტოსული ქანაობს მთვარე,
დაფეთებული,
სველი ქარი ეხლება კარებს.
წვიმს და... წყვდიადში
ტკივილები ახელენ თვალებს.

მაკლიხარ როგორ,
გნატრობ როგორ,
არ იცის ღამემ...

***

რამდენი წელი გავიდა
მოგონებების თვლაში,
რამდენი ღამე გაფითრდა
ფიქრთა მეწამულ ზღვაში.
რამდენი ცრემლი დაგუბდა
სევდის უძირო ჯამში.
რამდენჯერ ვცადე თავიდან
და... სულ ამაოდ დავშვრი...
რა უსაშველოდ აცივდა,
თეთრმა იძალა თმაში,
ვარდებს ფურცლები დასცვივდა,
იებიც გახმა ქარში.
თითქოს ცხოვრება გავიდა,
ჩემში კვლავ ცოცხლობს ბავშვი,
რომელიც ცდილობს თავიდან,
როგორც ოდესღაც, მაშინ...

***

აქერონმა წალეკა,
ჩემი ლურჯი ზაფხული,
ჩაიხვია ტალღებში
მზე – თაკარა, ბრდღვიალა,
საოცნებო სამყარო,
ფიქრში შემონახული,
გაიტაცა უფსკრულში,
სული გამიტიალა...
რუხმა ბინდმა მოიცვა
სულის თეთრი საყდარი,
ოცნებისგან დაცლილი
დავრჩი სევდის ამარა.
ის აღთქმული ქვეყანა,
ის სამოთხე სად არის?!
ვინ დაძენძა ღრუბლებით
მეწამული კამარა?!
მხოლოდ შავი მდინარის
უნაპირო ნაპირი,
ტყვიისფერი ზეცა და
იისფერი იარა.
გაცრეცილი დილა და
ბინდისფერი აპრილი
ტკივილების ნაჟურით
ავსებული ფიალა...
მხოლოდ ღამე უძილო,
სევდა ფაფარაშლილი...
დამიბრუნე ღიმილი
და სურნელი იათა!
დედას გამოტირებულ
ფეხშიშველა ბავშვივით,
მისდევს სული დორბლიან
ჯოჯოხეთის ნიაღვარს...

გაიღვიძე, გათენდა!

გაიღვიძე, გათენდა,
გაზაფხული იწყება,
გესმის? გარეთ ჩიტები,
ხმებს უწყობენ ერთმანეთს.

გაიღიმე და სცადე
სევდის გადავიწყება,
ნახე, ყოჩივარდები
მოლზე როგორ ფეთქავენ.

გაიღიმე, შეიგრძენ
გაზაფხულის სურნელი,
ძველებურად ოცნებებს
აუშალე აფრები.

ნაზამთრალი ფიქრების
დარდი განუკურნელი,
გაატანე ნიავს და
დაიჯერე ზღაპრების.

დაიჯერე... მერე რა,
რომ ოცისა არა ხარ,
შენში ჯერაც ხომ ფეთქავს
ხსოვნა თეთრი აპრილის.

შენს სულს კვლავაც ახარებს
დამსკდარ კვირტის დანახვა,
შენ ხომ ახალ სიცოცხლის
სათავე ხარ ნამდვილი...

გაიღიმე, ძვირფასო,
ღიმი ყველას უხდება,
გაღვიძებულ ბუნების
ყური უგდე ფორიაქს,

მარტის ქარი ახალ ჭორს
ყოჩივარდებს უყვება,
გაზაფხულზე სიცოცხლეს
სულ სხვა ხმა და ფერი აქვს...

ცრემლიანი სიმართლე

შლეგი დარდი ბორიალობს,
ცეცხლი ლოკავს იარებს,
მიწკარუნებს ქარავანი
და ბორბალიც ტრიალებს...

მარცვალ-მარცვალ ითვლის ჟამი
დღეებს, თითო წამივით,
სული კედლებს ეხეთქება,
ბნედიანი ქარივით.

სული კედლებს ელეწება,
შავბნელ ფიქრთან ნაბრძოლი,
ტკივა ფარსი, ორგულობა
და „იუდას ამბორი“.

კურთხეული მიწა-წყალის
ნაკუწ-ნაკუწ გაცემა,
მისხალ-მისხალ გაყიდვა და
ასე უღვთო დაცემა.

ბოროტების აღზევება,
ყალბი ლიქნა, ღალატი,
სულიწმინდის საპირწონე
ოცდაათი ტალანტი.

როდის? როგორ? რატომ? რისთვის?
სად, სად შევცდით, უფალო?
რად დაგვაყარე ცბიერ მტერთან
უაბჯროდ და უფაროდ?!

სული მიდუღს, რომ ვერ გშველი
მუხავ, რტოებდახრილო,
შენი ტოტისტარა ცულით
გულის გულში დაჭრილო.

ყველა შენი ნატყვიარის,
გულში ფეთქავს იარა,
ვაჰმე, ჟანგი მორევია
შენს აბჯარს და იარაღს.

„გათიშვა და ბატონობა“
მავანთ კარგად გამოსდით,
მაგრამ ჩვენ რა გვემართება?
რა გვჭირს? რატომ? რა მოგვდის?

რა ქარიშხლებს გავუძელით,
რა სისხლიან კალოებს,
სულგაყიდულ ძმის მოწყობილ
ძმათა სასაკლაოებს.

შეცდომებზე ვერ ვისწავლეთ,
უპატრონოდ მიგაგდეთ...
ვაი, რომ ვერ გიერთგულეთ,
ვაი, რომ ვერ ვივარგეთ!

გული ტირის, უკუღმართი
დრო და ჟამის შემყურე,
დაიცალა ქვეყანა და
ჰურს სხვებს უცხობს მეპურე.

ანთებული გულებისგან
მხოლოდ ფერფლი ანათებს,
მუცელღმერთა მანქურთები
აგორებენ კამათლებს.

სულში სისხლის ცრემლი წვეთავს
და წვავს ღია იარებს...
ნუთუ, სისხლის ოკეანე
ფუჭად გამოვიარეთ?!

შლეგი დარდი ბორიალობს,
ცეცხლი ლოკავს იარებს.
მიწკარუნობს ქარავანი
და... ბორბალი ტრიალებს.

მეგონა

მეგონა, შემეძლო
მეპოვა სიმშვიდე,
და... თურმე ამაოდ,
კვლავ ბეწვის ხიდზე ვარ,
ირყევა სამყარო
და ფეხქვეშ ქანაობს.
მეგონა, შემეძლო
მეპოვა ნუგეში,
უფალმა არაო...
უცოდველ ბავშვივით
სათუთი გრძნობებით
მეგენდე, ამაოდ?!

ირევა ერთურთში
ხიდი, ცა, სამყარო
და... ფეხქვეშ ქანაობს...



ტიტე მოსია

პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, 70-ზე მეტი სამეცნიერო წიგნის ავტორი, ნახეთ რას სწერს, 40 წლის წინ გარდაცვლილ ბეჟან ხარაიშვილის პოეზიაზე.

*

ვინც გარდაცვლილს პატივს სცემს, მას უფალი სიცოცხლეშივე უკვდავს გახდის

(ცისკარელი)

*

ბეჟან ხარაიშვილის ხატება

ჭალვანიდან მოვარდნილო ქარო,
ხვანის მთაზე დაფენილი ნისლო,
ძირულის პირს მოპრიალო დარო,
პოეზიის გულ-ღვირძლო და სისხლო.

ხვანის მთიდან გადმოსული მთვარე,
სიმინდებში ჩანამგნულა ხვნეშით,
შენი ლექსის ყვავილები რთავენ,
ჩვენი სულის კარ-მიდამოს ეშხით.

წყობილსიტყვის რა მოსავალს ვიმკით,
მის ღირსებას რა თაყვანი ვეცით,
შეუჩერე მაჯისცემა სიკვდილს,
სიტყვის ძალით,– ბინადარო ზეცის.

საწუთრმან უფრო გირტყა, გჟეჟა,
გიღერებდა ცხვირწინ დანას ლესილს,
საიქიოს კი არ დარჩი, ბეჟან!
დაგვიბრუნდი სახელით და ლექსით.

ახლა ხშირად ენატრები თბილისს,
ხევსურეთსა, ფშავეთსა და თუშეთს,
მზე აცხუნებს შენი მუზის ივლისს,
სხივებს გვაფენს გაუხუნარს, უშრეტს.

ხდის ხეობამ გაგატანა ჩანთით,
უკაცრიელ ადგილების სევდა,
სვანეთში კი რა ამაყი ჩანდი,
ჩვენს ერეკლე საღლიანთან ერთად.

ესიზმრები კვლავ ბეწინას წისქვილს,
კოდის წყალთან ხურჯინს წყალთან ავსებ,
სამშობლოა მწვანე ხეთა იქით...
პოეზია იწყებოდა ასე.

ვაჟას მთაში გინატრია მარხვა,
განედულება ხმელი წიფლის ფესვის,
ხვანის მთიდან ციურ გზებით დახვალ,
სამარესაც ამზიანებ ლექსით.

ძირულაში ჩაძირულა მთვარე,
აგორავებს, აბურთავებს ტალღა,
შაირსიტყვის გაზაფხულის დარებს,
შენი სული ცისკენ მიჰყავთ მაღლა.

სულს ამოხდი სიკვდილისვე დღეჟამს,
სიტყვამ კაფა მისი ღრუბლის ჩვრები,
პოეზიის სიმაღლეზე, ბეჟან!
აფრენილი არწივივით რჩები.

საქართველოს გამოხარული გული
და ნაყნოსი შმორად-–– ვარდის სუნი...
საყდრის თავზე ყორანთ გროვა კრულის...
გულის ლეშვა, წიოკობა სულის...

საფლავშიაც არ გასვენებს ვიცი,
სიკვდილის წინ როგორდავრჩით მარტო,
საქართველოს ბრძოლის ველზე გვიცდი,
ვინ დაჯაბნის შენი ლექსის პატრონს.

გიხმობს ვაჟას, მირზას, ლადოს სული,
გრანელი თუ მუხრანი და ანა,
ჩვენი სულის დასაცავად ბეჟან!
ეს ლექსები მეომრებად დგანან!

2018 წელი 10 მარტი.

ედუარდ უგულავა

„მიუგო მას იესომ: ჭეშმარიტად გეუბნები: ამაღამ, ვიდრე მამალი მეორედ იყივლებს, სამჯერ უარმყოფ მე“ [მარკ. 14,30];

უარყოფა

გაჭრიალდა მძიმე კარი გალავნის,
ის, რაც მოხდა, ჯერ ბუნდოვნად გახსოვს.
დახრილ თვალებს არ უსწორებ არავის,
ფრთხილად ჯდები ცეცხლის შორიახლოს.
ვერ გრძნობ, პეტრეე, ფეხქვეშ მიწის სიმყარეს,
ჩუმად ზვერავ მღვდელმთავართა ეზოს.
ალბათ, მალე მოძღვარს გამოიყვანენ,
ნახვა მისი იქნებ კიდევ შეძლო.
იქვე ახლოს ხორხოცებენ კაცები,
ცეცხლს უშვერენ ტანს ნახევრად შიშველს.
– შენ იესოს მოწაფე ხარ, არ ვცდები! -
ამბობს ქალი და თითს შენკენ იშვერს.
– არა! არა! ეს არ არის მართალი! -
შიში ბზარავს შენს უმწეო ხავილს
(სადღაც ბნელში უკვე ყივის მამალი,
ეს პირველი ყივილია მამლის...)
ფეხზე დგები, არ გსურს მასთან კამათი,
ძლივს გადიხარ შიდა ეზოს გარეთ.
იცდი, ერთი უმძიმესი საათი
და ხელს ვიღაც უცებ მკლავზე გავლებს.
გსურს წახვიდე, მაგრამ ვერსად მიდიხარ,
ხროვასავით გარს გეხვევა ხალხი,
– მე შენ გიცნობ! – ჩაგსისინებს ცივი ხმა, -
თავად ვნახე, შენ იესოს ახლდი!
ხელების კვრით დაგილურჯეს სხეული,
მშიერ მზერით დაგიჭამეს სახე.
გაჰყვირიან... – კილო გალილეევური
შენს სიცრუეს ხომ ისედაც ამხელს.
ბრბო იოლად არც შენ არ შეგეშვება,
ახლა შენს ხმას მხოლოდ შიში ახშობს,
– ჩემი სახე, ალბათ, სხვაში გეშლებათ,
მე იესოს არც კი ვიცნობ, ხალხო!
არა! გულში არასოდეს დათბება,
უკვე ღმერთი უარყავი ორგზის
და გულ-ღვიძლში გიტრიალებს შანთებად
შიშის სამთითს შავი ანგელოზი.
სამოსს გაფლეთს რამდენიმე მოლაყბე,
ხელს გკრავენ და ენარცხები მიწას.
კვლავ გაჰყვირი, – არ ვარ მისი მოწაფე,
მას საერთოდ არც კი ვიცნობ, ვფიცავ!..
და ძარღვებში დგას სიცივე სამარის,
ებრძვის სული აუტანელ ტკივილს...
სადღაც ბნელში შეყუჟული მამალი
ფრთებს ისწორებს და მეორედ ყივის.
კვლავ ივსება ეზო ჯარისკაცებით,
მოჰყავთ ხელ-ფეხდაჯაჭვული ქრისტე
და მოძღვარი, დაღლილი და ნაცემი,
უცებ შედგა და თვალებში გიცქერს.
ღვთიურ მზერას თვალს უსწორებ წვალებით,
ჯერ არაფერს შეუშლიხარ ასე,
გიცქერს უფლის დიდი, ლურჯი თვალები,
სევდითა და მწუხარებით სავსე.
დაგდის ცრემლი სირცხვილისგან უმართავს,
იწყებს სული ცოცხალ გვამში როკვას...
შენ უფალი უკვე სამჯერ უარყავ,
გული შენი უკვე სამჯერ მოკვდა.
მაგრამ, ალბათ, მძიმე არის ძალიან,
გოლგოთის გზა გაიაზროს კაცმა,
სადაც ჯვარიც უფლის ასატანია,
რომ იმ ჯვარზე მერე თავად აცვან.
რომ კურნებად სულიერი კეთრისა -
კაცის ცოდვებს დაეღვაროს სისხლად,
რომ შემუსროს ბჭენი ჯოჯოხეთისა
და განიხვნას კარნი სამოთხისა.

ქეთევან დედოფალი

მზე შირაზის ისე მწარედ ანათებს
ლამის ახებს გამშრალ ქვიშას ლოყას...
ისმის "მოჰყავთ" და სისხლისფერ ჯალათებს
იბერიის დედოფალი მოჰყავთ.
რწმენა მისი სხვა სიმტკიცის ფასია...
მზერა მისი სხვა სიმშვიდის არის...
ყელაზიდულს თეთრი კაბა აცვია
(ლამაზია დედა დედოფალი).
არა, შაჰი მასთან ვერ მორიგდება,
ის ურჩობას არ პატიობს მის მტერს:
ან მაჰმადი – პატივი და დიდება,
ან წამება – ესე იგი ქრისტე!..
თუმც დედოფალს, ხალიჩაზე ამაყად
ქვეწარმავლის სინებივრით მწოლი,
ვერ უბზარავს რწმენის მაღალ ალაყაფს
ვერც ირანი, ვერც "ირანის ლომი";
და ხმა მისი, მტერიც ხვდება უგულო,
რა სიმტკიცეს და სიყვარულს იტევს:
– მხოლოდ ქრისტე! მხოლოდ ქრისტე, უგნურნო!
ჯვარცმული და წამებული ქრისტე!
და სიჩუმე, თითქოს მშრალი თითებით
უფერულ თმას მგლოვიარედ იშლის...
ცხელ ჰაერში ფარფატებენ ჩიტები,
უცნაური ფერისა და ჯიშის.
ღმერთო ჩემო თავზე როგორ უბრალოდ
ახურავენ ადუღებულ მიტრას...
იწვის ხორცი და შენ უწყი, უფალო,
ამ საშინელ ტკივილს როგორ იტანს...
ლამის იქცეს ფერფლად ფრესკის სადარი,
სექტემბრის მზეს ოფლი დასდის სიმწრის...
დედოფალი, სანახევროდ დამდნარი,
ანთებული სანთელივით იწვის.
მერამდენედ, ღმერთო, უკვე რამდენჯერ,
თავზარდამცემ ტკივილების დამთმენს,
ფლეთენ, კვეთენ, მკერდს გაზებით აგლეჯენ
და სისხლშივე აგრილებენ შანთებს.
ეკარგება სხეულს ფერი სინედლის
და სიცოცხლე ჭრილობიდან ჟონავს.
უკვე ცერზე დგება ხალხი მილეთის,
რომ უცქიროს სურათს გაუგონარს.
– მხოლოდ ქრისტე! – მოძრაობენ ტუჩები
(რწმენა მისი ვერ ითქმება ამბად)
და ნაკვერჩხლებს ამოვსებულს ლურსმნებით
აფარებენ ცეცხლმოდებულ საბნად.
ოჰ, ეს ტანჯვა ათჯერ სიკვდილს ეყოფა
და ჯალათი, წამითაც არ შემკრთალს,
ყელში სწვდა და ხელით ახრჩობს დედოფალს,
ჯერაც ცოცხალს, წამებისგან ვერ მკვდარს.
და სულს, სხეულს მტრედივით რომ შორდება,
ცის სილურჯე რომ ირჩია ბინად,
ფრთებით მიაქვს საქართველოს გოდება
და წამებულ შვილიშვილთა გმინვა...
ჯალათი კი, ღვარულ ოფლში გაბანილს
სისხლით იზელს ამობურცულ კუნთებს,
მერე ერთხანს ეჭვით დასცქერს და ბარით
მიცვალებულს შუბლს ყვირილით უმტვრევს...
ხოლო ხალხი – დაფანტულს და ფერაშლილს
ჰგავს მგლებისგან დაფეთებულ ფარას.
ბრბო ირევა და საშინელ ჯგლეთაში
თავდახრილი ქართველები დგანან...
ო, დედოფლის თვალებს ღვთიურ სინაზის
შვენის ფერი – დარჩენილებს ღიად...
სხვის მიწაზე, ცოდვით სავსე შირაზში
გულისწამსვლელ ნაფლეთებად ყრია
ქეთევანი, – ასე უღვთოდ ნამუსრი,
სურვილს რწმენით რომ უბზარავს ირანს...
საქართველოს სიმტკიცე და ნამუსი!..
დედოფალი – ორთავ სოფელს შინა!..

ეთერ ჭელიძე

მე და შენ...

შენ, სიფერადეს შეეხიზნე,
მე, სიმარტოვეს...
შენ ქარვასლა და
მე კი ქოხი ვერ მივატოვე.
შენ მზის წნულებით შეიმოსე,
მე კი ბლონდებით
როცა გიხარის, მეც შეგხარი
არ გიღონდები...
შენ დიადემა მოირგე და
ტაშისმკვრელები,
უტყვი ფურცლების
სიფერადით
აშლილ ბგერებში
შენ სისადავე დაგეკარგა,
მე კი იმედი,
ადამიანად ყოფნის მრწამსი,
შანსი მცირედი...
ეს ყველაფერი წარმავალი
წამის ფერია,
და რომ გვგონია
,,არაფერი“,
ყველაფერია...
შენ ქარვასლაში რჩები ისევ,
გულს ვერ შორდები...
მე კი სამოთხედ მეჩვენება,
ქოხი, ედემი!
შენ, დაფნა-გვირგვინს
ეთაყვანე და სიმარტოვეს
მე ღარიბული ლექსის ოდა
ვერ მივატოვე...

სანამ დრო...

მიუფიცხე სული შენი
სიყვარულის კოცონს,
თორემ მალე დაზამთრდება,
თორემ მალე მოთოვს
და, გაქრება როგორც ფიფქი
ფიფქი, პირველ თოვლის,
თქმა რომ გსურდა ვეღარ იტყვი
უპირველეს ყოვლის.
ჰოდა, სანამ აფეთქდება
რუხისფერი ლეგა,
უნდა შეძლო გადაცურო
გრძნობის ტალღა შლეგმა,
სანამ თოთო გრძნობის მტევნებს
გამოწრუპავს ქარი,
აქარიშხლე მზის კალთებზე
წამი, ერთი წამი...
მიუფიცხე გული შენი
სიყვარულის კოცონს
სანამ შენში ზაფხულია
სანამ თმებში მოთოვს!!!

ქართული ბურთი გამარჯვების კვარცხლბეკზე

ერთი მოგიზგიზე კოცონი,
გული დანთებული ცეცხლად,
ახლა სიყვარულის ვულკანი
თვით დედამიწას ხეთქავს.

წლები გაქცევია მოლოდინს
ქართველს რომ უნდა ეთქვა,
ბიჭებო, დასცხეთ ბოლომდი
გამარჯვებისთვის ერთხმად!

ფეხზე წამომდგარა საერო,
საიბერიოც ერთად...
მხოლოდ გამარჯვება საჩვენო,
ქართველს რაც უნდა ეთქვა!

რომ,,არ გავახაროთ მტერიო“--
უნდა შემოვძახოთ ერთხმად.
ჰერიო, საქართველო, ჰერიო,
მხოლოდ გამარჯვების გეთქვას!

,,მოკეთილო“ მოყვარეს...

-მე გისმენ, როგორც მოკვდავს და
თან ჩემი სჯულის,,მოყვარეს“,
თავი რა რიგად გავართვა
პირსისხლიანს და მოხარკეს?!
საკუთარ თანამეიხედ
ვერ შეგიცვნია ერიო
და სხვის მიწა-წყალს ისე ნთქავ,
ვით ბატკანს ავი მგელიო!
შენ ომობანას თამაში
აზრის აღქმიდან მასწავლე,
ღვთის კალთებს შემოჩეხილი
ყველა ნაგლეჯი მაწვალებს!
,,ერთმორწმუნეო“, იესომ
ჯვარზე ვნებულად გრაცხაო,
შენ წარმართებმა გდიეს, რომ
შენს მძევლად გამომაცხადო?
რამდენჯერ უნდა კაცი ჰკლა,
მოძმე, პატარა ერები,
ნამარტალ –ნააპრილალი
სისხლით ბოლავენ კერები!
ხახადაღებულ უფსკრულში
ყლორტები გადაჩეხილი,
ცას გადაწმენდილს, უნისლოს,
სისხლის ღრუბლები შეყრილი...
ღალატი ყველა ნაბიჯზე
რაც ოდითგანვე ვიწვნიე,
აღარ გეთმობა ნადავლი
აცდენილი ხარ მიწიერს!
მცოცავი ოკუპაცია-
სიტყვა, უძარღვო... სნეული...
ჩემი გმირების სისხლის ხმა
ძალმომრეობით ძლეული...
თავისუფლების უზანგში
დიდება, პატივაყრილი
მახვილად მოგიბრუნდება
ერი, შენგანვე დაღლილი.
ჩემთან იქნება იესო,
ბრძოლა გექნება ნამდვილი,
შენს ზრახვებს დედა განგმირავს
თეთრი გიორგი მახვილით!

ყოველი გაცხადდება

ფესვმორყეული ერთობის ალვა-
ეცემა ჩრდილად მოსაზღვრე გაზონს
და ქართველობის ჩაუმცხრალ ლავას
მავანი ურთავს დაშიფრულ წამზომს...
გაცხადდებაო ზრახვანი კაცთა,
ქადაგებს ბისონმოსხმული ბერი,
მიმართავენო მრავალჯერ ნაცად
გრძნეულობასო, წინაშე ერის
და შეიცნობა ადრეულ თუარ,
შეიცნობაო ყოველი საქმე
და ხელმოცარულ ტლუსა და მტყუანს
მოჰკითხავს ღმერთი, სამშობლოს ამრევს...
შემოემსხვრევა ნიღაბი ორგულს
და სამართალი შემოჰკრავს სახრეს
და ქართველობას, ათასჯერ მოკლულს,
საჭეთმპყრობელი უკურთხებს ხვალეს!

შენ, ქართველო!..

დედამიწა მოჰგავს დარდის ნასუფრალს,
ყოფა თითქოს მოქცეულა მუჭში.
დავიჯერო? მზეც კი ისე გახუნდა
ქართულ ცაზე დამკვიდრება უჭირს...
მაშ, ვინ მზაობს, მაშინაც და ამჯერად
ვინ გაუძლოს ამდენ წყლულს და წუხილს,
მიერთგულებს ნეტავ ვინმე? არ მჯერა
ვინ მომიკლავს გადარჩენის წყურვილს?
ვინ დაიდგამს ქართველობის გვირგვინს,
ან ვინ შეჰკრებს საქართველოს სპას.
შეაჩერებს ჩემს მიწა-წყალს შესეულ
მატლს, რომელიც დაუნდობლად მხრავს.
ვინ გაბედავს ერს მოუხსნას ბორკილი,
მოშუღლენი მოიყვანოს გონს,
შეეჭიდოს საზღაურად სიცოცხლის,
ფერდობიდან დაქანებულ ლოდს?
ვინ? ვინ შეძლებს, თუნდაც იყოს შემდეგი
დაწყლულებულს უმკურნალოს ერს,
ბოხჩა-ბოხჩა გაყიდული მიწები
ჩააბაროს, მხოლოდ ერთგულ მწყემსს.
ვინ, ვინ შეძლებს გახლეჩილი სათემო
შეარიგოს მომდურებულ ძმას,
მწუხრის ხნულში მუხლმოყრილმა საერომ
მოუსმინოს გადრჩენის ხმას.
შენ, ქართველო! შენ ატარებ ბოლომდი
ქართველობის გაუსაძლის ჯვარს.
შენ გარგუნეს მზე, ბაჯაღლოს ბეჭედი
და, შენშია საქართველოს ხსნა...

წუთი წყვეტს ყველაფერს...

ერთი წუთი წყვეტს ყველაფერს,
ერთი ძილ-მღვიძარე წუთი...
მაინც ვერ გახდები ვერაფერს
ნებდები...განაჩენს უცდი...
სანამ ხარ სიკეთის ჯეჯილი,
თესო და მარგლო უნდა,
რაცა გაქვს შენი შექმნილი,
გასცე უკვალოდ თუნდაც...
იცხოვრო, ისე იცხოვრო,
ღიმილს სდიოდეს მადლი,
ერთია მხოლოდ სიმბოლო
მიწის მტკაველა, ადლი...
სიცოცხლე შენი მოყვასს,
თავის ტოლ-სწორად სურდეს...
მტერს, უხილავს და ხილულს,
შენი სიკვდილიც შურდეს...
ერთი წუთი წყვეტს ყველაფერს.
ერთი ძილ-მღვიძარე წუთი...
მაინც ვერ გახდები ვერაფერს...
ნებდები...განაჩენს უცდი!...

ის ვარ, ვინც ვარ...

ვერ ვთამაშობ და ყოველ დღე
ვეღარ ვირგებ როლებს,
,,მსახიობებს“ ეკრანს ვუთმობ
თუმც, დრო არის ვგონებ...
ის ვარ, რაც ვარ, რასაც ვფიქრობ...
თქმა არ მიჭირს აზრის,
ცალყბად, რა ვქნა, ვერა ვრითმობ
რითმში ვეძებ ხარისხს...
ვერა ვგუობ მეგობარში
ქარ-წვიმიან ამინდს...
ვერ ვიქნები ბარი-ბარში,
ვინც,,ქლესურად“ ბარდნის...
არა მხიბლავს ტაშის ექო,
შარიშური ფარდის,
დღეს ძნელია იმას ენდო
ქარივით რომ დაქრის...
ყალბი ტაშისმკვრელის გწამდეს?
არც ეგ არის ადვილ...
მხოლოდ შენ თავს უნდა ჰგავდე,
სრულყოფილს და ნამდვილს!

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

ПАТРИАРХУ

მიძღვნილი აღსაყდრებიდან 45 წლის თავზე და 90 წლის იუბილეზე

მადლშემოსილო, ჩვენი ერის წმინდა მამაო,
რწმენის იმედად ვარჯგაშლილო, ფესვებმაგარო,
ცისა და მიწის დალოცვილო შუამავალო,
ზღუდე-გალავნად აღმართულო სულის ტაძარო.

დალოცვილ იყოს დღე კურთხევის და აღსაყდრების,
შენი სიმშვიდე ჩვენს დიდებულ ზეცას ეპკურა,
რწმენით, იმედით, სიყვარულით და თავდადებით,
შენი შვილების ცოდვებს ზიდავ ისევ ერთგულად.

შენი ხელიდან სხივმოსილი მადლი გვეფრქვევა,
ჩვენი გამოხსნა ცოდვებისგან ღმერთმა ინება,
შენი ლოცვები გადაწიგნე რწმენის მტევნებად,
უბედობისას ყველა ქართველს რჩები იმედად.

შენ მოწამე ხარ, დიად რწმენას როგორ ძარცვავენ,
სულის სიმშვიდით ყველა დარტყმას თავად ღებულობ,
უწმინდურები ობობას ქსელს როცა ხლართავენ,
რა ძალა გიცავს, ამდენ უგნურს როგორ ერთგულობ.

სრული სიმშვიდე, დაწყნარება ჯერ არ გვეღირსა,
ქვეყნის ვარამმა სული ბევრჯერ გაგიმარტვილა,
შენი სიბრძნიდან დიდი მადლი გადმოგვეფინა,
შეგონებებმა ღრმა ძილიდან გამოგვაფხიზლა.

შავი ღრუბლები ისევ ადგას წმინდა სამებას,
განსაცდელები აზვინულან ქართლის კარებთან,
ამ განსაცდელში გვინათებენ რწმენას ლამპრებად,
ნათელი გვადგას პატრიარქის შარავანდედად.

თვალებს მჭრის სიცხადე

პირქუში დრო არღვევს დაბზარულ გალავნებს,
მზეს ვნატრობ, სამყარო რომ აღარ დამუქდეს,
გზადაგზა ვაწყდები დაცემულ ქალაქებს,
მტრობით და ღალატით ურცხვად რომ გაქურდეს.
ლურჯი ცა - მშვიდობის, მრავალჯერ დასეტყვეს,
თანდათან მომწიფდა ფარული ღალატი,
თითქოსდა, ცდილობდნენ, მაგრამ ვერ განდევნეს,
შხამიან ისრებით მაცდური თამაში...
და... უკვე დაიწყო საშიში გამოცდა,
ლუციფერს იბერნიც დაუდგნენ მონებად,
ეს... „უმსგავსოება“ საზღვრებს რომ გამოსცდა,
ამაზე მუშაობს გახრწნილი გონება...
მავანნი დაშოკეს - ზომბებად აქციეს.
დღეს, როგორც არასდროს, მოვუხმობ სიმშვიდეს.
გუშინაც , უხილავს ვებრძოდი მაქციელს,
ცა ჩამოგვექცევა, ხმალს თუ არ ვიშიშვლებთ!..
ამ ლაბირინთებში გზას მიკვლევს სინათლე.
ხანდახან ვბრკოლდები - თვალებს მჭრის სიცხადე,
ჯიუტად მივიწევ დასახულ მიზნამდე,
გაცხადდეს, ოღონდაც, - გაცხადდეს სიმართლე!..

შემომაგებე აპრილო სუნთქვა

მიწა დაღალა შფოთვა-განგაშმა,
ცამ არ დაინდო სული ფაქიზი,
ჭკუა შეშალა ტყუილ-მართალმა,
საით ვიპოვი ნუგეშს არ ვიცი...

არადა, მზეო, მე შენი მწამდა,
იცი, რომ ამ მრწამსს ხშირად არ ვიცვლი,
მჯეროდა შენი, იმედის დარად,
მზევ, შენი მზის და მწვანე აპრილის.

თუ რამ დღე მქონდა, თუ რამე მწამდა,
გამოვატანე სვე-ბედს თქვენამდე,
იქნება, ხიდიც ჩემადვე აღდგა,
იქნებ, ავზიდო სული მწვერვალზე.

ახლა, მიდამო რუხ ფერებს იცვლის,
გული იშუშებს ნაზამთრალ ტკივილს,
შემომაგებე აპრილო სუნთქვა,
მზეგაფერილი პატარა კვირტის.

ვალი მაქვს...

ბოროტი ზრახვებით იპყრობენ ცის თაღებს,
დამუქდა სამყარო, გამრუდდა სიმართლე,
ეს ბუნდოვანება ნათელ გონს მიბრმავებს,-
გამეფდა ბილწება, სიგიჟე, სიბრაზე...

ძნელია ხატება უფლისა - სიტყვისა,
ამ გაუგონრობას მორჩილად იტანდე,
დრო, ვატყობ, არ ითმენს, და თუ არ იცისკრა,
მოთმენით, სიჩლუნგით ვერაფერს მივაღწევთ.

როცა მზე ადიდდა, მაკურთხეს მიწად მე
და დამაქვს სიმძიმე მიწიდან - მიწამდე,
მწამს, რწმენით გავაქრობ ბუნდოვან მირაჟებს,
ვალი მაქვს, ვაუწყო ცის სულებს სიმართლე...

გუშინ მზე ავზიდე ბეჭებით მწვერვალზე,
დილამდე ვანთებდი ცის გულზე ჩირაღდნებს,
გავფანტე სიბნელე - დავფერფლე მზის ალზე,-
ქვეყანას ვაკმიე - სიცხადე, - სინათლე...

მომაგონდებით მეგობრებო

როცა დაღარავს კლდის ნაპრალებს ნაკადულები,
როცა წრეს შეკრავა მთამაღალზე - გუნდი ორბების,
დაჰბერავს სიო გაზაფხულის უცხო სურნელით,
მომაგონდებით, მეგობრებო, მომაგონდებით...
გიწვევთ, გეძახით - გაზაფხულის ფერთა ზეიმზე,
გაყინულ გრძნობებს თქვენი ნახვა ისევ აანთებს,
ეს მონატრება გადალახავს დროთა ჯებირებს,
ეს სიხარული ამიყვავებს სულის ბაღნარებს...
გიხმობთ, გეძახით - ეს ძახილი ხევებს მიაპობს,
როგორ მომინდა, მიპასუხოთ ექოს ქუხილით,
ალბათ, იხსენებთ - ეს ხმაური რასაც გიამბობთ, -
იქნება შევძლო, შეგახსენოთ ჩემი წუხილი...
არსთა გამრიგემ ზამთრის მოსვლა უკვე გვაუწყა,
გვინდა, არ გვინდა, წლები ისე სწრაფად გავიდა,
წუთისოფელმა ტკივილები უხვად გვარგუნა,
ბევრი თქვენგანი ამქვეყნიდან უკვე წავიდა...
ახალგაზრდული გზნებით გიწვევთ ახალ ფერხულში.
ბედაურები ავარჩიოთ თეთრონებიდან,
წრფელი ქილიკით გავამხნევოთ ისევ ერთურთი,
დავლაშქროთ თურჩუ, ასხის მთები და გადრეკილა.
ხმა-ჟრიამულით გავაღვიძოთ ჩვენი მთა-ბარი,
დავდგათ კარვები, ვიბურთაოთ ჩასადივარში,
უფსკეროს ტბიდან ამოვყაროთ ცივი კალმახი,
და ვარსკვლავები ამოვთვალოთ ზეცის კალთაში.
შევახოთ ხელი მთის მწვერვალებს, ნისლის მირაჟებს,
თეთრი ცხენები ვაჯირითოთ - ცის მეიდანზე,
მერე ჩამოვყვეთ წყალვარდნილის კარსტულ მდინარეს,
მზის განახლებას დაველოდოთ დილის ცისკარზე.
დადიანებში ჩავატაროთ, ისევ, მეჯლისი,
დიდებულების გავაღვიძოთ ძველი ბაღნარი,
გარდასახვებით გავაკვირვოთ შორი მერმისიც,
ისევ ავანთოთ გორმაღალზე ჩვენი ვარსკვლავი.

მალვინა ჭელიძე

ისევ ხელმეორედ აღმოგაჩენ!

(მთვარეზე უზომოდ შეყვარებული მე)

თითქოს შემოდგომის ფერებს შეგადარე,
ზაფხულის ქარებში დაგაბრუნე,
ზამთრის სუსხს ვეღარ გაგაკარებ,
შენ იდუმალებას მივაყურებ...
გაზაფხულის იებად აგაყვავებ,
სევდას სიყვარულით გაგიქარვებ...
დღეებს შემორაგულს სევდის თალხით
შევებრძოლები და გაგიქარწყლებ!
თუ კი ჩაიძირე სევდის ტბაში,
ისევ ხელმეორედ აღმოგაჩენ,
ფეხთით ფიანდაზად დაგეგები
ჩემი სიყვარული გადაგარჩენს!
დარდებს დაგივარცხნი ფაფარაშლილს,
ჩრდილში მზის სხივებად მოგანათებ...
გულში ჩაგიხუტებ როგორც ბავშვი,
ზამთრის სილამაზეს მოგანატრებ.
ყველა განცდებს უმალ გაგიქარვებ,
ღრუბელს გაგიფანტავ გულზე დაყრილს,
მერე სადმე, იქვე შორი ახლოს,
მოგეპარები და კარავს გავშლი.
ასე შევეხიდოთ წყვდიად ღამეს
ნუღარ გავიკარებთ დარდის შხეფებს,
ქარი,ზღვის ტალღებში შემოჭრილი
ვეღარ ითარეშბს როგორც მეფე.
ხვალაც უსათუოდ გაწვიმდება...
ღამე, ვერხვის ტოტებს კვლავ დაარწევს
და თუ დამეკარგე სადმე გზაში,
ისევ ხელმეორედ აღმოგაჩენ!

აი ასეთი მინდა სამშობლო!

ქართველ ფეხბურთელებს

ბედნიერების სხივებით გამთბარ
დროშას შევხარი,
ამ დროში მინდა ღმერთო, ყოფნა
იქნებ დამტოვო...
ნუღარ წაგვიშლი
იმედსა და მომავლის რწმენას,
აი ასეთი მიყვარს
სამშობლო!
ერთიანობამ აჩვენა ძალა
და გამარჯვების ჟინმა იმატა,
ხალხი დაიძრა,თითქოს
უფლის საკურთხეველთან,
იმედის სხივმა ისევ ინათა.
უფალო, რწმენით გვასაზრდოე,
იმედით ხვალის...
ეს კურთხეული მიწა
იქნებ არ მივატოვოთ?!
მარადიული სიყვარული
ერთურთის, ამინ!
აი, ასეთი მიყვარს
სამშობლო!
საუკუნოვან მუხის ფესვებს
შეზრდილი ხალხი,
უიმედობამ, დარდმა, სევდამ
ვეღარ დატოროს...
ბედნიერების წუთები რომ აჭრილა ცაში
აი ასეთი მინდა სამშობლო!
ერთიანობით შემოსილი
ქართული ზეცა,
დღეს გამარჯვების ჟინი როგორ უნდა
ჩავაქროთ?...
ყველა ქართველის
გულში ბრწყინავს იმედის სხივი,
ღმერთო,
მიმყოფე ბედნიერი
ჩემი სამშობლო!

ემიგრანტის გზა...

უბრალოდ,წასვლა არის ადვილი,
არ კარგავ იმედს,სულის მხნეობას,
თუ არ გათვალე დრო და მანძილი
დასაბრუნებლად დრო ვერ გეყოფა.
ამ გზაზე წასვლას თუ დააპირებ
თეთრი ღრუბლების ხელით შეხებას,
ნუ შეეცდები, გზაზე გაფინე...
დარდად სამშობლოს მიწაც გეყოფა...
გაორებული მიჰყვები ნისლებს,
ტოვებ ყველაფერს,ის რაც შენია...
უდაბნოს გზაზე ნაბიჯებს ითვლი,
იცი, რომ ეს გზაც დასათმენია...
აგედევნება უცხო აჩრდილი,
გადაეშვები ფიქრის მორევში,
ვეღარ იპოვი სიმშვიდეს დარდში,
ვეღარ იპოვი სიმარტოვეში.
გაშლილა სივრცე შენი სავალი,
მთავარი არის მშვიდად იარო,
უფალს მოუხმე შენთან საშველად,
სხვისი სული არ დააზიანო.
არ არის დროსთან ბრძოლა ადვილი...
გვერდს ნუ ჩაუვლი, ცივად მეგობარს,
თუ ყოვლის შემძლედ გაქცევს უფალი,
ნუღა დაიწყებ დროსთან მეფობას.
მუდამ გათვალე დრო და მანძილი
ადამიანში ბევრი მტერია,
ნდობა, რომელიც ძალზე ძნელია
ოი...რა ძნელად გასარჩევია.
ცრემლი დამალე, დარდად დაღვრილი,
რომელიც ღამის ფიქრებს სჩვევია,
გულს ეფინება, როგორც მალამო,
ხშირად ღიმილსაც ცრემლი სდენია.
ნეტავი რაა ცხოვრება ჩვენი,
უცხო მიწაზე ვეღარ ვმაისობთ,
ემიგრანტობის გაცრეცილ წლებთან,
სევდიან წლებთან, ვეღარ ვხალისობთ.
შეჩერდი, სანამ არ არის გვიან,
ნუ დაისევდებ სიცოცხლეს მზიანს,
დრო შეგიტყუებს... წლებს ვერ დაითვლი...
ახალგაზრდობაც მიჰყვება ნიავს.
ამ გზაზე წასვლას თუ კი გადაწყვეტ,
თეთრი ღრუბლების ხელით შეხებას,
უნდა გათვალო დრო და მანძილი,
დროსთან ჭიდილში, დრო ვერ გეყოფა.!!!

ემიგრაციის 10 წელი

მოგონებებმა ქარივით ჩამიქროლა,
სადღაც ქარაშოტებს აედევნა,
ჩემთვის არაფერი არ უკითხავს,
გული სინანულმა დაიმონა.

ისე დავემგზავრე ღამის სიოს,
ფიფქებს მოფარფატეს გზას ვუთმობდი,
მთვარის აჩრდილებში დარდებს ვფენდი,
გზაზე მიმავალი მზეს ვნატრობდი.

რამდენ მონატრებას გავუძელი,
დაღლილს სევდაც ხშირად დამედევნა-
თვალებს მისველებდა დილის ნამი,
მზე თუ დამნათოდა არც მეჯერა.

სადღაც მივაპობდი უცხო ტალღებს,
ზღვა კი მორჩილებით თავს მიხრიდა,
ყველა საფიქრალი მას გავანდე,
ცრემლი მომღიმარი ამიტირდა.

ისევ ღვთის სიყვარულს დავატარებ,
-იმედის გარეშე არც მივლია,
ბევრჯერ სხვისი გულიც გავახარე,
და ეს წლებიც აღარ დამითვლია!

ნელი საგინაძე

გაზაფხული მოგიტანე

გაზაფხული მოგიტანე ამ, ლამაზი კალათით,
გზა ვიარე ძლიერ შორი,დაღმართით და აღმართით,
სულ ზევიდან დავაფინე მარტი თავის კაბითა
ძლირ, ძლიერ მიყვარხარო არ დამასწრო, არ მითხრა!

აპრილიც და ვარდობის თვეც შეხედე, შიგ აწყვია
კალათს, განგებ სიყვარულის მკვეთრი ფერი ატყვია,
კესანებმა ცაში შეჰკრეს სიხარულის კამარა
გამომართვი, შენი არის ეს ყვავილთა ამალა!

რაღას უცდი გამიღიმე, რამე მითხარ ძვირფასო,
ახლა თუ გსურს ცას შესძახე ძლიერ, ძლიერ მიყვარსო,
ეს ნახატიც შეხე, როგორ ჩვენი სულის ფერია
კალათიდან ყვავილებიც მგონი ჩვენ გვიმღერიან!!!

ბერი ნიკოლოზი

მე, გაბრიელის სულის მოდგმა ვარ
სიმართლით ვუმტვრევ ბოროტს კარიბჭეს,
ვინც კი გამოჰყვა ჩემს ნაბილიკარს
ყველას გონება ცოდნით ავკინძე!

მთელი ცხოვრება ქრისტე ვადიდე,
მხოლოდ და მხოლოდ ათა-პაპურად,
საცხონებელად სული მაქვს უფლის
საზიარებლად?-– ლოცვა ქართულად!

მე, სულ აქა ვარ, მუდამ თქვენს გვერდით
გადამრჩენელად ფარად და მხსნელად
და მოსესავით ასე გატარეთ
სულით-ხორცამდე სულყველა ერთად!

ამ გულის კარი მუდამ ღია მაქვს,
არ ვცდილობ ვინმე გამოვარჩიო,
ჩემს კარის ზღურბლთან მდგომარე სულნი
მინდა ბოლომდე გადაგარჩინოთ!

აქ, ჩემთან მომსვლელს არ შესცივდება,
ისე გავუთბობ მათ, სულის სიმებს,
როგორც ბეღურა ფრთებაბუზული
გამოქცეული, მკაცრ ზამთრის ყინვებს!

ლოცვებით დილა გადათენებულს
აღარც დღე მახსოვს, აღარც თარიღი,
მე, ჩემი ერის გადასარჩენად
ხან მწემსი ვარ და ხანაც ტარიგი!

ქრისტე უფალის სულის ლოცვა ვარ
სიმართლით ვუმტვრევ ბოროტს კარიბჭეს,
თუ წამით ვინმემ ჩემი იწამა,
ისიც ბოლომდე გადავარჩინე!!!

ერთი უბრალო ქალი ვარ

მე, არც თევდორე მღვდელი ვარ,
არც დავით გურამიშვილი
ერთი, უბრალო ქალი ვარ
ამ მიწისა და ცის შვილი!

აბა, როგორ ვთქვა დედა ვარ
ხერხეულიძის,ცხრა ძმისა,
ვერც ავწევ, ვერაფრით შევსვავ
ამ მძიმე, მწარე სასმისსა!

ეჰ, ვერც იმ გმირს ვერ ვედრები
მარტყოფს, რომ ომი მოიგო,
სამშობლოს გადასარჩენად
პაატა მსხვერპლად რომ იღო!

როგორ ვიქნები ილია,
ანდა აკაკი მგოსანი,
ვერც არწივივით ვერ ვიფრენ
ფრთებიც რომ მქონდეს
ფრთოსანის!

იმის გულს როგორ შევწვდები
ხელაანთ ბიჭის, მიხასას
ბინდისფერ წუთისოფელში
სიცოცხლემ, რომ არ იხავსა!

ვერც ტარიელს ვერ გავუგებ
მის მიჯნურ გულის ნადებსა,
ცრემლშეუმშრალი, მტირალი
წყალს, რომ ატანდა ამბებსა!

ან, ვით გავბედავ შეკითხვას
ტატოს მერანი სად მიჰქრის,
ანდა, რა მესმის იმისი
გაბრიელ ბერი რას იტყვის!

მე, ვერასოდეს შევწვდები
გალაქტიონის რითმებსა,
მაგრამ ეს გული ტიალი
არასდროს ჰკარგავს იმედსა!

ნეტავ კი,ისა მცოდნოდა
ვაჟას არწივს რად მტერობენ,
ანდა დღეს, ამ ჩემს სამშობლოს
გულგაგლეჯილს რად სჯერობენ!

არც ვიცი, მთლად რის
სათქმელად
"თვითონა მწერენ ლექსები",
მე, საქართველოს სიყვარულს
ვერასდროს ვერ დავეხსნები!

რატომ ბევრიც არ გითხარით
გულმა თქმა რატომ იშიშა,
სისხლო, ადუღდი ძარღვებში
შენც ხომ მათ მოდგმის, ჯიშის
ხარ!

ჰოი დემეტრევ, სადა ხარ
ან შენ, ერეკლე ბატონო,
ღმერთო მოგვხედე, გვიშველე
გამჩენო, ქართველთ პატრონო!

ქალი ვარ!?--მერე რა მოხდა,
თუ გაუჭირდა მამულსა,
ალგეთის მგლობასაც შევძლებ
თუ სულში სისხლი ადუღდა!!!

როგორ გარბიან წლები

როგორ გარბიან წლები
და მიჰყვებიან ქარებს
მოგიხურავენ თვალწინ
ახალგაზრდობის კარებს!

საით მიდიან ნეტავ,
წამით შეჩერდნენ მინდა,
არარსებულზე ვნატრობ
დროს გაჩერება ვინ თქვა?! –

ახალგაზრდობა როცა
შორიდან გიწვდის ხელებს
გსურს, რომ დაბრუნდე მასთან
სიყრმის ეფერო ფერებს!

შენთან არის და თითქოს,
მისთვის შენც უკვე მზად ხარ,
იმ წლებთან გინდა მაგრამ
შენ,მთლად სხვა ასაკს მართავ!

საით გარბიან წლები,
სად ეჩქარებათ ნეტავ?!--
ალბათ, მათაც აქვთ სახლი
და ელოდებათ დედა!

მახსოვს, მიყვარდა მინდვრად
ყაყაჩოების კრეფა
დეკემბრის ყინვის ეტლი
და გაზაფხულის ფეთქვა!

თვალს გაახელ და იტყვი
თითქოს ეს იყო გუშინ,
დიდი ხნის ჩავლილ წლებს კი,
ჩუმად ჩაითვლი გულში!

სწრაფად გარბიან წლები
და მიჰყვებიან ქარებს
მოგიხურავენ თვალწინ
ახალგაზრდობის კარებს!!!

გულიკო კაპანაძე

ცაო

ცაო, შემომრჩი ისევ შენ
ამ ჩემს ფიქრების მბერტყველად.
ვიღიმი, დარდებს არ ვიმჩნევ,
დარდით მოვკვდები ერთხელაც.
შენ მაინც რამ დაგამწუხრა,
მუქ ფერს რად იცმევ ხშირადო.
წვეთს რად აკავებ ღრუბლებში,
რად არ დაცლილხარ წვიმადო.
ჩამოთოვ, ჩამოაწვიმე,
დაცალე ლეგა ღრუბლები.
მეც შენთან ერთად ვიტირებ,
ცრემლი მაქვს უთვლელ, ულევი.

თუ გვიყვარს

რამდენ სიხარულს გვჩუქნის და
რამდენ ტკივილებს დრო.
არც ხიფათს, არც სასწაულებს,
ვიდრე ვართ, არ აქვს ძრო.
ვკარგავთ, ვპოულობთ, ვეცემით,
ვდგებით, ვიმარჯვებთ.სულ...
თუ გვიყვარს, ის გვიმარტივებს
ცხოვრებას, რაგინდ რთულს.

მუზას

არ მითანხმდები, ისე მსტუმრობ,მიტოვებ სითბოს.
მორიგ მოსვლამდე ლექსებად გწერ, სულს იმით ვითბობ.
როცა ბლაგვდება უშენობით ლექსის რითმები,
მოდიხარ ისევ და მავიწყებ რასაც ვითმენდი.
არ ვიცი როგორ, შენ მიპოვნე, თუ მე მოგძებნე,
ხან სევდა იყო, სიხარულიც ბევრი, ჩემს გზებზე.
მე შენი მქვია,შენ ჩემი ხარ,მუზავ, სადა ხარ...
შენ ოღონდ მოდი, მე აგყვები, მუდამ მზადა ვარ.

სამადლობელი

მადლობა მზეო, რომ არსებობ აი ამ გულში.
და რომ არ მტოვებ, რომ მითენებ ლექსებით დილას.
რომ მაძლებინებ, სხივად რომ ხარ უჩინარ სულში,
შენზე ღირებულს მაჩუქებდა ნეტავი ვინ, რას.
მადლობა ჩემს ბედს, ჯერ რომ ვცოცხლობ, ისევ რომ მიყვარს,
მეც წარმოვადგენ ჩვენით შეშლილ სამყაროს ნაწილს.
მათ რომ ვენდობი, ვინც ჩემია, გვერდით ვინცა მყავს,
მეც რომ დავტოვებ,როცა წავალ, მცირედს, ჩემად, წილს.
მადლობა ჩემს ცას, ფერებად რომ მიხატავს მზერას,
რომ მასმენინებს განთიადზე ჩიტთა გალობას
და რომ მასწავლა, თუ არ გიყვარს, მიაღწევ ვერ, რას
და სამკაულად რომ მიბოძა, ქართველ ქალობა.

მირკანს აქვს ისევ ცივი ხელები

მირკანი ისევ ხმაურით დადის,
მარტო ვარ ისევ მიწიდან ცამდის,
ისევ მახსენებს ფიქრი დამბაჩას,
 მცხრილავს და ლექსი მაინც გადარჩა.
იის სურნელი მიწას მაბრუნებს,
ვასწორებ გზაზე წაქცეულ ურემს.
იისფერს ვხედავ, მასში ვეხვევი,
მირკანს აქვს ისევ ცივი ხელები.
ხარხარებს ქარი: "როგორ ხარ, ცოცხლობ"?
ვატყუებ ხშირად: "და არა მხოლოდ"...
ჩაიქირქილებს, ახარხარდება
და ეს ხარხარი ცის მხარსაც სწვდება.
მკვლელ მირკანს ვკეცავ უკვე მესამედ,
ნეტავი სევდა მშველოდეს რამედ.
ადამიანი გაუძლებს რამდენს
ავსაც და კარგსაც, მიწიდან ცამდე.

დასტური...

ვხედავ ქალბატონო, იღიმებით...
მე კი მეგონა მოგკლავდათ დარდი.
ნუ შეკრთით, გიმრავლოთ ღიმილები...
მეტიც, იყოს კისკისამდე მზარდი.
გკითხავთ ქალბატონო, დრო მკურნალი
და ყველა ტკივილის წამშლელია?
ნუთუ აღარ წყდება თვალს კურცხალი
და დრო მართლა დარდის საშლელია?
ვხედავ ქალბატონო, მოიღუშეთ,
ჰო, პასუხი უკვე ნათელია...
იარებს დრო ვერ, ვერ მოგიშუშებთ,
დასტური ჩამწვარი სანთელია.

ივლის სიცოცხლე, ივლის და..

გეძებე, სიზმრად გეძებე
ყველა ადგილი დავზვერე.
არ იყავ ნაცნობ გზებზე და
ვერ მივწვდი უცნობ საზვერვებს.
გონს მიღმა ენერგიაა
ვგრძნობ, და არ ვიცი რა ძალის.
სადღაც ღიობი ღიაა...
ვერ მივწვდი სულის დაძახილს.
უსასრულობის ვიწამე,
თვალში ჩავხედე დასასრულს.
ვხედავ, განვიცდი იმ წამებს...
ცალკე სხეულს და ცალკე სულს.
ივლის სიცოცხლე, ივლის და
შეწყდება მერე ერთ წამში.
არ ვიცი სული სად მიდის,
ვიცი კი, შედის სხვა კარში.
მადლობელი ვარ განგების,
მეც რომ მომმადლა სიცოცხლე.
მან იცის ჩემი ამბები,
რამდენად მართლად ვიცოცხლე.

ხშირად

ხშირად მინდება გავერიდო ხმაურს ქალაქის,
ჩემს თავთან მინდა საუბარი ადან ჰოემდე.
მოხდება ხოლმე, მოჩლუნგდება გრძნობა, არას იქმნს,
ნეტავი ამ დროს შენზე ფიქრიც კი დამტოვებდეს.
ძირფესვიანად უნდა ვიყო ვინმე, სულ სხვა, რომ
როგორმე ფიქრში არ სახლობდე, აღარ მიყვარდე.
მოგონებები გადავაწყო, გავხდე გულქვა, რომ
ჩემს დიდ გრძნობაზე აღარ დამცდეს ფიქრი, სიტყვა მე.
მე კი არა და, ნეტავი თავს ან ვინ გაექცა...
გაგექეცი და ვხედავ უფრო გიახლოვდები.
ვერც ფიქრს წაუვალ, ვიდრე ვცოცხლობ, ვიდრეა ეს ცა
რა შორს ხარ ჩემგან, რა უცხო და რა ახლობელი.

რომ მიყვარდე ბოლომდე

აღარ დამრჩა სათქმელი, გამომტაცე, წაიღე...
დავიბენი, დავმუნჯდი, ფიქრში დამრჩა "ვაი, მე".
მერე ვყლაპე ეს ფიქრი, თანაც ცრემლი დავმალე.
ერთად ყოფნის დღეები, ჩაინავლა რა მალე.
აღარ დამრჩა სათქმელი, სამი წელი დამთავრდა,
ბედნიერი დღეები შეინახა დავთარმა.
ოდესღაცა კი არა, გუშინ იყავ მგონია,
მჯერა შეუსწავლელი სადღაც დიდი გონია.
რაც მოხდა და რაც ხდება, ეს თუ ბედის ბრალია,
სიყვარული ამ ბედში, ვიცი დიდი რამეა.
ვივლი, ვივლი და მერე, ცის ღიობში გავალ მე...
რომ მიყვარდეს ბოლომდე, მსურს და შევძლებ რავარმე.

ავკრიბავ ფიქრებს

ავკრიბავ ფიქრებს დროში მოფანტულს,
მოვაგროვებ და ლექსებად დავწერ.
ლექსებად გეტყვი: "მყავხარ ფარად გულს
გაისად, შარშან, სრულიად ამ წელს.
გადივლის ფიქრი კვლავაც სიშორეს,
შეეჩეხება უამრავ ქარაფს,
გულს რაც დააჩნდა, მეც ვერ ვიშორებ,
გიჩემებ, თუმცა სიშორე გფარავს.
ჩემს გულში დიდი სიმშვიდით სახლობ,
სულის საზრდო ხარ, გულისთვის ჩვევა.
მხარს არ მიმშვენებ, არა ხარ ახლოს,
მაინც გძებნი და მეგულვი ჩემად.

სიყვარულს

ახლა ავიღებ კალამს და
შენზე ფიქრს ლექსად ვაქცევ.
სიტყვა არ დამრჩეს ვალად და
ვთქვა ის, გითხარი რაც ვერ.
როგორც არ უნდა ვეცადო,
ვერსად დაგმალავს რითმა.
სადაც ხარ, მიწად თუ ცადა
ლექსიც იმაზე ითქვა.
ზოგჯერ დღეები ღიღინებს,
ზოგჯერ უეცრად მცელავს.
სიცოცხლე მაშინ მიღირს მე,
ფიქრში შენ თუ ხარ მცველად.
ვწერე, ვშალე თუ გავჩერდი
პატარამ, დიდმა, მერე...
ვლოცე შენს გამო გამჩენი,
ლექსიც შენს გამო ვწერე.

ის ნახატი

მე რომ ვხატე, ღრუბლით ცაზე
ის ნახატი, გგავდა შენ.
მერე წაველ, თან წამომყვა,
იქ გაჩერდა, სადაც მე.
გავუცინე, გამიცინა,
ვიტირე და ატირდა.
მოვუღუშე, წაგშლი მეთქი
შემეხვეწა: "არ გინდა".
არ მინდოდა წყენინება,
თუმცა იყო ნახატი.
გავიღვიძე, ლექსადა ვთქვი,
იქ...სიზმარში ნანახი.

ჩვენს ქუჩას

ჩვენს ქუჩას ისევ აქვს ის აბრა...
გავივლი, ვკითხულობ: "როგორ ხარ".
კარგად ვარ, ვიღიმი, აბა რა!
გრძნობა ხომ არსად არ გამქრალა.
ფიქრები ბორგავს და ხამდება,
ვერ შეცვლი მხოლოდ ერთს, გარდუვალს.
კუთხვაც კი არ მაქვს: "რა ხდება"...
შენზე ფიქრს ვეძახი დარდუბალს.
დავმალე დარდები, ვის ვეტყვი,
ანდა თქმით, განა კი რას ვიმკი.
იმ ქუჩას ამშვენებს ის ვერხვი...
მიყვარხარ? დიახ და ისევ კი.

ჩემს მეს

მოდი ერთმანეთს გავუცვალოთ ჩვენი აზრები.
რაც გინდა მკითხე, გიპასუხებ, არ დაგზარდები.
მე მგზავრი მქვია წუთისოფლის, შენ კი მეგზური,
არასდროს მტოვებ არ მღალატობ და არ მემდური.
ხშირად შემშლია, არასწორი ფიქრიც მქონია.
შეუმცდარი ხომ სადღაც, რაღაც დიდი გონია.
შენ სულ დამდევდი, მახსენებდი: "მაინც გიყვარდეს".
მტერი არ, მაგრამ დამინდია იცი, მოყვარე.
მქონდა შემთხვევა, ვერ გიპოვე, ვიყავი არსად.
არც მიწა მქონდა, არც აზრი და არც ფერი ამ ცად.
შენ კი მიპოვე, მომაკითხე და რომ მოხვედი,
ისევ ვიპოვე ეს სამყარო ნაცნობი ხედით.
ჩვენ ერთად ვივლით, ბოლო გზამდე მომყვები ვიცი,
შენ ერთმა ჩემზე ყველაფერი უკლებლივ იცი.
ოღონდ არცერთმა ის არ ვიცით, რა ხდება მერე...
გარდაცვალება საოცრებაა იქნებ.../ზე/მერვე.

*

როცა მეწვევა სიკვდილი
როდესაც მომისურვილებს,
სული ამწყდება ვით ღილი,
ჩამუქრობს გულის სურვილებს.
ვაჰმე, ეს ჩემი სხეული
ჩაიფერფლ, ჩაინაცრება.
სული სად წავა ეული...
თუ დაივანებს ცას ზედა?
ვიცით...არ ვიცით რამდენი
ცხრაკლიტური აქვს გონებას.
სიცოცხლეს გვაძლევს გამჩენი
ერთბეწოს, წამისოდენას.

სიცოცხლე...

სიცოცხლე, ძლიერ მიყვარხარ,
არ მეზარები არაო.
ტკივილი დამიძლევია
სულის ღიმილით დავალო.
აგორდებიან დარდები,
წამიყოლებენ, ხდება, თან...
რომ არ მიყვარდე, მომკლავენ,
შემაძულებენ ჩემივ თავს.
რამდენი დამრჩა, რა ვიცი,
შენ გეყვარები რამდენ ხანს.
სიკვდილს რომ გადამაბარებ,
გაგებუტები, გავკმენდ ხმას.

მოსვლა მინდოდა შენთან

მოსვლა მინდოდა შენთან...
თან ისე წვიმდა გუშინ.
ვიყავ დარდებთან ერთად
დღეს, გუშინ, იმის უწინ.
კოკისპირულად წვიმდა...
გული გეძებდა არსად.
ჩემთვის შენა ხარ, ვინ და...
ვერ ვამბობ სიტყვას სადარს.
შენთან მინდოდა მოსვლა,
ჩემზე ტიროდა ეს ცა.
ფიქრი არ მქონდა მე სხვა,
არ მაშუნებდა ეს გზა.
გფარავს სიშორე, არ ხარ...
გნატრობ, არ იცი, როგორ.
მუდმივად გულში მყავხარ
და შენთან ერთად ვცხოვრობ.

დედას

ცაზე ღრუბლის ფთილები
მოჰგავს ფაფუკ ფაჩუჩებს.
შენზე ერთგულს ვერასდროს
ღმერთი ვეღარ მაჩუქებს.
როგორ მომნატრებიხარ,
ჩემგან ძალზე შორი ხარ,
ღრუბლებს იქით მზე როა
ის მზე, სულ შენ მგონიხარ.

ხათუნა თედიაშვილი

* * *

დილას,ალიონზე მზის სხივს ავყევი და
ფიქრში საქართველოს,მთა-ველს მოვურბინე,
ვკოცნე იის კორდი ნაზი,ლურჯთვალება
წამით ქარაფებთან ექოს მოვუსმინე.
მერე არწივებთან ერთად ვიფრინე და
თვალი მიმოგავლე, ჩემო სანატრელო
ადრე ეგ მიწები ყველა ჩვენი იყო,
ახლა ნაწილიღა შეგვრჩა საქართველო.
ბევრგან მავთულხლართი გვიყოფს საფლავებსაც,
სადაც წინაპარი ჩვენი ასვენია,
კმარა რით ვერ გაძღა მტერი სისხლისმსმელი
ყველგან მათი ჩექმის კვალის ნარჩენია.
იქნებ გაგვითენდეს მალე ისეთი დღე,
ისე გაძლიერდე ჩემო საყვარელო,
რაც კი წარგვტაცეს და რაც კი მიითვისეს,
ნებით გვიბრუნებდნენ დედავ, საქართველო.
მე კი ამ დილაზე შორით გეფერები,
მერე სიყვარულით მთაველს მოვურბინე,
ვკოცნე იის კორდი ნაზი, ლურჯთვალება
ბოლოს უფლის სახლში ლოცვას მოვუსმინე.

* * *

შენთან რა უნდა, დარდებს ქალშავავ,
წამო დაგიკრეფ,მთაში კესანებს,
 ცაზე მნათობო,შუქურ ვარსკვლავად,
 სულ იციმციმე შენი კვნესამე.
ამ გაზაფხულმა,ისე შემშალა,
ვერ დავატიე,სულში გრძნობები,
ალაზნის პირას თუკი შემოგხვდი,
ქალავ მოგტაცო უნდა კოცნები..

* * *

უკვე აღარ წერს ჩემი კალამი,
ხმალიც გადატყდა თითქოს ვადაში,
შიშველი ხელით ვიბრძოლო როგორ,
ვეღარ შევხედე ვერც ციხის გოდოლს.
თავი მოიკლა დღეს თეთრმა რაშმაც,
რადგან ჩამოჰკრა,კვლავ მწუხრის ჟამმა.
ატირებულა კრწანისს ყაყაჩო,
ამდენმა დარდმა,ისიც დაახრჩო.
არავის ესმის სულის კივილი,
კვნესის სამშობლო,გულის ტკივილით.
გამიყიდესო შვილები ჩემი,
ცხინვალს,აფხაზეთს ვეღარა ვრჩები.
ყოველდღე მტკივა სული და სხეულს,
გაურბიანო,როგორაც წყეულს.
გარეთ გაფრინდნენ ბარტყები ვხედავ,
ვერ შეიფარა ბუდეში დედამ.
დაუკარგია იმედი ხვალის,
სული ეყრება სხეულსა კვამლით.
მაგრამ,ო,არა ხმალს არ ჩავაგებთ,
ამ ბოლო ბრძოლას ვეღარ წავაგებთ.
თუმცა გვჭირდება დემეტრე,ცოტნე,
საქმის კეთება,სიტყვა კი მოკლე,
გვჭირდება თამარ,ბრწყინვალე ქალი,
მისი სიმტკიცე და მისი ძალი,
გვინდა დავითი,რომ ისევ აღსდგეს,
მტერი ძირს დასცეს და ვეღარ დადგეს.
თევდორე გვინდა,ალბათ სადიჰაც,
თუმცა კი ვხედავთ,მტარვალ შადიმანს.
და ჰა,გაივსო უკვე ფიალა,
ვიღაც კალამში ცვლიდა იარაღს.
აღარ მინდაო სისხლი და ცრემლი,
ერთად დავდგეთო,სამშობლოს გვერდით.
ჩავიხუტოთო ერთურთი ძმურად,
თორემ,ვერ ხედავთ,შუღლი,რომ გვღუპავს.

* * *

როცა ვეღარ ვუძლებ დარდს და ემოციას,
წავალ ტკივილისგან,ჩუმად ავტირდები
და თუ შევიშალე,როგორც ეს მარტია,
მერე,ქარაფიდან ერთ დღეს გავფრინდები.
რადგან ქარტეხილი ბევრჯერ დამეწია,
მიანგრ მოანგრია ყველა ოცნებები,
ფეხქვეშ გადათელა,კარგი რაც კი იყო,
მაინც ბედისწერას,რატომ ვერ ვშორდები.
ახლაც გადავღლილვარ,მძაფრი ემოციით,
უკვე მოქვითინე,ლექსშიც ავტირდები
და თუ ვერ გავუძელ,წყეულ ბედისწერას,
ვფიცავ,ქარაფიდან ერთ დღეს გავფრინდები.

კარანტინში

ვით ნიბლია გალიაში,
ისე ვითვლი ნაბიჯებს
და ხეტიალს შეჩვეული,
ლამის სული გაგიჟდეს.
წერის ჟინიც მომეძალა,
ვწერ და აღარ ვისვენებ,
რადგან სივრცე გამოკეტილს,
დარდი თვალებს მისველებს.
ვეფერები ჩემს მამულს და
იებს გულში ვიხუტებ,
მუზამ მითხრა ნუღარ ტირი,
თორემ ერთ დღეს ვიჩხუბებთ.
განა შიში მომერია,
ან ვირუსის ბრალია,
ხეტიალას შემოაკლდა
ზღვის ჰაერი,ძალიან.
ახლაც სევდით გადავყურებ,
უკაცრიელ გზა-შარას,
თითქოს მტრედიც შეჩვევია,
გარეთ ფრენის აკრძალვას.
ვიცი მალე დამთავრდება,
ეს მსოფლიო ვარამი
და მსურს ყველამ იზეიმოს,
კვლავ სიცოცხლე მარადის.

* * *

ილტოს ნაპირას ია აყვავდა,
დედის დღე დგება დედა,
ხვალ,რომ მე იებს ვეღარ მოგიტან
თვალზე მომწყდება სევდა.
ხოდა მერცხლები გამოვაგზავნე,
იის კონებით სავსე,
მინდა ღიმილმა გაგილამაზოს,
ჩემთვის ძვირფასი სახე.
თან ტკბილი კოცნაც გამოვატანე,
შვილის სითბოთი ფრთებით,
 დედა შორსა ვარ შენგან ისე შორს,
ამ დღეს უშენოდ ვხვდები.
 ილტოს პირებზე ია აყვავდა,
დედის დღე დგება დედა,
მე მაპატიე,ასე შორს ყოფნა,
დედა შენ ჩემი მზე ხარ.

სიჩუმის წერილები

იდგა სიჩუმე,სიცივე და სულის გოდება,
ქარში ნამარხი, ჩემი ფიქრი,ჩემი ოცნება
ვწერდი წერილებს სიჩუმით და ქარებს ვატანდი,
რადგან აღარ ვარ და მე უკვე შენშიც დავმთავრდი.
სული წიოდა,საუბრობდა ხევდა ფურცლებად,
ნაწერ წერილებს და ბუხარში ცეცხლად უნთებდა,
ყოფის ქარიშხლებს,რადგან უკვე სადღაც დამთავრდა,
ყველა შეგრძნება,ნაცილები,რაც კი გვმართავდა.
ხო სიჩუმეა ახლა ჩემშიც,მხოლოდ ისევ ვწერ,
 ჩემი ფიქრის და ოცნებათა მუზას წერილს გწერ,
იმედს ვიტოვებ,ოდეს შეძლო მათი წაკითხვა,
ქართა აყოლილს ნუ მომიწყობ დასჯა განკითხვას,
ვტოვებ მიწას და სული ზეცას განასხეულდა,
უფლის კავშირი მასთან არის არა სხეულთან

* * *

დილას მძლივას წამოვკრიფე ტკივილისგან სხეული,
გადაღლილი მაჯა მქონდა, თითქოს ხმება წყეული,
მზემ სარკმელში შემომცინა, გარეთ თბილი დარია,
გასაფრენად გაამზადა ფრთებიც ჭია მარიამ,
თებერვალი იწურება,მაგრამ ისე აცივდა,
თითქოს ყველგან ერთროულად,ამინდებიც გაცივდა,
წუხელ თურმე სამშობლოში,დიდი თოვლი მოსულა,
იანვარმა,თებერვალი ჩუმად დააორსულა,
აქ ზღვა თითქოს არეული და შეშლილი დარბოდა,
ქარებისგან გაყინული,ქაფი ნაპირს გარბოდა,
 ხოდა ალბათ გავიყინე, ვიჯიუტე რადგანაც,
ამინდს რომ არ შევეპუე, ზღვას დავდევდი ქარდაქარ,
ხოდა ახლა ტკივილისგან ლამის მოკვდეს სხეული,
გულიც დარდებ არეული,მიკანკალებს წყეული,
მაინც ფარხმალს არა ვყრი და ვებრძვი ამინდს შარიანს,
ტკბილი კოცნით გავუშალე ფრთები ჭიამარიას,
გაფრინდა და ჩემი სულიც მასთან ერთად დაფრინავს,
მთა და ზღვები გადავლახეთ,ოცნებებით ამ დილას,
 მერე გულში ჩავიხუტე საქართველოს ქედები,
თოვლიანი მხრები ჰქონდა,თუმცა თბილი ხელები,
ზოგან ია ჰყვაოდა და თავსა ხრიდა ენძელა,
ნატვრისაგან დამშრალიყო,ოდეს დიდი ხევგრძელა,
ფეხშიშველმა მოვირბინე,ილტოს პირა ხეობა,
ფიქრის გორას ჩამომჯდარმა,დავიბრუნე მეობა,
ხოდა ახლა აღარ მტკივა,ვიმსუბუქე სხეული,
ყველა დარდი და ტკივილი მოვიშორე წყეული,
 გასაფრენად მეც მზადა ვარ ჩემო ჭია მარია,
გარეთ მზეა და ჩემს სულშიც სიხარულის დარია.

* * *

ამ მარტის დილას თუ შევიშალო ნუ გამომიტან უცებ განაჩენს,
იებსს ვუამბე როგორ მიყვარხარ და ის მოგითხრობს ჩემზე დანარჩენს.
ამ გაზაფხულზე ისე მაკლიხარ და უშენობა ისე მაგიჟებს,
ზღვას ვეხუტები ყოველდღე ცრემლით და ვხედავ ისიც სულ გავაგიჟე.
აქოჩრილ ტალღებს აგზავნის ჩემთან და მეხუტება სულში უშენოს,
მე კი მარტივით გავგიჟდი მგონი და აღარ ვიცი გულს რა ვუშველო.
თოლიებს ვატან შენთან ბარათებს, გამოვაყოლე მხურვალე კოცნაც,
და თუ ვერ მოვალ,კარგო შენამდე, შენ დამაწიე ცრემლი და ლოცვა.

* * *

ჩამოიცრემლა ეს ნოემბერიც,ხეებს დასცვივდა ხმელი ფოთლები,
ხოდა ამ ზამთარს თუ გადავურჩი,ალბათ უფალო აღარ მოვკვდები,
ცივა და ისე გაყინა სუნთქვაც,კანკალით მივალ ქუჩის ბოლოსკენ,
ჩვენ უნდა ახლა ვარწევდეთ აკვანს, აქ სხვის მიწაზე კი არ ვშრომობდეთ.
მაგრამ ცხოვრება გაჭირდა ისე,გათითოკაცდა ფუძე და ჭერი
და უცხოეთის ქვეყნებს მოედო,ჩვენი ლამაზი,ძლიერი ერი,
სახლში ვინ დარჩა კაცი და ბავშვი,ან მოხუცები,შვილს რომ ელიან,
ჩვენ რომ იმედით გავყურებთ ხვალეს,ის სამწუხაროდ ისე ბნელია,
რომ დასასრული არ უჩანს ახლებს, ხოდა იცლება მთაც და ქალაქიც,
დღეს განმკითხავი არ ყავს ქვეყანას, ნეტავ უფალო ასე სადამდის.
უნდა გაგრძელდეს ტანჯვა თუ გვემა და გოლგოთაზე ყოვედღე ასვლა,
შობადობაა თითო-ოროლა,თორემ მრავალი... იმ ქვეყნად გასვლა.
აღარც რწმენაა თითქოსდა უკვე, ხოდა მრავალი ცოდვამ მოიცვა,
ხალხო იცოდეთ თქვენი ცოდვები,მოეკითხებათ შვილებს როიცხა,
არა კაც კლაო ქადაგებს ღმერთი და სახარება გვასწავლის კეთილს,
მაგრამ ვინ უსმენს,მომრავლდა მკლელი, ოჯახურ კონფლიქტს მოჰყვება მეტწილ,
ქალი მოკლეს და ქალი დაჩეხეს, დღეს არაკაცთა მოდგმა მომძლავრდა,
ერო ნუ გძინავს,ერო შეფხიზლდი,ჩანს ანტიქრისტე უკვე მობრძანდა,
გვეყოფა მტრობა,ჩავკიდოთ ხელი,მდიდარმა– ღარიბს გავუყოთ პური,
დროა სიკეთის მარცვალი ვთესოთ, გადავივიწყოთ ბოღმა და შური,
ისევ გავმთელდეთ,ისევ გავბრწყინდეთ ნიკოფსიიდან. ... დარუბანდამდე,
ერო შეფხიზლდი გეყოფა მართლა,ასე გეძინოს უნდა სადამდე.

ჩამოიცრემლა ეს ნოემბერიც,ხეებს დასცვივდა ხმელი ფოთლები,
ხოდა ამ ზამთარს თუ გადავურჩიმე გაზაფხულზე,აღარ მოვკვდები.

* * *

აბუზული ჩიტები და მსხვილი წვიმის წვეთები,
მომყვებიან ქუჩაში და მე კი დავეხეტები,
აღმა დაღმა სანაპირო გადავზომე ნაბიჯით,
უჟანგბადოდ ვერა ვსუნთქავ,აბა კი არ გავგიჟდი.
ზღვა წყნარია და ჰორიზონტს,ცისარტყელა ამშვენებს,
ნაპირთან დგას თოლია და ელოდება მაშველებს,
რადგან სულაც მარტო დარჩა,ამ წვიმაში ეული,
მსხვილი წვიმა მოდის ციდან დაუსველდა სხეული,
მოდი ჩემო საყვარელო შეგიფარებ ქოლგის ქვეშ,
ხოდა ასე ვისეირნოთ ზღვის ნაპირას, მე და შენ.

* * *

ამ წამს ისე მომენატრა საფარა და ვარძია,
ცრემლი წამსკდა თვალებიდან, სევდამ წვიმად მაქცია,
მახსოვს ბოლოს საფარაში, წამოსვლისას ავედი,
წმინდა საბას ვემთხვიე და მერე გარეთ გავედი.
ტაძრის უკან,გალავნიდან თვალი სამცხეს მოვავლე,
ღმერთო შვილებს გაბარებ და მიფარე მოსვლამდე.
სამრეკლოზე მტრედი დაჯდა და ზარებმაც დარეკა,
თითქოს ღმერთმა გამიგო და ტაძარს სხივად ამრეკლა,
სამცხის მთებზე ნისლის ქულა,ცაზეც ჟღალი მიმინოო,
ანთიმოზის ლოცვის ძალა,ანგელოზთა იფრინდო,
ჯავახეთის ქედზე თოვს და ვარძიაში მზე ბრწყინავს,
თამარ ქალის სენაკიდან თვითონ მეფის ხმა გვრგვინავს,
ქუდზე კაცი საქართველოს,უცხო ტომით გავივსეთ,
ხმალი ლესეთ ლომგულებო, სანამ ჟანგით ავივსეთ,
აფსუს ჩემი დრო და ჟამი, საზღვრებს ვეღარ ვითვლიდით,

დღეს კი ყველა აქეთ მორბის,ლარსზე ვეღარც ითვლიდით,
ეს ღვთისმშობლის წილხვედრია,არ გაქვთ იმის უფლება,
ყველა კუთხე გააჩუქოთ,ვისაც ხელი უწვდება,
ქარველების გარდა რჩება,მიწა ჩვენი იცოდეთ,
დროა ერი ერთად დადგეთ და გულიდან ილოცეთ.
სენაკს სხივი დაეცა და სარკმელს მტრედი აფრინდა,
ლოცვა– მადლი დატოვა და მეფე ცაში გაფრინდა,
მუხლის ჩოქზე. დავეცი და ხატს სანთელი დავუნთე,
ღმერთო შეგთხოვ დაგვიფარე,რომ მტერს ფეხზე დავუდგეთ,
საფარაში ზარი რეკს და ვარძიაში გალობენ,
უფლის ლოცვა შეგეწიოთ,ღვთისმშობელი გწყალობდეთ!

* * *

ამ წამს ისე მომენატრა საფარა და ვარძია,
ცრემლი წამსკდა თვალებიდან, სევდამ წვიმად მაქცია,
მახსოვს ბოლოს საფარაში, წამოსვლისას ავედი,
წმინდა საბას ვემთხვიე და მერე გარეთ გავედი.
ტაძრის უკან,გალავნიდან თვალი სამცხეს მოვავლე,
ღმერთო შვილებს გაბარებ და მიფარე მოსვლამდე.
სამრეკლოზე მტრედი დაჯდა და ზარებმაც დარეკა,
თითქოს ღმერთმა გამიგო და ტაძარს სხივად ამრეკლა,
სამცხის მთებზე ნისლის ქულა,ცაზეც ჟღალი მიმინოო,
ანთიმოზის ლოცვის ძალა,ანგელოზთა იფრინდო,
ჯავახეთის ქედზე თოვს და ვარძიაში მზე ბრწყინავს,
თამარ ქალის სენაკიდან თვითონ მეფის ხმა გვრგვინავს,
ქუდზე კაცი საქართველოს,უცხო ტომით გავივსეთ,
ხმალი ლესეთ ლომგულებო, სანამ ჟანგით ავივსეთ,
აფსუს ჩემი დრო და ჟამი, საზღვრებს ვეღარ ვითვლიდით,

დღეს კი ყველა აქეთ მორბის,ლარსზე ვეღარც ითვლიდით,
ეს ღვთისმშობლის წილხვედრია,არ გაქვთ იმის უფლება,

ყველა კუთხე გააჩუქოთ,ვისაც ხელი უწვდება,
ქარველების გარდა რჩება,მიწა ჩვენი იცოდეთ,
დროა ერი ერთად დადგეთ და გულიდან ილოცეთ.
სენაკს სხივი დაეცა და სარკმელს მტრედი აფრინდა,
ლოცვა– მადლი დატოვა და მეფე ცაში გაფრინდა,
მუხლის ჩოქზე. დავეცი და ხატს სანთელი დავუნთე,
ღმერთო შეგთხოვ დაგვიფარე,რომ მტერს ფეხზე დავუდგეთ,
საფარაში ზარი რეკს და ვარძიაში გალობენ,
უფლის ლოცვა შეგეწიოთ,ღვთისმშობელი გწყალობდეთ.!

* * *

სულო მითხარ მგონია თუ ნეტავ,მართლა გავგიჟდი,
ლექსის წერა გამშვიდებდა,ახლა ვეღარ დამშვიდდი.
გაზაფხული გწყურია და ყვავილების თოვა გკლავს,
აბა,ასე დარდიანი ეგ, თვალები რადა გაქვს.
მალე მთებში აყვავდება,ცისფერთვალა კესანე
და შენც ცრემლით აგევსება, თვალის უპე კვნესამე.
რადგან ისე გენატრება ქარაფებთან შეხება,
უკვე ორი გაზაფხული,მიითვალეს ვერხვებმა.
ხო იქ ვარდიც აყვავდება,ნასახლარის ფუძეზე
და მერცხალიც მოფრინდება,თავის ობოლ ბუდეზე.
შენ კი ისე აგრევია,ფიქრებიც და სიცოცხლეც,
ასე ვიცი უჟანგბადოდ,დიდხანს ვეღარ იცოცხლებ.
აზრს დაკარგავს ყველაფერი და ის წუთიც დადგება,
ზღვა სარკმლიდან მოგიტაცებს და ქარებიც ჩადგება.

* * *

ამ დილას ალიონს მოვტაცე ფერები,
ჩავიწან თმებში და ღიმილით დავდივარ,
ვარიგებ სითბოს,რომ გაგითბოთ გული და
მერე,სულ მარტო ქარაფზე გავრბივარ.
ვაგროვებ დილის ცვარს,არაგვის პირებზე,
არწივთა და ორბთა ბუდესთან ავდივარ,
ამაყს და თავნებას მოვტაცებ სილაღეს,
მერე კი ჭიუხში,ჯიხვებთან დავდივარ.
არჩვებს და შურთხებსაც შევხვდები ბილიკზე,
მეტყვიან ქალბნელო,ამ დილას სად მიხვალ,
რა მათი საქმეა, უბრალო მთიელი,
ქარაფზე ღიმილით,ვისთან და რად მივალ.
და მერე თუ ბედმა,მიმუხთლა მწერალმა,
დამიცდა ფეხი და ქარაფზე ჩამჩეხა,
ლექსებში დაგიტოვ,ჩემს სათქმელს იცოდე,
ძვირფასო რაც მსურდა,თუ ვერ ვთქვი ამდენხანს.



გერონტი მესხი (სამაჩაბლოს ბულბული)

როდის?..

გონს დასწყვეტია აპეურები,
გარჩევას ცდილობს ძუსა თუ ხვადის...
სამართალი კი განა ურემით,
ჯერ მობაჯბაჯე კუსავით დადის.
შეძახილებით ხე ხმება, თორემ,
საღათას ძილი კინწისკვრით გარბის.
ჩვენგან წაგვრილი ღობე და ყორე
სამართალს ითხოვს შეკრული წარბით.
ლოდინი ყველა მოლოდინს გასცდა...
ყავლი გასვლიათ ვარდებს მაისის...
...შეცვალეთ ვაზნა, ჟანგი რომ ჭამს და
გასროლით, მაინც, ვეღარ გაისვრის...
კომბალი ტოვებს ჭერში ნაპირებს,
და მგელს აუზელს ძვალსა და რბილობს.
თან სახარების კითხვას ვაპირებ
მგლის თავს და მარხვად მის დასმას ვცდილობ...
სამარისპირს დგას ამაოება...
კუზის სწორების დროც ურცხვად მოვა!..
ზლაზვნით, და მაინც, გაყრის დროება
ჩვენი ყოფიდან ავკაცთა ხროვას.
მიდიან... ზოგი უკანვე მოდის...
მიმავალს, წესით, მთელ ცოდვებს ვკიდებთ...
უფალო, იქნებ, მიბრძანო,– როდის!..
გაბრწყინებამდე შორია კიდევ?..

როდის ქრება სილამაზე

კოხტა ქალს ვეტრფი... გრძნეულს...
გამა სდევს მნუსხავ ფერთა.
სახე უმშვენებს სხეულს,
სული-ორივეს ერთად.
მაგრამ თუ ასე მოხდა,-
სულს გაერია წყალი,
გაქრება შენი,,კოხტა“,
შეგრჩება მხოლოდ,,ქალი“...

როცა სახელი გვარს უსწრებს

სად ნახავთ მგოსანს ამგვარს და ამდენს,
მიტომ ვეკრძალვი, პოეტი მერქვას.
ბერმუხებს გვანან, აზიდულთ ცამდე,
მე ვგავარ იმ ხის ერთ ციცქნა მერქანს.
სახელი მათი დარჩება მარად,
შედევრები კი დრო-ჟამს მოედვნენ...
ზეცის მპყრობელი არწივის დარად
„ანი“-დან ფლობენ სივრცეს „ჰოე“-მდე.
შოთა, ილია, ვაჟა, აკაკი,
ტატო, გოგლა, თუ გალაკტიონი..
მათ ლექსებს ამკობს დრო და ასაკი,
ვით შაბიამანს-ბზინვა იონის.
ირაკლი!.. მურმან!.. იქით-მუხრანი!..
ბევრის სახელი თავის გვარს გასცდა...
გაითავისეს სიტყვის უღრანი,
და უკვდავების ნეტარი განცდა.
ენის მტერს დასცემს სიტყვით ჯანსაღით
მოჭირნახულე მამულის ბედის,-
სახელით შევა დროში ჯანსუღი,
ქართველს რომ „ლომის“ არგუნა „ხვედრი“!
ცის მეუფებას არწივი ბედავს,
ფრინველს უწოდებს თავს კვირიონიც(!)...
„ტაბიძე“ როგორ ჟღერადობს, ვხედავ,
მაგრამ, სულ სხვაა „გალაკტიონი!“
ციდან მომსკდარი რითმებით თუ წერ,
ლექსი გაქვს, არა მიეთ-მოეთი,
სახელი როცა შენივ გვარს უსწრებს,
ღვთივკურთხეულ ხარ მართლა პოეტი!..
...მე– ვწერ და, განა სახელს დავეძებ,
ვიწაფავ ამ ხელს ლექსის წერაში...
ჭიას ვახარებ, როცა რამეს ვწერ,
მე... მხოლოდ ლექსისწერის წერა მჭირს...

როდის ხარ დიდი ხელოვანი

თუ ჰანგთა ზღვაში დგაფუნობ, როგორც კატარღა-ლაბაზე,
თუ ორლესულად იყენებ ლექსს, რომ გაკაფო უღრანი,
თუ ჩაიფერფლე მღერის დროს, როგორც მაესტრო ცაბაძე,
ან, ლექსის თქმის დროს სცენაზე, როგორც გიგანტი მუხრანი.

სამაჩაბლო, ახალშენი...

მშობლის სადარო, გლოცავ, გაღმერთებ,
მსგავს სამოთხეში ღმერთიც დადისო.
მის წყალობას ჰგავს, ციდან ნაღვენთებს,
ეგ უკვდავება სამარადისო.
შენი მშვენება განა წამართვეს,
სიყვარულს ვადა გადაუვადეს...
დედა ვერ შობდა შენში სხვა ქართველს,
ქართლი უზომოდ რომ არ უყვარდეს.
ბავშვობა შენთან, წარსულში დარჩა,
ალიონს დასდევს მდინარის პირას.
ფეხქვეშ ეგება გვირილის ფარჩა,
გადადის მალაყს და ყირა-ყირას.
მზე ჩამოურბენს ნაცნობ ვერანდებს,
ააჭრიალებს ძველ ჭიშკარს ქარი.
ხსოვნის სიღრმიდან დროც კი ვერ აგდებს,
ვით მიხმობს შენი სამრეკლოს ზარი.
თვალწინ გაკრთება მთელი ხეობა:
ცაშიც მზე ბრწყინავს, კვირტშიც მზე ყვავის.
ფლორა დაღლილსაც შეგძენს მხნეობას,–
სხვა სურნელი სდის მთის ძირს შენს ყვავილს.
მთა კი შენამდე ჩამოივაკებს,
ახალშენამდე დაყრის ჭიუხებს.
მერე ბუნება ხილში იმაკებს
და ოქტომბერში ტყუპ-ტყუპს იუხვებს.
მე კვლავ ლექსს შევთხზავ მაგ ნაზ სიოზე...
ყრმობა მომყვება სიზმრად აქამდე:
ერთ ჯაჭვს რომ ვწყვეტდი კავკასიონზე,
მერე უფრორე მსხვილით მაბამდნენ.
ხან დევებს ვდევდი... აქედან რა ჩანს,
ზურგით კი არა, ვხოცე წინიდან...
ის დინოზავრი, კვალი რომ დარჩა
რიონთან, ფრონის ტყიდან მივიდა.
ხანაც უწევდათ შეკრულ იარებს
პირის გადახსნა, ჩამოღვრა ოფლად...
ყველა სიზმარი შენ დაგტრიალებს,
ქალაქის სიზმრებს მოვყავარ სოფლად.
დროდადრო ისვრი კითხვის ქარავანს
ჩემსკენ და ითხოვ პასუხის გამცემს...
გწამდეს, უღირსი შვილი არა ვარ,
მანდ, მშობლის საფლავს პატივი არ ვცე.
სისხლ-ხორც შენთან ვარ, მნატრობ და ქუფრობ,
ნატვრის ფიალაც წვეთ-წვეთ ივსება.
მე ვუფრთხილდები შენს სახელს უფრო,
ვიდრე ქალწული თავის ღირსებას.
გვიხმობ და შენზე მიდის სწორება
შენი ბოკვრების გონის და თვალის.
დროებითია ეს განშორება,
ძახილიც ნასროლ მანდილს ჰგავს ქალის...

სამაჩაბლო, ფრონისპირი

ღვთით ნაკურთხი ნატურმორტი
მეძალება ახლაც შენი
თვალწინ კრთის და ნატურ მორბის
ჩემი ყრმობა... ახალშენი...
ორი ერი.... ბიჭი.... გოგო...
ვარსკვლავს ვწყვეტდით ციდან ყველა.
ვუხდებოდით სოფელს, როგორც
შვიდი ფერი _ ცისარტყელას.
დარს ვჭვრეტდით და ვხვრეპდით ავდარს,
სხივებს პეშვით ერთად ვკრებდით.
ღვთისმშობელი ერთი გვყავს და
ლოცვებს მის წილ აღვავლენდით.
ერთი მიწა, ერთი ქედი,
ერთი ცა და ერთი მდელო...
ქალთან მორცხვი ეტიკეტით
აღმოთქმული სადღეგრძელო...
ერთად შეგვძრა ეშმას ნებამ:
ძმამ ძმის სისხლი ვალად იდო.
დამოყვრება, ქორწინება
უღვთო დროით გადაიდო.
მერე გაწყდა სუსტი რგოლი,
და იმ `ნებამ~ გაგვყო სამად
და ჩვენი ფრე: ნოლით-ნოლი
დაგვაგესლა მანვე შხამად.
დრო ხელთ იგდეს გარეწრებმა
და დამუხტეს მშვიდი ფონი,
ფინიშის სწორს გარე მტრებმა
დაგვიგრძელეს მარათონი.
ნაძირალა გვყავდა საცა,
შუბი სტყორცნა ძმობას ნაცადს.
ვინც მახვილი ქართველს ჩასცა,
ნაღდი ოსი არც თვლის კაცად.
ომს მოგება არც ეწერა, _
ძმა ძმის კარგვის გამო ჩივის!...
ამოვშანთავთ მარცხის კერას, _
უკუნს სხივი გამოსჭვივის.
... ჩვენს მდინარეს ფრონე ჰქვია,
ჩემს ძარღვებშიც იგი ფეთქავს...
ხვალ რომ ვინმე მომეხვიოს,
მინდა, ოსურ ტონზე ეთქვას,
რომ ღებულობს გამოწვევას _
ერთურთს დავკრათ მხარზე ხელი,
რომ სჯობს, ისევ ქიშპს და რღვევას,
ვიყოთ სტუმარ-მასპინძელი.
ისევ ერთად, თუნდაც მზეში,
ვუმარგლიდეთ სიმინდს ბალახს.
და, ჩვენს თვალწინ, ორღობეში
ასდიოდეს ორთქლი ტალახს.
ჭკუას ვტოვებ ხეჭეჭურზე, _
ზურგს ვუჩვენებ მტვრიან ქალაქს
და ჩემს მსხლის ქვეშ, განა ჭურზე,
ოსს შევუვსებ სირჩა არაყს.
... ღვთისმშობელი გველის თმენით:
სალოცავი ჩვენიც, მათიც.
გამოკრთება, მჯერა, რწმენით
ციდან ძმობის ათინათი...

ლეილა გაფრინდაშვილი

ჩაყოლა სჯობს

მოვიდა და... ამერია თავგზა,
უნდა ვწერო, აღარ დამრჩა სხვა გზა.
ლექსი ფრთებს შლის, მზერას აპყრობს ცაში,
სურს ააწყოს სვლა, რითმების მარში.

კალაპოტი გაარღვია წყარომ,
ხერგილს ვავლებ,უსაშველოდ ვწვალობ.
ვერ ვამაგრებ, ჯებირს ანგრევს რითმა,
დავმორჩილდი, სიტყვაც აღარ მითქვამს.

როს მოვარდა ქარბორბალა ლექსის,
ჩაყოლა სჯობს, მაინც ვერას შევცვლი.

გილოცავ!

/გულნაზ ხარაიშვილს/

სიყვარულის სხივით „ათინათობ“,
ძირულას ღიღინში გაზრდილხარ,
ქალური ღირსებით, ერთგულებით,
სიმშვიდით, ამაყად დადიხარ!

„შევერკინეო და შემერკინა“,
კალმით უმკლავდები ღამეებს,
„დანაჯინჭრებ გულს“ ფიქრებში მალავ,
ლექსით „მზის მისამართს“ დაეძებ.

ჰოდა, გიპოვნია მზის ნათელი,
სითბოთი გადაწვდი სამყაროს,
მეგობრობის მადლი ვამზიანოთ,
ვიდრე ზეციურმა გაგვყაროს.

დაბადების დღეს მოგილოცავ!
ლექსმა მწვერვალებზე გატაროს!

ფერადი ფიქრები

ეძღვნება კიტა პეტრიაშვილს

ახლა ოცნებებში მზის დარია,
სივრცე ცისარტყელამ გადაფერა,
ვიღვიძებ, სიცოცხლე მიხარია,
მართობენ ფიქრები ათასფერა...

ფოტოებს ჩავცქერი, მემღერება,
ასაკს არ ვმორჩილებ, არ ვნებდები,
შენი ტკბილი "აღუ", გაღიმება,
სინათლეა, სულში ხავერდები...

სიხარულისფერად აშრიალდი,
ველი ნაირფერად მომიხატე,
მომიხვედ სიცოცხლის ანგელოზად,
დარდი მარცვლებივით მიმოვფანტე...

*

დიდი ბებო გავხდი, მიხარია,
მავსებენ ფიქრები ფერადები,
შენი არსებობა მაძლიერებს,
მოვდივარ,
ო, როგორ მენატრები!

შემოინისლა

ნისლები, ნისლები, ნისლები...
ჟამთა სვლამ თვალები დაბინდა,
„ნატვრისთვალს“ მხოლოდ ერთს შევთხოვდი:
ნეტავ ვიწყებოდე თავიდან!

წარსულის ყულაბა გავხსენი,
სიჭარბე ვარდისფერ ფერების...
და მაინც, ტკბილხილის ნაჟურის
სასმისი ბოლომდე ვერ შევსვი!

მუშტი მომიღერა ასაკმა,
მომავლის სარკე არ ბრჭყვიალებს-
ხიბლი თუ ლანდადაც აღარ ჩანს,
აბა, ვინ მომიძღვნის ლიანებს?

ჩამოვყრი ფურცლებზე სტრიქონებს,
სევდის ცრემლს საშრობით დავაშრობ,
ვსრიალებ რითმებზე, ვით ხემი,
ვიდრე წავუღივარ ქარაშოტს...

თილისმა

ვიფიქრებდი, თვალს ვერ გავუსწორებდი
შენგან მოწიწებით მოძღვნილ საჩუქრებს?
რუდუნებით მივუჩინე ადგილი,
ბზობა დღეს რომ ლალის ბროში მაჩუქე.
გულთან ახლოს დავიბნიე თილისმად!
სიყვარული მომაგება ივლისმა.
მარტის თვეა, კაბა მოვრთე მძივებით
შენ კი... სხვისთვის გიჩუქნია იები.
შევიტყვე და... ელვამ გადამიარა,
გვირილები ვფურცლე, მოვა? კი... არა...
შვება ისევ დარდში ვძებნე, ვიწვალე,
ტკივილების გამკლავება ვისწავლე.
დავიჯერე, უდარდელად ვივლიდი,
სარკემ შენი აირეკლა ღიმილი...
გადავიცვი კაბა, მძივებასხმული
ვერ გპატიობ, არ მასვენებს წარსული!
*
არად მიღირს ლალისთვალა თილისმა,
ცრემლის ღვარმა სარკე გადამინისლა...

ჩემო მამულო

ჩემი სამშობლოს მთებს და ქარაფებს,
ჩემი მამულის ახოს და ველებს,
შემოვივლი და ლექსებს დავაფენ,
ავმღერდები და გულს გავაჯერებ!

ჩემი ტაძრების ზარების ხმაზე
მიწას ვემთხვევი, ავხედავ ზეცას,
სულგანაბული დაველოდები,
ოღონდ მამულის გულისხმა მესმას.

ჩავწვდე მის სევდას, გავიზიარო,
გავიაზრო და მივესალბუნო,
შენი ერთი ხე, ერთი ყვავილი
სამყაროდ მიღირს, ჩემო მამულო!

სტუმრების ლოდინში

წყარო რომ დაიწყებს სიმღერას
და ხეზე კვირტები დასკდება,
მიწას ამოხეთქავს ენძელა,
მზეც მთაში ნელ – ნელა ჩაწვება,
მინდება, ძნის ქოხი ავაგო,
გავშალო იების ხალიჩა,
კედლებს კესანები დავკიდო,
ყაყაჩოს პერანგი ჩავიცვა.
სტუმრისთვის კვლავ გადანახული
ტყის ძღვენით ავავსო მაგიდა,
ოდაში რითმების ხმაური,
ბულბულის გალობად გაისმას!
ფოთლებზე სახელებს წავაწერ,
დავგზავნი მოწვევის ბარათებს,
მოვაფენ ბუჩქებზე, მდელოზე,
ყვავილებს ჭრელ-ჭრულას, ათასფერს.
ნობათით სუფრას მთლად ავავსებ
სასურველ სტუმრების ლოდინში,
ოდის კარს არასდროს დავხურავ,
სახიდან ღიმილს არ მოვიშლი!



ლიანა ჯანეზაშვილ-თათანაშვილი

ასე ვიარეთ

ამ ულამაზეს ჭალას და ტარიფს
ვერ შეედრება სხვა საოცრება,
უფლისციხის ბექს ვდგავარ,გავცქერი,
ბავშვური გრძნობის მაქვს გაოცება.
ეს ის დრო იყო,როცა მიყვარდა,
როცა ვუყვარდი,ჩუმად ვიყავით,
მაგრამ ორივემ ეს სილამაზე
საოცარია,ვერ გავიყავით.
ჩუმად ვუმზერდით და ერთმანეთის
თვალების კამკამს ვითავისებდით,
ამ გადასახედს ვერც ერთი ვთმობდით
გავერთეთ ერთურთ შეთავაზებით.
ჩვენ სხვების მზერას ვემალებოდით
და ვერ ვბედავდით ერთად დადგომას
მაგრამ გულები ერთმანეთს გრძნობდნენ
ელოდებოდნენ ღვთიურ აღდგომას.
თვალების ჟუჟუნს ვერ დავემალეთ
ვერ დავემალეთ დამატკბობ გრძნობას
ერთმანეთს ხელი მაგრად ჩავკიდეთ
არ შევუშინდით ცხოვრების ბრძოლას.
ასე ვიარეთ მთელი ცხოვრება
გულები ერთურთს შემოვაბერეთ
ასე ვიარეთ მთელი გზა სუფთად
სულები ერთურთს გადავაბარეთ.

კანკალებენ

კანკალებენ ქვები წყლისქვეშ
ბორგავს დედამიწის გული
საიდუმლოს ვეღარ იტევს,
რაც მასშია დამარხული.
შეზანზარდა მთა და ბორცვი
მიწამ გახსნა დიდი გული,
სევდას ცრემლი მოერია
მწუხარებით დაზაფრული.
ხეებს ფესვები შეერყა
შეუნჯღრიეს მათაც გული
მიიძინეს,უძილობის
დაღლილობით გათანგულნი.
ძარღვი ჩაწყდა დედამიწას
გაუძარცვეს მსუყე გული
აქოთქოთდა,მთები დაძრა,
ჩაიტანა ყველა ღრმულში
ვინც კი შეხვდა,ყველა ერთად
მოუქცია ღვარცობს გულში.
არ დაინდო არც ბავშვები
გადალეკა ერთად ღრმულში
აკანკალდნენ ქვები წყალქვეშ
ჩამოიქცა ქვევით ზეცა
დააბნელა დედამიწა
აატირა თავად მზეცა.

ჩატეხილა ხიდი

ჩატეხილა ხიდი
მდინარე კი მიდის.
იქით-აქეთ სანაპიროს
დასწოლია ბინდი.
მზე ტატნობზე გადმომდგარა
სევდა აწევს დიდი
ცრემლებს დაღვრის გასაოცარს
მდინარე კი მიდის.
გზას მიარღვევს
სულ არ ნაღვლობს,
დაურღვია ვის ცხოვრება მშვიდი.
ჩატეხილა ხიდი,.
მდინარე კი მიდის,
აქეთ-იქით ისმის
მღელვარება დიდი,
იქით ლხინი არ ჩაშლილა
აქეთ გლოვობს
სიღარიბე დიდი.
ჩატეხილა ხიდი
მდინარე კი მიდის,
იქით ყვავის ვარდის ბუჩქი,
აწ ასკილი ღუის
ჩატეხილა ხიდი,
მდინარე კი მიდის,მიდის....

მზის საქანელა

ჩამოჰკიდა მზემ თავისი საქანელა,
ჩამოვიდნენ ციდან ნაზი მზის სხივები.
დამეფრქვივნენ,გამინათეს ეს სამყარო
გააბრწყინეს ისევ ჩემთვის დედის გზები.
საქანელას საკიდარზე ციმციმებენ
დაფრქვეული ოქროსფერი მზის ცრემლები
აბრწყინებენ საქართველოს კიდით კიდეს
ვერ ერევა ჯოჯოხეთის გზის ჩრდილები.
აქანავებს სააანელას ნაზი სიო
ჩასჩურჩულებს იავნანას ტკბილ ჰანგებით
ბრწყინვლება ნაბიჯ-ნაბიჯ,ნელა-ნელა
ქართლის გულის,ისევ უკან ღმერთთან ადის.
კესანები თავს დახრიან სიმორცხვისგან
სამყაროში გამარჯვების ჰანგი დადის,
ამ დალოცვილ ღმერთის რჩეულ ქართულ მიწას
სურნელის და საკმეველის სუნი ასდის.
ჩამოჰკიდა მზემ თავისი საქანელა
და მის სხივებს აქანავებს ნაზი სიო
მიმოიბნა ოქროსფერი ვარსკვლავები
გამარჯვების იავნანას მღერის სიო.

ნაჭდეურის

ნაჭდეურის ღვინის ტოლჩას
სავსე გულით შეგივსებთ,
დაგაპურებთ სულის პურით
გულს სიკეთით აგივსებთ.
მე არ ველი თქვენგან რამეს
ჩემს სულს ძლიერ უყვარხართ,
გზას მიჰყვებით შეგონებით
ფიქრს აგრძელებთ უმართავს.
სიყვარულით სავსე გულით
წავალ მე ჩემს უფალთან
გზას სიკეთით გაგიჟღენთავთ
ლოცვით კვლავ ღმერთს მივმართავ,
თუ რამ ცოდვა სულს გიმძიმებთ
ფიქრებს თავად ვერ მართავთ
აქაც ღმერთი შეგეწიოთ
და უშველის სულს მართალს.
ნაჭდეურის ღვინის ტოლჩას
სავსე გულით შეგივსებთ
დაგაპურებთ სულის პურით
სიყვარულით აგივსებთ.

ჩიტები მღერიან

ჩიტები მღერიან მშვენიერ არიას.
ჟღურტულით გართული არიან
მე მათი ყურება მამშვიდებს ძალიან
დღეა თუ ღამეა, მზეა,თუ ქარია.
ისინი არასდროს,არასდროს ტირიან
ღმერთი იფარავს,ეს კარგად იციან.
შიში და ტკივილი არაფრის იციან
გლოვაც კი სიმღერით იციან.
ჩიტები გალობენ,ჩიტები მღერიან
ჭიკჭიკით გალობენ ხხვადასხვა არიას
ყურს ვუგდებ,სიმშვიდეს გალობით არღვევენ,
რა უცნაური და მშვიდები არიან.
ჩიტები მღერიან,ნეტავ რას ელიან?
ნეტავი ცხოვრება მათთანაც ძნელია?
ნეტავი როგორი გლოვა იციან
თუმც სულ მუდამ გალობენ,მღერიან.

დედა ბუნება

ამღერდა გული თქვენი ხილვისას
და სიხალისე შემომეპარა
მიყვარდა გრძნობა ჩემი გულისა
თავი მეგონა ისევ პატარა.
და სიყვარულმა ამ სიბერემდე
მთელი ოცნებით შემომატარა
ისე გავიდა ის გაზაფხული
უკვე ზამთარი შემომეპარა.
მე მაინც მიყვარს ჩემი ზაფხული
და მინდირ-ველი,ტურფა მამული,
რომელსაც შვენის თექა მწვანისა
და შემოსული ეს გაზაფხული.
ყაყაჩოს ველი წითელ ფერებში,
უფლის მირონით გადანამული
და შემოდგომის მსუყე სურნელი
ყურძნის სურნელი მირონცხებული.
ამღერდა გული თქვენი ხილვისას
რა ძლიერია ეს სიყვარული,
და მინდა ისევ ვიყო პატარა
თუმც სიბერეა შემოპარული,
ამღერდა გული ვარდი ყვავილობს
ბულბულის სტვენა ატკბობს ბუნებას
რა ლამაზია ჩემი მამული
ეს, საქართველოს დედა ბუნება.

დარეჯან ღონღაძე

* * *

ჩემს ლექსებში სულ გაცოცხლებ მამა,
მეყოლები სიმამაცის ფარად,
შენი რჩევით გავიკვალავ სავალს
და მე ამით დაგიფასებ ამაგს.

ჩემს ფიქრებშიც სულ იცოცხლებ მარად,
მე თავს ვიგრძნობ გაზაფხულის დარად,
მეყოლები გულში მუდამ მგზავრად
და არასდროს არ გაგიშვებ არსად!

სიმშვიდეს ვგრძნობ, როცა ამ ლექსს ვქარგავ,
ისიც ვიცი, ჩემი გესმის კარგად,
დაისვენე, ჩემო ტკბილო მამა,
ეს სიტყვები შეგეწევა წამლად.

* * *

მე, ველოდებოდი მთვარეს,
მის დაბადებას და ღამეს
და ველოდებოდი სხვა დღეს,
აზრი რომ ჰქონოდა ხვალეს.

მთვარე მიხატავდა ლანდებს,
ჩრდილებს უყვებოდა ამბებს,
ჩუმად მიღიმოდა რამდენს,
ხანაც მიყვებოდა ზღაპრებს.

ღრუბლებს უკოცნიდა კალთებს,
მერე უსრულებდა ნატვრებს,
თან ეფიცებოდა გამჩენს,
მზეს, ზე სიყვარულის ქალღმერთს.

* * *



მამა მყავდა, ბუმბერაზი კაცი,
მან იცოდა ვაჟკაცობის ფასი,
მისი საქმე იყო მუდამ ნაღდი,
არ უყვარდა ორპირი და ფარსი.
მამა მყავდა, სულ უბრალო კაცი,
გამიფრინდა მისი სული ცაში,
მენატრება სიზმარში თუ ცხადში,
მონატრება დაინამა ცვარში.
თუმცა ვიცი, კარგად არის ცაში,
გზას უნათებს მას თავისი ღვაწლი,
მწამს, შეაღო სასუფევლის კარი,
ის, ხომ იყო, მადლიანი კაცი.
ვინატრებდი, რომ დაბრუნდეს წამი,
მის ღიმილში დამანახა თავი,
მიღიმოდა და ვიყავი ბავშვი,
მე, სულ მქონდა, მისი დიდი ხათრი.
ამ სიშორის, ვერ წავშალე ზღვარი,
მენატრება მისი ბრძნული აზრი,
მამა მყავდა, ბუმბერაზი კაცი,
გულში ჰქონდა დაფარული მადლი!

* * *

მე, მამას ვგავარ, სიცოცხლით აღვსილს,
სულ ვემგვანები მის ყოველ ნაბიჯს,
სულ გავიგონებ მის ყოველ ძახილს,
ამას მე ვამბობ, ჩემს ამბავს ნამდვილს.
ის, დაიკავებს ჩემს გულში ადგილს,
სულშიც შემმატებს ძალას და ხალისს,
მე, მამას ვგავარ, ყველაფრით ლამის,
ამას ვუყვები ყვავილს და აპრილს.
მერე, წვიმები მოიყვანს მაისს,
მაისს, რომელიც უშენოდ ყვავის,
მინდა, რომ მომცე ნუგეში ხვალის,
შენ დაგიჯერებ, მიყვარხარ ცამდის!

* * *

ვინ რას მიხვდება შენს ფიქრებს?
თუ არა მთები, ირემო!
თავისუფლებას არ გაცვლი, დგახარ უარზე, მტიცედო,
მეც შენი ბედი ვინატრე, არ მინდა მჩაგროს ვინმემო,
არ მინდა მუდამ ამაზე, ფიქრი და დარდი მღლიდესო,
არაც და არამც არ მინდა, რომ ჯავრი მტრისა მჭირდესო,
თავისუფლება მეც მიღირს, თუნდაც სიცოცხლედ ღირდესო!

* * *

ჩანასახშივე კვდება სიმართლე,
ვერ დავინახე ვერსად სინათლე,
ნდობა დაიმსხვრა, ვეღარ ვიწამე,
იყო მსგავსება, ცხადში, სიზმრამდე.

სახეშეცვლილი კვდება სიმართლე,
უკვე აივსო ფიქრი პირამდე,
გათენდეს ღამე, იყოს სინათლე,
სანამ ჩასახლდა ყველგან სიყალბე.

სანამ გათელა ყალბმა სიმართლე,
ხელი გამიშვით, მივალ მიზნამდე!
არ დარჩა ბევრი, ვიცი იქამდე!
მე, არ მჩვევია არსად სიმხდალე!

* * *

მზისა და მთვარის შეხვედრა, იყო ნამდვილი ამბავი,
მათ სიყვარულზე ყვებიან, ყველა ენაზე მავანნი,
მათი ასეთი შეხვედრა, მართლაც რომ იყო ზღაპარი,
მათ ამ სიყვარულს ვინ ახსნის, სად არის მისი სადარი.

ნელი მუჯირი-ტორონჯაძე

იმედი

ვიღაც ბერდება, რაღაცა ხმება,
რაღაცა ლპება,რაღაცა ჭკნება.
მაგრამ იმედი არსებობს ქვეყნად
ახალი სიცოცხლე კვლავ იბადება.

ვიღაცა მიდის ზეცად მაღლდება,
მაგრამ სიცოცხლე ისევ გრძელდება.
გვარი გრძელდება, ფესვები ხარობს,
გუთანი გუთნობს, ბულბული გალობს.

ზოგი ლაღობს და ზოგი კი წვალობს,
ზოგისთვის მზეობს, ვისთვის ავდარობს.
ბევრს გული აქვს და ბევრიც არ დარდობს,
დღეის დღით ცხოვრობს,სხვაზე არ ნაღვლობს.

წუთისოფელი კი არის მოკლე,
ცოტა ჩვენ ვირგოთ,ცოტაც სხვას ვარგოთ.
მთლად სხვის იმედზეც ნუ გავჩერდებით
ჩვენი მარჯვენით გზა გავიკაფოთ.

30 ვერცხლზე ვინც იყიდება
გამოვაფხიზლოთ! უფალიც დაგმობს.
საქართველოზე ვილოცოთ ყველამ,
თითო აგური შევმატოთ,დავდოთ.

თუნდ ერთი ნერგი,თუნდ ერთი ფესვი,
გავახაროთ და ქვეყანას ვარგოთ.
წუთისოფელი მიდის და მიდის...
ცოტა ჩვენ ვირგოთ,ცოტაც სხვას ვარგოთ...

გამილამაზე დილა

მზე მილამაზებს დილას
შენც თან მოყევი მზის სხივს,
შენს გამოჩენას ველი
წუთებს და წამებს ვითვლი.

ბაბუაწვერას ბუმბულით
ფრთხილად მოკითხვას გითვლი,
ალბათ გამომგზავნს ვერ მიხვდი
პასუხს მიტომ არ მითვლი.

შემომაღამდა ლოდინში
ცაზე ჩამოწვა ნისლი,
ეს გული მხოლოდ შენია
და არ გახდება სხვისი.

სიზმარში ხშირად მოდიხარ
მოწმედ დამყურებს მთვარე,
სადამდე უნდა მაწამო
მოდი მითხარი რამე...

ჩიტი

ჩიტსაც თავის სადარდელი გასჩენია
გაკვირვებით გადასცქერის არე მარეს,
მოწყენილი ხალხი უფრო მეტი დადის
ციცქნა ჩიტი არ უჯერებს თავის თვალებს.

მხიარული თუკი ვინმე გამოჩნდება
ჩიტის გულიც სიხარულითვე ივსება,
რა გგონიათ ეს პაწაწინა არსება
ვერ გებულობს მის გარშემო რაც რომ ხდება?

ღმერთო ჩემო ყველაფერი შეცვლილია
მომღიმარი სახე ჩვენც ხომ გვენატრება,
ვისაც ულხინს, გაჭირვებულს თვალს არიდებს
ცხოვრების გზა მიდის და ასე გრძელდება...

განმარტოებით ჩიტი თუ დაინახოთ
არ დააფრთხოთ მოერიდეთ, გაფრინდება,
ჩვენ არ ვიცით რა დარდი აქვს ჩიტუნიას
იქნებ შორს ყავს შვილები და ენატრება...

ოღონდაც მოდი

გზად ია ვარდი რომ დამიფინე,
სიყვარულით რომ გამილამაზე.
მერე ცრემლები რატომ მარგუნე
და მომანატრე შენი ნახვის დღე.

ყვავილებიც კი მოწყენილია,
ბევრი ვეცადე ვერ გავაღიმე.
რამდენი სითბო გაგიზიარე
შენ დამიტოვე გულში სიცივე.

მე ისევ გნატრობ, ისევ მოგელი,
შენზე ფიქრები ვერ მოვიცილე.
სახეზე ღიმილს თუ დამიბრუნებ
დაისადგურებს გულში სიმშვიდე.

შენს სიყვარულს სხვას ვერ ვუწილადებ,
როს მოვინდომო,გულს ვერ ვაცილებ.
ოღონდაც მოდი,გიხმობ დაბრუნდი,
მთელ ჩემს სიცოცხლეს გაგინაწილებ.

ვარდის მშვენება

რა ლამაზია საღამოს ვარდი
თითქოს წაშალა გულიდან დარდი,
ცოტა ხნით მაინც გამახალისა
და ეს ხალისი გულში დამირჩა.

ცაზე ღრუბლები გადაიწმინდა
ამოტივტივდა გრძნობები წმინდა
ჩვენი წარსულის მოგონებები
გადამიშალა ფურცლებად...წიგნად.

მალე ახალი მთვარეც გამოჩნდა
ჩემში ცვლილება არც მას გამორჩა,
გაიხალისე გული ღმრთითაო
გული ნაზია არა ქვისაო.

იმედიანად დავტოვე ვარდი
მთვარეს მადლობა გულით შევწირე,
გულის ხალისი მოგმადლოთ ზენამ
იმედის დილას გუსურვებთ ყველას.

სამშობლოს მონატრება

სამშობლოვ მომნატრებიხარ
ცოტახნით ჩამოვისვენე,
ფიქრები შენსკენ გამორბის
რამდენი რამ გავიხსენე.

ჯერ ახალგაზრდა ვიყავი
წამოვედი და დაგტოვე,
დამაკლდი ოჯახთან ერთად
შენი სადარი ვერ ვპოვე.

როცა მოვდივარ გიხუტებ
საგზლად დიდხანს კი არ მყოფნის,
დარდი და მონატრებაა
ემიგრანტების სამყოფი.

დაბრუნებასაც ვერ ვასწრებ
ფიქრები შენსკენ გამორბის.
ფესვები გულში გამიჯდა
შენი ჯიშის და მაგ მოდგმის.

ჯვრის მონასტერზე კვლავ ავალ
მტკვარს გადმოვხედავ ჯადოქარს,
სანთელს დავანთებ საყდარში
ჩემს საქართველოს კვლავ ვლოცავ.

ფიქრში თვალებით დაგეძებ
სულში დაამჩნიე კვალი,
ემიგრანტებს გულში გვყავხარ
სიყვარულს არ აქვს საზღვარი.

გაზაფხულდაო
(პატარებისთვის)

გაზაფხულდაო ცქმუტავს ბაჭია
მინდორ ველიდან დაიწყო ცქერა,
გოგო-ბიჭების ცელქობას უცქერს
თითქოსდა მათთან მოუნდა ლხენა.

მალე შენიშნეს გოგო-ბიჭებმა
ყიჟინი მორთეს, ნახეთ ბაჭია!...
ბაჭია თვალებს არ უჯერებდა
და ორი ყური სწრაფად ასწია.

ლამის...

ლამის შევცდი, ეხ შორიდან საპოვნელას მივამსგავსე,
იმერეთში რომ ხალისობს ნაზად ველზე,
ახლოს მიველ საალერსოდ
და ღიმილი შემაცივდა ჩემს ბაგეზე.

შენ ერთი ხარ იმერეთო ამ ჩემს გულში
საპოვნელა რომ ხალისობს შენს მინდვრებზე,
სულ ბავშვობას რომ მაგონებ დღე და ღამე
თუმცა წლები კი მამძიმებს დაღლილ მხრებზე.

იმერეთო ისე ძლიერ მომენატრე
ფეხშიშველა შემოვივლი შემოგარენს,
შეიშალა საცოდავი...მომძახებენ
არ დავეძებ, ჩემი გული ხომ გაიხარებს.

მჯობნის მჯობნი ქვეყანაზე.....

დილით მზე რომ შემოგვცინებს
ყველას სახე გვებადრება,
მაშინვე ვიწყებთ უფალთან
ლოცვას და გულით ვედრებას.

მსოფლიოს მშვიდობა ჰქონდეს
წლები ნუ გაგვიხუნდება,
სიცოცხლე გაგვიხანგრძლივდეს
ადრე ნურავინ მოკვდება.

კარგი ამბები გვესმოდეს
გული ნუ აგვიტირდება,
ტკბილი სიტყვა გავიმეტოთ
არაფერი დაგვაკლდება.

ფურცელს კალამს რომ შევახებთ
სიტყვა,,რანგად" ნუ გახდება,
მჯობნის-მჯობნი ქვეყანაზე
არასოდეს დაილევა....

სიზმარი

წუხელ სიზმარში გიხილე
და თვალები მომარიდე,
ღობე –ყორეს მიეფარე
ჩემი შეგრცხვა გამერიდე.

მეკი ჩემთვის ჩავიღიმე
და წლებს გავუყევი უკან...
მსწრაფლ სიტყვები დაგადევნე
ბავშვობის წლებს ნუღარ სწუხხარ.

შემობრუნდი მორცხვად მითხარ
დაგეძებდი, ვეღარ გპოვე,
ეხ!კარგო დააგვიანე...
ცხოვრების მეგზური ვპოვე.

მაგრამ შენი სიყვარული
არ მოკლა წლების სიშორემ,
მადლობელი ვარ იმწლების
მაღიმებს როცა ვიგონებ.

სამშობლოს მონატრება

ღიმილში ნაღველიც არის
ზოგჯერ დარდიც კი ატყვია
მოწყენაც არ გაგიკვირდეთ
ჩვენი სამშობლო გვაკლია.

გვაკლია ჩვენს მიწა-წყალზე
იასამანის ფერები,
ვერც იის კრეფით ვხალისობთ
ვერც ვარდებს ვერ ვეფერებით.

ვერ ვხედავთ როგორ ამწვანდა
გაღმა-გამოღმა სერები,
ღმერთო სამშობლოს ულხინე
პირჯვარს გადვიწერთ ხელებით.

,,დაუთოვია" ტყემალზე
ბალს გაუშლია კვირტები,
შორიდან წარმოვისახავთ
ახლოდან ვერ ვაკვირდებით.

სამშობლოს მონატრება კი
ემიგრანტების მტერია,
ზოგჯერ ბაგე თუ გვიცინის
სახეზე სხვა გვაწერია.

მათხოვარი

თუ ქუჩაში მთხოვარი დავინახოთ
არ შევხედოთ არასოდეს ზიზღის თვალით,
ჩვენ არ ვიცით,რა ცხოვრებიდან მოვიდა
საით ჰქონდა მიმართული მომავალი.

შეგვიძლია სულ ცოტა დრო გამოვნახოთ
შევეკითხოთ ვინ არის და რა დარდს ზიდავს,
იქნებ სულაც ღმერთის გამოგზავნილია
აკვირდება ჩვენს საქციელს,თუ რას ვიზამთ.

,,მათხოვარი" ერთ დროს ლაღი ბავშვი იყო
შეიყვარა,შეუყვარდათ ისიც გულით,
ცხოვრებამ სად დააჩოქა ჩვენ არ ვიცით
და გულგრილად გვერდს ნურასოდეს
ჩავუვლით.

დახმარება იქნებ სულ ჩვენც ვეღარ შევძლოთ
და ალალი გაღიმება გავიმეტოთ,
მოხუცებულს სამათხოვროდ ნუ დააჯენ
ყველა გულით გევედრებით ჩვენო ღმერთო.

მათხოვარი

თუ ქუჩაში მთხოვარი დავინახოთ
არ შევხედოთ არასოდეს ზიზღის თვალით,
ჩვენ არ ვიცით,რა ცხოვრებიდან მოვიდა
საით ჰქონდა მიმართული მომავალი.

შეგვიძლია სულ ცოტა დრო გამოვნახოთ
შევეკითხოთ ვინ არის და რა დარდს ზიდავს,
იქნებ სულაც ღმერთის გამოგზავნილია
აკვირდება ჩვენს საქციელს,თუ რას ვიზამთ.

,,მათხოვარი" ერთ დროს ლაღი ბავშვი იყო
შეიყვარა,შეუყვარდათ ისიც გულით,
ცხოვრებამ სად დააჩოქა ჩვენ არ ვიცით
და გულგრილად გვერდს ნურასოდეს
ჩავუვლით.

დახმარება იქნებ სულ ჩვენც ვეღარ შევძლოთ
და ალალი გაღიმება გავიმეტოთ,
მოხუცებულს სამათხოვროდ ნუ დააჯენ
ყველა გულით გევედრებით ჩვენო ღმერთო.

იასამანი

იასამანი აყვავდა
კარს მოგვდგომია აპრილი
უნდოდა თუ არ უნდოდა
მარტმა დაუთმო ადგილი.

ჭინჭყლს ნეტავ რად მეძახითო
აღმოხდა გულის ძახილი,
ხედავთ რა მშვიდად გტოვებთო
და დაგვიქნია მანდილი.

ბუნება გამოიღვიძებს
იასამანის ფერებში
და იასამნის სურნელი
დაივლის მინდორ ველებში.

ვაზი მოიხდენს ტირილს და
გაფურჩქვნას გლეხის ხელებით.
შეყვარებული ქალ-ვაჟი
გახალისდება ფერებით.

ქუჩებში იმხიარულებს
პატარა გოგო-ბიჭები,
მათ ჟრიამულზე იცელქებს
იასამანის კვირტები.

რა ვქვნა

რა ვქვნა ზოგჯერ მოწყენილი თუკი დავწერ
ჩამჩიჩინებთ რომ მოწყენა არ მიხდება.
სულ მასკარადს ვერ მოვირგებ და გამიგეთ
ცხოვრებაში ყველაფერია უფლის ნება.

ემიგრანტის ცხოვრება ხომ ასეთია
ხან იღიმის, ხან ცრემლებიც დადინდება,
ამას სამშობლოში მყოფი როს უნდოდეს
ვერაფრით და ვერასოდეს მიგვიხვდება.

ღმერთმა ყველას სულ სალხინოდ მოგცეთ საქმე,
თქვენი ლხენა გამამხნევებს მაქცევს გედად...
გავიღიმებ ყელს მოვიღერ როგორც ბავშვი
გონებაში სიყვარული ამღერდება.

გევედრებით,ზოგჯერ უნდა მაპატიოთ
სახეს თუკი სევდა,დარდი დაედება,
ვიცი ბევრსაც მხიარულება გვაკლია
ჩვენც მოგვალხენს სამშობლოში დაბრუნება.

ლექსი უნდა დაგიწერო

გათენდა მუზა მეწვია
ლექსი უნდა დაგიწერო,
მიყვარხარო რომ მითხარი
გავიხსენო იმ ხის ჩერო...

მერე ტკბილი მოგონებით
გული უნდა გავაჯერო
ის ბავშვური მიჯნურობა
ტკბილ ჰანგებად ავამღერო.

მინდორ ველად დაკრეფილი
გვირილები,,სამკითხაოდ"
უყვარვარ თუ არ უყვარვარ
ფურცლებს ვთვლიდით სათითაოდ.

ბავშვურ გრძნობას გვიკრძალავდნენ
ციცქნები ხართ რად გინდათო,
ეხლა სიბერეში გირჩევთ
ის პირველი რომ არ დათმოთ.

ის პირველი სიყვარული
ცხოვრებაში საგზლად თან გვდევს,
გულს წამლადაც ევლინება
ცხოვრების ხალისსაც გვმატებს.

ბევრიც არის გარეული
ფანტაზია პირველ გრძნობის,
მაგრამ გულს ხომ არ გვიბერებს
და ბავშვობის წლები მოდის.

სამშობლოს მაგონებს



მინდორში ბალახ-ბულახში
პირმომცინარე ყვავილი
იქ ჩემს სამშობლოს მაგონებს
ჩამესმის მიწის ბღავილი.

თავის შვილები აკლია
სამშობლოდან შორს გზავნილი,
შვილებიც მოწყენილი ვართ
ამ სხვის მიწაზე დაღლილი.

როდესაც კარგი რამ გვესმის
ჩვენი სამშობლოს გულიდან,
გეფერებით და ვხალისობთ
გლოცავთ სულით და გულითა.

ჩემი ფიქრები

წყალს ფიქრების ნაკვალევი დამჩნევია
ტალღები კი დაადუმა ჩემმა დარდმა,
იციან რომ საქართველო მენატრება
არ იციან რა იმედი,რა სიტყვა თქვან.

არ იფიქროთ,ტალღები არ საუბრობენ
სიყვარულით რომ ეშვები მის მორევში,
აღმა-დაღმა გატარებენ სიხარულით
მზის სხივებს ეჯიბრებიან სიყვარულში.

რამდენ რამეს მაგონებენ ტბის გარშემო
ეს ნაძვნარი არნახული, დახატული,
თევზაობა,სოკოს კრეფა თუ პიკნიკი
შემოგარენს კი ბავშვების ჟრიამული.

წლები გადის წარსულს ხშირად ფიქრში ვხვდები,
არასოდეს მავიწყდება მე ის წლები.
ცოტა ხანში სამშობლოში დავბრუნდები
სულ სხვაგვარად დამიხვდება ყველაფერი.

უნდა ვცადო და ცხოვრებას დავყაბულდე
ნაკვალევი კი დარჩება ამ ჩემს გულზე,
ვიცი უფალი რომ გვერდით დამიდგება
მომავალმა რომ აჯობოს ფიქრს წარსულზე.

დამიბრუნდი

რამდენი ფიქრი დამემსხვრა,
დღე ღამედ რატომ მიქციე.
მიყვარდი, ძლიერ მიყვარდი
წახვედი,ზურგი მაქციე.

გული მთლიანად დაიმსხვრა,
ნაწილებს ვკრიბავ ვერ ვძლიე.
გულის ნაწილი წაიღე
გულს დააკლდა ძლიერ.

აღმარს რამდენჯერ ავუყევ,
რაღაც საშველს არ მაძლევდა.
გული ნაწილს მოელოდა
უშენობით ვეღარ ძლებდა.

დამიბრუნდი გამიმრთელე
დამსხვრეული ჩემი გული.
ფიქრებში სულ ზამთარი მაქვს
დამიბრუნე გაზაფხული.

გამოიდარებს

დილა როდესაც თენდება
უფალს მადლობას ვწირავ,
მზე როცა ამოანათებს
ამ გულს დაჰყვება გზირად.

აივნიდან ვაცქერდები
იქნებ და მგზავრი ვიცნო,
ერთი ქართულად სალამი
ანდა მოკითხვა ვიგრძნო.

მეც სიტყვა დილა მშვიდობის
რომ მივაგებო ტკბილად,
ხალისიანად დავიწყო
ამ სხვის კერაზე დილა.

მაგრამ ერთში კი დავრწმუნდი
სულ გვახსოვს ჩვენი მიწა,
როცა სამშობლო გვეძახის
ვერთიანდებით იმ წამს.

ქართულ ჯიშსა და ქართულ გენს
სიყვარული აქვს ფესვად,
უცხო მიწაზე სამშობლოს
სადიდებელი შევსვათ.

გვეამაყება ქართულად
ყველა ნათქვამი სიტყვა
ქართველს ქართველი არ უყვარს
ვინ გაბედა და ვინ თქვა!!!

ჩემი დილის დასაწყისი
და ბევრისთვის პასუხი....

სიმართლეს ვწერ სიცოცხლეს ვფიცავ

მარკეტში გავედი ცოტა ხნის წინ,იცით ძალიან მიყვარს ბუნება და ფოტოების აღბეჭდვა.ვარდებს ვუღებ სურათს და
გამოდის ახალგაზრდა ბიჭი.მომესალმა,
იცის უცხოელი ვარ 6 წელია ამ უბანში ვარ.
იცინის და მეკითხება კვარაჩხელია(კვარაცხელია) როგორა გყავთო.მოიცადეთო მითხრა გამოიტანა მაკრატელი და 2 ვარდი მომიჭრა.
გამიხარდა მეგონა ჩემს წინ ჩემი გიორგი
იდგა რომელიც ძალიან მენატრება.შვილივით შევხედე და მადლობა გადავუხადე.
ამით რისი თქმა მინდა...თუ ერთმა ორმა ბერძენმა რაღაც ცუდად მოიხსენია ჩვენი
ოქროს ბიჭები,ყველას ერთ ტაფაში ნუ
მოწვავთ.

მადლობა ცოტა�ა

ყველას მადლობა რომ გითხრათ
ყვავილები დაგიკრიფეთ.
ასობით თქვენი მოლოცვა
სათითაოდ ჩამოვკრიფე.

დღეს რომ სითბო მიწილადეთ
დაგიბრუნოთ ღმერთმა ბევრი,
გაგიმრავლდეთ ოჯახები
მუდამ გქონდეთ ლხენის დღენი.

სამშობლო

არწივს უყვარს მთები
მე სამშობლოს მდელო,
კალმითა ხარ ნახატი
შენ სამშობლოვ ჩემო.

გჯიჯგნიან რომ დაგასუსტონ
ნატკენი გაქვს გული,
ღვთისმშობელის კალთა გიცავს
მისგან ხარ რჩეული.

მოძულენი მოგიმრავლდა
ნიღბები მოსცილდათ,
საქართველოს მოღალატეთ
როგორ სძინავთ მშვიდად.

ვით მოწნული კალათა ხარ
თაიგულით სავსე
სტუმრად მოსულ უცხოსაც კი
გაოცება თან სდევს.

გვერდები შემოგაცალეს
მოყვასს გვეწვის სული,
იქნებ მალე შეგიხორცდეს
გაბზარული გული.

ჩემი იმერეთი

ნეტავ მინდორ-ველს თუ მოიბნა საპოვნელები,
ბუჩქნარებზე თუ აყვავდა თეთრად ასკილი.
მენატრები იმერეთო ჩემო დედაო
შენგან შორს ყოფნა სულ არ არის ჩემთვის ადვილი.

ერთი სული მაქვს ვაბიჯებდე შენს ბილიკებზე
გავიხსენო ის ბავშვობის წლები განვლილი.
თვალებს ვხუჭავ იმერეთო თვალწინ ტრიალებ,
რამდენჯერ გაქვს სიხარული ჩემს გულს ჩაღვრილი.

სულ გეტრფოდი,მაგრამ ეხლა რაც წლები გადის
არ მშორდება დღე და ღამე შენზე ფიქრები,
მოგაბარე წინაპრების საძვალეები
მათ საფლავზე მალე მოვალ ავქვითინდები.

მინდა ისევ მივუბრუნდე ჩემს ბავშვობის წლებს
ახალგაზრდული გიჟმაჟობა კვლავ გავიხსენო,
ქაჯანას რომ მეძახოდნენ და ხან ციგანკას
ფიქრთა მორევში ვიძირები იმერეთო ჩემო.

როგორ მინდა მამის ფუძის ლამაზ ეზო-კარს
ერთხელ მაინც მონატრებულს ჩამოვურბინო,
ისე ნუ მომკლავ,გევედრები უფალო ჩემო
რომ ეს ნატვრა ერთხელ მაინც არ ავიხდინო.

(გამგები გამიგებს ჩემს ნატვრას,რადგან ,,უპატრონო"ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენ სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით!!!)

ასე მგონია

როდესაც ღმერთმა მე მომავლინა
მან დამაკისრა ყველა უფლება,
ღმერთის გარეშე არც არა ხდება
მის ხელში არის ჩემი ცხოვრება.

ბევრჯერ მითქვამს რომ გადავიღალე
იქნებ არცკი მაქვს ამის უფლება,
უფალმა იცის სადამდე შევძლებ
ტვირთი რომ ზიდოს ამ ჩემმა მხრებმა.

რამდენჯერ ვფიქრობ განვდევნო დარდი
ნაღველი სახეს მაინც აჩნდება,
მერე ვხვდები რომ ტყვილად განვიცდი
უღმერთოდ არაფერი არ ხდება.

არ დავეცემი სულით არასდროს
ფერებს არასდროს არ გავიხუნებ,
თუ მაწყენინეს ჩამოვეცლები
წყნარად კარებს არ მივუჯახუნებ.

ერთი ნაკლი მაქვს, ვინც რომ,,დავკარგე"
ყველა გულშია და ძლიერ მტკივა,
ადამიანებს რომ შევიყვარებ
დაკარგვის შემდეგ ამ გულზე მცივა.



თემურ გოგსაძე

სიყვარულის უსასრულობა

დავხატავ თვალების,
კოსმიურ ანარეკლს!..
შენს მშვენიერებას-
ხსოვნაში დანალექს!
იქნება, სწორედაც,
ფერების კონებმა,
გააპოს, დრო-სივრცით,
დახშული გონება!..
იქნება, დაიშვას,
დრო, გამონაკლისი
და გადაგვეშალოს
არსი და საწყისი?!
რადგანაც ერთადერთს,
ჭეშმარიტ სიყვარულს,
აქვს ნება და ძალა,
შეეხოს დაფარულს!..
მოვხატავ სამყაროს,
შენს თვალთა სხივებით!...
იმ დროშიც, წრე-ბრუნვას, მაგ შუქით მივები!..
ათასწლის სინათლის, გზის განაპირებით,
გიპოვე!
აღსრულდა, ღვთის დანაპირები!...
მის უსაზღვროება,
სიყვარულს-ღვთაებას,
შევთხოვ, ეს სიმები,
იმგვარად გაებას,
რომ დაბადებიდან,
კვლავ დაბადებამდე-
მუდმივად მიყვარდე!
მუდმივად გიყვარდე!

მარადიული ლეგენდა

,,მზისა და მთვარის შეყრასა,
ნუ უხმობთ-დაბნელებასა!"

მთვარე მზითაა, მზე-რითა?
ისიც, მთვარისა-მზერითა!..
და დგება, დრო-გადაკვეთა,
უსაზღვრო მონატრებითა!
მიწაზე, ბევრი, ვერ ხვდება,
მოიხმობს-დაბნელებითა?!
იბერთა ქვეყანა ხვდება-
სიყვარულისა მღერითა!
შვიდხმოვან-გასაღებითა,
ზე-სწრაფვა, ლოცვა-მზერითა!
ეს, ღვთაებრივი ჟამია,
შეყრაა-უმხურვალესი!..
სინამდვილეში, წამია,
მზისა და მთვარის, ალერსის!..
ეს, არა მარტო, ნიშნობა,
არსია, მზის და მთვარისა-
სინათლე, ახლად იშობა-
სამყაროს, ოთხივ მხარისა!
აღთქმა და მინიშნებაა-
ღვთის ნებისა და ბუნების!..
საერთო გზა-სრულქმნილების,
გარდასულ-გარდმოსულების!..
სიყვარულის და სამყაროს,
არასდროს, არ დასრულების!

უცხო ზღაპარი

შენი სხეულის ლამაზ ტილოზე
უნდა დავხატო, ჩემი ამბორი!
გითხრა, სამშობლოს, შვიდ ხმა-კილოზე,
შენ, ქალ-ღმერთი ხარ, ქალდევ-თაბორის!
შენი თვალებით, ვრთავდი პლანეტებს!..
დედამიწაზეც, მეღირსა-ნახვა?!
მე მიჯნური ვარ და არ ვამეტებ,
შენ, ყველა დროის, მშვენებით, დახვალ!...
ჩვენ, იბერიას, გარდმოსულები,
გალაქტიკების ვისმენთ არიას!...
რადგანაც, შერწყმა, ჩვენი სულების,
მარადისობის ბინადარია!
და დამაქვს, შენი მზე-სურნელება!
ერთ დროს, ამბორის გზით მონაპარი!
მიჯნურთა ტკივილს წაეშველება,
ამ სიყვარულის, უცხო ზღაპარი!

(თ. გ. ციკლიდან-,, იბერთა ნატერფალები")

,,სიყვარულის მარადისობა"

სიყვარულის ანარეკლები

* * *

კოცნით დაგიშანთავ-
ნანატრ, ლამაზ სხეულს!...
სულზე მოგიხატავ,
მარტის ყოჩივარდებს..,
რომ ამ სიყვარულით,
სავსე– გადარეულს,
ქვეყნად სხვა არავინ,
აღარ შეგიყვარდეს!!!

მერე ამ წამებსაც,
ტილოდ გარდავსახავ-
სულში შემოვარდნილ,
გრძნობის, პირველ მეკვლეს!..
მარადისობისთვის
ასე, შევინახავ-
ჩვენი სიყვარულის,
ლამაზ ანარეკლებს!!!

– –

მარადისობისთვის,
კრძალვით შევინახავ
ჩვენი სიყვარულის,
ლამაზ ანარეკლებს!!!

„ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი"

მიყვარს პროცესი,
გონში ძიების
და რეალური ფანტაზიები!
რაც იქმნა-არსით და სასოებით,
მიმიძღვებიან, წინ,
ასოები!..
ხშირად გავდივარ
ზე-პორტალებში
და მივიწყებულს, ვუმზერ თვალებში!
სულ სხვა, კანონთა
გონით და ნებით,
იხსნება, ყველა
დროის კარები!..
საერთო, ყველგან-
სიყვარულია!..
სხვა გზა-
კვდომა და დასასრულია!..
თავისუფლებას,
ყველგან წონიან
და მეუფეობს, ღვთის ჰარმონია!..
ერთადერთია,
ჩვენი პლანეტა,
ყველა კრძალვა-ზღვარს
გადაამეტა?!..
აღარ ვართ,
ღვთიურ არსთა მცველები!...
ათვლა დაიწყო განსაცდელების!
ფარისეველთა
ენერგო-ფარდამ,
ისინიც გარყვნა, ვინც ღმერთს უყვარდა!
ისე ცოტაა,მანძილი და დრო,
სამყაროს ბედზე,
ვეღარც კი, ვდარდობ!...
ერთიღა-
ნერვის გადაკვეთამდე-
ასომთავრული,
აღწევს ღმერთამდე!
თორმეტი ბრუნვის
სინათლის ხნისა,
კოდი და რუქა,
სამყაროს ხსნისა!

აღფრთოვანებით თუ შურით, ხშირად დაისმის კითხვა, ჩვენს მიმართ- – „ბოლოს და ბოლოს, ვინა ხართ, ასეთები, ეს ქართველები?!"

ამაზე, ჩემი, ფაქტობრივ-მეცნიერული პასუხი, ფრაზებად ვაქციე და მოკრძალებით გაგიზიარებთ!...

ი ბ ე რ თ ა მ ო დ გ მ ა

ღვთაებრივ გონის,
ბგერა-ათვლა ვარ!..
არა მარტოდენ,
ქრისტეს მცნებიდან!..
მე ისეც,
ჯვარცმა-აღდგომით,დავალ,
სამყაროს,
პირველ დაბადებიდან!
კავკასის მთებზე,
გაბრწყინდა ნისლი!..
გვაკურთხა ღმერთმა,
აქ, არსის მცველად!..
მთელს პლანეტაზე,
დაღვრილი სისხლით,
ისევ ისა ვარ,
ვინც ვიყავ ძველად!...
მე, ღირსებასთან,
ვიყარე წილი!...
სიცოცხლეც, ისევ,
ღმერთს მივუძღვენი!..
და როგორც,
საღვთო ტაბლის ნაწილი
გავაზიარე, ცოდნა და გენი!...
ემსხვერპლა მტრების,
ბოროტს და ავ-ხელს,-
ბევრი რამ, სხვა და
„ოქროს საწმისი"?!
დრო, ღვთაებრივი,
ყველაფერს ამხელს,
მე, ისე ღრმად და
შორს მაქვს, საწყისი!...
ჩემს სტუმარს, ოდით,
ღვთისა აქვს, ფასი!..
და დღესაც, ვცხოვრობ,
ქალდევ-ქართულად!..
არ შეიძლება, შეცვალო არსი,
სტუმარი, თუნდაც,
ამღერდეს მტრულად?!..
ცოდვის და მადლის,
ბასრი წვერიდან,
იუდაც,ქრისტეს
მოსვლამდე,ვცანი!..

ღალატის შუბით,
გაჭრილ ვენიდან,
ბევრჯერ შევღებე,
მიწა და ცანი!...
მე გავუძელი,
სასტიკ, მტრებთან, ომს,
ცრემლით დატბორილ,
დედის თვალებით!...
კაცობრიობის ძირეულ გენომს,
ატყვია, ჩემი ნატერფალები!...
მტკიცება, დროში ჩაწყობილია-
ლეგენდაც, ფაქტიც,
არ უნდა, ფიცი!...
არა მარტო ის, რაც ცნობილია,
არამედ, ისიც, რაც ჯერ არ ვიცით!..
ავამეტყველე,ქვა,საჭრეთელით!..
შვიდ სხივთა რხევა,
ვქმენ-ჰარმონიად!....
მიყვარს სამყარო-
სრული და მთელი,
მარადისობის პოლიფონია!..
რადგან, თავად ვარ-
თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა
შემომემსხვრევა,
კვლავადაც, მტერი!..
მაქვს, ღვთაებრივი-
ენა და ნება,
ამიტომ მქვია „ფენიქსის ერი"!..
მკლავს აღტაცება-
სამყაროს სიმთა
და სილამაზის,
თვალის შევლების!..
დრო, სიყვარულში გადაიტვირთა-
აღსასრულია, ფარისევლების!...
იბერთა მოდგმა,
ღვთის აღთქმას ელის!...
ვართ-უსასრულო საგალობელი!..
მამა-ღმერთის და
ყოვლის შემქმნელის-
მართლად და მართლა,
მ ა დ ი დ ე ბ ე ლ ი !...

მთვარისა ზეინკლიშვილი

აპრილის დილა

დღეს ამინდი მოღუშულა, ღრუბლიანობს,
ფანჯარაში აწკარუნდა წვიმის წვეთი,
ბუდეებში ჩაყუჟულან ჩიორები,
ვაზის ნასხლავს ეღვენთება ეთერზეთი.

ქორფა ფოთლით იფარება ხის ტოტები,
ზოგ ხეხილზე ყვავილი წინ წამოსულა,
ნიავს დააქვს მათი სუნის სურნელება,
გაზაფხული ჭრელი კაბით შემოსილა!

იქით ბაღში წითლად ღვივიან ტიტები,
ჯონჯოლის ხეც რა საოცრად დაპენტილა,
ჩემს წინ მზისფრად ელვარებენ ნარცისები,
ჭინჭრის ტოტი წვიმის ცემით გაბუტულა.

აგერ უკვე შემოთხელდა ღრუბლის ქულა,
მზეს სხივები გამოექცა ჩვენს სალხენად,
ჩიტს ბუდეში შეუძვრა და უღიტინა,
გადმოგვენთო სიყვარულის ასახსნელად.

სანამ ლექსი მე ბოლომდე დავასრულე,
ფანჯარაში მოიწურა წვიმის წვეთი,
ბუდეებში აფრთხიალდნენ ჩიორები,
ვაზის ნასხლავს გაუსინჯეს ეთერზეთი.

ატკრიაცდა, აღაღანდა აპრილის მზე,
წამოკრიფა ყველგან წვიმის წვეთები,
ვუყურებთ და მოვიხიბლეთ მე და მუზა,
უნებლიეთ მათ ბადეში გავებით.

დღე მტკივნეული, მწარე.

ბევრი სიმწარე გამოგვივლია,
სამშობლო სავსეა იარებით,
ეს ტკივილი, ჩვენი ტკივილია,
და ამ ტკივილებით ვიარებით.

დასაბამიდან ვუძლებდით,ვუძლებთ,
ღმერთო! შვება მოგვეც ზიარებით,
გმირულად დაღუპულ ახალგაზრდებს,
პატივი მივაგოთ ფიალებით.

სულ ბრძოლა, ცრემლი, სისხლი დაღვრილი,
როდემდე ვუძლოთ მწარე მარწუხებს,
ღმერთო! გვაშორე,,ცხრა აპრილები",
მე მომავლების დარდი მაწუხებს.

გამოჩნდება კი საფიხვნოს ღირს – კაცი?
როდის შედგება მშვიდობის დილემა?
როდის იქნება ერთ მჯიღად შეკრულმა,
რომ ვიღაღადოთ,,უფლის დიდება"....

ცხრა აპრილს მძიმე დაღი ატყვია,
დიდი, მტკივნეული, მწარე იარა,
არ განელდება ამ დღის სიმწარე,
გლოვა გვექნება,მოლხენა არა!..

გარი ჩაფიძე

სიტყვა დავით ააღმაშენებლისა

ბრძოლის ჟინით წამომდგარა უკუნიდან ერი,
საყდრის კედლებს უკვირდება მეფე, მეცნიერი,
ცრემლი სდის და უსველდება შევერცხლილი წვერი,
ფიქრობს: ნუთუ არ აქვთ ტყავი გვართა დასაწერი.

რამდენ ტანჯვით და წვალებით ტაძრებს ვაშენებდი,
მომავლისთვის შრომით, ბრძოლით, ღამეს ვათენებდი,
საქართველოს ერთ გოჯ მიწას მტერს არ ვანებებდი
და ქართული მიწის სურნელს ჩემს ერს ვუტოვებდი.

დღეს მოდიხართ შვილნო ჩემნო, ებრძვით ციხე ტაძრებს,
იცით რამდენს გადაურჩა ეს ტაძრები ხანძრებს?
ძველს რომ შლი და ახალს ჰკვეთავ, რა სინდისი გაძლევს
ჩუქურთმაზე მეტად შვენის თქვენი გვარი ტაძრებს?

დედას!

დღეს ყველა დედას უმღერის შვილი,
მეც ხსოვნის თასი ცრემლით ავავსე,
მეც მინდა ხოტბა შევასხა დედას –
მის აჩრდილს, მის ხმას, მის სილამაზეს...
ვიცი აღარ ხარ, მაგრამ არ მჯერა
მე შენს ძებნაში დავეხეტები,
შენგან ჩანერგილ რწმენით დაგეძებ
ვიცი გიპოვი, ჩაგეკონები...
როცა გიპოვე, მუხლზე დავეცი,
სხვაგვარად დგომის არ მაქვს უფლება,
გრანიტის ქვასთან ვარ დაჩოქილი
და ქვაც „შვილოო“ მეჩურჩულება.
დიდხანს ვიქნები ქვას მოხვეული
შენი გრძნობებით, გულით კეთილით,
ქვაც მეუბნება „ჩამეკარიო“
თურმე დედის ქვაც ყოფილა თბილი...
გვიან ღამით კი ქვას მომაგლეჯენ,
გზაზე მხვდებიან მოგონებები,
ღამის მთეველი შენი აჩრდილი
და ცოცხალ აჩრდილს ავედევნები.
მოგდევ კვალდაკვალ, ვეღარ გშორდები,
მინდა მოგსდიო კიდითი კიდე,
მეშინია, რომ მიმატოვო,
რომ წახვიდე და აღარ მოხვიდე...

თბილისს დაჰყურებს დედა ქართველისა

ხელში თასი
და მახვილი გიკრთის,
სახეზე კი
მრისხანებას ვხედავ,
შენ დედა ხარ
ოცნების და ფიქრის,
შენ დედა ხარ,
საქართველოს დედა!
უკვდავებას
უნერგავდო მხედარს,
ბრძოლით კვეთდი
ყამირსა და ახოს,
იდექი და
დღესაც დგეხარ დედავ
რომ სამშობლო
შვილებს შეუნახო...

* * *

შენზე დარდით ჭრილობად მაქვს გულში,
და ეგ დარდი სამუდამოდ მრჩება,
ამიტომაც გადავწყვიტე გუშინ
ამ საღამოს შენი მოტაცება.
გულზე მძიმედ შემომაწვა სევდა,
მოტაცება რისთვის გჭირდებოდა?
ბედისწერის წამზე გამახსენდა
ბავშვობაში ჩადენილი ცოდვა: –
ბუჩქის სიღრმეს გავხედე და ვნახე
მთლად სიღრეში ბუდე ჩაძირული,
შევძვერი და ძუით გავსკვენ მახე
დამეჭირა ჩიტი განწირული.
მოფრინდა და არ მეხილა ჯობდა,
შევცქეროდი, ბუდეს როგორ ქსოვდა,
მაგრამ უცებ ხელი ვტაცე, ჰოდა –
იმ საბრალოს გული გახეთქოდა...
უამრავი ჭრილობა მაქვს გულში,
შენზე დარდი სამუდამოდ მრჩება
და ამიტომ გადავწყვიტე გუშინ
ამ საღამოს შენი მოტაცება.

* * *

არ გაპატიე
და ღალატისთვის,
მე მოგექეცი
ძალზე სასტიკად,
დღეს არ იფიქრო
შენთან მოვედი,
ჩემი ცოდვების
გამოსასყიდად;
უბრალოდ შეგხვდი,
არ მოგელოდი,
სალამი გითხარ,
შენ კი შეჩერდი,
ხელი როდესაც
გამომიწოდე,
რა ცივი იყო
შენი ბეჭედი....

სამშობლოს

შენა ხარ ჩემი სალოცავი
ხატი, ტაძარი,
შენა ხარ ჩემი აღტაცება
უზარმაზარი...
შენა ხარ ჩემთვის
ანთებული წმინდა სანთელი,
შენა ხარ ჩემი
მზის სხივი და
თვალის ნათელი.

ნორა მგელაძე

ტიტები

ტიტები აპრილის სიმბოლოდ მექცა,
სიმბოლოდ დიდი ტკივილის და დარდის,
წითელი ტიტები--დაღვრილი სისხლი
ცხრა აპრილს შეწირულ, უშიშარ ხალხის.
ტიტები აპრილის სიმბოლოდ მექცა,
ამავ დროს ძალიან ვამაყობ ამით,
თეთრი ტიტები კი ჩემთვის მაცნეა
თავისუფლების დიადი დღის, ნათლის.
ტიტები აპრილის სიმბოლოდ მექცა,
სიხარულს სევდისაც ელფერი დაჰკრავს,
გიყვარდეთ სამშობლო თქვენს თავზე მეტად,
ამ გრძნობას არცერთი სხვა გრძნობა არ ჰგავს!

ი ე ს ო ს

ჩვენი სიყვარულისთვის რა არ დაითმინე,
როგორ არ გაწამეს, დაგცინეს, დაგტანჯეს,
ჩვენი ყველა ცოდვა, უფალო, თავს იდევ,
წყალი ითხოვე და ძმარი ''მოგართვეს''
ესეც არ გაკმარეს, უფალო, ჯვარს გაცვეს!,
უსიტყვოდ დაითმინე, სიკეთის გამცემო,
დღემდე ბევრს არც ესმის, ჩვენთვის რა გაიღე
უფალო იესო, შენ ჩვენო დამხსნელო!
ამდენი ხნის მერეც, ქვეყანა დამძიმდა
სულ უფრო, სუყველგან მომძლავრდნენ ტირანნი,
შეუნდე მსოფლიოს, უფალო შენ გვედრი,
ისევ შენ გვიშველე ცოდვების ზიდვაში.
მიყვარხარ უფალო, შემინდე ცოდვანი....

ტკივილი

ზამთრის სიცივეს გავუძლებ
სულის სუსხია, რომ განგრევს.
ტკივილს,გარეგანს, ვუწამლებ
სულისა-უმალ წაგაქცევს.
ამ მონატრებამ, უღმერთომ,
ზედ გულზე გადამიარა,
ფიქრები შენ დაგტრიალებს
მწველია სულის იარა.
რამდენი ღამე უძილო
შენზე ფიქრებში თენდება,
ჩემო მუდმივო ტკივილო,
ჭრილობა არ მიამდება.
საოცარია ცხოვრება,
არ იცი, რით გაგაკვირვებს,
ძნელია ჭირთგამკლავება,
აწ, კარგი თუ გამაკვირვებს.

გზა

გზა, გზა, გზა და ისევ გზა.....
გზა უსასრულო და გზა სასრული,
არავინ იცის საით წაგვიყვანს
გზა გასავლელი, ზოგჯერ ტანჯული.
რაც კი რამ ხდება,ალბათ კარგია,
ყველა გზა მაინც ხომ სადღაც მიდის,
კარგი იქნება, წინასწარ ვჭვრეტდეთ
ტაძრისკენ ნეტავ რომელი მიდის.
ყველანაირი გზა რაც კი არის
რთული,იოლი თუ ოკრობოკრო
ყოფიერების და ჩვენი სულის
გამომწრთობელი არის სამჭედლო.
ჩვენი ცხოვრების გზები ყოველთვის
ია და ვარდით არ არს ფენილი,

შენზე ვილოცებ

გულში ჩაგიკრავ,
მოგეფერები,
შენს მხარზე დავდებ
ჩემს თავს ანაზდად,
მე რომ უშენოდ
აღარ ვივარგებ,
ეს აშკარაა,
ხვდები შენც ალბათ.
გულში ჩაგიკრავ,
შემოგხვევ ხელებს,
მაგრად ჩაგიკრავ,
მოგეფერები,
დრო გადის ჩქარა,
ისეთ სისწრაფით,
ხვალ იქნებ აღარ
ვიყო, ვერ ხვდები.
შენც ჩამეხუტე,
აღარ გამიშვა,
ჩემი სუნთქვა ხარ,
ჩემი სიცოცხლე,
ერთსა გთხოვ მხოლოდ,
მუდამ გახსოვდეს:
უკანასკნელად შენზე ვილოცებ

მიყვარს

მ ი ყ ვ ა რ ს!
ვარდი ნამიანი,
მთვარე ღამიანი,
ცა ვარსკვლავიანი
მ ი ყ ვ ა რ ს!!!
კლდე ჯიხვებიანი,
მთა, ცად აზიდული,
ტყე წყაროიანი
მ ი ყ ვ ა რ ს!!!
მდელო მობიბინე,
ფარჩა-ხალიანი,
ყვავილთ სინარნარე
მ ი ყ ვ ა რ ს!
ცა ლაჟვარდიანი
და ზღვა მოციაგე,
გემი აფრიანი
მ ი ყ ვ ა რ ს!
მზე რომ კაშკაშებს და
სიო ტირიფს არხევს,
მისი სიყვარული
მ ი ყ ვ ა რ ს!
წვიმა ჟუჟუნა და
გასაგიჟებელი,
მისი თითო წვეთიც
მ ი ყ ვ ა რ ს!
თოვლის სიქათქათე,
თვალის მომნუსხველი,
მისი სისპეტაკე
მ ი ყ ვ ა რ ს!
კაცი გულიანი,
გული ხვავიანი,
ქალი შარმიანი
მ ი ყ ვ ა რ ს!
ფიქრი აზრიანი,
აზრი კი-– ფრთიანი,
ფრთები-– აღმაფრენი
მ ი ყ ვ ა რ ს!
ჩვენი სახეები,
ასეთი სხვადასხვა,
ზოგჯერ საოცრები
მ ი ყ ვ ა რ ს!
სახე მოცინარი,
ზოგჯერ დარდიანი,
ზოგჯერ საქმიანიც
მ ი ყ ვ ა რ ს!
მთლად ჭრელი სამყარო,
თავისი ავ-კარგით
და ა დ ა მ ი ა ნ ი თ მ ი ყ ვ ა რ ს!

მე ვარ ქართველი!

ჩემი სამშობლო ასე ძალიან ნეტავ რად მიყვარს,
მის ხსენებაზე გულის ცემა რად არს ძლიერი?
ფიქრით და გონით, მთელი არსებით რატომ ვარ მასთან?
ალბათ მიტომ, რომ თხემით ტერფამდე მე ვარ ქართველი!
მე ვარ ქართველი და ნამდვილად ვამაყობ ამით,
მადლობას ვწირავ ღმერთს, რომ გავჩნდი რჩეულ მიწაზე,
რადგან რაიმე, თუ კი არის წმინდა და კარგი,
დაგვნათლებია უფლისაგან ჩვენ ოდითგანვე!
თუმცა ყოფილა ჩვენს თავზედაც შავი ღრუბელი,
როს მოყვასისგან მიგვიღია ლახვარი ზურგში,
მაგრამ ასეთი შემთხვევები ძალზე ცოტაა,
სამაგიეროდ, მრავლადაა სიკეთე ჩვენში.
ქართული მადლი სულ სხვა არის, უფლისგან მოდის,
ღვთისმშობლისაგან კურთხეულია ჩვენი მთა-ველი,
დალოცვილია ყველაფერი, რაც არს ქართული
და მე ვამაყობ : ამ ქვეყნად მოველ, როგორც ქართველი!

9 აპრილი

რამ დაგვავიწყოს ის 9 აპრილი,
როს ქართველობას მოგვიწყეს კალო!
თავისუფლებისმოყვარე სულებს
ეშმამ მაინც რომ ვერაფრით ავნო!
მათი სულები აიჭრნენ ზეცად
და შეუერთდნენ მართალთა სულებს,
შთამომავლობა პატივს მიაგებს
სამშობლოსათვის შეწირულ გმირებს!
რა დაგვავიწყებს აპრილის იმ ცხრას,
როს ქართვლის გულზე გადაიარეს,
მაგრამ პასუხად, გულმართალ გმირებს
თვით ღვთისმშობელი მოჰბანს იარებს!
რამ დაგვავიწყოს აპრილის ის ცხრა,
უმანკო სულთა ცად ამაღლება,
როს ზეცა ჩვენი, კვლავაც გაბრწყინდა,
ეს მათ სულებმა იწყეს ნათება!
...დღეს ცხრა აპრილის დღეა ნათელი,
ეს დღე ვერაფრით გაფერმკრთალდება,
ჩვენი ერთობა, იმ დღის გმირები,
ქართველს არასდროს დაავიწყდება!

მაგული კორძაია

ექსპრომტი
პოეზიის საერთაშორისო დღისადმი

"პოეზია
უპირველეს
ყოვლის"!
ეს,ძალაა, სიტყვის
თქმის და მოვლის.
სიტყვა, სიტყვა
საწყისია ყოვლის.
სპეტაკია,ვით
პირველი თოვლი,
წმინდაა,
დასვრა არ ეგება
რომლის!
"პოეზია უპირველეს ყოვლის"!
ის ელჩია,ცა და მიწას
შორის,
პოეზია არც გიცნობდეს
იცის,
საიდან ხარ,ვინ ხარ,ვისი გორის!
პოეზიას თუ შებედავ
ისე,
ფიქრადაც კი აზრი გქონდეს მქისე,
ადგება და ჯანდაბაში
გისვრის,
შვილიც იყო,წამში
გაგასხვისებს!
პოეზია,ეს,კმევაა
ნათლის,
და სიცოცხლის წერტილია
_ათვლის.
პოეზიით "დასნეულდით"
ყველა,
ვინც კი ლექსით სუნთქავთ,ჩემი
ჩათვლით!✨✨

+
გავექეცი ჭრელ ამბავთა ხოროს,
ვერ ვიცილებ
"ურდოდ "ქცეულ კალამს,
ბედისწერის ბადეს ხლართავს ჟინი,
მიწა დუღს და
ფიქრსაც ვეღარ
ვკალავ.
რა უნდა თქვას,
აბდაუბდა ხნულით
სარეველა
მოსდებია ყანებს,
ლექსში სიტყვის
გასამარგლად მისულს,
"ტაშფანდურით" მეათასედ მკლავენ...
გული მკილავს:
-აბა როგორ ჩივი,
თავო ჩემო,
რად მექეცი "ხუნდად",
ვიდრე შენ აქ აბდაუბდას უბნობ,
დედამიწა ასჯერ გადაბრუნდა...
ვერსაიდან მივუყვებით
ვერსად,
ვერ
ვკაფეთ,ვერც ეკალი
და ბარდი,
რა ხანია გზის მკვალავიც არ ჩანს,
ფიქრის ნაცვლად შიში
დამაქვს ჩანთით...
სხვას იმდენჯერ "მივაყარეთ მიწა",
სიტყვამ რა ქნას,
გული აღარც უცემს,
"უსახსრობით"
გადაღლილი ლექსი
მზემ მომტაცა
და გულმკერდზე უწევს!
შერცხვენილი ფეხისწვერზე ვდგები,
რომ გავექცე
ჭრელ ამბავთა ხოროს, დაჩეხილი სინდისისთვის
დავყვე,ცა და მიწას პატიება ვთხოვო!

მერე რაა...

ცივია
ქალაქის ქუჩები,
ავად მღერს,
მერე რაა,
-"არიას"...
უცხო და ურცხვია
ბრბო,წუთები,
საათები,დრო...

ამინდიც მარტივით ირევა, თოვს,
ქუჩები მზეს ყლაპავს,
თან რკინის "ბადექონს"
ქსოვს...
ნაბიჯი და გულიც მერევა,
ქალაქში დასვრილი ქარია,
ავად მღერს,
მერე რაა

– "არიას"...
ბოროტი მაკდება,
ვნაკლდებით,
დავკავდით,
ერთურთის აკლებით!
მერე რაა....

ბავშვობას ვთამაშობ, ვთამადობ...

მზე სულში მეღვრება,
ვთამაშობ,
ბავშვობას,გული ძგერს ძალუმად,
კოცონზე გამკრთალი ალი კი
გრძნობების ვაქციე სამუმად...
ვთამადობ,
ჩემს თავთან,
ალავერდს ვუგზავნი ფერნამკრთალ
თითებით,
წვეთ-წვეთად დაცლილი სასმისით
წერტილს ვსვამ
ბავშვური მითების...
მთრთოლვარე
მხრებით
და უბელო _აზრებით
გავხედნე ვარამი,
სუფრასთან შევნიშნე მელუკმე,
თვალხარბიც,
_ტაშს უკრავს,
არვინ...
ბავშვობას ვთამაშობ,
ვთამადობ,
ნაღვერდალს
გადასდის ალმური,
იქ სუფრის ბოლოში შევნიშნე
ისარი,
მშვილდი და
ამური...
მზე სულში მეღვრება,
თამადამ
მე და თქვენ
ბავშვობა
გაგვანდო,
გულსისხლით დაწერილს გიტოვებთ,
გავა დრო...

ექსპრომტი

ქრისტე აღდგა!
მადლმდინარეს ჯილდოდ ვხედავ,
თქმასაც ვბედავ,
სულ მუდამ ათინათობდე,
ჩვენო დედავ და დიდედავ!
სიკეთისთვის თავს აჯობე,
სანთლად ჩამოქენი ურვა,
შენი კეთილშობილება
ცრემლს მოადენს თვითონ მურვანს!
მჯერა სანთელ-საკმეველი,
გზას დღემუდამ გაგინათებს,
ზღვა მარგალიტს ვერ დაიტევს,
მიწა ყვავილს შენგან ნათესს.
როგორ შევძლო მოგეფერო,
რაც ზრუნვაში ღამეს ათევ,
ერთს კი გეტყვი, შენ ხარ ჩვენი,
მზენაკლული სულის მნათე!

საღიმილო

სითბო ულუფა გაზაფხულებით
ზამთრის ნასამხრალ ყინულებს ვალღობ,
ტუჩის კუთხეში მქრქალი ღიმილით,
მივხვდი რომ ახლა ცხოვრებას ვბალღობ...
დილით ვდგები და სულის სარკმლიდან
ცასა და მიწას ვეჩურჩულები,
დღემდე რომ ღია კარებით ვცხოვრობ,
იმ სამადლობელს ვამბობ ბუნების.
გიშრისთვალება ლექსებად ვკინძავ,
რაც კი ვეომე ქარს და ბორიოს,
თვალებს ვხუჭავ და კოცნას ვუგზავნი,
ჩემგან ნაშენი გზების გონიოს!

---

*გონიო – სამშენებლო ხელსაწყო, სწორი კუთხის გამოსაყვანი#

* * *

ოჰ,როგორ არ უხდება
სტრიქონს
მიდებ –მოდება,
როს სიმღერას ვაპირებ,იქ გამომდის გოდება...
მივუყვები ფოლორცებს,
ვეძებ სიტყვის აკიდოს,
ეს ამდენი ღრუბელი მზეზე ფეხით დავკიდო...
თქეში ნამად ვაპკურო,ვთქვა :
-მზისფერად
ამინდობს.
თორემ,ვატყობ,
სოფელმა თავიც აღარ დაინდო.
ღიმილს ჩვილად დარჩენილს,
ღელვა გავუნაპირო,
ტუჩის კვნეტა
ვუამო,დარდად
მხრჩოლავ პაპიროსს...
ვაი-ვიშმა კარებში ვეღარ
შემოალაჯოს,
შერცხვეს ყველა
სისუსტეს,
ქვეყნად ყველა განაჭორს,
ტკბილი სიტყვის აკიდოს მარცვალ-მარცვალ
ვდარაჯობ,
მივუყვები ფოლორცებს,
დრომ ლოდები
ამკიდოს,
მაინც შევძლებ,
მზის წნული
სიყვარულად
ჩავკიდო!
მე იმ ქვათა ჟინი მჭირს,
სულს რომ ადუღაბებდა,
ვარ,კლდის ქიმი,
იმ მოდგმის,
არასდროს რომ
დანებდა!
"გაქცევა და წაქცევით"
ნირი როგორ ვიცვალო,
სიტკბოს ლექსად ჩავწურავ,
რაც არ უნდა
ვიწვალო!
ოჰ,როგორ არ უხდება,
სტრიქონს
მიდებ-მოდება,
სიტყვავ
ნათავედარო,
-დარჩი ჩვენთან,
წოდებად!

ნდობა

ვწერ და თუ რას ვწერ,
ძვირს ნუ დამიჯენ,
უბელო სიტყვებს მე რას დავიჭერ,
ჩემში ღიღინმა თუ ამოხეთქა,
შენ,იქვე ყელში,გთხოვ,
ნუ წამიჭერ...

აცალო იქნებ
წამისწამი,ჯერ...
მზე მეც შემპირდა
ბწკარებს,
ნარინჯებს,
გთხოვ,ჩემ "სისუსტეს" ნუ დააბიჯებ,
დრო უჩვენოდაც
გაავლებს მიჯნებს.

ცა განა მიწის ფერებს აირჩევს,
აქ როგორადაც
უნდა გაირჩეს,
ლექსის ხმა თავის წარსულს დაიმჩნევს!

და თუ იმ ხმაში
გაკრთა ბზარი და
ხრინწმა სათქმელი დააზიანა,
ნურც იქ ამკიდებ
გოლგოთის ჯვარს და
მკითხე,
რა იქცა ჩემში იარად.

თუნდ გზის გაკვალვა ზღაპარიც იყოს,
უარი არ უთხრა,
შენს თავში ნდობას,
ვიდრე ხმაურით "ნიშანს" დამიწერ,
მკითხე:
რა იქცა,ჩემს სულში ობად...

მზე ცას ენდობა,ცა დედამიწას,ადამიანში
"სამებას" იცავს.

ესაა ამ წამის ავანჩავანი,მე,შენ და ღმერთით
რაც უნდა მეთქვა,
სამყაროს შეცვლი თუ დაიჯერებ,რომ ნდობა
მხოლოდ სიკეთედ ფეთქავს!

* * *

ხან როგორც ჭვალი მომივლი,უცებ,
"ქარწაღებული"
გრძნობების ექო,
როს შუბლდაღარულ
ნაოჭის ხნულში, შენს დიადემად
მსურს ჩავილექო!
არას დავეძებ რას მიყვებოდნენ,
მსტოვრადქცეული დღეები,
-რამდენს...
ჩემს პასუხს არც როს დალოდებიან,
ოცნების კიბე წვდებოდა
ცამდე.
ახლა უნებურ,ქვეშეცნეულად,
ფერებს ვუმუქებ
ხსოვნის პალიტრებს,
რადგან უჩემო,
შენი ფუნჯები,
არ დაემგვანოს
მორგის "სანიტრებს."..
ხან როგორც ჭვალი მომივლი,უცებ,
"ქარწაღებული"
გრძნობების ექო,
შუბლის ღარებში დავსეირნობ და
მოგონებების
ფერწერით ვცელქობ!

გაზაფხული გოგონები...

ახლა გაზაფხულებს გავლუმპავ და გულსაც გასაფრენად გავახელებ,
ყელში თუ მომიჭერ სოფელო და ბარემ მომდექი და დამახველე...
ნეტავ დაგანახა აპრილობას
როგორ ტკარცალებენ
გოგონები,
(დედას გეფიცები გახდებოდი,წყარო
თავანკარა მოგონების.)
უნდათ ყვავილებად ღვივიან და
მორცხვი მიმოზებით
გვაპურებენ,
მათი გაზაფხული შეშურდება,
მზესაც დედამიწის
"მაყურებელს".
სანამ გაზაფხული
დანავარდობს,
წამო,გამომყევი
სანავარდოდ,
აპრილს ღილკილოზე
დავუსკუპდეთ,
დრო თუ ჭირვეულობს,
ჩვენ გავართოთ!

ფიქრნამსხვრევები...

დუმხარ და უსმენ
წარმავლობის
ხმაურს და გნიასს,
სულს იდუმალი
აფართხალებს
სიმაღლის ღელვა,
ხელს თუ ჩასჭიდებ
შინაგანი ვნებების ელვას,
გაუნაპირებ, ადამისგან "ძილდამფრთხალს"
-ევას... და უარყოფას
ადევნებულ დღეებს მოცელავ,
სხვა სიხარულით
შეაბიჯებ ნათლის წიაღში,
მიუსაფარი გრძნობებისთვის წამალს იპოვი,ამ წუთისოფლის
უთავჟამო რიარიაში.
ოცნებებს ნუღარ
გაამწესებთ მხოლოდ ზეცისთვის,
ფიქრნამსხვრევებო გადაკეტეთ ჰორიზონტები,
ცად რაც ნისლია სიყვარულის არის ბლონდები,
მზედ აქციეთ და ამ მიწაზე აქვე ცხონდებით!

ბიჭებო

ღმერთო,აწი რამ მომამშიოს,
არ დადის არავინ "გადაცმული"...
თქვენ ჩემი სულის "ძმაბიჭებო"
დაე, მარცხის იყოს დასასრული!
დღეს სხვა ქორბუდა ირემი ვარ,
დავალ და ზეცა გულით დამაქვს,
სამყაროს უნდა გავაგონო, ქართველი
ასე იხდის ამაგს!
ვაჟას არწივმა დაიქუხა, აქ ვარ
და დაჭრილი ვარ
განა, "ძმაბიჭებს" უნდა ვენაცვალო,
მზექართულს პირი
რომ დაბანა!
დიდგორს ალავერდს გადავდივარ,
აუჰ, ვინ დავზარდეთ ამფერები,
იმ ღამით ახლიდან დავიბადეთ,
გვჯერა სხვაგვარი გათენების!
ჩვენში ფიცვერცხლით ნაპურები, ერთობის მადლმა დაივანა,
თქვენს გამზრდელ დედას ვენაცვალე,
და თქვენთვის ნამღერ იავნანას.
ღმერთო აწი რამ მომამშიოს,
არ დადის არავინ "გადაცმული,"
ეს "ძმაბიჭების" ნაფერები,
ერთობის სისხლია გადასხმული!

ლამზირა შეყილაძე

უვნებლად გაგიყვან

ღამეა... წყვდიადი მიბინდავს გზა-სავალს,
და ავი ზრახვები საგულეს მწვდებიან.
მოდიან მიხშობენ ზეციურ აღსავალს,
სამყაროს ნისლები ჩემს მკერდზე წვებიან.

ნისლების გადაღმა დაღლილი მთებია,
ქარები დაქრიან, ურჩი და თავნება.
ჩემიდან შენამდე სიცოცხლის ველია
არ ვიცი სიცოცხლე სად გამითავდება.

ქარი და ავდარი, ერთურთში დაობენ,
შუაში ვდგავარ და წვიმები მასველებს
ცრემლები ღაწვებზე ნიაღვრად ჩამომდის,
ვიღაცა ოხუნჯი მიღრენს და მახელებს.

სამოსი მეკვრება გალუმპულ სხეულზე,
მცივა და საცაა კანკალი ამიტანს.
ხავსივით ვკიდივარ ერთადერთ იმედზე
მოხვალ და ამ წრიდან უვნებლად გამიყვან.

დედამიწა და ზენაო

წმინდა გიორგის ძალავ და
თქვენ სალოცავნო ყველაო.
ყოველ ქართველთა გულებში,
აცოცხლე უფლის რწმენაო.

ყველას ოჯახში მზე იდგეს,
სიყვარული და ლხენაო.
უფლის წყალობა გვათბობდეს,
გვენთოს სიცოცხლის კერაო.

კარდაკარ შუქი დაგვქონდეს,
ციურ მნათობის ხელაო.
რომ სიყვარულით დავათროთ,
დედამიწა და ზენაო.

სულმა და გულმა ილხინოს,
გულს ავარიდოთ წყენაო.
გვახსოვდეს ყოველ ტკივილის,
მალამო არის თმენაო...

მე და მამა

ქვევრს ვხდიდით შუაღამისას,
მთვარე დაგვიხვდა ქვევრში,
გადაბადრული იერით
თასი ეჭირა ხელში.

მამას ახარებს სტუმარი.
იქვე გაშალა სუფრა
ვარსკვლავნიც მოიპატიჟა,
მთვარემ მადლობა უთხრა.

იდგა სიცოცხლის სურნელი.
გაბრწყინდა არე-მარე,
მეზობლებს გამოეღვიძათ,
ისე ლხინობდა მთვარე.

შემოემატნენ სტუმრები,
ჭურისთავს იდგა ლხინი
დალოცეს უფლის განგება,
ვაზი და ვაზის ძირი.

ქვევრი ბოლომდე დაცალეს
ვაზის ნაჭურით დათვრნენ
გარიჟრაჟამდე ილხინეს,
მერე... ლაჟვარდებს გაჰყვნენ...

მითაჟამიდან მოდიხარ

ვებრძვი სამშობლოს გამყიდვლებს,
ყველას დუელში ვიწვევ
დღით გაცხარებულ ომში ვარ,
ღამით ჭრილობებს ვიხვევ.

არ მინელდება სიბრაზე,
ბოროტს და ორგულს ვკვესავ.
ჩემი სამშობლოს დაჭრილ გულს,
სულის ძაფებით ვკემსავ.

არ ვუშინდები ვამპირებს,
მკლავენ და არა ვკვდები.
პაპის სულს ფიცი მივეცი
უნდა გავჟლიტო მტრები.

ომებმა ისე გამომწვრთნა,
ღამეც ხმალი მაქვს ხელში.
მტრის ჯარს მრუდე გზით ვატარებ
იმედს ჩავუკლავ ყელში.

მითაჟამიდან მოდიხარ
ჩემო ტანჯულო ერო.
მარადისობის შვილი ხარ
მზისტოლო საქართველო...

უშენოდ

ისევ მოვიდა უშენოდ მაისი
და სულში ჩამიდგა წვიმა და ავდარი.
ვიცი, რომ ამ ყოფას ვერავინ შემიცვლის
სიცოცხლეს მიმწარებს სიკვდილის ავქარი.

რარიგად გიყვარდა მაისის სიჭრელე.
დედისთვის მოგქონდა წითელი ვარდები,
შენ იყავ ამ გულის ფიქრი და ოცნება
ახლა კი გულს მიხრავს ცრემლი და დარდები.

მას აქეთ... ომი მაქვს, უდიდეს ტკივილთან
სიცოცხლის წყურვილი დარდებით ჩავქოლე.
ვერასდროს გააღწევ დედის მწველ ფიქრიდან
შეშლილი ფიქრების ამალა
დამტოვე.

უშენოდ ამ კედლებს ღიმილი დააკლდათ.
ამ ჭერქვეშ სიკვდილის აჩრდილი მაწვალებს.
ჩემს საძვლეს შენს გვერდით სათუთად მინახავ
გვირაბთან დამხვდები დაღლილს და ნაწამებს...

ირმა ტყემალაძე

"დედა მიყვარხარ"

დ- როს შენს სახეზე ნაოჭები მოუტანია,
ე- რთი შეხედვით არც კი იმჩნევ
თითქოს და დედა,
დ- აბერებულხარ, ჭაღარასაც მოუმატია,
ა- ხალგაზრდობა გაფრენილა
რა უცაბედად.

მ- ოუმატია შენს თვალებში ფიქრებს
დარდიანს,
ი- ღიმები და ღიმილს მიღმა სევდა
ბინადრობს,
ყ- ოველდღე ხვდები წლები
როგორ სწრაფად გარბიან,
ვ- ელური ღელვა ახალგაზრდულ ვნებებს
მიაპობს.
ა- რ იმჩნევ თითქოს არ გაშინებს წელთა
სიმრავლე,
რ- ატომღაც არც ეგ ნაოჭები გადარდებს
თითქოს,
ხ- ალისიც ისევ შეგრჩენია და ის
სილაღეც,
ა- სე ძალიან ბავშვობიდან მე გულს რომ
მითბობს.
რ- ოგორ მიყვარხარ გული რამდენ
რამის თქმას ითხოვს,
თუკი ოდესმე გაწყენინე შენდობას
ვითხოვ.

"დიდება უფალს"

დ--იდება შენს ძლიერებას ღმერთო,
ი–-ყოს ნება ყოველივე შენი,
დ--აგვილოცე ჩვენი საქართველო,
ე--რთიანობის მოჰმადლე დღენი,
ბ--ევრი დავკარგეთ ისედაც მიწა,
ა--ღარაგვაქვს დასაკარგი მეტი,

უ--ფალო ჩვენ ჩვენს სამშობლოს ვიცავთ
ფ--ეხს ვერასდროს მოიკიდებს მტერი,
ა--ღარ დავთმობთ ჩვენ არც ერთ გოჯ მიწას
ლ--ოცვითა და კურთხევითა შენით,
ს--აქართველოს მთლიანობა გვინდა.

"პატრიარქს"

პ_ ირველ რიგში ჯამრთელობას გისურვებთ
ა_ რ მოგვშლოდეს შენი ლოცვა_კურთხევა,
ტ_ ვირთს ცხოვრების გზაზე რომ გვიმსუბუქებ
რ_ ომ გვარიდებ მრავალ უბედურებას,
ი_ ზიარებ შენი ქვეყნის სადარდელს,
ა_ რსებობ და ჩვენც იმედით ვივსებით,
რ_ წმენისაკენ მოგვიწოდებ, ქადაგებ,
ქ_ რისტეს ჯვარი რომ ვატაროთ ღირსებით.
ს_ იცოცხლეს და წლებს გისურვებთ ბევრსო
ჩვენი ქვეყნის ტკბილო უწმინდესო.

* * *

არ ღირს სადარდებლად
თუ ვერ დაგიფასეს
შენი გულწრფელობა,
შენი სამართალი
და თუ სანანებლად
საქმე გაგიხადეს
გული არ გახადო
ბოღმის სამართავი,
ვინმეს სიბრაზისთვის
ფიქრი არ გახარჯო
და არც უმიზეზოდ
ცრემლი არ დახარჯო,
თუკი ვერ მიიღე
გრძნობა სათანადო
თუკი სევდა გთრგუნავს
სატკივარის მსგავსი,
განა სულში ყველა უნდა ათამადო??
განა ყველამ იცის გულწრფელობის ფასი??

* * *

ანბანზე

ა--სე უთქვამს მაკედონელს
ბ--ევრს ანახეთ კუბო ღია,
გ--აიგონ რომ ისე მოველ
დ--ა არც არა წამიღია.
ე--ს ცხადია, ასეც ხდება,
ვ--ის რა მოაქვს რომ წაიღოს,
ზ--ოგი ამას გვიან ხვდება,
თ--უმცა არ სურს რომ გაიგოს,
ი--ბრძვის რამე დააგროვოს,
კ--ეთილ ზრახვებს აიგნორებს,
ლ--ოცვაც მხოლოდ მაშინ ახსოვს
მ--ტრის რისხვას რომ გაიგონებს.
ნ--უ გგონიათ რომ სიცოცხლე,
ო--ქრო ვერცხლით იყიდება,
პ--იარია ეს იცოდეთ
ჟ--მოტი კაცის ქადაგება.
რ--ოგორც ცარიელი მოხველ
ს--ამყაროსაც ისე ტოვებ,
ტ--ყუილია, რასაც მოხვეჭ
უ--ფლის გზად ვერ გაიყოლებ.
ფ--ასი მხოლოდ იმას ააქვს,
ქ--ვეყნად კარგი რა დათესე,
ღ--მერთი მარად დაინახავს
ყ--ოველივე კარგის მთესველს.
შ--იში "სიბოროტის" კაცში
ჩ--ვევად უნდა დაინერგოს,
ც--დები თუკი ფიქრობ მაშინ
ძ--ალადობა რომ შეგერგოს.
წ--უხან მერე..... უკვე გვიან....
ჭ--ეშმარიტებას რომ გმობენ,
ხ--ალხნო დროებითობა რომ გვქვია
ჯ--ერ ამ ფაქტს რომ ნათლად ვცნობდეთ
ჰ--გავს დედამიწა სამოთხეს??.

* * *

ჩემი სოფლის შესასვლელში
მუხა იდგა ბებერი,
პატარა, თუმც შესამჩნევი,
რაღაც სულ სხვა ელფერით.

ერთხელ მის ჩრდილს შევეფარე,
დილა იყო მზიანი,
ახლაც მახსოვს მისი ჩუმი
ბევრის მთქმელი შრიალი.

"დავბერდიო, ჩამოვხმიო,
დრომ შემაჭკნო იერი,
უწინ როგორ ვხარობდიო
ფესვიც მქონდა ძლიერი.

ახლა თითქოს ვიღლებიო,
ჩრდილიც არ მაქვს ისეთი,
დიდხანს ვეღარ ვიდგებიო
მომაკითხავს ხის მთლელი".

ყურს ვუგდებდი მის შრიალს და
თითქოს მეღიმებოდა,
დავცინოდი საკუთარ თავს,
ხის საუბრის მჯეროდა.

გაიარა დრომ და კვლავაც
სოფლად მიმიხაროდა,
რომ მივედი მის ადგილას
სხვა ნორჩი ხე ხარობდა.

თითქოს გულში რაღაც ჩამწყდა,
ბებერ მუხას ველოდი,
გეფიცებით, რომ არ დამხვდა,
განცდას ვერ ვერეოდი.

* * *

ღმერთო ისმინე ჩემი ვედრება
ჩემს გულწრფელ თხოვნას დაუგდე ყური,
მთელს სამყაროში ყოველი დედა
იყოს შვილებით გახარებული

არ აუტირო დედას თვალები,
არ დაუმძიმძიმო გული სევდისგან,
ღმერთო ძლიერო გემუდარები
ლოცვა ისმინე ყველა დედისა.

გთხოვ ყველას ნატვრა რომ აუსრულო
შვილზე ყოველი, შენთან ვედრება
და არასოდეს არ დაუსრულო
დედაშვილური ბედნიერება.

* * *

ღმერთო ყველა ბავშვის ნატვრა აასრულე
მათი ტკივილი და ცრემლი დაასრულე,
დღენი მოუვლინე ყველას მადლიანი,
ქვეყნად აღარ იყოს ბავშვი ნაღვლიანი.

ხათუნა ციმაია

ცრუპენტელა წვიმა

ცრუპენტელაა წვიმა
სისხამზე,
დამასველებს და
გარბის.
ფუჭი ოცნება
ოცნებად რჩება,
მარტის მარტობა
წამს შლის...

იასამანსაც ფიქრთ
ენანება ცრემლთ
ნაკადული დილით,
ღია სარკმლიდან
აისის მზერა
თავჩაქინდრული,
რიდით...

ზარების რეკვა
მაფხიზლებს ფიცხელ,
ღმერთო, რატომ
ან რისთვის?!
წამის წამებში
გაპარულ წამებს
ნუთუ ვინახავ
სხვისთვის?!

რიჟრაჟზე მტუმრობს
ცინცხალა სხივი,
ნატვრა ნატვრაში
წამს შლის.
ვერ ვეგუები
მარტოობას და
უძილო ღამის
კვალს ვშლი...

ცრუპენტელაა წვიმა
სისხამზე,
დამასველებს და
გარბის.
ფუჭი ოცნება
ოცნებად რჩება,
მარტის მარტობა
წამს შლის...

ჩიტისგულა ვარ...

წლებია ვებრძვი
შენს მონატრებას,
ჯიბრში ჩამიდგა
მთვარე,
მარტის მარტობა
მომადგა კარს
და ხელს შუა
გაძვრა ღამე...

კაეშნით სავსე
ფიქრებთან ვრჩები,
ღმერთო, ფრთხიალებს
გული.
ჩიტისგულა ვარ,
ვერ გავიზარდე,
შორეთში დამრჩა
სული...

გადიდკაცებულ
სიკვდილს უარვყოფ,
ვეღარ გიმეტებ
მისთვის.
მწვანე მწველ
თვალთა სიშორე
მტკივა...
უფალო, ნეტავ
რისთვის?!

იწვის სანთელი...
წამის წამებში
ცრემლი დაედო
სახეს.
ნატვრა შემომხვდა
ამ გაზაფხულზე,
ზოზინით მიდებს
მახეს...

წლებია ვებრძვი
შენს მონატრებას,
ჯიბრში ჩამიდგა
მთვარე,
მარტის მარტობა
მომადგა კარს
და ხელს შუა
გაძვრა ღამე...

სულის ფეთქება

ლექსი, რომელიც
სისხამზე მსტუმრობს
ჩვენს სავანეთში
დაიდებს ბინას.
ფიქრით ალიონს
დაენანება, წამის
წამებში დასეტყვავს
მინას...

ოხ! ეს ლოდინი!
გულს როგორ
მიღრნის,
აღარ ეშვება
დილას ზმანებად.
მარტის მარტობას
ძლივს მივეჩვიე,
წვიმის წვეთებსაც
ძლიერს, თავნებას...

სტრიქონმა გამცა...
ამოვიკითხე შენი
თვალების შემოფეთება.
მარგალიტ ნაქარგ
სტროფებში ღმერთო,
წამომეწია ნატვრა
ფეთებად...

ბუინობს მარტი,
ვერ ვიმორჩილებ
წამში წამებს და
წუთაფეთქებად
შორეთი მსტუმრობს,
სიმწვანე თვალთა
კალამს რომ
ერჩის სულის
ფეთქებად...

ლექსი, რომელიც
სისხამზე მსტუმრობს
ჩვენს სავანეთში
დაიდებს ბინას.
ფიქრით ალიონს
დაენანება, წამის
წამებში დასეტყვავს
მინას...

წვიმს...

გადაუღებლად აწვიმს
დარაბებს,
ღმერთო, რა
ჭინჭყლა, სველი
მარტია.
წვიმა აპკურებს
წამწამთ ცრემლებს
და მხრებზე
მედება ნატვრის
მანტია...

ვცდილობ მოვირგო
ბედნიერება...
არადა, სევდა
ძალზე დიდია.
უშენოდ ყოფნა
მეტკინა ღმერთით.
შენთან ყოფნა
კი მხოლოდ
მითია...

ღია სარკმელი...
ცივი ნიავი...
ფანჯრის მინასთან
მარტი ქაცვია.
წამის წამებში
გამძვრალი წამი,
ტუჩის კუთხე
კი ნაოჭპრანჭია..

შეფერილ ყვრიმალს
ცრემლი დაეცა,
თან გაიყოლა
ნატვრა პაწია.
წუთი შეკრთა
და წამმაც უმტყუნა,
გარეთ წვიმაა
ანცი, პრანჭია...

გადაუღებლად აწვიმს
დარაბებს,
ღმერთო, რა ცივი,
ჭინჭყლა მარტია.
უხვად ეპკურა
წამწამთ ცრემლები,
 მხრებზე
მედება ნატვრის
მანტია...

მტკივა

დღეს სიყვარულის
მანტიას ვირგებ,
ვცდილობ არ
ავყვე დარდს.
თუ ჩემად
გაჩდი, ნუღარ
ქრები და ნუ
შემატოვებ მარტს...

ქაფქაფა ტალღამ
არია გონი,
შენი სურვილი
მკლავს.
შემოვაბერდი
ნატვრას და მგონი.
ნატვრა ნატვრაში
მჭამს...

მარტი მარტობს
და ბოგინობს
სულში,
წამის წამობა
სურს.
ღმერთო, დამინდე,
სევდაა გულში,
უდარდელობა მშურს...

დილიდან მიტევს
ფიქრი ფიქრში
და ფიქრებით
შევწვდი ცას.
მწვანე მწველ
თვალთა სიშორე
მტკივა,
რა მოვუხერხო
მას?!

დღეს სიყვარულის
მანტიას ვირგებ,
ვცდილობ არ
ავყვე დარდს.
თუ ჩემად
გაჩდი, ნუღარ
ქრები და ნუ
შემატოვებ მარტს...

ქეთევან გელაშვილი

* * *

მიყვარს მზე და მიყვარს მთვარე,
ღვთისნიერი ცხოვრება,
დედამიწა ,პურის ყანა,
მუხის ხე და ცხონება.

მეგობარი, ნათესავი
არ დამსმელი დაღისა,
ია-ვარდით მოქარგული
მსხალ-ატამი ბაღისა.

არას ვერჩი არც მეზობელს
ცხოვრება ხართ გულისა,
უთქვენობა არ გამოვა
სიტკბო ხართ ამ სულისა!

სამშობლოზე ძვირფასი ხომ
არსად არის ცხოვრება,
ხო !ეგ არის სიყვარული
და ეგ არის ცხონება.

ყველა გათენებულ დილას
მივეგებოთ სინათლით,
უფალს თვალი გავუსწოროთ
სიტყვა უთხრათ სიმართლის

მიყვარს ჩემი საქართველო
ჰორიზონტზე გავხედავ,
იას მოვწყვეტ, ვარდსაც ვნახავ
და ბალახსაც გავცელავ!



ვუძღვნი ბეჟან ხარაიშვილის ხსოვნას.

ვის შეადრით თქვენ ამ პოეტს,
აზრთა სიტყვის პატრონს
უბრალოს და ნიჭიერსა
ყველას ამყოლს დამყოლს.

მან იცოდა ბავშვი,ქალი,
ბატონობით საუბარი
გამჭრიახი, გონება და
ენა-ტკბილი მოუბარ.

საამაყო ჩვენი ქვეყნის!
გამოზრდილი სოფლის სახლში,
თვალსაჩინო აღნაგობის
ღირდა გამოჩენა ხალხში.

მას შექება არ უნდოდა
დახვეწილი ქონდა ნირი,
ჩემს ბავშვობის მოგონებად
მიმაჩნია, როგორც გმირი!

თქვენზე დავწერ ბეჟან ძმაო,
რომ ნათელი არ მოგაკლდეს
უეჭველი მად შევხვდებით
და მოვყვებით ხვანის ამბებს.

კვიპროსი.

"ანდრია" ანზორ შერვაშიძე

* * *

მე მახსენდება ჩვენი შეხვედრა,
უნებური და დაუგეგმავი,
შენი თითების შეხება ნაზი
და მოფერება გაუბედავი.
  დროც კი გაჩერდა თითქოს იმ წუთას,
  გიციალებდა თვალებში ცრემლი.
  ჩუმად მითხარი: "როგორ იტანჯე,
  შემოგპარვია წვერებშიც ვერცხლი".
მახსოვს ხელკავი გამომდე უცეფ,
მეტად ბნელოდა, მიჭირდა ხედვა,
რაკი მოვშორდით ხალხსა და ნათელს
შენ მოინდომე კოცნა და ხვევნა.
  ვიცი რომ წყენად ჩაგრჩა ის წამი,
  გითხარი: "რავქნათ თუ დარჩი ქვრივად,
  შენ მას გაჰყევი, ის აირჩიე
  და დღესაც მისი მეუღლე გქვია".

* * *

დღეები დღეებს მისდევენ,
კალენდარს აკლდება ფურცლები,
დუმილში გადიან დღეები,
რამდენი რამ რჩება უთქმელი.

შენ შენი დარდები გამძიმებს,
მე ჩემი ტკივილი მაწამებს,
შენ ღიმილს აფარებ შენს დარდებს,
მე ცრემლი მისველებს წამწამებს.

ცდილობ რომ შენს გვერდით მამყოფო,
სითბოს და სიყვარულს მპირდები,
მე ვგრძნობ რომ შენს იქით გზა არ მაქვს,
ჩვენ ახლა ერთმანეთს ვჭირდებით.

* * *

მერის

როდესაც გავიგე
  რომ უკვე გათხოვდი,
მეგონა: "ეს განცდა
  სულს ხორცთან გამაცლის"
თითქოსდა ვიღაცა
  გულს ხელით მაცლიდა,
თითქოსდა უდიდეს
  ბრძოლაში დავმარცხდი.
დემონის ოცნებას
  მოჰგავდა ის ღამე,
ცხენს დეზი შემოვკარ,
  მივუშვი სადავე,
გაფრინდა მერანი,
  უგზოდ და უკვალოდ,
მომწყვიტა დარდის და
  ფიქრების სათავეს.
და მაინც თითქოსდა
  ბოროტი ხმა მესმის:
"ის შენი არ არის,
  ის უკვე წავიდა"
მომყვება ეს ხმა და
  კივილით ჩამძახის:
"მარტო ხარ, მარტო ხარ
  ამ მწარე წამიდან."

* * *

გამზრდელო მთებო ალპებიდან
  მოგიძღვნით სალამს,
ოო როგორ ძლიერ მომენატრე
  სამშობლოვ ჩემო,
მე უშენობით ფრთამოტეხილ
  მიმინოს ვგავარ
თუმცა ჯიუტად თავისუფლებას
  კი მაინც ვჩემობ.

* * *

ნეტავ თუ შესძლებს
  სიტყვის ოსტატი
ეს განცდა სრულად
  გამოთქვას ნეტავ,
როცა ერთი გყავს
  სამყაროს ცენტრად,
როცა ერთ ქალში
  ყველა-ფერს ხედავ.

* * *

გალაკტიონში არის დემონი
და ჩემში უფრო ანგელოზია.
"ტერენტი გრანელი"

× × ×

გრანელში მართლა ანგელოზია,
გალაკტიონში უფრო დემონი,
მე კი ისეთი გავჩნდი ამ ქვეყნად
არცერთ მათთაგანს აღარ ვემონვი.
გალაკტიონში თუ მიწა ყვავის,
ხოლო გრანელში ზეცის სხივია,
ჩემი ლექსები, სულის ძახილი
მიწიდან ცისკენ გზა და ხიდია.

გრანელის ლექსში უფსკრული მოსჩანს,
გალაკტიონში ლურჯი ფერია
და ჩემს ლექსებში უფსკრულით ცამდე
თუ რამე არის ყველაფერია.
დღე ნათელი და მზიანი დგება,
ახლა თენდება, სრულად შვიდია,
ჩემი ლექსები გავფანტე ხნულში
და დღეს დღე ბევრად უფრო მშვიდია.

მეტამორფოზი

I

ბილიკზე მავალს ერთ უკუნ ღამეს
ხმა შემომესმა; შველას ითხოვდა,
გადავუხვიე, ტყეში შევედი,
ქალი დავლანდე, ხესთან მიხოხდა

მივუახლოვდი კვნესოდა ქალი,
ვით ჯოჯოხეთში წამებულ სულნი,
სადღაც შორიდან ყვავის ხმა მესმა
თუმცა კი იყო უკუნი სრული.

ადგილს ვერ ვცნობდი, ჰაერში იდგა
უსიამოვნო, ჭაობის სუნი,
კნავილით კატა დაშლიგინებდა,
სულს მიყინავდა სიბნელის სუსხი.

ქალთან მივედი, წყნარად ვუთხარი:
"ვინახარ ან აქ საიდან გაჩნდი?
მან მიპასუხა: "აქ ძალა ბუდობს
და უნებურად მის მსხვერპლი გავხდი

საღამოს ბინდში გავისეირნე,
ღამე დგებოდა მშვიდი და წყნარი,
ჯერკიდევ ფრინველთ ისმოდა სტვენა,
ტყისპირს საამოდ შხუოდა წყალი,

როგორცკი წყალი გადავიარე
მკვეთრად აცივდა, ჩამოწვა ნისლი,
გონი დავკარგე, რომ გამოვფხიზლდი
ხელში მეკავა უცხო რამ ნივთი

ბნელოდა მაგრამ ხელით მოვსინჯე,
ეს იყო რაღაც ტყავით შეკრული,
ნეტა რა არის ამ ტყავში მეთქი
დავინტერესდი ბეჩავ-ბედკრული

ტყავი გავშალე და ხელისგულზე
გადმოვიყარე ტყავის შიგთავსი,
ელდანაკრავი მას დავყურებდი
თითქოსდა ურო დამკრეს შიგ თავში

ეს იყო მკვდარი ადამიანის
კბილი, ფრჩხილი და თმა დახვეული
მე გამახსენდა ბოროტ ძალებზე
ძველების მიერ ხმა დარხეული

ამას ვფიქრობდი და უცაბედად
ბოლი ავარდა ჩემ ხელზე თმიდან,
ალი მოედო კბილსაც და ფრჩხილსაც,
მგლების ყმუილი გაისმა მთიდან

სუნთქვას ვიკრავდი მაგრამ ვერ შევძელ,
ბოლმა სრულიად შთანთქა გარემო,
ერთ ჩასუნთქვაში სრულად ჩამიძვრა
თუ რამე ბოლი იყო გარშემო.

მაშინ მეორედ დავკარგე გონი,
არვიცი რა დრო გავიდა ისე,
კატის კნავილმა გამომაფხიზლა
ძლიერ ციოდა ბნელოდა ისევ.

შიში მგელივით მჭამდა და მხრავდა,
შველა ვითხოვე ვედრებით, მოთქმით
და მე არვიცი საიდან როგორ
მაგრამ თქვენც ახლა ჩემ ბედქვეშ მოხვდით."

II

იმ შავბნელ ღამეს რომ ჩაეძინა,
რომ ამოვიდნენ ცაზე ვარსკვლავნი,
მის სუნთქვის ხმაში მე გავიგონე
თავზარდამცემი ღრენა-წკავწკავი

ამოანათა როდესაც მთვარემ,
ქალს ტუჩებიდან დუჟი სდიოდა
მერე კი ისე ააკანკალა
თითქოს ავადმყოფს ძლიერ სციოდა

საწყალობელად ამოიხვნეშა,
თვალები გახსნა, მომაპყრო მზერა,
მთხოვა: " მომკალი თუ შეგიძლია,
არ შემიძლია ამის მოთმენა."

ნამტირალევსა უგავდა მზერა,
თვალებში თითქოს ელვა უკრთოდა,
შეშინებულსა და აღელვებულს
შესაბრალისად მხრები უთრთოდა

მთვაერს ახედა დაბინდულ მზერით
თან ბუტბუტებდა გოდების ხმაზე,
მთვარის სხივების უხვი ნაკადი
ირეკლებოდა ყორნისფერ თმაზე

მცირეხანს ასე გლოვა-ბუტბუტით
მთვარესთან თავის ვარამს ჩიოდა,
მერე მოვიდა და ჩუმად მითხრა:
"რომ დღეს რატომღაც ძლიერ შიოდა."

მკლავზე მომკიდა და მე ვფიქრობდი:
"რა ლამაზი და ნორჩი ქალია."
მან კი უეცრად კბილი გამკრა და
ჩემი ვენიდან სისხლი დალია

ვხედავდი როგორ წოვდა ვენიდან,
მკლავი მივანდე, ნება მივეცი,
მეგონა ქალი სუსტი და ნაზი,
ის კი გამხდარა ველური მხეცი

როდესაც მორჩა კვლავ შემომხედა,
თან გრძელი ენით ტუჩს ილოკავდა,
მერე კი მითხრა: "შიში მაქვს ღმერთის"
და ამის თქმისდროს ღაწვს იხოკავდა

წამში უეცრად სახე ეცვალა,
შემომიცურა თითები თმაში,
აღარაფერი აღარ მესმოდა
მის ოლიმპიურ სიცილის ხმაში.

მითხრა: "მოკვდავო მადლობელი ვარ
ეს არის ჩემთვის პირველი სისხლი,
მარადიული მომეც სიცოცხლე,
მფლობელი ვიყავ სულ ერთი მისხლის."

მშვიდად ვუთხარი: "ვინახარ, რა ხარ?
რა ძალა გმართავს? რამ რად გაქცია?"
მან მიპასუხა: "თავად ვარ ძალა,
მე ვერვინ მმართავს, მე ვარ მაქცია."

III

დილით მზის სხივმა გამომაფხიზლა,
ვთქვი: "ეს ყოფილა მხოლოდ სიზმარი."
მაგრამ როდესაც ჩემ მკლავს დავხედე
ვენიდან ვნახე სისხლი მდინარი.

წამოვიწიე, მზის სიცხეს ვგრძნობდი
მაგრამ მზე თითქოს მე ვეღარ მგრძნობდა
სხივები თითქოს სხეულს გადიან
მეუფლებოდა ისეთი გრძნობა.

მასშემდეგ ჩემს ჩრდილს ვეღარსად ვხედავ,
ამოანათებს როდესაც მთვარე,
არ არის ჩემთვის მიუწვდომელი
ამ დედამიწის ოთხივე მხარე.

იოსებ ტაბიძე

გამოფხიზლება

(ვუძღვნი ქართველი ქალის გაადამიანებას)

კორპუსების საქართველო გასაყიდად ივსება;
ნუ გაყიდით მთას და მდელოს, თორემ გვიან იქნება.
უცხო ქვეყნის სამსახური რა სიამედ გჭირდება?
ნუ გაიხდი საგინებლად შენი მშობლის ღირსებას.
ნუ მოგხიბლავთ ეგ ფულები, ჭკუას უხმე ფიქრებად.
ნუ გაიხდი დასაცინად შენი ხალხის დიდებას...
ნუ გმობ და ნუ ილანძღები, ქალს სინაზე გიხდება,
რაღად გინდა ეგ ფულები, უკვე გრიმი გჭირდებაა.
განიწმინდეთ... განიწმინდეთ, თორემ გვიან იქნება!

ოჯახი და ბავშვები

ნუ უსურვებ აბორტს სატრფოს
დარდიანი დარჩები.
ხარბი დროის ლაბირინთებს
შენაც ვეღარ ასცდები.
ბოლოს წყლული სულს დაგიხშობს,
წყურვილით ვერ გაძღები.
მოგაწვება ყელს სიბერე,
თუკი მარტო დარჩები.
გულში ჩამდგარ შხამს და ცოდვებს,
ვეღარ გაუმკლავდები.
ნუ უსურვებ აბორტს სატრფოს,
ვინ შეგრჩება თავმდები?
ოჯახი და ბავშვები, ოჯახი და ბავშვები.

სამი რამე

ქვეყნად სამი რამეა, მეგობრებო, მთავარი;
უძველესი წარსული, აწმყო და მომავალი,
ქვეყნად სამი რამეა მეგობრებო მთავარი,
ეს სამშობლო, ეს ხალხი და ეს მიწა ალალი.
ქვეყნად სამი რამეა მეგობრებო მთავარი;
ეს ვარსკვლავი, ეს მთვარე, და ნათელი მზის თვალი
ქვეყნად სამი რამეა მეგობრებო მთავარი;
ენა არის, მამული და ეს გზა სარწმუნავი.
ქვეყნად სამი რამეა მეგობრებო მთავარი;
დასათესი ყანები, სწავლა და სამართალი.
თუმცა ზოგჯერ ცხოვრება არის ძნელად სავალი,
ერთმანეთის გატანით, სამშობლოა მთავარი!

სასაფლაო

სამჯერ ვარ დაბადებული,
მონათლულიც ვარ სამჯერა;
ერთხელ სიკვდილი რას მიზამს,
ერთხელ სიკვდილის არ მჯერა.
ტიციან ტაბიძე

გაზაფხულზე სასაფლაო ვხედავ აყვავებულა,
ყვავილები ხეები დგანან კვლავ ძველებურად.

იასამანს აუფეთქდა ფერები,
აქ ყოველ ხეს ყოველ კვირტს ვეფერები.
სიმშვიდეა აქ ხომ ყველა, ერთია,
აქ ვერ ნახავთ უბედოს თუ ბედიანს.
სიწყნარეა, გარს ტრიალებს ნიავი,
და თან მხიბლავს ხეზე ფოთოლთ შრიალი.
მიწა სუნთქავს, დრო კი, გაჩერებულა...
გულისყური კოსმოსისკენ გებულა.
აქ რომ მოვალ, სიყმაწვილეც მომყვება,
ის განვლილი ცხოვრება მაგონდება;
მაგონდება სოფელი და მთა-ბარი,
მწვანე მოლი, ლურჯი ცა და სახლ-კარი.
ბოლზე ვწევარ დაღლილი და ვისვენებ.
ვგრძნობ, რომ მიწის ფესვებიდან მისმენენ...

გაზაფხულზე სასაფლაო ვხედავ აყვავებულა,
ყვავილები... ხეები, დგანან კვლავ ძველებურად...



ნატალია აბდუშელიშვილი

თეთრი იასამანი

როგორ მიყვარს
თეთრი იასამანი,
სურნელება რაც ძალიან
მათრობს,
ყვავილია ჩემი
გულის წამალი,
როცა ვდარდობ
მისი ხიბლი მართობს.
როგორ მინდა გულში
ფრთხილად ჩავიკრა,
კონა-კონა დავუკოცნო
კვირტები
მხოლოდ ფრთხილად
გული რომ არ დამიჭრას,
ე, მაშინ კი ალბათ
კვლავ ავტირდები!

ტარიელ ხარხელაური

დარდი გულს შემოგპარვია,
ხმაში გეტყობა ნაღველი,
დაძრწის ბედისწრის ქარია,
აგცრემლებია თვალები.
არაგვს, თერგს და დარიალს,
უყვები ბევრჯერ სადარდელს,
ესეც იმ ბედის ბრალია,
ამდენს რომ ვსჟკაცს გადარდებს.



ვინც გულით გიყვარს

უცნაურია ცხოვრება,
ხელფეხს შეგიკრავს გატირებს,
ამ დროის განმეორება,
ნეტავ არ გამიაპრილებს?
ვინც გულით გიყვარს აღმერთებ,
ურცხვად შენს თვალწინ გაგთელავს,
აჯობებს ჩემგან წაეთრეს,
თუ დღე არ გამინათელა.
გადის დრო
დართან იზრდები,
წლებიც რა ჩქარე გაფრინდა,
კვლავ ცრემლის ბილიკს მივსდევ და...
დამთოვა... კიდეც გაწვიმდა.
იმედით ვცხოვრობ
რას ვიზამ,
მსხვერპლს ითხოვს
ყოფა –ცხოვრება,
ბედმაც სულ სხვაგან გამხიზნა,
დრო ნეტავ გამოსწორდება?

დღეს ვიმღერე

ქარის წისქვილს დავაყარე ჩემი დარდი,
დღეს ვიმღერე მტერის ჯიბრზე რაღა მექნა,
წლები ისეც უცნაურად სწრაფად გადის,
იქნებ კალმით მომავლისთვის რამე შევქმნა.

ლამაზთვალება

ლამაზთვალება ქალაუ,
რად მომიხურე კარები,
მე დღე და ღამე ვფიქრობ და
შემომიბნელდა თოლები,
გიპოვნე, მაგრამ მაწვალებ,
გულისთქმის ჩუმად მპარავი,
ღამით წვიმაში ვწანწალებ,
მაბრაზებ წარამარაო!

სოფლელი ბიჭი

ბები როგორ დავიჯერო, რომ სოფელი კარგია?
დილით ადრე მზის მაგივრად ნისლს რომ ხედავ ავდრიანს.
ქალაქს წავალ მთაწმინდიდან გადმოვხედავ ქუჩებს,
დავინახავ როგორ კოცნის ნამი ბალახს ტუჩებს!

ქარი

ქარი ქროდა...
ძლიერ ქროდა ქარი,
უყურებდა
თმაგაშლილი ქალი,
გაყურებდა მთაწმინდას და თბილისს,
ჯეროდა რომ
იხილავდა ივლისს.
ქარი ქროდა... ქალი თრდოდა თურმე,
რა იცოდა მარტს
ნახავდა სულელს.
გაქრა ქარი
გადიკარგა ტყეში,
ტირის ქალი... მაგრამ
არა კვნესის.
ძლიერია ქალი ქარზე მართლაც,
პოეტებად ქალს უფალი ნათლავს!

მინდა დავწერო

გადმოგცეთ გრძნობით
მინდა დავწერო,
ამ გულს რაცა სურს ან რაც წადია...
ყველა დეტალი
უნდა აღვწერო,
ბევრჯერ თავს სევდა გადაბარდნია.
მიმოვიფანტეთ ქართვლის ქალები,
უცხო მიწაზე სარჩოს საძებნად,
შორს ვარ მეც და ჩემისთანებიც,
დავდივართ ლუკმის სხვაგან საძებნად.
დილა ყოველთვის ლოცვით იწყება,
შვილებისათვის
 რას არ ვაკეთებთ,
მინდა ამ დროის გადავიწყება,
თვალს აქეთ-იქით
შიშით ვაფეთებ.

ფიქრები

ჩამძინებია წუხელს ფიქრებში,
ჩემს საქართველოს მტერი ესია,
წინაპართ სულის შემონახული
კოშკებს ხვიარა შემოხვევია,
იბრძოდა ყველა გაშმაგებული,
არწივებს ბუდე დაუნგრევია,
აღარ ისმოდა ურმული, ნანა,
თურმე ეს მტერი ისევ ჩვენშია,
დასრულდა ჩემი ღამის ტკივილი
დაღლილს დაქანცულს გამომეღვიძა,
ზეცას ავხედე თვალცრემლიანმა
გული სევდისგან ლამის გამისკდა.

მარიტას

შენ ჩემი გაზაფხული ხარ,
ჩემი გვირილა, ენძელა,
ისეთი კარგი გოგო ხარ,
თვალი სუყველგან გეძებდა.
შენ ხარ ნაწილი სიცოცხლის,
ჩემი ია და ვარდები,
გულში რომ გადანაწილდი,
გაქრა აღარ მაქვს დარდები!

წვიმა

გარეთ გახედე როგორ წვიმს ეხლა,
ქუჩებში დაქრის ქარი თავნება,
თუ ჩვენ ამ ზამთარს ერთად ვიქნებით,
ჩვენ ვერაფერი ვერ მოგვერევა.
შეშლილი ფიქრი აწყდება კედელს
სიცარიელე დაბორიალობს
და შენ თუ მეტყვი არ შეგიყვარო,
მაშინ არასდროს არ დავწერ ლექსებს,
დავცლი ამ სასმის ბოლომდე ჩავცლი,
წვიმას მოვუხმობ დარდებთან ერთად,
ჯანდაბას ღვინო გემორჩილები,
მხოლოდ სიზმარში გიხილავ ჩემო.

უცნაურია ცხოვრება

ხელფეხს შეგიკრავს გატირებს,
უცნაურია ცხოვრება,
ვინც გულით გიყვარს, აღმერთებ,
წლებს აგიშენებს ჭორებად.
გადის დრო ხვდები, იზრდები,
წლები რომ ფუჭად გავიდა,
ტკივილი გხვდება იმდენი,
ცხოვრებას იწყებ თავიდან.
აღმართს მოყვება დაღმართი,
იმედის კოშკებს აშენებ,
დრო ისეც ჩქარობს, მოკლდება,
ცხოვრება ისევ გაშინივს.
მსხვერპლს ითხოვს წუთისოფელი,
ტკივილი უფრო მეტია,
ძირს ხედავ ფოთლებს მოფენილს,
იწყებ ფიქრებით ხეტიალს!

ეთერ ლობჟანიძე

* * *

მე შენზე ფიქრები მაწმებს
მზე ქალო,
აპრილის ღამეა თავსხმა და
დელგმაა,
ყვავილთა ქარები დაჰქრიან
ბაღებში
ყველგან უსასრულო სიცოცხლის
ფეთქვაა...
გრძნობები აშლია, დამთბარა
ბუნება,
ხასხასა სიმწვანით მორთულა
ველები,
თეთრად დაპენტილა ნუში და
ტყემალი,
მიწას გულს უნამავს, ვაზის ცის
ცრელები...
წითელ იასამანას გამსგავსეს
ფიქრებმა,
სურნელს რომ ამოჰყვა ბაღიდან
წვიმიანს,
კალამი ავიღე და ფურცელს
ვუყვები,
შენს სახელს ვახსენებ, სამყაროს
ჟინიანს....
ჟამი ვერ წამიშლის ჩემს ფიქრებს
მზე ქალო,
დრო გადის სხივები აკლდება
ღიმილებს,
რაღაც სხვა ფერია, შენი
მონატრება,
ქარი აშრიალებს სევდიან
ტირიფებს!

* * *

მთის ყვავილები მიყვარს-
კორდზე, ფერდობზე, სერზე,
ქვის-– ქვეშ მოსული ჩუმად
ზოგჯერ გაშლილი ხეზეც.....
თითო — ოროლა სადღაც-
შემიმჩნევია კლდეზეც,
ყელს იღერებენ კოხტად
ფერებს იცვლიან მზეზე...
ყოჩივარდები, ზამთრის
ფრთხილად იხდიან საბანს,
ია-– იები, სურნელს
გადააფრქვევენ მთა-– ბარს...
სული იჩემებს ერთად-
ყველა გვირილას მთაში,
ყვითლად გადაშლილ გულებს,
თეთრი ფურცლების ზღვაში...
დილის ნისლებში ბრწყინავს
შროშანა, დეკა, ღვია,
ყაყაჩოს, წითლად გაშლის
სულზე ხანძარი მიაქვს...
მწვანე ფარდაგზე მოსულს
ნიავი არხევს მშვიდად,
კესანეს, მთებზე დაშლილს
არ დავიწყების ნიშნნად....

* * *

იმედად დაჰყურებს სოფელს,
რწმენა და ძალაა დიდი,
ნუ მოგერიდება მისი
ილოცე, შესთხოვე, მიდი!
სანთელი აუნთე ხატებს,
მუხლი მოუყარე წმინდას,
იქ, მაცხოვარია დიდი
ის თავის სამწყემსოს იცავს!
გულში არ გაივლო ცუდი,
ფლიდის და ორგულლის არ სწამს,
თუმც ყველა შვილია მისი
სინანულს უტოვებს საგზლად...
მოსმენა შეიძლოს მხოლოდ,
იწამოს უფალი მხსნელი,
მის ნალურსმ ხელებზე ნახოს
თუ როგორ იმსხვრევა ბნელი...
იმედად დაჰყურებს სოფელს,
უფალი ცოდვილთა მხსნელი
დიდებით ამაღლდა ცაზე
აქ მოდის განსჯად და გვშველის!

* * *

თითქოს –გზა დავკარგე,
თითქოს– დრო გაჩერდა,
თან დამაქვს საათი
ისრების გარეშე....
არც დღეებს არ ვითვლი,
არ ვითვლი,არც რიცხვებს,
ახლა დროს მივყვები
ათვლების გარეშე....
არ მახსოვს რა დღეა,
ან თვეა, რომელი?
ვხედავ გაზაფხული რომ
კართან დამდგარა,
უისრო საათზე
გაჩერდა ფიქრები,
წუთები წამებზე
საერთოდ გამქრალა...
მუხთალ წუთისოფელს
დროს აღარ დავუთვლი,
მერე რა თუ, ფიქრი
ოცნება გამხდარა,
მე მტრედს გავატნე დღეს
ცაზე წერილი..
მზისა და იების მოსვლის
დრო დამდგარა!

ნეტავი რა დააშავა?

ასე პატარა ქალმაო,
რომ უცრემლებოდ ამ ქვეყანად,
აღარ ეღირსა გავლაო.....
აიღეთ, შორს მოისროლეთ,
აღარ მჭირდება გულიო,
დამწვარი და დაჩეხილი,
სევდისგან გათანგულიო....
წავალ, უგულოდ ვიცხოვრებ,
გავყვები მხუთავ ბილიკებს,
ვეღარ ავიტან ვერავის,
დაცინვასა და ქილიკებს...
მწვერვალზე ბინას დავიდებ,
ნისლი მექნება საფარი,
ირმებთან ერთად, მთის ნამი,
იქნება ჩემი საგზალი....
ქარაფზე ნანად მოვისმენ,
დილით ჯიხვ-– არჩვთა ყვირილებს,
ცას გავხედავ და შორიდან
მზეს გავაყოლებ ღიმილებს.....
ფიქრებსაც მძივად ავასხამ,
მთვარეს შევაბამ ყელზედა,
დილით მზის სხივებს ვუმღერებ,
შურთხების გვერდით, მთებზედა...
ასე გავივლი ცხოვრებას,
კლდესაც დავლახავ ფრიალოს,
ჯვარცმულმა გულმა თუგინდაც,
ცის კიდე გადაიაროს!...

* * *

გზას, ქარაფებზე გავყევი,
მთებს გადავავლე თვალიო,
ველებზე გაშლილ ენძელებს
ცრემლებად დასდის ნამიო...
იის ფერებში ერევა,
მის სურნელებით მთვრალიო,
ხან და ხან გაიშრიალებს
მთის მონაბერი ქარიო...

ბევრი ვეფერე ყვავილებს,
ვეღარ მოვწყვიტე თვალიო,
დამათრო მათმა სურნელმა
პირზე ვიწერე ჯვარიო...
ასე სასიზმრო მხარეზე,
მტერს მით უჭირავს თვალიო,
გამოღვიძეთ ქართველნო!
მამულს აშველეთ ფარიო!

დავით მოდებაძე

ზ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

მორჩა ზამთარი და ფიფქების შეწყდა ანცობა,
ყინულის ფარდა გადაკეცა მზესთან გაცნობამ...
კლდის შვერილებზე ლოლუებმა დაიწყეს დნობა,
სიცოცხლეს ბადებს გაზაფხულის დიდი მისნობა...
დილის სხივები ახასხასებს ხავსიან ლოდებს,
ფაქიზი ნისლი გაიფანტა, ცა თითქოს გოდებს...
თავი ამოყო ყოჩივარდამ გაბზარულ კლდესთან,
ცდილობს საუბარს გამოფიტულ ჩამომხმარ ხესთან...
ბურუსმა იწყო გაშიშვლებულ მთებში გაპარვა,
აღარ ისურვა მოქარგული მდელოს დაფარვა...
ჰაერში ისმის ჩიტების ხმა, ჭიკჭიკი ტკბილი,
კვლავ ძველ ადგილზე აგებს ბუდეს მერცხლების წყვილი...

შ ვ ი ლ ს

არ დაიჯერო, რომ დავიკარგე,
და ვერ მომძებნი უამრავ ხალხში,
არსად წავსულვარ შენთან მიგულე,
არ მიგატოვებ ავდარში, დარში...
გემი ვიქნები შენთვის ნაგები,
რომ შევუტიოთ უცხო ნაპირებს,
მე ჩირაღდანი ვიქნები შენი,
და შევასრულებ ჩემს დანაპირებს...
ფარი ვიქნები და მუზარადი,
შენზე წამოსულ მტერს აგაცილებ,
ასი წლის შემდეგ შეგეგებები,
სამოთხის კართან მე მიგაცილებ...
არ მოიწყინო, მე დავბრუნდები,
ყველგან მიპოვნი, ჰაერში, წყალში,
ცაზე ამოვალ ცისკრის ვარსკვლავად,
სხივებს ჩაგაქსოვ დატალღულ თმაში...

მ ხ ა ტ ვ ა რ ი

ვერ ვიფიქრებდი ვერასოდეს,
სიზმარი ახდა... –
– უცებ გაწვიმდა, დაიქუხა,
ცა შავი გახდა...

ის მოდიოდა, ახტებოდა მოზრდილ გუბეებს...
წვიმის წვეთები ასველებდნენ, მის ლამაზ სხეულს,
ვარდისფერ ტუჩებს უკაწრავდა ვერაგი ქარი,
მე მონუსხული შევცქეროდი უმწეოს, ეულს,..
თან ფანჯარასთან ვამზადებდი ტილოს და ფუნჯებს...
გრძნობის მორევმა ამიტაცა, გამხადა უტყვი,
კარის ღრიჭოდან ძლივს გავძახე: – მინდა დაგხატო, –
ჭიქა ღვინოზე და თბილ პლედზე უარს ნუ მეტყვი...

დ ა გ ე ლ ო დ ე ბ ი ი ს ე ვ

შენ გაურბიხარ შენს ბედს,
ცრემლით ისველებ თვალებს,
ვეღარ ვიქნებით ერთად,
 ითვლის საათი წამებს...
რატომ შეცვალე გზები,
აღარ უყურებ წარსულს,
ბედმა მაქცია ზურგი...
შენი დაკარგვა არ მსურს...
სადაც ვხარობდით ერთად, –
სიცარიელე დადგა,
ნისლი ჩამოწვა მთიდან,
ვიღაც ჩვენს შორის ჩადგა...
იქნებ გსურს რამე მითხრა,
 გრძნობის ჩამოჰკრა ზარებს,
დაგელოდები ისევ,
ღიად დავტოვებ კარებს...
თუმც არ მიტოვებ იმედს,
ცისკრის ვარსკვლავი ჩაქრა,
ვეღარ ვიქარვებ დარდებს,
ლექსის ფერებიც გაქრა...

კ ა ც ი დ ა ღ ო ბ ე

მზე დაიღალა,
და სხივებიც აღარაა მისი თაკარა,
ცა გაფერმკრთალდა,
ეზოს ღობავს ზამთრისპირზე კაცი ჭაღარა...
ზამთარიც მოვა,
სველი თოვლი გადალეწავს ნაწვალებს, ნაშრომს...
მერე მოშრება,
ხელთ აიღებს ბერიკაცი თავის ცულს ნაწრთობს...
მზე გაიღვიძებს,
დაუდგება მშრომელს სხივი როგორც ქომაგი,
საქმე გრძელია,
ეზოს ღობავს გაზაფხულზე კაცი ჭარმაგი...
ეზო ვრცელია,
კაცს კარგა ხნის საფუსფუსო ჯერ კიდევ წინ აქვს,
შრომობს მოხუცი,
შეღობვას – დრო, დროს კი წლები მიაქვს და მიაქვს...

თ უ თ ი ს კ უ ნ ძ ი

ჩრდილი დაგრძელდა, მზე აღიკვეცა,
საღამო დადგა, დღე აიკეცა...
ცამ ვარსკვლავები გამოაჩინა,
ღამის სიცივემ თავი იჩინა...
ძველმა ბუხარმაც არ დაახანა,
მძიმე კუნძები არ გაახარა.....
ზის სავარძელში ბუხრის პირას კაცი ჭაღარა,
ამაოებამ მისი სული ძლიერ დაღალა...
მოხუცი მზერით კუნძს დაეძებს, სადღაც აქ არის,
მის დანახვაზე მძიმე განცდა, ნეტავ რად არის?..
თუთის ხისაა გაზაფხულზე, რომ მოჭრა ცულით,
თვალს ცრემლი ადგა, განიცდიდა, ნანობდა გულით...
ის თუთა იყო, მის ყრმობაში მამა რომ რგავდა,
და მძიმე კუნძიც წარმოსახვით, მის სახეს გავდა...
არ ემეტება დასაწვავად, ბუხარს აშორებს,
ადებს საჭრეთელს, ალამაზებს, სქელ ქერქს აშორებს...
მუშაობს ღამით, არ ჩერდება, საათებს ითვლის,
მზის ამოსვლამდე ხის კუნძისგან, სასმისს გამოთლის...
შემდეგ შეავსებს ძველი ღვინით, დროა გამოცდის,
ღმერთს შეავედრებს მამის სულს და სასმისს გამოცლის...

ალბათ მეტია იქ გასახარი

ცხოვრების წიგნის ვცადე წაკითხვა,
გაჩნდა პასუხი, იყო შეკითვა...
გადავიხადე ამ ქვეყნის ვალი,
გზა იწურება ჩემი სავალი...
ვეღარ ვიგრძენი მოყვასის ხელი,
ნისლივით ქრება ჩემი სახელი...
იქნებ აჟღერდეს ჩუმი საყვირი,
თავი დავკარგე, ამას გავყვირი...
აღარ მაწუხებს დაღლილი სული,
აღარც ოცნება ზღვარს გადასული...
სინათლის სხივმა დაკარგა ფერი,
არ შეიცვლება აქ არაფერი...
გუთანს მივათრევ დაღლილი ხარი,
ალბათ მეტია იქ გასახარი...
ზეცაში მოსჩანს ციური ველი,
ღმერთის სიტყვაა ჩემი მაშველი..
მთვარე გადამაქვს ხელიდან ხელში,

შვებას დავეძებ უფლის სახელში..

ლეილა ვადაჭკორია

მაპატიეთ!

მიგურგულია ჩემს მთა და ბარში,
ვაზი ვსხალი და ყანები ვმარგლე,
გამომიხშირავს ხმელი და ძეძვი,
ნორჩები გულის სითბოთი დავრგე.
მოუსაკლისე ტოტებს საყრდენი,
ნაყოფით სავსეს, სიმძიმით დახრილს,
მოვაბალახე და წყალი ვასვი,
ვერეკებოდი სოფლისკენ ნახირს.
ვეფერებოდი დიდს თუ პატარას,
ცოტ-ცოტა ბუჩქსაც, ბალახსაც ვარგე,
ვეალერსე და ბუდეში ჩავსვი,
გადმოვარდნილი პატარა მართვე.
და მაინც რამდენს ვერ ვერგე წამლად,
არ განვდგომივარ არავის განგებ,
ო, მაპატიეთ, თუ ვერ შევძელი,
თუ უფრო მეტად ვერ გეამაგეთ.

***

შენ სიამაყის
მარწუხებში ხარ,
თურმე ძლიერობ
ცივი ბუნებით.
მე სიყვარული
გამაძლიერებს,
ვაი, თუ გახდე
მსხვერპლი
ცდუნების.

იყავ კომეტა

შენ ხარ კომეტა, ეხეთქები
ხშირად მომენტებს,
მერე მყისიერ ეწაფები
თურმე სონეტებს.
შენა ხარ შვილი ამ პატარა
ქვეყნის და მიწის,
გახსოვდეს, მიწა მოღალატის
ფეხქვეშ რომ იწვის!
არ შეელეწო სიცოცხლის და
სიწმინდის კედელს,
გზა გაუკვალე სიყვარულის,
სიკეთის მთესველს.
მეტეორისგან დედამიწას
ღმერთი იფარავს,
ნახე, წიწილებს კრუხი
როგორ გადაეფარა?!
შენც დაიფარე, დაიცავი
მცირე სანახი,
შენს ნაკვალევზეც ბიბინებდეს
მწვანე ბალახი!

მიზანი

ქარს გავატანე დარდები
სულ დამიბრუნა პირწმინდად,
მზეს რომ ველოდი თაკარას
სწორედ, რომ მაშინ გაწვიმდა.
არადა, როგორ ვევედრე,
დამინდეთ ნუ გამაწბილებთ,
მერცხალი ძველ ნაბუდარზე,
ბუდის შენებას ვაპირებ.
მაინც არ გავტყდი ჯავრისგან,
მიზანი უკეთ დავსახე,
ქვესკნელსაც ვჩიჩქნი ნისკარტით,
მაინც ვიპოვი გასაღებს.
და მაინც გავიზაფხულებთ,
სულს დავუამებთ იარებს,
ბუდეს სითბოთი ავავსებთ,
ბარტყებსაც დავაფრთიანებთ.
ისევ ჭიკჭიკით მოვიფრენთ,
ლიახვსა გულდარდიანსა.
იმედი არ დაგვიკარგავს,
თუმცაღა დაგვაგვიანდა.

პასუხის – პასუხი!

შენზე ოცნებას დავეთხოვე
დიდი ხანია,
არც მონატრება, არც შეხებით
განცდილი თრთოლვა,
შენთან სულ ზამთრის სუსხიანი
ქარების ქროლვა,
ახლა აპრილის სურნელებით
ვიგრძენი თრობა.
ამიყვავილდა ალუბალი,
ნუში, მოცხარი,
გული გამითბა, მზის სხივები
მომდევს მხარდამხარ,
სულ სხვა მიზნები, ოცნებებით
სავსე კალათა
გამახსენდები, ო... რა მწარედ,
მაინც ხანდახან.

გულმა არ გაგითავისა

სანამ გონება განათდა
ნანახს ვერ ვენდე
თვალისას,
შინაგან გრძნობამ
მიშველა,
გულმა არ გაგითავისა.
თურმე ნუ იტყვი,
მოგისხამს
მართალი კაცის
მანტია,
არადა, შენს ნაკვალევზე
ყველგან ღალატი
ატყვია.

პასუხი გოგოს!

თითქოს ყველაფერი მაქვს
მაინც არაფერი,
შენთან დამრჩა ოცნება
მზისგან დანაფერი.
შენ რომ გამიუცხოვდი,
მზეც უცხოა თითქოს,
დროით უკურნებელი,
ჩუმი სევდა მიპყრობს.
ახლაც ისევ ჩამესმის
ის სიტყვები ფუჭი
ვერც ეგ სახე წავშალე
მოხატული ფუნჯით!
ელვას და მეხს გავუძლებ,
მორჩილი ვარ ქარიშხლის,
თუ ამ მტანჯველ ფიქრებს და
მოგონებებს წამიშლის.

ღირსებით სავსე

ვაშა ორატორს! დაიტია
ქვეყნის სათქმელი,
მაგრამ საქმენი? ცარიელი
სიტყვის თარეში,
ისევ სიცრუის ნაპერწკალი
ღვივის თვალებში.
ისევ მირაჟი უსასრულო,
დაუსაბამო,
სულ ია – ვარდით მოუქარგავთ
თურმე სამყარო.
შავი თეთრია, თივის ზვინი
უალოდ იწვის,
მოეფინება არემარეს
ღიმილი სიმწრის.
`ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებსო~
ამ კაცზე ითქმის,
ჭიაყელა კი, მიწას ფურჩხნის
ერთგულად იღწვის.
ისევ ჭორები უსასრულოდ
და უხამსობა,
ყოველ წამს ავის მოლოდინში
დაწყდა ნერვები,
დამცდება ზოგჯერ, მოხდეს ის რაც
მოსახდენია,
როდემდე უნდა დავიკრიფოთ
გულზე ხელები?
არადა არა, კვლავ იობის
მოვუხმობთ თმენას,
თვალწინ კი ისევ უხამოსთა
ფრიალი დროშის,
რამდენ რისხვას და ურჯულობას
უნდა გავუძლოთ,
რომ არ დავკარგოთ ეს ქვეყანა
სივრცე და დროში.
და მაინც ქვეყნად ერთგულები
არ დაილევა,
მოწმენდილ ცაზე მერამდენედ
თუმცა იელვა,
მტერმა რამდენჯერ ჩვენი მოდგმის
წაშლა ინება,
სულ ლეგენდებად მოგვიყვანეს
დღემდე გმირებმა.
არც არასოდეს დაილევა
ღირსებით სავსე,
რომ წმინდა ცრემლი შეუმშრალონ
ღვთისმშობელს თვალზე,
მისი წილხვედრი ქვეყანა, რომ
იხსნან ჯავრისგან,
შავი ღრუბლები რომ წაშალონ
პირწმინდად ცაზე.

გიგი თეთრაძე

სამშობლოს

ჩემს სამშობლოს ყველა კუთხით მტერი უტევს,
თუმცა გზები არასოდეს არევია,
გაუმარჯოს ყველა იმ კაცს და იმ ქართველს
ვის გულშიაც საქართველო ასვენია!
მართალია შიდა მტერი ავად ლამობს,
სურს გამოხრას ჩვენი მიწის ოქრო ვერცხლი,
იბრიქება, ბაქიბუქობს ქართველობით
აღარ ახსოვს წინ რომ ელის მწველი ცეცხლი.
რა გვაცინებს, ანდა რა დროს ქეიფია,
ტაშფანდური გაგვიმართავს უდარდელებს,
ყანწების და ფიალების ზეიმია,
დალევაში ვინ გვაჯობებს ჩვენ ქართველებს?
შინაური მტერი უფრო მეტი გვებრძვის,
გარე მტრების ვინაობა ცნობილია,
ვერ გავიგე ქვეყნის დარდი ვის გავანდო
ყველას სძინავს უცხოა თუ ძმობილია.
შაჰაბასის,თემურ ლენგის შემოსევა,
რუსის ჯარებს მე ათასჯერ მირჩევნია,
რაც მახვილმა და ცეცხლმა ვერ დაგვაკლო,
"ერთმორწმუნე" მეზობელმა სული
სულ მთლად აგვირია.
ახლა ვიჯდეთ მხიარულად უდარდელად
რა გვადარდებს უნაკლოებს გულმზიანებს,
ერთმანეთის შურით მტერს ვერ დავამარცხებთ
ჩვენვე დავმარცხდებით,ჩვენ დაგვაზიანებს.
აღდგება სამშობლო მიწაწართმეული!
დადგება ქართველის და უფლის ერთობა!
ვეღარ გაიცინებს ჩვენ ავად ყოფაზე
მტერი,რომელიც ჩვენით ერთობა!
ჩემს სამშობლოს ყველა კუთხით მტერი უტევს,
თუმცა გზები არასოდეს არევია,
გაუმარჯოს ყველა იმ კაცს და იმ ქართველს,
ვის გულშიაც საქართველო ასვენია!

ნუთუ ღირდა

ნუთუ ღირდა უფალო ჩემზე დროის დაკარგვა,
იქნებ ჩემი სულისთვის საერთოდ არ გეცალა,
შეგაწუხე უფალო, გადაგღალე ვედრებით,
შენთვის თავის გაწირვა მე ყოველთვის მეწადა,
ამ საწუთროს შემყურე მე დღეს შველას მოველი,
შენსკენ ხელაპყრობილი შენი შვილი მოვედი,
მაპატიე უფალო, მომიტევე ყოველი,
ცოდვის ღრმა ჭაობიდან დღესაც ვერ ამოვედი,
თითქოს ჯვარზე გაკრული ქრისტესავით მაწამეს,
მერე გამცეს ვერცხლებად, სიტყვის თქმაც არ მაცალეს,
თვალებიდან ცრემლები წვიმასავით მცვიოდა.,
ჩემი გულის ნაფეთქი მე ყოველ წამს მტკიოდა.

ნუთუ ღირდა უფალო ჩემზე დროის დაკარგვა,
იქნებ ჩემი სულისთვის, საერთოდ არ გეცალა.

დღეს საქათველოს სჭირდება შველა!

დღეს საქართველოს სჭირდება შველა,
ქართველი კაცი იწვის და დნება,
იწვის და დნება, რადგან არ იცის
ხვალ და ზეგ მის თავს ვინ გამეფდება.

ქიშპობითა და ზიზღით შემოსილთ,
სანახაობის ორომტრიალში,
წლებმა გაცურეს ოცნების ნავით,
მშიერ-მწყურვალთა ტირილღრიალში,

და საქართველო ამაყად უმზერს,
საკუთარ შვილთა გაყიდულ მიწებს,
ჩვენი სამშობლო, მზეზე ნათელი,
ოდეს დაამხობს მოსყიდულ მონებს!

მამული, ენა, სარწმუნოება,
ჩვენი გმირები, წმინდათა დასი,
სისხლით დაცული ყოველი გოჯი,
ესაა ქართველის სიცოცხლის არსი!

დღეს საქართველოს სჭირდება შველა,
ქართველი კაცი იწვის და დნება,
იწვის და დნება, რადგან არ იცის,
ხვალ და ზეგ მის თავს ვინ გამეფდება.

დღეს საქართველოს სჭირდება შველა!!!

გასვლამდე ნაფიქრი
გარდაცვლილ მეგობარს



გარეთ ციოდა, აპრილის თქეში,
ჩემი სარკმლის წინ იღვენთებოდა
და მარიამთან დანთებულ სანთელს,
ფერი წასვლოდა, იღრუბლებოდა,
მიილეოდა ოცნება ჩემი,
ვერ გაგიმხილეთ რაც გულიდთ მსურდა,
სულში ვიკლავდი ყველა ჭრილობას
ჩემში გრძნობები მეხივით ქუხდა.
დღეს გავიფიქრე ღმერთთან წავალ-თქო
და ჩამოვკიდე სიცოცხლე თოკზე,
არ მიფიქრია დედაზე, დაზე
და ჯვარზე გაკრულ უფლისა ძეზე.
ჩემი სხეულით ვამძიმებ მიწას,
ვგრძნობ ანგელოზი ამაფრენს ცაში,
ერთხელაც ვცდი და დამთავრდეს მინდა
ჩემი წამება ამ ქვეყანაში.
ვტოვებ სიცოცხლეს, ფერებით მრავალს,
ჩემი ფერები იყო შავ-თეთრი,
ახლა აღარ ვარ, აღარსად დავალ,
რადგან იქ წავალ, სადაც არს ღმერთი.
ვერ გამხელილი ფიქრების ბუდე,
სამარის კართან მისულს გამისკდა,
იქ ანგელოზებს შევთხოვ შენდობას
ვიცი უფალიც გულში ჩამიკრავს,
სალოცავებთან ქრება სანთელი,
ქრება თვალები, რჩება სახელი,
შენ ათასობით გული წაიღე
და ათასობით დაგრჩა სათქმელი.

ანამარია ლილუაშვილი

თითქოს ხელახალი დრო იწყება

თითქოს, ხელთავიდან დრო ითვლება,
თითქოს, ყველაფერი მეორდება.
თითქოს ხელგაშლილი ისევ ისე,
დედა კარის ზღურბლთან მელოდება.
ისევ გაზაფხულის ხშირი სუნთქვა,
ნიავს მოჰყვება და მეფერება.
უნდა გულის ცემაც გამაგონოს,
უყვარს უცნაური შეგებება.
სისხლი აუდუღდა მჩქეფარ ძარღვი,
გონის მოკრებაც კი ეძნელება.
თითქოს ნაცნობია ეს გრძნობები,
ნუთუ ყველაფერი მეორდება?!
ცვდება ზამთრის ცივი ღამეები,
დილას ჭიკჭიკის ხმა ეგებება.
უხვი ნალექები მიწას ეკვრის
თესლს კი დაუწყია გაღვივება.
მალე თებერვალი მიილევა,
თითქოს ხელახალი დრო იწყება;
მაგრამ ხელგაშლილი კარის ზღურბლთან
დედა ისევ, აღარ მელოდება.

მარტის მობრძანება

ჩიტი –ჩიორების ლხენის მომრავლება,
ტკბილი ჟღურტული და ხმათა შეხამება,
უკვე შეღვიძებულ ხეთა შამი-შუმი,
წყალჩამდგარი ტოტის კვირტთა აფეთქება,
გზის პირს ამოსული იიის ელვარება,
სიმორცხვით დაღვრილი ყვავილთ სურნელება,
დილა მოხალისე, სითბო, მონატრება,
გულის სიამე და ფერად-მოღამება,
გაზაფხულის თვალით დილის მოსალმება,
ბედნიერი იყოს მარტის მობრძანება.

სიტყვა იყო...

სიტყვა იყო, შეიქმნა დღე
და სამყარო დაიბადა.
ცაზე ღამის სანათებლად
ვარსკვლავები მიმოფანტა.

სრულყოფილი იყო ღვთისგან,
ადამი რომ დაიხატა.
ადამს ნეკნი ამოუღო
და იმისგან ევა შექმნა.

ღვთის ნაწილი სული მასში
შთაბერა და ჩაისახა.
მიწიერი სხეული კი
ღვთიურ სულზე აღიზარდა.

მისცა გონი სააზროვნოდ,
არ დააკლო გულიც თანა.
მას შეეძლო ებატონა
და ცხოვრებას დაეწაფა.

თვალი წმინდა რატომ მისცა,
ცოდვა უნდა დაენახა?!
ცოდვის შემდეგ წყენა მოდის,
სულს კი ბრძოლა დაესახა.

გამრავლება, ცოდვისათვის
ნეტა რად არ დაენანა?
ყველა პირმშო გაჩენილი,
ცოდვისაგან მოდის განა?

ქალი კაცის ნაწილია
და მისგანვე აისახა.
ამოიცან საიდუმლო,
ჯერაც არის გამოცანა.

მეორდება უსასრულოდ
თითო კაცის ღვთისგან შექმნა.
ცოდვის ქმნა და დასირცხვება
სამოთხიდან გაძევება.

მაშ სამოთხეც აქ ყოფილა?
უნდა შევძლოთ დაბრუნება!.
თუ აღდგები სიწმინდისგან
აღარ გიწევს დაღონება.

სიტყვა იყო საქმედ იქცა
უფალმა რაც განიზრახა,
ისე შექმნა ეს სამყარო
და შედეგით დაინახა;

მინდა

მინდა ყველაფერი ისე გავითვალო,
გული არ დავწყვიტო არავის;
მინდა ყველა სულდგმულს გზა რომ დავულოცო,
სიკეთით იაროს მარადის;
ეს დიდი სამყარო ისე გავანათო,
არვის ეშინოდეს მპარავის.
მუდმივად სიყვარულს ისე ასხივებდნენ,
დარდი რომ არ ჰქონდეთ მარაგის.
რომ ყველა ხედავდეს თავის სილამაზეს,
სახეს– გაბრწყინების ალაგის.
არავინ ცდილობდეს სხვის დაბეჩავებას,
რადგან ზე არავინ არ არის.
ყველას ბაგიდან რომ სითბო იფრქვეოდეს
გულს ნაკლი არ ჰქონდეს არაფრის.
მინდა ყველაფერი ისე გადაეწყოს,
ბედნიერებაზე რომ გადის.
მარადჟამიერით გზა დალოცვილებმა
სიკეთით იარონ მარადის.

გადავიფიქრე

გადავიფიქრე ნერვი ვიშალო,
რაც დაიკარგა, გაქრა უკვალოდ.
რამაც ტკივილი გამოიწვია,
გული მატკინა რამაც უბრალოდ.

გადავიფიქრე კამათისათვის,
დრო არ დავკარგო ისევ უაზროდ.
ყოველი წამი რაც კი მეკუთვნის,
გადავაქციო სიტკბოდ საამოდ.

აყვავებული ვნახე ყვავილი,
ეცეკვებოდა ნიავს უმანკოდ.
ბედნიერება ეწერა ყვავილს
სიცოცხლე ჰქონდა თითქოს უვადოდ.

ვნახე შველი რომ მინდორსა სძოვდა,
დასეირნობდა მერე უსაქმოდ.
გეგონებოდა მას ეკუთვნოდა
მთელი სამყარო; იყო უსაფრთხოდ;

ჩვენც ერთი ხანით მოვსულვართ ქვეყნად,
თავისუფლები ვართ ჩვენც უდავოდ.
აბა, რად უნდა დავკარგოთ წამი,
ბედნიერები ვიყოთ უსაზღვროდ;

იმსახურებ!

არ ენდობი? შენთვის მეფობს
ტყუილი და ღალატი?
მხოლოდ ჩხუბით წინ წაწევა
ეს არ არის ტალანტი;

ნურც უმტკიცებ, ნურც წუხდები,
ხვეწნით გარიგებებით.
გამოართვი ვინც დასაქმდა
გაცემ დარიგებებით.

გადაცვალე ტკივილები
სულის განკურნებებზე,
ყველაფერ კარგს იმსახურებ
რომ ხარ ამ ქვეყანაზე;

შიში ნუ გაქვს შენ გეკუთვნის
გვერდით გყავდეს ერთგული.
შეიყვარო, შეგიყვარონ
და არ იყო ბედკრული.

სირთულის დროს გამოგიჩნდეს
მზრუნველი და მფარველი.
გყავდეს კარგი მეწყვილე და
იყო თავის მმართველი.

მიიღე და შენც აივსე
გასაცემი მოსავლით.
იმსახურებ სულ ყველაფერს
ბედნიერი მომავლით.

აბა გაბედე

– აბა გაბედე შეგიყვარონ როგორიცა ხარ,
– ნიღბის გარეშე მასპინძელი გახდი მოყვასის,
– რატომ გადარდებს შეცდომები, შენი ნაკლები?
– ეს გზის საკვლევი ისარია შენი კომპასის.
– გაკვირვებული შეგიხედავს სინამდვილისთვის,
– უარყოფითი არ აშინებს შენი არავის;
– მხოლოდ ვიღაცას დააბრკოლებს და გაგეცლება,
– ვიღაცისათვის ეს საბაბი სულაც არ არის.
– მთელი არსებით როგორიც ხარ, რომ უყვარს შენში
– და რომ არა გაქვს ფიქრი მუდამ ვინმეს დაკარგვის,
– ასეთი არის სიყვარულის ნამდვილი სახე,
– აღარ გჭირდება ძალისხმევა რამეს დაფარვის.

მანანა სამყურაშვილი

მაინც სიკეთეს ვირჩევდი...

რაგინდ გულს დარდი მეფინოს,
სიმწარით ცეცხლი მეკიდოს,
მაინცა ვფიქრობ ეს გული –
გაჭირვებულებს ეხიდოს...

სახეს ღიმილებს ძალით ვფენ,
გულს გინდაც ეტირებოდეს,
მე ერთი ვიქმენ მოდარდე –
სვას ყველას ელხინებოდეს.

ჩემი დარდები გულიდან-
ლექსად იმღერებოდეს,
მზის სხივთა ოქროს წვეროთი
ზეცაზე იწერებოდეს.

გლოვის ზარები ჩამოწყდეს,
არსად არ ირეკებოდეს,
დარდით გახსნილი გულები
თავადვე იკერებოდეს...

არ მინდა ჭირის მომთმენი-
ძმის ხელით იღუპებოდეს,
სიტყვა უთქმელი იჯდეს და
ცრემლებით იგუდებოდეს...

ბოროტება მსურ გაყრილი –
სიკეთეს შერიგებოდეს...
თვალში ჩახედვა მტერსაც კი
არადროს მერიდებოდეს.

მაინც სიკეთეს ვირჩევდი,
ცეცხლი რომ მეკიდებოდეს,
ძილ-ღვიძილშიც მსურს უფალო,
სიკეთე მესიზმერბოდეს!...

ოქროს ქოში ათხოვე...

მე რომ ბანტიანი გოგო-
მთვარის ჩრდილში დავტოვე,
მზეო მიდი ამ დილას და
შენი ძუძუ აწოვე.

საძინებლად დედა მზეო,
შენს კოშკშივე დატოვე,
თუ დასჭირდეს არ დაზოგო,
ოქროს ქოში ათხოვე.

ზეცად მჯომნი ანგელოსნი
მისთვის ზარებს რეკავენ,
მსურს მის გულში ჩემს სიყვარულს
ოქროს ძაფით კერავდნენ.

მაისიდან, მაისამდე,
ვარდად დავსვავ წამწამზე,
სიყვარულის ტაძარს დავდგავ
მის ტერფების ნატარზე.

ტაძრად სანთლად ავენთები,
სიყვარულით დავდნები,
ჩემს სიცოცხლეს მას უბოძებ,
მე, სანთელთან ჩავქრები.

გაბრაზებით, ქარმა კუდი...

შარი-შურით მოგოგმანებს,
არეს შვენის ანცი მარტი.
ქარი სათქმელს არა მალავს,
არ მიყვარსო თავი, ზანტი!

ქარი მანდილს აფრიალებს,
დამიხევსო, ტირის მარტი!
ხეთა ჩრდილში ცრემლსა ღვრის და
ტუჩსა ბერავს ტყემლის კვირტი.

მიმალულა ბუჩქის ძირას,
ლურჯთვალება ნაზი ია,
არ დაინდო, ახალ შობილს
კაბის ბოლო დაუხია.

იის ცრემლის სურნელება
არემ გულზე შეიფრქვია,
გაბრაზებით, ქარმა კუდი
ზეცის მკერდზე დაიქნია.

მზემ, ისარი სტყორცნა გულში,
უსირცვილო, რა გიქნია!
იას, ნაზსს და მოკრძალებულს
საყვედურიც არ უთქვია...

ჰეი მამულო!

მოიხსენ ტვირთი, ცრემლისდენა გეყო და კმარა,
შეხედე ერთი, მზის ბუხართან პოეზიის დიდი ქარია!
ნახე, ცის კიდე შემოსილა ანგელოსთ კდემით,
აანთე, მიდი ჩაუმქრალი კელაბტარია!

ააელვარე შენი სიტყვა-ცას ჰფენდეს ნათელს,
რომ მთის არწივნი შეიმოსნენ შავლეგოს ჩოხით,
რომ საქართველოვ, ბარაქით და ხვავით ნადუღარს,
მტერმაც მოგართვას პურ-მარილი ნალოცი ხონჩით!...

მზე ივარდებს და მზე გაიშლის ოქროსფერ კარავს,
ღრუბელი წავა, საქართველოს, ვერას დააკლებს,
კრწანისის ველზე ფრთაწითელა ყაყაჩოებთან,
კვლავ ქართლის დედა ხმაწვდილი გმირებს შემოკრებს!

აიშლებიან ალგეთიდან ლომის ბოკვრები,
ბებერი ლომი კვლავაც ისევ ძუძუს აწოვებს!...
აქ, ჩალმიანი კარავები უცხო ტომელთა–
კავკასიონზე არწივების ბუდეს დატოვებს!...

ჰეი, მამულის შეურყვნელო ენავ და თმენავ,
ზეცის კიდეზე შეგინახავს რჯული და რწმენა,
მტერმა შანთითაც ვერ წაგგლიჯა, ვერ ამოგიღო–
ქრისტეს ბაგიდან წარმოქმნილი ქართული ენა!

* * *

უფალო, ხმატკბილი საუბრის მერე
ვატყობ ტკივილები მიამდება...
გული მოწყალედ შობილი ~ შაქარ
მოყრილი სიტვებით —-
მტრისთვისაც რად მიამდება?!...

ბუნება გიმღერს იაო...

მთას ნისლი უჭამს გულისპირს,
ცრემლი ჩამოსდის თვალზედა,
სიტყვა არ ესმის უგულოს,
გინდა ეფიცო რჯულზედა.

ჯიხვმა, ჯიხვს რქა ჩაუგრიხა,
მგელი ნავარდობს სერზედა,
მთის გულმა ამოიოხრა,
ია ამოსკდა მკერდზედა.

თეთრკაბიანი გვირილა,
ჩამოჯდა მთისა მუხლზედა,
გაზაფხულს ნისლით დაცვარულს
თვალ-წამწამს ძალით უხელდა.

ტირიფს ცრემლები ჩამოსდის,
მიწის გულს აშლის დალალებს,
სამგლოვიარო მოსწყინდა,
მთას წყაროს რაკრაკს ავალებს.

ბუნების ამღერება სურს,
ბულბულს სონეტებს უწერდა...
ხმელი წიფელის ვარამზე-
ვაჟას ფანდური უმღერდა.

მგოსნის ფანდურმა ამოსთქვა,
გულს ვერ შეუხრავს ჭიაო,
გამოდი, არე მოქარგე-
ბუნება გიმღერს იაო!...
.....

განძია იგი...

ჩემი ამ სოფლის ნავსაყუდელი
არის უფლის და მზის დიადემა.
ორი მთავარი ჭეშმარიტება,
მზე და უფალი სულზე მადნება.

ავანსად ნარგენ წუთისოფელში,
მზე ჩამიბუდდა სულის ბაღნარში.
მფარველი მამა ჩემი სულისა,
კალთას მაფარებს წვიმა, ავდარში!...

სულის, არ უნდა ტკივილი ვიგრძნო,
მტლად მომდებია ღრმა ნაჭრილობზე,
მფარველი მამა, ზეცით მიგალობს~
სულს ვერ გავხვევ ძაძს და ჭილობზე.

დრო ვერ მოვარგე სულის გასაღებს,
ეშმას ვერ ვალხენ ადამიანში,
მზის ფოლიანტებს მივენდე,აბა! ~
მე ვერ ვაცხოვრებ სულს,ბოღმიანში...

ადამიანში, ადამიანი, ვის სულშიც ადამიანობს,
ზე უფლის დასი იმისთვის სულ მადლიანობს...
განძია იგი ამ სოფლის, ვის სულშიც ~
ადამიანში, ადამიანი, მუდმივად ადამიანობს!...



თენგიზ ფანცულია

ცხოვრების მრიცხველი

ქცევა შეგცდა თუ შეგაშლევინეს,
უკვე არა აქვს, ამას მნიშვნელი,
მთავარი აწი მასზე იფიქრე,
ზემოთ რას დაწერს, „უფლის –მრიცხველი“.

ნიანგის ცრემლი, შემდეგ ბოდიში,
თავს ნაცრის დაყრა, ვერას გიშველის
ვინმეს ვგულისხმობ, თუ საერთოდ ვთქვი,
თვითონ მიხვდება, ამის მკითხველი.

პ.ს:
ნდობით რომ გული მწარედ ატკინეს,
მგონი არა ვარ ხალხო პირველი,
ასეთი თქვენაც რომ შეგხვდებოდათ,,
დამეთანხმება ლექსის მკითხველი.

ზენაარო გეხვეწები

ზენაარო გეხვეწები,
დამილოცე ჩემი ერი,
დაიცავი, ააარიდე,
ყოველგვარი განსაცდელი,

ცუდისაგან განაშორე
თანამოძმე, ახლობელი,
გულიანს და მადლის მთესავს,
ყველგან მოუმართე ხელი.

ნუ იქნები გზაცდენილის,
ძალზე მკაცრი განმკითხველი,
ლმობიერი გამიხადე,
ზოჯერ მკაცრი ბრალმდებელი.

შვილზე მოფიქრალი დედა,
არ გახადო ცრემლის მდენი,
გთხოვ,რომ აღარ მოუმატო,
დარდი, სევდა, სატანჯველი.

ქართველებს არ მიაკარო,
ბოღმა, შური, ყველა სენი,
ვინც შესცოდა ან დაიბნა,
ეშმაკისგან დაიხსენი.

გლეხი კაცი და მშრომელი,
გამიხადე ღონიერი,
სოფლად სახლი არ მანახო,
მიგდებული, ცარიელი.

მაპატიე ამდენ თხოვნას,
რომ გაკადრებ, ერთი ბნელი,
რა ვქნა, კარზე მომდგარია,
გვიტევს ყველა სახის მტერი,

დამილოცე, მიდღეგრძელე,
სიკეთის და მადლის მქმნელი,
ამიყვავე გამიმრავლე,
ჩემი ხალხი ძველისძველი.

პ.ს:
მომეძალა ფიქრი, მე ნაბახუსევზე
ცოტა პირადულზე, ამ ჩვენ ტანჯულ ერზე,
ყველას სატკივარზე, საშიშ განსაცდელზე,
ლამაზ სამშობლოზე და ჩვენ მოსავლელზე.

ამიტომ ისევ ვაწუხებ უფალს,
რომ შეეწიოს ერს,
ცოდვილებზე და უმადურებზე,
ნუღარ აიღებს ხელს.

ზურგი ვაქციოთ ეშმაკს

მოსაფერებლად ღმერთმა,
ხომ შექმნა კოხტა ქალი,
თქვენ რად გადიხართ გვერდზე,
ცოდვის რად გინდათ შარი.
ბილწი ქცევისკენ ხალხო,
რატომ გაგირბით თვალი,
სჯობს ქალის მიმართ იყოთ,
ტრფობით და ვნებით მთვრალი.
გთხოვთ მოეკიდეთ ოჯახს,
მოაწყვეთ სახლი-კარი,
საზიდად ბილწის მქმნელებს,
მძიმე ექნებათ ჯვარი.
ვინც შეეკარით ეშმაკს,
მათ დაუჭირეთ მხარი,
არ მოგივიდეთ მერე,
მასეთი წრიდან რძალი.
ვთქვათ გამოვდექი ბნელი,
ვეღარ გავიგნე კვალი,
დედა თუ აღარ იქნა,
ვინ გაამრავლოს გვარი.
ჩემი თხოვნაა ხალხო,
ერთურთს ჩავჭიდოთ ხელი
ჩვენ თავს მივხედოთ ჩვენვე,
„ლელთ ღუნიაა“ მთქმელი.
მოდი სამშობლო გვქონდეს,
ერთიანი და მთელი,
ზურგი ვაქციოთ ეშმაკს,
და ავაყვავოთ ერი.

პ.ს:
თუ კაცი მოძმის ანდა თვისი ერისთვის,
თუნდაც, რომ ერთხელ არ აინთება,
მისი სიცოცხლის ღირებულება,
მგონი კაპიკიც აღარ იქნება.

* * *

სიმართლეს ვამბობ და ვაღიარებ,
მიტომ დავდივარ დღეს დარდიანი,
ჩვენ გარშემო და სოფელ-ქალაქში,
ნაკლებად მხვდება ადამიანი.

იშვიათია ქალი თუ კაცი,
სახენათელი, ხალისიანი,
პირადად ანდა საერთო ყოფით,
კმაყოფილი და ღიმილიანი.

ვინც რა უნდა

ვინც რა უნდა იჭორიკნოს,
ვინც რა უნდა თქვას,
მე ხომ ვიცი, შავი გული,
ნაღდად არა მაქვს.

თუმცა ბევრი გადაუდგა,
ძმობის რჩეულ გზას,
მე ერთგული მეგობარი,
მაინც გვერდში მყავს.

თუმცა ბევრჯერ შევეფეთე,
მე სხვის გამო შარს,
ბედმა მაინც არ გამწირა,
ამარიდა ავს.

ყველამ იცით ენას ძვალი,
ხალხო არა აქვს,
მთავარია გულით თესდე,
სიკეთეს და მადლს.

შეგიძლიათ, რომ ილაყბოთ,
წისქვილმა კი ფქვას,
არასოდეს ვუღალატებ
ჩემს ერსა და ჯვარს.

სხვის ომებში ბრძენი ხალხი,
ყველა სოფელს ჰყავს,
გულმართალი თბილი სიტყვა,
ხომ.გვიმაგრებს მხარს.

ამიტომაც დილიდანვე
ავაჟღერებ ქნარს,
დიდი უფალის იმედი
მუდამ მაქვს და მწამს

თუკი გინდა გამოსცადო,
ვინაც შემოგფიცა ძმობა,
ვისაც შენი დრო დაუთმე
გულის სითბო ანდა ნდობა.

დააკვირდი მომავალში,
თუ იცვლება ქცევა-გრძნობა,
კარგად ნახე, შენ საჩუქარს,
იგი როგორ მოეპყრობა.



მირზა ვარძუკაშვილი

ცხრა აპრილს დიდება გმირებს.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს...

მზე აპრილის მოიწვერა ცეცხლის ფერი,
ჩემი ქვეყნის გუნდი გალობს ანგელოზთა.
სიხარულის სიამაყის თვალზე ცრემლი,
დასდენია ბრძოლის ველზე ქართველობას.

ისევ მღერის გმირი ქალი "დაუკარით"
დროშით ხელში გვერდით უდგას შვილებს
დედა.
წინ მოიწევს დასამხობად ქართულ ზეცის,
ერთ მორწმუნე უმცროსი ძმა გვერდს
რომ გვედგა.

"დაუკარით"ხმა მატულობს სალაღობოს,
ერთ მუშტად დგას მტრის წინაშე
ქართლი მედგრად.
მოსევია სამტროდ ურდო საქართველოს,
ულმობელად სურს ქართველთა სისხლი შესვას.

"დაუკარით"აგუგუნებს გმირი ქალი,
სისხლში უვლის ჟრუანტელად მთას
და მდელოს.
ხმა უკვდავი ზეციური ახლაც ისმის,
"გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს."

* * *

წამშია დროის მარადისობა,
არსი სიცოცხლის ამომავალი.
ამ ერთ წამში დევს კაცთ მოდგმის ყოფა,
წარსული აწმყო და მომავალი.

აბა რა ვიცი რა დრო დამრჩა....

აბა რა ვიცი რა დრო დამრჩა გეტყვი ვერაფერს,
რამდენს გაუძლებს ჟამის ქარებს გულის კარები.
მე დავიწყების ნასიზმრალებს თუ მივეფარე,
შენ ამ ჩემ ლექსებს საუკუნოდ ემახსოვრები.

ნუ შეწუხდები ჩემის გამო არა ღირს ღელვად,
ზეცას შეხედე ნაადრევად ნუ მობერდები.
მე დამიჯერე მაშინათვე გავჩნდები შენთან,
თუ ერთხელ მაინც გულიანად მოგენატრები.

არ მივეცემი დავიწყებას ვიცი უთუოდ,
მჯერა შენა და ჩემ სტროფებს არ დაგავიწყდებით.
ამ სოფელმა რომ დავიწყებულ სიზმრად მიგულოს,
შენ ვიცი მაინც ხილვასავით გაგახსენდები.

გილოცავთ ყველას ხარებას.

ფიქრში ყვავილობ....

ფიქრში ყვავილობ იასამნებად,
ქვეყნად მე შენით გავიაპრილე.
შემომაგებე გრძნობა შენ ბედად,
მკვდარს სიყვარული ამიყვავილე.

გონების თვალი გჭვრეტს როგორც ზეცას,
ლექსით სიცოცხლე გამიხანგრძლივე.
ამ გულში სხივებს მზესავით კეცავ,
და ცისკარივით იფშვნეტ თვალჭრილებს.

ვგრძნობ უკვე ახლა ახლო ხარ ჩემთან,
მრავალს შევხვდებით გრძნობის აისებს.
ჰო შეგადარებ სტროფებით მზესთან,
სულს უკვდავებით გაგიმაისებ.

თვალწინ ყვავილობ იასამნებად,
თავი მგონია ვფიქრობ ედემში.
შენ გაზაფხული გმოსავს მშვენებად,
გლეხის გულივით ჰგალობ ჩემს მკერდში.

* * *

როგორაც ხურდას ვაჭრები დახლზე,
აისე ვხმარობთ გულისაკლავ სიტყვას.
არადა ის რაც არაფერს შეგძენს,
კაცის პირიდან არც უნდა ითქვას.

ჩამობრძანდება ცით ანგელოზი...

არის აპრილი მდუმარე ახლა,
არ ჭიკჭიკებენ არსად მერცხლები.
ახლით იცვლება ძველი დროება,
უნაყოფონი დგანან ლეღვები.

გარინდულია სამყარო მწუხრით,
გადაიარეს ჟამის ქარებმა.
ჩამობრძანდება ცით ანგელოზი,
სიტყვის დამტევნელის მახარებლად.

ბრალს ნურვის დასდებთ...

უკვდავი გრძნობა სამყაროში ცამდე ვადიდე,
მე სიყვარულის მუდამ ვიყავ მონა მფლობელი.
ბრალს ნურვის დასდებთ თუ საეჭვოდ
გარდავიცვალე,
უსიყვარულო დააკავეთ წუთის სოფელი.

საოცრებაა ადამიანი...

საოცრებაა ადამიანი,
დღის შეუცნობლად ხვალინდელს გეგმავს.
რამდენი ტოვებს ამ სოფელს წამში,
მაინც უღმერთოდ სიცოცხლეს ბედავს.

მზე თვით ჯვარცმული ღმერთია...

აიმ მთის უკან მთა არის,
მთებს იქეთ ისევ მთებია.
თვალცრემლიანი ნისლები,
ლაზარეს მტირალ დებია.

მწვერვალებს მიღმა ცა არის,
კლდე შუბ ნაგმირი ფერდია.
მიწა სისხლისგან ნასყიდი,
მზე თვით ჯვარცმული ღმერთია.

მიყვარხართ მე ვიცი...

კარზეა აპრილი მზეც მოდის ცხრა თვალა,
არ თბება გულცივობს რატომღაც სამყარო.
გულები გაცივდნენ მკერდის ქვეშ ფართქალა,
მხოლოდ მზე უგრძნობელ გულს რითღა დაათრობს?

გახსენით გახსენით მასპინძლად აპრილის,
გულები გახსენით მკერდში სადარბაზოდ.
ეს მარტი ენძელით ტანზე ჭორფლ დაყრილი,
იებით თავს ირთავს აპრილის სამაყროდ.

რატომღაც ისევე გულგრილობს ამინდი,
სიცივეს ბუნება არაფრით არა თმობს.
მარტია მომკიდე ხელის შარიანი,
ცისკრამდე ჯერთ კიდევ წყვდიადი თამადობს.

იღვიძებს ნელ ნელა ადრიან ცისკარი,
იბერტყენ მწვერვალნი მხრებს ზამთრით დანათოვს.
ლაღდება სიცოცხლე დედოფალ აპრილის,
წყარო ფერდობებში კისკისით ნავარდობს.

იასამნისფერი აპრილი კარზეა,
ნაპირებს აწყდება გულს სისხლის მდინარე.
მიყვარხართ მე ვიცი უთუოდ დათბება,
შემოვა აღდგომით სულში ღვთის სინათლე.

ცას შავცქერთ...

ცას შავცქერთ მიწას არ ვსწყალობთ,
გულ მკერდზე ვდგებით ფეხებით.
ცას უფრო ჰფარვენ შე კაცო,
ამპარტავანების ნისლები.

ნანერწყვი მიწა გერჩივნოს,
თავმდაბლად ფეხძირნაგები.
ღმერთმა მის გულში თუ ღირს გყო?
მკვდარი თესლიდან აღსდგები.

მარტოობა....

მარტოობა ნეტარებით შემიყვარდა,
სიყვარულით განთქმული და მეტად მშვიდი.
მიღალატოს?არასოდეს არ მოხდება,
ერთგულებას ის ხომ არაფერზე ყიდის.

ბესო ჩუბინიძე

ჰო, მიდით...

ჰო, მიდით... მლეწეთ, ქვა მესროლეთ, ღორღში ჩამმარხეთ,
ჰო, მიდით... უცოდველნო, თქვენ წმინდანნო პირში მაფურთხეთ,
ჰო, მიდით... მცემეთ, ცხელი დანით გული დაშანთეთ,
ჰო, მიდით... მიდით, უბრალებლად, სისატიკით სეტყვა მაყარეთ!

ჰო, მიდით... გადამიარეთ, ტყუპი წიხლი სახეს მალეწეთ,
ჰო, მიდით... მიდით წყევლა-კრულვა არ დაინანოთ,
ჰო, მიდით... მიდით ღვარძლიანი სახით მაქებდეთ,
ჰო, მიდით... მე საჩუქრად ბოროტება დამისახელეთ.

თქვენ ხომ წმინდანნი, უცოდველნი კრავნი ხართ, ფარა,
თქვენ ხომ არარად მიგაჩნიათ აწმყოს ძახილი,
თქვენ ხომ წარსული გაგახსენდებათ, მხოლოდ ლამაზი,
მხოლოდ მომავალს, როს აჰკიდებთ ფეხმონახული.

ჰო, მიდით... კაცნო, წამაქციეთ, თავს ლაფი მასხით,
ჰო, მიდით... ყველამ, თქვენ ყველამ, ყველას ჩათვლით,
ჰო, მიდით... ნუ გრცხვენიათ, მიმატოვეთ ლოთი ქუჩაში,
ჰო, მიდი... ღმერთო შენ, მხოლოდ ერთო, მელოდე ათვლით.

მე დავიბადე, მიცხოვრია, მიცოცხლია, გარდავიცვლები,
მხოლოდ მომავალს დაეკითხეთ ჩემი წარსული
და მერე, ჰო, მხოლოდ მერე, დანანებით გამიხსენეთ
ჰო, მე ის კაცი, კაცი თვენგან ადრე წასული.

ჰო, ახლა მიდით... ახლა მწყევლეთ, ახლა მაგინეთ,
ჰო, მხოლოდ ახლა მოასწარით ჩემი მიგდება,
ჰო, მხოლოდ ახლა... რადგან მალე დაგენანებით,
ჰო, რადგან, მერე იტყვით, გულში იტყვით – ღმერთო მაპატიე!

... და ჩემში კვდება გალაკტიონი

... და ნაშუადღევს ვზივარ მე მარტოდ,
როგორც იმ დღისით გალაკტიონი,
ვუმზერ ფანჯრიდან შუადღის თბილისს,
ჰორიზონტისკენ სჩანს ბახტრიონი.

... და ჩემთვის ვფიქრობ,
ვფიქრობ და ვფიქრობ,
როგორც იმ დღისით გალაკტიონი,
მეფეთ მეფე ვარ, აწმყოს სტუმარი,
როგორც წარსულში გალაკტიონი!

ვუმზერ ფანჯრიდან მე მტვრიან ქუჩას,
შეხედე – ისევ, წაიქცა ბავშვი,
შეხედე – მერი აუყვა ქუჩას და
დაიმალა ის, ლამაზ სახლში.

... და ჩემთვის, წყნარად, ეულად, მარტოდ,
ფანჯრიდან ვუმზერ ეზოს შპიონი
და მახსენდება, რომ ვიგრძენ ჩემში
ის, რასაც გრძნობდა გალაკტიონი!

ზემოდან ვუმზერ დამტვერილ თბილისს,
რაის პარიზი, რაის ლიონი,
მე ხომ მეფე ვარ – უგვირგვინო, ადამიანთა,
როგორც წარსულში გალაკტიონი!

შეხედე, – ქუჩაში, მტვერში წაიქცა ბავშვი,
აგერ, ის კაცი – მესაფლავეა
და რას ფიქრობდა იმ წუთში თავში,
პოეტთა მეფე გალაკტიონი!

როცა არავის ეკითხებოდა,
როცა არავის არ აწუხებდა
-რომელი საათი? სიკვდილის დროა?
მეფეები, რომ არა კვდებიან იცოდა მაგან,
რადგან, ის იყო გალაკტიონი!

ისევ ზემოდან გადავყურებ მე მტვრიან ეზოს,
აგერ, შორს მოსჩანს კვლავ ბახტრიონი,
და უცებ, უმალ აღმოვაჩინე,
რომ ჩემში მოკვდა გალაკტიონი!

ეპილოგი

ვარ ფრთამოტეხილი მე მთის არწივივით,
და თათმომტვრეული ცხოველთ მეფესავით,
ქორბუდა ირემივით რქებგადაგლეჯილი,
ჯიხვის შუბლისავით სისხლგადაჩქეფილი.

პოეტთ მეფესავით განადგურებული,
გიჟი თერგივით, ნგრევით მომავალი,
ვარ მუხმოყრილი, ეული განდეგილი,
ციდან ჩამოყრილი სეტყვით დამარხული.

ვარ იუდასავით მე სულშეძრული,
ვარ რომეოსავით თვალებდაბინდული,
ვარ მწყურვალი და მე ვარ მშიერი,
ვარ უსუსური, მე მგლის ნაშიერი.

ვარ დონ-კიხოტი და მე ვარ იაზონი,
სალვადორ დალი ვარ და ფიროსმანი,
დათა ვარ თუთაშხია, მე ტყის აბრაგი,
ვარ მონა, შავი, აფრიკელი დიდი ნილოსმანი.

ფეხმოტეხილი ძაღლი ვარ ერთგული,
და შვლის ნუკრი ვარ მე თვალნამიანი,
ხმელი წიფელის ფესვი ვარ გამხმარი,
და სიტყვით დაკოდილი კაცია-ადამიანი.

მე სანთელი ვარ ტაძარში ჩამქრალი,
მე ნავი ვარ ტბაში ჩაძირული,
მე ილია ვარ, წიწამურთან განგმირული,
სემირამიდა ვარ, ბაღებად დაკიდული.

ადამიანი ვარ – გულით გატეხილი,
კაცი ვარ, თუმცა რწმენა ნირწამხდარი,
მე მზის სხივი ვარ, ზეაცში დაკარგული,
თოვლის ქვეშ ია ვარ, ცოცხლად დამარხული.

მაგრამ... მე შვილი ვარ, უფლის გაჩენილი,
მე კაცი ვარ ძალადაკარგული, – არა გამოცლილი,
ხვალ ისევ გათენდება, – ღმერთო დამეხმარე,
იმედს ნუ მიმტყუნებ, – იმედს შერჩენილი!

ნუ ტირით

ნუ ტირით ჩემზედ, ცრემლს ოქრსოსას ნუ ხარჯავთ დარდით,
ნუ ტირით, თუ მე ვწევარ მოცელილი ვაჟკაცი მკვდარი,
ნუ ტირით, აქ სიცოცხლე არ მქონია ია და ვარდი,
ნუ ტირით, იქ მაინც მიდგას მე მზიანი, უღრუბლო დარი.

ნუ გგონიათ, რომ სიცოცხლე მე ვერ შევირგე,
ნუ იფიქრებთ, რომ მე ცოდვილს ჯვარი მიმძიმდა,
ნუ შემხედავთ ტახტრევანზე დადებულ ვაჟკაცს
და ცრემლებსაც ნუ გამაყოლებთ, ისედაც წვიმდა.

ნუ გადამხდით თეთრ სუდარას მე ჭაბუკს ლამაზს,
ნუ იტყვით, რომ მე კარგი ვიყავ,
ნუ დაიმშვიდებთ გულს სევდით ავსილს,
ნუ იოცნებებთ, რომ თავისთვის ღმერთებსაც კი კარგები მიყავთ.

ნუ დამატირებთ, მე ღიმილით გამიშვით იქით,
აქ თუ გჭირდებით, მე ხომ იქაც მელიან ჩემნი,
ნუ გეგონებათ, რომ მე მოვკვდი და აღარა ვარ,
გარდავიცვალე, ამაცალეთ მე გულიდან ცრემლების გრდემლი.

აქ ვისაც ვტოვებ, მათ მიმიხედეთ აქ დარჩენილნო,
და მე იქიდან ანგელოზად მოგევლინებით,
ჩემი ფრთების ქვეშ დაგიფარავთ, მუდამ დაგიცავთ,
არ შეგაშინებთ ჩემი ჩუმი ღამის ვლინებით.

ნუ მიტირებთ, მხოლოდ ჩემთვის ილოცეთ ჩუმად,
მე არ მოვმკვდარვარ, მე ხომ მხოლოდ გარდავიცვალე
და ნუ გგონიათ ვეღარა გგრძნობთ და ვეღარ გხედავთ,
ათუ პირიქით, მე უბრალოდ ფერი ვიცვალე.

ნუ გეგონებათ, რომ დაგტოვეთ უჩემობით თითქოს დაგსაჯეთ,
მე ხომ გაფრთხილებთ – სხვანაირაც მოგევლინებით
და როცა სხვაში, სხვა დროს ჩუმი ფიქრისას მიგრძნობთ,
არ შეშინდეთ – ეს, მე ვიქნები ჩუმი ვლინებით.

მაშ, ნუ მიტირებთ, თეთრ სუდარს ნუ გადამხდით მომღიმარ ცხედარს,
მხოლოდ იცინეთ, გაიხსენეთ ცხოვრება ჩემი,
დროს გაუძელით, იამაყეთ და იცოცხლეთ მოგონებებით,
იქ გელოდებით, ასი წლის მერე იქ იქნება სამყარო ჩვენი.

აქ დარჩენილებს მე გიტოვებთ სახელს ჩემს კაცის,
თავს ნუ დაიღლით სევდების ცეცხლით, ცრემლებს ნუ მატანთ,
ნუ მიტირებთ ტახტრევანზე დადებულ ვაჟკაცს,
მე ცოცხალი ვარ, დაიჯერეთ, თავს ძალას ატანთ.

მე არ მოვმკვდარვარ, გარდავიცვალე...

* * *

გამიშვით, – მე დღეს მარტომ უნდა მოვიგო ომი,
გამიშვით, – მარტო გამიშვით, მარტო ჰოო მარტო,...
ან სად გინახავთ, დამარცხებული უფაფრო ლომი,
გამიშვით, – მარტომ უნდა მოვიგო მე დღეს ეს ომი.

გამიშვით, მე დღეს უნდა დავთესო ნამი,
გამიშვით, მე დღეს უნდა გაჩუქოთ წამი,
გამიშვით მარტო, – გამიშვით კენტად,
ანდაც მაყარეთ, – ტალახი, ლამი.

გამიშვით, მე დღეს უნდა გაჩუქოთ წვიმა
გამიშვით, მე დღეს მე დღეს ღმერთთან უნდა მივიდე მარტო,
გამიშვით, ცაზე უნდა დავხატო წვეთი,
გამიშვით, – რატომ მაჩერებთ, რატომ?!

გამიშვით, მე უნდობლობა მინდა დავმარხო,
ქართველს ქართველი შევაყვარო მე უნდა,
გამიშვით, – გამიშვით, რომ აღარ გნახოთ
გამიშვით, ომი მოვიგო დროულად უნდა!

გამიშვით, ნუ მიცოდებთ, ნუ განაღვლებთ, – გამიშვით მეთქი,
სისხლიც გამიშრა, ნუ მაჩერებთ ცოცხალ გვამს, გამიშვით მეთქი,
გამიშვით ვყვირი, ჰო – არ გესმით მე ვყვირი, ვყვირი –
გამიშვით, – ომი უნდა მოვიგო, გესმით? – გამიშვით მეთქი!

გემუდარებით – ტამიშელ ძმებთან გამიშვით მეთქი,
გამიშვით მეთქი, შინდისელ ძმებთან გამიშვით მეთქი,
არავის გესმით? ეჰვეე ქართველნო – ომში გამიშვით,
ნუ გეცოდებით, ნუ განაღვლებთ – გამიშვით მეთქი!

მიხეილ, რუსლან, ფელიქს, ემზარი,
ნიკა, ილია, ირაკლი, ვეფხო,
ერთად ჩამოვკრათ ძმებო ეგ ზარი
თქვენთან მომიშვით ვაჟკაცნო, ვეფხვნო!

ზვიად, ალეკო, კახა, ჰეეე – ბაჩოოო...
ლევან, ილია, რომან, მარლენი,
თემოოო – ბიჭებო მომიშვით თქვენთან,
მარტომღა უნდა მოვიგო მე თქვენი ომი!

გამიშვით, – მე დღეს მარტომ უნდა მოვიგო ომი,
გამიშვით, – მარტო, გამიშვით მარტო, ჰოო მარტო...

გვანცა პაატაშვილი

გალაკტიონი

მე მომენატრა გალაკტიონი,
მისი წითელი წიგნის შტრიხები
ჩემთვის ძვრიფასი თოვლის რითმა და
ჯვრისწერის გლოვა მერის თვალებით.
მინდა, რომ ერთხელ კიდევ ვიხილო
უსიყვარულოდ არარაობა,
ატმის ყვავილი სულში ჩამიძვრეს
და შემაძრწუნოს მთვარის ამოსვლამ.
მინდა, რომ ღამემ მეც მიმიბაროს
და ქარის ქროლვით ფოთლებს შორს გავყვე...
ვითხოვ, შემივრდოს მზემ თიბათვისამ
და მესაფლავემ მომიყვეს რამე.
ლურჯა ცხენების ლურჯი ქროლებით
მინდა, მივადგე მე ზამთრის კუბოს
და ალიონზე მუხის ტოტებში
ცამეტი ტყვია დავაგუგუნო.

* * *

ეულ ლამპიონს შეჰხარის ქუჩა,
სიჩუმე ჩაწვა სოფლის უბეში,
სიგრილე მკლავებს მიყვება ნაზად,
მთვარე ირხევა იუპიტერში...
სილურჯე მისდევს შორეულ ზეცას
ციცინათელებს უკრთებათ ძილი,
ლექსებმა შენგან წაიღეს წილი
შენ ახლა არ ხარ აქ საკმარისი...

* * *

ორშაბათს ბერიკაცს შევეფეთე,
ბერიკაცს ასაკით საფიქრალით,
სამშაბათს მივხვდი, რომ ჩემი სახე
გაუხდა თურმე საფიცარი.
ოთხშაბათს წერილი მომივიდა,
ტექსტია გულის განმგმირავი.
ხუთშაბათს ფიქრით დავცინოდი,
ვიფიქრე, პასუხს გავუგზავნი.
წერილი იყო უიმედო,
ვამხილე, სულელურ ნაფიქრალში
ცოლ-შვილი მწარედ შევახსენე,
ასაკის ძგერა შევიცანი.
თითქმის დამავიწყდა შაბათ-კვირას,
ღიმილით ერთხელ გავიხსენე,
თურმე თავის მოკვლა უფიქრია
არა, ვერასოდეს დავიჯერებ!
გათენდა მეორე ორშაბათი,
ისევ დავინახე დაბნეული,
დილა მშვიდობისა რომ ვუსურვე,
ფერი გადაეკრა უძინარის.
ახლა ეს თავის მომკვლელია?!
წავა და ლექსებით იოცნებებს,
ღმერთია ჩემი მწყალობელი,
მე კი იმ უღმერთოს მათრობელი.

ჩემო საქართველო

ჩემო სანატრელო, ჩემო სადარდელო,
დიდი ყოფილხარ და თანაც სანაქებო.
როგორ შეგეხიდო?
როგორ შეგიფარო?
როგორ გაგამთელო ჩემო საქართველო?..
მწვანე ველებით და კლდოვან ქალაქებით
როგორ მოხატულხარ, ხელზე დასატევო,
შხარად აჭრილხარ და ჰქუჰხარ ჩანჩქერებად,
ჩემო ერთი ციდა სულის სავანეო.
ტაძრად მოქცეულხარ, ჯვრად და ნიკორწმინდად
გრემად, სვეტიცხოვლად, ბოდბედ, სამთავისად...
სული გიბერია რწმენის სიმტკიცისთვის,
ლექსად გიმღერია ენის სიწმინდისთვის,
რა გადაგხდენია ვის ძალუძს სათქმელად?!
სიტყვაც დამელია შენს ამბათ საქებრად...
ჩემო სადარდელო,
ჩემო საქართველო
შვილებს შეგავედრებ, იქნებ გაგამთელონ...

* * *

შენს თვალებში თოვდა, თოვდა, თოვდა...
და ზამთარი მოგეხვია მხრებზე,
მე ბეღურად მოვინათლე თავი,
შენს ზამთარში მოსასვლელ გზას ვეძებ.
შენს სახეზე თოვდა, თოვდა, თოვდა...
სითბო ვერ ძლებს შენს გაყინულ ხელზე,
მე ბეღურას მარტოობას ვპარავ,
შენს ზამთარში ყოფნის მიზეზს ვეძებ.
შენს სხეულზე თოვდა, თოვდა, თოვდა...
თოლიებმა მიგატოვეს ხვდები.
მე ბეღურად მიხარია ყოფნა
შენს ზამთარში ვრჩები, ვრჩები, ვრჩები...

* * *

დღეს გუბეში ჩაიღვარა მთვარე,
ფერად ფიქრებს აფერმკრთალებს ღამე...
ამ სიჩუმემ გამაგიჟა ლამის,
დრო წუთებში გაეჩხირა წამით...
ჩაქრა ცეცხლი, გაიყოლა კვამლიც,
გაჩნდა კითხვა გადავშალე ფანქრით...
მკრთალად, მაგრამ მაინც დარჩა კვალი,
ამ სიჩუმემ სულ შემშალა ლამის...
ღრუმბლის სუნი გამალებით მათრობს,
ღამის შავი მდუმარება მაკრთობს.
წაიშლება ხვალ გუბეში მთვარე
ხვალ მოგიხმობ, მე უმთვაროდ ვათევ...
დაიღალა, დაიღალა მზერა,
აღარ ართობს მოღამული ხედვა,
დრო წუთებში გაეჩხირა წამით,
დაშრა გუბე...მთვარე – წადი! წადი!

გაოგნებული ფრთხიალებს ფიფქი
მიხვდა, რომ ზამთრას ვეღარ მოუსწრო,
სულს უსხეულოდ სირცხვილი ჰყიდის,
სული-ჩემია, სხეული-მისი...
თოვლი ვერ რჩება ტოტების ლეწვას,
მიხვდა, რომ მარტმა ღალატიც იცის.

ლიზას...

თებერვალმა შეამოკლა დღეთა სუსხი,
მზე იისფრად ჩაიღვარა მინდვრებში,
3 მარტი შენს თავს უფრო შემაყვარებს,
კიდევ ერთხელ გულში ჩაგეხუტები.
გაზაფხული დედად ისევ ამაყვავებს,
ჩემს ცრემლებზე კვლავ იფეთქებს ენძელა,
შენი ხელით მოკრეფილი იასამინს,
ფერები და სურნელება მექნება.
პაწაწინა ხელებში რომ მიგიმალავს,
შენს მისალოცს საუკუნოდ ვინახავ,
შენი გულის ძგერის პირველ გაგებიდან
(და მას შემდეგ)
უსასრულო, უსასრულოდ მიყვარხარ...

* * *

შენ მუდამ აპრილებს ირჩევდი წასვლისთვის,
მზეს ტოვებ ჩემს ფიქრთა უმწეო დარაჯად,
იქნებ, განშორება ეწამლოს სიყვარულს...
იქნებ, უშენობა მუზებად გარდავქმნა...
შენ მუდამ გაზაფხულს იყენებ თავდებად,
გაკვირტულ ვაზებად აკინძავ მიზეზებს,
იქნებ, ეს საღამოც, დილა რომ გახდება,
კვლავ გასათენებლად შენს ოინს იყენებს.
შენ მუდამ გზახვეულს ირჩევდი გზამკვლევად,
ბაბუაწვერებად მიქციე შიშები,
იქნებ, შემოდგომა არც ისე ახლოა,
ხნულებში ხორბლებად ჩათესე იმედი...
შემ მუდამ აპრილებს მირჩევდი მეტოქედ,
და მეც იისფერად ვიღებავ ჩემს ტუჩებს,
სულში ფურუსულის ფერ კაბებს ვიცვამ და
ლოდინის საზღაურს, კოცნებად ვიბრუნებ...

* * *

სათქმელს აშკარად თვალები ჰყიდის,
თვალები– ჩემი, სათქმელი-მისი...
განწირულ ამინდს ბოდიში უჭირს
იცის, მოკვდება იბრძოლოს რისთვის?!
სიშორეს ყველა გზაზე ჰყიდიან
გზები-ჩემია, სიშორე-მისი.

ლეილა მაჩაიძე

****

მტკივა, კენტი ღამეების სევდა
და სიბერის უსასრულო შიში,
მე ეს სევდა,რა ხანია მსდევდა,
რა ხანია, წლების ზრდაზეც ვიცი..
რომ გზაშია, მოდის,ნელა მაინც
და თან მოსდევს, უსაშველო სევდა,
წლების ზრდა კი არის მაინც კარგიც,
რადგან ყველას,არასოდეს სდევდა..
წლები როცა, სწრაფად გავა ვიცი,
შეგვაწუხებს, ჩვენ სიბერის დევნა,
ხანში შესულს, თან გაგვყვება შიში,
და იმ კენტი, ღამეების სევდა..
ძლიერ მტკივა მე იმ კენტი ღამის
წარსულში რომ მხოლოდ კენტად დარჩა
დამეწია მე სიბერის ჟამი
აღარც ვიცი სულში რა გადარჩა..

დედა...

დედა ფიქრმა მომიყვანა შენთან
მონატრებამ ამატირა დედი
მე გემდური, არ მოდიხარ ჩემთან
ფიქრით,ახლა ისევ შენზე ვწერდი..
დაგიწერე ბარათები გრძელი
ჩავაქსოვე სიყვარული დიდი
მოგონებით მოვიგონე ბევრი
წარსულიდან სულ არაფერს ვშლიდი...
რადგან დედა ის ბავშვობა ტკბილი
ჩვენ რომ გვქონდა დღეს არ ააქვთ
ბავშვებს
ის ცხოვრება იყო თბილზე თბილი
ზოგს სცივა და აბა რითი გათბეს..
სიღარიბემ გაიმარჯვა ყველგან
დათარეშობს დაბრანძული ჩოხით
ახლა დედა შენ რომ იყო ჩვენთან
იტირებდი ზოგიერთის ცოდვით..
დედა ბევრი დაგიწერე და გთხოვ
სულ უბრალოდ გადაავლე თვალი
ახლა გარეთ სიცივეა აქ თოვს
აღარაა აქ ქუჩები მშრალი..
გულთან ახლოს ნუ მიიტან დედი
ბუნებამაც სულ აიღო ხელი
მე კი შენით დამყოლია ბედი
შენზე ფიქრით დღეთა გასვლას,მშველი..
ლეილა სხვაველი.. მაჩაიძე..
თქვენ გაგზავნეთ

არ მეგონა..

არ მეგონა თუ ცხოვრება მე როდისმე დამღლიდა
ფიქრებს გზას თუ შევუცვლიდი, გულს საყვედურს ვეტყოდი
ანდა თავად გული ჩემი უსარგებლოდ ჩამთვლიდა
მაშინ როცა მთელს ქვეყანას სიყვარულით ვეტრფოდი..
თუ როდისმე ეს ცხოვრება ჩემში აზრს დაკარგავდა
თუ მე ისევ ძველებურად ღრუბლებში არ ვიფრენდი
საკუთარ თავს შევატყობდი რწმენას როგორ კარგავდა
ამდენ რამეს ამდენ რამეს თურმე თუ მოვითმენდი..
ნუთუ მართლა? გადამღალა ცხოვრებამ?ვერ ვიჯერებ
სიხალისე, რწმენა ჩემი,ყველა ერთად არია?
ეს სიცოცხლე, სიყვარული, მიპასუხეთ ვერ ვისვენებ
არ არსებობს? სიცრუეა?ყველაფერი მცდარია?
ვერასოდეს ვიფიქრებდი ცხოვრება თუ დამღლიდა
ფიქრებს გზას თუ შევუცვლიდი, გულს საყვედურს ვეტყოდი
ანდა თავად გული ჩემი უსარგებლოდ ჩამთვლიდა
მაშინ როცა მთელს ქვეყანას სიყვარულით ვეტრფოდი..

მე და ზღვა

როგორც ყოველთვის დღესაც მოველ გეფერებოდი
შენ ჩუმად დამხვდი გატრუნული სმენად გცეული
ხელს შეგახებდი, და მაშინვე აღელდებოდი
სადღაც გარბოდი ბრუნდებოდი კვლავ გაგცეული..
ნახევარი დღე გავატარეთ მე და შენ ერთად
ვიჯექი დარდით დახუნძლული მე შენს ნაპირზე
მე გიყვებოდი შენ მისმენდი ველოდი პასუხს
არ მპასუხობდი სულ არაფელს ამ ჩემს ნაფიქრზე..
მერე დაღლილი ჩუმად ისე გამოვიპარე
აღარ მინდოდა რომ გეფიქრა რაიმე ჩემზე
სულ ორიოდე შენი ცრემლი კი მოვიპარე
მოფერებისას შენს ტალღისგან რომ შემრჩა ხელზე...
შენ ჩემი ზღვა ხარ, თუმცა უცხო, უცხო მიწაზე
მე კი შენ ისე შეგიყვარე როგორც შავი ზღვა
მე აქ თქვენთან ვარ მაგრამ ფიქრით იქ ვარ იმ ცაზე
რომ მივატოვე და არ ვიცი ეს დრო როგორ ვზღა..
ხომ გეუბნებით რომ მიყვარხართ ცაზეც ხმელეთზეც
მაგრამ თქვენ მაინც უცხონი ხართ ასე დარჩებით
თუმც მოგონებებს ვეღარ წავშლი დამრჩით ხელებზე
ვით ნაოჭებში გაჩენილი ჭუჭყის ნარჩენი..
ლეილა სხვაველი..მაჩაიძე..

ჩემს ხახუტას..

მე შენ, მიყვარხარ, ძველებურად, გული ხომ გიგრძნობს,
ამასაც ხვდები რომ უშენოდ,დავიკარგები,
ეს ჩემი გული, ჩემს სიყვარულს, მხოლოდ შენ გითმობს,
მოვალ და ისევ, მაგ ჩემს გულში ჩავიკარგები..
სულ მენატრები, ისევ ისე, როგორც ბავშვობას,
ბავშვობას მეთქი, განა ვტყუი? ახლაც ბავშვი ვარ,,
ხედავ რომ გული კვლავ არ იშლის შენთან ანცობას,
და უკვე ქალი, დიდი ვარ და ბავშვათ დავდივარ..
ვეღარ ვიზრდები,გარეგნულად კი არ მეტყობა,
რომ ჩემს სხეულში, ბავშვად დავრჩი,თუმცა ვბერდები,
ხანდახან იცი? ჩემი თავი მეც არ მეცნობა,
მხოლოდ ის ვიცი, რომ გიყვარვარ, ამით ვმშვენდები..
ჯანდაბას იყოს, ეს სიბერეც მალე მოვიდეს,
განა სიბერე ყველას ერგო, ყველას ხვედრია?
ისეც არ მინდა, აქ ცხოვრება ოდეს, მოგვწყინდეს
თუმც, ერთად ყოფნა, ჩვენს ბედისთვის არ
გვიყვედრია..

****

ვიცი რომ ახლა შენს პერანგს სხვა რეცხავს
რეცხვამდე სუნამოც სხვა სურნელს აფრქვევდა
სუნამო რომელსაც მხოლოდ მე მჩუქნიდი
ეგ თვალი ჩემს მეტს ვერავის ამჩნევდა..
ახლა სხვას ჩუქნი სუნამოს ყვავილებს
შენს საწოლს ის ქალი ჩემსავით ალაგებს
იმ ფოტოს საწოლთან ახლაც რომ კიდია
უყვები ნეტავი იმ ქალს თუ???? არაფერს..
ვინაა თუ გკითხავს ტყუილი არ უთხრა
უთხარი რომ არის ის შენი წარსული
წარსული რომელიც არასდროს ბრუნდება
რომ თვისი ნებით არااااა წასული..
ცრემლი არ გაბედოს რა მაქვს სატირალი
ჩვენ ერთ დროს ბედნიერ დღეებს ვატარებდით
ახლა იმ პერანგებს ხელით რომ ეხება
მე და შენ ჩვენს სხეულს ფერებშიც ვახამებდით..
იმ საწოლს სხვა ქალი გისწორებს დღეიდან
იმ ბალიშს დილით რომ ჩემი თმა ეფინა
შენ რომ იხუტებდი გულში და კოცნიდი
დღეს კი ჩემს მაგივრად სხვა ქალი გეწვინა..
ის ქალი ჩემსავით გიყვარს და გიზიდავს?
ახლა შენს პერანგებს ვინც რეცხავს ნეტავი?
მასაც იმ სუნამოს თუ ჩუქნი ვიცოდე
არა მწყინს ვფიცავარ არა მწყინს ღმერთმანი....
ოღონდაც უყვარდე მას ჩემზე ძლიერად
შენს ფიქრებიდანაც ვიფიქრო გავედი
არ მინდა გტკიოდეს ცალად რომ დაგტოვე
ცალად რომ დაგტოვე და ისე წავედი..

ზღაპარი..

ვერ გაპატიებ შენ ჩემს ღალატს ვერ გაპატიებ
რადგან მოგანდე მხოლოდ შენ ერთს ეს ჩემი გული
რომც გაპატიო, გავგიჟდები შენ ნაპატიებს
და ჩემს სიყვარულს არ ექნება კვლავ დასასრული..
აქ შევჩერდებით, გზები უკვე სხვადასხვა გახდა
შენ იქით წადი საიდანაც უკეთეს ელი
მე კი დამტოვე ერთხელ კიდევ ღვთის ანაბარა
შვებას მე მხოლოდ კარგად იცი რომ მისგან ველი...
ვერ გაპატიებ არ შემიძლია კვლავ პატიება
აქ დასრულდება სიყვარულის ძველი ზღაპარი
აღარ მობრუნდე წინ იარე და დამივიწყე
რადგან არასდროს დაიწყება კიდევ ახალი...

სულ გვერდით დაგყვები..

ახლა სულ მარტო ხარ ფიქრები მაწუხებს
ვაითუ დათვრე და საწოლს ვერც მიაგნო
გაიხდი ქურთუკს და ფეხსაცმელს, შესვლისას
გთხოვ რომ ეგ ქურთუკი არსად არ მიაგდო..
ხომ ვიცი მთელ ღამეს იჯდები კარებთან
ცრემლები დაგახრჩობს კარი ვერ გაგიღე
იცოდე აქვე ვარ არასდროს არ გტოვებ
არ გჯერაა შეხედე ქურთუკი ავიღე..
მხრებზე მოგახურე, შენ შეკრთი უეცრად
ზევით ამომხედე, მაინც ვერ მიხილე
მე თმას მოვეფერე ცრემლი მდის უმეცრად
ცრემლი ხელს დაგეცა თვალი აგიხილე..
უეცრად წამოხტი სიმთვრალეც გამქრალა
ოთახში დამიწყე ძებნა და ძახილი
შეძრწუნდი როს მიხვდი აღარ ვარ აღარა
შენ ხელებს იქნევდი ვითარცა მახვილი..
დაეშვი ისევ ძირს და თავი დახარე
წყევლიდი სიცოცხლეს უჩემოდ დარჩენილს
მუშტები შეკარი და თავი ახალე
არ გსურდა სიცოცხლე უფლისგან გაჩენილს..
კვლავ მოგიახლოვდი შენ მე ვერ მხედავდი
ვეცადე როგორმე საწოლზე დაწვენა
ძალას ვერ ვხმარობდი იქნებ ვერც ვბედავდი
შენ ძირს ეცემოდი მიჭირდა აწევა.
მე სული ვიყავი სხეული არ მქონდა
და სულით გიცავდი ასე რომ გიჭირდა
მთელს ღამეს მე შენზე ფიქრები დამქონდა
მაგრამ შენ თვალი მაინც არ გიჭრიდა..
ხელს უქნევ სივრცეს და იძახი გაგცილდე
მე მოვკვდი მაგრამ სულ შენთან ვიქნები
არ დაგტოვ ვაითუ უჩემოდ გაცივდე
თუმცა მეც ვიცი უკვე მკვდრად ვითვლები..
რომ უკვე დამთავრდა ჩვენს შორის ყოველი
ეს მე ვარ ვინც გყავდა ერთადერთ შენს გულად
რად გახდი სიკვდილო ამ გულთა მყოფელი..
ის ტირის მე ვუცქერ უთქმელად და ჩუმად...
ლეილა სხვაველი მაჩაიძე..

მაია ქასრაშვილი– რამიშვილი

სამშობლოს

ემიგრანტი ვარ, ლოცვა მინდა მაქვს სათხოვარი.
ტაძართან ვდგავარ მუხლმოყრილი გამიღეთ კარი,
გული სავსე მაქვს გამოუთქმელ სევდით და დარდით,
მსურს უფალს ვთხოვო, სანამ იმედს ჩამიქრობს ქარი...
უფალო გვედრებ, ლოცვაში დნება ჩემი სანთელი,
გთხოვ ამისრულე ერთი ნატვრა, არა რამდენი.
გთხოვ დააბრუნე სამშობლოში,
ყველა დედა და ყველა ქართველი.

სამშობლოს

მიყვარს შენი მთა და ბარი,
მიყვარს შენი მონაბერი თბილი ქარი,
მიყვარს ციდან წამოსული, წვიმის წვეთი,
მინდორი კი დანამული მოვიარო ფეხშიშველი.
მიყვარს სუნთქვა, როცა ვსუნთქავ მიწის სურნელს,
მიყვარს წყარო პეშვით რომ ვსვამ მორაკრაკეს,.
ცაში ჩიტებს როცა ვხედავ მონავარდეს,
ბავშვების ხმა როცა ესმის არემარეს.
შენი ლოცვით მიდგას გული, შენი ფესვი მოგლეჯილი,
სამშობლოდან წამოსული, დაფანტული მარგალიტი,
და მარგალიტს ციცქნა გულში აწერია,
საქართველოს მარგალიტი.
და ეს მე ვარ შენი სისხლი, შენი ხორცი,
მონატრების ცრემლის დარდის, დაფანტული მარგალიტი,
გთხოვთ ავკინძოთ, ყველამ ერთად,
ჩვენს სამშობლოს დაუბრუნოთ მისი შვილი, დაკარგული მარგალიტი.

ჩემს ემიგრანტ დედებს

მაინც დავწერ იმ ემიგრანტ ქალზე,
მის სევდიან მონატრებულ დარდზე,
მის ტკივილზე, ცრემლ-დანამულ თვალზე,
დარდისაგან გაფითრებულ ღაწვზე,
მისთვის ვიმღერ იმედიან ხმაზე,,
და სიზმრებში მოჩვენებულ სახლზე,,
შვილებზე და შვილიშვილის ლანდზე,,
ემიგრანტის დავიწყების გზაზე,...
მაინც დავწერ იმ ემიგრანტ ქალზე,,
უხმო სიტყვებს გულში ნათქვამ ხმაზე,,
ფიქრებისგან გადაღლილა, ვნახე,
ნაადრევი ნაოჭებით სახე...
მონატრება, სიშორე და ლანდი,
დარდისაგან გადაღლილი ქალი,
მაინც დავწერ იმ ემიგრანტ ქალზე,
მისთვის ვიმღერ იმედიან ხმაზე...

მე და მთვარე

ვხედავ ცაზე შუაღამეს,
ამოცურდა მშვიდად მთვარე,
მოანათა სარკმელს სხივი,
ჩამჩურჩულა, მოდი ჩემთან,
მოდი ჩემთან გენაცვალე.
მესაუბრე, არ შეშინდე,
გინდაც ცრემლით მითხარ რამე,
მე მოვედი, შენთან ვიყო,
ტკივილი რომ დაგიამდეს.
მომანათა მშვიდი სახე,
წყნარად, მშვიდად, სევდით სავსე,
ამის შემდეგ მე და მთვარე,
სულ ერთად ვართ პაემანზე.
წლები ისე მიჰქრის, მიჰქრის,
და მე ისევ პაემანზე,
ველოდები მე ჩემს მთვარეს.
ახლაც მოვა, ვიცი მოვა,
არა, მე ის არ დამტოვებს,
მთვარე ისევ დამიამებს,
ჩემი სულის ნაიარებს.

ლურჯი აპრილი

ლურჯი აპრილი გვეახლა დილით,
გახარებულმა სიცოცხლით სავსემ,
მოსვლა ახარა სამყაროს თვითონ,
სიყვარულით და იმედით სავსე.
ლამაზ ფერებში მოვრთავ სამყაროს,
მზის სხივებს მოვფენ ქვეყნად ყველაფერს,
სიცოცხლეს ვაჩუქებ, სიხარულს შევმატებ,
ფუნჯით დავხატავ ატმისფერ ყვავილებს.
ზღვას ავალივლივებ ბრჭყვიალა ფერებით,
სამყაროს ვაკურთხებ წვიმის წვეთებით,
ცას ცისარტყელას მოვავლებ დარაჯად
და ვეტყვი სამყაროს აპრილიც მოვედი,
იმედის სხივებით გავათბობ ქვეყანას,
სიყვარულს ჩავაქსოვ ყვავილის კვირტებში,
სიკეთეს, სიყვარულს დავთესავ კარდაკარ,
 აპრილის სურნელით დავატკბობ ქვეყანას.

ფიქრების ზღვა

ყოველ ღამეს როცა მუზა ფიქრებს აგირევს,
შუაღამეს ცაზეა მუდამ ვარსკვლავთა ცვენა,
სიჩუმეს არღვევს მუზების რითმი ფიქრების ზღვაში,
სულს აგირევენ, გაფორიაქებენ, აღარ გეშვება.
თვალებს დახუჭავ, ფიქრების ზღვაც აღარ გასვენებს,
როგორც ტალღები ეხეთქება ზღვის ნაპირს ძლიერ,
მუზების ტალღაც რიგში დგას და შენ გელოდება,
 ეს ყველაფერი კალმით გადაგაქვს
სტრიქონებად ლამაზ ფურცელზე.

ემიგრანტის უსასრულო ფიქრები

ასეთია ემიგრანტის ბედი,
ხან იცინის, ხანაც ტირის ჩუმად,
ხანაც თითქოს იძლიეროს უნდა,
თვალებს წყდება
ცრემლის წვეთი წყვილად.
დილით მზესაც გაუღიმებს ტკბილად,
მაგრამ გული ჩუმად მალავს სევდას,
თვალები რომ ციმციმებენ დილით,
მის თვალებზე ცრემლებია ხშირად.
ხატების წინ სანთელს უნთებს უფალს,
სიყვარულით უფალს შესთხოვს ლოცვას,
თავდახრილი დგას და ხელში სანთლით,
ლოცავს მონატრებულ შვილებსა
და მშობლიურ მიწას.
წლები მიჰქრის, მიფრინავენ სწრაფად,
ერთ დროს კოხტა თვალციმციმა ქალი,
თმაჭაღარა დგას და გზას გაჰყურებს
მშვიდად,
დარდისაგან გადაღლილი სახით,
უსასრულო ფიქრით იხედება სადღაც.
წუთებს ითვლის, დღეებს მიაქვს წლები,
ის კი ისევ ჩუმად დგას და ნატრობს,
ღმერთო ჩემო...
 მითხარ როდის?
 ნეტავ როდის დასრულდება,
 ემიგრანტის უსასრულო ტანჯვა...

შენ ჩემო მუზავ, ჩემო კალამო

შენ ჩემო მუზავ, ჩემო კალამო,
გთხოვ რომ არასდროს არ მიმატოვო,
როცა ჩემთან ხარ, ბობოქარ ტალღებს შევებრძოლები,
როცა ჩემთან ხარ, მე მიამდება ჩემი დარდები.
შენ ჩემო მუზავ, ჩემო კალამო,
 გთხოვ რომ არასდროს არ მიღალატო,
როცა შენ მყავხარ, უმალ მიქრება ჩემი ტკივილი,
 გთხოვ არასდროს არ დამტოვო გემუდარები.
შენ ჩემო მუზავ, ჩემო კალამო, როცა ჩემთან ხარ,
მიწიდან ცამდე მე ფრთაშესხმული დავიარები,
როცა გულს მონატრება, ცრემლი, დარდი შემოაწვება,
ვიცი შენ მყავხარ და შენი კალმით განვიკურნები.

ბელა მოდებაძე

ქარო, რად ბობოქრობ...

ქარო, რად ბობოქრობ,
ნელა დაუბერე
ცად რად ატრიალებ მტვერს,
თვალებს ნუ დამივსებ,
მთლად ნუ დამაბრმავებ
და ნუ გამიცინებ მტერს.

სიოდ გადაიქეც, ნიავს დაემსგავსე,
სულში გაიარე დღეს,
რადგან მონავარდე,
მშობლიურ ნიავში
შიგნით, ჩემი გულიც დევს.

ღმერთმა ხომ შეგვიქმნა,
ცა და დედამიწა
ჰოდა, რა უფლებით გმობ?...
ვინც კი გეღობება, დიდი თუ პატარა
უმალ დაუნდობლად სპობ.

ქარო რად ბობოქრობ,
ნელა დაუბერე
ცად ნუ ატრიალებ მტვერს,
ტვირთად დაწოლილი,
ბოღმა მოიშორე
ნუღარ გაგვიცინებ მტერს.

უნდა დარჩე ადამიანად...

უნდა ვიბრძოლო, მე ხომ ღმერთმა ბრძოლისთვის შემქმნა,
მთელი ცხოვრება, ბრძოლა მიწევს გადარჩენისთვის,
თუკი ვიბრძოდი სითბოსა და სიყვარულისთვის
მაინც გამწირეს, გამიმეტეს გადაჩეხისთვის.

მაგრამ ხომ ხედავთ, მე არ გავტყდი, არ დავიმარხე,
არ მაქვს უფლება ცივ მიწაზე დანარცხებისა,
თუ ფარ-ხმალს დავყრი, ვიცი უმალ გავიწირები
ვერც სასმისს აწევთ, სიყალბეში გამარჯვებისას.

ბევრჯერ დავეცი, მაგრამ მკვდრეთით ისევ აღვდექი,
მე ღმერთი მიცავს, ცხოვრებამ კი გადამიარა,
შვილებს შევცქერი, მათით გული ტკბილად აძგერდა
სხვას არას ვნატრობ, მინდა დავვრჩე ადამიანად.

ს ვ ა ნ ე თ ს

ვუძღვნი დიდი სიყვარულით

სვანეთის მთებში მონავარდე არწივად ყოფნა,
ღმერთო, რამდენჯერ მინატრია, ამას ვინ მოთვლის,
ზემო სვანეთში ქორულდის და ოქროსწყლის ტბათა
სტუმარ-მასპინძლის, ტრადიციით დამცველი ძმათა.

მტერთან – მტერია, მოყვარესთან – მოყვარეს ეძებს
სამართლიანი სიტყვის თქმასაც, არის ჩვეული,
აბა შეხედეთ, თვალუწვდენელ უშგულს და შხარას
სილამაზით და ეშხითაა გამორჩეული.

დაბა მესტიის ძველ უბანში, ლაღამის ტაძარს
გვერდს ნუ აუვლი, დიდი რწმენით შეჩერდი კართან,
რადგან შიგ შესულს, მოგინდება მხურვალედ ლოცვა
საუკუნის წინ დაბრძანებულ მაცხოვრის ხატთან.

სოფელ ჟიბიანს, ამაღლებულ ბორცვზე რომ მოჩანს,
ეს ეკლესია,, ლამარიას ღვთისმშობელია",
უშგულის თემში, ეს ძირძველი სალოცავები
მათთვის წყალობა და თვით უფლის საჩუქარია.

აქ ხომ კოდორის ხეობაში, სევდები წვანან,
ჩახერგილ გზებზე გასცქერიან ცრემლით აფხაზეთს,
ამდენი გლოვით, ომებით თუ შვილთა დაკარგვით
მშვიდობა უნდათ, ბრძოლის ძალა, არ აქვს აღარცერთს.

უნდა ვილოცოთ, მხოლოდ ლოცვა გაგვაძლიერებს,
დიდი ძალა აქვს ოდითგანვე,,სვანების ლოცვას",
გავვერთიანდეთ, მთელი ერი გვერდიგვერდ დავდგეთ,
და შევუერთდეთ საზეიმო ზარების როკვას.

ღმერთო გაგვაერთიანე...

ღმერთო, გადმოხედე ჩვენს ერს
ღმერთო, შეგვარიგე ყველა,
ღმერთო, აგვარიდე რისხვა
ღმერთო, დაგვიბრუნე რწმენა.

თორემ კარს მომდგარა მტერი
ჩვენი სულის ხლეჩვა უნდა,
ერთმანეთს წაგვკიდა სამტროდ
მას ჩვენი გატეხვა სურდა.

სამშობლოს დაუბრუნო იქნებ
ვინც კი მოწყვეტილა კერას,
ვისაც ერთგულება გიყვართ
ერთად გენაცვალეთ ყველას.

ჰქმენი კაცთა შორის ძმობა
სიყვარულს აზიარე ერი,
ქართველი ჩაახუტე ქართველს
უფალო, განგვაშორე მტერი.

იდღეგრძელეთ დედი

როგორ გადაღლილხართ ფიქრით
თითქოს, ძლიერ ქალად ჩანხართ,
მრავალ ჭირ-ვარამის შემდეგ
ფეხზე როგორ მყარად დგახართ.

როგორ ეფერებით ყველას
ლექსის ფრაზებით თუ ლოცვით,
მინდა მოგეხვიოთ მხრებზე
ცრემლი ამოგიშროთ კოცნით.

მთელი ცხოვრებაა ვეძებ
სულის ჰარმონიას თითქოს,
ბევრჯერ დამაჩოქა ბედმა,
მაინც, წამოვდექი იმ დროს.

ვერა, ვერ წაუვა თურმე
წმინდა უფლის ნებას კაცი,
თავად მომიყვანა იმ სახლს,
სადაც ემოციებს დავცლი.

მინდა დიდხანს, დიდხანს გვყავდე
ყველას იმედად და ფარად
„გულის ორეულო" ჩემო,
კვლავაც იდღეგრძელე მარად.❤

დედა-ღვთისმშობლის წილხვედრია ჩვენი სამშობლო...

ედემს წალკოტი, ჩვენი ტკბილი საქართველოა
ის ხომ გულია, ფიქრების და სულის სავანე,
ქართული ენით, მამულით და სარწმუნოებით,
მტერი რომ გლეჯდა, მაგრამ მაინც რომ ვერ დაშალეს.

დედა – ღვთისმშობლის წილხვედრია, ჩვენი სამშობლო
და ამიტომაც, მფარველად გვყავს თავად უფალი,
როცა ერს უჭირს, შვილებს კარგავს, ცრემლები ცვივა,
ღვთისმშობელია, ყველასათვის ჭირისუფალი.

მართლმადიდებელ ქრისტიანთა ხსნად და იმედად
ფარავნის ტბასთან, წმინდა ნინო ლოცვით მოვიდა,
წმინდა გიორგიმ, განგვიგმირა მტერი ყოველი
წმინდა ცეცხლიც ხომ უფლის მადლით, კვლავ გადმოვიდა.

მართლაც წალკოტი, სამოთხეა ჩვენთვის სამშობლო
მოვეფეროთ და გავუფრთხილდეთ, ვიყოთ მცველები,
ნუ განვარისხებთ ჩვენს წმინდანებს უწმინდურობით
ისევ გვიყვარდეს, კვლავ ჩავჭიდოთ ერთურთს ხელები.

ჩემს მ ე ს ხ ე თ ს...

მე, პირველ რიგში, ჩვენი დედა – სამშობლო მიყვარს
მერე კი მისი, ყველა კუთხე, ძირი, კუნჭული,
მაგრამ სულ სხვაა, დიდებული, დინჯი მესხეთი,
სუფთა ჰაერით და ბუნების ტკბილი ურმულით.

ისტორიულად დაჩაგრული, მაგრამ რჩეული,
მტრის შემოსევამ, ოდნავაც რომ ვერ დააჩოქა,
რადგან რჩეული ვაჟკაცების, გვიცავდა ჯარი
მესხი ხალხი ხომ, მიწა – წყალის გოჯსაც ვერ თმობდა.

ის მესხეთია, სადაც კლდეში ნაკვეთ ვარძიის,
სახელი თავად, თამარ მეფეს შეურჩევია
და დიდ რუსთაველს, ჩვენი მხარის უკვდავსაყოფად,
ვეფხისტყაოსნის ისტორია დაუწერია.

ო, როგორ შვენის ახალციხეს რაბათის ციხე,
ხოლო ადიგენს, ჭულევის და ზარზმის ზარები,
ჩვენი საფარის მონასტერი, ხერთვისის ციხე,
სტუმარ – მასპინძლის, ტრადიციულ ტკბილი ჰანგებით.

ამწვანებული, ყვავილნარში აფეთქებული
ეს სილამაზე, გადაშლილი მთა და მდელოა,
მუხა წონწილებს, წონწილებსო შემოსძახებენ,
ჩვენთვის ხომ მუხა, ჩვენი ტკბილი საქართველოა.

მუდამ გფარავდეს, ივლიტეს და კვირიკეს მადლი,
შენი მშვენება, ჩვენს მტრებს მინდა გულზე ემცხეთოს,
მეამაყება, მეტკბილება შენი შვილობა
გამორჩეულო, ჩემო მხარეო, ჩემო მესხეთო.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ა...

გაზაფხულია, ყველა ტოტში აფეთქდა კვირტი
და თვით ბუნებამ, თითქოს უცებ ფერი იცვალა,
გაზაფხულია, მიმოფანტა მზემაც სხივები
ეს დრო კი ჩემთვის,მერამდენედ ჩამოითვალა.

მსურს სამშობლოში გამითენდეს ყოველი დილა,
მერცხლის ჭიკჭიკი ჩამესმოდეს დილით ფანჯრიდან,
თუნდაც რომ წვიმდეს, თქეში წვიმაც მეამებოდა
სხვა ნატვრა არ მაქვს, სხვა განცდებიც, არა არ მინდა.

ქართველი დედა, ქართველი ქალი...

ქალი – ქალია, იტყოდნენ ძველად
ზოგი აშენებს, ზოგიც კი გაქცევს,
ერთი სასახლეს ქოხად გარდაქმნის
მეორე ამ ქოხს სასახლედ აქცევს.

ქალის მხრებზე დგას ოჯახის ფუძე
სირცხვილ-ნამუსი, შრომა თუ გარჯა,
ყველაზე მთავარს, რასაც იტვირთებს
ესაა კარგი შვილების აღზრდა.

დედის განვლილ გზის იმ ნაკვალევზე
შვილმა ფეხდაფეხ უნდა იაროს,
შემდეგ კი უკვე წელგამართულმა
ბედნიერებით უნდა იხაროს.

ქალი დედაა, დედა მებრძოლი,
შვილებისათვის თავდადებული,
სახლში, რომ დარდებს გულში ჩაიკლავს,
გარეთ კი ივლის თავაწეული.

ღმერთმა დალოცოს ქართველი ქალი
სიდიადით და წმინდა მანდილით,
რადგან ოდითგან ძლიერი ქალი,
მამულს იცავდა ხმლით და მახვილით.

ნუ დავშორდებით უფალს...

შემოგვწყრომია უფალი
განგვშორებია მადლი,
ცრემლად იღვრება ზეცა და
მოგვმატებია დარდი.

სულაც არ გვინდა, მივიღოთ
საღმრთო აღთქმების ცოდნა,
და აღარც ვფიქრობთ შედეგზე
როცა ჩავდივართ ცოდვას.

იესოს, რომ აწამებდნენ
დაცვის, არ გვქონდა უნარი,
და ამიტომაც პილატემ
ჯვარზე გაგვიკრა უფალი.

რწმენა აღარ გვაქვს ღმერთისა
დავკარგეთ მისი მადლიც,
ზარები ისევ მდუმარებს
გოდებაც ცამდე აგვდის.

დაგღალეთ, ჩვენი წუწუნით
შენდობას ვითხოვთ უფალო,
მოგვმადლე მადლი ცოდვილთა
მოკვდავთ ნუგეში უთხარო.

წმინდასა შენსა სამწყსოსა
განსაცდელები გვიწევსო,
დიდება მოთმინებასა
შენსა უფალო იესო.

მარინა მანჯგალაძე-თამაზაშვილი

ღამის ეიფორია

ღამემ იმძლავრა სიჩუმის ფონზე,
ფოთლებზე მთვარე ყვითლად ლაპლაპებს,
წვიმის წვეთებიც ტემპში ჩამჯდარნი,
გამაწვრილებენ რიტმით წკაპწკაპებს,

სრული სიჩუმე, სრული ანშლაგით,
ღამე კვალს ტოვებს აფიშირებულს,
წვიმის წვეთები გულში მწვდებიან,
მთვარის სონატით..აჟიტირებულს,

ნაცრისფერ შუქზე, ვერცხლისფერ სირმებს,
თავზე იბურავს მშვიდად ქალაქი,
როსინის ნოტზე მღერის უგონოდ,
სეველიელი „სველი“ დალაქი

ფრთაშესხმულ მუზას მიყვება კვალში,
უზენაესი პოეტი დანტე,
ამ ღამით, მარტო რჩებიან მხოლოდ,
მთვარე და ღამე მეკომენდანტე..

და ამ ღამეში, ბნელ ხიდის ბოლოს,
მიაჭენებენ ცხენები.... „ლურჯა“
ღამეს შეეკრა მჭიდროდ საკინძე,
როს აწყდებოდა გაცრეცილ ქუჩას..

თითქოს ეკრძალვის გრძნობებს გამხელას,
აქ, ელეგია იჭერდა მუზას,
და სიყვარულის გამოვლინების
შესაძლებლობებს...ბოლო არ უჩანს..

ხილთა ქება..ანბანის მიხედვით..

ა – ლუბალი, ალუჩის და ატმის ნაყოფს,
ბ – ლის კუნწულებს და გახლეჩილ ბროწეულებს,
გ – რეიფრუტის, გარგლის ტოტებს ეფერება,
დ – ურანს აცნობს, – გლეხის ხელით მოწეულებს..
ე – კლიანი მაყვალი და კენკროვნები,
ვ – აშლით სავსე ხის კენწეროს ეხლართება,
ზ – ღმარტლი მწიფე, დაშაქრული შავი გულით,
თ – ხილს და თუთას, ეშმაკურად ესალმება.
ი – ნდის ხურმა, ყველასათვის საყვარელი,
კ – არალიოკს, კივს და კომშსაც ეტოლება,...
ლ – იმნის სუნი იშვიათი, ლეღვის ნაყოფს,
მ – არწყვს და ასკილს, მზის სხივებად ეფინება..
ნ – უში, ნესვი, თავს იწონებს სილამაზით,
ო – ჯალეშმა დაიდუღა ტკბილ ბადაგად,
პ – ანტა ტყიდან, პინო ყურძენს ესალმება
ჟ – ოლო ხარობს, რომ იმრავლა წელს ასმაგად..
რ – ქაწითელმა დაიმაჭრა ღრმა ქვევრებში,
ს – აზამთრო კი სამოთხის ვაშლს ეპრანჭება,
ტ – ყემლის წვენით გაკიდული ტყლაპეული,
უ – ნაბის ხეს, საკოცნელად ეპარება..
ფ – შატის ხესთან ფორთოხალი, ფეიხოას,
ქ – აცვი ქლიავს სიყვარულში ეფიცება,
ღ – ოღნაშო კი ეჭვიანი, გრძნობით სავსე,
ყ – ურძნის ლერწებს შიგ მტევნებზეეკიდება..
შ – ტოშის მარცვლებს, სამკურნალოდ ეძახიან,
ჩ – ურჩხელები, ჩამიჩი და ლეღვისჩირი,
ც – ოლიკაურს წვნით მარცლები დაბერვია,
ძ – ახველი კი სიხარულის ცრემლით ტირის..
წ – აბლი ცდილობს, რომ ქურქიდან გამოიქცეს,
ჭ – ანჭურს, თაფლის მსგავსი წვენი ედინება,
ხ – ურმას წითლად ჩამწიფებულ-ჩათქვირებულს,
ჯ – ანჯუხებზე დაწყობილებს.. ეცინებათ..
ჰ – ოი, წმინდა მარიამო...უფლის დედავ
ამ საოცარ სიდიადის აღქმას ვბედავ..

* * *

ისე მომეწონა სურათი..ექსპრომტად დავწერე...

არაგვისა და მტკვრის შესართავს, ღრუბელს შერგული,
ცას აზიდულა მდუმარებით მონასტრის ჯვარი..
ხან, როცა ნისლი დაიწმინდავს, გადაიკარებს,
თვალნათლივ მოჩანს მედიდური.. თეთრი მყინვარი..

რა გოროზია, რა დიადი ეს სილამაზე,
მარადიული თოვლის ბუდე და შეუვალი,
ირგვლივ ყველაფერს მადლით მოსავს, ამშვენიერებს,
მყინვარისა და ჯვრის მონასტრის ლოცვა, მხურვალი....

ასე შორიდან, ერთმანეთის ხილვა ახარებთ,
საუკუნენი გაწოლილან მათ მხრებზე,
ჯავრად, უტყვ მოწმეებად იქცნენ უკვე,
მრავლისმომსწრენი,
მყინვარწვერად და უფლის სახლის სალოცავ ჯვარად...

დროდადრო...ქალი გადმოდგება მყინვარზე სხივად..
მაშინ, როდესაც ბინდი წვება...მზეა ჩასული..
იქნებ, ქარაფზე გაფრენილი შორენა არის..
კოლონკელიძის ერთადერთი...ფხოვის ასული...

სატრფიალო
შარა-გზაზე გოგო მიდის.....

შარა-გზაზე გოგო მიდის,გოგო ნუშისთვალება,
აშოლტილი, თვალწარმტაცი, ამაყი და თავნება,
მარწყვისფერი ტუჩები და მაყვლისფერი თვალები,
მიდის, ზედაც არ მიყურებს, სულაც არ ვებრალები..

ქარი ურცხვად უფრიალებს,კაბის ბოლოს ვნებიანს,
თავდახრილი გვირილები გზაზე, ეგებებიან,
ვერსად ვნახე, ვერ ვიპოვე, სილამაზე ასეთი,
მოვიარე ყველა კუთხე, რაჭა, ქართლი, კახეთი..

ქარმა თმები აუწეწა,– უფათურა ხელები,
ტანზე შემოეხვია და დაიღალა ფერებით,
ქარო, ჩადექ საგულესო, ან რამდენ ხანს გაცალო,
გევედრები,სულ ცოტა ხნით...ადგილები გავცვალოთ...

შარა –გზაზე გოგო მიდის, გოგო ნუშისთვალება,
მის გულს, ჩემი სიყვარული, ახლოს არ ეკარება,
მიდის გოგო...მიაქვს შარა, ჯიუტი და ლამაზი
მარტისავით ჭირვეული, მაგრამ ძალზედ ამაყი..

უცებ, წვიმა წამოვიდა, ჩაყვა კაბის ღილ-კილოს,
აღარ იცის ნუშისთვალამ, იცინოს თუ იტიროს,
სველი კაბა, სხეულს ეკვრის, ნელ-ნელა ეფარება,
მაგრამ ახლა უკარება, სულაც არ მებრალება...

ჩემი სამშობლო მამული ქვია...

ყორღანებიდან აფრენილ გნოლებს,
და თავთუხებზე გაწოლილ სხივებს,
თეთრი და შავი არაგვის დუდუნს,
ველზე დაცვარულ ნამიან მძივებს..

ალაზნის ჭალებს, ატეხილ ტყეებს,
სად სილამაზე გზადაგზა ყრია,
ამ მარიამის წილხვედრ ქვეყანას,
ჩემი სამშობლო მამული ქვია..

მარიამობის ცხელი თვის ბოლოს..
ღვინო მაჭრდება ყურძნის მტევნებში,
თვითონ ბუნება ყოვლის ფერმწერი,
მთა-ბარს მოხატავს ოქროს ფერებში..

აწ, ენკენისთვეც შემოაბიჯებს,
თავის ჩვეული დინჯი იერით,
გლეხ-კაცს, საზრდელი გადაურჩინე,
და დაულოცე მკლავი ძლიერი..

ღმერთო მაღალო, დედავ მარიამ..
ქართულ მიწაზე ბარაქა ყრია,
შენგან კურთხეულ, დალოცვილ მიწას,
ჩემი სამშობლო მამული ქვიაააა..

❤❤ ❤❤

წყაროვ, მიწისგულ ნაბადო,
ცივად ნადენო მთისაო,
წყურვილს მაუკლავ ახარებ,
პატარასა და დიდსაო...
    დავალ, დავთელავ შარა-ხევს-,
    ქათიბს მავისხამ ჭრელასა,
    სულ სხვა ხიბლი აქვს ფარასთან,
    მწყემსის, ფანდურით მღერასა..
წყაროს შხეფები თქორავენ,
ცეცხლით ანთებულ გულებსა,
ჩამავჭდებოდი მავქსომდი,
შენთვის, წინდებს და...ჩულებსა..
    გულს ჩახოცილო დარდებო,
    ალაზნის დუდუნს გადარებ,
    ამ ჩემს ტკივილებს ლექსებად,
    საავდრო ღრუბლებს ვადარებ...

პეპლებივით მეფინება თოვა..

ქარი მასთან საცეკვაოდ მიწვევს,
პეპლებივით მეფინება თოვა,
ხეზე, თეთრად ამომსკდარი კვირტი,
ცოტა ხანში...მწიფე ატმად მოვა..

შენი ნახვის სურვილი მკლავს როგორც
მწვანე ველზე, ირმის ჯოგის ხროვა..
ამ წელს თუ ვერ გავატანე კარგო-,
მომავალ წელს...წვიმის წვეთად მოვალ

მთებს დანისლულს შევერევი ნისლში,
ქარმა ყურში სათხოვარი მთხოვა,
ერთხელ, როცა ხმელ ფოთლების მსგავსად,
ჩემს ასაკშიც..შემოდგომა მოვა..

ქარს გავყვები გამხმარ, ეულ ფოთლად,
გზად მომისწრებს ზამთრის ცივი თოვა,
ბუმბულივით ავიჭრები ცაში,
და ზამთარიც..ჩემს გარეშე მოვა...

ძალიან მიყვარს დიდი კონსტანტინე.... სვეტიცხოველი..

თავთუხებიდან არეკლილი ნათლის ლიცლიცი,
სატახტო ქალაქს..ჯანღისფერად გააცისკროვნებს,
და მეწამული, წაგრაგნილი ლურჯი ცარგვალი,
წარსულთან გრძნობით, ჰარმონიით დაგაკავშირებს..

დგას, სიამაყით აღმართული მემატიანე,
საუკუნეებს გახიდული ძელიცხოველი..
მძლავრკბილოვანი ქონგურებით შემოჯარული,
იდუმალებით შემოსილი... სვეტივცოველი..

წარსული კვალად დამჩნევია ტაძრის გუმბათებს,
ზედაზნისა და სარკინეთის მთების უბეში,
და არსაკიძის მოკვეთილი მკლავი... მონისა..
ტკივილად მოჩანს..გაქვავებულ დედის.. უპეში...

მტკვარი, არაგვი, შედგომია პომპეუსის ხიდს..
იქ...ხატაურა ფარჩის კაბა კრთება ქარაფებს..
და მყვირალობას, ირმის ჯოგი ყვებოდა ამბავს..
შორენასა და არსაკიძის ტრფობის არაკებს..

კურთხეულია მუზა მხოლოდ ვალმოხდილისა,
მხოლოდ დიდოსტატს ვერ ერევა სიკვდილი მრუმე..
სვეტიცხოველი რჩება წლებთან მებრძოლი გმირი
და ეს ამბავი...ავაზის დღეს...მომხდარა თურმე....❤❤

სიყვარულის ისტორიები..

ქარი დაძრწის და ხის ფოთლებს
აფრიალებს სადღაც,
ყოველ დილით მიუყვება
ქობულეთის აღმართს,
ყვება, ყვება უსასრულოდ ლამაზ
წყვილთა წარსულს,
ინგასა და კუკარაჩას, სიყვარულის ამბავს...

ახსოვს, იცის, თვალწინ უდგას,
უსასრულო ლტოლვა,
უთვალავი წითელ ვარდთა
გაფანტული ქროლვა,
სიყვარული, როგორც ორთა
გამხელილი კერპი,
და,, მურტალოც" ბედისწერის
უცნაური მსხვერპლი..

ვის გულს როგორ მოემართა
სიყვარულის ქნარი,
ფუფალამაც ხომ მიუძღვნა,
მის შიოლას თავი,
ბროწეულის აალება, ატმის ყვავილობა,
მარიტასა და გედიას მწარე რეალობა..

მთვარე ყვება მომსწრე არის
ერთგულების ფიცის,
არსაკიძის და შორენას სიყვარულიც იცის,
ქარაფებზე შერჩენილი ხატაურას ფარჩა,
ლამაზ ზღაპრად შეწირული,
ისტორიას დარჩა...

და ენგურის ნაპირებზე მოტაცება მთვარის,
არაბიას სისპეტაკე, აგონია ღამის..
თვალზე ცრემლი შერჩენილი
ვაჟკაცური კრძალვის,
უიმედო სიყვარული....
თარაშის... თამარის..

ქარი დაძრწის და ხის ფოთლებს
აფრიალებს სადღაც...
აღარ იცის რას ეცეს და....აღარ იცის
რა ქნას.....

ცაგო აბაშმაძე

ბევრს არას ვითხოვ

(ხალხურ მოტივზე)

ბევრს არას ვითხოვ უფალო,
არ დაგღლი თხოვნა-ვედრებით,
ჩემი ქვეყანა მიცოცხლე,
მეტს არრას შეგევედრები.
ნუ გაგვითენებ შავბნელ დღეს,
ძაძს ნუ ჩაგვაცმევ დედებსა,
ქართული სული ეკმიოს
შენს ნაწყალობევ ქედებსა.
რწმენის სინათლით ბრწყინავდეს,
ქართველის ჭკუა-გონება,
მატერიალურს გვერჩიოს
სულიერების ქონება.
მოვეფერ-მოვეხალისოთ
ტრადიციულს და ქართულსა,
ეხარ-ებრწყინოს დიდებით
ჩვენს საოცნებო მამულსა.
„მუმლი მუხასა“ ეხვევა,
ცდილობს შეშადა აქციოს,
უფლის ნაკურთხი ქვეყანა
უნდა გადარჩეს „აქსიოს“.
გამოფხიზლდება ქართველი,
სხვაგვარად განა იქნების?
უფალო! მომსწრე გამხადე
გთხოვ, საქართველოს დიდების.!

***

რად ვერ აცილებ მზერას შემპარავს,
გულმკერდის ხოხბებს უცხო ქალისა,
იქნებ შველია ნაკრძალის მშვენი,
ან აფრენილი შურთხი ჭალისა.
უცქერი..ხარბი თვალებით ჭამ და...
თითქოს შენია... ეჭვები გახრჩობს,
ეს მერამდენე სიგარეტს ამსხვრევ,
შენში მძვინვარებს ნამდვილი მაჩო.
გადადგამ ნაბიჯს.... ერთს, მეორეს და
რაღაც გაჩერებს, რაღაცა გაკრთობს,
იქნებ სხვისია ლამაზი ქალი
და შესცინინებს, როგორაც მნათობს.
იქნება უყვარს და ელის სატრფოს?
ეკამათები საკუთარ ეგოს,
ჰოდა, გეყოფა ფიქრი ამდენი,
თავს ნუ იტანჯავ, შეჩერდი! გეყო..
მაგრამ...სურვილი ისე მძაფრია...
ისე გიზიდავს..ისე გახელებს..
მზერით აშიშვლებ ლამაზ ოცნებას
და უფათურებ თეძოზე ხელებს....

**

როცა აფეთქდებიან ატმის ხეზე კვირტები,
მოიხდენენ როდესაც საქორწინო მოსასხამს,
მოვალ ლამაზ ოცნებად და ნუ გამიკვირდები,
დაიბრალებ უთუოდ ზეციერ წარმოსახვას.

მოვალ, პეშვით მოგიტან ჩვენს ნაფერებ სიყვარულს,
ტანზე ტაოდაყრილი უთვალავი კოცნებით
გულისპირს ამოგივსებ ჩემგან სიტყვადანატრულს,
მეცხრე ზეცას ეწვევი ახდენილი ოცნებით.

მერე, როცა წამწამებს ალმასები დაფარავს,
როცა ფაფარაშლილი გაგთელავენ ფიქრები,
შენი გრძნობის სიღრმეში ვით ჭაობის დუმფარა,
ერთადერთი ყვავილი იცოდე მე ვიქნები.

როცა აფეთქდებიან ატმის ხეზე კვირტები,
მოიხდენენ როდესაც საქორწინო მოსასხამს,
მოვალ, ლამაზ ოცნებად და ნუ გამიკვირდები,
დაიბრალებ უთუოდ ზეციერ წარმოსახვას.

გურიის გზაზე

– სულო, იგრძენი ნაცნობი სევდა?
გურიის მთები თვალდანისლული?
ან სურნელება მშობლიურ ჰავის,
მშვენიერება თვალითხილული?

ჰო, ეს მთებია, რომ მივატოვე,
ვერ დავუამე ღია ჭრილობა,
ვერ მოვერიე საკუთარ ტკივილს,
ვცადე გაქცევა და გულგრილობა.

ახლა შევხარი მშობლიურ მხარეს,
ვუცქერი, ვეტრფი, მეუცხოება,
გადავეკარგეთ შვილები მამულს,
გაორება გვჭირს, გაუცხოება.

ნაცნობ სანახებს ვეალერსები,
მიწის გულიდან მესმის ვედრება
და უმწეობის ცრემლებით ვტირი,
რადგან მაქციეს ზურგი კედრებმაც.

ქარი სისინით მახლის სახეში:
--შენა ხარ მათი სევდის მიზეზი..
რად მიატოვე, თუკი გიყვარდა,
თუ გრძნობა გქონდა,თუნდაც მიზერი...

ოჰ, მაპატიეთ ჩემო სერებო,
მე, უთქვენობის წამი ყოველი,
ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად
ისევ შენდობას თქვენგან მოველი...

მუზას

იასამნის სურნელებით შემოდიხარ ჩემში
და ძარღვები იმუხტება გაზაფხულის ეშხით,
ახლა ასაკს ვინ დაეძებს, სიცოცხლეს ვსვამ პეშვით,
ქარფარფატა კაბას მიქსოვს, სილამაზე შემშლის.
წამიწამზე მზეც ამოვა, გულთან ვიგრძენ სითბო
და ჩხრიალა ნაკადულიც ჩემთან შერწყმას ითხოვს,
უნდა ავყვე დილის სიოს, მეც ქარი ვარ თითქოს,
თავს მოვირთავ მზემანდილით, მერე შენს თავს ვითხოვ.
მოვედებით მთელ სამყაროს სიყვარულის სხივად,
ოღონდ, კარგო ჩემს დარდებზე არაფერი მკითხო,
გულში ვმარხავ ყველა ტკივილს, მიწას ვაყრი ცივად,
შენი ვარ და შენთან ვრჩები, როცა გულით მიხმობ.

ჩემს გურიას

ეს ალუბლების ბაღები,
ესეც ნუში და შტოში,
ჩემი ბავშვობის ტოლები,
ჩარჩენილები დროში.
ეს მოკირწყლული ბილიკი,
ნაირფერადი კენჭით,
ტკბილმოუბარი წყარო და
ძეწნა მზირალი ეჭვით.
ჩემი ბავშვობის მდინარე,
ზოგჯერ გიჟმაჟი ბჟუჟი,
ხანდახან გაგიჟებულა,
პირზე მოსვლია დუჟი.
ეს ბუმბერაზი ქედები,
ჩემი გურიის მთები,
მდინარე აჭისწყალი და
წყლები,კამკამა წყლები.
ენაკვიმატი ხალხი და
გული ალალი, თბილი,
მზეც,,კრიმანჭულით" ამოდის,
გვატკბობს გალობა ტკბილი.
აქ სხვანაირად თენდება,
აქ სხვანაირად ვთბებით,
მოგონებების ფიალას
ვსვამ და თანდათან ვთვრები..
ეს მონატრება კი არა,
მონატრებაზე მეტი..
ეს სიყვარული კი არა
თავს დატეხილი რეტი..
როგორ წამომცდეს,,მიყვარხარ",
ხარ სიცოცხლეზე მეტი,
ჩემში მფეთქავი ძარღვი ხარ,
ჩემი სიცოცხლის მჭვრეტი..

ელისო ფიჩხაია

* * *

მე ხომ ეს დრო მიყვარს ათასფერი
და დილა-რომელიც სისხამია.
მიზეზი? ისეთი არაფერი,
უბრალოდ სიცოცხლე მიხარია.
მე ეს ეზო მიყვარს,სხვა კი არა,
სადაც ბავშვობისას დრო გაჩერდა,
შიშმა არყოფნისამ ჩამიარა
და მერე რატომღაც მომაჩერდა;
მაგრამ მე ხომ სადღაც გადავხიზნე
სულის ფორიაქი ძველისძველი,
ჩემი ქუჩა მიყვარს არამკითხე,
ყველაზე რომ იცის ყველაფერი;
მიყვარს წვიმის ყველა წვეულება-
სახლის სახურავზე გამართული.
მიყვარს იქ, სადღაც რომ მეგულება
ნატვრა-ფანჯრებიდან გაპარული.
მიყვარს გულწრფელობა უშარბათო,
დიდი ერთგულების გაკვეთილი,
მეგობარი მიყვარს უღალატო,
სულს რომ ვერ აუმღვრევს ქარტეხილი;
მიყვარს ბუნებრივი პროფილები,
ყველაგან ზედმეტი ვარ სხვა სცენაზე,
„მივდივარ“ – მე ვამბობ მორიდებით,
თუ არ საუბრობენ ჩემს ენაზე.
მიყვარს თვით სიკეთე უმიზეზო,
ახლა რომ არც ისე ადვილია,
და ვგრძნობ სიყვარულის ყველა სეზონს,
სადაც ყველაფერი ნამდვილია.

მე ქართველი ვარ!

მე ქართველი ვარ!
წარსული მაქვს გასაოცარი.
რას არ გაუძლეს ჩემი ციხის სველმა კედლებმა.
მე, ცასთან ახლოს, უძველესი მაქვს სალოცავი
და არასოდეს მიწერია გადაშენება.

მე ქართველი ვარ!
ანბანი მაქვს ამოუხსნელი.
ენა მაქვს უფლის სადიდებლად დაბადებული.
ცრემლია ჩემი ისტორიის ყველა ფურცელი,
მყავდა თევდორე და დემეტრე თავდადებული.

მე ქართველი ვარ!
ქართულია ჩემი ფესვები.
ჩემგან გაიგებ ,,გენაცვალეს", "შენ დაგენაცვლეს".
მე ქართველი ვარ!
– ხმალზე მჭრელი მქონდა ლექსები,
მე გავიზარდე იაკობის დედაენაზე.

მასპინძელი ვარ,ვინც არანახულ სუფრას გაგიშლის.
სტუმარს უფალთან დავუდგები ალბათ თავდებად.
მე ქართველი ვარ!
არსენობას დღესაც არ ვიშლი
და რასაც გავცემ,არასოდეს არ მენანება.

ჩემი პირველი სადღეგრძელო უფლის ოდაა,
ქართული სუფრა სიცოცხლეზე ჰყვება ბალადას.
ყველაზე წმინდა დედაა და დედის ლოცვაა
მე ქართველი ვარ!
-მამის გზას რომ არ უღალატა.

მე "ხორუმი" მაქვს ისეთი, რომ მტერს თავლს დაუდგამს.
ქართული ჩოხით გავაცოცხლე გმირი რამდენი.
მე ქართველი ვარ!
– ვაჟკაცობას ვუქებ ალუდას,
ღირსეულ მტერსაც რომ დაუნთო ერთი სანთელი.

მე ქართველი ვარ!
დავითის მაქვს საგალობელი.
იავნანა მაქვს ისეთი რომ ქვებიც ტირიან.
მე, სიყვარულით გავაოცე წუთისოფელი.
მე, ქართველი ვარ!
სიძულვილი არ შემიძლია!

გაგა გოგრიჭიანი

ნესტან (ვალიდა) ხარებავას

„წერის პროცესი უტოლდება მელანქოლიას,
და ყველა სტროფში, ტორნადოს და ზვავს მოვესწარი,
შენ საქართველოვ! ოდითგანვე ბედი გქონია,
რომ გყავს პოეტი ხარებავა – თანაც ნესტანი.

ქალი, რომელმაც გაიარა ლექსის წიაღში,
ქალმა, რომელმაც ეს ცხოვრება ლექსით იცხოვრა,
არ გაქვს უფლება არ დატოვო ისტორიაში,
რადგან მან უკვე ისტორია შეისისხლხორცა.

შენი სტროფები, უკვე გასცდა თვალსაწიერსაც,
მსოფლმხედველობას და ცხოვრებას არ აქვს წესები,
დაიწერება არაერთი შენზე პიესა,
და მოგბაძავენ სხვა მრავალი პოეტესები.

რადგან შენ უკვე აპოგეაც გეცოტავება,
და წარმატების გზებიც უნდა გქონდეს მრავალი,
არასდროს გქონდეს, ტკივილი ან წყენა, ვაება,
დალოცვილ იყოს შენი მუზა, შენი კალამი.

ია ხალვაში

ამოვალ დედა...

მეც აპრილივით არეული დავიარები,
ნუში ყვავილობს, ეურჩება ჩემებრ ამინდებს,
ია ენძელა შეფენილა ზემოთ საფლავებს
და სურათიდან თითქოს დედა თვალებს მარიდებს.

მაპატიე, რომ ასე დიდხანს დავაგვიანე,
გზა დამიგრძელდა, ვერ მოვედი უმალ შენამდე,
შენი ლოცვები ჩამესმოდა ტირილნარევი,
ღმერთს რომ შესთხოვდი შენი შვილის გადარჩენაზე...

და შეისმინა ღვთისმშობელმა შენი ვედრება,
დედის გარეშე შვილებისთვის იცი ძნელია,
მეც მათი ვხარობ, ხელმეორედ ვიწყებ სიცოცხლეს,
მათთვის ვიბრძოლებ, აბა მეტი რა დამრჩენია...

კვლავ ავუყვები ნაცნობ აღმართს დედის საფლავზე,
სადაც სიმშვიდე, სიყვარული უფრო მეტია,
რითმად ავკინძე მე გზა და გზა,რაც მოვიტირე
და რაც ჩემს გულში ამის მეტად არ ჩაეტია.

შენ არ იდარდო,მე კარგად ვარ, არ დავეცემი,
რწმენით ვივსები და უფლისგან წყალობას ვხედავ,
დავკრეფ ყვავილებს, ყოჩივარდებს, იებს, ენძელებს
და შენს საფლავთან მუხლმოდრეკით დავდგები დედა..

* * *

სიკეთეს ვაგროვებ, ცოტაა, ბევრია..
ბედს ვერ შეიცვლი და რაც გიწერია,
უფალო, მივხვდი რომ არც ისე ძნელია,
მოყვასიც გიყვარდეს, გიყვარდეს მტერია..

* * *

ახლიდან ვიწყებ სიცოცხლეს,
წასვლისთვის ჯერ არ მცალია..
უფალო, გთხოვ რომ შემინდო
დღემდე ცოდვა და ბრალია.

ვლოცულობ, ღმერთს ვევედრები,
გამიღოს უფლის კარია,
ბევრი მაქვს საკეთებელი,
გადასახდელი ვალია.

გამოანათა ამინდმა,
სულში დამიდგა დარია,
დარდი და სევდა მალული
იმედმა არი-დარია.

* * *

და ჭირვეულობს ხანდახან ქარი,
უფრო ძლიერი, უფრო ეული,
გაღებული მაქვს მე გულის კარი,
სხვები მიცქერის გაოცებული...

კვლავაც ღიმილით ვიცვლი ამინდებს,
ვკრიბავ სიკეთის მარცვლებს იმედით,
რაა ტაძრამდე მისასვლელი გზა
უფლის წყალობით თუ ვერ მივედით...

* * *

წასვლაც ისეთი მინდა,
როგორც მოვედი ქვეყნად,
ყოფნა არ ყოფნის ზღვარი
მივიღე უფლის ნებად.

ეს ემოცია ჩემი, თქვენი სიკეთის ნიშა,
მაძლიერებს და მათბობს
პესიმიზმისგან მიცავს.

ყველას მადლობას გიხდით,
ერთ სიცოცხლედ რომ ვღირვარ,
თქვენით მოვედი დღემდე
თქვენ მაგრძნობინეთ ვინ ვარ...

* * *

ღმერო, ყველა დააბერე თავის დროზე,
დაამჩნიე წლებისაგან ნაოჭები,
ნუ დაგაფრთხობს დაღარული ხელები და
ჭაღარათი ძაანაც ნუ გაოცდები...

გაიხაროს შენი სახლის ფუძე-ჭერმა,
დაილოცოს შენი ჯიში, მონაგარი,
თაობები გააგრძელებს წამოწყებას
კეთილ საქმის,რაც დღემდე ვერ მოასწარი.

რა კარგია, როცა დედა ფუსფუსებს და
შვილებს ელის დაღლილი და ამაგდარი,
აივანზე გადმომდგარი იღიმება,
ფართოდ არის გაღებული სახლის კარი..

სიხარულით წკმუტუნებს და იქვე არის,
პატარობის ნოსტალგია, ის მურია,
იზიარებს მომლოდინე დედის გძნობებს
და ამჟამად ის ყველაზე ერთგულია.

დრო მიდის და იცვლებიან თაობები..
უფლისაგან ლოცვა გერგოთ იღბლიანებს,
აივანზე გადმომდგარა დედათქვენი,
თქვენ რატომღაც, უმიზეზოდ იგვიანებთ...

P.S. გაუფრთხილდით და მოეფერეთ დედებს...

* * *

ერთ დროს ნაზად ჟღერდა ბედის სიმფონია,
თითქოს განვლილ წლეებს კრეფდა აკორდები,
ისევ ძველებურად მებრძვის აგონია,
ვხედავ ვბერდები და მაინც მაგონდები...

წლებმა ვერ გაუძლო ფერად ფოთოლცვენას..
სევდა შერხეულა გულში სიმებივით,
ვერსად გავექეცი ამ ჩემს ბედის წერას
წლები აკიდულა ტანზე მძივებივით.

სარკმელს ვერ ვაცილებ თვალს..რას ველოდები?
ალბათ კვლავაც დამრჩა გულის კარი ღია...
მანუგეშებენ სიყრმის მეგობრები
იქნებ და ვინმე მოვიდესო გვიან.

* * *

ეჩვევი...ყველაფერს ეჩვევი,
ვერაფერს აკეთებ შერჩევით,
განგებას მაინც არ ნებდები,
მერა რაა, რომ ბერდები...

ვბრძოლობ და გავუძლო ვეცდები,
ვფიქრობ არასდროს შევცდები
მტრის გავახარო ფესვები,
ცხოვრებას არ დავნებდები...

მირბიან, მირბიან ეს წლები,
წამსვლელთა სიაში ვეთვლები,
სიცოცხლეევ...არ განელდები,
სიკვდილო....არ დაგნებდები.

* * *

საკმაოდ დავაგვიანე, მანძილს დასძლია სიშორემ,
ფიქრებმა ხელი დამრია, დარდები ვერ მოვიშორე.
ხავსს ვეჭიდები ავყიად, წლები ასპარეზს მითმობენ,
სულის სიმშვიდე მაკლია, ჩემზე სხვები რომ ფიქრობენ
არც ისე შეუდრეკი ვარ, ცხოვრებამ როგორც მაჩვენა,
ბევრჯერ მომიხდა განგებით ლხინის და ჭირის დათმენა,
ერთი ქალი ვარ უბრალო, მუზაში ვეძებ სიმშვიდეს,
არ ავტირდები საქვეყნოდ, სადაც რა უნდა მიჭირდეს,
თუ სიყვარული დამაკლდა, დავესესხები მეგობარს,
არ მინდა ოქრო და ვერცხლი, მისი სიტყვები მეყოფა
მუდამჟამ იმედიანი, სულს რომ მალამოდ ედება,
ჭაღარამ ხელი დამრია, მაგრამ გული არ ბერდება.

ნანა ჩარკვიანი

მადლობა უფალო!

ბინდი გაარღვია
დილის გარიჟრაჟმა
ამ დღის გათენება
შაშვებმა გვახარა,
თითქოს დაბერდნენო,
წელში მოიხარნენ,
მთები არ დაინდო
ამ წელსაც ზამთარმა.

ისე ჩამოთოვა,
თოვლის ფანტელები,
გზადაგზა მატყლივით
პენტავენ ჭიუხებს,
ზამთარი არ ხუმრობს,
არც ძუნწი არ არის,
მთებისთვის იმეტებს
ფანტელთა სიუხვეს.

ბარში ყინვამ დაჰკრა,
მზე ცდილობს გაგვათბოს,
გათოშილ ფანჯრებთან
მზის სხივი თამაშობს.
კიდევ ერთი დღისთვის,
მადლობა უფალო!
სიცოცხლე ხარობს და
სიცოცხლე ნავარდობს.

ჩავლილი წლები

ათრთოლებული გულები
სულები ნატვრით დაღლილი,
შორი შორს ტრფობა, ცხოვრება
მდინარესავით ჩავლილი.

ვერ მოერევა სიყვარულს
ვერ დასძლევს დრო და მანძილი.
წყვილების დაცალკავება,
მაინც არ არის ადვილი.

ბოლოს დაგვხვდება ზეცაში
ცოდვა და მადლი დათვლილი,
ბევრი გამოცდას აბარებს,
ხურავს ქალური მანდილი.

ქართველი ქალი სულ სხვაა,
სხვა ქვიდანაა გათლილი.
ის ერთი უყვარს,მას ეტრფის
ბევრი ცრემლიც აქვს დაღვრილი.

ათრთოლებული გულები,
სული,სიშორით დაღლილი.
და წლები ულამაზესი
მდინარესავით ჩავლილი.

პოეტს სხვა რა უნდა

თრთვილი მოსდებია მინდორს,
მთებზე გაწოლილა ნისლი,
ღრუბლებს გადარეკავს ქარი,
მერე სათითაოდ ითვლის.

ცაზე დააბოტებს მთვარე,
ღამით ისევ დაჰკრავს ყინვა,
ბაღში შემორჩენილ ვარდებს
ვგრძნობ,რომ უსაშველიდ სცივათ.

ჩვენი დედამიწის გულში,
ალბათ ზამთარშიაც თბილა.
გაზაფხულს უმღერის ნანას
მას კი, უდარდელად სძინავს.

მალე თვალს გაახელს იაც,
მინდვრებს მოედება მძივად,
დედამიწა კვლავაც შობს და
გაზაფხულიც მოვა ფრთხილად.

ნაზად გაიშლება კვირტი,
ხეებს მოედებათ ალი.
პოეტს სხვა რა უნდა,დაწერს,
ლექსებს სილამაზით მთვრალი.

იები თოვლში

მოფარფატებენ თეთრი ფიფქები,
შიშველ ტოტებზე ქარგავენ მძივებს.
მე კი,დავსცქერი გულისფანცქალით,
თოვლში ამოსულ ლურჯთვალა იებს.
იცი,რომ მიყვარს იის სურნელი,
მოგონებები იღვიძებს ჩემში,
თოვლში ეძებდი ჩემთვის ყვავილებს
სულ მაგონდები,იებით ხელში.
თოვლში ამოსულ გათოშილ იებს,
კრეფდი და უბით მოგქონდა ჩემთვის,
იის სურნელი და შენი სუნთქვა
ზამთარში მათბობს, ასეა დღემდის.
გაზაფხულზე ხომ ყველა დაკრიფავს
იებს, მიართმევს საკუთარ რჩეულს.
ზამთარში თოვლში რომ გაირჯები
ეს გხდის მიმზიდველს და გამორჩეულს.
თოვს ეხლაც,ფიფქი დათოვლილ იებს
უკოცნის ბაგეს და ახვევს თავბრუს.
ქალივით ნაზი,პატარა ია
არ უშინდება,ზამთარს და ქარბუქს.
ისევ ბავშვი ვარ,ვერ გავიზარდე,
და ვმოგზაურობ უხილავ დროში,
მე მოვალ შენთან,მოვალ ძვირფასო,
ერთად დავკრიფოთ იები თოვლში.

* * *

ცისი ჩემო საოცარო შვილო გილოცავ
დეე შენს ლამაზ დღეს ❣ დაგლოცოს
ყველა სალოცავებმა შენი ლამაზი
ოჯახით ❣ მეამაყები და მეიმედები ❣
მადლობა უფალს რომ შენი დედა ვარ ❣

თებერვალო თებერვალო
დაილოცოს შენი მადლი,
ჩემო უფლის საჩუქარო
ამ დღეს შენი დედა გავხდი.
დედამ როგორ უნდა აქოს
როგორა თქვას შვილზე კარგი,
მაგრამ რა ვქნა,მალამო და
თბილზე თბილი გოგო გაჩნდი.
შენს თვისებებს ვინ ჩამოთვლის
საოცარი,ტკბილზე ტკბილი.
კიდევ მრავალს დაესწარი
და მეყოლე დალოცვილი.
გვერდს ყოველთვის გიმშვენებდეს
მეუღლე და ორი შვილი.
შვილთაშვილებს მოესწარით
და ცხოვრება გქონდეს მშვიდი.
ჩემო თვალხატულა გოგო,
როგორ რუდუნებით გზრდიდი,
ეხლა აქეთ დამფუფუნებ
თითქოს მე ვარ შენი შვილი.
ყველა დედას შენისთანა
საოცნებო ქალიშვილი
ჩემი გულის მალამოდ ხარ
ამ ქვეყანას გაჩენილი.

ნეტავ ჩემი სიზმარი

ნეტავ ჩემი სიზმარი
ცხადად გადააქცია,
ჩამავალი მზის,სხივი
ლივლივებდეს ზღვაშია.
აქოჩრილი ტალღები
ხმაურობდეს ქარშია.
კაბა მეცვას ზღვისფერი
ჰქონდეს თეთრი არშია.
თეთრი ვარდის გვირგვინი
მიხდებოდეს თმაშია.
ყვავილებით მორთულში,
ვირწეოდე ნავშია.
შენ კი იყო მესაჭე
და მიგყავდე სახლშია.
ოქროს თევზებს ვხედავდე,
რომ ცურავდნენ წყალშია.
ქოხი იდგეს ზღვის პირას
სურო შემოხვეული,
ჩვენ კი ვიყოთ ბავშვურად
დამფრთხალნი,დაბნეულნი.
სიყვარული გვათრობდეს
გულში გამეფებული.
ანთებული ბუხარი
ისე,როგორც გრძნეული
ცეცხლს აფრქვევდეს
ეჭვებით,გონებაარეული.
შენ კი,ჩემით მთვრალი და
გიჟი გადარეული.
გარეთ წვიმის წვეთები
ქარებთან რომ ცეკვავენ
სადღაც ისმას შორიდან
ზარებს როგორ რეკავენ.
ავედევნოთ თოლიებს
სანამ ღრუბლებს პენტავენ.
შენთან ერთად ვიფრინო
და ერთ სიზმარს ვხედავდეთ.
ცაზე,თეთრი ღრუბლებით
ჩვენს სახელებს ვძერწავდეთ.
ფეთქვა ჩვენი გულების,
რომ აღწევდეს ღმერთამდე.
ნეტავ,ჩემი სიზმარი
ცხადად გადააქცია...
დადენილი ცრემლები
ღვინოდ გადააქცია.
ავიღებდი,შევსვამდი
სულში ჩამეღვრებოდი
სიყვარულით, თუ არა
ღვინით ხომ დავთვრბოდი.

* * *

ვუსამძიმრებ ჩემს ბაღდათს და სრულიად საქართველოს თავს დამტყდარ კიდევ ერთ საშინელ ტრაგედიას

ისევ იწვიმა საბედისწეროთ,
წყალმა მთას ძირი გამოაცალა,
უბედურება დაატყდა ბაღდათს
ქართველმა,ცრემლი ვერ შეიმშრალა.
წამოეწია მძინარე სოფელს
მეწყერმა შთანთქა ოთხი ოჯახი,
ღმერთო აკმარე ჩემს საქართველოს
მსხვერპლი,არ იყოს იმათ მოსვლამდი.
როგორ ამოწყდა მთელი ოჯახი,
სამი შვილი და მამა მშობელი,
დღეს ცრემლს ვერ იტევს,გამწყდარა წელში,
ერთდროს ამაყად მდგარი სოფელი.
შუაღამისას მთა რომ დაიძრა
ცხრა ადამიანს უმუხთლა ბედმა,
ჭირისუფალიც ცოცხალ მკვდარია,
ვინ ანუგეშებს,ემიგრანტ დედას.
სულის ხუთვამდე მძიმეა ეს დღე,
იმ კოშმარული ღამისნათევი,
გაძლება მიეც მათ ჭირისუფალს,
გარდაცვლილებს კი,ადგეთ ნათელი.

ბავშვობაში მინდა

მენატრება ჩემი სოფლის
სურნელი და სითბო,
ჩემი ქუჩა,ჩემი ეზო
თითქოს ეხლაც მიხმობს.
უდარდელი ბავშვობა და
ის ბავშვები უბნის,
კლასობანას თამაში და
კიდევ წრეში ბურთის.
დაიხუჭე,დაგასტუკე,
ეხლაც ყურში მესმის.
ონკანზე,რომ ვწუწაობდით
და ვშრებოდით მზეში.
ფანტობიას თამაში და,
კონცერტების დადგმა.
მოპარული „ფრანცუსკების“
და კაბების ჩაცმა.
სად წავიდა ის ბავშობა,
ალალი და წმინდა.
დამაბრუნეთ ბავშვობაში
ბავშვობაში მინდაა...

მალე მოვა გაზაფხული

მალე მოვა გაზაფხული
აყვავდება ნუში ხეზე,
სიყვარულიც იყვავილებს
ისევ დავწერ ლექსებს შენზე.
სიცოცხლე კვლავ ამღერდება
ჯიხვი გადმოდგება კლდეზე.
,,ბონდის ხიდი იქანავებს,
ადიდებულ მდინარეზე.
იჟღურტულებს ჩიტუნები,
გასაოცარ ზღაპრულ ხმებზე.
სალამურიც აკვნესდება,
ცხვრის ფარას და მეცხვარეზე.
ნაკადულიც ირაკრაკებს
ხტუნვა ხტუნვით ივლის ქვებზე,
ყვავილებსაც დაასველებს,
შეკრთებიან,წყლის წვეთებზე.
გაყინული ლოლოები
ჩამოშლია ჩანჩქერს კლდეზე,
როგორც დალი ზღაპრებიდან
გრძელ დალალებს გაჰფენს მზეზე.
მალე მოვა გაზაფხული
თოვლი უკვე დნება მთებზე.
აყვავდება დედა მიწა,
ისევ დავწერ ლექსებს შენზე.

ღამეა უკუნი

ჩამოდგა სიჩუმე,გამეფდა სიბნელე
ცა გაუფერულდა გაწოლილ ნისლივით,
თანდათან დაბინდდა,დღე ჩამოიცალა,
გადაჭრილ ვენიდან დაწრეტილ სისხლივით.
უმთვარო ღამეა,ცივი და უკუნი,
მაშინებს ასეთი სიბნელის სიჩუმე,
რაღადროს ლექსია,დაუშვი ფარდები,
გულო ფორიაქი შეწყვიტე,იყუჩე.
ხანდახან დაჰბერავს ქარი თებერვლისა,
აწეწავს ფიქრებს და ბალიშზე დამიფენს,
მერე მესტუმრება მუზა უჩვეულო,
ნატვრებს და სურვილებს ფარდაგად დამიგებს.
ღამეა უკუნი,წვიმა და თქეშია,
სანთელი დავანთე,,დაგვლოცე უფალო."!
რა ვქნა,დღე არ მიყვარს,არ მიღირს უმზეოდ,
არ მიყვარს არც ღამე, ბნელი და უმთვარო.
მაინც გამიტაცა ძილმა სიზმარეთში,
ნახევრად მთვლემარე ვაგრძელებ აკორდებს,
თითქოს გათენდა და მზე მთაზე შემოდგა,
ხელი შევაშველე,ძირს რომ არ დაგორდეს.

მარტი მოდის ჭირვეული

ბუტია და ჭირვეული
ჭრელა ჭრულა კაბებით,
მარტი მოდის ჭორიკანა
საოცარი ამბებით.
        არაკრაკებს ნაკადულებს,
        მთაში ყინულს გაალღობს,
        მიწის გულს და კაცის გულსაც
        ერთნაირად გაათბობს.
ატმებს კვირტი დაასკდება,
ნუშს,ტყემალს და ალუჩას.
პეპლებივით დაამშვენებს
თეთრი ფატა ალუბალს.
        წაბლის ხეზე,ბებო ბადიშს
        საქანელას გაუბამს.
        ფრინველები ნანას უმღერს,
        მზე დალალებს დაუწნავს.
ფერდობს ია შეფენილი
თვალს საამოდ ახარებს,
სურნელი და სილამაზე
უყვარს დიდს და პატარებს.
        ქორფა ბალახს დაამშვენებს
        ღიღილო და ყაყაჩო,
        გაზაფხულის მობრძანებას
        ზამთრიდანვე ვდარაჯობ.
აყვავდება,მთა და მდელო
აფეთქდება სიცოცხლე,
მარტო კვირტი არ დააზრო
გაუფრთხილდი, იცოდე.

ნუ მიწყენ დედი

წელსაც ვერ მოველ
მე შენს საფლავზე,
ვერ მოგიტანე იების კონა,
ასე დიდი ხნით თუ დაგტოვდბდი
ჩემო დედიკო არც კი მეგონა.

ნუ მიწყენ დედი,ასე შორიდან
გილოცავ ცრემლით და მონატრებით,
სულ ცრემლით ვხვდები
დედის დღეს დედი,
რაც აღარ მყავხარ,რაც შენ წახვედი.

გულთმისანია დედა ბუნება,
ღრუბლები ცაზე გაფანტულიყვნენ,
და ემიგრანტი დედის საფლავზე
იები თვითონ ამოსულიყვნენ.

შენი გაზაფხული მომენატრა

შენი გაზაფხული მომენატრა,
მინდვრად გაბნეული შროშანები,
ფერდობს შეფენილი იებით და
მორცხვად თავდახრილი ენძელებით.

შენი გაზაფხული მომენატრა
ატმის რტოები და ნუშის ფერი,
ტყემლებს ატეხილი რიარია,
ოო,რა ლამაზია ყველაფერი.

შენი გაზაფხული მომენატრა
სიო ჭალებიდან მონაბერი,
ფრინველთა ჟღურტული მომენატრა,
შენი სიდიადის შესაფერი.

შენი გაზაფხული მომენატრა,
განა აქ არ არის ვარდი, ია...
მაინც ჩემეული მენატრება
ჩემი საქართველო,რასაც ჰქვია.

* * *

რა ახლოს იყო ცა თითქოს ჩემთან,
თითქოს შევახე ხელი კალთაზე,
ყველა ვარსკვლავი მე მიღიმოდა,
რა ძალამ შეჰქმმა ეს სილამაზე.

ამ გაზაფხულის ლამაზ საღამოს
აივნიდან რომ ვუცქერ მნათობებს,
წარმოვიდგინე ეს ვარსკვლავები
საქართველოსაც,როგორ ათბობენ.

ალბათ შენც ეხლა გასცქერი ზეცას,
სიო ნაჯაფარ სხეულს გიკოცნის.
ცაში დავეძებთ ჩვენ ჩვენს ვარსკვლავებს,
მე შენზე,შენ კი ჩემზე ფიქრობდი.

ვინ იცის,იქნებ ჩაფიქრებული
ჩვენი სურვილიც ოდეს აგვიხდეს,
დრო ჩვენს სიშორეს ვერ მოერევა
მე რომ მიყვარხარ არ დაგავიწყდეს.

შენც რომ გიყვარვარ,კვლავ ძველი გრძნობით,
შენი თვალებიც ამას ამბობენ,
მერე რა მოხდა, ჩვენს სიყვარულზე
ვარსკვლავები თუ იჭორავებენ.

მარტი გაჭირვეულდა

თავნება და ამაყი
მარტი გაჭირვეულდა,
ჯერ მორთო და მოკაზმა
მთა და ბარი გრძნეულმა.
როცა გამოიღვიძა,
მიწამ მიძინებულმა,
როცა კვირტი ხეებზე,
გრძნობით აფეთქებულა.
ყვავილების სურნელი
ირგვლივ რომ მობნეულა,
ფრინველების ჟივჟივით
ეზო გაცოცხლებულა.
ბავშვების ჟრიამული
ქუჩებს რომ მოდებულა,
გაზაფხულის მოსვლით,რომ
ყველა გახარებულა.

მარტი ისე გაჭინჭყლდა
კვირტი გაციებულა,
ჩვენი დედა ბუნება
ცოტა შეშინებულა.
თოვლი,წვიმა და ქარი
ერთმანეთს შერეულა.
თურმე,წასვლა არ უნდა
მიტომ გადარეულა.
შუაკაცად აპრილთან
ქარი მიბრძანებულა.
უთხოვია სამი დღე
მარტიაო, სნეულად.
ცოტას მოიკეთებს და
წავა დამშვიდებულად.
აპრილს შესცოდებია
ისიც დათანხმებულა.
ნასესხებში მარტი კი,
სულ მთლად გაგიჟებულა,
ცხვარი გაუწყვეტია,
გლეხი დაღონებულა.
ბოლოს სხვა გზა არ დარჩა
მაინც აბარგებულა,
ასე გაჰყვა ნიაღვარს
თურმე ფეხარეულად.
მისი ორპირობით კი,
აპრილი დაბნეულა.
შეციებულ კვირტებზე
ცვარ– ნამი დაბნეულა,
ნორჩი ფოთოლ ყლოტები
სხივებში გახვეულან.
აპრილს გულში ჩაუკრავს
ყველა დაწყნარებულა.

მიდით ბიჭებო!!!

არ მეგულება ქართველი ვისაც
არ შეუთრთოლდა გული ღირსებით.
სტადიონზე რომ ცეცხლი დაანთეს,
არწივებს ჰგავდნენ,ჩვენი ბიჭები.

ასეთ ერს,მტერი ვერას დაგვაკლებს
ერი შეიკრა ისევ ერთ გუნდად,
დიდი,პატარა,ერი თუ ბერი
გაამთლიანა ისევ ფეხბურთმა.

ეს ემოცია დიდხანს გამყვება,
გული ამევსო სხივით ნათელით.
რა ამაყი ვარ თქვენით ბიჭებო,
რა ამაყი ვარ,რომ ვარ ქართველი!

წინ კიდევ ბევრი გაქვთ საბრძოლველი,
წარმატებისკენ გზა გასავლელი,
გამარჯვებებით იარეთ მუდამ
უფალი იყოს თქვენი მფარველი.

ბებერო მუხავ! შენი ბუდიდან
მართვები ისევ დააფრთიანე...
მიდით ბიჭებო და ევროპაში
ქართული დროშა ააფრიალეთ.

დღეს პირველი აპრილია

დგანან ამაყად,ყელმოღერებით,
ფერად ფერადი ჭრელი კაბებით,
მოდის აპრილი მაგნოლიებით
და ცრემლიანი იასამნებით.

აფეთქებულა ნუში, ალუჩა,
ალუბალი და ვაშლი,ატამი,
სურნელი დადგა გაზაფხულისა,
გაღვივებულა პურის მარცვალი.

შემობრძანდა და შემოანათა,
მთლად მოგვიხატა,მთაცა და ბარიც,
და საქორწილოდ შეღერებულმა
შემოაბიჯა ვით პატარძალი.

პროლოგი

,,დღეს პირველი აპრილია,
მოტყვილება ადვილია".
ლექსში რაც კი დაგიწერეთ
ყველაფერი ნამდვილია.

მზის ჩასვლა

ჩამავალ მზეს მთის მწერვალზე
დალალები დაუყრია,
ცა ალისფრად შეფერილა
ნაკვერჩხლები გაუყრია.

ქუჩის ბოლოს მაგნოლიას
ტანი როგორ აუყრია,
შეღერებულ ტოტებზე კი
ყვავილები დაუყრია.

ჩამავალი მზის სხივები
უკოცნიან ნაზად ფურცლებს,
არც კი უნდათ განშორება
ვეღარ წყვეტენ ყვავილს ტუჩებს.

ხის ტოტზეა შემომჯდარი
შავი შაშვი გალობს,უსტვენს.
კვლავ ამოვა დილით მზეო,
გადასძახის ამ ჩვენს ქუჩებს.

ჩაესვენა მზე ნელ-ნელა
დაღლილი და ნაჯაფარი,
მზის ჩასვლას და მზის ამოსვლას
ას წელიწადს დაესწარით.

დილა

ცის ლაჟვარდზე მზეს ამოსულს
ჟღურტულით რომ ხვდებიან,
რა საამო, გრძნობით სავსე
ჯადოსნური ხმებია.

გაზაფხულის თბილი დილა
თავზე დამთენებია,
ახლად გაღვიძებულ ქალაქს
დარაჯობენ მთებია.

დაშრიალებს დილის სიო
ზღაპარს ჰყვება ვნებიანს,
ყვავილების სურნელებას
თავბრუ დაუხვევია.

გაღვიძებულ იასამანს
ცრემლი დაჰკიდებია,
ჩემს ქუჩაზე,მაგნოლიებს
ცეცხლი წაჰკიდებია.

გაზაფხულის გათენება
ლექსში ჩამიტევია,
საოცარი დილის ცქერით
ყავა დამვიწყებია...

უსიყვარულოდ

უსიყვარულოდ დაჭკნება ქალი,
სულში სიბერე ჩაუსახლდება.
ისე ვით ვარდი,უწყლოდ მოიწყენს
სიცოცხლის სხივი თვალში ჩაქრება.

უსიყვარულოდ,ვერ გაძლებს ქალი,
მოიწყენს,როცა მარტოდ დარჩება,
ქალს ცრემლებისთვის ნუ გაიმეტებთ
სიყვარულისთვის, შეჰქმნა გამჩენმა.

უსიყვარულოდ ის არის სუსტი,
თუ უყვართ,მაშინ მთებს შეებმება,
არ გაიმეტოთ მარტოობისთვის,
ქალს სულიერი ვერ შეედრება.

უსიყვარულოდ ვერ გაძლებს ქალი,
თუ უყვარს მაშინ კიდეც იომებს.
თუ შეიშალა სიყვარულისთვის
მაშინ, „შიოლას“ გამოიგონებს.

უსიყვარულოდ ვერ გაძლებს ქალი,
უსიყვარულოდ,ეცლება ძალა.
გიყვარდეთ ქალი მამაკაცებო,
ის თქვენთვის შეჰქმნა უფალმა ქალად.

ნესტან გეგენიძე

* * *

მიწას ასველებს წვიმის წვეთები,
ცრემლები, გულის ჭრილობას ამხელს,
ფესვებ გართხმულა ვარდის ნერგები,
ღეროს ეკლების, სიმკაცრით ავსებს.

დანამულ მიწას, ფერად– ფერადად,
მიმობნეულა ნაზი ყვავილი,
გულში სათუთად ჩაწვეთებულა,
იესოს სისხლის, ერთი ნაჟური.

გაღვივებულა, გალაღებულა,
ის ერთი წვეთი ქცეულა საყდრად,
სულის საუნჯე გაცოცხლებულა
და სამყაროში ლოცვების ძალას...

დაუძლევია ბოროტი, ავი,
აღდგომის მადლი, არ ტოვებს კაცთა,
დადის ფეხდაფეხ, დაყვება მის შვილს,
სული – წმინდა კი გვათბობს და გვფარავს.

რა მიხარია?...
ის რომ, ამ ქვეყნად...
აღმდგარი ღმერთი...
სულს ჩვენთვის ქარგავს...

* * *

შენი თვალების, უძირო ზღვაში,
მინდა შევხედო, ანარეკლს ჩემსას,
ჩავეჭიდო და ზღვის მშვიდ ნაპირზე,
ბედნიერებას ვესტუმროთ ერთად.

შენი თვალების უძირო ცაში,
მინდა მზე მუდამ სხივებს, რომ ფენდებს,
აცეკვებული ცისარტყელების,
შვიდივე ფერი, შენ სახელს წერდეს.

კიდევ რა მინდა? სულის თვალები,
რომ ვერასოდეს დაჩრდილოს ჩერომ,
გრძნობის ცეცხლები ალმოდებული,
გულიდან– გულში, სულ მუდამ ენთოს.

და თუ ნატვრაა, ხდება ნატვრები,
ვინატრო ეგებ ამიხდეს ოდეს,
შენი თვალების შუქის სიღრმეში,
მე – ბედნიერის... სახე-ლი მქონდეს.

* * *

ვიღაც აცეკვებულა დარდების დასამალად,
ვიღაცა მღერის, საშველად თავის,
ვიღაცა ანგეევს ძველს და უვარგისს,
უნდა ააშენოს, იმედად ხვალის.

ვიღაცა ტაშს უკრავს, ვიღაცა უსმენს,
ვიღაცა ზღაპარს წერს, სიკეთეს უხმობს,
ვიღაცა ტირის და ვიღაცა იცინის,
ვიღაცა სატრფოს, ძვირფას წუთს უთმობს.

ყველაზე მთავარი, სიკეთით მზერაა,
სხვის ჯიბრზე კი არა, თავის-თავს შესწვდე,
ერთი გვაქ ცა და მიწაზე დავალთ,
საჩუქარია ნათელი მზის, დღე.

სხვის ჯიბრზე კი არა, შენ თავთან იყავი,
ის შვილი, ღმერთი რომ შუქს მისას აწვდიდა,
შენში გააცოცხლე ზეცა და უფალი,
ყოველდღე ახარე სულ-წმინდას, ახლიდან.

* * *

მინდა ცა იყო, და არ მაწამო,
მიწამლო, წამლად, მიწაზე მოსულს,
და ერთად შევძლოთ, სიტყვების ძალით,
ხორცი შევასხათ ოცნებებს ჩვეულს.

მინდა ცა იყო და შენს მშვენიდან,
ზოგჯერ ღრუბლებიც უშვებდეს წვიმას,
წვეთებს მოსულებს გასახარებლად,
გადასარჩენად ყვავილთა გულად.

ის ფიფქი იყო ოცნების მაცნე,
სიყვარულით რომ ადნება მზის სხივს
და ნიადაგის ძირის ძირებში,
სითბოს ხელებით ათბობდეს ჩითილს.

პირველ სამისლის, სამოს მოსხმული,
იარებოდე სიკეთის კვალზე,
და გვერდით ნებით, ბედნიერ ღიმილს,
შემაშველებდე მარჯვენა მხარზე.

* * *

დილის მზესავით აღმატებული,
სიხარულებით მინდა გხედავდე,
მზის სხივს გადმოსულს, სითბოს ნაჟურად,
წონასწორობის გონით ვკვებავდე.

ჰორიზონტიდან ვერტიკალს კვეთას,
მზე სიყვარულის, მტკიცედ ნათობდეს,
რწმენა, იმედი, თავისუფლება,
ბედნიერების ღეროს ყვაოდეს.

კეთილი სიტყვით, კეთილი ფიქრით,
სუნთქავდეს არე-მარე ლაღობდეს,
ჯადოსნურ ზღაპრის ფერიასავით,
სიკეთე მუდამ ჩვენში სახლობდეს.

მზისა და მთვარის შუქის ძაფებში,
სიყვარულს გვჩუქნის სამყაროს მაცნე,
ბგერებს სიტყვების მოფერებებით,
გაბრწყინებული უნათებს სახე.

* * *

რატომ ვერ ხარობს ზამთარში ვარდი,
რატომ ვერ ყვავის, ბუჩქებში ია,
ზამთარში მიწას, გულის კარები,
რად ჩაურაზავს, ვერ გაუღია,

სად გაფრენილა ჭრელი მერცხალი,
ყინვაში ჭიკჭიკს, რად, ვერ ახერხებს,
სიცივის კვალი, ასეთი მჭრელი,
ნეტავ რად ამჩნევს, გულს ღრმად იარებს.

მოვა აღდგომა გაზაფხულისა,
მიწა გადაშლის გულის სარქველებს,
მზის სხივი, სულ მთლად გამოუცოცხლებს,
ყინვისგან დაჭრილს, სისხლის იარებს.

რამდენს გვაჩვენებს... ეს დალოცვილი,
ბუნების მადლი და მისი ძალა,
კვალს ტოვებს სულში ადამიანის,
რწმენა, იმედი, კეთილი ზრახვა.

* * *

ჩვენ სამყაროსთვის მშვიდობას ვნატრობთ
და წვეთ– წვეთობით ივსება თასი,
ის გული რასაც ჩვენ დავატარებთ,
ავსებს სამყაროს, ჩვენივე განცდით.

და ჩვენ სამყაროს მშვიდობას ვნატრობთ,
ერთმანეთისთვის რა გვემეტება...
რითია სავსე, ეს შენი გული,
მიუტევებ და მიგეტევება.

ჩვენ სამყაროსთვის მშვიდობას ვნატრობთ...
უხილავ ძაფის ფარდაგებს ვართავთ,
და ამ წუთიდან სიმშვიდეს ვუხმობ...
მადლობის მღერით, სამყაროს ვმართავთ.

მზია ერგემლიძე

* * *

მუყაოს ქაღალდი უდევს ქვაფენილზე,
პატარა კოლოფი ხურდის მოლოდინით,
დამჯდარა პატარა პურის ფულს იხვეწება,
დაღლილა პატარა ხვეწნით და ლოდინით.
იმედი ასულდგმულებს კეთილი ხელების,
კეთლი გულის და უფლის მადლს ელოდება,
ჩურჩულით ბუტბუტებს ღმერთო შემეწიე,
სახლში ავადმყოფი დედა მელოდება.
ვიღაცა დასცინის, ზოგნი ფულს აძლევენ,
ვიღაცა კითხულობს რად ზიხარ ქუჩაში,
ვიღაცამ გაკიცხა, ვიღაცამ გზა უჩვენა,
მიდი და საჭმელი ეძიე ურნაში.
ქვასავით უძრავად დამჯდარი პატარა,
თითქოსდა მუნჯია ხმაც არ ამოიღო..
უფალი მოწმეა წამალი სჭირდება
რეცეპტი უსიტყვოდ ჯიბიდან ამოიღო.
რა არის იკითხა ვიღაც ღვთისნიერმა,
პატარას ცრემლები დასცვივდა თვალებზე
დედა მყავს ავად და ქუჩას მოვაშურე,
მინდოდა მეშოვა მე ფული წამლებზე..
ქაღალდი აიღო ვიღაცამ უსიტყვოდ,
ვიღაცამ დატოვა ნავაჭრი პარკებით
უფალო მადლობა, უფალო დიდება
შენი შემწეობით არ დავიკარგები.
ამბობდა პატარა და თან სლუკუნებდა
ღმერთია მოწამე არ ვარ მათხოვარი,
წამალი მინდოდა მეყიდა დედისთვის
სხვა ვერ მოვიფიქრე ფულის საშოვარი.
ვიღაცამ წამლები პატარას აჩუქა,
ვიღაცამ ფული და ვიღაცამ ნობათი.
მადლობას იხდიდა პატარა ტირილით
მადლობა უფალო რომ გყავარ ნდობაში.
სიხარულს არიგებდა პატარას თვალები,
ცრემლებით სუყველას მადლობას წირავდა,
უფალმა დაგლოცოთ კეთილო გამვლელნო,
მე მართლა წამალი დედისთვის მინდოდა.

* * *

ბევრჯერ დამიხატავს ცაზე სავსე მთვარე,
ხშირად მითევია ოცნებებით ღამე..
მთვარის შუქზე მიწერია სიყვარულის რითმა,
მიდით ჰკითხეთ იასამანს, ჰკითხეთ როგორ მიყვარს..
როგორ ხარობს და შრიალებს გაზაფხულის სუნით,
და ახარებს მოფერება, ჩუმი სიყვარული.
ყოველ ღამით მასთან ერთად ვუცქერივართ მთვარეს.
მე მას ვეტრფი ის კი სურნელს თავზე შემომახვევს.
მეფერება ყოველ ღამით, ის აპრილის შუქით,
ჩვენ ერთმანეთს ყოველ ღამით
წრფელ სიყვარულს ვჩუქნით,
თავს დაგვნათის უნაზესი, ციდან სავსე მთვარე,
ჩვენ კი ერთად ამ ღამესაც თავსაც ვანაცვალებთ..
ამ.აპრილმა ისე ძლიერ ჩაიბუდა სულში,
იასამნის სიყვარულით გაიბუტა ნუში,
მთვარე ციდან სხივებს აფენს, ამწვანებულ ტატნობს,
ციდან მისი ნაზი სხივი სიყვარულით მათრობს.
აქ აჩრდილნი არ დადიან, აქ სხივები სხედან,
იასამნის სურნელება ნაზად მეფერება,
მთვარე ისე გაბადრულა, ოცნებებში მარწევს,
ერთად ვწევართ ყვავილებში მე და სავსე მთვარე.

* * *

ვინ თქვა მზეს რომ მარტოობა უხარია,
მარტოობის სიხარულით აფრქვევს სხივებს,
შეუყვარდა ცხრათვალა მზეს დედამიწა,
ვინც არ იცის ამ სიყვარულს გაიკვირვებს...
თუ არ უყვარს სიმარტოვე დატანჯავდა,
სხივის ნაცვლად, ცრემლების ზღვას მოგვიძღვნიდა.
სითბოს ასე არ დააბნევს დედამიწას,
ასე თბილად ქვეყნებსაც არ მოივლიდა.
სიყვარულის ფასი იცის ცხრათვალა მზემ,
გეფერება, სითბოს გიღვრის სხივით გულში,
თუ გაბრაზდა, იმალება არ ჩანს იმ დღეს,
თითქოს ჩრდილი ჩაგისახლდა შენაც სულში.
სხეული კი ისევ მზის მწველ სხივებს ნატრობს,
დედამიწაც მის მნათ სხივებს ელოდება,
ენატრები მუდამ ისევ შენზე დარდობს,
მზეს ხომ მუდამ სიყვარული თან დაჰყვება.

* * *

განა მე ასეთ გაზაფხულს ვნატრობ,
მოვეფერო და გავექცე ტატნობს..
მე განა ასე ვინატრე ნუში,
რომ სიყვარული მოეკლა გულში..
და არც ასეთი არ მიყვარს ვარდი,
თუ მას თან ახლავს ცრემლი და დარდი..
ვეღარ ვენდობი ვერც იასამანს,
თუ ის მიმშვენებს საყვარლის საფლავს...
მე გაზაფხული სხვაფერი მირყვარს,
ცა რომ ბრწყინება და წითლად ღვივის,
განთიდასისას. ჩიტის გალობა,
როცა დაასწრებს გიჟ მამლის ყივილს...
მე გაზაფხული ისეთი მიყვარს !
გულთან ერთად რომ ხარობს ბუნება,
რომ აფეთქდება ვარდისფრად ნუში,
და სიყვარულზე გეჩურჩულება..
არ მიყვარს როცა მჩქეფარ გაზაფხულს,
თან დასდევს ტყვილი, დასდევს ღალატი,
ოცდაათ ვერცხლად როცა სხვას ჰყიდი,
შენ მაშინ უფრო დაპატარავდი...
და როცა ზღვაში მზე ჩაესვენა,
როცა სხივები დაიხრჩო წყალში,
ნუ გიხარია სხვისი სიკვდილი,
ნუ ეგებები მქუხარე ტაშით.
არავინ იცის ხვალ რა მოხდება,
იქნებ და ვეღარც შევხვდე გაზაფხულს,
მხოლოდ ამას გთხოვ ნუ მიღალატებ,
ლამაზად მინდა შევხვდე დასასრულს.
და თუ დასაწყისს შევხვდი ტირილით,
და ეს ტირილი მაშინ ხარობდა!
ის დასწყისი მე მეკუთვნოდა,
და ჩემთან ერთად სხვაც ხომ ხარობდა...
გაზაფხულს მოჰყავს მუდამ სიცოცხლე,
სავსე იმედით და სიხარულით,
შეგეძლოთ მუდამ სხვაც გაახაროთ,
სხვასაც არგუნოთ ეს სიყვარული...
თორემ ერთხელაც წვიმაც წამოვა,
წამოვა ციდან უწყვეტი თქეში,
მაშინ რამდენიც გინდა ილოცე,
იცოდე მაშინ ვერაფერს შეცვლი..
ვერ შეაჩერებ გრიგალს მოვარდნილს,
და არ ჩადგება თხოვნით ქარები,
მხოლოდ ამას გთხოვ ჰქენი სიკეთე.
ეშმაკს ნურასდროს დაემგზავრები..

* * *

ამოიგმინე ქარაფეებიდან,
ამოგრიალდი აპრილის ქარო,
შემოირბინე მთები და ველი,
შენში ერთობა რომ გაამყარო..
რომ გაამყარო ბუნების რწმენა,
უფლის დიდება იყოს უცვლელი
ყველა წელიწადს ასე რომ ხდება,
განა ერი ვართ მართლა უძღები...
მე შენში მიყვარს გაზაფხულები
წვიმიანი და თუნდ ქარიანი,
თავისუფლება არ დასრულდები,
სანამ იცოცხლებს ადამიანი.
ეს გაზაფხულიც იყოს ისეთი
აყვავებული, განათებული,
ჩემს სამშობლოში ყველა მენახოს,
გაბრწყინებული, გახარებული.
არ დამდგარიყოს არასდროს მწუხრი,
ბედნიერების დაქროდეს ქარი,
მუდამ მღეროდეს საქართველოში
სიყვარულის და ერთობის ქნარი.
აპრილის წვიმა იყოს ცრემლები,
გარდასულ წლების გაზაფხულების
ეს გაზაფხული იყოს შენების
ქართველი ერის თავისუფლების.

* * *

თოლიებმა უკვე გეზი შეიცვალეს,
მიატოვეს ნაზამთრალი ადგილი,
მთვარემ თავი ზღვის ტალღებზე გაიშიშვლა,
ნაპირზე კი არშიყობდა აპრილი..
განთიადზე მზის სხივები ატკვარცალდნენ,
უსირცხვილოდ აკიაფდნენ ფერებში,
თოლიები ზღვის სივრცეში დაბანაკდნენ,
შენ აპრილო მითხარ ვიღას ეფერვი..
იასამნის ტოტებს თავი დაუხრიათ,
მორცხვად დგანან ერიდებათ სხივების,
ზღვის ნაპირი საჭორაოდ გაუხდიათ..
ეჰ ნიავო ნეტავ ვის სად მიჰყვები..
ცას შეჰყურებს აწოწილი კვიპარისი,
და ტოტები გაუშლია ლანდებად,
თითქოს მასაც მოენატრა მოფერება,
და მრუშ აპრილს სიყვარულში დანებდა.
ზღვის ნაპირზე ურცხვად ისევ მზე იცინის,
წყალში თითქოს იკარგება ჩრდილებად,
აპრილს უყვარს მოთამაშე მზის ღლიცინი,
მასთან მრუშობს სადაც მიდის მიჰყვება.

დარეჯან მაჭარაშვილი

****

შენს ბინადარს ოდითგან
მძიმე ხვედრი ერგო,.
ხმალი არ ჩაუგია
სასთუმალთან ედო.
გაგიცივეს ვერაფრით
კერია და ერდო.
ჩემო დასაფიცარო
სალოცავო ღმერთო!

სიყვარული მეფობდა,
მეტი იყო შურზე.
შენს ერთ დაძახებაზე
იდგა"კაცი ქუდზე"

დედასავით ტკბილო და
დედასავით მწარე,
ვინაც შეგიყვარა და
ვინაც შეიყვარე__
ამ სიყვარულს ვერ დათმიბს
გულიც შენთვის უნდა,
სიცოცხლესაც გაჩუქებს,
არც კი ითხოვს"ხურდას"

სამსხვერპლოზე მიმავალს
აცილებდა ქარი,
მიუძლოდა ამაყად
წმინდა ნინოს ჯვარი.
მძლავრდებოდა ქართველი
მტერზე, __ერთი ასად,
მტკაველ მიწას იცავდა
თვის სიცოცხლის ფასად!

ისევ.....

ისევ ამეშალა
ფიქრის საღერღელი,
ისევ მომერია სევდა,
იმ გარდასულ დღეებს
ისევ ვემონები,
ისევ გახსენებას ვბედავ...

ისევ ამიდიდდა
ცრემლის უძირო ზღვა,
ისევ გადვიქეცი დარდად,
ჩემი გულისა და
ჩემი სულის ნაწილს
მტკივა გზა და გზა რომ ვკარგავ!

მტკივა უმოქმედო
ჩემი სხეული და
მეწვის გაძარცული სული
ისევ ღამეს ვანდობ
უხმო საიდუმლოს,
როს არ მეკარება რული!,

თავი დავიჭირე,__
ვინაც მიყვარდა და
ვისაც "ჩემიანად" ვთვლიდი,
თუმცა მიგანა და
ბევრჯერ მიორგულა,
მაინც გულიდან ვერ ვშლიდი!

გზა_გზა ეკალ_ბარდმა
სისხლი დამადინა,
გვერდით არვინ იყო სანდო,
მაინც იმედებთაბ
უნდა ვიმეგობრო
ისევ ვარდი უნდა დავრგო!

ისევ ერთგულების
ვიწრო ხიდზე ვდგავარ,
ვიცი ფრთებშესხმული გავალ,
მერე ჩემეული
სევდის ბილიკებით,
ისევ სევდიანი "წავალ"

–, –

დღეს რა ხდება, ვინ იცის
რა მოგვიყვანს აზრზე,
ერთი სიტყვის გულისთვის
ძმა ხელს იღებს ძმაზე!
აღარც ერთგულება და
არც სინდისი სუფთა,
ქართულ მიწას ჰყიდიან
გროშებად და მუქთად!

რისი სხვისი ტკივილი,
სხვაზე დროს ვინ კარგავს,
არაფერი გვადარდებს
ჩვენი თავის გარდა!
დაიკარგა ნდობაც და
დაიკარგა რწმენაც,
ჩავანაცვლეთ მშობლიურს
უცხოური ენა!

დრო დაგვიდგა ღელვის და
დრო წავიდა მშვიდი
კერას ქალი აკლია,
დედას ვერ ცნობს შვილი!

ოცნებად და იმედად
დაგვრჩა მხოლოდ ერთი.
არა მარტო ჩემთვის და
არა მარტი შენთვის –
სიყვარული ვისწავლოთ,
შური – მხოლოდ თეთრი,
ვეღარავინ გვიშველის,
თუ გვიშველის ღმერთი!!!

******

ამ ქვეყნად წუთით მოვსულვართ,
სიკვდილის თანაზიარო,
იქნება კარგი რაცა გაქვს
ცოტა სხვას გაუზიარო!
სიყვარული და სიკეთე
დაიმგზავრ_ დაიგზიანო.
არც არაფერი სხვას ავნო,
არც თავი დაიზიანო!
იქნებ წაქცეულს ეხიდო,
იმის მხარდამხარ იარო,
ცრემლები გაინაწილო,
იმზევო__ როცა მზიანობს!
სიკეთეს ჩალის ფასი აქვს
როცა ყვირის და ხმიანობა,
კაცი კი უფლის ტოლია,
თუ გულით ადამიანობს!!!

ჩემი ქუჩა

მივდივარ და აღმართს ბოლო
აღარ უჩანს,
ღიმილით და "გამარჯობ"-ით
ვიხდი ვალებს,
მკერდს გადმიშლის სიყვარულით
ჩემი ქუჩა,
ავივლი და გზად დავამჩნევ
ნატერფალებს!

ჩემთან ერთად გაიღვიძებს
ალიონზე,
უიმისოდ ყოფნა მიჭირს,
არ მჩვევია,,
ჩემი შუბლის სევდისფერი
ნაოჭები,
ჩემთან ერთად მასაც
გულზე დამჩნევია!

უსიტყვოდაც გვესმის მუდამ
ერთმანეთის,
მე ჩემს ამბავს,
ის თავისას მომიყვება,
სადაც წავალ,
რა გზებითაც არ ვიარო,
ვიცი, ჩემი ქუჩა
მაინც მელოდება!

მივდივარ და გონს მიწამლავს
საფიქრალი,
რა მოხდება მერე.....
მერე__ მე რომ წავალ?
თუმცა ვიცი ამ სამყაროს
კანონები,
ქუჩის მტვერი ჩემს ნატერფალს
გადაფარავს!...

დანაწვიმარ ფილაქანზე
მივაბიჯებ,
ნაბიჯს ვითვლი,
არ ვღალატობ უშნო ჩვევას,
და ეს ქუჩაც შეშლილი და
არეული,
ვიცი, ერთ დროს
უჩემობას შეეჩვევა!!!

მოგონება

მაგონდება – ზღვარსგასული სითბო
და გოგონა – თავნება და ურჩი,
მოპარული კახამბალის სიტკბო,
სიჩქარეში "გაღვლეპილი" მუხლი.
ფეხშიშველი მორბენალი მინდვრად,
და ჯიუტად გაწეწილი თმებით,
გადასმული დედის ხელი ნაზად,
ამ ყველაფერს რომ უძლებდა თმენით!
ხან მინდორში – თხილის ჯოხით ხელში,
წყაროსავით ანკარა და წმინდა,
და ეს გოგო – წვიმის შემდეგ, მზეში
ცისარტყელის ფერებს როგორ თვლიდა!
ხან ბიჭებთან თამაშობდა ფეხბურთს,
ხან ხეებზე დაძვრებოდა მაღლა
ხან გოგო _ბიჭს ახვედრებდა ერთურთს,
არ იცოდა შიში და არც დაღლა....
რა იცოდა, რომ ცხოვრების გზაზე,
სიძნელეებს გაქცეოდა როგორ,
რომ ცხოვრება გამოცანა არის,
რა იცოდა იმ პატარა გოგომ!....
რომ დიდ აღმართს თავდაღმართი მოსდევს,
რომ სინათლე გვსურს გვირაბის ბოლოს,
რომ სიყვარულსსიძულვილი ანგრევს,
არ იცოდა, არ იცოდა გოგომ....
არ იცოდა მთავარი და ერთი,
რომ ბოროტი არ მიუშვას ახლოს,
აბატონოს სიკეთე და ღმერთი,
რომელიც რომ ყველას გულში სახლობს!!!

პ,ს
ჭაღარები გამერია თმაში,
და უზომოდ მენატრება ახლა,
ის პატარა, უდარდელი გოგო,
რომელიც რომ ბავშვობაში დამრჩა

***

სახე, ღიმილით ნაფენი,
სხვათა და კიდევ სხვათა,
დილით მზის ამობრწყინება
გადაძახილი მთათა.
ბებოს ფუსფუსი ეზოში
ამოწეული კალთა,
ზეცას ასული ყიჟინი
განებივრებულ ბალღთა.
სიყვარულით და სიკეთით
ამოვსებული გული
საძმოდ გაწვდილი მარჯვენი
დამარცხებული შური.
არ დავიწყება მოყვარის,
გული ბავშვურად სუფთა,
ბევრი "ნანინა" აკვანთან
ბევრი სალხინო სუფრა!
ცად ცისარტყელას ღიმილი
დილით მბრწყინავი ცვარი,
ბარში ვაზი და ხეხილი
მთაში ძროხა და ცხვარი,....
ღმერთო, მოგვეცი სიკეთე
და სიყვარული ბევრი,
რომ თვალზე მუდამ გვდიოდეს
სულ სიხარულის ცრემლი.
ვკოცნიდეთ მამის ნაკვალევს
დრო რომ ვერაფრით წაშლის,
არ ვარდებოდეს ძმათ შორის
განხეთქილების ვაშლი.!
რწმენა, იმედი მოგვმადლე,
გვიმრავლე გოგო_ბიჭი,
მოგვეც სიმართლის უნარი
და სიყვარულის ნიჭი!!!.

მზია ელიაძე

გილოცავთ დაბადების დღეს 5 მაისი

გულნაზი ხარაიშვილი
(აკროსტიხი)

გ ვირისტ-გვირისტ გვირილები გუნდ-გუნდ, გროვა-გროვებად
გულნაზს-გულიანს, გულოვანს, გულღიას, გმირს, გმირდედას
უ კრეფია უამრავი, ურიცხვ-უხვი, ულევი;
უბნევია უსასრულოდ, უშურველად, უკლებლივ...
ლ ილოჭრილოიან ლელოს ლილიფარა, ლამაზი
ლამბავს, ლამბავს ლურჯთვალება ლეშხნადენი* ლალებით...
ნ ანინანატრ, ნეტარ ნამით ნამავს ნაგრამს, ნელ-ნელა...
„ნანინანა“ნიშანია, ნიშა ნეტარ ნაგრამთა!..
ა ღმაფრენა, აღზევება, ამაღლება, აღვსება
აი, ავტორთ აზროვნება ანგელოზთთან აღმასვლა!..
ზ იარება ზესამყაროს, ზეაღსვლა ზედაზენთან
ზვიად* ზარობს* ზმა* ზმანებით ზვავნაფიქრ ზესამყაროსთან!..
ი მზეგულა, ისულგულა იალ-ციალ იებთან*
იამბიკოც* ირითმება; იწონება* იდუმალ...
ხ იზანს, ხვავრიელი ხელით, ხვინჭ-ხვინჭ* ხეირიანად
ხერხიანად ხერხავს, ხერხავს ხედ ხდის, ხელოვანქმნილად!..
ა სე ასლი ადგილდედის,* ასე ასხივოსნება?
არნახული ამაგია აუწონავ ალმასად!..
რ ითმის რაკრაკ, რწევა-რწევა, როკვა-როკვა რამპასთან*
რითმის რკალ-რკალ, რგოლ-რგოლ რბოლვა რჩეულთ რჯული, რწმენაა!..
ა ლიონის აცისკრება, ანგელოზთ ამღერება,
ამაღლება, აღმერთება ალავერდს, ანჩისხატსა!..
ი რიჟრაჟა, იყალთოდან იადონმა იალა,*
იავარქმნილ იბერიას იმედიან იამა!..
შ ვილნი, შვილნი შეხიზნულნი შნოიან, შარმიანთან
შარავანდედად, შარბათად შრომა შნომადლიანთან!..
ვ არსკვლავდედა-ვარჯმდიდარი, ვენახი-ვაზმზიანი
ვარძიაა, ვარიანი ვენახ-ზვარმადლიანით!..
ი მზეგრძელე, იდღეგრძელე, იბედნიერ-იხარე
იფერსურნელე-იმრავლე იბერ-ივერიონით!..
ლ ექსად ლესავს, ლექსად ლამბავს ლექსთმოყვარე ლერწამში*
ლივლივ-ლაღობს ლაგამუტყვი* ლილიფარად ლარნაკში!..
ი ისხელა იბერიამ, იისსურნელიანმა
ილხინოს, იხაროს, იყოს იმედ-ომახიანად!..

---

*ლეშხნადენი-აქ; ფოთლებიდან ჩამონადენი წვეთები
* ზვიადი-აქ;მედიდური, ამაყი
*ზარობს-აქ;ჯავრობს
*ზმა-აქ;ორი ისეთი მოსაზღვრე სიტყვა, რომელთა შეერთებით გამოდის ახალი სიტყვა
*იებთან-აქ; პოეტებთან
*იამბიკო-(ბერძნული)ურითმო ლექსი(თორმეტმარცვლიანი) გვხვდება ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში
*იწონა-აქ;მოიწონა
*ხვინჭი-აქ;წვრილი ქვა, კენჭები
*ადგილდედა-აქ;ავტორი, ქ-ი გულნაზი
*რამპა-აქ;სცენის წინა ნაწილი, ავანსცენა
*იალა-აქ;ფრენა
*იამა-აქ;ისიამოვნა
*ლერწამი-აქ;ახალი თაობა, მომავალი
*ლაგამუტყვი-აქ;ზომიერი

თეა ბარბაქაძე

*

ქსოვდი სამშობლოს წმინდა ნინოს დალალ-ლალებით,
თხემიდან ჩქეფდნენ გიშრისფერი ვაზის ლალები,
ზვარში ანცობდნენ მზეს მომწყდარი ათინათები,
ხარდნებს ეკვროდნენ აშოლტილი ვაზის მალები
    და გზა, ქრისტეს გზა, ჯვაროსანთა ნაკვალ-ნაგვემი,
    გრადაცია, თუ უფრო სწორად მეტამორფოზა,
    ოსანა მას, ვინც ეკლიან გზის არის გამვლელი,
    ვაზის ცრემლიდან ასხლეტილი ღმერთში მყოფობა...

*

უკვდავებიდან ნუ შემქმნი მოკვდავს,
რომ შენი ჯვარი შიშის ზარს მგვრიდეს,
წუხელაც ისე გიჟივით ქროდა,
თითქოს ჯვარცმიდან წაგლიჯა ქრისტე...

* * *

სიქსტეს კაპელა, ლიტურღია ხმათა ხავერდის
და ყველაფერი რაც კი გიყვარს, რაზეც აბოდებ,
არამეულად დაწერილი ყველა სონეტი,
გენიოსებიც იჩოქებენ მაღალ ნოტაზე...
    რთულია ყველა აქსიომა, ყველა ტოლობა,
    უფრო რთულია შენი მსგავსის გწამდეს ღმერთამდე,
    გუმბათს ჩამომწყდარ ფერსაც სურდა ისე ეცოცხლა,
    როგორც ცოცხლობენ იდეები აღმოჩენამდე...
სიქსტეს კაპელა, ხავერდები ცათა აღაპის,
ირეკლავს ნოტებს, ცად ატყორცნილ ლოცვის სტიქარებს,
მიფორიაქებ სულსაც ისევ ბრმასა და საპყარს
და მწვერვალიდან ვეტოლები მეტრს და იარდებს...
    ყველაზე მცირე მაშინა ხარ, როცა ვერცხლებით
    იოხებ გულს და ფიქრობ ღმერთზე ალბათ დიდიც ხარ,
    პლაგიატი ხარ, ეს სიტყვებიც შენს ჩრდილს მოპარე
    და ამისათვის არავის არ გაუკიცხიხარ...
ალბათ ღმერთამდეც ერთი გზა გვაქვს, ერთი ასპექტი,
მიქელანჯელო, ბოტიჩელი, სიქსტეს კაპელა
და ყველაფერი რაც კი გიყვარს, რაზეც ბოდავდი,
სისხლის და მელნის გრადაცია, გარდა'ცვალება.

*

ეს გალაქტიკა – ჩემს საფრენად, ღმერთთან სავალი,
რომ გაგაცილო მეცხრე ცას და ვერ გცნონ ქარებმა...
გადაგმალავდი, ციდან ცაში გადაგმალავდი,
ვით ქრისტეს ჯვარი გადამალეს ქრისტეს მხედრებმა...
    და რწმენა ჩემი – საძირკველის შენის დუღაბი,
    გონში ნაშობი სასწაული, როგორც უფალი,
    შენს ტანზე ლურსმულ სასწაულზე უფრო მდუღარი
    და შენს ხარდნებზე ჩამოქნილი ჩემი ურწყავი...

*

როლში შევედი – ჯვარზე ვარ და წყლულებს ვიშუშებ,
მალე გარდმომხსნი, მანუგეშებ შენი ცრემლებით,
ლაზარესავით აღმადგინე თუ ვიმსახურებ,
ოღონდ მე არა, აღადგინე ჩემი ლექსები...
თუ არ დამცალდა – აღვასრულო რაც მაქვს მისია,
იღაღადებენ ჩემს მაგივრად ჩემი ლექსები,
ლექსებში, სადაც ჩემი სულის კენოზისია,
ვისთვის ჯვარცმაა, ვისთვის მრწამსი, ვისთვის შედევრი...
ათი მცნება მდის წყლულებიდან, სისხლი გამიშრა,
ამოსკდებიან იად ისევ ჩემი ლექსები,
ლაზარესავით აღმადგინე, არსად გამიშვა,
ოღონდ მე არა, აღადგინე ჩემი ლექსები...

შენამდეც მოველ...

ვით კორდილიას – ნეტავ ვისი წყევლა მომყვება,
სამ ასულთაგან რატომ მერგო ბედი წყეული,
ალბათ მცდიდი და შენი ჩრდილიც მიტომ მომსდევდა,
თუ მართლა გსურდა დაგეგლიჯა ჩემი სხეული...
ალბათ ზეცამდე ავიდოდა ჩემი კივილი
და განკითხვის ჟამს რა იქნება, მეტყოდი განა?
მინდა გჯეროდეს, როცა ძვლამდე ატანს ტკივილი,
გშვენის ღიმილი, გშველის ლოცვა და ქრისტეს ბაძავ...
იყავი მისებრ თავმდაბალი...
სცენიდან გასულს – ყოველთვის როლში ნუ დამტოვებ,
ვერ ვიტან თამაშს...
ზოგს მისებურად მოურგია ცხოვრების როლი,
ზოგიც მასხარას ემსგავსება და ზოგიც ჯალათს.
სხვის მწვერვალებზე ვერ შევდგები, ჩემი სიმდაბლე,
მარადისობის მწვერვალებზე დაანთებს ლამპარს
და რაც დრო გადის საკუთარ თავს უფრო იმდაბლებ,
შთამომავლობას რომ დაურჩე ხატად და მსგავსად.
გახსნილდებიან ნამარხულებ ატმის კვირტები,
ლიტურღიაზე მოყვებიან ღმერთივით ღაღადს,
მრავალ გოლგოთა გამოვლილი ისევ აღვდგები,
მეც შენებურად ვაპატიებ იუდას ღალატს.
აქ ავანსცენა არ არსებობს, სცენიდან გმობენ: –
ქრისტეს, იუდას, პილატეს და საკუთარ თავსაც...
მერე სიკვდილის სარეცელზე უწესებ დოგმებს
საკუთარ თავს და ეგუები ტანიდან გასვლას...
მრავალ გოლგოთა გამოვლილი,
მიწაზე მყოფელს – მიმიღებ ღმერთო?
მეც შენს ნაზელ თიხასა ვგავარ...
შენს წიაღიდან აღმოვცენდი, შენამდეც მოველ
და ქრისტეს ფეხქვეშ გასაგები პატარა ბზა ვარ.

აზა შანავა

* * *

არაფერი, არაფერი,
ყურში კივის
სიტყვა მწარედ.
დღე მიქრის და
უკან რჩება,
მოგონება ცარიელი.
სიყვარულის აღმაფრენა,
შერჩენია ძველ ბარათებს.
შემოდგომის ფოთლებივით,
დაკარგვიათ სიელვარე.
თვალზე ცრემლი
შემშრობია,
აღარც მიღირს მეტი გლოვა.
შორეული აჩრდილები
ხელს მიქნევენ
და მიწვევენ „საკოცნელად“.
არაფერი..
არაფერი...
წუთისოფელს ვინ აჯობა,
-– მკითხე ერთი?!...
თუკი დღეს ერთს აზეიმებს,
ხვალ იქნება სხვისი ჯერი.

* * *

გაზაფხულია ახლა იქ,
ჩემთან სოფელში.
სახლის ეზოში ყვავილობენ
ჩვენი ვარდები.
სული ამტკივდა მონატრებით,
მიპყრობს დარდები.
მე იქ არ ვარ,
სადაც მსურს ვიყო,
მაგრამ გონება მაინც
იქ ქრის და იქ არის.
ვხედავ მინდორში
როგორ ღუის, დედის დარგული,
ატმისფერა ხე არღავანის.
თავს იწონებენ მაღალ კორდზე
იასამნები,
მამამ რომ დარგო და
დაარქვა ჩემი სახელი.
მაგნოლიებს დაბერვიათ
უკვე კვირტები,
რომ გამახარონ და მაზეიმონ
დღე დაბადების...
ახლა ჰორიზონტს ვაყოლებ მზერას,
თვალმოჭუტული...
და აივნიდან ვუყურებ ხედებს,
დიდებული კავკასიონის.
ყოველი დილა იწყებოდა
მასთან შეხვედრით
და მავსებდა ეს სამყარო,
პატარა გოგოს,
სიხარულით და იმედებით.
თავს მახვევია მოგონებები,
ულამაზესი, სულზე უტკბესი...
სურნელს ვისრუტავ
წარმოსახვაში,
მშობლიური, ოდაბადესი...
ეხ, ნეტავ როდის მოვა,
დღე სასურველი და
სანატრელი,
რომ მოვეფერო ამ ყველაფერს
და დავიტკბო,
ეს უბრალო და მარტივი,
გულის წადილი.

* * *

შროშანი და ყაყაჩო,
მოსდებია ველ-– მინდვრებს.
გაზაფხული ფეხს იკრეფს...
ჩემი გულის ძახილი:
შენ სადა ხარ ძვირფასო?
გალაქტიკებს აკივლებს.
ყვავილების ზეიმი
მახარებს და მამშვიდებს.
ია ხევში მოსული,
ჩემს სულის ფერს იჩემებს.
ყოჩივარდა ამაყი,
გაჯიბრებას მიპირებს.
ახალ ამბებს უყვება,
ფურისულა კესანებს.
სუმბული და ზამბახი,
სურნელებას მაფრქვევენ,
სიყვარულში ერთმანეთს
ჯიბრობენ და ლაღობენ.
დღისით მზეზე ლაღობენ,
ღამე კი მთვარის შუქზე,
ლურჯ სიზმრებს ნახულობენ.
მე კი, სუნთქვაშეკრული,
დავდივარ და დაგეძებ...
ყურს მივუგდებ ნიავს და
შენგან პასუხს მოველი:
მითხარ, მამცნე იმქვეყნად,
რომ სიმშვიდე „გაცვია“,
თორემ სულის ტკივილმა,
ლამის ლოდად მაქცია.

* * *

მიწაზე სამოთხე,
თუ გსურდა გეხილა,
ეს იყო რიწა.
ლამაზი ხედები,
შიგ ჩაკარგული
ბეჭდის თვალივით,
ფირუზი ტბითა.
რომ მაგონდება,
ცრემლი მადგება,
მამულს მოჭრილო,
შენ ედემის ბაღო.
გუმისთის მთებო,
გაგრა, სოხუმო,
მღვიმე ათონის...
ვინ ჩამოთვალოს
ის სილამაზე,
რაც რომ დავკარგეთ
და რომ გამხდარა,
სხვის სათარეშოდ
დღეს საბატონოდ,
ღვთით ბოძებული:
ზღვა, წყალი და მიწა.
თუ დავიბრუნებთ
ნეტავ,ოდესმე?!
სულ მეფიქრება
და გული მტკივა.
ეხ, აფხაზეთო,
შენ საქართველოს
მკერდს მოგლეჯილო,
ტკივილო ჩვენო,
როდის ვიქნებით,
ჩვენ ისევ ერთად?!

* * *

ბევრჯერ ავტირდები,
ამინდს დავაბრალებ,
ვიტყვი სუსხია და
ყინვამ ამატირა.
როცა დაინახავ
ცრემლებს ჩემს თვალებზე:
გთხოვ !-– არ მკითხო,
ცრემლია თუ მართლაც წვიმა.
დრო ყველაფერს
უჩუმრად წარიტაცებს,
კარგიც და ცუდიც,
წარსულში ფერმკრთალდება...
სიცოცხლე გრძელდება
თავისი წესებით,
მაჟორ — მინორები,
სულში ჟღერს ჰანგებად.
მაგრამ გული ხომ
მკერდში გვიძგერს
და იმ სიყვარულს
არ გვავიწყებს.
გინდა თუ არ გინდა,
მისთვის სულერთია,
არ გვასვენებს და
სულ ფიქრებს გვისევს.
მხოლოდ...მხოლოდ,
უწყის დღე და ღამემ,
რა ტკივილია მარტოობა.
ცრემლებს გიგზავნი,
იმ დიდი გრძნობისთვის,
რაც აქ დამიტოვე სიყვარულად!

* * *

ვარ უძილო ღამის ერთი მხევალი,
მთვარე ჩემი თანამგზავრი ბედისა.
სიყვარულით დავალთ ღამე უჩუმრად,
ჩვენ გულები სევდითა გვაქვს ავსილი.
შენ ადამის ურჩი ცოლი იყავი,
აუჯანყდი, ვერ იგუე ბორკილი.
სიურჩისთვის ღმერთმა მკაცრად დაგსაჯა,
მიგიხურა მან სამოთხის კარები.
არც დედობა არ გარგუნა შვილების,
გაგწირა და გარიყული დაგტოვა.
იმის შემდეგ ლილიტი ხარ გრძნეული,
ხან ბობოქრობ, ხანაც ძლიერ ტირიხარ.
ხან ივსები, ხანაც ცხრები,
მაგრამ მაინც ვერ იოკებ, ვერ პოულობ,
იმ ნატკენი სულის რამე სანაცვლოს.
და არვიცი, ჩვენ ორიდან რომელია ძლიერი?
შენ ლილიტი ამბოხების სათავე,
თუ მე ქალი თვინიერი, მორჩილი.

ნინო მოსაშვილი

თეთრი ვარდები

ნეტავ იცოდე, როგორ ამტკივდი,
ვით უმზეობას რტონი აპრილის,
რა ბედისწერად გადაიკვეთა
შენი ოცნება, ჩემი სახმილი.
ოჰ, როგორ მტანჯავს ეს მდუმარება,
სულს მიხუთავს და მასევდიანებს,
ასე თავნებას, ასე ჟინიანს
ო, რა უღმერთოდ ამეკვიატე...
სულში ოცნებად შემომისახლდი,
როგორც უდაბნოს ტრიალს, უკაცურს,
ვერსად წავაწყდი გრძნობას ჩემეულს
ასე პლატონურს, ასე გულწრფელს,
ასეთ წმინდას და ასეთ უცნაურს!
იყო საღამო, ვენური სევდა,
სიზმრად ნანახი და ნაფერები,
ტორტი „ზახერი“, ყავა „მელანჟი“
„შნაპსი“, ამბორი, თეთრი ვარდები...
ქარია, ქარი, გრძნობათა ქარი,
„თეთრ ღამეების“ ლეწავს სიყალბეს,
თავს ვერ ვერევი, თავს ვერ ვერევი,
ეს რა შეშლამდე ამეკვიატე!!!...

* * *

თუ მონობაში გალიე,
შენი „მისჯილი“ სიცოცხლე,
ზოგჯერ ერთი დღის სჯობია,
სამასი წელი სიცოცხლეს,
არწივად ყოფნა ირჩიე,
ყვავების „ყვავურ“ სიცოცხლეს!!!
რას ფიქრობ, ის თქვი, აკეთე,
ბაგეს თუ რამე აღმოგხდა,
მდედრი ვარ, არა მჩვევია,
მამრო, ნაფურთხის ალოკვა!!!

მოგონება

როცა მთიები გაკრთება ცაზე,
აფეთქდებიან წითლად კორდები,
მე მოგიწვები ფრთხილად მძინარეს,
შუბლზე სათუთად გეამბორები!
მინდვრად ყაყაჩო ყელს მოიღერებს,
მთებს დაეშვება სხივთა ფარდები,
ყაყაჩოს ველზე მოგძებნი ისევ,
ჩვეულ სურვილით, ჩვეულ ფეთებით,
გარდაიცვლება ჩემი სამყარო,
ნასათუთები და ნაფერები,
ამგლისფერდება სასოწარკვეთა
და უსაშველოდ მომენატრები...
სისხლის ზღვასავით იელვებს ველი,
კვლავ აცრემლდება ია-იებიც,
შორეთს დაგლანდავ ჩემგან მიმავალს
ატირებული გაგეკიდები.

მარტოობა

მაშინ რაღაცა ბჭობა ჰქონდათ ღმერთებს ზეცაში,
თუ კამათობდნენ სიყვარულზე, ალბათ, ვინ იცის?
მარადიული მარტოობა რომ მოესაჯათ?
იქნებ იმიტომ დაკანონდა ქვეყნად სინდისი?...

დევი დედაბრიშვილი
21 მარ ·

ცოდვიბზარებ რო ჩამამერღვევა,
სიკვდილ მამივა,- მამინახულებს!
გავაღებ შენითვალებიფანჯრებ
და წამწამებით გავიჯახუნებ!!!

სიკვდილ მაგივა?!

სიკვდილ მაგივა, დავხვდები,
გორდა ჩამოვხსნა ფხიანი,
ბეგთარ ჩავიცვა, რაი ვქნა,
დავხვდე ხელფარტენიანი?!
დავეღირები შეჭმასა,
მაჟარი მიწას ხირია,
„გავუნაძოძებ" კენჩხასა,
სიკვდილ არარად მინდია!
იჭექებს, ექო შამბღავლებს,
თვალებით შევჭამ „რჯულძაღლსა“,
ჩახმახს დავხედავ ჟინითა,
და შევუბერავ ლულასა!
„თვალების ფანჯრებ გააღებ“,
წამწამებ ჯარად დაგხვდების,
თვალებ რომ შამოგაფეთებ,
დაგავიწყდება გამჩენი !!!

გაზაფხული

შენ გაზაფხულთან მოხვედი ერთად,
ატმის ყვავილებს ეკიდა ცეცხლი,
ის აღსარება ჩურჩულით თქმული
ფიციც იყო და იყო ვერცხლიც.
    მაგრამ მალევე გახუნდა ყველა,
    მთვარე მდუმარედ ცაზე ეკიდა,
    არ იბრიალა ველზე ყაყაჩომ
    არც ატმებს ცეცხლი არ წაეკიდათ!..
აკლდამად იქცა ირგვლივ ყოველი,
ჩაინაცრა და ფერი იცვალა,
ყმუოდა აწმყო თავზარდამცემი,
რადგან სამყრო გარდამეცვალა!...
    ეს უაზრობა ჩაკირა სულში,
    რეკდა ზარები, დუმდა სამრეკლო,
    დაგიმორჩილებ,-– კიოდა გლოვა,
    –-არ დაგნებდები, ვერაგო, არა,
    უნდა ახლავე ამოგახველო!!!
გადაშენდები და სიახლოვეს
ვეღარ გიხილავ, ჩემთვის თენდება,
ზეცად მთიები კიაფობს შორით,
და მოაბიჯებს ბედნიერება!!!
    შენ გაზაფხულად დამიბრუნდები,
    ლურჯი აპრილი კვლავ აფეთქდება,
    ჰო, იბრიალებს ველზე ყაყაჩოც
    ატმებსაც ცეცხლი წაეკიდებათ!!!
.....შენ დაბრუნდები,
ჰო, დაბრუნდები...

სიყვარული

სიყვარული ზეცის ტატნობს აპობს,
დიდთოვლობა ჩამოფიფქა ნუშის,
რა ზღაპრულად, რა საოცრად წვიმდა,
იები რომ შემაგებე გუშინ.
    ავილეწე, მორცხვად ამოგხედე,
    ნაზად ვყნოსდი თავბრუდამხვევ კონას,
    გაგენდობი, იცი, ჩემო, იას
    სიყვარულის სურნელება ჰქონდა...
მთვარე ჩუმად გვიმზეროდა ციდან,
მკრთალი შუქი მოგვფენოდა ღამის,
აივანზე ნაზად იღვრებოდა,
ჩვენი სუნთქვა და,,შტრაუსის" ვალსი...

რთველი

ვუძღვნი მამას.

ისე მომინდა აი, ის რთველი,
ქარვა ბრწყინავდა გოდრის პირიდან,
მეზვრის ალალი შეხმიანება,
ბავშვობიდანვე ძვირად მიღირდა.
    ჩემი ვაქირის ზვარიც და რთველიც,
    ლაღი სიმღერა და ნეტარება,
    შემომეძარცვა ჩემი ბავშვობა,
    ჩუმად დავეძებ და მენატრება...
ვაზს რომ შვილივით მოეფერება
ქარს და წვიმაში, სიცხეში, მზეზე,
იმ ორთვალასთან ახლოს ჩამუხლულ,
ფოტოზე მოხუც მამაჩემს ვეხებ...

შენ

როცა ვერ გხედავ,
                    აისს იპყრობს შავი ღრუბელი,
ამობრწყინდება და დილითვე შავად ბინდდება,
ნუ შემიბრალებ, არ გიყვარდე, ნუ შემიბრალებ,
სიბრალული არაფერში არა მჭირდება!

არა მჭირდება, ბევრი რამე არა მჭირდეა,
ფული, სტატუსი,
                    ყველაფერი – არაფერია,
შენ მჭირდები, შეგისუნთქო უკიდეგანოდ,
შენს თავს ვფიცავ,

                    არაფერი არ ამერია!...

ნინო უძილაური

ბაღში

ბაღში აყვავილდა ალუბლები,
ეზოში ჰყვავის ვაშლი,
ბაღის ბოლოში კი თეთრი ბლები,
ყვავილებს ჯერაც არ შლის.
სხივი ატმისფერი ზეცის კიდედ,
ფერებს უწნავს აპრილს თმაში,
მოდი, მომეხვიე ერთხელ კიდევ,
ბზარი შემერია ხმაში.
ბაღში აფეთქებულ ალუბლებთან,
კვირტებს ალუჩაც ხომ გაშლის.

ენავ, მშობელო

შენა ხარ ჩემი სამყარო,
ჩემი საუნჯე, ფესვები,
უფალო აღარ გამყარო,
ენას, საუფლოს ღმერთების.

გადმოაყარე აპრილო,
სამშობლოს ზეცის კვირტები,
გულო ქართულო, ნამდვილო,
ენავ მშობელო, მჭირდები!

ფიქრი

ფიქრებაშლილმა აპრილის ღამემ,
კრძალვის ჩამოხსნა მზეს ერთი სხივი
და ვარსკვლავთ ცაზე მიჯნურმა მთვარემ,
ყელზე შეაბა ალიონს მძივი.

სიყვარულს უხსნის დღეს ღამე ამ წამს,
უსიყვარულოდ სიცოცხლე არ მწამს...
არავინ იცის რას ფიქრობს ქალი,
გარდასულ დღეთა როცა ქრის ქარი.

ბოლო წვეთი

ჯამის ასავსებად წვეთი კმარა,
მერე დასაცლელად ისევ წვეთი,
ცოდვა-მადლის მძებნელს მე კი არა,
პასუხს აგებინებს თავად ღმერთი,

ბოლო წვეთი?.. ცაში ფრენა მინდა,
ვნატრობ...იმედია წამიერი,
მამა, ძე ღმერთი და სული წმინდა,
მერე?...ჩვენი მრავალჟამიერი.

რამდენი

რამდენი ზამთარი,
რამდენი ზაფხული,
რამდენი სითბო და სიცივე ვიფერე...
რამდენი ტკივილი,
რამდენი ტირილი,
რამდენი დაცინვა ვითმინე, ვიგემე.
რამდენი ჭორები,
რამდენი ტყუილი,
რამდენი ბრალდება უბრალოდ ვისმინე,
მწარედ ვიგლოვე, მწარედ ვიდარდე,
ცხელი ცრემლები ჩუმადაც ვიწმინდე...
ამ დარდით, ვაებით რომ ვეღარ ვიფრინე,
დავღონდი,
დავშრი და ფიქრებად ვიდინე...
სულ ცოტა ვიმღერე,
სულ ცოტა ვიცინე,
ცას მივწვდი ხელებით,
ვიყვირე, ვიგიჟე...
ახლა რას ვაპირებ?
თავიდან ვიცოცხლებ,
თავიდან ვიცხოვრებ,
თავიდან ვიცინებ,
ღიმილში ჩავკარგავ უსიტყვო სინანულს,
დარჩენილ წუთებსაც მივანდობ განგებას,
არაფრად ჩავაგდებ უტიფართ სიბრიყვეს,
თავიდან ჩვილივით გავყვები ღვთის ნებას.

არჩევანსა და არადანს

გადავიფურცლე წარსულად,
ზღაპრად სათქმელად... არადა,
ვერ გავუძელი ცხოვრების,
შემოჩეჩებულ არადანს.

მეზღაპრე რჩება სცენაზე,
არჩევანს გასდის თან ვადა,
ესეც წარსულის ხვედრია,
დრო გვიპასუხებს თავადა.

ბედმა ამ წუთისოფელში,
დამწერა ლამაზ არაკად,
დრომ შემიწირა და დავრჩი,
დროში შეწირულ ზვარაკად.

მთავრდება ის რაც...

აჰა, მილულა ღამემ თვალები,
სცენა იხსნება სიზმრების ფერზე,
ცამ გადათვალა ვარსკვლავთ ხალები
და მთვარის სხივი მოირგო ყელზე.

გამეფდა ფიქრთა სიჩუმის ნოტა,
მაყურებელი პარტერში რჩება,
დრო გაილია, დარჩა სულ ცოტა,
მთავრდება ის რაც ნელ-ნელა ქრება.

მე უფალთან

მამა, ძე და სული წმინდა,
მე უფალთან ყოფნა მინდა,
ლოცვის ძალა, წრფელი გული,
წყალობა და სიყვარული.
სათნოება და მშვიდობა,
სულმა ზეცა მოინდომა,
ამ ტაძარში, ამ მიწაზე,
სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე,
სიყვარულის გამარჯვება,
სიძულვილის დამარცხება,
სიკეთე და სიალალე,
ცაში სიტყვები გავლალე,
მე უფალთან ყოფნა მინდა...
მამა, ძე და სული წმინდა.

დათას კვიცი

მოჭიხვინდი ჩემო კვიცო,
გსურს შემისვა ზურგზე?
გაგიმეტო? აბა როგორ...
დაკვირვებით უმზერს.

შენც ჩემსავით პატარა ხარ,
სუსტი, ძლიერ ნორჩი,
აბა როგორ გაგაჭენო,
სიამაყეს მორჩი.

გაიზრდები, გამაგრდები,
დაივარცხნი ფაფარს.
მერე მეც წამოგეწევი,
ამოგიდებ ლაგამს.

გაგაჭენებ და ჭიხვინით,
მომატარებ მთა-ბარს...
დათა ასე ეფერება,
სათამაშოს ახალს.



ნინა გიორგაძე-გაჩეჩილაძე

ნისლი

მთებმა მწუხრისას ნისლი დაყარა,
თეთრი, ქათქათა ფარდის სადარი...
ამ გაზაფხულზე– ცისფერ თვალებში
იდგა სიცივე, იდგა ზამთარი.

გული ტიალი არ თმობს სიცოცხლეს,
წუთისოფელის ტკბილ-მწარე სევდას,
...კარი იღება...ფერთა ლაციცში-
პირმომღიმარი შემოდის დედა.

დამჭკნარ თითებით მოეფერება,
ჩამოუჯდება საწოლის კიდეს,
სითბოს მოახვევს ენით აღუწერს,
– ეჰ, შენი გული შვილო რას იტევს.

ღიმილი კრთება სითბოდ, სინაზედ,
სიმშვიდე სხეულს ერთობ მსუბუქს ხდის,
მარტოკაცს დედის ნანა მიარწევს,
ლაბირინთს კვეთავს, წყვდიადის ჯაჭვს ჭრის.

მხრებზე ციმციმებს ნამის წვეთები,
ნისლში ეხვევა და იკარგება,
ამ წუთისოფელს ერთი თუ ტოვებს,
სადღაც სიცოცხლეც დაიბადება.

მთებმა მწუხრისას ნისლი დაყარა,
ჩაიფერფლება სულში აპრილი,
ყმაწვილურ ჟინით მიდის ბილიკზე
კაცი დედასთან ხელ-კავ გაყრილი.

თუ ნამდვილად გწამს

რაც შენ არ გსურს დაგემართოს...არ უსურვო სხვას,
მოერიდე გაფიქრებას, მოერიდე თქმას...
ფრთებს შეისხამ, შეიძლებ და გადაუფრენ მთას,
სასთუმალზე უბოროტოდ, მშვიდად დადებ თავს.
მოიშორებ მხრებზე ტვირთად ჩამოწოლილ ზვავს...
მზის ნათელი გაგინათებს ბინდგადაკრულ გზას,
სულს სიამე მოეგვრება თუ ნამდვილად გწამს,
თუ მოყვასის სიყვარულის მწველი ცეცხლი გწვავს.

წუთისოფელო

ველად გაჭრილი ველურ ცხენივით
ბრდღვინავ, ფიცხელობ წუთისოფელო...
ბრძენო გრძნეულო, ოქროს ჩხირებით
მოვარაყებულ კაბის მქსოველო.

მწარევ...თან– ტკბილო,სიამით ავსებ
კაცის გულს და სულს, ეფერვი,ატკბობ,
რარიგ არ უნდა აწამო, გვემო...
მზის სხივებს ახვევ, ალერსით ათბობ.

ააყვავილებ, გაშლი სიცოცხლეს!...
თოვლის ფიფქებით წამში დააზრობ,
აედევნები ურჩ მდევარივით...
მთვარის შუქ-ჩრდილში უტყვად დარაჯობ.

წაიღებ ქარში ხმელ ფოთოლივით,
ააფარფატებ ნისლში წამიერ...
წუთისოფელო– მწარევ თან ტკბილო,
წამის წამობის მრავალჟამიერ!...

ლექსებს ვეკუთვნი

ლექსებს ვეკუთვნი...
ლექსი არის ჩემი სამყარო
და არცერთ ძალას შეუძლია-
ლექსთან გამყაროს!
დავალ ამ ქვეყნად
პოეზიის ტრფიალით მთვრალი,
სავალ ბილიკზე მსურს დავტოვო
ნათელი კვალი.
სიყვარულს გჩუქნით...
სიყვარულის გულის ჭრილობით,
ლექსებს ვეკუთვნი!...
ლექსში ვსახლობ!...
ლექსში მიპოვით!

მარტი

უჩვეულო სითბო
სულს ეხვევა, თანგავს,
გიჟ მარტს– გიჟი გრძნობა,
გიჟი გულით დააქვს.

დღეს– მთას ნისლს დააყრის,
შემოაფენს ნამქერს,
ხვალ– მზის სხივებს აშლის...
საგალობელს, სამღერს.

მწვანე კვირტის ფეთქვას,
შმაგ სიცოცხლის ალმურს,
სიყვარულის არ თქმას
არ პატიობს ამურს.

ნემსის ყუნწში ძვრება,
ეკვრის კედელ ყურეს,
მოგინდება ცეკვა...
წვიმდეს...მის შემყურეს.

ოცნებების დევნის
სულ არა აქვს დარდი...
დაქრის, სურნელს აფრქვევს,
გიჟი...გიჟი მარტი.

დედა

ლოცვით გადადგმული მთები,
ცაზე ვარსკვლავების წყვეტა...
ხანჯლით გაკაფული ტევრი,
ცრემლში ჩაძირული სევდა.

ასგზის გატეხილი ღამე,
შვილის სასთუმალთან კრთომა...
,,ბავშვს არ დაუშავდეს რამე!..."
დარდით დაცემა და კვდომა.

ტკბილად მომღიმარი პირმშო,
ყელზე მოხვეული ხელით,
ათბობს უჩვეულო სითბო...
დედა რომ ატარებს მკერდით.

კავშირს, უხილავად გაბმულს,
დიდი სიყვარული ახლავს,
შვილის ნავსაყუდელს, სადგურს,
ქვეყნად შესადარი არ აქვს.

დედა -– საძირკველი სახლის,
მარად ჩაუქრობი კერა,
ძალა -– დღეისა და ხვალის,
სულის საამური მღერა.

ხარ სიყვარული

ხარ სიყვარული,
ხარ სიცოცხლე,
ხარ ცისარტყელა-
გაზაფხული რომ მომიყვანა
ცაზე ნათებით,
წვიმების შემდეგ...

მზესთან ერთად რომ გამიღიმა
შვიდფრად მბზინავი
და ბრწყინვალე
გამონათებით.

ჩემი გრძნობების,
ჩემი ფიქრის მცველი ბინა ხარ,
მე შენს სიყვარულს
გულის გულში
ჩაკრულს ვინახავ,
ასე სათუთი, საფერები,
იცი ვინა ხარ?...

ლექსები გეტყვის
წლების შემდეგ...
როგორ მიყვარხარ!

სევდისფერი

სევდისფერი მომეჩვია ფერი,
ნაცრისფერად შემოსილა ზეცა,
მხრებზე სველი მომახვია ჩქერი,
სიმსუბუქე ნატვრად გადამექცა.
  მოტყუება ვერ შევიძელ თვალის,
  არ გამიხმე ფეხზე თეთრო ვარდო,
  შენ სურნელი, სიამე ხარ ხვალის,
  განმეშორე ტკივილო და დარდო.
ცრემლის წვეთი, ცხელი ცრემლის წვეთი-
მარგალიტად დაკიდული თვალზე,
ღამის და დღის ხაზი გადამკვეთი
ვარდისფერად აფერადდა რკალზე.
  ჰორიზონტზე სხივთა კონა როკავს,
  ქარი ფანტავს ნისლის თეთრ-თეთრ ქულებს,
  სევდისფერი მომეჩვია ფერი,
  მზეო სითბო მომაფრქვიე გულზე.

ნინოვ წმინდაო

ნინოვ, წმინდაო--
ღვთისმოშიშო, წრფელო ქალწულო,
სიმართლის გზაზე წინამძღვარო,
ნაწნავჩაწნულო,
ხელთ ვაზის ჯვარით,
მტკიცე რწმენით, ფეხით შიშველით,
დათოვლილ მთებით
მოხვედი და გვითხარ-– გ ი შ ვ ე ლ ი თ!!!
შენ მოიყვანე მზე ქართველთა,
განაგდე ბინდი,
ტაძრის თაღებზე მიმოხატე
ღვთის რწმენა დიდი.
სინათლე მოგვეც და დაისი აალაჟვარდე,
სულში სიმღერა აამღერე დამტკბარი ქნარით,
სუყველა მცდარი და ბოროტი ჩვენგან განაგდე
და განაბრწყინე საქართველო შენეულ ნათლით.

თამრო ნიჟარაძე

იქ, სადაც მე დავიბადე

სადაც მე ფეხი ავიდგი,
სადაც მე დავიბადე,
იქ სხვანაირი ამიდით,
ვარდები გადავბარდნე.
მამლის მაგივრად არწივი,
ყივის აფხიზლებს უშგულს,
იქ არის გულის ნაწილი,
არ იკარებენ ორგულს.
ჯიხვთსაუფლოში გავზრდილვარ,
ამაყად რომ დგას უშბა,
სვანის ქალი ვარ ნამდვილად,
სანთელს ავანთებ გუმბათს.
შხარას, თეთნულდის სიწმინდეს,
რას შეედრება სხვა მხარე,
როდის იქნება მივიდე,
აქ, არაფერი მახარებს.
არა ვღალატობ ადათებს,
ჩემი მამულის წესებს,
არ ავდევ აქის დაფთაფებს,
ვკოცნი სამშობლოს ფესვებს.
უშგულის სადარაჯოზე,
დგანან უდრეკი კოშკები,
ან რა სიმდიდრე აჯობებს,
ან ოქრო, გულის ბროშკები.
საუკუნეებს ითვლიან,
სადაც მე ფეხი ავიდგი,
ის არის სულის ბიბლია,
ჩემი პირველი ნაბიჯი!

ეს ცხოვრება

ცხოვრება დარდია,
დღეს პირველი მარტია,
წლები გადიან,
გულს ტკივილი ატყვია.
გაზაფხულზე კვირტები სკდება,
გარდაცვალებას სიცოცხლე ანაცვლებს,
მიდიან და არავინ კვდება,
ჭორებს ქარები ავრცელებს.

დამცინიან

გული არავის ანდოვო დამცინიან
სიცოცხლის ფასი არ იციან და რა ქნან,
გავჩერდი და ვფიქრობ,
თუ ვინმეს გული დაჭირდა აქ ვარ.
თუ მიხარია, ტირიან,
და ვტირივარ დუმდებიან,
შეკრეს ერთმანეთთან პირი და...
ერთმანეთსზე ჭორაობას უნდებიან.

ამდენი ცოდვა

დღეს დედამიწა ვეღარსად იტევს,
ცოდვიანი დღეებს ტირის ბუნება,
ვეღარ მოუყრი თავს ალბათ სიტყვებს,
ვდუმ და არავინ მესაუბრება.
რა უნდა უთხრა ემიგრანტ დედას,
რომ ჩამოემხო თავზე სახლ-კარი,
ამას მე არა ქვეყანა ხედავს,
წინ შეეგება მას ნასახლარი.

რას ვინატრებდი?

ვინატრებდი დაბრუნებას,
ჩემს საყვარელ სახლში,
ტკბილ სიტყვას და ტკბილ ბუნებას,
საქართველოს ხალხში
ლუკმა პურის საშოვნელად,
არ წავიდე არსად,
ჩემი მინდვრის საპოვნელა,
იყოს ოქროს ფასად
ყოველ ღამე ვეხვევოდე,
შვილებს შვილიშვილებს,
ვაზის ლერწად ვეხვეოდე,
ჩემს ტკბილ მამიშვილებს!

ციმციმა თვსლები

შენი ციმციმა თვალები,
ვარსკვლავების ბები,
ჯერ ციცქნა აფართქალდები,
აღუ-აღუის ხმებით.
დედა გიმღერებს ნანინას,
მე კი აქიდან გლოცავ,
განა მე ბებო არ მინდა?
ჯერ ისევ მომიწევს მოცდა.
ბებოს სამყარო ბიჭი ხარ,
ჩემი ჟანგბადი ბებო,
წვიმაში გულის დარიხარ,
მინდა რომ მაარსებო.

* * *

გიყვარდეს არა იმიტომ რომ გჭირდება,
გიყვარდეს, იმიტომ რომ მისი სიცოცხლე
შენთვის ყველაზე ძვირფასია,
მე ბედნიერი ვარ!
ვერავინ და ვერაფერმა შეძლო
ჩემთვის სიძულვილი ესწავლებინა,
მე მხოლოდ სიყვარული შემიძლია!
ესეც ერთგვარი ბედნიერებაა....!!!

მიყვარხარ

ყველგან სიყვარულს თესავ,
გზას უკვლავ ყველას,
კვირტი გამოესხა ხესაც,
წიფელასა და თელას.
თქვენ სიკეთეს ვინ დაითვლის,
ან ვინ გადაიხდის,
ვითვლი და ვეღარ ვითვლი,
ამაგსაც ვერ გადვიხდი.
მინდა არა გყავდეს მტერი,
ხართ სიკეთის მაგალითი,
უფალმა გაჩუქოს წლები...
იმდენი რომ ვერ ვითვლი!

არ დავიღლები

არ დავყრი ფარხმალს
არ დავიღლები,
მონატრებას კი ვერ
ვუძლებ მხოლოდ,
წლებო კი მირბიხართ ღვინდებთ,
არ მიღალატოთ ბოლოს.
უფალს ვუყვები ბევრჯერ ყველაფერს,
როგორ ტირიან წლები,
ჯერ ისევ ვერ შევცვლი ვერაფერს,
უბრალოდ ვამბობ და ვყვები.
ღიმილით ვფარავ დიდ სევდას,
ხვალინდელ დღეებს ვუცდი,
ვამბობ და თანაც ვერ ვბედავ,
ცრემლებს ვმარხსვ და ვბუდნი.
ჭიკჭიკა მერცხლები მართობენ,
თითქოს და ნუგეშსაც მაძლევენ,
მცივა და ფრინავენ მათბობენ,
ვითბენ და ვეღარც გავძლებ.
ვიცი მელოდება ფესვები,
ვიცი მელოდება ხალხი,
აქ მშველის დროებით ლექსები,
გორდში კი ჩემი სახლი!

დამცინიან

გული არავის ანდოვო დამცინიან
სიცოცხლის ფასი არ იციან და რა ქნან,
გავჩერდი და ვფიქრობ,
თუ ვინმეს გული დაჭირდა აქ ვარ.

თუ მიხარია, ტირიან,
და ვტირივარ დუმდებიან,
შეკრეს ერთმანეთთან პირი და...
ერთმანეთსზე ჭორაობას უნდებიან.

* * *

ზოგჯერ ძლიერი ვარ ვით აფთარი,
ზოგჯერ უძლური და მხდალი,
ზოგჯერ თეთნულდივით ამაყი და უშბასავით მტკიცე,
მაგრამ თუ ვიგრძენი ღალატი!
სული მიფრინავს ცაში... და მძორად ვრჩები მიწას.

ვალია კვაშილავა

დღეს გუგული ისე გალობს.....

დღეს გუგული ისე გალობს,
გულში სითბო მეღვრება,
და ლამაზი გაზაფხულის,
ლურჯი დილა თენდება.

წითელ-ყვითელ ფერებშია,
მინდორი და ველები,
არ ეტევა გული მკერდში,
მამულს შემოვევლები!

გუგულისთვის ალბათ ეს ხმა,
უფალს უჩუქებია,
ეს ლამაზი „გუგუ-გუგუ“,
მხოლოდ გუგულს რგებია!

სხვებსაც კი აქვთ თავ-თავისი,
ხმის მშვენება, იერი,
იქნებ მიტომ გვეტანება,
ყველა გადამთიელი?!

ჩემი ქვეყნის მიწა-წყალი,
მტრებისაგან თელილი,
მაგრამ ქართველ ვაჟკაცებით,
მაინც გადარჩენილი!

არის მართლა საოცარი,
ცით, წყალით და ხმელეთით,
ამიტომაც ემართება,
უცხოს ელეთ– მელეთი!

მე კი მჯერა ჩემი ქვეყნის,
სოფლისა და ქალაქის,
პაპის საფლავს და კერიას,
რომ არ დათმობს არაფრით!

დედაენა

ჩემო ენავ, შენ მამულის ფარო,
და ჯავშანო, სიყვარული ხარო,
მშობლიურო, დედის სითბოს დარო,
საქართველო, ღვთის რჩეული ხარო!

რამდენ რამეს, რამდენ ტკივილს უძელ,
მაგრამ ვერა, ვერ მოშალეს ფუძე,
მტრები გგლეჯდნენ, ფურცელ-ფურცელ გწვავდნენ,
ვაჟკაცები შენთვის ლომებს ჰგავდნენ!

ქართულ ანბანს ქართველები გულში,
გიხუტებდნენ სამნაირს და მდიდარს,
წიგნებს წვავდა შემოსული მტერი,
რომ კულტურა წაეშალათ ჩვენი!

ყველგან ბრძოლით იკაფავდი გზა-კვალს,
არ დაეხშო შენი სუნთქვა მზაკვარს,
და ქართველი სტუდენტობა ანბანს,
სისხლით წერდა ასოების ამბავს!

დღეს ქართული სახელმწიფო ენა,
ჩემი ხალხის, ჩემი ერის რწმენა,
და ქართველი მზით ნაბანი მინდვრით,
იმედია გამარჯვებით ივლის!

მონატრება

შენმა მონატრებამ ამატირა,
გული მატკინა და რატომ?
ასე სიმარტოვე მომეწყინა
შენთან სიახლოვეს ვნატრობ!

შენი სითბო მინდა აგვისტოში,
თუმცა,,კარანტინი" მაკრთობს,
ვიცი გაყინულ გულს გამილღობდი,
მაგრამ ვერ ვნახულობ, ვდარდობ!

თურმე რა ყოფილა ეს ცხოვრება,
ასე უცნაური რატომ?
ჩუმი შემოდგომა მეთხოვება,
ზამთრის პირასაც კი გნატრობ!

რწმენის ძალა

(ნამდვილი ამბავი)

დედას ავად გახდომია შვილი
დღე და ღამე ვერ ისვენებს მისთვის,
დაუკარგავს სიმშვიდე და ძილი,
შვილს ამზადებს თურმე შავი დღისთვის.

უფალს შესთხოვს,დახმარება უნდა,
ჩამოდნა და გადაიქცა ლანდად,
იმ ქვეყანას წავიდოდა თუნდაც,
ოღონდ აქეთ შვილი ჰყავდეს კარგად.

უსაზღვროა დედის გული ცხელი,
შვილისათვის შეუძლებელს შეძლებს,
გაუწოდონ დახმარების ხელი,
დადის ყველგან და ექიმებს ეძებს.

ბოლოს,როცა ვეღარაფერს გახდა,
ღმერთს მიენდო ისევ შვილის ბედად,
რადგან გზაზე უბედობა დახვდა,
ამორძალად გადაიქცა დედა!.....

თურმე ერთმა დედაბერმა უთხრა:
„მიუტანე წყაროს წყალი ცხრაო,
მხოლოდ უბრად თუ აავსებ შვილო,
არ მოარჩენს არაფერი სხვაო“.

და წავიდა ჭურჭლით ხელში დედა
რვა წყაროს წყალს მოუყარა თავი,
ეს ამბავი კარგად ახსოვთ დღესაც,
მაგრამ მეცხრეს ვერსად მოჰკრა თვალი.

რა ქნას დარდად გადაიქცა დედა,
მზე კი ჩასვლას აპირებდა მთებში,
საბრალო ქალს გაუჭირდა ხედვა,
წყალი სურდა თუნდაც ერთი პეშვი.

ისევ უკან გამობრუნდა ქალი,
მაგრამ ხედავთ? საოცრება ხდება,
გაუბრწყინდა სიხარულით თვალი,
როცა გზაში მეცხრე წყაროს ხვდება.

აავსო და შეურია რვავეს,
ხმას არ იღებს ისე მოდის დედა,
სიხარულით გული უცახცახებს,
სულში ისე ჩაუსახლდა რწმენა!

შვილს წყალს ასმევს და ლოცულობს დედა,
უკან რჩება ის დღეები შავი,
ნელა-ნელა პირმშო კარგად ხდება,
და სიკვდილმა დადო უკვე ზავი!

ეს ამბავი დადის ახლა ჭორად,
ცხრა წყაროს წყალს შეედრება რამე?
დედა თურმე დაგიდგება მონად,
შვილისათვის დღე არის თუ ღამე!

დედამ იცის დამშვიდება,თმენა,
ლოცულობს და იმედი აქვს ღმერთის,
მთავარია გულში გქონდეთ რწმენა,
ყველაფერი კარგი უნდა შენთვის!

ეთერ ისაკაძე

იმერეთი

საპოვნელას არ ვეძებდით იმერეთში,
კაცხის სვეტის მოსალოცად წასულები,
გავეცალეთ ქალაქის თქორს, ბუღს და ქაოსს,
სად ბევრია ბოროტი და ავსულები!
ხელგაშლილი, გულგაშლილი შეგვეგება,
ქუჩის პირას ხელებს გვართმევს ვაშლის რიგი,
აქეთ ტყემლებს დაუხრიათ მორცხვად თავი,
გვეხვეწება – დამკრიფეთო ჩქარა, მიდი...
პეპლებივით ირევიან ფერთა გამა,
ზოგი წითლად, ზოგიც შავად დარახტულა,
შორს კორომი ბროწეულის ალნადები,
აბრეშუმის სინაზეში აფაკლულა!
ეს რა თავბრუ დაგვახვია ღმერთო ჩემო,
არ გვეთმობა, აღარ გვინდა წასვლა არსით,
არ მოგაკლოთ ღვთის წყალობა მაღალ ღმერთმა,
ღვთისმშობელმა დაგიფაროთ თავის კალთით!

მამათა ნატერფალზე

მამათა ნატერფალზე
ენძელას ეხარა,
მუხლმოყრის ადგილას
იები ეფარა,
უდაბნოს მკაცრ კლიმატს
საოცრად ედარა,
ვითხოვდი უფლისგან
მიმსვლელი ემრავლა!

საინგილოს ქართველობას

თქვენ არა ხართ ლტოლვილი,
თქვენ არა ხართ ხიზანი,
საქართველოს შვილობა
არის თქვენი მიზანი!
ერთადერთი იმედი
მაღლა ღმერთი ცაშია,
გავეჯიბროთ ჰერელებს
სიყვარულის მკაშია!
ფეხი არ მოუცვლიათ
წინაპართა მიწიდან,
კესანები ამოდის
იქ ჩაღვრილი სისხლიდან!
საინგილოს მშვენება
თამარ მეფის ხიდია,
საქართველოს ერთობა
არის მისი მისია!
იქ, ქურმუხი ძლიერი
გიორგობას მოელის,
აივსება ტაძარი
წირვა დგება იბერის!
შენახული ადათი,
შენივთული ქართული,
ყველა კილო – კავი და,
გვერდით დგომა ართქმული!
მყარად დგანან მიწაზე
გოჯსაც არვის უთმობენ,
თათრებს მიუერთეს და,
რა ქნან, მათაც უძმობენ!
დღეს იქ მყოფნი ქართველნი
ყველა წმინდანს უხმობენ,
კიდობანი, ფსალმუნნი
აზერებს არ უთმობენ!
ალავერდი ჩარაზეს,
ბოქლომია კარზედა,
საფლავის ქვებს მოკაწრეს,
წმინდანები ჯვარზედა!
როგორ უნდათ წაშალონ
კვალი ქრისტიანული,
ამ ,,შაითნებს" არა სწამთ
არც თათრული, სპარსული?!
ვინ უშველის ჰერელებს?!
კახეთს იქით – კ ა ხ ი ა ...
იქ თამარის ხიდია,
აქეთ კიდევ ვ ა რ ძ ი ა!

მე ვით ვწერო

მე ვით ვწერო, გავისარჯო,
რა უნდა ვთქვა ჯერ ართქმული,
რა სიტყვები მოვიძიო,
ზეპირი თუ წაკითხული?!
ერში კარგ მთქმელს რა გამოლევს,
უჰ, იმდენი დაიწერა,
ნიჭიერი პოეტების
ქვეყნადაა უხვი ცვენა!
ჩემს სამშობლოს, შენსას, მისას,
ხოტბას ვასხამთ ყოველ კუთხით,
წინაპარნი საგმირონნი,
ვით შევამკო, რომელ ნუსხით?!
ენა ტკბილი, ანი – ჰოე,
ხელნაწერი – კალმით, ლურსმნით,
ხელთუქმნელი საოცრება,
დაუთვლელი ვაზის კურცხლით!
ველ – ზურმუხტნი, მყინვარწვერნი,
მოხატულნი მხატვრის ფუნჯით,
სანცვიფრელნი მიწა – წყალნი,
თავმდაბალი, რჩეულ გურჯით!
გვგლიჯეს, დაგვწვეს, გვაწიოკეს,
იავარგვქმნეს, მონად გვყიდეს,
არ დაგვინდეს ცის ქვეშეთში,
აღუწერელ წესით გვსჯიდნენ!
ქრისტეს რწმენით გავიმარჯვეთ,
დედა ღვთისას ლოცვა ვიმკეთ,
ათასწლეულ ვაზის ლერწმით
ნინოს ჯვარი წინ წარვიძღვეთ!
დღესაც მოდის ოკუპანტი,
თვალწინ ხლართით გვაგლეჯს მიწებს,
ვერ გადუვა, არ შერჩება
მამა ღმერთის განსჯას, რისხვებს!
საითკენაც გაიხედავ
ცად აჭრილი ჯვარი გვიმზერს,
გეშინოდეთ ყველას უფლის,
სიყვარულით ერთად ვიდგეთ!

დავით გარეჯი

ნუში ჰყვაოდა საოცარ ფერებში,
რა ნახა თვალმა,
ის ერთი იყო იმ უდაბნოში
დედოფლის დარად,
და მას გარს ერტყა
კლდეში ნაკვეთი დავითის ლავრა,
მე გამაოცა სიჩუმემ მკვიდრმა,
ირმების კვალმა...
ვნახე ადგილი სად ფერფლად იქცა
ბოროტი ძალა,
დგას მოწამეთ სად ცალ -ცალკეა
ტანი და ქალა...
მე გამაოცა წმინდა მამების
შრომამ და ძალამ,
ოდეს იდინა კლდეთა ღარებში
ნაჟურმა წყალმა...
დღესაც დგას ქიმზე
დოდოს ნაკვეთი სენაკთა რიგი,
მათ ვერაფერი ვერა დააკლო
უდაბნოს ქარმა...
მდუმარე ფრესკებს შევავედრებ
ჩემს მიწას, ალაგს,
მაღალ ღმერთს შევთხოვ
მათ სიახლოვეს ლოცვითა გავლას...
ვნახე ადგილი სად განისვენა
ნეტარმა მამამ,
ვინც მას შეეხოს
ყველა განკურნოს
ღვთიურმა ძალამ.
ჰყვაოდა ნუში
და მას ფუტკარი
ეკვროდა სულში,
თავდავიწყებით
ეტრფოდა დიადს,
ეს ის ძალაა
რომ გაანათებს უკუნეთ წყვდიადს!

მესაზღვრე ბერები

მესაზღვრე ბერები ლოცვით იცავდნენ საზღვარს,
ქართველი დედა სამშობლოს უზრდიდა
ცხრა ძმას, რეკდა ზარები: სიონს, ოშკსა და ზარზმას,
დღეს კი რა მოგვდის, რამ აგვიბნია თავგზა?!

ვერიკო პარწიკანაშვილი

დღეს „დედა ენის" დღეა!

ტკივილი

ვხედავ, არად აღარ გვიღირს
ის დიადი წარსული,
ინგლისურში, გერმანულში,
ყელამდე ვართ ჩაფლული,
წინა პლანზე გვიყენია
თურქული თუ ფრანგული,
რუსული და პოლონური,
არაბული, სპარსული!
თუკი, აღარ ქნარობს-ქნარი,
დროც მოგვერგო ფანდ-ურად,
თუკი, ვეღარ წავიკითხავ
გალაკტიონს ქართულად,
თუ ქართულად ვერ დავითვლი,
„მშობლიურს“ ვერ მოვერგე,
ან-ბანს თუ ვერ ჩამოვმარცვლი
მე „ანი“-დან „ჰოე“-მდე!
თუ ვერავინ ვერ გაიგებს,
ნაწერს, ლოცვა-ვადრებას,
ქართულად თუ ვერ ვუმღერებ
მწვანედ ტყის აფეთქებას!
„გამარჯობას" თუ ვერ ვიტყვი,
გემრიელი ქართულით,
მაშ, რად მინდა ეს ანბანი,
„გულში ამოხლართული"?!
მაშინ მიჯობს, სულ დავმუნჯდე,
ხმა არასდროს გავიღო
და „ქართული სიყვარულიც"
სამარეში წავიღო!

****

ჩემს მიწაზე ვარ მე მიბმული
მყარად, ფესვებით
და ჩემს სიყვარულს,
მოწყალებად,
ჩუმად ვარიგებ,
სველ ბალახებზე,
თუ არ ვირბენ
შიშველ ფეხებით,
ამ ჩემი მიწის სურნელს,
ისე როგორ გავიგებ!

მე, დედამიწის სულ პატარა,
ერთი კენჭი ვარ,
ერთი გოჯი ვარ, ისეც მცირე
ქართული მიწის,
ჩვენი წილი მზის, ერთი ციდა
ათინათი ვარ
და საქართველოს სიყვარული
სიცოცხლედ მიღირს!

ამ ცის ლაჟვარდებს, მე
ვერა და ვერ შეველიე,
თუმც, გაუსაძლის მწუხარებად
მზეზე ვაგდივარ,
როგორც ვახერხებ,
ჩემს ღიმილებს ისე ვარიგებ
და როგორც შევძელ,
მისთვის სანთლად,
ისე ვანთივარ!

მე, ამ სამყაროს,სიცოცხლის ხის
ერთი ტოტი ვარ,
ერთი ფოთოლი, ერთი კვირტი,
ღერო და ფესვი
და როცა ამ ხეს, ჩამოსწყდება
ფოთოლი ჩემი,
სულ ბოლო სუნთქვას ამოჰყვება,
სულ ბოლო ლექსიც!

ამოჰყვება და სიყვარულით
გაიდგამს ფესვებს,
ზღვად გადიქცევა, აყვავდება,
დაიწყებს შრიალს,
შენ, საქართველოვ!
სანთელი ხარ,
ქართველის გულში,
შენზე ლოცვა კი, ვთვლი,
არასდროს არ არის გვიან!

****

არ მინატრია
არც ევროპა და
არც აზია,
საქართველოა სილამაზე,
თვით-ფანტაზია,
შეხედეთ,როგორ
ამაყად დგას კავკასიონი,
მყინვარს შეხედეთ,
ზაფხულშიც, რომ
თოვლი,, აცვია!
არ მინატრია სრა-სასახლე,
ფიანდაზები,
უცხო მხარეში, სულის შვება
არ მიძებნია,
მე მაქვს ლეჩხუმი,
სამეგრელო და იმერეთი,
მაქვს სამაჩაბლო, აფხაზეთი
და კავკასია!
მე მაქვს სვანეთი, მთა-თუშეთი,
ფშავ-ხევსურეთი,
ტრადიციები, გულზე-ხატად
რომ უწერიათ,
მე მაქვს კახეთი,
ხარ-ირმების გადმოსახედი,
აბა,სამშობლოს ჩვენნაირად
სად უმღერიან!
მე, ქართველი ვარ,
მწამს ღმერთი და
მწამს საქართველო,
არ ვარ,, ევროპა,"
-– მომიტევეთ!
არც ვარ,, აზია,"
მე ვარ,, კრწანისი,
"ვარ,, დიდგორი,"
მე ვარ.,,შინდისი",
შეხედეთ, დატკბით,
საქართველო რა ლამაზია!
ვარ,, ანანური",,ქვათა-ხევი,"
მე ვარ,, ტანძია, "
ჭრილობებიდან
ჟონავს სისხლი,
ვთვლი,, ა-პათიებს"
და-თუ, ვერასდროს
ვერ შევძელი მისი ღალატი,
ნუ გამიწყრებით!
ნუ ჩამქოლავთ!
– მე, მაპატიეთ!

საოცრება შენ ხარ

არ მითხრა, რომ
ყველაფერი წარსულია,
არ მითხრა, რომ
აღარ გინდა ჩემთან,
რომ მეგონა
საოცარი იყო დილა,
ახლა ვხვდები,
საოცრება შენ ხარ!
გულით, ვიცი ტკივილები
დაგაქვს უხვი,
გარეგნულად?
გვირილა და მზე ხარ,
საოცარი რომ მეგონა
მზის ამოსვლა,
ახლა ვხვდები,
საოცრება შენ ხარ!
გულიანად რომ კისკისებს
ცელქი სიო,
ლოყაზე რომ დაგამჩნია კოცნა,
როგორ მინდა
ძველებურად თვალდახუჭულს,
ჩამესმოდეს შენი
თბილი ლოცვა!
საოცარი ფერები
აქვს შემოდგომას,
მაგრამ მაინც,
მე ყველაზე მეტად,
შენი ფერი ავირჩიე უცნაური,
იმიტომ, რომ
საოცრება შენ ხარ!
არ მითხრა, რომ
ყველაფერი წარსულია,
არ მითხრა, რომ
წასვლა გინდა ჩემგან,
საოცრება რომ მეგონა
შენი კოცნა,
ახლა ვხვდები
საოცრება შენ ხარ!

****

ყალბ სიტუაციას
ვერასდროს ვერგები,
რა ვუყოთ, თუ ამით
ვიღაცას ვახელებ,
მე ვერ ვითამაშაბ,
ხედვა მაქვს ასეთი,
ეს კი, ის ლექსია
შენზე რომ დავწერე!
მივყვები ქუჩას და
მომყვება წარსულიც,
ჩუმ-ჩუმად ვკითხულობ
უძველეს წარწერებს,
ეს ხომ ის ქუჩაა,
ესეც ის კედელი,
ჩვენი ოცნებები
ერთად რომ დავწერეთ!
მზეზე აკრეფილი
ვარდი და ღიღილო,
ტანზე რომ ისწორებს
სხივებს და მინანქრებს,
ველ--მინდვრებს
ფრთის ჩრდილს რომ
დააფენს მიმინო
და ტატოს მერანი,
მეც სადღაც მიმაფრენს!
არ მიყვარს ნიღაბი,
რაცა ვარ, ესა ვარ,
შენი სიყვარულიც,
გულიდან მამღერებს,
მე, მეოცნებე ვარ,
შენ, ჩემი სამყარო,
ეს კი, ის ლექსია,
შენზე რომ დავწერე!

***

ვიცი, პოეტებს
სჩვევიათ სევდა
და ჩუმად შრომა,
ვით,, ჟოლს" ფუტკრების,
ლექსები
თითქოს უსურნელოა,
მაგრამ სურნელი
დასდევს ხურტკმლების!
აპრილის წვიმა
როცა აისხამს,
მძივებად ყვავილს
აკაციების,
ვერვინ მიხვდება,
როდის დაუდგა,
პოეტს, დრო-სითბოს,
ან გაცივების!
ჩიტის ნისკარტით
აკენკილ ცოდვებს,
გული ელევათ,
დრო იმარტოვებს,
პოეტი მიდის, მაგრამ
ამ ქვეყნად,
ლექსებს, სითბოს და
სიყვარულს ტოვებს!
დიახ, პოეტებს
სჩვევიათ სევდა
და თავმდაბლობა,
ვით,, ჟოლს"-ფუტკრების,
ლექსები თითქოს
უსურნელოა,
მაგრამ სურნელი
დასდევს
ხურტკმლების!

******

დრო მიდის!-თუ მოდის,არ ვიცი,
ჩვენ, დროის პირისპირ მივდივართ,
შენ ებრძვი ისევ შენს სურვილებს,
მეც, ისევ ისეთი „გიჟი ვარ“!
ელვებმა გაბზარეს ცის კიდე,
იმსხვრევა უაზრო მითები,
წყალს ვუცვლი ყოველდღე
და მაინც,
ლარნაკში კვდებიან ტიტები!
მივყვები დანამულ ბილიკებს
და წვიმა ფეხდაფეხ მოჰყვება,
მკლავს შენთან შეხვედრის წყურვილი
და უკან არ მინდა მოხედვა!
გაზაფხულს მოგასხამ მანტიად,
მზეებით გაგივსებ სარკმელებს,
ოღონდაც, ოღონდაც მოდი და
ჩემთვის კვლავ,
კვლავ იცისარტყელე!

მარინა დიერაშვილი

მოვეფეროთ ენას ქართულს

ენა ჩვენი სიმდიდრეა,
ენა ჩვენი იდენტობა,
ენა ჩვენი გადამჩენი,
არასოდეს დაიგმობა.

სიტყვაუხმადლიანი და
ამავე დროს უკვდავია,
მასთან ერთად ვარსებობდით,
აქამომდე გვიმგზავრია.

დედა ენავ, საფიცარო,
დედა ენავ, ტკბილქართულო,
დედა ენავ, სანუკვარო,
ქართველის სისხლში ჩართულო.

ქართული ხარ – თან სამება,
ნუსხურ,მხედრულ, მთავრულია,
გამოწრთობილხარ ომებში
ცეცხლშიაც გამოგივლია.

ზეპირსიტყვიერებით თუ
დამწერლობით შემონახულს
გავუფრთხილდეთ, მოვუაროთ
მოვეფეროთ ენას ქართულს!

მადლი ღვთისმშობლისა

მადლი ღვთისმშობლისა ჩვენზე მოფენილი,
უსაზღვროა და კიდეც გულუხვია,
ვაზის ნასხლავისგან ჯვარი, რომ გამოჭრა
ნინომ ვაზს ჭრილობა თმებით შეუხვია,
დედა ღვთისამ ნინო, ჯვარით გამოგზავნა,
თავის წილხვდომილ ერს რწმენა მოგვიტანა,
ქრისტე გვიქადაგა, გულში ჩაგვესახა,
თითქოს კირქვაარ, ისე შეგვეზარდა...

გლეხი ვაზს როცა სხლავს, განა ეცოდება?
ლერწები ცოდვებივით ყოველ წელს იკვეცება,
ვაზის მტევანში ხომ მზის შუქი იღვრება...
ღმერთის მოთმინების ფიალაც ივსება....
ვინც ჯერ ვერ ირწმუნა, ღმერთი ელოდება,
ღმერთი მოწყალეა კიდევ გველოდება!
ყური მივუგდოთ და ღვთისკენ შემოვბრუნდეთ,
ღმერთს ძლიერ ვყუყვარვართ, ვეცადოთ შევრიგდეთ,
ისე ვიცხოვროთ, რომ მადლი მოგვეფინოს
გული გაწმენდილი უფალს მივუტანოთ.
ისე ვიცხოვრით, აქვე არ ჩავიჭრათ
და რომ ლერწებივით ცეცხლში არ ჩავიწვათ...

ნინო კვლავ ქადაგებს...

ვაზის ლერწის ჯვარო, რა ძალა გქონია,
ღვთისმშობლის ლოცვის მადლი დაგფენია,
დედა ნინომ გვიქადაგა...მომაქცეველია,
ღვთის რწმენა ჩვენში-შეურყეველია.

ღვთის ნებად მივიღეთ, მუდამ მფარველია,
ცოცხალი ღვთის რწმენა გადამრჩენელია.
გვიფარავს ღვთისმშობელი, შემწე და მხსნელია.
ნინო კვლავ ქადაგებს, ჩვენი დამცველია.

და მივყვეთ ღვთის ნებას, ცდუნებებს არ ავყვეთ...
და სწორად ვიცხოვროთ, გზიდან რომ არ ავცდეთ,
ღვთის მცნებებს დავიცავთ, მოწყალე ვიქნებით,
ბოლომდე მოვითმენთ და მტკიცედ ვიდგებით;

ჩვენთან არს ღმერთი, როცა დაგვჭირდება.
ჯვრის ზიდვა ტვირთია, ერთურთი გვჭირდება.
ბოლომდე ვიბრძოლებთ, ერთგული დავრჩებით,
წმინდანის ლოცვებით ყველა გადავრჩებით!

შოთა-კალმოსანი

ღვთივკურთხეულია-შოთა –კალმოსანი,
უფლისგან მოგვეცა „ვეფხისტყაოსანი“,
მსოფლიო საგანძურს, წინ რომ მიუძღვის.
მსგავს ნაწარმოებს, იცნობდეს, ვინ იტყვის!

საერო ცოდნა ღვთიურს რომ ერთვის,
ამ წიგნით გვმოძღვრავს – უფალი, ღმერთი.
ნება ჩვენი და...ღმერთის ენერგია,
მაშინ ეს ნიშნავს, თვით – სინერგიას.

ამქვეყნიური ცხოვრების კოდებს...
წიგნი შეიცავს უამრავ „ნოტებს“;
თუკი არსებობს ამქვეყნად კითხვა,
პასუხი კითხვის, ამ წიგნმა გვითხრა.

რიგორ ვიცხოვროთ, როგორ ვითხოვოთ?
როგორ გვიყვარდეს; მოყვასი, ღმერთი!
რომ ღვთის გარეშე არაფერი ვართ
და მის გარეშე, ვერაფერს შევცვლით!

რა არის ლექსი? რა არის ბრძოლა?
სიყვარულია საქმე – ღვთიური...
ადამიანური ამქვეყნიურია...
სიბრძნე ღვთისა კი– მარადიული.

სიყვარულით ვართ ღვთისკენ მავალნი,
უფლს ვემსგავსოთ არის მთავარი,
აღმაფრენაა იმქვეყნიური...
ამა სოფლისა კი წარმავალი!

ამ წიგნს მზითევში ატანდნენ მისთვის,
რომ მოესმინათ უფლის სიტყვისთვის.
თვით ღვთის მცნებებზე დაფუძვნებული,
გენში ჩართული, აზრია ქართული.

ვიკითხოთ შოთა, გვმოძღვრავს ის სიტყვით,
სიტყვაა ქრისტე, ის წინ მიგვიძღვის...
გვიყვარდეს ღმერთი, მერე მოყვასი;
ახალი აღთქმაა, ამ ორ მცნებაში!

როგორც ბიბლია, რმენით შეგვმოსავს,
თამამად ვენდოთ „ვეფხისტყაოსანს“!.
სამაგიდოა – ყოველდღიური...
ღვთივგანბრძნობილი-მა რა დი უ ლი!

ილია მართალს

დაბადებიდან ღვთისგან გეძლევა,
რომ აღასრულო – შენი მისია,
მოვლენებულხარ, განსაცდელთაგან
გამოაფხიზლო ერი ღირსია.

შენი მოძღვრება შუაში არის,,
ერისკაცსა და მღვდელმსახურს შორის,
აგიყოლია შენ ქართლის ბედმა
და ზვარაკადაც იქეცი-გონი.

სიცოცხლეშივე შეუნდე მკვლელებს,
არ იცოდნენ... თუ რასა იქმოდნენ...
და უგვირგვინო მეფის მკვლელობას,
ვით გაბედავდნენ,თუ აზროვნებდნენ.

ილია მართალს, ერი გიწოდებს,
შენ წმინდა ლოცვით გვიფარავ დღესაც,
როდის იქნება მოწყენილ ქვეყნის,
თავსაბურველი რომ ჩამოგვეხსნას.

თუ თხა და მგელი ერთად ვერ მოძოვს,
ქვეყნის გულისთვის ერთ მუშტად შეგვკარ,
საქართველო, რომ გადავარჩინოთ,
შური და მტრობა შორს იყოს ჩვენგან.

შერიგებაა ახლა მთავარი,
ქვეყნის ბედი რომ ყველას სტკიოდეს
და ქართველების უძლეველობას,
დედაღვთისას და ღმერთს მიაწერდეს;

ბოროტი აბა, რის ბოროტია,
ურთიერთშუღლი რომ არ დაათესოს,
ლოცვით შევთხოვოთ ილია მართალს,
კვლავ შეავედროს ღმერთს საქართველო.

ღმერთის ძალით და წმინდანთა ლოცვით,
გზა უფლისაკენ გასავლელია,
წილხვდომილია დედაღვთისმშობლის...
და საქართველო დასაცველია!

ქ ა ლ ი

ღმერთმა, როცა ევა შექმნა
თვით ადამის ნეკნიდან,
ქალი გახდა საფიცარი,
ქალი გახდა თემიდა.

ქალი დედა, დედაბოძი,
მის ორგვლივ კი...ყოველი!
ქალი მუდამ მშრომელია,
ქალი დედა-მშობელი.

გმირის დამტირებელი და
კაცის სინდის –ნამუსი,
ქალი ფუძე ოჯახისა....
მას უმღერდა,,ბახუსი".

...სასახელო ახლა ჩვენში
უამრავი ქალია! მაგრამ
შენ ვინ შეგედრება?
ღვგისმშობელო, მარიამ!

შენი ლოცვით წმინდა ნინომ
ლოცვით გზა რომ გალია,
ქართველთ რწმენა მოგვიტანა,
ჩვენში ფესვგამდგარია!

ქვეყანა რომ აძლიერა
თავის საფიცარია;
ჩვენი მეფე –სანატრელი,
თამარიც ხომ ქალია!

ჯერ უფალი უყვარდა და
საქართველო სტკიოდა,
ხალხის ცოდო –მადლი ჰქონდა,
სამართალი სჭვიოდა.

...დედოფალი წამებული,
რწმენისათვის გვემული,
შირაზს გადახვეილიყო,
ვერ გატეხეს რჩეული,

ქეთევანმა შეგვინახა,
რწმენა შეგვინარჩუნა,
ჩვენში შეუცვლელია და
აქამომდე მოსულა!

...სასახელო, გვასახელებს;
ახლაც ბევრი ქალია,
მაგრამ მისაბაძი შენ ხარ,
ღვთისმშობელო, მარიამ!

შენ გსასოებთ, შენ გიგალობთ,
გევედრებით ძალიან...
შეგვეწიე, გვიპატრინე,
ღვთისმშობელო მარიამ!

წმიდა ნინო და წმიდა ქეთევანი

წმინდა ნინოს ნაქადაგებ,
რწმენას იცავს ქეთევანი,
საქართველოს აძლიერებს
ჯერ რწმენა და მერე ჯარი.
მცირე ერის გადარჩენა,
ღმერთის ნებით განისაზღვრა,
საზეპურო, ღვთის რჩეული,
ეს სახელი დაგვეძახა...
და ღვთის ხელი, ეს უჩინო.
ახლაც გვიცავს, ახლაც გვმართავს,
მას ვუსმინოთ, მას მივენდოთ,
გზას გვიჩვენებს, არ დაგვკარგავს.

ლალი სოხაძე

*

მივყვები ცხოვრების ბილიკებს,
ვამარცხებ სიძნელის ნატამალს.
და რა ვქნა, რა ვუყო ქილიკებს?!
ვიზიდავ ისე, ვით ანდამატს.
თმაში შემპარვია ჭაღარა,
და სახე ნაოჭით მევსება,
მე ბედმა, სადღა არ მატარა,
ფიქრები გავიდგი ფესვებად!
თვალია სხეულის სარკმელი,
სულის საცქერლადაც ქცეული,
სიკეთე კი არის მაშველი,
ვართ მოძმის სიძულვილს ჩვეულნი...
ბარში გაზრდილი– ვამაყობ,
მთაში ვარ, იალაღ გაჭრილი,
მოძმესთან აღარც რას ვკამათობ,
ღმერთთან, რომ არ ვიყო ჩაჭრილი!

*

გიჩემებ, მაგრამ გისაკუთრო სულ მეშინია...
სადღაც სივრცეში გაბნეულა შენი ფიქრები...
თავის მართლება, უსუსურთა ვიცი ხვედრია,
ნეტავ ახლოს კი, შენს სულთან თუ ისევ ვიქნები.
რად ქრება ნეტავ, სიყვარულის ტკბილი ზღაპარი?
რა დატვირთვა აქვს ემოციას-ღმერთთან სადარი?
თუ თავად ღმერთი– სიყვარულის არის ლამპარი,
ამ ქვეყანაზედ არსად არის მისი ბადალი...
მირაჟებს დასდევ, სხვას ეძახი სულის სამშვიდედ,
შორიდან გიმზერ, დაბნეული ვუსმენ სამყაროს,
ჰარმონიაა, კოსმიური სივრცის სამიზნე
და უფალს შევთხოვ, არასოდეს, რომ არ ალაგმოს!

*

გულში დავბადე ფიქრები
სულსაც, გავანდე ჯვარცმაო,
გონში, აზრებად ვიცლები–
მძიმე ცხოვრების საწყაო.
სადღაც სიბერე დავლანდე,
როს გვერდით ჩამიარაო,
ვთხოვე, მოდი დრო გადადე,
ვერ დავაგროვე ფარაო!
ვერც სიყვარულით გავძეხი,
ვერც, ჭირის თმენით თანაო,
მოვაკელ შვილებს ალერსი,
მიწაზედ ფუჭად დავალო!..
სამშობლოს შიდა გამყიდვლებს
ხელი, ყიაში წავავლო,
ჩვენი წინაპრის გულები,
იმედით ისევ ავანთო!
დრო, დრო მომეცი, მუშტები,
გულზედ ტყვილა არ ვიხალო,
მტერი, მოსულა უძღები-
არ ვალეწინო კვლავ კალო!
ძალა მომეცი დევისა,
და შნო კი ნაცარქექიის,
ხანი გასულა სევდისა,
დრო მოდის ეხლა მესიის...

მაკა გრიგალაშვილი

ჩემი თბილისი

ჩემი ლამაზი თბილისი,
დიდად ტკბილი და თბილია,
იგია ჩემი სამშობლო,
ბევრი ჭირ გამოვლილია
მას შემოვწირავ ყველაფერს,
რაც ჩემი ბედის წიგნშია,
სიცოცხლეს, სინდისს, სიკეთეს,
რაც ცხოვრებაში მიცდია.
იგია ჩემი სუნთქვა და...
შვილები გოგო-ბიჭია,
მისთვის იცოცხლონ
იღვაწონ, მისთვის დახარჯონ ნიჭია.
მას ეთაყვანონ მთელი გზა,
ვარდები გადაშლილა
უყვარდოთ დედა თბილისი
მას გაიზარდონ შვილია.

სიცოცხლის არსი

დრო -ისე მიჰქრის წამში,
ჩვენი სიცოცხლის არსი,
დრო -სიყვარულის არსი,
დრო– სიყვარულის ფასი
რომელსაც არ
ჰყავს მსგავსი.

*

ჩემი ფანჯრიდან ეს გაზაფხული
ისე ლამაზად მოსჩანს...
აყვავებიათ ხეებს კვირტები
ფოთლებს იხდენენ კოხტად.
ირგვლივ ბალახი მწვანედ ბიბინებს,
მზე ესალმება ყველას,
გაზაფხულდაო, გაზაფხულდაო,
ამბობს ნათელი ზეცაც.
ჩემს ფანჯარასთან
ყავას როცა ვსვავ,
ვტკბები ჩიტების ცქერით,
გაზაფხულზე რომ დაჟღურტულობენ,
დილა აიკლეს სტვენით.
მათი გალობის
მოსმენა მინდა ,
რომ ისევ გავხალისდე,
სულში ნაღველი გამიქრება და...
გული მითბება ისევ.
ჩამი ფანჯრიდან ეს გაზაფხული,
ისე ლამაზად მოსჩანს...
წვიმა წამოვა
უცბად შხაპუნა,
აპრილის თვემ რომ იცის,
მერე კი ცაზე
კვლავ მზე ამოვა
და გაანათებს თბილისს,
ჩემი ფანჯრიდან ეს გაზაფხული,
არსად არ წავა ვიცი...



გოჩა ჭაბუკაიძე

ავადსახსენებელ
პანდემიის დროს
დაწერილი სტრიქონები

ცნობისმოყვარეებზე

სურთ იცოდნენ ყველაფერი...
სხვათა მდგომარეობა...
რომ მოიკლან მოყვრის,მტერის
ცნობისმოყვარეობა

თუ რა მოხდა მათთან ღამით...
ანდა თუნდაც ამ დილით...
რომ დაიცხრონ ოღონდ რამით
ცნობის გულისწადილი

ს ი ა მ ა ყ ე

გიყვარდი თურმე...
და მეც ლოდინში
სიცოცხლე მთელი
ლამის გავლიე...
ვუხადოთ ახლა
ერთურთს ბოდიში,
რომ სიამაყეს
ვერცერთმა ვძლიეთ.....

დღევანდელ მანდილოსანს

(კორონას პანდემიის პერიოდი)

მე ვით აღვიქვა ის სილამაზე,
ვ ი ნ ც ჩაგიფიქრა,
ანდა ვ ი ნ ც გბადებს,
როცა არ გიჩანს სახის სინაზე,
და ფარავს ჩემგან შენი პირბადე

ეძღვნება
გ ე რ დ ა ს

ერთგულება,თავდადება,
სიყვარული გამახსენდა,
დამეუფლა აღტაცება,
სულმაც იგრძნო რაღაც შვება
ყინული რომ მთლად დაუდნე
არავისთვის რომ არ ძგერდა
იმ გულს შენ რომ გააცოცხლე
შენზე ლექსს და
ჰანგს რომ წერდა
რომ ფიქრობდა,
მხოლოდ შენზე
ღამეც გადაექცა დღედა
ცრემლიც უხვად
მის თვალთაგან
ტრფობისგან რომ
გადმოსჩქეფდა
რომ შეგტრფოდა,
და მის გულში
მხოლოდ
ეს სახელი
ჟღერდა,
საკვირველო
მშვენიერო
ანდერსენის
კოხტა
გ ე რ დ ა

თამარ ფიცხელაური

* * *

და ისევ დროის პირისპირ ვდგავარ
და ალმაცერად მიცქერს დროება;
ამინდიც ახლა ბევრად მშვიდია
შემოდგომაა და მყუდროება.
ხელიდან ხელში გადამაქვს ფიქრი,
გუშინ კი – წვიმა პეშვში ვაგროვე...
მერე კი...შენზე ბევრი ვუამბე
და ვერაფერიც ვერ გავაგონე...
რას იზამ, ყველას თავის ფიქრი აქვს,
შენ გუმანს ყველა ხომ ვერ გაიგებს...
ალბათ, წვიმასაც თავის დარდი აქვს,
შენგან წავა და სხვასთან წაიღებს.
...ჩვენ წვიმის დარდებს ფეხქვეშ გავქელავთ,
არ გვრჩება მერე ნაფეხურები,
მხოლოდ ხსოვნიდან შემოგვცქერიან
ხავსმოდებული საფეხურები...
ვერ გადარეცხავს იმ ხავსს ის წვიმა...
და ვერც გადახვეტს ავდარს ჯავრები,
წვიმისგან სევდის ტალახს მოვზელ და
ვიცი რომ შენ არ გამიჯავრდები,
რადგან ის ჯავრი, ისევ შენა ხარ,
დღე საცნაური და დღე ყოველი,
დღეშესუდრული დღენათელს გნატრობ,
დაღამებამდე იმ დღეს მოველი,
როცა წვიმები აიკრავს ნაბადს,
შევიმოსებით მრუმე სამოსით,
ატეხილ ქარებს ჩვენ დავაურვებთ,
ვერ შეგვაშინებს ვეღარც ტაროსი.
მთლად უცნაური დამაქვს ფიქრები,
და რა ხანია გულში ვაგროვე...
მერე კი...შენზე წვიმას ვუამბე
და ვერაფერიც ვერ გავაგონე...

ჩამომემეწყრა საწუთრო

ჩამომემეწყრა საწუთრო...
მზე ღრუბლებს უნდა ჰფარავდეს;
მაცდური წუთისოფელის
არ მჯერა ჰარი ჰარალე;
ხნული გავავლე ყამირზე,
მიწა ვერ მოვრწყე მანამდე,
ვერც ნერგი ვერ დავარწყულე,
გონი არ მეყო მაგამდე;
ტყუილად ვთესე, ვერ მოვმკე,
სიკეთე კარის-კარამდე,
გული გატყდა და აღარ სწამს,
უნდა ვირწმუნო სადამდე?..
იმ ხნულზე, მე რომ გავავლე,
ცრემლი მდენია ღვარამდე...
ოფლი და გული ჩავმარხე,
ჩავყევი ლამის კარამდე...
ამაოდა მაქვს იმედი,
იღბალი დამიფარავდეს,
ბევრჯერ ნატკენი ჭრილობა,
არ შეხორცდება მანამდე,
სანამდე ღმერთს არ სწადია,
ამ მთიდან აიმ ბარამდე...
გებარებოდე შემკრთალი,
უფალო, დამიფარავდე!..

* * *

შიშმა და სიცივემ შეაკრთო ბეღურა,
ხეზე ჩამომჯდარი მიწას დაენარცხა,
არ იყო მშველელი, ან ვის მოუხმობდა,
სადღაც დაჰკარგვოდა გულისსწორიც,
სამი, მხოლოდ სამი, თუგინ, ერთი-ორი,
ყლუპი წვიმის წყალი მოენატრა,
არ იყო მშველელი, შორს იყო ნუგეში,
ვინ იცის, როგორ კი ეწადა...
ქარმა დაულეწა სუსტი ფრთები,
შიშით და სიკენტით მიწას დაანარცხა,
უღმერთოდ დაეშვა ფიქრის იალქნები,
ფიქრიც ხომ რარიგად ეწადა.
...არ იყო შენდობა, ობოლი ბეღურის
გულისთქმაც ვერავინ გაიგო...
სუნთქვით მოუხმობდა ნუგეშს და სიყვარულს,
ის სუნთქვაც ნიავმა წაიღო.

* * *

წყლის ქაფიდან ჩემი ფიქრი იშვა,
დარდები კი, მიპოვნია გზაზე...
და ოცნებებს ნაკადულის ძაფით
ჩამოვკიდებ სიყმაწვილის ცაზე;
წყლისფერ სიზმრებს ქარი გამომტაცებს,
სინანული ჩამოწვება თვალში,
ღამე წამგვრის ლაჟვარდისფერ წამებს
და სიბერეც შემეყრება ხმაში;
ღრმა მორევში შეცურდება ფიქრი,
დარდებს უხმოდ დავარიგებ გზაზე,
ნაკადულში სიყმაწვილე დამრჩა,
ოცნება კი, შემეყინა ცაზე...
ამოვკემსავ მოგონების ფარჩას,
წყალს გავატან სიზმრებს ზამთრის დილის,
ბუხრის პირას ყურს დავუგდებ მშვიდად,
ცეცხლის ტკბილ და ბრაზმორეულ ტირილს...
ღრმა უფსკრულში შეცურდება ფიქრი,
დარდს დაღლილი დავარიგებ გზაზე,
ვერახდენილ ოცნებებს და ნატვრას,
ვარსკვლავებად ამოვჩითავ ცაზე.

* * *

ნუ ფიქრობ, დღეო, არ დაღამდები,
ღამე ხომ შენი სახლიკაცია?!.
მასაც ხომ ლეგა გულისპირული,
შენსავით ტანზე მჭიდროდ აცვია;
დღე და ღამეზე მოფიქრალები,
უკვე არც ისე ბევრნი არიან,
ნათელისა და ბნელის მოწმენი,
აუ, რამდენი ნასახლარია!..
არც ლიბომოშლილ ქვითკირის ღობეს
აღარავისთვის არა სცალია...
დაქცეულია ფუძე და ჭერი,
ეზო-ბილიკი გადამხმარია...
მოკეთეს კარი გამოუკეტეს,
და მოყვრის მძებნელს მტრულად ხვდებიან,
მტრები ხომ მიზანს არ აცილებენ,
ღალატში მტრები არა სცდებიან...
...და თორმეტ თვეში თორმეტჯერ ვიშვი...
წერა-მწერელმა გზები არია...
დღეებზე ვდარდობ და ღამეებიც,
უწინდებურად არ მიხარია!..
...ვაი, რამდენი ნაკაცარი და...
ვაი, რამდენი ნასახლარია?!.

(ძველი რვეულიდან)

...ცდუნებასავით მომეახლა ბინდი ღამისა,
ციდან ღრუბლებმა გაასვენეს გრძნობის ცხედარი...
გამოიტირა უსასრულო მარტის წვიმებმა,
ის სიყვარული, იმ ქარივით დაუდეგარი!
ალბათ, ქარებსაც, სასტიკ ქარებს ასე ენებათ...
იმედის ხეებს შემოატყდათ ლამის ყლორტები...
ჩემგან წასულო მონატრებავ, ნუთუ არასდროს,
ნუთუ არასდროს...სულ არასდროს, განმეორდები?!.

* * *

ჭინჭრის ბუსუსსით დამისუსხა ეჭვებმა სული,
ამ ჭორიკანა ქარის სისინს რა ვუყო ნეტავ,
როგორ გავუძლო ჯოჯოხეთურ თავშეკავებას,
როგორ ვიარო უსასრულოდ, სულ მუდამ კენტად?!.
ცუდი ყოფილა წუთისოფლის გაუტანლობა...
რამ ააშფოთა, ანდა რა რჯით, ვიცოდე ქარებს?
ალბათ, შეშურდათ ჩემი ზღაპრის ცისფერი ცრემლი,
ღამეულად რომ მინამავს და მისველებს თვალებს...
მიყვარს... ან რაა სიყვარულში გასაოცარი?
მიყვარს სპეტაკად, წრფელი არის ჩემი ოცნება;
ეს ხომ არ არის ველურ ლტოლვის თავშესაფარი,
ეს ხომ არ არის სისხლის ურცხვად ახორხოცება?!.
არას მერჩოდნენ, თან რომ მახლდეს გონჯი სხეული,
მიმქრალი მზერა, უცეცხლობა და უალობა...
გასაკილია, ნუთუ მართლა ლამაზი ფიქრი,
დასაძრახია, პლატონური დონ-ჟუანობა?!.
თუ გულისტკენას არ დავიმჩნევ სხვათა საჩინოდ,
რა არის ეჭვი? შევებმები კვლავაც არწივებს,
ბეღურას ფრთებით დავიფარავ შენზე თქმულ ლექსებს,
დავაფრთიანებ და შვილებად გავინაწილებ.
...სულაც არ ვნაღვლობ წუთისოფლის ბინდისფერობას,
სიყვარულსა და სილამაზეს გავუყოფ ქარებს,
რომ არ შეშურდეთ ჩემი ზღაპრის ცისფერი ცრემლი,
ღამეულად რომ მაგიჟებს და მისველებს თვალებს!..

ლია ალადაშვილი

შენ რომ მყევხარ უფალს ვმადლობ!!

შვილი-შვილს, მარიამს

გაზაფხული სურნელს აფრქვევს,
ვეტრფი ველად გაშლილ ყვავილს,
როგორც ადრე, ახლაც მინდა,
თმაში რომ ჩაგიწნა ვარდი.

გაზაფხულის ყველა ყვავილს,
იასამანს, იას, ნარცისს,
ყველას შენი სურნელი აქვს,
ხარ ფაქიზი მეტად ნაზი,

შენ რომ მყევხარ,უფალს ვმადლობ,
გაიხარე,გამიმრავლდი,
ახლაც გელი,როგორ მინდა,
თმაში რომ ჩაგიწნა ვარდი!

უფალი კვლავ შეგვეწევა!

მიწაზე ფეხი გიდგია,
ხნავ,თესავ,იმკი მოსავალს,
შენი მარჯვენის ჭირიმე,
რომ გაახარებ მომავალს.

ასე შრომობდნენ ოდიდგან,
ყვაოდა ტურფა ბაღნარი,
ნერგი ხარობს და მრავლდება,
დარგული მამა-პაპანის.

უფალი კვლავ შეგვეწევა,
და დაგვილოცავს მომავალს,
მაღლით მზეც სხივებს უგზავნის,
ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას!

გული სათუთია!

გული სათუთია, თქვენთვის თუ უთქვიათ,
მაშ სხვის ჭრილიბას მარილს რად აყრით?
თავისი ტკივილი გულს ისეც ჰყოფნია,
არ შეახსენოთ არ გინდათ,არა ღირს!

და შენ კი ქარო, ისევ არ იშლი,
უმატებ ისევ ტკივილს ჭრილობას,
დაჰქრიხარ ძლიერ,აღარ მასვენებ,
გრძნობებს კი ჩემსას, კვლავ გზას უხერგავ!

* * *

მითხარ, მითხარ,ჩემო მზეო,
რად ეფარვი შავ ღრუბლებსა,
მირჩევნია ანათებდე,
ჩემი ქვეყნის მთას და ველსა.

სჯობს სხივები შენი მწველი,
გულსა სითბოდ მომეფინოს,
ჩემს ქვეყანას მშვიდობა სურს,
ქარი დაჰქრის,აღარ გვინდობს!

დაილოცოს უფლის ძალა,
მადლსა მისსას ყველა ვფერობთ,
იდიდე და გამთლიანდი,
ოდით გმირო, ქალდეველნო!

* * *

გულს ეკლიანს ნუ გაიხდით,
მზეს შეხედეთ პირმომცინარს,
ქ იშპობაში გაყვანილ დროს,
უფალი ვერ დაგვილოცავს!

ამიტომ სჯობს ერთმანეთის
გვქონდეს რიდი,მოკრძალება,
რაც ჩვენი თავისთვისა გვსურს,
ის სხვასაც არ მოსჭარბდება.

გზა ვეძებოთ ერთურთისკენ
სიყვარულის გავდოთ ხიდი,
მამულისთვის გავისარჯოთ,
მადლი შეგვეწევა დიდი!

უფალმა იცის!

ერთი ვარსკვლავიც არ ენთო ცაზე,
მხოლოდ ვხედავდი ნახევარ მთვარეს,
ისიც შავ ნისლებს ეფარებოდა,
ნებით მისდევდა ყორნისფერ ღამეს.

გული მეტკინა, გავოგნდი ძალზე,
ღამეც კვნესოდა ვარსკვლავთ გარეშე,
ან მთვარე რისთვის მემალებოდა?
დაფიქრებული კი ვარ მას შემდეგ.

უფლის ჩანაფიქრს ვერვინ მიხვდება,
მხოლოდ მან იცის, ვის გულში რა ძევს,
შენ, ნუ დაგეგმავ, უფალმა იცის,
ისიც, მზე როდის ამოვა ცაზე!

ვუძღვნი ძვირფას ქალბატონს გულნაზი ხარაიშვილს

მთაო, გთხოვ, გულში ჩაგეკვრი,
არ მოგცილდები წამითა,
კარგად ვგრძნობ შენსა სიდიდეს,
ავი ვერ გაგეკაროსა.
მინდა,რომ წამლად დავედო,
დაჭრილსა შენს გულს ბევრჯელა,
მე არ მაშინებ სიმაღლით,
ფიქრობ, ვიქცევი ჯეჯილად,
მაშინ კი მოვეფინები,
შენს მკერდს იად და ენძელად!

* * *

გაოგნებული ფრთხიალებს ფიფქი
მიხვდა, რომ ზამთრას ვეღარ მოუსწრო,
სულს უსხეულოდ სირცხვილი ჰყიდის,
სული-ჩემია, სხეული-მისი...
თოვლი ვერ რჩება ტოტების ლეწვას,
მიხვდა, რომ მარტმა ღალატიც იცის.
სათქმელს აშკარად თვალები ჰყიდის,
თვალები– ჩემი, სათქმელი-მისი...
განწირულ ამინდს ბოდიში უჭირს
იცის, მოკვდება იბრძოლოს რისთვის?!
სიშორეს ყველა გზაზე ჰყიდიან
გზები-ჩემია, სიშორე-მისი.

მთაო!

მთაო, გთხოვ, გულში ჩაგეკვრი,
არ მოგცილდები წამითა,
კარგად ვგრძნობ შენსა სიდიდეს,
ავი ვერ გაგეკაროსა.
მინდა, რომ წამლად დავედო,
დაჭრილსა შენს გულს ბევრჯელა,
მე არ მაშინებ სიმაღლით,
ფიქრობ, ვიქცევი ჯეჯილად,
მაშინ კი მოვეფინები,
შენს მკერდს იად და ენძელად!

ღვთისმშობელს შევთხოვ!

მთვარე მიყურებს ფიქრებით აღვსილს,
გრძნობს, რომ გულში მაქვს ფარული სევდა,
თუ კიდევ შერჩა ძალა ამ ჩემს გულს,
ცისა მნათობო, დავრჩები შენთან,
გულის წუხილსაც გაგიზიარებ,
ვიცი სულ მალე ჩემს გულთან მიხვალ,
ღრუბლებსაც მინდა, მინდა ვეწვიო,
წვიმად ვეპკურო ჩემს მშობელ მიწას.
ხეთა ფესვებს, რომ მივცე სიცოცხლე,
გამრავლდეს ერი ჩემი ქვეყნისა,
ღვთისმშობელს შევთხოვ, მის ფერხთ დაჩოქილ,
გამთლიანებას თვისსა ერისას!

****

ბურუსში ეხვევა ცისა ლურჯი ფერი,
ბუნება წუხს და ძალზედ სევდიანობს,
უკვე ვეღარ ვუძლებ ქარიან დღეთა რიგს და
ლამის ეს გული კი დარდით გამებზაროს!

თინა სტეფლიანი

სიყვარულია მთელი ცხოვრება

უფლის დიდებით
ვცხოვრობთ და ვსუნთქავთ,
უფლისგან მოდის ყველა სიამე,
სინანულს თუ კი ვერ გამოვხატავთ,
ფუჭია ჩვენი ცხოვრების დონე...
– რა არის განა ცხოვრების აზრი?!
რომ სიყვარულით
გვითენდებოდეს,
არ იყოს შური, ღალატი ბოღმა,
და ერთმანეთის ბოროტი წყევლა...
– სიყვარულია მთელი ცხოვრება
გვიყვარდეს გვწამდეს ჩვენი საჯიშე,
რა თავში ვიხლით სხვის ია ვარდებს,
თავზე გვემხობა ლამის ჩვენ რწმენა...
– თავისუფლების მარში ვამღეროთ,
ზეცას ვუკურთხოთ მრწამსი ჩაკრულოს,
ლაჟვარდებს მივწვდეთ სულის სიწმინდით,
ღმერთმა სიყვარული გაგვიადვილოს
❤❤❤❤❤❤❤

არასოდეს დამივიწყო

არასოდეს დამივიწყო გევედრები...
პაემანი პირველი ხომ კარგად გახსოვს...
რამდენ სითბოს და სიყვარულს მოვეფერეთ,
იმედები უმოწყალოდ აგვიცრუეს.
ლამაზ დღეების მოგონებად დამრჩი მხოლოდ.
– ირგვლივ იყო ბოროტების ცრუ მანქანა...
მთავარია კარგადა ხარ ღმერთს მადლობა.
სიყვარული უკვდავია არა კვდება...

ჩემი სიმშვიდე❤

ჩემი სიმშვიდე გაგაოცებთ ბევრ
თქვენთაგანს,
შინაგანად მე არა ვარ გაცოფებული,
არ ვიკლავ თავს დროებითი აღსაჭურვებით,
შორს ვიხედები ვიყო
უფრო დაჯერებული.
– ლამის წამლეკოს ბოროტმა თვალმა,ღამის წყვდიადში,
გამოანათოს ნეტა მათთვის გული გაუთბოს...
აღარასოდეს დაუგუბდეთ ბოროტად თვალი,
გამოუფხიზლდეთ ეს გონება,შიშით დამფრთხალი...

ყვავილივით გავიფურჩქნები

გაზაფხულის ყვავილივით გავიფურჩქნები,
შევიმოსები თეთრ სამოსით პატარძალივით...
ჩემი რითმები გამაცილებს საკურთხევლამდე,
და დამახურავს ყვავილების დაწნულ გვირგვინებს...
– ოო რამდენ ღიმილს გავიღებდი დილა ადრიან,
მზეს დავასწრებდი,სიკაშკაშით გავეჯიბრები,
ყველას თვალებში იმედების სხივებს ჩავაქსოვ,
გულის სითბოთი ავუვსებდი დაჭრილ იარებს...
– რამდენ სიყვარულს ვაჩუქებდი,ირგვლივ სამყაროს,
ღია ფერებით დავხატავდი მტრების არმიას,
შევაყვარებდი თავს სათუთად მზაკვარ ურჩხულებს...
ბოლოს ჩავკეტავ ცხრაკლიტულში
სულ მთლად გავთელავ...
-გვეყო ოცნება ესეც ხომ ცოდვაა,ახლა ხომ მარხვაა...
მაგრამ რაღა ვქნა,
ვის მივმართო,ვინ შევაწუხო?!
მე მხოლოდ ღმერთს ვთხოვ...
 მინდა სამშობლო იყოს ჩემი თავისუფალი
და არა ასე მონასავით დატყვე ვებული...
– სამშობლოვ ჩემო როდის იქნება
რომ ჩაგაცვათ თეთრი სამოსი,
ოდითგან ჩვენ ხომ შავ სამოსს ვიცმევთ
მტრისგან არ ვიყოთ შეწუხებული...
– და მაინც მუზა თეთრ
კაბას მაცმევს,
გულსაც სათუთად ამიფრიალებს,
ჩვენ ხომ ღმერთის გვწამს, რომელიც მეფობს...
თავისუფლებით დაგვაჯილდოებს...

* * *

ა– ღდგომა ხომ
სიცოცხლეა რწმენის.
ღ– ამე არა, დღე
ნათელი სხივის,
დ– ასრულება უთავბო
ლო შიშის...
გ– არდაქმნა და ზეიმია ნიჭის...
ო– რმაგდება სიხარუ
ლის განცდა...
მ– არადიულ იმ ცხოვ
რების აღქმა,
ა– მ აღდგომის მარად
იულ ცეცხლით,
ვეფერებით საქართველოს ზეცას...

ქართველს თურმე
არ ეკუთვნის ქართველობა....❤

წამოდექი ფეხზე ჩემო საქართველო...
გაგიქციეს,დაგირბიეს შენი სისხლი?!
როგორ ურცხვად გდარაჯობენ დუშმანები...
ქართულ სულში გიფათურეს მათ ხელები...
– როგორ უნდათ მიითვისონ ეს ქვეყანა,
ეროვნებაც დაგვიკარგეს ურდოებმა...
ყველა ერმა თუ იპოვა თავის ბედი,
ქართველს,თურმე არ ეკუთვნის ქართველობა?!
– მთელ სამყაროს განუზრახავს ქრისტეს მოდგმის,
მითვისების ისტორიის ფარსირება...
ნუთუ ვეღარ გაიგეთ და ვეღარ მიხვდით...
ამ სიწმინდეებს,ქართლის გული რომ იტევდა...
– ყველაფერი ნათელია,ამა ქვეყნის,
ისტორია გაგვიძარცვეს,დაგვიმალეს...
მაგრამ ღმერთმა კარგად იცის ვის ეკუთვნის...
ქართველს ჯვარი ვერ წაართვეს, ფესვებშია...

* * *

გაზაფხული შემიკერავს,ჩითის კაბას,
ულამაზესს,ყვავილებით მორთულს,
მოხდენილად ტანზე ვირგებ მზის საჩუქარს,
ღმერთის მიერ ამ ბოძებულ რითმებს...
– სიმღერასაც მაწერინებს გაზაფხული,
და ვღიღინებ გაზაფხულის მოსვლას,
სიმბოლურად ყვავილს მაწვდის უცხოელი,
სიყვარულად გადავიქცე მინდა...
– ძარღვებში სჩქეფს სიყვარულის ნაკადული,
ვულკანივით ამოფეთქვა სურს,
რა შეედრება ერთგულებით სავსე გულებს,
როცა ვინმე სიყვარულით გიმზერს.
– ჩამიქროლებს მუზა თეთრი თაიგულით,
გულის გულში სიყვარული დუღს,
დაგვიფასებს ჩვენი რწმენა, ჩვენი ჯვარი,
მთავარია ჩვენ ხომ ღმერთის გვწამს.
– მარხვით ლოცვით ჩვენ შევხვდებით გაზაფხულებს,
აღდგომაც ხომ მოგვდგომია კარს,
მაშინ უფრო გულით სულით ვიზეიმებთ,
ქრისტეს ჯვარი სულ გვინათებს გზას...
– თავზე გვირგვინს რომ დავადგამთ უფალ ქრისტეს,
ყვავილებიც ძირს დახრიან თავს...
ეკალ– ბარდებს არასოდეს გავაკარებთ,
უფალ ქრისტეს,ძლიერ ვუყვარვართ...

* * *

კვლავ მესმის ტაში,აპლოდისმენტი,
ძველი ოცნება ზღაპრად ავკინძე...
მაგრამ მიწიერ ჯილდოს არ ვეტრფი,
ზეცად მიმავალს,თუ კი ვეწამე...
– ჩემი ოცნება ვფიქრობ ახდება,
თუ ვუერთგულებთ თამარს უწმინდესს,
სამყაროს სანთლებს ავუნთებთ ისევ
და საქართველოს კვლავ გავაბრწყინებთ...

ირინა ბერიანიძე

ია ხიდაშელს

*

შეგხედავ და მკაცრი ჩანხარ,
ჩაცმაცა გაქვს შესაფერი,
ნიავივით რომ დაქრიხარ,
მენატრები! მენატრები!
ჩემო თბილო მეგობარო,
რომ მატყვევებ თვალთა ისრით...
მებრძოლო და მეომარი,
მორიდებით თავს რომ გიხრი!

ქსნის ხეობის ნოსტალგია

*

სევდა მორეული დავიარები და...
ფიქრით მივუყვები გზას,
ქსნის ხეობაა ჩემი ტკივილი და...
არას ვენდური სხვას.

როცა ვიხსენებ იქ განვლილ დღეებს,
დაბურულ ტყეთა ხედებს,
მთები რომ გავდა გოლიათ დევებს,
ვარდები ლამაზ დედებს.

ზანგურაანთში
დანგრეულ ოდებს,
ხავსი მოდებია ბზას,
ქსნის სიყვარული მახსოვს და მომდევს,
მოგონებები მკლავს.

გულს ვიიმედებ
ის დღეც დადგება,
ლოცვით ლექსის
ყანწს ვსვავ...
სისინა ქარი ისევ ჩადგება
ვიხილავ ლამაზ ქსანს.

პრომეთე

ღმერთმა პრომეთე მიტომ დასაჯა,
ადამიანებს ცეცხლი
რომ მიცა,
მეც ბედისწერამ
მწარედ დამსაჯა,
სულს კი უფალი იცავს

ნონა გაფრინდაშვილს

ქალი ლეგენდა მსოფლიოს იპყრობს,
ჭადრაკს თამაშობს გონით,
მის წინააღმდეგ
ოციც რომ იყოს...
მოგებული აქვს ომი!

თამუნა სამქანაშვილს

მწვერვალია შენი ლექსი,
ანათებს როგორც ცისკრის ვარსკვლავი,
გალობა არის
ნანინად მესმის,
მტრისთვის კი არის
მიწის საფლავი.

ცეცხლია, ცეცხლი, აალებული,
ჰაერი არის...
დილის ნიავი,
ენგური არის აღელებული,
მტერს რომ დახვდება ბევრჯერ სიავით!

*

აღტაცებული გემით შევცურე
კონოს ტბის ტალღამ წვეთი მაპკურა,
რა მექნა დარდო, შენი შემყურე,
ცრემლები აბა გულს რას განკურნავს.

საქართველოა ჩემი სახატე,
რიწას ვამსგავსე ტბა სიკამკამით,
გულში იმედი გადმოვიხატე,
ჩამოვისვენე
ტბასთან იმ ღამით!

*

მე პოეტად თავს
არა ვთვლი,
არცა ვფიქრობ დიდობაზე,
ჩემი გულის დარდებს დავწერ
ჩემი ფიქრის კიდობანზე.

მინდა ყველას გამოვუტყდე
შინაგანად
გულს რა ყინავს,
მარტო ოჯახს არ ვგულისხმობ,
სხვისი ტკივილებიც მტკივა.

ძლიერ ქალად რომ მომნათლეს,
არ მემჩნევა თითქოს დაღლა,
ცრემლ-ქვითინში
ხშირად ჩამთვლემს,
გულის შიგნით
ვმალავ დამღას.

სულ არ მინდა შეცოდება
რომ მიყურონ დარდიანი,
ნურც მავთული მომედება,
დიდი ეკალბარდიანი.

ნანა წვიროველს

წლიდან წლამდე სულ რომ ველი.
ჩემი ნანას დღეობას,
გულ გახსნილსა და ძალზე ჭკვიანს,
ჰქონდეს კეთილდღეობა.

ქალი დედა საყვარელი,
ნანა არის რჩეული,
მღერის, ცეკვავს ტკივილს გვქრობს,
ხალხში გამორჩეული.

შენს გვერდში ვარ თუ დაგჭირდე,
გოგონების აღმზრდელო,
სიყვარულსაც მსურს დაგპირდე,
ტკივილების განმდევნო.

იმ გოგონებს გიდღეგრძელებ,
შენებრ კარგს და ჭკვიანებს,
სიტყვას აღარ გაგიგრძელებთ,
ნამდვილ ადამიანებს

დალოცვილი მინდა იყო,
შვილთა შვილში გამრავლდი,
ასი წელი აქ მსურს იყო,
მერე უფალს ჩაბარდი!

არა ვნებდები

მე არ ვნებდები
განვლილ ცხოვრებას,
განსაცდელი რომ მომივლინა უგულო ბედმა,
იმ დარდის აღმარდს ტკივილები არა შორდება,
არ იდარდოვო, გამიღიმა იმედის მტრედმა.

ნანა გიგუაშვილი

რობაიები

* * *

ასე გარბიან წლები ღვიძილში,
ემიგრანტობას ბოლო არ უჩანს,
ეს მერამდენედ აყვავებულმა
დაიყვავილა კიდევ ალუჩამ,
მე კი კალენდარს აღარ ვუყურებ,
დასათვლელ დღეებს თვალი გადურჩა.

* * *

ვერ გაარკვია ვერავინ იასამნების სურნელი,
ბევრი აღმოჩნდა ვერაგი, ავი სურვილის მსურველი,
ის დარჩა სხვისი ფეხსაგი,
მე კი ყვავილზე მზრუნველი.

* * *

თუკი ვტირი, არ გეგონოს სუსტი ვარ,
მე ღიმილი უფრო მეტად მამშვენებს,
შენ რომ ანგრევ, მოვყვები და პირწმინდად
იმ ნანგრევებს სიყვარულით ვაშენებ.

* * *

როგორც არუნდა გტკიოდეს,
როგორც არუნდა გიჭირდეს,
სულში წუხილით გციოდეს,
ბედს ორი გროში გიჭრიდეს,
არ გაბოროტდე არასდროს,
ბოლო წუთამდე ითმინე.

* * *

ჩაფიქრებული გზას მივყვები, მზე ჩალეულა,
შენ კი უსახურ ამბებს ყვები გულგალეულად,
მთებს შეარყევენ ეგ სიტყვები და მზის ამოსვლას,
არის თუ არა სინამდვილე ცეცხლის გარდმოსვლა.

* * *

ვარსკვლავად გსურდა ცაზე ყოფნა?
– მოხველ ბალახად.
კამკამა წყლობაც არ დაგცალდა,
იქეც ტალახად.
ვაჰმე რარიგად აირია ჩვენი ცხოვრება,
როგორ გართულდა ამ ყოფიდან სულის ცხონება.

* * *

კარის კაკუნზე თუ არ გაგიღეს,
ანჯამებიდან ნუ აჰყრი კარებს,
თუ შენი სითბო არ გააღვივებს
მის გულში სიტყვად ჩათესილ კალებს,
თუ შენი ნახვით არ გაიხარებს,
თუ არ შემოგხვევს შენს კუთვნილ მკლავებს,
კარის კაკუნზე თუ არ გაგიღეს
ანჯამებიდან ნუ აჰყრი კარებს.

* * *

წლებია ერთად მოვდივართ,
ერთი სიცოცხლით ვივსებით,
მე სიტყვა მყოფნის ლოდინად,
უფალში ვრჩები ღირსებით,
შენ კი ბოროტად აზროვნებ
სატანის ქსელურ ფიქრებით.

* * *

სარცხელით უნდა გაიხეხოს შენი გონება,
რომ იმ საღვინე ქვევრებივით ამოსუფთავდე,
წუთიც არაა, რა მოკლეა ჩვენი ცხოვრება,
გადარჩენილი ჩასუნთქვიდან ამოსუნთქამდე.

* * *

ძველი ძონძივით მოისროლე სიტყვა უღირსი,
ცილისწამება, დამცირება, ლანძღვა – გინება,
რაც არ გეკუთვნის ნუ მიიღებ სხვისი წადილით
და შეიგრძენი გამარჯვების დაგვირგვინება.

* * *

სულ სხვისი შურით, ბნელი გონებით
დახვალ ბოღმისგან ამორჩეული
და ვერ მიმხვდარხარ ეშმას მონებით
უცბად დაბერდი, დარჩი ეული.

* * *

მარადიულნი როდი ვართ,
ერთი წამია ცხოვრება,
ის საიდანაც მოდიხარ
კვლავ გელის სულის ცხონებად.

* * *

რა ცხოვრებაა, დაგემალე საცდურო ვერსად,
ისედაც ვიცი, შენს თვალში რომ არა ვარ არვინ,
მე უფალი მყავს ჩემი სულის უძლეველ მწყემსად,
მერე რა, თუკი შენს წინაშე დავპატარავდი.

* * *

რატომ ვიჭრით მისთვის ვენებს,
ვინც ვერ ხვდება ვინ ვართ მართლა,
შენ მის გულში მზეს აშენებ,
ის კი ცოდვის ძაფებს ართავს.

* * *

ბრაზისგან გეტყვი რომ არ მიყვარხარ,
თვალებზე ცრემლი დაგადგამს ნათელს,
ტაძარში შევალ შენი გულისთვის
და ისევ შენთვის ავანთებ სანთელს.

* * *

შეურაცხყოფა ჩვევად გქცევია,
უმადურობა წესად ცნობილი,
კეთილი ბოროტს არ გაქცევია,
შებრალებია მასში ცოდვილი.

* * *

ვეღარსად ვპოულობ სიმართლეს,
სამყარო გამხდარა ცბიერი,
თვალები ეძებენ სინათლეს,
წყვდიადის ქარია ძლიერი.

* * *

რად აგიჩემა ოხერმა,წყევლა ვინა თქვა კაცისა?
რად არ ეშინის უფლისგან თავზე დამტყდარი მეხების,
შენც ხომ მასავით შვილი ხარ, ამ მიწისა და ამ ცისა,
ვინ მისცა ნება შენს სულში ასე უხეშად შეხების.

* * *

ამ გაჩერებულ დროს,
ქვებით დასეტყვილ გვამებს,
სიხარულს დარდი ძმობს,
ცრემლები მივსებს თვალებს,
რა საცოდავად თმობს
სიცოცხლეს – ციდას, მტკაველს.

* * *

არ უკითხია ვის გამო და რის გამო სჯიდნენ,
უსამართლობას მიიჩნევდა უფალის ნებად,
უმეცრებაში გამოწყობილ უსახურ მიზნებს
მოყვებოდა და ასრულებდა უხარისხებლად.

ფესტოსის დისკო

შენი დიდების საუფლოა ზღვაც და ხმელეთიც,
ისიც, კრეტაზე სამარხებში რაც იმალება,
ქალაქ ფესტოსში სამარხების ფენას ვეხები-
თიხის დისკოზე ამოტვიფრულ იდუმალებას.

ეგეოსური მისტერია გვიხმობს შორიდან,
კოლხურ წარწერას პროტოქართულს ღვთის ენად თვლიან,
კირბებზე ადრე შემონახულ ხრისოგრაფიას,
თიხის დისკიდან ამოტვიფრულ ფიგურებს თლიან.

ეს ღვთისმშობელის საგალობელს "ნე-ნანას" ნიშნავს,
7ამ დამწერლობას ჩვენი ფესვის ნაწილი ერთვის
გადამალულა უფლისადმი ქართული ნიშა,
ფესტოსის დისკო, უძველესი ენა და ღმერთი.

უფალო

სიხარულის ცრემლებით დაგინამავ ნაბიჯებს,
გულის ძახილს მოვყვები შთაგონებით უფალო,
ქართულ გენზე ვერასდროს ვერვინ ვერ დააბიჯებს
და ბედნიერს გიხილავ ერო თავისუფალო!

განახლების ეპოქა დადგომია გონებას
და სიახლეს თანდათან შემოგვაჩვევს სამყარო,
ღმერთო, შენ მომასწარი ერში რწმენის ქონებას,
უამისოდ ხორცისგან სული ჯერ არ გამყარო.

წუხილი

სული აივსო ღვინის თასივით,
არდატეული ლექსად ვაქციე,
წუხილი მახლდა მუდამ ნავსივით,
ზურგი ვერავის ვერ შევაქციე.

ქართულ ფესვებში ჩავყევ წინაპართ,
ყველა სიტყვაში სიბრძნე ისმოდა,
დღეს კი არც იცის ზოგმა ვინა ვართ,
ვერ მოვუშალე იმ ზოგს მისნობა.

ნიღბების ზღვაა დატბორილ გულზე,
გადალივლივებს, თან მოჩანს ფსკერი,
ვენახის ლერწით ვილოცე სულზე,
მერე კი ჯვარზე შემოვიბსკვენი.

დაშხეფებულა მინდვრის ღანძილზე
ფაფარაშლილი ქაფქაფა თერგი
და შემოზრდილა წლების მანძილზე
პაპის დარგული სიცოცხლის ნერგი.

მაგრამ ამ წლებმა ვეღარ გაუძლო,
გაუკუღმართდა ნერგის ნაყოფი,
ღმერთო მომეცი მეტი სიცოცხლე –
უფრო ძლიერი, ყველას სამყოფი.

ამ გაზაფხულის
თოვლივით დნება,
წუთში წამივით ქრება ცხოვრება
" და უმეცრების ჭაობში ლპება,
ეს სანატრელი სულის ცხონება"

უნდა გეთქვა

კანი ჭკნება, თმა თეთრდება,
გულსაც ძლიერ უჭირს ფეთქვა,
წლები ერთად აფეთქდება...
ნეტავ თავის დროზე გეთქვა.

აპრილები ისევ მოვა,
ოქტომბერიც გათენდება
და დარდების დიდი გროვა
ერთ სიტყვაში განელდება.

ნეტავ თავის დროზე გეთქვა,
რად ატარე ტანჯვის კავი,
ათის ტვირთი ზიდე ერთმა,
მაინც მოგიხურა კარი.

ამ წლებს ნეტავ რაღა ჰქვია,
გამოცდა თუ განსაცდელი?
თუმცა არის ძლიერ გვიან,
აღარც დრო გაქვს დასაცდელი.

კი ბატონო, დაამთავრე
ბოროტ სულთან ერთად კვდომა,
თავსაც ძალა დაატანე
წამოიწყე ფეხზე დგომა.

და ამოთქვი, რომ განახლდე,
დრო თუ დაგრჩა, იცის ღმერთმა,
დათმენისთვის რომც ამაღლდე,
მაინც გეტყვი: უნდა გეთქვა!

მარტო ხარ

სანამდე შენში ეშმა დაობდა,
შენივე ნებით ტვინი დაობდა,
მერე სულამდეც შემოაღწია
და ცნობიერში გული დაობლდა.

ახლა მარტო ხარ, მარტივით დარჩი,
გააპრილების სურვილის დარდში
და არშობილი ბავშვივით დგები
აპრილის თვესთან დახურულ კარში.

დამაგვიანდა

თმენამ წაიღო ჩემი სიცოცხლე
გული ტკივილით დანაღვლიანდა,
რამ დაგამძიმა ნეტავ ვიცოდე
ეგ გული როგორ დანაგვიანდა?

ცრემლებით სავსე რომ არ ვიწვოდე,
ბევრჯერ ტკივილმა ამაღრიალა,
რომ ვერ დაგტოვე, მინდა იცოდე,
პირველი დღიდან დამაგვიანდა.

სიზმარი

ჩამოვტირე ტირიფზე პოეტური სიმშვიდე,
თვალქარიშხალაყოლილს სევდის ბინდი მახურავს,
ველოდები, უფალი გულს როდის დაიმშვიდებს,
ტკივილების დარაბებს ჩემში როდის დახურავს.

უხმოდ ვზივარ კარავში და ვოცნებობ თვალღია,
მწველვარსკვლავებმოჭედილ ცას შევახო ხელები,
ეს ბავშვური ოცნების ჭა შრმომრჩა თავღია,
შიგ ჩავარდნილ მთვარესაც ჩაჰყოლია ვერხვები.

ჩვენი მისია

ბუნებაც უბრად დაგვიდგა, არარა გვამცნო არაგვმა,
რას გვაბოლებენ ტყუილში, რა უნდა გვითხრას არაკმა,
სუნთქვაც კი ისე გაჭირდა, ჰაერს გვაწვდიან არაკმარს,
გარეთ მშვიდობას თესავენ, შიგნით მართავენ დანაკვლას.

ვერ გავუფრთხილდით ღვთის სიტყვას, სიკეთის მქნელი ვერ ვნახე,
ჭრაქმა ერთთავად მოაშთო ვენახიც და მევენახეც,
მთაზე მთვარემხარშედგმული წუხელ სიზმარში მენახე,
უცხო მიწიდან მტირალი, ახლოში ვერ დაგენახე.

დრო უსასრულო ფიქრია, ფეხს აოლილი ნამქერი,
ყოველდღე იქნებ თავს ვკითხოთ, დღეს სასიკეთო რა ვქენით?
ამ სამყაროში მოსულნი ნუ შევიქმნებით ლაქები,
ადამის მოდგმა ვამძლავროთ ქართული გენით ნაქებით.

შემთხვევით კიარ მოვსულვართ, ჩვენ მოგვყვა ჩვენი მისია
დედამიწელის სახელიც და ქართველობაც ღვთისია,
სამყაროს გულიც ჩვენა ვართ, ჩვენით აქვთ, რაც კი სხვისია,
დედაღვთისმშობლით კაშკაშებს ყველა ვარსკვლავი ცისია.

ღმერთისგან გვერგო ყუფლება ადამიანად გაჩენის,
დროში აქ ყოფნის მისიაც არის უფლება გამჩენის
და რად ფიქრობენ მავანნი, თითქოს აქ იყვნენ დამრჩენნი,
უფალი მართალს წაიყვანს, მიწას დარჩება ნარჩენი.

მზია გირგვლიანი

საქართველო და სვეტიცხოველი

საქართველო და სვეტიცხოველი
განუყოფელია რწმენის მიწაზე.
სვეტიცხოველი რწმენის ადგილია,
ოდითგანვე ეს სიმართლეა.
ქრისტემ დალოცა ტაძარი
ქრისტემ არასდროს მიატოვა,
არც არასოდეს დატოვებს მარტო!
დალოცვილი მიწა მართალი.
უფლის რწმენაა აქ დავანებული
სწორედ ამიტომ ამ მიწაზე,
მტრებმაც ვერ იბატონეს ვერასდროს.
ღვთისმშობელი და ანგელოზები,
სიწმინდე კვართის, ცა ნათლისფერი
რწმენის ტაძართან არიან,
დღისით და ღამით.
საქართველო და სვეტიცხოველი
განუყოფელია მარად.

ქართულო ენავ

ლოცვით მოჰყვებათ საუკუნეებს
გმირთა სურნელი
ყაყაჩოებს კი კრწანისის ველზე
სისხლის ფერითა
კვლავ იგრძნობ გულით იმ ძალას
ასე რომ ქუხდა
ნუთუ ვერ გრძნობ ფეხს რომ
აბიჯებ
ცრემლით და სისხლით დადებულ
ქვაზე ჩატნეულ სიცოცხლეს
კედელს დიოდა ცრემლი და ისე
მემატიანე ერთგულად მოვიდა
დღემდე ჩვენამდე.
დიდი სიბრძნე შემოგვინახა,
ოდესმე რაც კი ყოფილა ჩვენთვის.
გზა იმ ტაძრისკენ და დღის სინათლე
ქართული ანბანით, ლაზარეს ენით,
ლოცვებით.
ცრემლად დაღვრილო, ქართულო მიწავ,
ლოცვად ამოთქმული, მადლიანო ენავ!

წუთისოფელი

ქარი ალიონს სიჩუმით ფიქრებს
ახვევდა გულის ფერებით.
დაღლილი ფიქრი სიცოცხლის ბრძოლას
ჯიუტი ნისლებით სიკვდილთან ცდილობს.
ღამევ შენა ხარ მესაიდუმლე ავკარგის,
იყავ სულგრძელი ფიქრს აცალე წუთისოფელი.
გადაუქროლებს ცივი ქარი,
გაძარცვულ ხეებს სიჩუმით,
თითქოს ფუნჯით ხატავს იდუმალს,
უსასრულო წამის ამოხსნას.
გადაღლილი ლოდინით ჩამოივლის,
შვება, სულის ლამაზ ზმანებად.
სურვილებს ისევ, ქარის მოხვეტილს,
ნამქერებში მოაგროვებს მემატიანე
ჩრდილში ბწკარებად.
ბედის ვარსკვლავი ისევ გაკრთება
ცის ჰორიზონტზე,
სინანულის უსასრულობა მიჰყვება
დროს ფიქრებით, ოცნებების
ნათელ ფერებად იზეიმებს.
ფიქრებს სიჩუმით ქარი ალიონს ახვევდა,
გულის ფერებით სულის სიმშვიდეს,
აცალე წუთისოფელი.

მიწავ ქართული

ფესვებ მაგარო, მიწავ ქართულო
ცაო ფაქიზო, სულთ ნათელო.
მუხავ ძლიერო, ოდითგან დაღლილო,
სანთელო დაღვრილო, ლოცვად ნათელო.
ლოცვის ძალაა, დედა ქართველო
უდრეკი რწმენის, წმინდა ტაძრების.
იყავი მუდამ სადიდებლად.
იდექი ფარად, ლოცვის ძალავ.
სიამაყით დავდგეთ ჩვენს მიწაზე
დავიბრუნოთ ჩვენი მიწა,
მამა-პაპის სისხლის შეღებილი.
ჩვენი მიწა, ძველი, სული ქართული.

გაზაფხულის ზეიმია

გაზაფხულო გადაშლილო, ძოწისფერო
ჩემი ქვეყნის.
სურნელ ბაღთა აპრილების, მაისების
წვიმის თქეშო.
გაზაფხულო აღუღუნე მადლით
კალთა, იღუღუნე.
ამღერდება ხმა მთლის წყალთა,
მთიდან დაშვებული.
გაზაფხულო ია-იავ მოფენილო,
სურნელებად.
კრძალვით გიხრის გული თავსა
კვირტის ღიმილ ბაგელალსა.
ნაზო ყვავილობავ ტყემლის,
ალუბლის და ნუშებისა.
ეს სამყარო მოგიქარგავს ფერად
ფუნჯით წამსა.
ზეიმია ფერთა გაზაფხულო.
მთებში კესანები მორცხვად ყვავიან
ჩემი მთების ლურჯი კესანების
სურნელება უნაზესი, სიყვარულის ზეიმია.

ქართველო

ისევ იქუხე ვით ელვა მთებში
ამოთქვი ერის სათქმელი,
ზვავად იხუვლე
საით მიდის გზები ნათელი...
დაიყივლე როგორც არწივი
ხევებს ექოდ გადადინდება
ფრთების ტლაშუნი.
უფალს ავედრებ შენს ქვეყანას
მუხლზე დამჯდარი,
მხოლოდ წინაპართა სულის
ფერება გრჩება!
მართალია სიტყვა ნათქვამით
ყველა ქართველი
სახეს ფერებად ვერცხლის ფერი
დაგვდებია,
რად ირჩევ დუმილს!
მაინც მიჰყვები ჭენებას ბედის
გულით სნეული შენი მიწა
გიხმობს ქართველო!
უფლის ვედრებად რომ დაუბრუნდე
ფესვებს მუხისა!

გულის ხმა

გულის კარნახით, წუთებს ვერ წაშლი,
ამას ვერ შეძლებ.
სევდა გაწვება წარსული წლების,
დათოვლილ მხრებზე
სიცოცხლის მოციმციმე სხივი
დაფიფქულ სულის,
იწვევს თავდავიწყებას სიყვარულისთვის,
სიკეთეს გულით თესავს.
სხვის საქმეში ყველა ბრძენია,
რა ადვილი საპოვნელია სხვის
თვალში ბეწვი.
ცხოვრება გასავლელი ბეწვის ხიდია.
ორომტრიალში გარბის დღეთა
სუსხი შეუჩერებლად.
ჩვენს გულისხმას ჩვენ თვითონვე
აღარ ვუსმენთ.
ამაოება უკვე გახდა აუტანელი.
ცხოვრების საჭე ხელში იგდეს,
მიაქანებენ უფსკრულის ფსკერზე.
მარადისობა წუთიერებას ანაცვალეს.
გულით მწადია ვიქცე მიწად,
რომ მოვეფინო რითმებად
ჩემს მთებს და მამულს!

აფხაზეთში დაღუპულ

როინ გირგვლიანს

შენ აფხაზეთს იცავდი
რწმენითა და სიმტკიცით
ცაში იმ ბედს მიყავდი,
გმირობით და სახელით.
ქართველს როგორც მეგობარს,
არ შეგეძლო ღალატი,
დღეს შენ როგორც მეომარს,
ყველა დედა დაგნატრის.
სიკვდილის თავლში ჩახედე,
არ შეშინდი ტყვიასთან,
ჯერ ღმერთს მაღლა ახედე,
მერე გაქრი ნიავთან.
საქართველო ამაყობს
დიდი გმირის სახელით,
თითქოს ზღაპრის არაკო
ღმერთთან გმირად წახვედი!

იზოლდა ნიბლაძე

საძიებო სისტემაში

მზის სისტემის და ვარსკვლავთა რიგში ვდგავარ,
არ დავიწვი... პროტონების პროცესს ვზვერავ,
ნაწილაკებს უსათვალოდ ისე ვხედავ,
რომ ოცნების სახვალიო ბუშტებს ვბერავ...
გვერდით მიდგას ოქროსფერი მთვარე, მშვიდი,
გენიოსურ აზრებს მიკრეფს დედამიწის...
მე ცა მინდა, ვარსკვლავეთის ლურჯი ქნარით,
მზის ფეხებთან მოძიება ნატვრისთვალის!..
ზეციური წესები და სტრუქტურები
აუხდენელ ღამის სიზმარს დაემგვანა,
რადგან ყველა გონივრული, რეალური,
კვლავ ადამის საეჭვო აზრს დაემყარა...
ისევ შავფერ დედამიწას დავუბრუნდი,
მნატრობდა და... გულიანად გაიხარა,
რომ სამყაროს საძიებო სისტემაში
ვერაფერმა ვერ აჯობა ჩემს ქვეყანას!..

უკეთესი თქვენ მითხარით

თვალი მინდა ორბისა და გული – ნაზად მოსაფერი,
სიტყვა მადლიანი მინდა, დრო და ჟამის შესაფერი,
მდედრი არწივივით, ცაში სიყვარულის გამომწვევი!
საქმე მინდა სამოყვრო და ვერაგ მტრისთვის ზარდამცემი,
ძალა – გამწეველა ხარის, მზერა – მოოქროვილ მთვარის,
გულის სითბო – სამაისო ვარდისა და მზისდაგვარი,
სადღეგრძელო – უფლისდარი,
გულქართული და მართალი,
დამილოცეთ მამული და...
უკეთესი თქვენ მითხარით!

ივერთ ნათებისთვის

მადლი მოისხა მთვარემ ზეცაში
და მზეს დაუთმო ადგილი თვისი,
სიცრუით სავსე ზენა ქარებმა
კვლავ დაიკავეს ადგილი სხვისი...
მზე, ღვთის ნებაზე ალიონს ქარგავს
თეთრი ღრუბლების ლურჯი თვალებით,
მოლოდინისგან აივნის კიდეს
დედაჩემივით გადმომდგარებით...
ყველა ამინდზე ბავშვობა მიჭვრეტს,
გულუბრყვილობის რითმების მზერად,
რა სწრაფად გარბის ხელიდან კარგი,
როგორ ტაატობს ტკივილი, ნელად...
დროსა და მიზანს, მავნეს თუ მისანს,
წუთით ეყოფა შევლება ხელის,
ბნელი ღრუბლებიც ჩამოიხსნება,
ოღონდ სუფთა და ჯანსაღი გენით...
შენ გადმოგვხედე ქართველებს, ღმერთო
და უძლეველი ბანით გვილხინე,
ას წელს არ წავალ ამა ქვეყნიდან,
ივერთ ნათება თუ არ ვიხილე!..

დედაენას

აბა, მითხარით ერთი ქვეყანა,
ძეგლს რომ უგებენ დედაენასო,
მაშ რა ვუთხარი ჩემი სამშობლოს
აუგის მთქმელს და ვაგლახ მდევარსო...
ენავ, ქართულო, შვილივით ტკბილო,
ღრმავ, უნაპირო და თავმდაბალო,
შენი მდიდარი წარსულის თვალწინ
თავი მორჩილად უნდა დავხარო!
გუშინდელის და მომავლისათვის
მადლობა ღმერთს და ბედისმწერალსო,
რადგან არ ვიცი ქვეყანა, სადაც
ანბანს არქმევენ დედაენასო...
ენის სიტკბოთი, გულის სითბოთი
მარგალიტების ცის ნამს მოჰგავხარ,
სწორედ ამიტომ, ჩემო სამშობლოვ,
შენი ენის და რწმენის მონა ვარ!
აბა, მითხარით ერთი ქვეყანა,
საკუთარ ანბანს ძეგლს რომ უგებენ,
ამიტომ მიყვარს ჩემი მამული
თავით-ფეხიდან გულის უბემდე!

გზაგასაყარზე

ბავშვობის დღიდან, გზაგასაყარზე ვდგავარ ფიქრების,
მძიმე ტვირთებით მოკიდებული, მწველი ცეცხლივით...
ჩემი საზიდი ტვირთებია... ზურგს ისე მშვენის, –
როგორც მამული, ენა ქართული და რწმენა ჩემი...

ცრემლს ვიწმენდ იმედიანად

ამ ბოლო ჟამის ხმაურზე, ძილი რომ მტაცებს თვალსაო,
ჟანგი ეპარვის კედელზე ვანო პაპაის ხმალსაო...
გული სივდება დარდიან, ხმალი უმატებს ჟრიალსა,
თვალი ლომგულად ხედვასა, ბებერი ძვლები – წრიალსა.
დედა მარიამ მაცხოვარს უქსოვს დიდებულ კვართსაო,
ქრისტეს ნათელით, კვართი რომ დაისავანებს თავსაო,
მცხეთიდან სვეტიცხოველი მომიერთგულებს ქალსაო
და სიდონია ჩემს ცოდვებს შემომივედრებს ჯვარსაო!
ნინო ჯვარს შემოაგელვებს... ზღურბლზე დგას თამარ ქალია,
ქეთევან დედოფლისათვის უკვდავმყოფობის ხანია...
მტკივა და ვეღარ ვაშუშებ ცხრა ძმათა დედის ხელითა,
ვეღარც სანათას შესაწირს შევგებებივარ მღერითა...
ამ ბოლო ჟამის ხმაურზე ძილი რო მტაცებს თვალსაო,
ჟანგს არ შევაჭმევთ ქალები წინაპართ ხანჯალ– ხმალსაო
და მესურვილა გმირ ქალთა საქმენი ქადაგიანად...
მომავლის სანთლის ნათელით ცრემლს ვიწმენდ იმედიანად!

არ დამიტოვო გულში სათქმელი

მიდის გზაწვრილი მარადიულ ჭეშმარიტების,
სამსჯავროს თვალწინ არ იქნება დგომა ადვილი,
სადაც წვრილია, იქ გაწყვიტე საბელი, ღმერთო,
არ დამიტოვო ოღონდ გულში რამე სათქმელი!
გამისისხლხორცე ჩემი ქვეყნის მიწის ყივილი,
გამითავისე ტკივილები კაცთა გულისა,
ნდობა მაღირსე, მეუფეო, შენი და ჩემი
სამარადჟამო, ღვთაებრივი სიყვარულისა!
უსინანულოდ არ დატოვო შვილი და ძირი,
უბრალოებით შეასწავლე სიძვირის ფასი,
მარტოობისთვის არ გაწირო, უძლევი იყოს,
მამულს და რწმენას, საძმოს, ენას, სხვაში არ გაცვლის!
გზაწვრილი ნელად გამოჩნდება,ჭეშმარიტების,
სამსჯავროს თვალწინ არ იქნება დგომა ადვილი...
სადაც წვრილია, იქ გაწყვიტე საბელი, ღმერთო,
არ დამიტოვო ოღონდ გულში მართალ-სათქმელი!

ქალს, დედას და პოეტს

რა ძლიერი პატრონი ხარ, ღმერთო, ჩემო,
რა ძალა გაქვს, რა ნათელი, ჩაუმქრალი,
თუმცა, შენი საკადრისი, ღვთივმეტყველი,
მადლით სავსე სიტყვა ერთხელ ვერ
გითხარი!
უგულობით დამსხვრეული ოცნებები
აფროდიტეს ცრემლთან ერთად
გადავღვარე,
სინანულით, აღსარებით, სიყვარულით
სახვალიო ბილიკები რომ დავხატე, –
სასურველი გზის სწავლება მერგო წილად,
სიყვარულში გამარჯვებულ ნობელიანტს,
გმადლობ, ღმერთო, ერთარსებავ და
სამებავ,
ქალს, დედას და პოეტს რადგან მეძახიან!

ნათია ჯიქურაშვილი

ის შენს ლექსებშიც...

არ გაიღუნე როგორც ხმალი და...
ყალყზე დადექი როგორც მერანი,
როცა გიხმობდა ქვეყნის ვალი და
შენ ლექსის ბნკარით აქეთ ეძახდი.

ქართველის სისხლი ზედაშეც არის,
ძარღვებში დაგდის ლავის ღვართქაფად,
მშობლიურ მიწის აისს შეჰხარი,
სალოცავია, ის ხომ სხვა ცაა!

"მღვრიემდის ჰოდა გაგვიმარჯოს და!"
სულის პერანგი რაც გვაქვს ესაა
გონება ღმერთმა გაგვინათოს და,
ქართველად ყოფნაც უკვე რწმენაა!

თეთრ ბაირაღებს დრო წითლად ღებავს,
შენი წინაპრის წვეთი სისხლია
დასაბამიდან მიწისთვის რკენა,
შთამომავლობით გერგო მისიად.

დრო ქართლის დედის სხეულში გრგვინავს
გუთნისდედა ხარ ზოგჯერ ნინიაც
და თუ რამ რწმენის, გრძნობისა ითქვა
ის შენს ლექსებშიც გადმოღვრილია.

ღრუბელ-ღრუბელ...

ღრუბელ-ღრუბელ გამოგყვები
ცის ქათიბებს ვიხვევ,
ბროლის ქოში მთვარის ხელში
ვარსკვლავებსაც მინთებს!
მოვალ მთების ასული და...
ოცნებების ფერიც,
ლურჯ მწვერვალებს ისევ ახსოვთ
სიყვარული ჩვენი!
რა ბრიალა ღამე დგება,
მზე ბნელდება მთვარით
და სულ მიწყივ მცვივა ფერხთით
გალაკტიკის ალი!
გავიხადე სამოსელი, სულის ციაგს ვირჩევ...
და ნათელი სხეულს ადგას, საფირონის მძივებს...
ამბორისგან გააჟრჟოლათ და ეს გულიც ხელი
ჰა, გრძნობების საკეტური, შეამტვრიე ბჭენი!
მოდი ელვად, მოდი გრგვინვად
ცა რომ გახსნა ისე,
სიყვარულის საგალობელს
მზე დისკოში გინთებს...
ხელს შემოგხვევ და სამყაროც
სულს გაიტვრენს მგონი,
შენი ღიმით, გულის ფეთქვით
და ვნებისგან კრთომით.

გავბრწყინდები

მოლუსკებსაც მკერდში უთრთით გული თეთრი მარგალიტი,
მძივად შეკარ, ბროლის ყელზე ლამაზია ღრუბელთ ფითრი.
ცა იმსხვრევა ქარვის მტვრად და ვარსკვლავებსაც აღარ ინდობს,
წამოკრიფე ლელისფერი, ჩამიწანი
სულში ხვითო,
მერე...მერე ჰარპიებსაც ბედის გზები აურიე,
მრუმე სევდა წაშალე და ლაჟვარდები გაურიე.
ბედნიერ წამს არ სჭირდება ამ ცა-მიწის სალოცავი,
ადამიანს აქცევს ღმერთად და ხილვაა საოცარი.
სიხარულსაც მედუზისებრ ნაგრძნობსა
და სისხლად ნაქცევს
ცისფერ ღრუბლებს მივანდობ და
მკვდრის მზეს ბწკარში ამოვავლებ.
დააჩნდება ამ სამყაროს ლექსი
ხსნის და აღდგინების,
გარდამოვხსნი ყველა ტკივილს,
მერე? – შენშიც გავბრწყინდები.

არ თქვა...

მზერის მზეში მიმალულა მალაქიტი,
ძახილია ირმის, ალბათ, მე რომ მწამდა
ცხრა მთას, ცხრა ზღვას თუნდაც მარტო გადავივლი
ქალია და სუსტიაო არა, არ თქვა!
ბროლის ქოშს და ქალამანსაც ფეხზე ვიცვამ,
გააჩნია დროს, ამინდს და თუნდაც ყოფას
სურვილს იქით ღმერთმა უწყის მე რა მინდა
შენს ჩეროში ევასავით მშვიდად დგომაც...
არ იფიქროთ ქალია და ნაზობს რარიგ
საჭიროა?– მთებს გადავდგამ ოღონდ მიხმე,
ამ ცხოვრების დამიდნება წამის წამი,
დააჩნდება განვლილ ნაბიჯს რაიც ვიგრძენ.
ჰო, ვაგროვებ მოგონების ფერად სკივრში,
ვარდისფერი ტრამალების ქართან კვდომას,
რადგან... რადგან ყოველ დროსთან, წამთან ვიბრძვით
ქვიშის საათს სასმისივით დავცლით როცა...
ირმის ნახტომს გასავლელი ემსგავსება
ვარსკვლავებსაც ჩამოწყვეტს და ცაც დამიფენს
ოღონდ მყავდეს, ვინაც მიყვარს, მედარდება
საწირედაც ერთ სიცოცხლეს მტლად დავუდებ...
ქალია და...ჰო ქალია ქვეყნის ძალა!
ალგეთს ლეკვებს გამოუზრდის ისევ მამულს,
ფიალასაც და მახვილსაც იღებს რადგან
მტერ-მოყვარის დახვედრისთვის ესეც ძალუძს.

ნათელა ხარაიშვილი

* * *

მრუდე ხარ წუთისოფელო,
მტანჯველო, მართალთ სულისა.
უნდა ვიხაროთ, მოსილა
დრო შენი აღსასრულისა.

ყველა ნაბიჯზე თუ გვხედავ,
ვართ მწარედ ნამტირალები,
ვალში არ გრჩებით, გატყვია
კაი ყმის ნატორალები.

ზლაზვნით მიათრევ ბილწ სხეულა,
ძველებურად ვერ ვერაგობ,
წამოგესივნენ სულები,
რა პასუხს აძლევ ჰელადოსს.

უამრავ სიბინძურეში
ნათითხნი, გადარეული
სამსჯავროს კართან დგახარ და
პასუხს გთხოვს დევგარეული
ცის ნამს მოჰყვება დილის მზეს
პირიმზისა და მთვარისა,
კვლავაც გვყავს ლომის ბოკვრები,
ბაში-აჩუკის გვარისა.
ბამბიქულებად გამრავლდნენ
მარიტას სულის სადარნი,
ბოლო ჟამია, გიზგიზებს
შენთვის ნკვერჩხლ-ღადარი.
აღარ იქნება დანდობა,
გონს მოსვლა დიდხანს გაცალეთ,
შზამით ავსილი ფიალა,
უკვე ბოლომდე დავცალეთ.
კიდევ რამდენ ხანს გაგვიძლებ,
შენი სადგომი მომპალა?

მამა ნიკოლოზს. მდუმარე ბერს.

შენ მდუმარებით დაამარცხე წუთისოფელი
და დაგვანახე წუთისოფლის ამაოება,
მუდმივ მეგზურად აირჩიე ტანჯვა-წამება.
სინდის-ნამუსით შემკობილი უბრალოება.

მოშიმშილეთა მანანა ხარ ზეცით მოსული,
ვისაც გვწყურია ღმერთთან მისვლა, სულის ცხონება..
ჩვენი ხსნისათვის უკეთესი გზა სად ვეძებოთ,
მაგალითია მხოლოდ შენო წმინდა ცხოვრება.
განღმრთობილ კაცად მოვლენილმა მადლის სისავსით
გადარჩენისთვის უამრავი სული აღძარი,
ცოტაც კიდევ და დაინახავს ქართველი ერი,
ხილულთა შორის უხილავი შენ ხარ ტაძარი.
ოცდამეერთე საუკუნე გაგვიცდა ფეხქვეშ,
ამ ხეტიალში უკეთესი არც მიგვიგნია,
გფურცლავთ, გკითხულობთ და ლოცვებით გესაუბრებით,
შენ ხარ ცოცხალი სახარება, კაცი-ბიბლია

გვეხმარებიან ღვთის შვილნი,
იახსარი და კოპალა..
ადგილის დედაც ყველგან გვყავს.,
დღემდე მითებში შეფუთვით
ყველა ოჯახის გონში დევს
წიგნად გაშლილი ეფუთი.

გამოვიცანით, გავშიფრეთ
შენი გეგმები მზაკვრული.
ხალხს ათამაშებ, იესო
ისევ ჯვარზე გყავს გაკრული.

ვიპოვეთ გადამალული
უთვალცხვირპირო ქაჯებში,
მათი ნაქმნარი დავგმეთ და
გადავამტვრიეთ მაჯებში.
მელქისედეკის მემკვიდრე ქრისტემ
მოგვმადლა ერთობა
და ნატანჯ სულებს გვახარა
ათასწლოვანი მეფობა.

მარინა კოლხელი

დ ი ლ ა

დილით, როცა აივანზე
ჭიკჭიკებდა ჩიტი,
მზე აენთო სიყვარულით
და სიცოხლის ხიბლით.
მომერია, მომეძალა
მონატრება დიდი,
გალობა კი მაამებდა,
გულკეთილი ჩიტის.

მ ი წ ა მ ე

მოდი და ახლა მიწამე,
დამიდექ, თვალს ნუ მარიდებ,
როცა ვიქცევი მიწა– მე,
მაშინ ვერაფერს გავიგებ.
მერე მე შენი ცრემლები,
ვერ დამიამებს ჭრილობებს,
ახლა სჯობს გახსენებები,
ვიდრე მერე რომ ვიგონებთ.

****

არ დავიღლები სიყვარულითა,
მეგობრის თვალებს სხვას ვერ ვადარებ,
ერთი პატარა, ციცქნა გულითა,
მზიან სამყაროს თან დავატარებ!

მარტის მზე

სული, გული იგონებს,
მზე დამიდგა მხარში,
ისევ ვაწყობ სტრიქონებს,
სიყვარულით პწკარში.
გაზაფხულის მზესავით,
გაზაფხულის დარში,
მე შენ გამოგიგინე,
სიყვარულის მსგავსი.
მარტის მზე დამთამაშებს,
ღრუბლებს ავსებს, ხან შლის,
ვიგონებ და ვაცოცხლებ,
ამ ცხოვრების აპრილს.

ვ ე ლ ო დ ე ბ ი

ველოდები იასამნის გაყვავებას,
როცა სულში შემოაღწევს ის სურნელი,
სწორედ მაშინ, როცა რაღაც შეიცვლება,
სწორედ მაშინ, დიდ სიყვარულს როცა ველი.

როცა კვირტი დაუსკდება იასამანს,
თვალს გაახელს ყვავილებით ეს ყლორტები,
ვაკვირდები, ვაკვირდები ციმციმა მარტს,
და ახლიდან ვიბადები, ვმეორდები.

დავბრუნდები, დამიხვდება ნაომები,
და ტკივილებს გააბრუებს სურნელება,
ველოდები დაბრუნებას, ველოდები,
ია, იასამნები რომ აყვავდება.

ველოდები იასამნის გაყვავებას....

დ ე დ ა ს

თვალთაგან მცვივა ცრემლების წვიმა,
ბავშვურმა გრძნობამ ამიყოლია,
დედა მინდა რომ სიტყვები გითხრა,
რაც არასოდეს გაგიგონია.
ბაგეს რომ სწყდება საქები სიტყვა,
სიტყვა უთქმელიც კალამს მობმია,
დამეწერება, რაც კი რამ მითქვამს,
სულს ამოქარგავს ასე მგონია.
დედა ჩემთან ხარ და აქვე დგეხარ,
თუმცა ჩვენს შორის გზები შორია,
მე მოვფრინდები და მუდამ შენთან
დავრჩები, როგორც ზღვასთან თოლია.

თინათინ ხაბურზანია

გზის საყარზე

შევდგომივარ ამ ცხოვრების აღმართს,
აღარ ვიცი საითკენ სჯობს წასვლა.
მე ვერ ავცდი ბედისწერის მათრახს
და სიმშვიდეს ვერ ვეღირსე წამლად.
    სიყვარული, ქართველობა მწამდა,
    დღეს ვერ ვარჩევ ამ ცხოვრების ავ-კარგს.
    ვინც ვერ შეძლო დღეს მგლის ქურქის ჩაცმა,
    პირს ჩალა-გამოვლებული დარჩა.
გზის საყარზე დაბნეული ვდგავარ,
რა იოლად იკვლევს ზოგი სავალს.
ვინც სიცოცხლეს შეეწირა მართალს,
გული მაინც იმ გზისაკენ მძალავს.

გახსოვდეს

ვუძღვნი ჩემს შვილიშვილს გიორგის

გახსოვდეს! შენ მომავლიდან ვინაც,
მოდიხარ იმედად და ხატად ღვთისა,
შენს მამულს დაღლილს ბრძოლებში ჯერაც,
შენ მოუშუშებ ჭრილობებს მჯერა.
    გახსოვდეს! რომ შენს ძარღვებში ივლის,
    ნავარდით გმირი პაპების სისხლი.
    ხორცს დაგიმძიმებს ნაკურთხი უფლით,
    გამობრძმედილი ბრძოლებში სული.
გახსოვდეს! ეს მზე, ეს ცა და მიწა,
ალით მტრობისა, რომ გადაიწვა,
შენ უნდა ზიდო ვით მძიმე ჯვარი,
წინ მიგიძღოდეს სიმართლის კვარი.
    გახსოვდეს! ეს მთა, ეს მინდორ-ველი,
    მორწყული ოფლით, სისხლით და ცრემლით.
    ვაზის ჯვრით, რომ აკურთხა ნინომ
    იმ დღიდან ლოცავს ვაზსა და ღვინოს.
გახსოვდეს! რომ სხვა ქვეყნებში ძველად,
ხალხი ჯოგად, რომ დარბოდა ველად,
ამოვარდნილი მუზების თქორად,
ვეფხისტყაოსანს წერდა აქ შოთა.
    გახსოვდეს! რომ ქეთევანის სხეულს,
    ერის სიწმინდის საზომად ქცეულს.
    სახეს ზნეობის და ქალის მოდგმის,
    ნუ გაცვლი იაფად ნაყიდი გრძნობით.
გახსოვდეს! სხვა ერს ვერ ნახავ ვერსად,
სად მამა შვილს ნებით წირავდეს მსხვერპლად.
სააკაძეთა გმირობა მსგავსი,
დედამიწაზე არ ახსოვს არვის.
    გახსოვდეს! მტერი უღირსი სულის,
    გვეხვია მუდამ, ვით მუხას მუმლი.
    მაგრამ იმდენი გვყავდა ჩვენ ცოტნე,
    მედგრად ვხვდებოდით ურდოთა ტომებს.
დღეს, თუ ჩაივლი კრწანისის ველთან,
გულს არაგველთა მოგიკლავს კვნესა.
გაცვეთილი ბრძოლებში გმირების ხმლები,
აღმართულან მიწიდან ვითარცა ჯვრები.
    გახსოვეს! იყო დრო ჩვენს დედა-თბილისს
    ასიათას გულიდან სდიოდა სისხლი.
    რწმენა იყო სიცოცხლეზეც კი მეტი,
    გაოგნებულან ამ გმირობით მტრებიც.
გახსოვდეს! ხარ შვილი იმგვარი ქვეყნის,
სად იჭედება გმირების ხვედრი.
ვერ გაპატიებს მივარდნას ძილად,
შენც გმირის ძილით გეძინოს ფხიზლად.
    გახსოვდეს! უწმინდეს ზარის ხმას ტაძრის,
    შენ ჟრუანტელად, რომ გრძნობდე ტანში.
    ატარე უფლის ტაძარი გულით,
    გადაიტყავე შენც მისთვის მუხლი.
შენ! მომავლიდან მოდიხარ ვინაც,
ზედ ჯვარს გაკრული მამულის შვილად.
გახსოვდეს! ხარ მისი იმედის სხივი,
მას სჭირდება შენი ოფლიც და სისხლიც.

მარეხი რიკაძე

* * *

ყველა თავისს დააჭენებს ულაყს,
ყველას თავის სადარდელი დააქვს,
სხვის სატკივარს როგორ იგრძნობს თუკი
ტკივილების მდინარე და ზღვა აქვს?
ყველა თავის წისქვილის ქვას ლესავს,
თავის გულის ვერ პოულობს წამალს,
ის ჭრილობას როგორ დაგიამებს,
თავის სისხლით სავალ გზას რომ ნამავს?
ყველას თავის სასთუმალზე სტანჯავს
უსასრულო,უსაშველო დარდი,
აბა იგი როგორ გაიხარებს
შენს სულში რომ აყვავდება ვარდი?
გულიანმა ღიმილებმა იკლო,
როგორ ყალბად იღიმება ყველა?
აიჯაგრა ჯოჯოხეთის ბჭენი,
თავს დაგვჩხავის მიმინო და ძერა!
თითქოს ფერი გახდა მხოლოდ მუქი,
დაიკარგა თითქოს ფერთა გამა,
თითქოს წარღვნამ წაიყოლა ხიდი,
აქეთ დავრჩით,ვეღარ გავალთ გაღმა!!

ცუდი ფიქრები

სულში მიღიტინებს მარტოობა
ნერვებს აედევნა ფიქრები,
ასე თუ გაგრძელდა ეს უკუნი
ალბად მალე აღარ ვიქნები

ახლა აეშლება საღერღელი
ყველა ტკივილსა და იარას,
ისევ აირევა შავი დარდი
მგონი შხამით მივსებს ფიალას

ჩემს წინ გადიშალა უკუნეთი,
წყვდიადს ვეფერები ეული
თითქოს არ მადარდებს საით წავალ,
თითქოს ამას ვარ შეჩვეული

მერე ჩაიქროლებს ბედისწერა,
თითქოს ვერ შემიცნო თავიდან,
მერე მოტრიალდა უკუღმართი
ზღვაში გადამაგდო ნავიდან..

მერე სეირობდა ჩემს ტანჯვაზე,
იმას ეგონა რომ ვკვდებოდი
მაგრამ რაიცოდა უგუნურმა
ფეხზე ნელნელა რომ ვდგებოდი

მერე დაცინვაში გათანგულმა
ცელი გადაიგდო მხარზე
მე კი ფენიქსივით წამომდგარი
წინ დადვუდექი გზაზე...

ცხვირში ვადენინე რაც აქამდე
ასე უსაშველოდ მაწამა,
მერე გავიგე რომ სიხარულით
წვიმამ დედამიწა დანამა,

ახლა ამ ნაომარ ტრამალებზე
დილის გარიჟრაჟი ფრთებსა შლის
მაინც შემეცოდა ბედისწერა
სული რომ დიოდა კვნესაში

ფეხზე ავაყენე და ვუთხარი:
ახლოს არ გნახოთქო არასდროს
იცოდე რომ ადამიანში
სიცოცხლე ყოველთვის ნავარდობს!

მერე ის გაიქცა და დაიკარგა,
მისი სულ არამაქვს დარდი,
ნუთუ შევძელი რომ უკუნეთში
ეშმაკს მე მოვუგე ფანდი?!

ელენე ზურაბაშვილი

* * *

შენ ანგელოზი ყოფილხარ
სიცოცხლე შენი მოკლე ყოფილა.
აატირე მშობლები შენი,
რომლებიც იყვნენ ცოტახნით შენი.
ღმერთმა თავისთან უმალვე გიხმო
შენი თავი ჩვენ არ დაგვითმო.

სევდა

გული მიტოვებულ კარად დამრჩენია,
სულში სიცივეა სადღაც.
ჩემში შეციებულ გრძნობებს დასთოვია,
ვინმე დამიტოვეთ კართან...
ღმერთო გამიფანტე ჩემი ტკივილები,
გზაო დამენახე სად ხარ?!
იქნებ გავიღვიძო და ეს ყველაფერი
სიზმრად დარჩემოდეს სადღაც.
გრძნობებს დასთოვია,
გესმით რა თოვლია,
იქვე ქარბუქია სადღაც.
გულო გაუძელი კართან გაზაფხული
ჩუმად გიკაკუნებს, სად ხარ?!

სოლო

მე ვცეკვავ სოლოს და წვიმის წვეთები ცეკვავენ ჩემზე,
ეს ის ვალსია ორის სხეულს რომ ელის.
ნაბიჯს დაითვლის ჩემი გულის ნოტების ძგერა,
ერთი, ორი, სამი ვტრიალებ ნელა.
მე ვცეკვავ სოლოს მაისის თვეში და ვმღერი.
მე ვცეკვავ სოლოს , ბაგე ჩემს ღიმილს ელის.
მე ვცეკვავ სოლოს და წვიმის წვეთები ცეკვავენ ჩემზე,
ეს ის ვალსია ორის სხეულს რომ ელის.

პატარა გიორგის ხსოვნას.

რჩეული ვიყო ,ვითომ და რატომ?!
რჩეული ხომ ერთია მარტო.
მე მარტობა არ მინდა მარტო...
ეგოისტი ვარ? შენ ფიქრობ რატომ?!..
მოდი იყავ ისევ შენ კარგო,
რჩეული კაცი ამ ქვეყნად მარტო!

* * *

მე ამატირა ცხოვრებამ,
მწარე ხიბლმა, დამონებამ.
მე ამატირა იმ ყოფამ
უსასრულობის ბილწყოფამ.
მე ამატირა ომობამ,
ხალხის ტანჯვამ და მონობამ.
მე ამატირა იმ ხალხმა,
რომელთაც უნდათ მშვიდობა.
მშვიდობა მშვიდი და არა ფლიდი.
ღირსება ქართული, მარტოა ასული
და ეძებს დიდების ვარსკვლავს მაღალ მთებზე.

* * *

ღამეა,ქუხს ელვა ცას ანათებს.
მათ სხეულს კი ქუხილი ანათებს.
ორი ქალ-ვაჟი ერთმანეთს ეხვევა,
როგორც ვაზი ხეს შემოეხვევა.

ჩემი სამშობლო

ჩემი სამშობლო საქართველოა...
მე კი ქართველი ქალი.
დროშა მიჭირავს იმ სიმაღლეზე ,
რომ მტერსაც დაესოს თვალი.
მე ქართველი ვარ
საქართველოსთვის მუდამ ვიდგები მედგრად...
ჩვენი სამშობლო ჩვენი სახეა,
საქართველოსთვის მუდამ!
ჩვენ ჩავიბარეთ ახალგაზრდებმა,
ასე ვატარებთ მუდამ!
ჩემი სამშობლო საქართველოა,
მე კი ქართველი ქალი.
დროშა მიჭირავს იმ სიმაღლეზე,
რომ მტერსაც დაესოს თვალი.

* * *

არ დაივიწყოთ, შვილებო ერი
და მოვუაროთ ვითარცა დედას.
გვიყვარდეს ხალხო სამშობლო ჩვენი,
სამშობლო ერთი პატარა მტრედი.
გავშალოთ ფრთები ავფრინდეთ ღმერთთან
და ვეზიაროთ უფალსა ერთად.
დიდება ჩვენს სამშობლოს ერთხმად.
საქართველოსთვის ვილოცოთ ერთად.

* * *

ანგელოზები ჩემს საწოლთან იკრიბებიან
და მიგალობენ ტკბილ იავნანას.
მეც განაბული მივდობილვარ მათ
და ვიძინებ, როგორც თოთო პატარა.
სიმღერა წყდება, წყვდიადი რჩება
და მარტოობა ისევ მე მრჩება.

მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე

ყოჩაღ ბიჭებო

გაერთიანდა დღეს საქართველო,
ახდა დიდი ხნის ხალხის ოცნება,
თქვენ გაიტანეთ ნანატრი ლელო,
ღვთის ძალით მოხდა ეს საოცრება.

ყოჩაღ ბიჭეო! ბრძოლა საჩვენო,
ქართველს მუდამ რომ უქებს ღირსებას,
კვლავაც მსოფლიოს უნდა აჩვენოთ,
საქართველოს მზის ამობრწყინება.

გამარჯვებისთვის გმადლობ გამჩენო,
რადგან ყოველი ზეცაში წყდება,
ქართული სული მარადჟამს გვენთოს,
ევროპელობა ჩვენგან იწყება.

დღეს გამარჯვების მთებს შეძრავს ექო,
ქართველ არწივებს მხარბეჭიანებს,
ეს თავგანწირვა ბედად რომ ერგოთ,
ღვთის დიდი მადლი აერთიანებთ.

ბრძოლის ყიჟინამ მუდამ იჭექოს,
ქართული დროშა ლაღად ფრიალებს,
თქვენ გაიმარჯვეთ, ყოჩაღ ბიჭებო
და საქართველო გაამთლიანეთ.

ისევ ამღერდები

ასე ერთიანი მინდა საქართველო,
ასე ბედნიერი მინდა ქართველები,
ხმები სიხარულის მიწვდეს მთას და მდელოს,
ღამე სიყვარულით გვქონდეს ნათენები.
მუხტი ვაჟკაცური აღარ გავანელოთ,
სანამ არ მივაღწევთ მიზანს არ ვჩერდებით,
ქართულ ცას და მიწას ნათელს და სამზეოს,
ერთ მუშტად შეკრული შვენის ქართველები.
გული სიყვარულით ისე ავამღეროთ,
ძმობით მარად ვიყოთ ხელით საჩვენები,
რათა მტერს და ორგულს კვლავაც დავაჯეროთ,
ტოლს რომ არ უდებენ ვინმეს ქართველები.
ვისი გორისა ვართ მსოფლიოს ვაჩვენოთ,
მკლავში სისხლი გვიდუღს ისევ გახელებით,
სული ბობოქარი უფლისგან კვლავ მხნეობს
და ვწერთ ისტორიას გმირი ქართველები.
ისე მტკიცე ვიყოთ, რომ ვერ გადაგვთელონ,
ძმობით, სიყვარულით კვლავაც დავმშვენდებით,
ასე ერთიანი მინდა საქართველო,
ასე ბედნიერი მინდა ქართველები.
ტკივილს დაიამებ ჩემო საქართველო,
ფეხზე წამოდგები, ისევ გამრთელდები,
გყვანან არწივები მუდამ სანაქებო,
გწამდეს გამარჯვებით ისევ ამღერდები.

უფალი მეფობს

კალმით დახატულო, ჩემო საქართველო,
ისე ვით ლაზარე მკვდრეთით კვლავ აღსდგები,
შენთან ზამთარიც კი მუდამ გაზაფხულობს,
გული გაქვს წმინდა და მუდამ ლამაზდები..

მინდა მტერს და ორგულს ისევ დავაჯეროთ,
ოდითგან სისხლში გვაქვს საგმირო საქმენი,
დროა ერთად ყოფნით სამყაროს ვაჩვენოთ,
თავად უფალია ჩვენი გადამრჩენი.

ვინც გებრძვის იცოდე,უფალთან პაექრობს,
ახლა დრო არ არის ზიზღის და განცდების,
აღდგება ძლიერი აქ უფლის სამეფო,
რადგან ღვთის ხელშია მისი გასაღები.

ისევ დაიბრუნებ კუთვნილ მთას და მდელოს,
მტრებმა რომ წაგგლიჯეს ხელების ცეცებით,
ისევ გაიშლები მხრებში სანატრელო,
გწამდეს,რომ არასდროს არ გადავშენდებით.

სიყვარულის ღმერთი

ჩემი სულის სუნთვა ვიცი კარგად გესმის,
ქვეყნად სხვა მიზანი ან რა უნდა მქონდეს,
მინდა გულში მყავდე სიყვარულის ღმერთი,
წუთით ამ მტოვებდე მარტო არასოდეს.

ზოგჯერ ჩვილ ბავშვივით ამიყვანე ხელში,
წუთისოფლის საცდურს ასე ამაშორე,
მაგრამ მაინც თუ კი მადლობთ ღმერო ვერ ვთქვი,
ისევ ზრუნვით მათბობ და თვალს არ მაშორებ.

ვცდილობ აღვასრულო კრძალვით ადათ-წესი,
ყოველი წამისთვის მინდა ღმერთს ვმადლობე,
პეშვით სიყვარულის სადღეგრძელო შევსვი,
ღმერთო შენი მადლი მზედ რომ დამნათოდეს.

ქვეყნად მოსვლის არსი,ასე მწამს და მესმის,
ნიჭი სიყვარულის ფარად უნდა მქონდეს,
მინდა ლოცვას ჰგავდეს ყველა ჩემი ლექსი,
სული ღაღადებდეს უფლის საგალობელს.

ასი წლის მამას

ლამაზი წლები სიყმაწვილის ომს შეალიე,
წუთისოფელმა ლამაზ ვაჟკაცს ასე გარგუნა
და ხუთი წელი სტუდენტური ფრონტზე გალიე,
მამულს დაუდექ პირტიტველა ერთგულ მსახურად.
შენ ასეულით მიიწევდი სულ წინა ხაზზე,
დაგჭრეს, დგებოდი ვერ შეგაკრთო ნასროლმა ტყვიამ,
ნამუსის ქუდი ვაჟკაცურად გეხურა თავზე,
სინდის ნამუსი არასოდეს გაგიყიდია.
გამარჯვებული დაუბრუნდი მშობელ ქვეყანას,
ოთხმოცი წელი სულ სიკეთის გზაზე გალიე,
ჩვენ გვერდით იყავ დიდ იმედად ჩვენ რომ გვეხარა,
მამავ უტკბესო სიყვარული ჩვენ შეგვალიე.
შვილ მომავალი გამგრძელებლად სიცოცხლის გყვანან,
გადაეცემა სიყვარილით კიდევ პატარებს,
ჩვენ შენი გულის ნაწილი ხომ იმედად დაგვაქვს,
კეთილი კაცის ნაკვალევი მარად ანათებს..
დღეს საუკუნე შეგისრულდა ძვირფასო მამა,
თუმცა ბევრი მაქვს საყვარელო შენთან სათქმელი,
უფლის წიაღში ინეტარე მამიკო მარად,
არ მოგკლებოდეს ზეციურში. უფლის ნათელი.

გაზაფხული კაბას იკერავს

დილა გათენდა,საოცნებო სხივებ მფინარი,
გახსენ სარკმელი მზე შემოვა გულში იმედად,
არ დაიდარდო,ჯერ ცხოვრება კარგო წინ არის,
ხედავ?მზემ სხივი სწორედ შენთვის გამოიმეტა.
იყავი მშვიდი, ბედნიერი ,სახე მცინარი,
წუთები ჰგავდეს ცისარტყელას ლამაზ შვიდფერას,
დარდი ვის არ აქვს,შენ ნათელი გქონდეს მიზანი,
დატკბი მშვენებით, გაზაფხული კაბას იკერავს.
შეხედე ამ დღეს,თვალწარმტაცს
და სხივებ ნაშუქარს,
ეს სილამაზე შენ მოგიძღვნა რომ გაგახაროს,
ერთი სიცოცხლე შენ უფალმა მოგცა საჩიქრად
და სიყვარულით დაგანახა მთელი სამყარო.
მადლობდე უფალს,მოგცეს იმის ნიჭი, შეძლება,
დარდით და ბოღმით გული რომ არ დააზიანო,
გწამდეს,სიცოცხლე სანუკვარი ერთხელ გეძლევა
და სიყვარულში გაატარე ადამიანო.

დედა

შენ რომ არ იყო ამ ქვეყნად დედა,
საყვარელო და ასე ლამაზო,
ვინ ჩამიკრავდა თბილ გულში ნეტავ?
ვინ დახატავდა ჩემთვის სამყაროს.
სიკეთის წყარო შენა ხარ დედა,
დედავ სიცოცხლის ტკბილო ზღაპარო,
ბედნიერი ვარ როცა შენ გხედავ,
მინდა რომ გულში თბილად გატარო.
შენში ღმერთს ვხედავ ყოველთვის დედა,
მიტომ გიკოცნი მაგ ლამაზ თვალებს,
რა შეედრება შენ ალერსს ნეტავ
და ჩემთვის ნათქვამ ,,შენ გენაცვალეს."
ძალას მაძლევ მონღიმარს რომ გხედავ,
სიყვარულით გაბრწყინებულ თვალებს,
ვიცი თუ კი რამეს ვიტკენ დედა,
ტკბილ ამბორით ისევ დამიამებ.
შენ სიცოცხლის მოკაშკაშე მზე ხარ,
გაზაფხულიც ვიცი შენით ხარობს,
შენა ხარ დედა ამ გულის ფეთქვა,
დედა შენა ხარ მთელი სამყარო.

თინა ბასაბაშვილი

იარე რწმენით...

შენი სიმართლით იარე მუდამ,
არ შეუშინდე ძნელად გზა-სავალს,
არ შეგაწუხოს ბოროტის ენამ,
ქვეყნად რა დალევს ავსა და მუხთალს...
შენი სისუსტე არვის აჩვენო,
შენ შენი რწმენით უნდა იარო,
ტაძრისაკენ გზა უნდა მოძებნო,
თუმდაც მთა-ბარი გადაიარო...
შენი სიმართლე შენი ფარია,
განსაცდელისგან იგი დაგიცავს,
სევდა-ნაღველი, რაც კი გქონია,
უმალ გაქრება და გულს განკურნავს...
იწამე ღმერთი და მისი ძალა,
ვერას დაგაკლებს ბოროტის ზრახვა,
თუ რწმენით შესძელ რთული გზის გავლა,
აგისრულდება შენ ყველა ნატვრა...

გაძარცვული დრო...

ოხ, როგორ გარბის, დრო სასტიკი
და ულმობელი,
მინდა გიყვარდე, გამინათო ნარჩენი წლები,
სრულად შევიგრძნო ნეტარება უდიადესი,
მუსიკის ხმაში ჩაიფერფლოს ჩვენი განცდები...
მოგონებებმა ამიშალეს ხვატი ფიქრები,
მოგსდევ გრძნობით და ვერ გეწევი სავალ ბილიკზე,
რა ვუყოთ იმ წლებს გაძარცვულებს
და შევერცხლილებს,
მხოლოდ ხეები მიმიხვდება ამ დიდ ტკივილზე...
უკვე გასულ წლებს, ფოთოლცვენის ბედი სწვევიათ,
ჩამოათოვებს, ვით შიშველ ხეს თავზე დაათოვს,
მიენდობა და გაყუჩდება თოვლის საფარქვეშ
და თავდახრილი დასჯილივით შენდობას ითხოვს...
გაზაფხულდება, ტოტებს გაშლის, ხე ამწვანდება,
ჩვენი წლები კი გაძარცვული, წარსულს ბარდება,
არავინ იცის ვინ როდის და სად დამარცხდება,
არას ვიდარდებ, ლექსის სითბო იქაც გამყვება...
ვარდების ნაცვლად დამიფინეთ ჩემი ლექსები,
შორი გზით მავალს გამინათოს გზები სავალი,
რომ ყველა ლექსით სიყვარულს
და სამშობლოს ვეტრფი,
იქაც სამშობლოს ბედით ვიყო კვლავ დამაშვრალი...
თუ საქართველოს მომავალს და კეთილდღეობას,
მწველი სიკვდილი არ დამაცდის, ვერ მოვესწრები,
იქაც შევიგრძნობ... უკეთეს მერმისს, დაველოდები,
თუ ეს არ მოხდა, ხელმეორედ გარდავიცვლები...

მოდის მაისი...

ოხ, ეს აპრილი ფერთა საუფლო,
უნაზეს გრძნობის ამოფეთქება,
შემოდი ჩემში რწმენით უფალო,
რომ გულმა შესძლოს კვლავაც ფერება...

ნაზი აპრილის... გასხივოსნება
და სიყვარულის საგალობელი,
საოცარია ის ჩუმი გრძნობა,
სულს რომ ანათებს, როგორც სანთელი...

აპრილო, გული წარმტაცე გრძნობით,
მომესალბუნე სულის მეოხად,
ციურ მნათობთა ათინათებით,
ამიყვავილე ვარდი მაისად...

ვარდის კოკორთა ამოფეთქებას,
მშვენის ფერები დამათრობელი,
მოდის მაისი შემოფეთებად,
გზა-გზა იფრქვევა ვარდის სურნელი...

სული სიამით ივსება როცა,
გრძნობ გულთან გულის შემოერთებას,
და სიყვარულის ღმერთი ვითარცა,
გიმონებს, ხიბლავს შენს შთა-გონებას...

მოდის მაისი ზურმუხტ ფერებად,
ნაზად იფრქვევა, სულში მაისობს,
ცას შეერწყმება ხმა ღაღადისად,
მაისი მართლაც ედელვაისობს...

ცრემლიან წვიმებს...

სიცივე აკრთობს,
ფოთლებისგან
გაძარცვულ ხეებს,
დგას მდუმარედ
და ცელქი სიო
ეალერსება,
უგზო-უკვალოდ
მიაქროლებს
ქარი მის ფოთლებს
და თქეში წვიმაც
თავაწყვეტით აედევნება...
სულ მალე ცაში აცეკვდება
თოვლის ფიფქები,
ჩაეხუტება გაშიშვლებულ,
აშოლტილ ხეებს,
დიდი მეჯლისი დაიწყება
მათი გრძნობების,
თუმც მზე და წვიმა
გადათელავს,
მათ ნათელ დღეებს...
შემოაწვიმებს ყინვად
ქცეულ თოვლის
საფარველს,
,,ქალწულებივით''
თავს უხრიან
მიწას ხეები,
თოვლს ცრემლად
აქცევს ბუნება და
წვიმის ნიაღვარს,
გადაუქროლებს
უკვე ზამთრის
ცივი ქარები...

შენზედ ფიქრი ამედევნა...

მე შენ მიყვარხარ
და შენი ლანდი,
ბარბაცით სულ
თან დამდევს,
სულს შეერია
შენი ზმანება,
სხვას ვეღარაფერს
ამჩნევს...
ფოთოლცვენაში
შენზედ ფიქრები,
რად ამედევნა კარგო,
ან რად გინატრე,
გულის ჭრილობა,
რად განვიახლე რატომ?...
იქნებ იმიტომ,
რომ მომენატრე,
გული ვერ უძლებს
განცდებს,
ამტკივდი სადღაც გულის
კუნჭულში,
ძლიერ მიმატებ დარდებს...
ამტკივდი, რადგან
დასავიწყებლად,
არ მემეტები კარგო,
სულით ობოლი
არ მინდა გერქვას,
ვეღარ დაგტოვებ
მარტოს...
შემოგატარებ მთელსა
სამყაროს,
მთებსაც მივაწვდენ ჩემს ხმას,
სიყვარულია ის დიდი ძალა,
ბუმბერაზ მთებს რომ
შესძრავს...

დღეს კი უშენოდ ისევ ღამდება...

ისე ლამაზად, ისე ნაზად თოვს,
ცაში მფრინავი
ფიფქები ფრთებს შლის,
ეს იდილია სულსაც დაათოვს,
თოვლის სითეთრე
უთუოდ შემშლის...
დღეს კი უშენოდ
ისევ ღამდება,
შენს სავალ ბილიკს
გავყურებ ლოცვით,
ნაცნობი გრძნობა
სულში სახლდება,
გულს გული ვანდოთ
ძვირფასო თრთოლვით...
თოვლის ფიფქები
ფიქრებს მომიტანს,
აელვარდება ვით ალმასები,
თოვლის სისოვლე
შენთან მომიყვანს,
მღერის გიტარა,
იწვის სანთლები...
გიტარა უკრავს
ვნებიან სონეტს,
მისი ხმა სულში
სანთლად მადნება,
გრძნობა მომახვევს
თოვლის თეთრ ფანტელს,
გიტარაზე კი სევდა დაწვება...
მუსიკის ხმაზე
გული მოგიხმობს,
იწვიან შენთვის ჩუმი სანთლები,
სიყვარული კი
იმგვარად დამწვავს,
ბუხარს შემორჩა ვით
ნაღვერდლები...



ბეჟან ხარაიშვილი

1974 წ 25 მაისი--
დაუბეჭდავი ლექსი ძველი
ფურცლებიდან

ვინ დაინახე? –

შენ ისევ გაღმა, მე კი გამოღმა,
ჩუმად შენს ნავზე მოვაბავ ბორანს,
კეთილი მზერით გრძნობით დაგმოძღვრავ,
წყლის ტალღებივით ეს გული ბორგავს.

ხანაც ვიფიქრე მოვშორდე ამ წყალს,
რადგან ფეხის ხმა სხვაგანაც ისმის,
...მე სამწუხაროდ ვუყურებ იმ ქალს,
ყველა სიკეთის რომ არის ღირსი.

ანდა რა ვუყო ამ გულის შენს გარდა,
არანაირი გრძნობა არა სურს,
მე განვიცადე ზეციდან ვარდნა
და ავედევნე უხორცო სხეულს.

ტალღებს მოვუსვავ სისხლისფერ ნიჩაფს,
შენზე ფიქრები ბაძაძგნარს მაყრის,
სახის ნაკვთებზე ღიმილი გიჩანს,
ვგრძნობ რომ გულიდან
ჩემს გულს არ გაყრი.

ვინ დაინახე? – გკითხავს რჩეული,
შენ ეტყვი, ღრუბლებს დაუთქორია,
ის კი გეხვევა როგორც წყეული,
მე რაღა ვუყო გულის ფორიაქს?

გადმიშვი მთაო

მე მივდიოდი საქართველოს გამოხრულ გულში--
ვარძიაში და შემაჩერეს უცბად აწყურთან
და თითქოს ურო ჩამარტყეს თავში
და თითქოს იქვე ადგილზე გავშრი,
ჯარისკაცებმა მომთხოვეს საშვი...

ბებერი მტკვარი გაეკრა მიწას
და სირცხვილისგან იწითლა ცამან,
რად არ მოსთხოვეს ხანცდელს საგზური,
უკაცრიელმან ადგილმან ამან...

და ახლა როცა მესხეთ ჯავახეთს,
ასდინდა სუნი ქართველთ სიმცირის,
მე უნდა აქეთ აწყურთან ვიდგე,
ჯიშიან ძვლებზე მკბენდეს სიცივე...
და კარს უღებდეს უცხო ტურისტებს,
ხერთვისი, ხანცთა, ბებერი ტაო,
გადამავიწყე დიდი თურქობა, გადმიშვი მთაო!
1974 წელი

მრავალჟამიერ ჩემო ბეჟანა

არ დაგკლებია გაჩენის დღიდან,
სულის სიმძიმე, ხორცის ჟეჟვა და...
მაინც იცანი ვინ რა ფერია,
მრავალჟამიერ ჩემო ბეჟანა

მთელი ქვეყანა რომ ანაცვალე,
იმათ გაგცვალეს... შენი კვნესა მე
და იმ საყდარში, შენ რომ აღმართე,
გაგინებენ და დანებს ლესავენ.

ვისთვის კვდებოდი, ვისთვის ქრებოდი,
თაფლიც, ო, თაფლიც, ხედავ? გემწარის,
ერთ გაზაფხულსაც ვერ მოესწარი,
ისე დათოვა შენი მწვერვალი.

როგორც მწევარი ირმის ნაკვალევს,
ისე მისდევდი სატრფოს ხმას შორით,
დაეწიე და ნეტავ არ გეგრძნო
ვარდის სუნი და... ვარდს შიგნით – შმორის.

და მაინც გასწი ნუ დაიდარდებ,
გზად თუ არასდროს გამოგიდარა,
ხომ გაიცანი ვინ რა ფერია?!
მრავალჟამიერ
ჩემო ბეჟანა!
1980 წელი

აღდომა მოდის ძმაო,
შენ შენი ლექსებით ცოცხლობ.
30 წლის წახვედი და
40 წელიწადია ზეცაში ხარ.

რა ღამეა

ნება-ნება ადის ნისლი შუაფხოდან,
ლაშარ – გორას ვეღარ აღწევს
ბერი ბიჭურ,
უხმო ზარი ენებს ლოკავს
ან რას სთხოვდა,
ფშავის არაგვს ძველებურად სუნთქვა უჭირს...
ზის ბიჭური მოჭარბებულ
ხმები ესმის
და ბავშობა კარატეს მთას გადუქროლებს,
რა ღამეა!
საქართველო ისევ კვნესის,
ბალღს მოუნდა ლექსებში რომ
განმარტოვდეს.
ხრჩოლავს ლამპა
და თუთუნის ცისფერ ბოლზე
გალაქტიკებს გააქროლებს მოლოდინი,
ხან დაჰკივლებს
ქარიშხალი მწვანე კონცხზე,
ვაჟის სატრფოს წყალი
აკრთობს მოვარდნილი.
მერე ჭიუხვს ვარსკვლავები გადაჭორფლის,
შორს მწევარი აყეფდება გამეტებით,
დიდრონ სხეულს ჩამოწვეთავს სიმწრის ოფლი,
ბედისწერა მოძუნძულობს ხელკეტებით.
იღრუბლება... რა ახლოა დასასრული,
ოცდამეცხრე იანვარი ბოლავს მხრებზე,
– რა გზა მოდის... ნუთუ დადგა აღსასრული,
რას იტყვიან, რას იტყვიან, ნეტავ ჩემზე!

გულნაზ ხარაიშვილი

ცხრა აპრილს დაწერილი

გამძარცვე მოძმევ, არ დამინდე,
იმედსაც მიწვავ,
მივენდე კალამს ფიქრებმა
რომ, აღარ დამღალოს,
გული აკვნესდა ქართვლის დარდით
წუხს დედამიწა,
შეჩერდით მეთქი! ხალხის
სისხლი აღარ დაღვაროთ.
რა ღვთის წყრომაა,
ჩემს მამულში რატომ ბატონობთ,
ტყვიით დაფარეთ
სკვერები და მწვანე ხავერდი,
რაც არ გეკუთვნით
იმას გინდათ დაეპატრონოთ,
არადა ერო, არა მძულდით
ერთად დავბერდით.
ამომიყორეთ ყველა მხრიდან
სამშობლოს კარი,
ქრისტიანებო, ეგებ ახსნათ
რატომ და რისთვის,
სისხლისფერია გარიჟრაჟზე
ბალახის ცვარი,
წვამთ ეკლესიებს ეს კი არის
მაღალი რისკი.
რა ჩაიფიქრეთ, რას მოითხოვთ
ჩვენო რჯულისავ,
მოწამლული გაქვთ
შხამბალღამით მთელი სხეული,
მალე გეწვევათ მსაჯულები
დიდი უფლისგან,
ჩემი სამშობლო მუჭში
რომ გყავთ გამომწყვდეული!

თუ კი მიხმობს

თუ კი მიმიხმობს ფშავხევსურეთი,
მგზავრად გავყვები ფრთა დაჭრილ ნიავს,
მტკვარო, არაგვი იმიტომ გერთვის,
ცრემლით ნაგროვი დარდი რომ მიგაქვს,
გრძნობის სანაცვლოდ ლამაზ ჩარგალში,
დავაყურადებ ღელეთა ბუტბუტს,
წყალსაც ჩავასხამ ნაპრალს ხახაში
და გავამხნევებ ნაღვლიან ბულბულს.
თუ სადმე შემხვდა ობოლი ნუკრი,
დავარწმუნებ რომ ნახავს დედიკოს,
ჩუ, საყვარელო, ყვავილობს ნუში,
იქნებ ირემი მის ჩრდილში იყოს.
ძირს დაგდებული ია თუ ვნახე,
სწრაფლ მოვათავსებ წყლიან ჭიქაში,
წყლით დავუბრუნებ სიცოცხლის სახეს,
მერე? გადავრგავ ისევ მიწაში.
ყველას ვუშველი ტირიფის გარდა,
მას სულ ახურავს მწუხრის ზეწარი,
წარსულის დარდი მეც ჩამისახლდა,
სხვას თაფლი შეხვდა მე კი ნესტარი!

* * *

კარგახანია გარდავიცვალე,
თქვენთვის შვილებო ისევ აღვსდექი,
განა წავედი? ფერი ვიცვალე,
მტერსაც უჩუმრად გამოვადექი.
ვიბრძოლე ასე თავგამეტებით,
ცრემლით ხატებთან ვილოცებოდი,
დამტრიალებდნენ სულის მტრედები,
ეგონათ ცაში გავფრინდებოდი.
შუა გზაში ვარ ჯერ მზე მაღლაა,
მომავლისათვის მწვერვალს ვაშენებ,
ბევრი საქმე მაქვს რა დროს დაღლაა,
ანდა ეს წლებიც რას შემაშინებს!

ვნატრობ

გულში უნდა ჩაგიხატოთ,
რადგან გავხართ ყველა მნათობს,
მე თქვენ ნაირ შვილებს ვნატრობ,
გზა თქვენ უნდა გამინათოთ.
ცისკრის დილას გავხართ ისე,
როგორც მზე გავს თავის სხივებს,
გულის ხმაურს ღმერთი ისმენს,
მეც დაგლოცავთ როგორც შვილებს!

ქართული ენის ანდამატები

მამულს ვუყურებ, ო, ძლიერ დაღლილს,
მისევდიანებს ფიქრს და ოცნებას,
მას ვუძღვნი ლექსებს დამწვარი დაღით,
ვით უკვდავებას და საოცრებას.
ქართული ენის ანდამატები,
მახვილზე მჭრელი ხანაც თილისმა,
ენით მორთული უფლის ხატები,
გულში ჩაიკრა დედა თბილისმა.
ენა რად მინდა მიწის გარეშე,
ან ეს მამული მტერს რად აოცებს,
დე, გადამთელის უცხომ თარეშით,
ერთიან მამულს თუ არ ვაკოცე.
სარწმუნოება თუ შემიცვალეს,
ანდა ჩამძირეს ტიტანიკივით,
თუდათ სულ მომკლან ლოცვა მაცადონ,
შევეწირები შუშანიკივით!

დედაენის ძეგლთან

(თხუთმეტი წლის ლექსი)

დედაენის ძეგლთან ახლოს მდგარი,
ვუყურებდი ქანდაკებას მშვიდად,
შემოგფიცავთ ფიცი არის მყარი
მშვიდობა და სიყვარული მინდა.
რას შესცქერი მაღლა ქანდაკებავ,
რა მადლი აქვს იაკობის მელანს,
ამდენ ომში სული გვიკაჟდება
და მზის შუქად გვეფინება ყველას.
დედა ენავ, გადმრჩენო ერის,
ხმლით და შუბით გიცავთ შემართული,
ლექსებს ვამბობთ თუ ქართულად მღერით,
გალობაა ის შენ ლოცვად თქმული!

ლურჯთვალება

გაზაფხული იის ფერი მიყვარს
ლურჯთვალება ქორფა როგორც ბავშვი,
მომავალი იმ ბილიკზე მიმყავს,
მე რომ მტერზე გავიმარჯვე მაშინ.
მზის სხივები მივაქარგე იმედს,
სამომავლოდ უხუნარი ფერით,
უფლის მადლით გვირგვინს დავწნავ იმდენს,
ყველა იყოს თქვენი შესაფერი!

თავი დავაღწიე

თავი დავაღწიე დიდ ნამქერში,
აჰა, გაგიღიმეთ ძველებურად,
თუკი ცუდი ნახოთ ამ ნაწერში
მიდით შეაფასეთ თქვენებურად.
მარტო ვტრიალებდი ქარის ომში,
ღამით ვიძინებდი გაუხდელად,
ერთი ვიმარჯვებდი მუდამ ორში,
ბედი ამიტომაც ამიმხედრდა.
ოი, როგორ მდია სატიალომ,
გულში ამომწყვეტა ერთი ძარღვი,
ცდილობს ფეხის წვერზე მატრიალოს
ის რომ მომერიოს კბილით დამღრნის.
უკვე გავიმარჯვე სიყვარულით,
გული მადლის კვერად გამოვაცხვე,
ბედს კი არა ჰქონდა სიბრალული,
როცა შემებრძოლა დავამარცხე.
ჯავშნად მისაჩუქრა ღმერთმა ლექსი,
ტყვიაგაუმტარი სიტყვის კონა,
დედის იავნანად ძილშიც მესმის,
ყველა სატკივარი გადაწონა.

მაცადეთ

ვალი მაქვს სიცოცხლე იმიტომ მწყურია,
ყოველ დღე მზეს ვასწრებ თვალების გახელას,
გავურბი ბოროტს და გავურბი შურიანს,
ტვირთი მაქვს ბეჭებზე თუმცა ვარ ცალხელა.

ეს გული გავხადე სიკეთის საამქრო,
მაცადეთ. ნუ მატკენთ თქვენ საქმეს ვაკეთებ,
მტრის მწევარს მივდევ და ... მე უნდა გავასწორო,
სამოყვროდ იმასაც გულს გამოვუკეთებ.

გაკვალულ დიდ გზაზე ლურჯ იებს დავთესავ,
შროშანებს, გვირილებს, ნაზ ფერად კესანებს,
მიმიღეთ შვილებო, მიმიღეთ ასეთად,
არ მიყვარს უმიზნოდ სასმისს რომ შესვამენ.

მიყვარხართ ძალიან მომავალის გზას კვალავ,
ცალ უღლის ტარება ძნელია ნამდვილად,
ეკლები მსერავენ, ვამხელ და არც ვმალავ,
უფალმა ეს გზები სჩანს გამიადვილა.

აბა, მე ვინავარ კეთილი პოეტი,
ცუდზედაც აუგი არასდროს მითქვია,
სიკეთის სათესად მეორედ მოვედი,
დარდებს კი ეს გული სულ გამოუფქვია.

სულის ზიარი

თინათინ უზარაშვილს

აფორიაქდა გული ხელახლა,
ის მოტეხილი ხელი ამტკივდა,
ჩემი ძამიკოს სული მეახლა,
კვალავინდებურად თვალი ატირდა.
ვხედავდი იმ წლებს განვლილს,
გაცრეცილს,
აბობიქრებულს ზვიადს და მერაბს,
ვხედავდი ფოთლებს ადრე დაცვენილს,
გულს რომ იმედით ვერაფრით ვკვებავ.
ბეჟანის ლექსი,,გამოხრულ გულში"
შენი დანახვით მზეს მიეფიცხა,
აქამდე იყო გამოქვაბულში,
თინა მოვიდა?ლექსმაც კი მკითხა.
ამიციმციმდა თვალი ეჭვებით,
გავდი ბეჟანის რაღაცნაირად,
ჩემი ძამიკოს წლების ხსენებით,
რაღაც მსგავსება მეუცნაურა.
ქართული სული, ქართული ენა,
ტრადიციული რწმენა ღვთიური,
გულისტკივილით ის ბევრი ტკენა
ერთად შევავსეთ ხსოვნის დღიური.
არ დამეკარგო სადღაც ღრუბლებში,
გოლგოთის გზაზე მარტოდ მივდივარ,
გადავინაცვლებ შენით იმედში,
ვგრძნობ ჩვენი გზები ერთად მიდიან!

გულის სამყაროს

მარადისობა არის ზეცაში,
დედამიწაზე წუთით ცხოვრობენ,
ჩემი დარდების დროის კეცვაში,
სულის შვილები ერთად მოგროვდნენ.
შენც შეუერთდი გულის სამყაროს,
ვაზის ყლორტივით გადაიწიდნე,
დარდს არასოდეს არ გაეკარო,
ცრემლი თვალიდან ჩამოიწმინდე.
ია-იების მინდვრის ყანაში,
ჩუმად ვტიროდი მეც რომ მტკიოდა,
ანდა რა არის ამ ქვეყანაში,
მეც ვინც დავკარგე არ მოდიოდა.
მოდი, გაგათბო როგორც ბეღურა,
ვგრძნობ დღეს ჩემშია თვითონ უფალი,
მადლი აქამდეც მხრებზე მეხურა,
ვარ ყველა დარდის ჭირისუფალი!

გადაიკარებს

დანისნულ დროში დროს შევუშრობ ცრემლიან თვალებს,
დარდების ნისლებს ვაიძულებ უკან გაბრუნდეს,
გული მიჯერებს მიჩურჩულა ამ დროშიც გაძლებს,
ანდა რას მარგებს ტკივილებით ისევ გავბრუვდე.
წინ!... და არასდროს უიმედოდ უკან მოხედვა,
ბედისწერა კი უკვე ალბათ დარდებს მაკმარებს,
თუკი თქვენც გინდათ გამძლეობის დროში მოხვედრა,
უნდა ირწმინოთ წვიმები რომ გადაიკარებს!

სიკეთის ცეცხლი

მე უნდა მენთოს სიკეთის ცეცხლი,
ჩემში და... გათბეს დედა სამყარო,
უნდა ვიშოვნო სიკეთის ფერფლი,
საქართველოს მსურს გადავაყარო.
დავთესო მინდვრად, ტყეში და ბარში,
აღმოვაცენო მადლის საკვები,
უმადურობამ გაიმინვდრა და...
გულს რომ შემომრჩა გამოსაკლები.
იყოს რა უშავს გარდაიქმნება,
აუცილებლად იერს შეიცვლის,
ის უმადური ჩემთან იქნება,
ასეთებზედაც ძალზე განვიცდი.
მე ვარ ის გრძნობა რაღაცა უცხო,
სიყვარული და დარდის გამქრობი,
მტკივა და მაინც სხვის ტკივილს ვუხმობ,
ვარ ცრემლ-ქარბუქის თოვლის საშრობი.
ხვანის ტყის ტოტით ცეცხლი მინთია
გულში გავზარდე ია-იები,
წვიმს და მიწაზეც მონაფიფქია,
ჩემს მტერსაც მინდა მივცე იმედი!

უფლის დახმარებით

ჩემ გულს შევეკითხე ხომ არ დაიღალე,
ხომ არ დაგასვენო სადმე იის ძირას,
შენ რომ გეარსება ცრემლი გადავმალე,
თორემ იმედები ქარმა ჩამიძირა.
გული დაფიქრდა და მომაჩერდა,
ძარღვი ათრთოლებით ყინვით მიირთვილა,
თუკი გაზაფხული კვირტებს დაჩეკავდა,
ზამთრის დასაწყი წიგნებს მიითვლიდა.
ქარის მეგობარი გულო ვერ გავხდები,
თუმცა არცა ვმტრობ და არც მას არ ავყვები,
ღმერთის დაღმარებით წიგნად დავხვავდები,
ჩემო ათინათო, ბევრჯერ ავყვავდებით!

როცა დედას ხედავ

ცის და მიწის ტიხარია დედი,
ჩემი გულის სასიცოცხლო ფესვი,
ცისკრის დილას სხივებს როცა ვხვდები,
შორს სივრციდან ტკბილი ხმები მესმის.
მიმალულან ვარსკვლები დღისით,
ღამის წყვიადს დაუკარგავს ფერი,
დილის შუქის შენ გამხადე ღირსი,
ამიტომაც დედი შენთვის მღერი.
დედის ამაგს გადავიხდი ამით,
მეც დედა ვარ ტკივილებით სავსე,
მთვარის შუქი სახე არის მამის,
იის ფერის კაბას დედა მაცმევს.
სული ცოცხლობს არასოდეს კვდება,
ალიონი მიხმობს საცეკვაოდ,
ყვავილებში დედის სახეს ვხედავ,
ამიტომაც ცრემლებს ვეღარ ვკავობ.
ცისარტყელა არის დედის ხელი,
ვუყურებ და გულს იმედით ვკვებავ,
არც სიკვდილი არ იქნება ძნელი,
როცა დედას უკუნეთშიც ხედავ!

ილბალი

ვარ ერთი გადაშლილი წიგნი,
წამიკითხეთ და არ ინანებთ,
გულს ნუღარ გამომშიგნით,
წლები ისედაც გმინავენ.

ცაში ვარ შვილის ახლოს,
დილით ცისკარს მოვყვები,
მტკივა და ხელი არ მახლოთ,
თორემ ნისლებში მოხვდებით.

გაგიხსენეთ

ზეცის უკვდავების სახლში,
ბევრჯერ დავსწრებივარ კრებას,
სუფრაც გამიშლია ბაღში,
ლექსებს ყველა ერთად ყვება.
თემურ, მეუფე და დავით,
ბეჟან და სხვებიც ბევრი,
ირგვლივ ყველაფერი ყვავის,
მინდვრები მწვანე ფერის.
ლექსი მოჩუხჩუხობს წყაროდ,
პეშვად შეუსვია მნათობს,
ცაში ყველა ერთად ხარობს,
ლექსი სამყაროსაც ათბობს!

დედა თქვენს ტკივილებს ხედავს

კბილის ღიმილებით არა,
გულის ღიმილებით ვცოცხლობ,
დედა თქვენ ტკივილებს ხედავს,
უყვარს სიყვარული მხოლოდ.
ჩუმად მიმალულმა სევდამ,
კანი არ დაგიწვათ მწარედ,
გლოცავთ სულიერი დედა,
სევდას მივუხურავ კარებს.
ღიმილს შეპარვია ეჭვი,
ფიქრი დაფათურობს სადღაც,
წყალში გადავაგდე კენჭი,
ბედმა დაიღრინა გაღმა.
დედა ყალბ ღიმილებს ხედავს,
თქვენი სიხარული მინდა,
ტკივილს მხოლოდ რწმენა კვებავს,
ვხედავ გულში როგორ წვიმდა.
არა, გაიღიმეთ გულით,
თორემ ეტკინება დედას,
დედა ფიქრით საზღვარს უვლის,
დედა თქვენ ტკივილებს ხედავს!

აფხაზეთის მიწაზე

უსაფლაო გვამები,
ჩონჩხი ახლაც ბევრია
ცოცხლად განაწამები,
გმირნი ცაში მღერიან.
აფხაზეთის მიწაზე,
ჩაიხოცნენ ბიჭები,
სახტარს ყველა წირვაზე,
დარდის ცეცხლში ვიწვები.
დედებს თვალწინ უკლავდნენ,
შვილებს დაუნდობელად,
ყრიდნენ არა კრძალავდნენ,
სტოვდნენ დედაშობილად.
ახლაც ბრძოლობთ ცის იქით,
გამარჯვებას გვპირდებით...
ლეგენდებად იქეცით
გმირნი გააპრილდებით!

მევენახე

მიყვარხარ, ჩემო სულის საუფლოვ,
შენზე ერთგული ვერსად ვერ ვნახე,
მიწაზე ახლოს არის ცა უფრო,
და მე ლექსების ვარ მევენახე.

მოხტუნავე ციყვები

აღარავინ არ მოკვდეს,
დედის არაკს გიყვებით,
კიდევ ცუდი არ მოხდეს,
მოხტუნავე ციყვებით.
თუ მომრავლდა ჭინკები,
გაზაფხულის ზამთარით,
კუდფაფუკა ციყვები,
სახტუნაოდ მზათ არის.
ამ ჩემს შექმნილ კარავში,
მზე და სიყვარულია,
მჭადიც ცხვება – ლავაშიც,
შოთი სულ კახურია.
იჟღურტულეთ ჩიტებო,
მოალერსე მტრედებთან,
ქართვლის გოგო– ბიჭებო,
არ ჩაიჭრათ დედებთან.
ვლოცავ ერის მოყვარულთ,
სამშობლოს რომ იცავენ,
დავგმობ იმ გულს სატანურს,
მართალს როცა კიცხავენ.
ნაჯაფ გზაზე გავლილებს,
მტერი არ ეკარება
შვილებს შრომით დაღლილებს,
დედა მოგეფერებათ!

ცდები ბედისწრის ჟამის აღმწერო

შენ იცი ვინ ხარ? თუ გინდა გეტყვი,
არავის გავხარ არც ცას, არც მიწას,
ხან ხმაური ხარ ბობოქარ სეტყვის,
ხან მეხრესავით სახრესაც მიწნავ.

უხილავი ხარ მაგრამ, მე გხედავ,
ჩემი თვალების სიღრმის სივრციდან,
მე ვარ წარსულის ადგილის დედა,
დიდი ხანია გავცდი მიწიდან.

მჟეჟავ ვაშლივით მგონია შემჭამ,
ცდები ბედისწრის ჟამის აღმწერო,
თუმცა რეზინის კევივით მღეჭავ,
ცდილობ სიკვდილი შემომაწერო.

რომ არ ვკვდები რით ვერ გაიგე,
სჯობს შეაჩერო სეტყვა და წვიმა,
მომავლისათვის ნერგები დავრგე,
–,,ათინათები" – დილით რომ ბრწყინავს!

ერთგულება და უკვდავება

თუ კი სახელი საუკუნეს შეეთამაშა,
იხსენებენ და ყვავილებით ამკობენ საფლავს,
ცრემლებს ღვრიან და ფეხზე დგომით ლოცავს თამადა,
თან მომგონებლებს ცრემლნარევი წლები თან ახლავს...
— უ კ ვ დ ა ვ ე ბ ა ა —--

თუ სალოცავში ერთ ღერ სანთელს შენც დაგინთებენ
თუ გიხსენებენ როგორც კეთილს სხვათა დამხმარეს,
თუ მოგონებით ღამეს ბევრჯერ გაგითენებენ,
ნიჭის გულისთვის სიცოცხლეში დაგასამარეს...
— უ კ ვ დ ა ვ ე ბ ა ა —-

თუ სიყვარული შეგიძლია სამარადისო,
თუ გტკივა სხვისი ღრმა ძილშიაც ტკივილს გახსენებს,
თუ ერთგული ხარ, გული არ გსურს რომ გაასხვისო
და ფიქრებს შენსას სიყვარულის ხესთან ასვენებ...
— ე რ თ გ უ ლ ე ბ ა ა –

თუ სანთელს უნთებ სალოცავში სხვათა გარდაცვლილს,
იმ მომენტშიაც ვიღაც ტყვიას ბრმად რომ გიშენდეს,
ერთ გოჯ მიწას რომ, არ გაყიდი ფულის გულისთვის,
ერის გმირების წარმატება სულს რომ გიმშვიდებს...
– ე რ თ გ უ ლ ე ბ ა ა--

შენი სიმდიდრე ცოდნაა

სიმდიდრის ზღვაში მოცურავეს ცოდნის ჯებირთან,
აფხაზეთიდან დევნილს გული შემოგისრია,
ის ტკივილები არ დაამდა, შეგეჯირითა,
რადგან სოხუმი მტრის ხელშია, ისევ ისვრიან.
სიცარიელე დაგიპურა ცოდნის სურვილმა,
გზა ეკლიანი გადაკფე შენი ძალებით,
ალო? გალია? შეგახსენა სიზმრად ყურმილმა,
აფხაზეთია? აგიცრემლდა ლურჯი თვალები.

ასინათები

ქართვლის გულს გავდეს ხე ამ გულებით,
კლავდნენ და მაინც არა კვდებოდეს,
სიცოცხლე ჰქონდეს ქართველს ულევი,
უკვდავებაც მას დაბადებოდეს.
თანაც ესმოდეს არსის არსობა,
სულსაც ეფინოს ათინათები,
ქართველი დედა მაშინ ფასობდა,
ბევრი რომ ჰყავდა ასინეთები.

ვარდების თვეში

საინგილოდან მორთმეულ ვარდებს,
სულ სხვა ეშხი და სხვა პეწი დაკრავს,
თითქოს ყლორტები
კვლავ კვირტებს ბადებს
გულის თორნე კი ცხელ პურებს აკრავს.
არ მივილევი ბოლო რიცხვივით,
არ დავიჩოქებ დროის აღმართში,
თუ წლები გარბის ჭიხვინ-ჭიხვინით,
მე უკვდავების წლები დავართი.
მეზობელია ჩემთვის თვით ზეცაც,
ფიქრების ფრთებით გუშინაც ვნახე,
თვალები მზისკენ თუ გამომექცა,
იქ დავინახავ შვილო შენ სახეს.
შემოვიხვიე ფერადი შარფი,
ეს ღიმილი კი სულმთლად ყალბია,
სხვისი იმედის არ გაწყდეს ძაფი,
მინდა მხედავდნონ ფერად კაბიანს.

ვეძებ ისეთ მინდორს

წადი! გაასწარი ბედისწერას,
ქარი დაგეწევა გულო ჩემო,
ისეც ბევრჯერ ძარღვი დაგისერა,
იქნებ ჩვენი ძალით შევაჩეროთ.
გულო, სიყვარულზე ვისაუბროთ,
ისევ ნერგი დავრგოთ სამომავლო,
გრძნობით ქარიშხალი გავაბრუოთ,
მერე მოვიზომოთ სამოსახლო.
ფართი სადაც ლექსი დაეტევა,
სადაც სული მშვიდად დაისვენებს,
ჩვენ ხომ სიყვარული გვემატება,
ჩვენ ხომ წინაპრებსაც გავიხსენებთ.
ლექსი მწერვალებზე მაღალია,
ვთქვათ და მივეფეროთ დილის ნიავს,
სიტყვა ზოგჯერ ტკბილი წამალია,
სიტყვამ ბევრჯერ კაციც გადარია.
ვეძებ ისეთ მინდორს სადაც ვარდი,
ეკლის გარეშე რომ იკვირტება,
გზებს რომ სიყვარული გადაბარდნის,
თვალი ცრემლით რომ არ იტვირთება.
აღარ შერჩენია სულს სინაზე,
დარდი ძალით უნდა გავასვენო,
ვაზი გავახარე მიწაზე და...
გულო ჩემით უნდა დაგასვენო!

იასამანო

შენ სიდიადეს მაშინ შევიგრძნობ,
გულს თუ ყვავილით შემისურნელებ,
დარდის სამოსელს წამში გავიძრობ,
ქარი სინაზით გაასულელე.
გაზაფხულია აღარ მატირო,
შენ ჩემი სულის იასამანო...
ბედმა თუ ცემა კვლავ დამიპიროს,
იქნებ ტოტებში შენთან დამმალო.
თუმცა ო, არა არ მაქვს იმედი,
ყვავილს გაგიცვენს დიდი ავდარი,
გემი მიცურავს და ბრმად მივნებდი,
მივნებდი გულით ნაავადარი!

რომ თქვენზეც აღარ ვიჯავრო

სიყვარული თუ გადაგვარჩენს,
მიმტევებლობა და ლოცვები,
მადლიანს ზეცა გადაარჩევს,
ერში დაიზარდნონ ბოკვრები.

მე ორი შვილი გავზარდე,
ცოდვილმა რა ვთქვა სამსჯავროს,
შვილონო, არავირზე გაბრაზდეთ,
რომ თქვენზეც აღარ ვიჯავრო!

ბედისწრის ხართან

ნისლში ტრიალებს ჩემი წარსული,
ბედმა მატირა, მჟეჟა და მცემა,
დარდს აღარ უჩანს ეს დასასრული,
გული დამიფცქვნა ამ ფოთოლცვნამ.
სუსტი იჩოქებს ბრძოლის ჭიდილში,
ძლიერი მისდევს ცხოვრების აღმართს,
მე მოვძლიერდი ბევრჯერ სიკვდილში,
მარტო ვჭიდაობ ბედისწრის ხართან.
ორთა ბრძოლაში ომი მოვიგე,
სულის სიმშვიდე წამომეშველა,
სიკეთის თესვა კაბად მოვირგე,
დაუთმე, ზოგჯერ ბედსაც ეშლება.
თუ გიყვარს ბევრჯერ უნდა იტირო,
ცრემლის გარეშე სუსტია გრძნობა,
უნდა დამშვიდდე, გამოიტირო,
შეინარჩუნო ბოლომდე ნდობა.
და თუკი არა ... გზა გააგრძელე,
შენი მეობა არ დაივიწყო,
სიცოცხლე შენით გაიხანგძლივე,
ტკივილი უნდა გადაივიწყო!

ჩემი თვალები

ისევ ამ თქორის კორიანტელმა
რად გამახვია ღრუბლის სამოსში,
მე დრო დავყავი ვარიანტებად
და შევიცვალე ტანისამოსი.
არა ბერდება ჩემი თვალები,
გულია სევდით ამონახვნეში,
ხედავს ვარსკვლავლავებს
როგორც მთვრალები,
კოტრიალობენ ღრუბლის ნამქერში.
ამას მე ვხედავ რომ ვარ პოეტი,
მზეს ვხედავ თავის ტყუპი შვილებით,
გულის მკურნალად მადლად მოვედი,
უპოვარს ბევრჯერ მივეშველები.
მოყვასზე ზრუნვით ჩემი ფიქრები,
დასეირნობენ ღრუბლებთან ერთად,
წმინდაა როგორც თოვლის ფიფქები
უკვდავი ლექსი იქნებ მეც მეთქვას!

მართალი

მოხეტიალე ქარი დაძრწის უმისამართოთ,
მისი ვალია სიძულვილის სახრე იქნიოს,
ო, როგორ მინდა სიყვარულით ხალხი დავათრო,
მოურჩენელი ტკივილები რომ არ იწვნიოს.

ზეცავ დაუშვი მზის სხივების ოქროს ფარდები,
მიწიდან ცამდე მოაბნიე გრძნობის წამალი,
აი, მაშინ კი ქარიშხალო, ვიცი ჩადგები,
საქართველოა ყველაფერში შენთან მართალი!

ნადიდგორალი

ლურჯი ფერებით ქსოვა დავიწყე,
ავანთე გულში წმინდა სანთლები,
არ მინდა ძაფი სადმე გამიწყდეს,
თქვენთვის შევქმენი ათინათები.
მადლით პირსავსე ლექსის რითმებით,
ამომზიურდა ხატი მზესავით,
ღრმა ცოდნისათვის ბევრჯერ ვითმენდი,
მინდა გიყვარდეთ წიგნი ჩემსავით.
მოდით დალიეთ... სიბრძნის წყაროა,
საჩუქარია დიდი უფლისგან...
წიგნი ეს გონის განძის თაროა,
ნადიდგოლარი გულის სუფრიდან!

წმინდა ფიქრი

ფიქრი წმინდაა ვით დილის ცვარი,
ალერსს უგზავნის ზეცა სხივებით,
უსასრულობის ცის დიდი კარი,
არ ისევდება დიდი წვიმებით.
აქ, კი ბრძოლაა, არცა თავდება,
სიძულვილს მიაქვს დედა სამყარო,
ქარიშხალია მუდამ თავნება,
შვილი უნდა რომ დედას გაყაროს.
არც დაიღალა, აღარც ისვენებს,
გულში რა უდევს ან ვინ გაიგებს,
თავის თავს თვითონ გამოასვენეს,
უახლოვდება აზრთა გამრიგეს!

ჩემი ეზოს ყვავილები

რაც ჩემია მე ის მიყვარს,
სხვისას გვერდზე არ მივხედავ,
სადაც წავალ გულიც მიმყავს,
ან ცუდს ვინ რას გამიბედავს.
        მჩატე თავთავს ვერიდები,
        ქარაფშუტას ქარს რომ ადევს,
        ასე დინჯად დავბერდები,
        თევზს არ ვესვრი სასროლ ბადეს.
ჩემი გული მე მეკუთვნის,
ყვავილებიც მე ვახარე,
თუ შეცივა შემოვფუთნი,
საბანსაც კი დავაფარებ.
        სხვას ცუდად არ განვიკითხავ,
        აუგ სიტყვას მე ვინ მკადრებს,
        უამრავ წიგნს წავიკითხავ,
        ვკითხულობდი რასაც ადრე.
ჩემი ეზოს ყვავილები,
ჩურჩულიბენ ჩემზე ხშირად,
რით არიან დაღლილები,
არ აწუხებთ წვიმა ხშირად .
        მე ვპატრონობ არ ვაკარებ,
        არც ქარსა და არც ყინვას,
        ჩემი სახლის ზალის კარებს,
        ფხიზელია არცა სძინავს .
მელოდება როდის მივალ,
უყვარს ჩემთან საუბარი,
დავჩურჩულობთ ისე ტკბილად,
სიტყვაც არის თანაბარი!

მიძღვნები



ერეკლე შერვაშიძე
აფხაზეთში უგზოუკვლოდ
დაიკარგა

გული კვნესის

ანზორ შერვაშიძეს

უგზო უკვლოდ აფხაზეთში
ძმას დაეძებ ფიქრის გემით,
გული გტკივა მწარედ მკერდში,
ერეკლეს ხმა ძილშიც გესმის.
ის გმირია ამიტომაც,
უკვდავების ფრთებით ფრინავს,
კვლავ იბარტყა ფესვის რტომ და...
შენს შვილს მისი სუნთქვით სძინავს.
დაიბადა კვლავ ერეკლე,
გააგრძელებს ბიძის სახელს,
ამოძირკვავს მტრის ნარეკლებს,
იმედის ხე რომ არ გახმეს!

ანზორ შერვაშიძე

ეს ჩემს ნორიკოს

როგორ შეგამკო ნორი,
რა სიტყვა შეგიხამო,
ხარ ყველას თანასწორი,
მეც მინდა გაგახარო.
დღეს შენი დღე კარგო,
მარტმა გაჩუქა ია,
ვულში მსურს მიგაქარგო,
ეცეკვო დილის ნიავს.
ყველა ღირსება შენ გაქვს,
რაც ქალებს უნდა ჰქონდეს,
შენი მეობის ღრმად მწამს,
არასდროს არ დამშორდე.
დიდი ცოდნით და ნიჭით,
აღზრდილი ბევრგან დადის,
გოგონებსა და ბიჭში,
ცოდნა რომ წმინდად ბარდნის.
ქალი ღირსებით სავსე,
მისაბაძო და კარგო,
შენ თუ გაქვს ყველას აცმევ,
რაცა გაქვს გსურს გახარჯო.
მე ლექსი ვიხლაფორთე,
ღამე გაშუქდა მთვარით,
იით მარტის თვე მოვრთე,
გაგიღე გულის კარი!

ქართული ფესვები
(ნინა სიბოშვილს)

ვიცი ცრემლს ღვრიდი ქალბატონო გულიც გტკიოდა...
ქართვლის მთის ძირში ამოსულო ნაზო ენძელა,
შენი ცრემლები იტალიის გზებზე ცვიოდა,
საქართველოში მეგობარი შენს ხმას ეძებდა.
    შენი გაზეთი ქართველების ტკივილს ასახავს,
    ქართული ფესვი გააცოცხლე უცხო მხარეში,
    რამდენს უყვარხარ საყვარელო, ნეტავ განახა,
    აქ, ნოსტალგია მისევდილა სიმწუხარეში.
შენი გაზეთი შენი გულის ვიცი ძარღვია,
სიყვარულია, შვილია და ატმის კვირტია,
ქარმა საზღვრები საქართველოს შემოარღვია,
მებრძოლ ქალბატონს პოეტები ლექსებს გიძღვნიან!

ლექსის ზედაშე
(მზია გირგვლიანს)

რამ გაგაკვიროს
სვანეთში გაზრდილს,
როგორ მოგხიბლავს
ბაღის სკვერები,
დავლოცავ შენი
სიწმინდის მანდილს,
ლამარიას და შხარას ფერებით.
ნაძვნარის ტოტებს
მესტიის მთებში,
გამოუზრდია რამდენი მართვე,
მერცხლსაც ბარტყი
შეუსხავს ფრთებში,
ყველაფერ ამას
შენ ხატავ ლექსში.
დარდიც ბლომად გაქვს
ცხოვრების ბედის,
ბედისწერაა ზოგჯერ ტიალი,
შვილთაშვილებით
 დამიბერდი და...
ლექსის ზედაშე შესვი ფიალით!

სიწმინდე
(მადონა ქალდანს)

თეთნულდის მთებში ამოსული ხარ ორქიდეა,
სიწმინდის ნისლში აფრენილა ლექსი არწივის,
ვფიქრობ ქალღმერთო, რაც შენ გნახე სულ ორი დღეა,
სული დაამდა ბედისწერის წლებით ნაწვიმი.
რწმენამ სიმშვიდით ამოიდო მკლავი ბალიშად,
გარეჯის მთაზე აღმართულა წმინდა ტაძარი,
მტერს რომ ეგონა უპატრონოდ მთები გაშიშვლდა,
ცამ დაიქუხა: საქართველო ისევ აქ არის!

არ შემეკითხო

არ შემეკითხო რატომ მიყვარხარ,
არ მკითხო ღამის სიზმრის ზმანებავ,
ქართულ ანბანის ყველა სიტყვა ხარ,
რომ მოგავლინა ჩემთვის განგებამ.
პირველ შვილიშვილს სხვა გრძნობა ახლავს,
ახალგაზრდობას რომ დაგავიწყებს,
თუნდაც ერთ კანფეტს მისთვის რომ მალავ,
სიცელქის დროსაც არ გსურს გაუწყრე.
ახლა დედა ხარ, ბექა ბიჭი გყავს,
ნიჭირი და თვალებრიალა,
ხანაც მგონია მამიკოსა გავს,
სიცოცხლისაკენ მომატრიალა.
გამრავლდი ბაბო კიდევ გაზარდე,
ბევრი გოგონა და ბევრი ვაჟი,
აღარასოდეს აღარ ვიდარდებ,
მხარზე სიკეთის მერცხალი გაზის!

დედის დღეს გილოცავ თაკო

შენ დედა ხარ გენაცვალოს ბებო,
ჰოდა ამ დღეს მოგილოცავ თაკო,
ლამის შენთვის გულო ორად გავყო,
ხომ არ გიკვირს რატომ უნდა გაქო.
გაგიზარდოს შენი ბექა ღმერთმა,
ასი წელი იზეიმოს ბიჭმა,
ასი წელი სიყვარულით ერთად,
გაგაკვირვოს შენი შვილის ნიჭმა

ცელქი ბავშვი

შენ რომ დაეანახე ჩემს შვილს ბექა,
ხელით ცის ვარსკვლავებს მისწვდებოდა,
მას ხომ სიკეთე და მადლი ერქვა,
ალბათ არც არასდროს მოკვდებოდა.
დედას გაეზარდე დიდი კაცი,
მამის რომ გამხდარხარ ღვთის წამალი,
მამულს მტრის ეკალსაც გადააცლი,
შენ ხარ საქართველოს მომავალი!

შვილთა შვილი
(იოანე ლობჯანიძე)

გელას გავს შვილთაშვილი,
პაპა დალოცავს ციდან,
ის იყო თბილზე -თბილი,
სულით კი ძალზე წმინდა.
გაიზარდე და წლები,
შენ შეგემატოს მისი,
გიყურებ შენ და ვტკბები
ბე... რომ მიყვარხარ იცი.
ჯერ პატარა ხარ მერე,
ჩემითაც იამაყებ,
ხატე და ბევრჯერ წერე,
სიკეთე დაიმოყვრე.
დინჯი ხარ იოანე,
პირველ კლასს ეზიარე,
ცოდნა გაქვს ოკეანე,
თამამად ვაღიარებ.
რაჭაში მთის ბეღურებს
უშენებიათ ბუდე,
თვალებით მზეს უყურე,
ეცეკვე თუკი გსურდეს.

უხმოდ

გულიც გათბა სიამით,
ტანმა ჟრჟოლვა დაიწყო,
გოგომ როგორც ნიავი,
საუბარი დაიწყო.
საუბრობდა თვალებით,
უხმოდ განა სიტყვებით,
სხივის აელვარებით,
სრულ სიმართლეს გიყვებით.
ჩამეხუტა გამათბო,
როგორც დედა-ბებიას,
სიყვარულით დამათრო,
ჯერ რომ არა მრგებია!

შვიდი შვილი დედა

სიმდიდრე ეს არის შვილების სიმრავლე,
რომ შესვამ ყოველ დღე სიცოცხლის ელექსირს,
დაგლოცავ როგორც შვილს ყოველ წელს იმრავლე,
მომინდა მომეძღვნა რატომღაც ეს ლექსი.
შვიდი გყავს აფრუმ ქალი ხარ ნამდვილი,
ვამაყობ გამყვება სიცოცხლის იმედად,
ვიცი რომ წმინდაა ეგ, შენი მანდილი,
ემიგრანტს ცრემლები გზადაგზა მიგდევდა.
შვიდ სანთელს დავანთებ დაგლოცავ ხატებთან,
გულის კარს გაგიღებ შვილივით მიგიღებ,
თუ კიდევ შენფერი კვლავ შემემატება,
სახალხოდ ვიყვირებ სამყარო იღვიძებს!

ქარიშხალა

(დაბადების დღეს გილოცავ)

უნდა მოგეფერო ისე,
როგორც საკუთარი შვილი,
შენა ხარ სამყაროს სივრცე,
თაფლისკვერივით ტკბილი.
ქარიშხალი ხარ საქმით,
გემი გყავს საჭეს მართავ,
გულში გაქვს დიდი ფართი,
სიყვარულს ქსოვ და ართავ.
სიკეთით სავსე ხათო,
დღისით მზევ ღამით მთვარევ,
ციურ ვარსკვლავის მნათო,
ცა საბნად გადიფარე.
გლოცავ და ია-ვარდებს,
რამდენს გაჩუქებ იცი,
მადლი კვალდაკვალ დაგდევს
სიკეთის სანთლით იწვი!

ნაზი ყვავილი

მაია ქასრაშვილ-რამიშვილს

სინაზით გავხარ შროშანებს და იებს სურნელით,
გამოზაფხულზე აყვავებულ ატმის ყვავილსაც,
შენზე მიამბეს რომ ყოფილხარ ძალზე სულგრძელი,
გვირილებივით ლამაზმანო გავხარ მაისსაც.
შენი სიმღერით დამტკბარია მთელი სამყარო,
ხელოვნებაა სიცოცხლე და დილის აისი,
ნოსტალგიებით გარდაქმნილხარ დარდის ამტანად,
უფაქიზესო გაგითენდეს ტკბილად მაისი!

შენი სულის საკვები

ბელა მოდებაძეს

სიმღერაა შენი სულის საკვები,
ლექსები კი უფლის საჩუქარია,
ჩემთან მოდი გულს ნუ გამოაკლიდები,
რადგან კარში საშინელი ქარია.
მზის საშრობი სიკეთისთვის ვიყიდე,
რომ ნისლები ერთიანად გავაშრო,
რასაც თესავ იმას უნდა იმკიდე,
მწვერვალები ემიგრანტმა დალაშქრო.
ამ სამყაროს ნათოვლარებს, ყინულებს...
ჩემი გულიც ხშირად შერკინებია,
დარდი რაც გაქვს შვილობილო, გინულებ,
კრაზანები ყველგან იკბინებიან.
მზის ქვეყნიდან მზეს გიგზავნი შორეთში,
გიფრთხოლდები, ხელიც გამოგიწოდე,
არ ჩაიხრჩო მონატრების მორევში,
რადგან უკვე შვილბილი გიწოდე!

გარდაიცვალე

დაბადების დღეს მოგილოცავ შვილო ზეცაში,
გარდაიცვალე წაიყოლე გული დედისა,
გადაგახვია თოვლის ფიფქმა თეთრ ცივ ზეწარში,
შვილებთან ერთად დაბერება შენ არ გეღირსა.
არ დაიდარდო, რადგან ფესვმა ამოიყარა,
გოგო-ბიჭები მოგიმრავლდა ლამაზთვალება,
აღარ ითოვებს მგონი უკვე გადაიკარა,
მეც შევეგუე დედიკონა ფერისცვალებას.
რადგან ვიწამე უკვდავება სამარადისო,
მადლს ვთესავ ისე როგორც ხორბლის პურის მარცვალი,
მითხრეს სიკეთე, ყველაფერი ცაში ადისო,
არ უნდა ერქვას გელას დედას შვილო საწყალი.
გაბუტულ ტუჩემს ჩაგიკოცნის შენი ბიძები,
ლევი, თამაზი, ბეჟანი და ,,დევი "ამირან,
გაზაფხულება შვილო ცაში როგორ იგრძენი,
იასამნები დედიკონა მადაც არიან?!

იცეკვე დათა

იცეკვე დათა ჩაეცეკვე ზეცის მნათობებს,
მზეთა სხივებთან გადაშალე ლამაზი მკლავი,
ისე იცეკვე შენს მეგობრებს კვლავ რომ ათბობდე....
მერე კი დედას მოაშორე თავიდინ შავი.
მოინადირე ძველებურად მინდვრის ხოხბები,
აცრემლებული ია-ია გამომიცოცხლე...
შენ არასოდეს ჩემო ბიჭო არ მომიკვდები,
რადგან გულს დამრჩი მზეთა სხივი, როგორც სიცოცხლე!

დღეს შენი დაბადების დღე არის

(დოდო – ნინო ღონღაძეს)

ყველას ლუკმას რომ არგებდი.
შენი ქალობის კვალია,
ხალხის გულში და ქარელში,
მაახსოვდე ჩემი ვალია...
ლექსსაც გიძღვნიდე ალერსით!

შენი სიმღერის ხმა მენატრება,
შენი სითბო და ალერსი,
ფუძეს მერცხლები ემატება და...
მათ საალერსოდ ადექი.
თვალი მოავლე შენს არემარეს,
დაჭიკჭიკობენ მერცხლები,
აქ ანათებდი ვით ბადრი მთვარე,
თავსაც გიხრიდნენ ვერხვები.
სიცოცხლე ამოსუნთქვაა,
ბედი ცას წერავს განაჩენს,
წლები მან დაგიფუფქა და...
ცაში აგრძელებ დანარჩენს.
აბა, რა გითხრა ისეთი,
სიტყვა რომ შეგეფერება,
ცხოვრებას ისე იხდენდი,
მწვანესაც ...ვარდისფერებად.
სადაც ხარ გაიაღდომე ,
შენი სიმღერის ჰანგებით,
აქ შენზე ასე ამბობენ,

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი
Makvala Gonashvili

მზია კვირიკაშვილი ლოურენსი –
მთარგმნელი, ფილოლოგი, პოეტი.
Mzia Kvirikashvili Lawrence – Translator,
Philologist, poetess.

სამადლობელი

ვცხოვრობ უჭერო ბინაში
აგერ ეს ათი წელია,
რაც მიკარნახე, მამაო,
სულ ცრემლით დამიწერია.
    ტანჯვაში ჩემო მფარველო,
    ლხინშიაც დამიფარავდე,
    გმადლობ, რომ არც კი მიმიშვი
    ხელმწიფის მბრწყინავ კარამდე.
გმადლობ, რომ ჩემი ტანჯული
მამულის დარად მაცოცხლე,
ვმარტვილობ სიტყვით და პურით
ვით ზეციური საცოლე.
    მინდობილი ვარ შენს კალთას,
    ეს ლექსიც, გვედრებ, შემინდე,
    განიხსნა ცხრავე კარიბჭე,
    მე რომელ კარით შევიდე?

THANKFULNESS

I live in a ceilingless flat,
It has been now for ten years,
All that you told me, my father,
I wrote it while shedding tears.
    My protector in suffering,
    Cover me also in my delights,
    Thank you for not letting me even
    I approach the posh door of the ruler.
I am thankful for letting me,
To live like my poor estate,
I survive with bread and speech,
Like a heavenly bride.
    I trust in your blissful hem,
    Forgive me for this harsh poem,
    All nine gates are opened:
    Which door is mine to enter?

სიმარტოვის ლექსი

ბედმა იმდენჯერ მიმუხთლა, ღმერთო,
კვლავ სიყვარული როგორ გავბედო?
ნუთუ ამხელა დედამიწაზე
არავინაა ჩემი საბედო?
    სულ შეხვედრები, სულ განშორება,
    სულ მოლოდინი, ესეც ბედია,
    და სიმარტოვე _ ერთგული სატრფო
    ლექსებს მთავაზობს ისევ სევდიანს.
რა მელის კიდევ ჩემად იმედად?
ტრფობის სევდა თუ დედობის მადლი?
ზეცა – მანდილი, წვიმა – ნუგეში,
თუ მიწა, რაღაც ორიოდ ადლი?
    ვარ წუთისოფლის დაღლილი სარძლო,
    რიგნი მოდიან, მიდიან რიგნი,
    გაბზარულია გული და სარკე,
    დახურულია კარი და წიგნი.

A POEM OF LONELINESS.

Fate betrayed me so many times,
O my Lord, how can dare I to love again?
I wonder if, on this immense earth,
No one is there, my match, my destiny?
    Just endless meetings and separations,
    Constant waiting, and this is also the fate,
    And this Loneliness, my only sweetheart,
    It offers me poems that are bitter and sad.
What else is waiting for me, for my bad fate?
Sorrow of loss or motherhood grace?
The sky – as a veil, the rain – as comfort,
Or the land, something too little to be buried?
    I am the life's weary bride,
    They come in rows, they go in rows,
    The mirror is cracked, and my heart is cracked,
    And the door and the book are also closed.

ხალხურ კილოზე

მე რომ იად მოვსულიყავ,
ცა ცვარსაც არ მაღირსებდა.
მე რომ ფიფქად მოვსულიყავ,
სხივთა ლაშქარს მომისევდა.
        რა ვქნა, რად ვერ გავექეცი
        ბედისწერას, ცრუს და მტანჯველს,
        შენ რომ მართლა დამეძებდე,
        მაშინ წამიყვანდნენ ქაჯეთს.
დავდივარ და ჩუმად ვღუი,
ეგრე ზეზეურად ვხმები,
აღარ მესმის სიყვარულის,
აღარც გაზაფხულის ხმები.
        ზეცისაკენ გასაფრენი,
        ვხედავ, მოჭრილი მაქვს გზები,
        სიცოცხლეზე გულგამწყრალი,
        სიკვდილს ველოლიავები.

***

ჩემი სამშობლო მაყვლის ველია,
მზის კარი ჩემი მისამართია.
გაზაფხულია და ჩემს ტყეებში
შინდის ყვითელი ცეცხლი ანთია.
        ჩამოვიღვრები მალე სიმღერად,
        სავსე მაქვს სული მზით და ლექსებით,
        როგორც დიდი ხნის უნახავ სატრფოს,
        მზეს კარს ვუღებ და ვეალერსები.

Like Folk Poem

If I came there as Violet,
The sky wouldn't give me dew,
If I appeared as a snowflake,
Sun would send its scorching rays.
        What if I couldn't escape,
        From my fate, false and fake,
        If you looked for me heartily,
        They would send me to devils.
I walk lonely and quietly cry,
And I keep fading daily,
I don't hear the voice of love,
And no more sounds of spring.
        I wish to fly to the sky,
        But look? Someone cut my way,
        And so heartbroken over my life,
        I am now caressing my death.

***

The blackberry field is my homeland,
And my address is the entrance of the Sun.
It is spring now, and in my forests,
It shines the yellow flame of the cornel.
        I'll pour down soon into the melted hymn,
        My soul is filled with poems and sunshine,
        Like a sweetheart long time unseen,
        I open the door to the Sun, caressing it.

იქნებ გაგვახსენდეს

მზე რომ დედა არის ჩვენი, მთვარე კიდევ მამა,
ვარსკვლავები _ დები, ძმები, აღარავის ახსოვს,
სიყვარული, თავგანწირვა, დანდობა და რწმენა,
არც მეტი და არც ნაკლები, ერთ კუპონად ფასობს.
    პოლიტიკა, აი, ჩვენი თეატრი და კინო,
    პოლიტიკა, აი, ჩვენი მარილი და პური,
    მთავარია ჩვენი აზრი, სხვა სუყველა ცრუობს
    და ბრძენკაცის რჩევასაც კი არ დავუგდოთ ყური.
მერე რა, თუ ამ ქვეყანას ჩალაც არ ახურავს,
მერე რა, თუ სითბო უნდა კერაჩამქრალ სახლებს,
გამოაკლდა ჩემს თაობას არაერთი ბიჭი,
მიემატა დღეს მუშტარი ჯიხურებს და დახლებს.
    აირია ერთმანეთში რწმენა, ცოდვა, მადლი,
    აგორდა და აიზვირთა ცა, მიწა და წყალი,
    რა დაწყევლილ დროში ვცხოვრობთ,
                ერთი დღით და ღამით.
    ზოგს წარსული დაეკარგა და ზოგს მომავალი.
მესიზმრება, ზღვა ბობოქრობს, ნავზე რჩება ეშმა...
იცინის და დაუნდობლად ფეხებს აჭრის მტრედებს.
იქნებ ბინდი გადავყაროთ, იქნებ გავიღვიძოთ,
მზე რომ დედა არის ჩვენი, იქნებ გაგვახსენდეს.

MAYBE WE REMEMBER IT!

We need to remember that the sun is our Mother,
The moon is our father and stars – sisters and brothers.
Love, self-sacrifice, mercy-confide, trust, and faith,
No more and no less its value, it costs just one penny.
    Politics, here is our cinema and theatre,
    Politics is our bread and salt, nourishment,
    The main thing is our opinion; everyone else lies,
    And don't even listen to a wise man's advice.
So what if this country is not even covered with straw,
So what if hearth-extinguished homes need its warmth,
My generation lost many thoroughbred youths,
Multiplying customers to counters and booths.
    It mixed faith, sin, and grace, a man changed his face,
    Rolled upwards and waved, raged water, sky and earth;
    What a damn time we live in, for one day and night.
    Some have lost their past and some future aims.
I dream the sea roars and the devil dances on the boat...
He cuts off the legs of pigeons with a merciless Laugh,
Maybe we'll throw off twilight; perhaps we'll wake up,
We may remember that the sun is our Mother.

გულნაზ ხარაიშვილი
Gulnaz Kharaishvili

მურმან გელენიძე
Murman Gelenidze

გილოცავთ!

ბატონი მურმან გელენიძე სამხატვრო აკადემიის პროფესორი და საკმაოდ აღიარებული მხატვარი 80 წლის შესახვედრად ემზადება. დარწმუნებული ვარ მის ხელში აღზრდილი სტუდენტები პირველ რიგში, ადამიანობას ეზიარებიან და მერე კი არჩეულ პროფესიას კვალიფიციურად დაეუფლებიან. ბატონი მურმანი საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. როდესაც ჯუმბერ ლეჟავამ საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიაში წარდგინება გაუკეთა, მოგზაური აღრფრთოვანებით საუბრობდა მხატვრის პროფესიონალიზმზე და მის ადამიანურ ღირებულებებზე. მას შემდეგ თოთხმეტი წელი გავიდა. ბატონი ჯუმბერის სიტყვები არ გახუნებულა, პირიქით დღითი დღე იზრდება. ბატონი მურმანის ავტორიტეტი საზოგადოების წინაშე საამაყო და მისაბაძია. თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორს ბატონ მურმან გენელიძეს არაერთი სტუდენტი აღუზრდია და კვლავაც ბევრს აღზრდის მაღალი კვალიფიციური იდეალიზმებით.

დღეისთვის მხატვრის მეტი წილი ნახატები შედევრებად ითვლება.

***

მხატვრის ხელით დახატულმა ბახმარომ,
მთაწმინდამ და ჩვენმა დედა თბილისმა,
საქართველოს ვაზი უნდა ახაროს,
შემოავლოს ქალაქს ლამაზ თილისმად.
საუკუნეს შემორჩება წალკოტი,
გორდის მთების მარადმწვანე ბუნება,
ეს არ არის მხატვრის ბოლო აკორდი,
ხელოვანი კვლავ მთებს ეჩურჩულება.
ორჯერ ოთხმოცს უნდა შეეთამაშოს,
სასმისები ჯიხვის რქებით დალიოს,
დღეს თუ ახლა ვაჟკაცურად თამადობს,
საუკუნეს გაუღიმებს ალიონს!

CONGRATULATIONS!

Mr. Murman Genelidze, a professor at the Academy of Arts and a well-known artist, is preparing for his 80th birthday. I am sure that the students brought up in his hands, first of all, share the humanity offered by him, and then they will master the chosen profession in a qualified manner. Mr. Murman is quite a famous person. When Jumber Lezhava presented to the International Academy of Sciences, the traveller enthusiastically spoke about the artist's professionalism and human values. Fourteen years have passed since then, but Mr. Jumber's words have not faded; on the contrary, they are increasing daily. Mr. Murman's authority in society is a source of pride and a role model and imitable. Mr. Murman Genelidze, professor of the Tbilisi Art Academy, has educated many students and continues to educate many with highly qualified idealisms.

Today, most of the artist's paintings are considered masterpieces.

***

Bakhmaro, painted by the artist's hand,
mout Mtatsminda and saint Mother Tbilisi,
The vine of Georgia should plant and multiply,
To surround the city as a magic talisman.
Eden will remain for the century,
The evergreen nature of the Mount of Gordie,
And it is not the artist's final chord,
He still has his sweet talk with mountains.
He has to be played twice eighty,
To drink his toasts with horn chalice,
And if he rules and still feasts bravely,
I believe his century will smile on him.

მზიაში მზე არის ჩასახლებული

მზემ თავისი მოვალეობა შეასრულა და ჩასვლას აპირებდა. ნახევრად მილულ თვალებში შორიდან მოვარდნილმა სიკაშკაშემ თვალი მოჭრა და იძულებული იყო თვალები გაეხილა. მიიხედ-მოიხედა და დაინახა თავისი მსგავსი სითბოს მფრქვევი სხივი. დაინტერესდა და გაესაუბრა: ჩასვლას ვაპირებდი, თვალები იავნანას მიმღეროდა. შენმა სიკაშკაშემ გამომაფხიზლა. ვინ ხარ და საიდან მოხვედი, ჩემნაირად რომ კაშკაშებ? ეხ! რა გითხრა ჩემო კარგო. აქაური ვარ ქართველი. ქართველი? მერედა რად არ გძინავს? მე სადაც ვცხოვრობ იქ, დღე არის. აკი ამბობ ქართველი ვარო. ქართველი ვარ, ქართველი მაგრამ, სხვა ქვეყანაში ვცხოვრობ.

მზემ აათვალ-ჩაათვალიერა თავისი მსგავსი მოკაშკაშე მნათობი და გაურკვევლად ჩაილაპარაკა. ნახევრად მძინარეს საუბრის თავი აღარ ჰქონდა და ზღვის ტალღებში გაუჩინარდა. დილის ალიონზე მზეს კაშკაშა მნათობი შეეგება. მზეს გაუკვირდა, მაგრამ რადგან აღარსად ეჩქარებოდა, საუბარი გააგრძელა. სახელი შეეკითხა. მნათობმა დუმილი ამჯობინა და არაფერი უპასუხა. დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ საუბარი დაიწყო. ლონდონში ვცხოვრობ, მზია მქვია. მიყვარს ჩემი საქართველოს ტყე და მინდვრის ყვავილები. ხშირად ფიქრს ადევნებული ხან კახეთის კუთხეს ვესტუმრები და ხან იმერეთს. ფიქრის სახლში საქართველოს ოთხივე კუთხეში ვცხოვრობ. ფიქრის საბანს წავიფარებ და სოხუმის ზღვის ნაპირებზე ისევ ისე დავსეირნობ, როგორც ბავშობაში დავდიოდი. მზეს მზიას საუბარზე ცრემლები წასკდა. ბოლოს ისევ მზიას მოუწია მზის დამშვიდება. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მზემ ასეთი დასკვნა გამოიტანა: დროებით უნდა მოშორდე შენს სამშობლოს რომ, იგრძნო მისი სიდიადე და სიყვარული.

მზემ დაინახა რომ, მზიაში სიკეთის მზე იყო ჩასახლებული და იმიტომ კაშკაშებდა!

MZIA RESIDES IN THE SUN

The sun had done its duty and was about to set. But at this time, she felt some distant brightness, and it forced her to open her half-closed eyes. She looked around and saw a ray similar to her own. The sun asked the ray: I was about to go down, and my eyes were singing a lullaby to me. Your brightness woke me up. Who are you, and where did you come from to shine like me? Oh! What can I tell you, my dear? I am a Georgian. – The ray answered. Georgian? And why don't you sleep, then? It is daytime where I live. But you say that you are Georgian? I am Georgian, but I live in another country.

The sun looked at the brightening light like her, but she was half-asleep, as it was her bedtime. She no longer felt like talking and disappeared into the sea's waves.

In the early morning, the sun was surprised when another bright Sun met her. At this time, she was not in a hurry, and she continued the conversation, asking the name of her. The luminary preferred silence and did not answer at first, but after a long silence, the conversation began: I live in London, and my name is Mzia.

I love my Georgian forest and field flowers. I often visit the Kakheti and sometimes Imereti, chasing my thoughts. I live in the house of dreams, and I travel in all four corners of Georgia. I usually cover myself with a blanket of thought and walk on the shores of the Sukhumi Sea again as I did in my childhood... Tears fell from the sun's eyes on the conversation... In the end, Mzia had to calm down the sun herself... After thinking for a long time, the sun came to such a conclusion: You have to leave your homeland temporarily to feel its greatness and love.

The sun saw that the virtue of goodness was settled in Mzia's soul, and that's why she was so shining!

მოგზაურობა

მოსაღამოვდა. მზემ სხივის ფარდები ლამაზად გადმოაფინა ხვანის მთებს. ოქროს ფერმა ფარდებმა ძირულის პირამდე ჩრდილის რკალში გაახვიეს მზისგან გავარვარებული ყვავილები. სხივები მდინარის ტალღებს შეეთამაშნენ და გზა ისევ საპირისპირო შეღმართისაკენ განაგრძეს. სხივებს თვალი გავაყოლე, რატომღაც მომინდა მათთან ერთად მემოგზაურა. სწრაფი ნაბიჯით დავეწიე და სხივებში გავეხვიე. ისე მიცოცავდნენ დაღლა არ ეტყობოდათ, არც ეთმანეთს ცილდებოდნენ. როგორი მეგობრობა ცოდნიათ ჩავილაპარაკე და კვალდაკვალ მივყევი. ზეციდან ჩამოსულები ჯერ დაბლა ჩამოვიდნენ, მერე ისევ ზეცისკენ მიიწევდნენ. ოცნებით ფრთები გამომესხა, მათთან ერთად რამდენი მაღლა აიწიეს მეც ავყევი. მზემ ყველა სხივი გულში ჩაიხუტა. ვიდექი მათ წინ დაუპატიჟებელი სტუმარი და ვტკბებოდი დედისა და შვილების სიმშვიდით. მზე და სხივები ძილის სახლში გაუჩინარდნენ. ცაზე შავი ფარდა დაეშვა, არაფერი აღარ ჩანდა. ვიდექი ბედშეგუებული და ნაბიჯის გადადგმას აზრი არ ჰქონდა. ვეღარც წინ მივდიოდი და ვეღარც უკან. სადღაც ჯერ ერთი შუქი აინთო, ცოტა ხანში მთელი ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. მე დავფრინავდი ვარკვლავთ ქვეყანაში. ყველა ვარსკვლავს სახელი ერქვა. მეტი წილი სახელი სულ ქართული იყო.

მე რადგან ქართველი ვიყავი, სხვა ეროვნების ვარსკვლავები წაკითხვის საშუალებას არ მაძლევდნენ. რამდენი წავიწიე წასაკითხად, ვარსკვლავები თავისივე ჩრდილით იფარავდნენ სახეს. სიმართლე გითხრათ, არც მაინცდამაინც არ ვიკლავდი მათ საალერსოდ თავს. იმდენი ჩემიანი ვნახე და ისე გავერთე მათთან, აღარც მახსოვდა ზეცაში რომ ვიყავი. იყვნენ პატარა ვარსკვლავები და დიდი ვარსკვლავები. პატარა ვარსკვლავებს ანგელოზებს უწოდებდნენ. დიდი ვარსკვლავები ეროვნული გმირები იყვნენ. ძალიან მაინტერესებდა პოეტების ნახვა. ანგელოზებთან და გმირებთან პოეტები არ იყვნენ. დავფიქრდი: ნუთუ ყველაფერი ფანტაზიაა და ადამიანის მოგონილია? სად არიან პოეტები? ვარსკვლავებმა ერთმანეთს გადახედეს და ჩურჩული ატეხეს. ცოდვაა, ვასწავლოთ გზა... პოეტი ძმა ყავს ზეცაში და მას დაეძებს... ძალიან შორიდან მრისხანე ხმა მოისმა. ჯერ ადრეა პოეტებთან შეხვედრა. პოეტები ღმერთის სახლში რაღაცა საკითხზე თათბირობენ. თენდება... მზის სხივებს ადევნებული მგზავრი დაბლა დაბრუნდეს. ცისკრის დილამ მაიძულა დავმორჩილებოდი და ზეციდან ჩამოვედი ცისკარელი. ერთი სასიხარულო ამბავი მოგიტანეთ. გმირები ვარსკვლავებად ანათებენ. ახალგაზრდები ანგელოზის ფრთებით დაფრინავენ და პოეტები ღმერთთან განაგრძობენ მარადიულ სიცოცხლეს. მხოლოდ გაითვალისწინეთ – მოეშვით შურისძიებას და ბოღმას. მტერზეც არ იფიქროთ ცუდი, თორემ...

იქვე ახლოს კუპრის ქვაბიც იდგა!

JOURNEY TO THE STARS

It was the evening. The sun spread its rays beautifully over the mountains of Khvan. The golden-coloured curtains wrapped the sun-scorching flowers in an arc of shadow up to the edge of the Dzirula River. The rays played with the river's waves and continued their way opposite uphill. I followed the rays, and for some reason, I wanted to travel with them. I caught up with a quick step and wrapped myself in the rays. They crawled up and up; they didn't seem tired or even parted from each other. I talked to myself about what kind of friendship they knew, and I followed in their footsteps. Having come from Heaven, the rays first came down; then they moved towards Heaven again. I felt as if I had wings; the rays made me dream as far as they climbed, and I followed them. The sun embraced all the rays in her heart. I stood before them as an uninvited guest and enjoyed the peace of mother and children. The sun and rays disappeared in the house of sleep. A black curtain fell on the sky; nothing could be seen anymore. I stood despondent, adapted to fate, and there was no point in taking a step. I could neither go forward nor back. A light was lit somewhere, and the sky was soon covered with stars. I was flying on the stardom. All the stars had names. Most of the names were Georgian. As I was Georgian, stars of other nationalities did not allow me to read. How long did it take for me to read? The stars covered their faces with their shadows. I didn't even try to caress them. I saw so many familiar faces and had so much fun with them that I didn't even remember being in Heaven. There were little stars and big stars. Small stars were called angels. Big stars were national heroes. I was very interested in seeing the poets. There were no poets with the angels and heroes. I wondered if everything was a fantasy and invented by man. Where are the poets? The stars looked at each other and whispered: "Let us take pity on her; let's teach her the way. Her brother is a poet, and he is in Heaven. She's looking for him..." An angry voice was heard from far away: "It is too early to meet poets. The poets are discussing some matters in the house of God. It is dawning... the passenger, chasing the sun's rays, should return."... The Dawn forced me to obey the voice, and I emerged from the sky, Ciskareli. We have some good news for you: Heroes shine like stars, young people fly with angel wings, and poets go on to eternal life with God. Just avoid revenge and evilness. Don't think wrong even about the enemy; otherwise...

A cauldron full of resin tar was boiling nearby!

გულის ბუხარი

სიყვარულისთვის გაჩენილს, სიძულვილს ნუ დამავალებ. ნუ მაიძულებ ვიყო ის რაც არ ვარ და არც არასოდეს ვიქნები. სიძულვილის მისიის შესრულებას სიკვდილი მირჩევნია. ნუ ამომადენ ყელში იმ სიტყვას, თუ ოდესმე ჩემზე თბილი სიტყვა გითქვია. დასაყვედურებული სიცოცხლეც არ მინდა. ენას სანამ ვისწავლიდი დედაჩემი სიყვარულის ზღაპრებს მიყვებოდა. როცა წამოვიზარდე ვიცოდი რომ ყველაფერს უნდა მივფერებოდი და მყვარებოდა. უნდა მყვარებოდა თვით უსულო და უმეტყველო ნივთებიც კი. დედისგან ვიცოდი რომ, ჩემი საკუთარი მინდვრის იებისა და ენძელების სურნელებით უნდა დამტკბარიყავი და სხვის ბაღში ვარდი არ უნდა მომეწყვიტა. ჰოდა გავიზარდე ისეთი როგორიც დედას უნდოდა. არ ყოფილა შემთხვევა რომ, დედაჩემს ჩემს საქციელზე გული ტკენოდა. თუმცა ძალიან ცელქი და მოძრავი ბავშვი ვიყავი. ჩემი სიცელქით არაფერს ვაშავებდი. არავის ვცემდი და არავის ვჩაგრავდი. თუ ერთი ბავშვი მეორეზე ცუდს იტყოდა და მერე ვიღაცა იმ ბავშვს ენას მიუტანდა და დავინახავდი, რომ სიბრაზისაგან ცოფებს ყრიდა, მე ისე დავამშვიდებდი მას, რომ სიძულვილის მაგივრად ერთმანეთის მეგობრები ხდებოდნენ. მე კი ეს მიხაროდა და ამნაირი სიყვარულით ვკვებავდი გულს ბავშობიდან. როცა გავიზარდე და უკვე დედა გავხდი ჩემს სოფელში ჩხუბი მოხდა, ერთმა ახალგაზრდამ მეორეს ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა. დაზარალებული ჩემი ნათესავი იყო. წამში მასთან გავჩნდი. საუბარისას ისეთ თემებს შევეხე, ისე ვამოგზაურე მიმტევებლობის ქვეყანაში რომ, გაცოფებული ნათესავს სიმშვიდე შევანაეჩუნებინე და ბოლოს კი ერთმანეთთან შევარიგე. პატივს ვცემ კანონს

FIREPLACE OF THE HEART

Do not teach me to hate others; I was born for love. Please don't force me to be something I never will be. I would rather die than carry out a mission of hatred. Please don't ask me to pay for all the words you have said about me. Before I learned the language, my mother used to tell me love stories. Growing up, I knew what I should love and care about. I should have loved even inanimate and speechless things. I learned from my mother that I should enjoy the fragrance of the violets and snowdrops of my field and not cut a rose in someone else's garden. So, I grew up as my mother wanted. There was no occasion that my behaviour hurt my mother. However, I was a very naughty and active child. But I never did wrong with my teasing. I did not beat or oppress anyone. If one child said something wrong about another, and someone, the third would stick his tongue at that child, I would see him throw tantrums out of anger; I would have to calm down so much that instead of hating each other, they became friends. I was happy about it; it fed my heart with such love since childhood. When I grew up and became a mother, there was a fight in my village; one young man stabbed another with a cold weapon. The victim was my relative. I appeared with him in a second. During the conversation, I touched on such topics: I travelled to the land of forgiveness so that I calmed down an enraged relative and finally reconciled with each other. I respect the law and justice but will never become a police agent. I hate

და სამართალს მაგრამ, პოლიციის აგენტად არასდროს გამოვდგები. სიკვდილზე მეტად მძულს ისეთი ქალბატონები ვინც ამას დამავალებს. ასეთი ცხოვრებით არასოდეს ვიცხოვრებ. მე ერთი ღარიბი პოეტი ვარ, საკუთარი მხოლოდ გული მაქვს. გულში სიყვარულის ცეცხლი მინთია. სუყვარულის ცეცხლზე გათბობა მხოლოდ კეთილ ადამიანებს შეუძლიათ. ბოროტს და ავს გული არ კარობს. თუ ვინმე ჯიუტად გათბობას მოინდომებს, თვალთ უხილავი ძალით, ძალა მემატება და ასეთ ენერგო ვამპირებს დუმილითვე ვაიძულებ უკან გაბრუნებას. გავიზარდე ვეფხის ტყაოსნის აფორიზმებით. ,,ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია".,,გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილი მოუბარი". იმაზე ძალიან მძულს ენის მომტანი ადამიანი, ვიდრე ჩემზე აუგის მთქმელი. თუ ჩემი მოყვარე ხარ იქვე გაეცი პასუხი. მე ასეთი ცხოვრებით ვიცხოვრე. ამჯერად თმებ შვერცხლილ-შეჭაღრებულს ნუ დამავალებ იმას რაც არასოდეს გამიკეთებია და არც არასოდეს გავაკეთებ. შენი მტერისთვის სათქმელი შენი დავალების გარეშეც მითქვია და ვიტყვი. რასაც არ გკადრებ, შენც ნუ მკადრებ. ქართული ენა, მდიდარია თბილი სიტყვებით. გენაცვალე, გეთაყვა, საყვარელო, გაიხარე, გამრავლდი და ასე შემდეგ... ძლიერი მამაკაცი ქალბატონებთან არასოდეს იკადრებს ბილწსიტყვაობას. დედა ქალბატონი არასოდეს არ უნდა წყევლიდეს სხვას. დამინახე, ხელში სიყვარულის თაიგული მიჭირავს და უშიშრად მივიწევ წინ. დააკვირდი ჩემს უშიშარ სახეს. ჩემი კვალის ანარეკლს სიყვარულის იერსახე დასტრიალებს. ჩემი ხელები ცისარტყელის ხელებია, ცასა და დედამიწას სიყვარულით აერთიანებს. მივდივარ წინ და უკან მომავალს გზას ვუკაფავ. რათა უეკლო გზაზე იარონ. სიყვარული უნდა დავამკვიდრო დედამიწაზე. მე ქართველი ვარ და ყველაფერი ქართული მიყვარს. ორი თვალი მაქვს და თვალთა ხედვასაც არ ვუჩივი, მადლობა უფალს. ჩემი თვალი ვარდისფერ ქართულ სამყაროში ტრიალებს. შენი თვალებით არაფერს დავინახავ. დედა თბილი უნდა იყოს როგორც შეშით აგუზგუზებული ბუხარი. ასეთი თბილი ძველებური ბუხარი ვარ მე დედა გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი).

more than death women who ask me to do this. I will never live a life like this. I am a poor poet; I only have my pure heart, and here is a fire of love. Only kind people can warm on the love fire. There is no place there for evil and mischievous in my heart. But If someone stubbornly wants to beat me with an invisible power, my strength increases, and I force such energetic vampires to turn back with silence. I grew up with the aphorisms of "The Night in the Panther's Skin": "One who does not look for a friend is an enemy of oneself." or "Sweet words can bring a serpent out of his deep hole full of venom". I have a person whose habit is delating, espionage, who brings someone else's uttered words toward me. If you love me, you can answer my bad wisher. I lived such a life. I am now an aged woman, and I won't do something I have never done and will never do. I have been saying what I needed to say to your enemy without your assignment, and I still do the same. What I have not deserved, could you not do it with me and the opposite? Please do not hurt me, and I will never hurt you. The Georgian language is rich in warm words: I Genacvale! (I could die instead of you!), my love, my beloved, my sweetheart, be happy, multiply and so on... A strong man never engages in profanity with women. A mother lady should never curse another. Watch at me, holding a bouquet of love in my hand and fearlessly moving forward. Look at my fearless face. My footprints reflect immense love and affection. My hands are the hands of the rainbow, uniting heaven and earth with love. I walk ahead and leave for my descendants the flawless, thornless path. I must establish love on earth. I am Georgian, and I love everything Georgian. I have two eyes, and I don't complain about my eyesight yet, thank God. My eye wanders into the pink Georgian world. I will not see anything with your eyes. A mother should be warm like a wood-burning fireplace. I am such a warm, old-fashioned fireplace. Mother Gulnazi Kharaishvili (Ciskareli)

უცნობი

როცა ვთქვი: დამთავრდა ყველაფრის რესურსი,
სამყარომ უეცრად იმედი მაჩუქა.
რას მიზამს ყინვა და ბედისწრის ნასუსხი?
ზეციდან გზავნილი ვარდისფრად გაშუქდა.

თუმცა მე ავსტრალში ცხოვრების არ მჯერა,
ხმამ მითხრა: ირწმუნე, ცისკარის მზე გაბრწყინდა,
მომავლის სამოსელს იოლად შეკერავ,
ბედს შენი წამება ძალიან მოწყინდა.

ჩამესმა: ფესვები საზრდოობს მიწიდან,
სიკეთე გაგყვება სიცოცხლის დაისშიც,
ვიღაცა უცნობმა გზა გადაგიწმინდა,
აღდგომას აღდგები, გჯეროდეს, მაისში.

მითქვია ბევრჯერ და კვლავ ვიტყვი მეორედ,
მიყვარხართ... სიყვარულს ნურავინ დამიშლით,
სიცოცხლე შვილებო, კვლავ გავიმეორე,
თუ წიგნებს არ შევქმნი, ზეცაში გამიშვით!

UNKNOWN

When I said the resource of everything was over,
The universe gave me hope immediately,
What can Destiny or Frost do to me more?
The message from Heaven was lit up in pink.

Although I don't believe in living in Astral,
A voice said to me: look up, it is your dawn sun,
You will easily sew the garment of the future,
Fate exhausted your suffering and torture.

I heard... the roots nourish from the ground,
Kindness will follow you even in life sunset,
Someone unknown cleared your way,
Believe in the resurrection on Easter, in May.

I've said it many times, and I'll repeat it:
I love you... don't let anyone break my love!
My children, I repeated my life once again,
And if I don't create books, send me to Heaven!

უფლის მსახურნი არის გმირები

ვინ იცის დედის ცრემლის წვეთებით
გამონაჟონი ჭაში ჩაგროვდა,
ოდეს გამყიდველ იუდევლებით,
წარსულის დარდი გარეჯს დარბოდა.

აქ რამდენ დედას შვილი მოუკლეს,
კლდე და მინდორი მწარედ გლოვობდა,
იმ ბილიკებზე გზას მივიკვლევ და ...
გზადაგზა ფიქრი მტერთან ომობდა.

ხმა მომაწვდინეს წყლის აჩრდილებმა...
კლდის აკლდამებში სევდის ახოა,
და საიდუმლოდ მითხრეს დილებმა,
აქ ნეოფიტეს სამოსახლოა.

დავდარდიანდი, ნუთუ მოკვდება,
ქარი იქროლებს განაპირებით,
მწამს ფენიქსივით ბერი აღსდგება,
უფლის მსახურნი არის გმირები!

SERVANTS OF THE LORD ARE HEROES.

Who knows mothers' holy teardrops,
They were melting and gathered in a well.
One time, grieving was reigning in Gareji,
Because of hostility and ruthless betrayal.

Here, mothers were losing children and
Rocks and fields around mourned bitterly,
I found my way on those paths and ...
In my mind, I, too, fought with the enemy.

The water ghosts passed voices to me,
There is a sadness field in the rocks' shrines,
And the mornings here told me secretly,
That here is Neophyte's eternal estate.

Sadness captured me: will he ever die?
Father Neophyte? Will the wind flow aside?
A monk will rise like a phoenix.
As Servants of the Lord, they are fearless.

გ ა მ ე ხ ა რ დ ა

არ გვეტყობა სახის ფერზე დარდის ნისლი,
წავითხუპნეთ მზის სხივების აჩრდილით,
ჩვენ ვაჟკაცებს ცაში შეხვდათ სახლის წილი,
ერთად იყვნენ დღის რიჟრაჟზე ამ დილით.
გამეხარდა, ო, ძალიან გამეხარდა,
უკვდავების მგზავრები რომ ვიხილე,
სიცხე იყო, ხალათები გაეხადათ,
ღმერთო ჩემო, სიხარულით ვიკივლე.
ორ პოეტ ქალს დაგვებედა ერთი ბედი,
თვალის გუბე აგვსებია ცრემლით,
უნაზესო, რწმენის წლებით დამიბერდი,
შენნაირებს დე გულნაზი შველის!

ბედის ბორანი

ბედის ბორანში ვზივარ და მივსდევ,
სხვა არჩევანი ისეც არა მაქვს,
ხან ვეკითხები: გულში რა გიდევს?
სიკვდილისთვისაც უკვე მზადა ვარ.
დუმს თევზივით და არა მპასუხობს,
დედამიწას ჰგავს ბრუნვით, საერთოდ,
იქნებ დამინდოს, აღარ დამსუსხოს,
ორომტრიალში იქნებ გაერთოს.
მზის ქვეყანაში მოვხვდი ამჯერად,
ოდნავ ვიღიმი მნათობთ სივრცეში,
იქა ვარ მაინც, თითქოს არ მჯერა,
ავდრების შემდეგ ვიწვი სიცხეში!

სანთლის ალივით წმინდა

ია მოსულიშვილს

მინდა გაგათბო ისე,
როგორც მზე ათბობს დილას,
გულს რაღა გადამისერს
რადგან გიწამე შვილად.
თაფლის კვერვით ტკბილო,
სანთლის ალივით წმინდა,
ჩემი სიმშვიდის ძილო,
ვარსკვლავი ამობრწყინდა.
არ დავიჯერე რადგან...
ბედით წვიმდა და თოვდა,
ახლა საღ ნერგებს ვრგავ და...
გულიც სიყვარულს მთხოვდა.
გამიაღდომე წლები,
იმედიც ჩამისახლე,
ღამით სიმშვიდით ვწვები,
ბედიც არ მირტყამს სახრეს!

IT CHEERED ME UP.

Pain is unnoticeable on our appearance,
The shade of sunray hid our heart cuts.
Our sons had the house shares in the sky,
On this morning's trip, they were together.
I was glad... o, how glad... filled with delight,
When I saw the passengers of the immortals,
It was too hot; they had taken off their shirts,
Oh my God, how I screamed with all my heart.
Two poet mothers' fates ended in the same way.
Our eyes already dried with endless tear-shedding,
My dear one, walk to the end, and believe in faith,
Gulnazi-mom helps you withstand all your pain.

FERRY OF DESTINY

I sit on a ferry and follow my fate,
As another choice I don't have,
Sometimes I ask: what else should I wait for?
What more do you prepare? I am ready to die.
It doesn't answer; it is silent like a fish.
Its rotation is resembled to the Earth,
Maybe he won't hurt, will spare me,
Perhaps he'll have fun in this turmoil.
This time, I've got to the land of the sun,
I smile faintly among the stars,
It's hard to believe, but I am there,
After freezing weather burns me, the sun.

PURE AS A CANDLE FLAME

I will give you my warmth,
As the sun warms a dawn,
Nothing can make me hurt,
As you are my child, now.
Sweet like a honey roll,
Pure as a candle flame,
My peaceful night's sleep,
My star, my shining day.
I didn't believe in a new fate,
Because of constant rain,
Now plant healthy seedlings,
Ready for new feelings.
You resurrected my years,
Returned to me my dreams,
I sleep peacefully at night,
And Fate stopped my whipping.

მაინტერესებს

ფიქრებთან მშვიდად სადილს მივირთმევ,
ერთად დავლიეთ ამ დილით ჩაი,
მზე ჩასასვლელად ფეხს ძლივს მიითრევს,
მაინტერესებს საითკენ ჩადის.

მთვარესთან მიდის? იქნებდა არა,
იქნებ აქვეა ჩემს სულის ახლოს,
ნისლმაც არაფრით არ დაიდარა,
მზე სად იძინებს რომ დავინახო.

კარგახანია მაინტერესებს,
ცის მნათობების იდუმალება,
ან თუ ჩემსავით უძლებენ სტრესებს,
ჩემდენი შრომა თუ ევალებათ.

მაინტერესებს ტყეს რა ახარებს,
როცა ტაშს უკრავს ტოტის ხელებით,
ნაკადულები რატომ ხარხარებს,
ქარისგან ასე განახელები.

ბუნების ყველა დროს ვაკვირდები,
დროს ერთნაირი კაბა აცვია,
გაზაფხულს შვენის ნაზი კვირტები,
ზამთარს ფოთლები შემოსძარცვია.

მე მაშინ დამწყდა ერთად ძარღვები,
ჩრდილს რომ ეძებდა გულის ზაფხული,
ბედმა მღრნა ისე როგორც ძაღლები,
იმედს კი ვყავარ გადანახული!

I AM INTERESTED IN IT.

I am dining with my thoughts in peace,
And we had tea, too, together this morning,
The sun barely drags its feet to set,
Where does it head, and which way?

I wonder if he heads to the moon or not.
Maybe she stays here, with my orphaned soul,
And the fog neither cleared its way,
I want to see where the sun hides itself.

I've been wondering for a long time,
About the mystery of the skylights,
Or if they can withstand stress like me,
If they must work for days and nights.

I wonder what can delight the trees,
When they clap branches with applauding,
Where do springs rush, and why do they giggle?
Dashing mind lost, maddened by the winds.

I've watched this nature for many years,
Each season is dressed in its own garment,
Spring is beautified by its tender buds,
Winter is marvellous with its naked branch.

My veins were finally torn then,
When my heart's summer was searching for shade,
Fate gnawed my heart as dogs do with bones,
But I have hope still, and it will look after me.

ძალზე კეთილი

(ლია ალადაშვილს)

რა უნდა გითხრა? ვთქვა თუ დავდუმდე,
ღმერთმა დაგლოცოს მართლაც ბულბულო...
დარდისკენ ლია აღარ გაბრუნდე,
შენი სიმღერით გული სულდგმულობს.
აიმზიანე დღეც და წუთებიც,
წლებიც მრავალი გადაითვალე,
შენ რომ ჩემს ლექსებს ღამეს უთევდი,
მეც ერთგულება შემოგითვალე.
მგრძნობიარე ხარ, ძალზე კეთილი,
სათუთი როგორც მინდვრის იები...
შენ მეგობრობის ხარ გაკვეთილი,
ჩემი ლექსების სულის მთიები!.

VERY KIND

(to Lia Aladashvili)

What should I tell you? Say or not to say!
God bless you forever, our nightingale...
Don't go back to sorrow, to your bored life,
Let your charming songs grant us delight.
Cheer up yourself, give sense to your time,
Brighten your day; enjoy your life.
Because of your work on my poetry,
I want to repay you with my loyalty.
You are too kind and too sensitive,
As tender as violets of the spring field...
You are an example of a true friendship,
You are the dawn star of my verse spirit.

თემურ გოგსაძე

ი ბ ე რ თ ა მ ო დ გ მ ა

ღვთაებრივ გონის ბგერა-ათვლა ვარ!..
არა მარტოდენ ქრისტეს მცნებიდან!..
მე ისეც ჯვარცმა-აღდგომით დავალ,
სამყაროს პირველ დაბადებიდან!
    კავკასის მთებზე გაბრწყინდა ნისლი!..
    გვაკურთხა ღმერთმა აქ არსის მცველად!..
    მთელს პლანეტაზე დაღვრილი სისხლით,
    ისევ ისა ვარ, ვინც ვიყავ ძველად!...
მე, ღირსებასთან ვიყარე წილი!...
სიცოცხლეც ისევ ღმერთს მივუძღვენი!..
და, როგორც საღვთო ტაბლის ნაწილი,
გავაზიარე ცოდნა და გენი!...
    ემსხვერპლა მტრების ბოროტს და ავ-ხელს,
    ბევრი რამ, სხვა და,,ოქროს საწმისი"!
    დრო, ღვთაებრივი, ყველაფერს ამხელს,
    მე, ისე ღრმად და შორს მაქვს, საწყისი!...
ჩემს სტუმარს, ოდით, ღვთისა აქვს, ფასი!..
და დღესაც, ვცხოვრობ, ქალდევ-ქართულად!..
არ შეიძლება, შეცვალო არსი,
სტუმარი, თუნდაც, ამღერდეს მტრულად?!..
    ცოდვის და მადლის ბასრი წვერიდან,
    იუდაც, ქრისტეს მოსვლამდე ვცანი!..
    ღალატის შუბით გაჭრილ ვენიდან,
    ბევრჯერ შევღებე მიწა და ცანი!...
მე გავუძელი სასტიკ მტრებთან ომს,
ცრემლით დატბორილ დედის თვალებით!...
კაცობრიობის ძირეულ გენომს,
ატყვია ჩემი ნატერფალები!...
    მტკიცება დროში ჩაწყობილია...
    ლეგენდაც, ფაქტიც... არ უნდა, ფიცი!
    არა მარტო ის, რაც ცნობილია,
    არამედ, ისიც, რაც ჯერ არ ვიცით!..
ავამეტყველე ქვა საჭრეთელით!..
შვიდ სხივთა რხევა ვქმენ-ჰარმონიად!....
მიყვარს სამყარო – სრული და მთელი,
მარადისობის პოლიფონია!..
    რადგან, თავად ვარ თავისუფლება
    შემომემსხვრევა, კვლავადაც, მტერი!..
    მაქვს, ღვთაებრივი-ენა და ნება,
    ამიტომ მქვია,, ფენიქსის ერი"!..
მკლავს აღტაცება – სამყაროს სიმთა
და სილამაზის თვალის შევლების!..
დრო, სიყვარულში გადაიტვირთა –
აღსასრულია ფარისევლების!...
    იბერთა მოდგმა ღვთის აღთქმას ელის!...
    ვართ-უსასრულო საგალობელი!..
    მამა-ღმერთის და ყოვლის შემქმნელის –
    მართლად და მართლა, მადიდებელი!...

Temur Gogsadze

IBERIANS DESCENDANTS

I am sound-counting of divine mind!..
And not only from the commandment of Christ!
I walk with the crucifixion and resurrection,
From the first birth of the immense Universe!
    Fogs were shone on the Caucasus mountains,
    And God blessed us as the guardian of Gist!..
    All over the planet, with my blood spilt,
    I am still the same as I was at first!
I, with dignity, took part in sortition,
I dedicated my life to God again!
And as a part of the divine table
I shared my knowledge and genes!
    Many things were sacrificed to the evil spirits,
    And amongst them was the "golden fleece,"
    Divine time will display and reveal it:
    So far and deep are my roots and beginning!..
My guest, sent by my Lord, has his value since!
And even today, I live as a Chalde-Georgian!
We can't change the essence of our traditions,
Even if Devil turns your guest offish-glacial!..
    Even from the sharp point of grace-sin,
    I recognised Juda before the coming of Christ!
    From a vein pierced by a spear of treachery,
    I painted the land and the sky many times!
I endured a cruel war with enemies,
Flooded by Mothers poured tears Earth!
On The main genome of humanity
My footsteps can be noticed clearly!...
    The assertion is put in time and
    A legend, and a fact, too... it no need proven!
    Not only what is already known
    But there are lots of things we still need to learn!
I made the stone with a cutter talk!..
I turned into harmony seven ray vibration.
I love the World – whole and perfect,
As Polyphony of eternity!..
    Because I am freedom, myself
    The enemy will crush itself, battling with me!
    I have divine Language and Will,
    That's why I'm called "Nation of Phenix"!..
I admire the World's marvellous strings,
And to see and feel the beauty of the Universe,
Time will soon overflow in love-adoring
And it is too near the hypocrite's end!
    The Hibernian Kin's wait for God's promise!
    In this Universe, we are the eternal hymn!
    The praisers of Father-God and creator of all things-
    The true worshipers, anticipants of ordinary bliss.

ირაკლი ნადარეიშვილი
Irakli Nadareishvili

მეც მაშინ შევცდი...

აქეთ მოდექი მეგობარო, აგერ, ამ ლოდზე...
მოირთხე ფეხი, ნუ გექნება სამარის რიდი,
მაგ ცხოვრებაში ცოცხლებს უნდა ერიდო, თორემ
მე არას გავნებ, ჩემთვის ვწევარ მკვდარივით მშვიდი.
მიამბე წვრილად ეგ განცდები, შიგნიდან რაც გხრავს,
ეჰ, თავის დროზე მეც შენსავით დარდით ვიარე,
ვგრძნობ დაკარგულით დაგიკარგავს სულის სიმშვიდე,
ჰოდა, ვით ცოცხალს გამენდე და გამიზიარე...
რად ჩამოგტირის აგრე სახე, უცნობო მგზავრო?!
არ ღირდეს, იქნებ, დანაკარგი ტანჯვად და გვემად,
მეც მაშინ შევცდი, როცა "ჩემი" დავარქვი საგნებს
და სულიერთაც ვიხსენებდი, ოდესღაც, ჩემად.
ჰოდა, შენც ცდები, თუკი რამე გგონია შენი,
ან მოკვდავთაგან, თუნდაც ერთი რომ შენთვის გაჩნდა,
აგერ, შემხედე, რაც ჩემია, მაყრია გულზე,
არადა, ერთ დროს, ყველა,,ჩემი" იარად მაჩნდა...
ყველას ტკივილი მტკიოდა და სინდისი მწვავდა.
ახლა კი რა ვარ?! მხოლოდ ტირე ორ თარიღს შორის...
ჰო, მეც ოდესღაც სიყვარულის შენსავით მწამდა,
და მინდობილი მეც ვლაღობდი მოკვდავთა შორის.
ცხოვრება ველს ჰგავს, განსაცდელის ნაღმებით სავსეს,
ვერვინ გაივლის, ერთზე მაინც რომ არ აფეთქდეს
და ყველა ნაღმი გულზე გვამჩნევს თავის იარას
ჰო, ვიცი ხშირად გინატრია, რომ აღარ ფეთქდეს ...
ჰოდა, გაუშვი...თავის გზაკვალს მონახავს დარდიც,
ჰოდა, გალაღდი...ეგ სიცოცხლე არა ღირს გვემად,
მეც მაშინ შევცდი, როცა საგნებს დავარქვი "ჩემი"
და სულიერთაც მივიჩნევდი რატომღაც "ჩემად".

მეეზოვე

ეჰ, მეეზოვევ, მხოლოდ შენ იცი,
როგორ ეძინა რიჟრაჟზე ქალაქს...
და შენი ცოცხი ასუფთავებდა
ღამის ცოდვათგან ამ წმინდა ალაგს.
ჰო, მეეზოვევ, მაგრად მოუსვი,
ააშრიალე ფოთოლთა გროვა
და ყვითელ ფოთლებს თან გაატანე
წუხანდელ ღამის ცრემლი და გლოვა...
რადგანაც თავი სურთ, რომ იხილონ,
სუფთა, რომელიც წუხანდელს არ ჰგავს,
მხოლოდ შენ ხედავ, მხოლოდ შენ ამჩნევ
ადამიანში დაგროვილ ნაგავს...
ჰო, მეეზოვევ, შენ მეც მჭირდები,
მინდა ეს სული ისე გახვეტო,
რომ ხვალე დილით ყველა დარდისგან
თავისუფალი გამოვეხეტო.
ჰოდა, კვლავ მინდა, ისე ვით უწინ...
სინდისის სუფთა სამოსი მეცვეს,
არ დამიღამდეს, ისეთი ცოდვით,
სინანულისგან დილით, რომ შემრცხვეს...

IT WAS MISTAKE

Approach me, please, rest here, at this rock, my dear,
Come and sit near, try not to have a grave fear,
In life, you should avoid living being, otherwise,
I can't hurt you; I lie here, in dead man's peace.
Trust me, those feelings gnawing at your heart,
Eh, I was wandering with sorrow too, like you, once,
I feel your loss took from your mind the peace,
So, rely on me, please, share with me your grief.
Why are you so sorrowful, my strange passenger?!
Maybe your loss does not worth your bitter tears.
I also made a mistake when I called things to mine,
And some living beings I accepted as my soul parts.
So, if you think in this world anything is yours,
Even if one of the mortals has arisen for you,
look at me, here, what is mine, it spread on my heart,
But, at one time, all cuts seemed to be mine, to be my ulcers.
The pains around buttered me, and my conscience burnt.
What am I now?! I am only a dash between two dates.
Yes, I believed in love, once, as you do now,
fulfilled with trusting I was enjoying among the mortals.
Ordeal and peril, full of the trail mines life is like a field,
Without at least one exposure, no one will pass it,
And every mine in the heart bears its at least one wound,
I know you often wish it would not have been, though.
Let it go, then! Let your grief find its way,
So, be delightful, as this life is not worth a wailing,
When I called things to mine, I also made a mistake,
And for some reason, I considered people as mine.

THE YARD KEEPER

Eh, my yard keeper, only you know
How the city slept at the daybreak,
And your broom how was cleaning off it,
This holy place from the night sins.
O, yes, gardener, continue, go on,
Make rustle up dried piles of leaves,
And send away with the yellow leaves
Last night-tears and bitter mourning.
Because of their wish to see themselves,
Clean and sincere – not like last night's,
Only you notice, only you see,
Garbage accumulated in human-being.
O, yes, yard keeper, I need you too,
I want you too, to clean my soul so,
That tomorrow morning, from all sorrow,
To feel refreshed and to take a stroll.
Well, I still want to, just like before
Clean clothes of conscience, I to wear,
Not to spend the night in such a sin,
Regret it in the morning and feel ashamed.

ირმა კეკელიძე
Irma Kekelidze

მზის სხივები ჩაქრა დიოსკურიას

(ეძღვნება 1993 წლის ოქტომბერში,
სოხუმში, 9 აპრილის სკვერში,
სეპარატისტების მიერ დახვრეტილი,
ქართველი პოეტი ქალის,
ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ხსოვნას)

ოქტომბერში ზღვა ლივლივებს, წყნარია,
ქვეყანას კი დარდმა ხელი დარია,
როს პოეტმა – ქალმა ულამაზესმა,
მოყვრის ტყვიით, ვაჰ რომ სული დალია.
მზის სხივები ჩაქრა დიოსკურიას,
გაეყინა სისხლი პოეტს-გულიანს,
„აპრილის" სკვერს მოედო ღრუბელი,
ლამაზ ქალს კი მოეკვეცა მუხლები.
აღარ ისმის მისი ლექსის სტროფები,
აღარ ჰყვავის ბაღში ვარდის კოკრები,
გაზაფხულზე მიმოზებიც არ ჩანან,
ლამაზ სკვერში მაგნოლიაც გამქრალა...
მისი სული ზეცას იდარდიმანდებს,
ღვინობისთვეს ვიცი აღარ იდარდებს,
როს სოხუმში კვლავ გაჩნდება ვარდები,
ლამაზ სკვერში მაგნოლიაც იხარებს!..

THE SUN'S RAYS WERE EXTINGUISHED IN DIOSCURIA

(Dedicated to the memory of Georgian poetess
Eter Samkharadze-Jghamadze,
who was shot by separatists
in October 1993, in April 9 Square, Sukhumi.

***

It was October, and the sea was so calm,
But the country was in pain, in the evil battles,
And the poem writer – a beautiful woman,
She was ruthlessly killed, emptied of blood.
The sun rays turned faded in Dioscuria,
The blood turned icy of a beloved poetess.
Clouds surrounded "the ninth April" square,
And the knees of the beautiful woman were bent.
The stanzas of her poem are no longer heard,
Rosebuds no longer bloom in the square.
Mimosas don't even appear in spring.
The white magnolia also disappeared.
Her soul will have a celebration again.
And it will be wine month again in Heaven.
When in Sukhumi, Roses still appear
And Magnolia will bloom in the April square!

როცა გარეჯში მივდივარ ბედად

მოსჩანს სიმრავლე უამრავ ფერთა,
თუმც იანვარში გავიდე ველად
და დიდ მინდვრებში უდაბნოს ვხედავ,
როცა გარეჯში მივდივარ ბედად!
ზეცაში მოსჩანს აურაცხელი,
ფრინველთა გუნდი აღუწერელი,
სევდა მიპყრობს და კვლავაც ვდუმვარ,
ბრძოლები გვიწევს ისევ ულევი.
მოგვეგებება ლუკიანე და
წმინდანთა ჯარი მოუდრეკელი,
როს ავუყვებით აღმართს ქვებიანს,
მონასტერში კი ლოცვით გველიან.
"ნათლისმცემელს" კი, კლდეში ჩაჭედილს,
დაღლა არა და არა სჩვევია,
მწამს მივადგები მე მის კარიბჭეს,
ეს მონასტერი მჯერა-ჩემია...
და წირვის შემდეგ ღამენათევი,
როს ცას ავხედავ ვარსკვლავებიანს,
ზეციდან მესმის ხმა უცნაური-
გწამდეს გარეჯი – მართლა შენია!

IN THE GAREJI

When I go to Gareji, on my luck,
Around me spread various colours,
If even there is a January month,
In the velvet desert, I see a mirage.
When I go to the Gareji to pray,
In the sky soar unquantifiable birds,
Sadness attacks me, as for our wealth,
We have to move and fight again.
When we follow the stony uphills,
They wait for us with their praying,
The fearless army of defiant spirits,
And prayers Chorus that Lucian leads.
Stuck in a rock, "Baptist John's temple."
It's never exhausted, never gets tired,
I believe once I'll get to its entrance,
As this monastery is genuinely mine.
And after service, feeling courageous,
I look at the sky glittered with the stars.
I hear from heaven a mysterious voice:
Believe in Gareji – it's accurate yours!

თქვენ დაგეძებენ ჩემი ფიქრები

მავთულხლართებმა უკუნეთ ღამეს,
ვახ, რომ დიდ ლიახვს დაუგეს მახე,
და სამაჩაბლოს ლამაზი სახე,
გარიჟრაჟზედაც ვერ დავინახე.

თამარაშენი გაღმით დავტოვეთ,
მაჩაბლის სახლს ხომ თვალსაც ვერ ვავლებ,
თქვენ დაგეძებენ ჩემი ფიქრები,
პატარა ლიახვს ხლართები გავლეს!

მოფრინდებიან ისევ მერცხლები,
"ვახტანგის" ბაღში ვარდიც იხარებს,
კვლავ დაგეძებენ ჩემი ფიქრები,
ფრონეს ნაპირებს თავს რომ აფარებს.

მწვანეში ჩაფლულ ქემერტს და ერედვს,
გულ-მკერდზე აწევს დიდი იარა,
სამაჩაბლოში ბნელ ღამეს წყვდიადს,
კვლავ გაანათებს მზე თვალბრიალა.

MY THOUGHTS ARE LOOKING FOR YOU!

The stinging barbed wires in the pitch night,
Alack! Have set a trap for the great Liakhvi,
And, that the beauty of my Samachablo,
I could not see even at early sunrise.

We left Tamarasheni beyond the wires,
At Machabli's house, I can't even glance.
My thoughts follow you; you are in my mind,
My Little Liakhvi struggled under a wire trap.

Swallows will return, build nests under roofs,
In "Vakhtang's House" roses will re-bloom...
But what can I do? How can thoughts cure,
Hiding in your search in the banks of Frone?

Qemerti, Eredvi, hidden in the green,
An incurrable pain struggles their chest,
But I believe that Samachablo's nights,
With the sun's radiance, it will shine again.

თოლიების მოლოდინი

ეძღვნება მზია ლაურენსს

ზამთარია და ზეცას ბინდი შემოჰფენია,
როს შემოდგომა მიიწურა ნისლი გვწვევია,
შენს სითბოს მაინც გულცივობა არა სჩვევია
და სილამაზე, უჭკნობელი, მაინც შენია!
ჩვენთან, შავ ზღვაზე, თოლიების დიდი ველია,
მთას ცივი ყინვის, რუხი ბინდი შემოჩვევია,
ტყეში ხის ტოტებს გადაკვრია თეთრი მანტია,
მანდ დიდ ქალაქს კი შენი სხივი შემოქარგვია!
გაზაფხულია, აპრილია, წვიმის თქეშია,
"ჰაიდ პარკს" მწვანე სიხასხასე გადაჰფენია,
ფანჯრის რაფაზე წყლის წვეთები ისევ ჩნდებიან
და ხის ტოტებზე ბეღურები შემოსხდებიან.
სულს მღელვარება "ვესტმინსტერის" თანა ხლებია,
ზაფხულია და მზის სხივები კვლავ ცას ეკვრიან,
ჭაღარა ტემზას "ჰემპსტედ ჰიტი" თავს დასდგომია,
"ბიგ ბენის" ხმა კი, ღამის ლონდონს, თავს დასტყდომია.
ჩრდილოეთის ზღვას ტემზას სისხლი შეჰმატებია,
ლონდონის ხიდზე შემოდგომა მრავალფერია,
ენგურს გაღმა კი სილაჟვარდე ცას ასწვდომია,
შავ ზღვაზე, გუნდი თოლიების, შენ მოგელიან!

SEAGULLS' WAITING
(Dedicated to Mzia Lawrence)

It is winter, and a gloomy twilight reigns in the sky,
Sorrowful clouds covered the heavens. Autumn left us.
But your warmth is unchangeable despite the frost,
And, anyway, this beauty, unfathomable, is still yours!
There is a large field of seagulls on the Black Sea with us.
The mountains are covered by silver frost and some grey dusk,
A white mantle lustres bushes and trees in the forest, and
Your shining charm embroiders a great city far away from us.
It is spring, and it is April month it is pouring rain,
And shines in London "Hyde Park" in emerald green,
Water drops appear playing on the windowsill,
And the sparrows with ruffled-up feathers perched on the trees.
It excites the soul, the magnificence of Great "Westminster",
It's summer, and the sun's rays still reach high up in the sky,
"Hampstead Heath" stands like a guard, gazing over grey Thames,
And it keeps awoken London at night with the sound of "Big Ben".
The Thames added immeasurable blood to the North Sea,
Autumn spreads its magic colours over London Bridge.
Beyond Enguri, azure reaches the sky, waves amber fields,
And a team of seagulls waits for you on the Black Sea!

ნინო უძილაური
Nino udzulauri

აპრილის ხმა ბაღში

აყვავილდა ალუბლები,
ეზოში ჰყვავის ვაშლი,
ბაღის ბოლოში კი თეთრი ბლები,
ყვავილებს ჯერაც არ შლის.
სხივი ატმისფერი ზეცის კიდედ,
ფერებს უწნავს აპრილს თმაში
მოდი, მომეხვიე ერთხელ კიდევ,
ბზარი შემერია ხმაში.
ბაღში აყვავებულ ალუბლებთან,
კვირტებს ალუჩაც ხომ გაშლის.

არავინ იცის

ფიქრებაშლილმა აპრილის ღამემ,
კრძალვით ჩამოხსნა მზეს ერთი სხივი
და ვარსკვლავთცაზე მიჯნურმა მთვარემ,
ყელზე შეაბა ალიონს მძივი.
სიყვარულს უხსნის დღეს ღამე ამ წამს,
უსიყვარულოდ სიცოცხლე არ მწამს..
არავინ იცის რას ფიქრობს ქალი
გარდასულ დღეთა როცა ქრის ქარი.

ენავ, მშობელო

შენა ხარ ჩემი სამყარო,
ჩემი საუნჯე, ფესვები,
უფალო აღარ გამყარო,
ენას, საუფლოს ღმერთების.
გადმოაყარე აპრილო,
სამშობლოს ზეცის კვირტები,
გულო ქართულო, ნამდვილო,
ენავ, მშობელო, მჭირდები.

THE SOUND OF APRIL.

Cherry tree blossoms in the yard,
And apple stands feeling self-approval,
At the garden end, the white cherry trees,
It hasn't bloomed yet, and what for them to wait?
A peach-coloured ray on the horizon,
Interwines colours into the April's hair,
What if you come and hug me once more?
There was a crack in my voice.
By the blossomed cherry in the yard,
Soon, the plum opens its silver buds.

NO ONE KNOWS

With turmoil thoughts, an April night,
He took from the sun down one ray,
And the moon, enamoured with the stellar sky,
He tied a bead around Albion's neck.
Night declares his love to the day,
Without love, I don't believe in life,
No one knows what a woman thinks
When the wind brings by gone days breath.

MY MOTHER LANGUAGE

You are my world, my universe,
My treasure, gemmery, my roots,
Don't separate me, my Lord, of
My language, the kingdom of the gods.
April, please pour it on the earth,
the Heaven buds to my estate,
The heart of Georgian, pure and real,
I need you, my native language.

ეთერ ჭელიძე
Eter Chelidze

სანამ დროა...

მიუფიცხე სული შენი სიყვარულის კოცონს,
თორემ მალე დაზამთრდება, თორემ მალე მოთოვს,
და, გაქრება როგორც ფიფქი, ფიფქი, პირველ თოვლის,
თქმა რომ გსურდა ვეღარ იტყვი, უპირველეს ყოვლის.

ჰოდა, სანამ აფეთქდება რუხისფერი ლეგა,
უნდა შეძლო გადაცურო გრძნობის ტალღა შლეგმა,
სანამ თოთო გრძნობის მტევნებს გამოწრუპავს ქარი,
აქარიშხლე მზის კალთებზე წამი, ერთი წამი...

მიუფიცხე გული შენი სიყვარულის კოცონს,
სანამ შენში ზაფხულია, სანამ თმებში მოთოვს!!!

WHILE IT'S TIME...

Warm your soul at the Fire, at the BomFire of desire,
Or, Winter is at the gate, and snow will fall otherwise.
And it will soon disappear like the flakes of the first snow,
If you want to open your heart, you won't be able to do it at all.

Well, before it explodes, those silvered and glaucous clouds
You Must be able to swim a wave of feeling mad and too insane.
Until the whirlwind with sipping takes from clusters, all feelings
turn raging for a second on the sun hills a second.

Please warm your heart on the Fire, on the BomFire of love,
While it is summertime, while you are in love, thirst dove.

წუთი წყვეტს ყველაფერს...

ერთი წუთი წყვეტს ყველაფერს,
ერთი ძილ-მღვიძარე წუთი...
მაინც ვერ გახდები ვერაფერს
ნებდები... განაჩენს უცდი...
სანამ ხარ სიკეთის ჯეჯილი,
თესო და მარგლო უნდა,
რაცა გაქვს შენი შექმნილი,
გასცე უკვალოდ თუნდაც...
იცხოვრო, ისე იცხოვრო,
ღიმილს სდიოდეს მადლი,
ერთია მხოლოდ სიმბოლო,
მიწის მტკაველა, ადლი...
სიცოცხლე შენი მოყვასს,
თავის ტოლ-სწორად სურდეს...
მტერს, უხილავს და ხილულს,
შენი სიკვდილიც შურდეს...
ერთი წუთი წყვეტს ყველაფერს.
ერთი ძილ-მღვიძარე წუთი...
მაინც ვერ გახდები ვერაფერს...
ნებდები...განაჩენს უცდი!...

A MINUTE DECIDES EVERYTHING...

One minute decides everything,
Half awake and half sleeping...
You can't change a bit anything,
You surrender and keep waiting.
As long as you serve kindness,
You earn yet and then give away,
What you have heartily created
Give away without regret.
You have to live a kind life,
To pour like flood your grace,
There is only one symbol-sign,
Tiny like a dwarf of earth.
If your friend wishes you to have
everything equal to himself...
To the enemy, invisible and visible,
May be envious even your death.
One minute decides everything,
Half awake and half sleeping...
You surrender and keep waiting,
Because you can't change anything.

იზა ჭიკაიძე
Iza Chikaidze

***

ურომლისოდაც ვერ ივარგებ ვერასდროს, ვერსად,
ეს არის რწმენა, ღირსეული სიტყვისკაცობა,
თავმდაბლობის და ძლიერების შეხმატკბილება,
სულის მხნეობა, სიმშვიდე და კაცთმოყვარება.
ალალი შრომა და სიკეთით ლელოს გატანა,
დუმილისა და სიყვარულის დასაძირკვლება,
შვილის და ძირის მადლის ცხებით დაგვირისტება,
მტრისტვის შენდობა და სამოყვროდ ხელის გაწვდენა.
ურომლისოდაც ვერ იქნები ვერასდროს ვერვინ,
გულის თვალით და ღვთის გზით თუ არ შეიმოსები,
გამარჯვებას და დამარცხებას გულდინჯი მზერით,
და გონივრული თვალთახედვით თუ არ შეხვდები.
უიღბლო დღეთა დანგრეული ცხოვრების კედლებს
ბედნიერება და იმედი წამოაშველე,
დაბნეულობა არ შეგნიშნოს არასდროს არვინ,
გაიღიმე და გულისგულიც გამოაბრწყინე!
ურომლისოდაც ვერ ივარგებ ეს არის გული,
მამულისა და ხალხისათვის შემოწირული!
ოქროსფერ ვარდებს მოაშორე მზაკვრობა, შური,
და არასოდეს დაივიწყო შენი წარსული!..
ურომლისოდაც ვერ ივარგებ ვერასდროს ვერსად,
ეს არის შენი ტრადიციის ტოტი და ფესვი,
ქვეყანა შენი, ოჯახი და თავისუფლება,
ერთგულება და დღეგრძელობა ერის და ბერის!
ურომლისოდაც ვერ ივარგებ ეს არის შენი,
მოყვარეების სავსე მუჭით მოწვდილი წყალი,
დაგლოცავ შენი მადლისფერა სიყვარულისთვის,
ღირსი ყოფილხარ უკვდავყოფისდ! ამინ და ამინ!

***

What you can't live without never, anywhere
It is faith and honour, as a man of his word,
A combination of Humility and Power,
The courage of spirit, composure and love.
To get your goal with hard and honest work
Build and create based on love and silence,
To be blessed with myrrh, anointing of grace,
New friends-making and enemy-forgiveness.
You can't be completed, whole and perfect,
If you don't cover your heart and God's way,
If you don't meet with victory and defeat-loss,
With a reasonable point of view and benevolence.
The walls of life ruined by unlucky times,
Let support and present hope and happiness,
Don't let anyone notice your confusion,
Smile and let your heart shine with goodness!
It is the heart you can't survive without,
That's been donated to the estate and people!
Remove cunning and envy from golden roses,
And remember the roots you come from.
The main thing is that without you will never fit in,
It is the branch and root of your genes and traditions,
Your country, family and freedom, your estate,
Loyalty and longevity of the layman and clerics!
The one, whatever you can't fit in, it's the water,
A handful of water from your loved ones,
I congratulate you for your virtue-coloured love,
You are worthy of immortality! Amen and Amen!

მეუფეო

მეუფეო, ხე ნაყოფით მაცნობინე,
მოწყალება დაფარული მიმჯობინე,
პურის ნაცვლად ქვა არ მიმაცემინო და
მტერ-მოყვარე მუდამ დამამშვიდებინე.
სახლი ჩემი კლდეზე ამაშენებინე,
სიტყვა შენი საქმით დამამშვენებინე,
ხვალინდელზე ხვალეს აფიქრებინე და
გული შენი ტრფობით გამახელებინე.
ვიწრო ჭიშკრის შესასვლელი შემირჩიე,
შენი სანდლის თასმას მომაფერებინე,
სული თავმდაბლობით დამამშვენებინე,
გული ერთგულებით ამამღერებინე.
ყველა ცოდვა ცრემლით განმაბანინე და
ლაზარეზე უფრო მდაბლად აღმადგინე,
განკითხვისგან თავი შემაკავებინე,
მაწყევარი შვილის ნაცვლად მალოცვინე.
მალოცვინე ზღვა ზურმუხტა აფხაზეთი,
კახეთი და მთიულეთი მალოცვინე,
ხეზე განასკვული ბაფთით გელოდები, –
დაკარგული ნატვრისთვალიც მაპოვნინე!

REVEREND

Let me recognise a tree with its fruit,
And let me spread mercy with humility,
Don't let me give out a stone instead of bread
Let me calm down, and an enemy and a friend.
Help me to build my house on the rock,
Let me beautify your deeds with my words,
Make tomorrow think about tomorrow,
Open my heart with your love and warmth.
Choose for me the narrow gate entrance,
Let me caress your sandal strap,
Help my soul embroider with diffidence,
And make loyal the songs of my heart.
Let me wash away all my sins with tears
And raise me as you did with Lazarus.
Instead of coursing, let me pray for my son,
And don't let me judge anyone else.
Let me pray for my Abkhazian sea
And for my gold-amber Kakhetian vine,
I am waiting for you at a bow-tied tree,
To help me find an almighty pearl!

ბედნიერება შენშია

კეთილ წიაღსა და ტკბილ სიზმრებში
დაბადებულო ადამიანო,
სადაც იყავი და სადაც იქნები…
რა გზაც არ უნდა გამოიარო,
ცხოვრების წესი ყველგან ერთია!
ბედნიერება მუდამ ჩვენშია!
ცდა – განცდაშია, ხსნა ახსნაში დევს,
ბრძოლა – მებრძოლში, შველა – მშველელში,
რთული – მარტივად წარმოდგენაში…
ლურჯი – ცასავით ლამაზ ფერია,
დარდი – იმედით დასამღერია…
ცხოვრების წესი ყველგან ერთია:
ბედნიერება მხოლოდ შენშია!

HAPPINESS IS IN YOU

Oh, human being, born in sweet dreams,
Coming with good heart and kind will,
Where you were and where you will be...
Whatever path you take in this earth,
The way of life is everywhere the same!
Happiness is always in us, under our rule,
The effort is in the ordeal, the salvation in release,
Fight – in the fighter, help – in the ordeal.
Hard – in a simple imagination...
Blue is a beautiful like sky colour,
Sorrow – it's a base of singing with hope,
The way of life is the same everywhere:
But your happiness is only in you!

მირზა ვარძუკაშვილი
Mirza Vardzukashvili

შეაჭრის წყვდიადს…

კლდის თავზე დაწვა გულიაღმა ნალევი მთვარე,
მწვერვალზე დაჩნდა შუქ ჩრდილების შარავანდედი.
როგორაც ბერებს თეთრ მანტიას აღსაკვეცს აცმენ,
ისეთი არის ბნელი ღამის ახლა განცდები.

ფიჭვიანები იფარავენ ღამეს აღსაკვეცს,
კითხულობს ახლა სამონაზვნე ლოცვებს დრო ჟამი.
შეაჭრის წყვდიადს სამორჩილედ ცისკარი წამებს,
და უკვდავ ღამეს გაეცლება ფიქრი მოკვდავის.

დაღლილმა მთვარემ მიაშურა მწვერვალთ სენაკებს,
ღამე დატოვა სამორჩილედ კლდეთა ტაძარში.
ასე იცვლიან დღე და ღამე საუკუნეებს,
მნათობთ გადაჰყავთ მოკვდავები უკვდავ მარადში.

FROM DARKNESS TO LIGHT

The waning moon lay on the top of the rock,
At the peak, a halo of shadowy light appeared.
As monks are clothed in white robes for monastic vows,
Such is the feeling of the pitch-dark night now.

Pine-like trees care of the night, at the monastic vows,
The monastic prayers are now being read by time,
The dawn will cut the seconds the pitch-dark, prepared for a vow,
And the thought of the mortal leaves the immortal night.

The overtired moon headed to the cells of the peak,
He left the night in the rock temple as a submissive meek.
It is how day and night change their place for ages,
Luminous bodies transport mortals to eternity.

მივალ, მივუყვები…

მივალ მივუყვები ბილიკს თავდახრილი,
ცაზე შეხედვისა თვალით მეშინია.
ვშიშობ არ მეგონოს თავი უმაღლესი,
ამპარტავნება ხომ შურის მეწილეა.
ასე უნდა განვლო ჩემი გასავლელი,
ასე სოფლად ყოფა ბევრად კეთილია.
სიყვარულში უნდა ვნახო ის ნათელი,
რითაც თავმდაბლთა სული შევსილია.
მივალ მივუყვები შარას თავდახრილი,
ზემოთ ახედვაში ვფიქრობ არა ყრია.
წუთის სოფლად მყოფმა უნდა შეიმეცნო,
ამპარტავნება რომ ეშმას ნაწილია.
მოველ არა ჩემით მე ამ წუთის სოფლად,
ვივლი შარაგზაზე მუდამ თავდახრილი.
ჩემზე მაღლა ქვეყნად ჩემივ შემქმნელია,
უნდა დავმდაბლდე რომ გავხდე ღვთის ნაწილი.

I FOLLOW MY PATH.

With my head down, I follow my path,
I am afraid to look up at the sky.
I keep myself restrained, as superiority
It is part of envy and arrogance.
It is how I should go about my journey.
Life in this way is much more convenient,
I must see this love in the light and radiance,
Which usually fills a humble man's heart.
I follow my way with my head down,
There is no goodness in being too proud,
The instant world's inhabitants should know it:
Arrogance is a deadly sin; it's part of evil.
I will always tread the path of humility,
My head bowed in reverence of others.
I am not for my wish in this transient world,
Above me in the world is my creator.

ბელა მოდებაძე
Bela Modebadze

ქარო, რად ბობოქრობ...

ქარო, რად ბობოქრობ, ნელა დაუბერე,
ცად რად ატრიალებ მტვერს,
თვალებს ნუ დამივსებ,
მთლად ნუ დამაბრმავებ,
და ნუ გამიცინებ მტერს.

სიოდ გადაიქეც, ნიავს დაემსგავსე,
სულში გაიარე დღეს,
რადგან მონავარდე მშობლიურ ნიავში
შიგნით ჩემი გულიც დევს.

ღმერთმა ხომ შეგვიქმნა ცა და დედამიწა,
ჰოდა, რა უფლებით გმობ?...
ვინც კი გეღობება დიდი თუ პატარა,
უმალ დაუნდობლად სპობ.

ქარო, რად ბობოქრობ, ნელა დაუბერე,
ცად ნუ ატრიალებ მტვერს,
ტვირთად დაწოლილი ბოღმა მოიშორე,
ნუღარ გაგვიცინებ მტერს.

WHY DO YOU RAGE, WIND.

Do not rage Wind, be like a breeze,
Why are you jumbling the dust up the sky?
Don't fill my eyes, don't wholly blind me,
And don't make the enemy laugh.

Be like the breeze, gentle and desired,
Try to reach my soul today,
Because in the wandering my native breeze,
Inside, my heart also lies.

After all, God gave us heaven and earth
So, you don't have the right to denounce it.
Whoever opposes you, big or small
You immediately mercilessly destroy.

Wind, do not be stormy; please blow slowly,
Don't whirl up dust in the sky,
Avoid anxiety, hanging as a burden,
Don't make the enemy laugh.

ოჰ, ფიქრო, ფიქრო...

ჩაფიქრებული მივუყვები აღმართზე ბილიკს
ფიქრმა წამიღო და სამყარო შემომატარა,
ღრუბლის აკვანში ჩამაწვინა, გადამარწია
მეც გავინაბე, როგორც ცელქი ბავშვი პატარა.
და წამით თითქოს ჩამიჩუმდა ყველა ტკივილი,
თვალი დავხუჭე, მსურს მოპარულ ფიქრებს მივენდო,
ჩემს გულს თუ არა, ან გონებას თუ არ ავყევი
აბა მითხარით, უფრო სანდოს ნეტავ ვის ვენდო.
ყოველთვის მწველი როდი არის ჩემი ფიქრები,
ზოგჯერ გულშიაც ისადგურებს იმედის სხივი,
მე შვილები მყავს ისე, როგორც მყარი კედელი,
მათ მივეყრდნობი, მადლობა ღმერთს, არაფერს ვჩივი.

OH, MY THOUGHTS.

I am thoughtful and follow a grassland,
My thoughts made me travel in the stars,
They carried me lying down in the cloud cradle,
I held my breath like a naughty infant.
And for a second, all my pain seemed to be silent,
I close my eyes; I want to trust stolen thoughts.
If I don't follow my heart or mind or sense,
Please tell me then who you would like me to trust more.
My thoughts always can't be unsettled,
Sometimes, my heart settles a hope ray:
I have children, and I can rely on them,
They are like a solid wall, thanks to my Heaven.

უნდა დარჩე ადამიანად...

უნდა ვიბრძოლო, მე ხომ ღმერთმა ბრძოლისთვის
შემქმნა,
მთელი ცხოვრება ბრძოლა მიწევს გადარჩენისთვის,
თუკი ვიბრძოდი სითბოსა და სიყვარულისთვის,
მაინც გამწირეს, გამიმეტეს უფსკრულისათვის.
მაგრამ ხომ ხედავთ, მე არ გავტყდი, არ დავიმარხე,
არ მაქვს უფლება ცივ მიწაზე დანარცხებისა,
თუ ფარ-ხმალს დავყრი, ვიცი უმალ გავიწირები,
ვერც სასმისს აწევთ სიყალბეში გამარჯვებისას.
ბევრჯერ დავეცი, მაგრამ მკვდრეთით ისევ აღვდექი,
მე ღმერთი მიცავს, ცხოვრებამ კი გადამიარა,
შვილებს შევცქერი, მათით გული ტკბილად აძგერდა
სხვას არას ვნატრობ, მინდა დავრჩე ადამიანად.

TO REMAIN AS A HUMAN BEING.

I have to survive, as my Lord forced me to fight,
I have had to fight to succeed my whole life,
And despite battling for love and social justice,
I was sacrificed to be thrown into an abyss.
But you see, they couldn't break me, couldn't bury me,
I have no right to fall on the cold ground-earth,
If I throw down my shield and sword, I know I will lose,
You can't even raise a glass to your victory of falsehood.
I've fallen many times, but I've risen from the dead,
God protects me in some way, but life passed over my head,
I have only children's hope; they'll sweetly warm my heart,
I want to remain as a Human Being; I long for nothing else.

ხათუნა ჩიტაძე
Khatuna Chitadze

ნეტავი

ნეტავი, ახლა მზე ირწეოდეს,
რომ ყველაფერი დაიწყოს,,ახლად"...
ნეტავი, ახლა შეიძლებოდეს
და გვერდით ისევ გულის კარს გახლდე!

ისევ ის წვიმა, ცისფერჟუჟუნა,
მოჩითულ კაბას დამისველებდეს,
მეზობლის რუხი კნუტი, ბუნჩულა,
თეთრ თათებს ჩვენ წინ გაისველებდეს...

მერე... ისევ იმ დაღმართზე წახვალ,
ცხოვრება ისევ გახდება ჟღალი...
კვლავ დაიწყება დროების,,წიხვლა"!
ჰაერი სევდით იქნება მთვრალი...

ვერ ამოვყევი გატკეპნილ ქუჩას,
ცხოვრება გზაზე მახედ დამიხვდა,
და ვდგავარ ასე, საოცრად ურჩი,
მე! ამომძვრალი სარკოფაგიდან!

I WISH!

I wish now the sun was shining,
To start everything from the beginning.
I wish it were possible, and now
Next to me, I felt your heart again!

That rain again, blue-eyed, gentle,
It once again to wet my patterned dress,
And the grey kitten of my neighbour
In front of us to lick its white paws.

Then... you go down that hill again,
Life will turn monotonous and pallid.
It will start again disapproval with time,
Sadness will moisten the air again.

I couldn't follow the rammed-down street,
Life met me on the road as some trap,
I! clambered out, surfaced from the coffin,
I stand like this, proud and defiant.

სააპრილო

აპრილის,,თოვა" მიყვარს, ცის სურნელება ცრის,
მზე ჩამოალღვა მყინვარს, კავკასიონის ბჭის...
გზებზე სურნელი მიყვარს, ტყემლის და ვაშლის ხის,
გადავეფეთე სიზმარს, აპრილის აისის.

გაშლილ თმას შვენის მშვენი,
ფრიალა ფურცლის,,თოვა",
ბაბუაწვერის ხელით, სხვა აპრილებიც მოვა!
ცის რკალი, – როგორც ნავი,
არწევს ვარსკვლავთა ტალღას,
გაზაფხულდა და მალე, მალე ავიღებ ქარგას...

გზებზე ფურცლები მათოვს, სხეულს ეხვევა სიო,
ეს გაზაფხული მართობს, სულ კოცნით უნდა მდიოს...
აპრილის მზერა მხიბლავს, სული ცის ზემოთ მღერის,
მე ვწერ ჩემს უწყვეტ სიზმარს ფიქრით,
გულით და ხელით!

APRIL “SNOW”.

I love the April "snow", the fragrance of the heady sky,
When the sun melts, the white glacier in
the Caucasus entrance.
I love the smell of roads, the aroma of apples and plums,
I fell into a daydream of the charming April sunrise.

Fluttering "snow" laces beautify my black hair,
A dandelion, it looks, waits for a different April,
The sky arc, like a boat, keeps sweeping stars and waves,
As it is already spring, I must take up a lace frame.

Flowers snow on the roads, caress peace-giving breeze,
This spring is making me happy, chasing me with a kiss.
Fascinates me, April, the soul sings above the sky,
I write about a continuous dream,
think with my hands and heart.

ლია ალადაშვილი
Lia Aladashvili

უეკლოდ!

ვარდებს უეკლოდ ვერვინ დაკრიფავს,
ეს ადრეც ბევრჯერ სხვებსაც უთქვიათ,
ლექსს ვწერ ფაქიზს და სულით ნატიფარს,
რადგან ვარდები გრძნობის შუქია.
ზოგჯერ ეკლები მთელ სხეულს მოჰკვეთს,
გულის ყვავილი სხვისკენ იხრება,
ტირილი ეკლით მეც ბევრჯერ შემხვდა,
გამომადინა ნაკაწრმა სისხლი.
გაქრა იმედი და ბოლოს მივხვდი,
რომ ჩემი ვარდი გამხდარა სხვისი.
მინდვრის ყვავილი გაზრდილა ველად,
მაგრამ იმედი აღარ მაქვს მისი.
სუფთა გულით და უფლის წყალობით,
გზა გავაგრძელე უკვალავ თოვლში, ნისლში.
თუმცა დარდი მაქვს და ბევრჯერ ვღელავ,
მაინც ვამაყობ ჩემი ქალობით.

WITHOUT THORNS!

No one can pick roses without thorns,
It is the rose rule, everyone knows.
I write poems – pure and refined,
Because the rose – the light of feelings.
Sometimes, thorns cut through the beloved body,
The flower of the heart bends to another one.
Thorns of roses have often hurt me,
Scratches made blood flow from a cut.
I lost hope, and finally, I realized
My rose abandoned me for someone else.
In the field, a carefree flower grows,
But I don't trust her, don't have more hope.
With a sincere heart, thanking the Lord,
I continued my way through the unmarked snow.
I have pains and worries, though,
I'm still proud of my womanhood and my road.

სულის მშვენება

გარეგნობა ფერს შეიცვლის წლების მერე,
მშვენიერ სულს ფერი არ უხუნდება,
გავა წლები ვიფარფატებ პეპელივით,
და ტკივილებს კვლავ მესვრიან გუნდებად.

ცაზე მსხდომი ვარსკვლავები მიმანიშნებს,
სული არის მნათობივით ციმციმა,
მოვილოცო სანამ დროა უფლისათვის,
მან მოიგო, ვინაც ბოლოს იცინა.

THE BEAUTY OF THE SOUL

Appearance will change colour after years,
But a beautiful soul can not be faded,
Years will pass, and I will flutter like a butterfly,
But pain will always be there to hurt my heart.

The stars in the sky are pointing to me,
The soul is as bright as the star flickering.
I must pray while the Lord's time comes,
The winner is the one who laughed last.

ქეთო ჯომიდავა
Qeto Jomidava
(ფილოლოგი)

მამას

შუაგულ ტყეში პაწაწა ქოხი, ცამდე ასული მთები ფარებად,
მამაჩემის ხმა მქუხარე, ბოხი, ექოდ მოსული ჩემთან ზმანება,
წყაროს რაკრაკი, მგოსნის გალობა...სამოთხე იყო ჯერარნახული,
ალბათ ეს იყო ღმერთის წყალობა, თითქოს იპოვა მიწა აღქმული.
ზღაპრული ფილმი, თეთრწვერა კაცი, სავსე სიკეთით შუაგულ ტყეში.
მკვლელი ნაჯახით, სისხლით კვებილი, და აჩეხილი მოხუცის მკერდი,
ჩემს სევდიან ფიქრს ათოვს და აწვიმს, გზას ვერ ვპოულობ უსიერ ღრეში...
ის არ მომკვდარა, სიკეთის მტერო, მას ვერ მოკლავდი, რაც არ გეცადა,
თავს ნუ იტყუებ, არ დაიჯერო, რომ შეასრულე, გულს რაც ეწადა.
მამის ბილიკი აღარ წაშლილა, მის ნამყნობ ხეზეც იგრძნობა სითბო
და მისი ქოხიც ჯერ არ დაშლილა, უცნობი მგზავრი იქ ხელებს ითბობს.

TO MY FATHER

A small hut in the middle of the forest, mountains up to the sky as shields,
My father's voice sundering, brave, fearless echo that achieves to me,
Source-murmuring and poet's chanting, it was Paradise as if yet unseen,
As if it was the mercy of Heaven as he found the land, that had been promised him.
A fabulous movie, a white-bearded man, full of kindness living in the woods,
A murderer with an axe, fed by blood, ruthlessly mangled an older man's breast,
It snows and rains at my sad thoughts; I can’t find a way from this labyrinth,
He did not die!… Enemy of goodness, you couldn't kill him no matter what you did!
Don't deceive yourself, do not believe, that you fulfilled your cruel heart wish,
You couldn't erase my father's trace; you couldn't destroy his grafted tree,
And his hut is not yet demolished, it shelters and warms passing-by passengers.

სამშობლო მეძახის!

ვერ დავდექი ფეხზე მტკიცედ...
და მაწვალებს კითხვა: – რატომ?..
სულ დავათრევ სიზმრად ფიცრებს,
ტყე-ღრეში ვარ მარტოდმარტო!

სულ ვაშენებ სადღაც სახლებს,
უვალ ადგილს გამყავს გზები,
მაღალ სახლზე კიბეს ვაგებ...
იმდენს ვშრომობ, არ ვიღლები...

ვინ გამწირა ასე ნეტა?
ვინ მაწვალებს ასე მწარედ?
ხმამაღლა თქმას ვეღარ ვბედავ,
ვხვდები, რად ვერ გავიხარე...

ბავშვობაში სახლს ვაგებდით,
იცით,როგორ მახსოვს ის დრო?
სხვა სამყაროს კარს ვაღებდით...
ვერ ვგუობდით ბილიკს ვიწროს...

ის ბავშვობა რომ წამართვეს,
ჩემი სახლი, ჩემი კერა...
სულიერად რომ გამძარცვეს,
გულმა ვეღარ დაიმღერა...

მესმის, ვიღაც ხშირად მიხმობს...
ავიხედავ ზოგჯერ ცაში..
ზოგჯერ ყვირის,ზოგჯერ ითხოვს,
მე ვახვედრებ ხელებს გაშლილს!

გული მიგრძნობს, სულ სხვა ხმაა...
ძახილია მიწის მწარე...
ვენატრები ყრმობის კერას...
მიხმობს სახლი, ჩემი მხარე.

მე ავაგე ძმებთან ერთად...
და ავაგებ ისევ... მჯერა!
მე მამული დღესაც მიცდის...
მასაც სწამს და მასაც სჯერა!

CALLING MOTHERLAND

Why can I not stand on my own feet? -
This suffering question disturbs my peace.
I am dragging timber in my dreams,
I am fighting endlessly with forest trees.

I build houses in unknown places,
Constructing roads in the deepest forest,
Attach the highest houses staircases,
Working endlessly, but I'm tireless.

Who doomed me so and who damned,
Who could make me suffer so much?
I can not dare to admit it out loud,
I am guessing why I can't get some rest.

We were building houses steadily,
In my childhood… as I remember.
Wishing to open the other world's gate,
We tried to widen the narrow path.

My happy days were taken away,
My sweet childhood and my warm hearth.
As spiritually I was grabbed,
I could not sing anymore by heart.

I hear that somebody is calling,
Sometimes, I look above to the heavens,
There is begging, there is screaming,
I am always ready with open palms.

I follow the feelings of my heart.
It is the bitter voice of my homeland.
It calls me endlessly, the warmth of my mum,
I constantly miss my childhood yard.

I built the house with my brothers' help,
I believe that we'll rebuild it again.
My homeland is waiting for me,
It believes my return to my domain.

ხაბავშვო განყოფილება

მარინა დიერაშვილი

მიწა დედაა

სუნი ტრიალებს გაზაფხულისა,
სიმწვანე ჩუმად შემოგვეპარა,
აყვავებულა ირგვლივ ბუნება,
გაღვიძებულა მთელი ქვეყანა.
მიწა დედაა, დედა ყოველთა,
უხმობს მას, ვისაც შრომა სწყურია,
გარჯის გარეშე, არ მოგვცემს ნაყოფს,
თუ პური გშია და ღვინო გწყურია,
თუ მიწას ოფლი არ დაადინე
და ციდან ცვარი თუ არ ეპკურა,
მზემ თუ სხივები არ მოაფინა
და ვენახს გლეხი თუ არ ეფერა.
პური და ღვინო, ყანა, ვენახი...
აბა,მას როგორ ეღალატება?
ნუ გავასხვისებთ მშობლიურ მიწას,
ის ხომ ისედაც...პატარავდება!

ფერადი და კოპწია

რატომ არის გაზაფხული
ფერადი და კოპწია,
კვირტები რომ გადაშლილა,
ზამთრისთვის უჯობნია.

პირველობას შინდი ჩემობს,
ნუში როგორ მორთულა,
ჭერამი კი საზეიმოდ,
პეპელებით მოსულა.

ტყემალი და ალუჩა კი
თეთრად გადაიპენტა,
ალუბალმა ფუტკრებისთვის
ნექტარი გაიმეტა.

ზუზუნებენ ფუტკრები და
ხეებს თავს ევლებიან,
ვინ მეტ ნექტარს მოაგროვებს,
ერთურთს ეჯიბრებიან.

გაიღვიძა ბუნებამ
სურნელით და ფერებით,
გაზაფხულის ნიავივით
ლექსად მოგეფერებით!

იბრძვის გაზაფხული

ქარი და წვიმა ებრძვის გაზაფხულს
და დედამიწას თოვლით დაზაფრულს;
მზის სითბო ვიდრე მიწას გაათბობს,
აპრილი უმალ, სურნელს ჩააქსოვს!
აყვავებული ხეების ფერებს და...
მალე ...მოველით მოჩითულ ველებს!

ბევრი უნდა ვისწავლო

ერთხელ, შუა ღამისას,
ბიჭუნას გაეღვიძა,
გაიხედა სარკმელში
მთვარე ცაზე ეკიდა;

გაუკვირდა: ამხელა
როგორ გაიზარდაო,
დაკიდული რითია,
რომ არ ჩამოვარდაო.

გააღვიძა დედიკო,
გააღვიძა მამიკო,
-მთვარე როგორ დაცურავს?-
მინდა თქვენგან გავიგო.

ვერ მოვიცდი დილამდე,
არ მასვენებს ფიქრები,
მინდა ბევრი ვისწავლო,
მეცნიერი ვიქნევბი.

ავი შემნახველი...



ერთხელ თურმე თაგუნიამ
მოიპარა კაკალი,
ვერ გატეხა, ახლა ჭერში
აგორავებს საწყალი.
ბაბუამ თქვა, წადი გიო,
გაუტეხე კაკალი,
ჩვენც მშვიდად დაგვეძინება
ის დარჩება მაძღარი.
თაგვებისთვის ხომ ქურდობა
შეუცვლელი წესია,
თქმულა-ავი შემნახველი
ქურდზე უარესია.

პანდების შეკრება

გადაშენების გზაზე ვართ,
არც თუ ბევრიღა დავრჩით,
საფიქრებელი ბევრი გვაქვს
რად არ გვეშვება ხალხი.
ბუნების დაცვას მოვითხოვთ
ჩვენს საარსებოდ არეს;
მოდით და ერთად ვიმსჯელით
მკითხველო მოგვეხმარე.
უწყინარი ვართ ყველასთვის
ხეებზე გვიყვარს ცოცვა,
მცენარეებით ვსაზრდოობთ
და ბამბუკებს კი ვღეჭავთ.

მადლობელი ვართ ზრუნვისთვის,
როცა კი გვეხმარებით
მაგრამ ბუნების წიაღში,
თავისუფლებით ვტკბებით.

ჟუჟუნებს წვიმა

წყნარად ჟუჟუნებს წვიმა,
წყალი წანწკარებს მილში,
არსად არ ეჩქარება,
წვიმა დღეს ჩვენთვის იცლის.
ახლა მოვძებნოთ ქოლგა,
საწვიმარი და ბოტი,
რომ არ დავსველდეთ უცებ,
წვიმა მიდის და მიდის..
გუბეს დავეძებ ყველგან
წვიმა ნაკვალევს ტოვებს,
მაგრამ მე ვერ მაშინებს
ბოტებით დავაბოტებ.

ჯანსაღი წესი

სჯობია მივეჩვიოთ
ზომიერად ჭამას,
ნებისყოფა გამოვიწრთოთ,
ვივარჯიშოთ თანაც.

ხილი და ბოსტნეული
სასარგებლო კია,
ხორცი,კვერცხი,რძის ნაწარმი
არ დაგვიწყებია.

ტკბილეული,ცხიმები
ცომეული,ფაფა,
შევამციროთ ულუფები,
ან უარვყოთ, ხანაც.

ჭამებს შორის მივიღოთ,
ჩვენი წყაროს წყალი,
შედეგად კი ჩვენ გვექნება
ჯანმრთელობა მყარი!

არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

ყვავილი

ყვავილი მიწის ღიმილია,
ზეცის შუქია,
სიწმინდის საგალობელია
და ბრძენთ უქიათ.
საიდუმლოა მაღალ სიბრძნის
ყოვლად უბიწო...
მისით იქარგვის დედამიწის
კალთაც, უბეცო,
ჟამი-ჟამ ჰყვავის
ცის და მიწის შემამკობელი,
ნამავს ცის ცვარი...
ეფერება დედა მშობელი...
ჟამიერად მყოფს
დიდ ყოფნაზე არც უდავია,
მაგრამ სიწმინდით
შეურყვნელი და უკვდავია...
ის, ედემიდან მომზირალი,
თითქოს თვალია...
სულში შემოდის და სიცოცხლეს
გვიტკბობს ძალიან.
მახარობელი და მკობელი
მთა და ველისა...
სურნელმფრქვეველი
ზეციური საკმეველისა,
ჩუმად მლოცველი
თითქოს მიწის ცასთან ვედრება..
უმანკოებით ვერაფერი
რომ ვერ ედრება...
მხოლოდ სიკეთე, სილამაზე
მშვენიერება...
დაე, გაგვწმინდოს მისმა მადლმა
და მოფერებამ...

დავით გამთენაძე

ჭუბერი

1993 წ.4.ოქტომბერი
ამონაწერი დღიურიდან.

შემოდგომის სიცივე ძვალ-რბილში ატანს. ავადმოსისინე ქარი წვიმასა და თოვლის ფიფქებს ერთმანეთში ურევს და სვანეთის მთებში მიმავალ თვალცრემლიან ლტოლვილებსა და დასახმარებლად მისულ ბიჭებს სახეში გვახლის.განრისხებული ბუნებაც წინ გვეღობება გოლგოთის დაუსრულებელ გზაზე მიმავალ ადამიანებს.ეს განსაცდელი კი არა ნამდვილი ჯოჯოხეთია.

მეექვსე დღეა მშიერი მივუყვებით გზას.დღეში მხოლოდ თითო ვაშლია ჩვენი საგზალი.ბავშვების, ქალების,მოხუცების ცრემლი და კვნესა გულს გვიკლავს.ჩვენ, ბიჭები ძალღონეს არ ვიშურებთ,მაგრამ რამდენს გინდა რომ უშველო .სიკვდილი არასდროს მინატრია და პირველად ჭუბერში ვინატრე,როცა დედა და ახალშობილი დაგვეღუპა.ქართველები ყოველთვის სიხარულით აღვნიშნავდით ახალი სიცოცხლის დაბადებას.ახლა კი სიცოცხლეს ვუსპობთ და სვანეთის მაღალ მთებში ვასამარებთ ჩვენ იმედსა და მომავალს.ასე რამ შეგვცვალა, რად დაგვავიწყდა, ,,გიყვარდეს მოყვასი შენი,"რამ გაგვაბოროტა,რად გავიმეტეთ ერთმანეთი ასე უღმერთოდ!_ვფიქრობ და მივუყვები ამ ჯოჯოხეთურ გზას,რომელიც,ვინ იცის,კიდევ რამდენ განსაცდელს გვიმზადებს.მრცხვენია,ტოტებგადაფარებული,უპატრონოდ მიტოვებული,დაუმარხავი ქართველების დანახვა,მრცხვენია და გული მტკივა,რომ ადამიანებს ასეთი სისასტიკე შეგვძლებია.რა უნდა იყოს იმაზე მეტი შემზარავი,როცა ხედავ შენს გვერდით მომავალ თვალცრემლიან ახალგაზრდა ქალს,უბეში ჩასმული მკვდარი შვილით.როგორ გინდა, რომ ანუგეშო,განა არსებობს სიტყვა,რომელიც დედას უსაზღვრო ტკივილს შეუმსუბუქებს?

მხოლოდ დუმილი, უსაშველო დუმილი მიღრღნისვგულს გულს და მაინც, იმედის პატარა ნაპერწკალს დავეძებ, ნაპერწკალს,რომელიც დაკარგულ სიყვარულს გვაპოვნინებს, ჩვენი გადარჩენა რომ შეუძლია.

ვიცი ოდესმე დამთავრდება გზა ჯოჯოხეზთის,მაგრამ ჩვენდა სამარცხვინოდ სვანეთის მთებში გაბნეული ძვლები და ნაფეხურები ნამდვილ ვაჟკაცს ცრემლს დაადენს და პოეტის სიტყვების ჭედმარიტებაში კიდევ ერთხელ დაარწმუნებს.

,,წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდი,
თურმე ესეც გმირობაა დიდი."

პროზა

რევაზ მიშველაძე

წამება

რომანი
გაგრძელება
(დასაწყისი იხილეთ ჟურნალ
„ათინათის“ №28-32, 45-51-ში)

ბატონო სტუდენტებო

თქვენ არ გემახსოვრებათ და მე მახსოვს თბილისის ქუჩებში მავალი ჭაღარაწვეროსანი, ტანსრული, ჭილოფისქუდიანი, შავპიჯაკიანი და ხელპორტფელიანი საუკუნის მოხუცი გალაკტიონ ტაბიძე.

„ჯერ კი გვქვია ქართველები,

თუ არ გაგვაესკიმოსეს“, – დაიჩივლა მან ერთხელ და ეს იყო მარჯვედ ნასროლი ყუმბარა იმათ მიმართ, ვინაც ქართველი ერის გადაგვარებას ესწრაფვოდა.

ქართველთა სულის მესაიდუმლემ თვითმკვლელობით დაამ-თავრა სიცოცხლე.

გაინტერესებთ, როგორ მოკვდა გალაკტიონი?

მაშ, ყური დამიგდეთ:

* * *

1959 წლის 17 მარტი.

გუშინ დალია.

ორმოცი დღე იწვა საავადმყოფოში – 19 იანვრიდან 5 მარტამდე.

ორმოცი დღე „მკურნალობდნენ“, არიგებდნენ, მოძღვრავდნენ, უთვალთვალებდნენ, ალკოჰოლის (როგორც ამბობდნენ) საწინააღმდეგო წამლებს ასმევდნენ.

ბოლოს მოსწყინდა.

შესძულდა ყველა წამალი და პირობა დადო, რომ აღარ დალევდა.

თითქოსდა ამ პირობას ელოდნენო, გამოწერეს.

როგორ მონატრებია თავისი ბინა, მაგიდა, საწერკალამი...

მარტოობა – ასე სანატრელი რომ გაუხადეს ამ ბოლო დროს.

არადა, კაცი მარტოობისთვის იყო დაბადებული.

გუშინ დალია.

გვერდით ოთახში ჩურჩული მოესმა. ვიღაცამ კარი გააღო და მაშინვე მიხურა. კედლისკენ შებრუნდა და თავზე საბანი წაიხურა.

გუშინ დალია.

ქვეყანა არ დაუქცევია. თუთუნს ვიყიდიო, ძმისშვილს დაუბარა. ქუჩა გადაჭრა, ჯიხურს ეცა –„ორასი ძამიკო!“. დაუსხეს. მოუხედავად გადაჰკრა. მობრუნდა და დარცხვენილი ბავშვივით ჩაჯდა მანქანაში.

– დალიე ბიძია?

შემობრუნდა და ხაზგასმით, ლამის დამარცვლით აუწყა:

– კი ბიძია, დავლიე.

– ვარგა მერე ასე, ბიძია?

არ გაეპასუხა. „რა ვარგა და რა არ ვარგა, ბიძაშენმა უკეთ იცის და საერთოდ...“ამის მსგავსი რაღაც ჰქონდა მომდგარი ენაზე, მაგრამ არ თქვა.

სკამისკენ ხელი გაიწვდინა. საათს დახედა. ცხრა სრულდება.

საათი ბალიშქვეშ შეჩურთა.

ვიღაც შემოვიდა.

„ნოდარი იქნება, ნინა ვერ გამიბედავს... ახლა დაიწყება ბუნაგიდან ჩემი გამოტყუება...“

– ბიძია!

– ჰო.

– უნდა წამოხვიდე.

– სად ნოდარ, სად?

– საავადმყოფოში, დაგვპირდნენ.

– რას დაგვპირდნენ, ნოდარ, რას?

– მერე ადგილი აღარ იქნებაო.

– სად არ იქნებაო ჩემი ადგილი, ძამიკო, აქ, ჩემს სახლში?

– საავადმყოფოში, ბიძია.

– ხომ ვიყავი საავადმყოფოში. გაძლებ შენ – ჯანმრთელი კაცი, იქ ორი თვე? მე გავძელი, ძამიკო. ავადმყოფმა კაცმა. ახლა დასვენება მჭირდება. დავისვენებ ცოტას, მოვმაგრდები და წავალ.

– უნდა მორჩე, ბიძია. ბოლომდე უნდა მორჩე.

– თუ არ ვიყავი მორჩენილი, რატომ გამომწერეს?

– გენდნენ, ბიძია.

– დიდი მადლობა ნდობისათვის, უფროსებო, გავამართლებ ამ ნდობას!

– უნდა წამოხვიდე, ბიძია. მერე გვიან იქნება.

– საქმეები? თქვენ რას დაეძებთ ჩემს საქმეებს. მკურნალობის დრო მაქვს ახლა მეე? თავზე რომ ვადგივარ, მაშინაც არაფერი შველის მეორე ტომს.

– მორჩები და მიხედავ.

– მერე კაცმა არ იცის, რა მოხდება. ლაპარაკია, შეიძლება მთლად დახურონ სახელგამი.

– ნუ გეშინია, არ დახურავენ. შენთვის გეუბნები, უნდა წამოხვიდე, ბიძია.

– ძამიკო, რას გადამეკიდეთ, რა გინდათ. ამ სახლში ერთი კუთხე არ მეკუთვნის?

– ყველაფერი გეკუთვნის და ყველაფერი შენია, მაგრამ ცუდად ხარ, უნდა იმკურნალო, ბიძია.

საბანი გადაიძრო, ნოდარს შეხედა. ერთხანს კუშტად უმზერდა, უეცრად ფანჯრისკენ გაექცა თვალი და თითქოს გამოსავალი იპოვაო:

– ხომ ხედავ, რა უჟმური ამინდია. ასეთ ამინდში შეიძლება გარეთ გასვლა? ხვალ წავიდეთ, ნოდარ. ხვალ ძამიკო, დღეს ისედაც ვერ ვარ კარგად. წელი მტკივა. პაპიროსიც გამითავდა, ხვალ „რეკორდს“ ვიყიდი...

თითქოსდა ევედრებოდა, ხავსს ებღაუჭებოდა, არ უნდოდა წასვლა.

– ხვალ ადგილი არ ექნებათ, ბიძია. ქვეყნის ავადმყოფებია. ყველას ლეჩკომბინატში უნდა მოხვედრა.

...მარჯანიშვილის თეატრის გვერდითა სადარბაზოდან ორნი გამოვიდნენ.

ბიძაძმისშვილი ლამის ერთი სიმაღლისანი იყვნენ.

გალაკტიონს ფართხუნა, ნაცრისფერი პლაშჩი ეცვა. უქუდოდ იყო, ხელში თავისი განუყრელი, გაცვეთილდაძენძილი, ორგასაღებიანი პორტფელი არ ეჭირა.

ჯერ თეატრისკენ წავიდნენ, მერე გამობრუნდნენ და ხიდთან გაჩერდნენ.

ტაქსმა დაამუხრუჭა.

– წადი ახლა შენ, ბიძიკო, შენს საქმეებზე. მე თვითონ მივალ საავადმყოფოში. რა გაყოლა მინდა. ყველა მიცნობს.

ნოდარმა იცოდა, რასაც ნიშნავდა, „მე თვითონ მივალ“.

– დაჯექი ბიძია, დაჯექი.

წინა კარი გაუღო, თვითონ უკან დაჯდა.

გალაკტიონი უკმაყოფილოდ შემოტრიალდა.

– ტყვილად ცდები, ძამიკო. მისასვლელი ვიყავი ერთ ადგილზე. მე თვითონ მივიდოდი და დავწვებოდი. ყველა მიცნობს.

ნოდარმა მძღოლს ჩაულაპარაკა:

– ჭავჭავაძეზე, ლეჩკომბინატში.

...მთავარი ექიმის მოსაცდელში.

– არ ექნებათ ადგილი, ძამიკო. ტყვილად მოვედით. შენ აქ მომიცადე, მე შევალ და ვკითხავ შალვას. უნდა დაგვერეკა. ხვალ გაეწერებიან ავადმყოფები. ხვალ უნდა მოვსულიყავით...

– ჰყავს ვინმე? – ჰკითხა მდივან გოგონას ნოდარმა. პასუხს არ დაელოდა – დამელოდე, ბიძია, ამ წუთში გამოვალ.

„ამ წუთში“ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. გალაკტიონი ცმუკავდა. ვერ ისვენებდა, წამდაუწუმ საათს დასცქეროდა.

დაახლოებით თერთმეტ საათზე, მოსაცდელში მწერლები შემოვიდნენ: ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, სერგი ჭილაია, ელიზბარ უბილავა, მამია ასათიანი, სიმონ ჩიქოვანი, ალიო მირცხულავა...

ირაკლიმ მაშინვე შენიშნა. ხელგაწვდილი წავიდა. გალაკტიონი თავმჯდომარეს წამოუხტა და დიდი ხნის უნახავივით გადაეხვია.

ირაკლი – რამ შეგაწუხა გალაკტიონ?

გალაკტიონი – ვერ ვარ კარგად, ძამიკო. გული მაწუხებს, ვწვები.

ირაკლი – ეგ კარგად გადაგიწყვეტია. დაწექი, დაწყნარდი, დაისვენებ, თავს მოუარე.

სხვა მწერლები მთავარი ექიმის კაბინეტში შემწკრივდნენ.

– თქვენ... აქ... ძამიკო?

ირაკლიმ განზე გაიხედა.

– საწყალი შალვას ამბავს გაიგებდი.

– არ ვიცი?

– წუხელის გარდაიცვალა.

– რას მელაპარაკები?!

ირაკლიმ კარებისკენ გააბიჯა.

– გინახულებთ. კარგად გალაკტიონ.

– კარგად, კარგად, ძამიკო.

ხუთიოდე წუთში მწერლები იმავე თანმიმდევრობით გამოვიდნენ. წინ ირაკლი მოუძღოდათ. ნოდარმა მდივანს ჰკითხა, მოადგილის კაბინეტი საით არისო.

– ხომ გეუბნებოდი ნოდარ, დღეს ჩვენთვის არ ეცლებათმეთქი. ცუდი დღეა, საწყალი შალვა... ვერ მოურჩენიათ... სხვას ყველას არჩენენ... შალვა ვერ მოურჩენიათ. სად მიდიხარ?

– მოადგილეს ელაპარაკა. ადგილს მოძებნიან.

– არ შეიძლება ხვალ მოვიდეთთქო? კითხე ერთი. ხვალ იქნება ადგილები, ვიცი მე.

– ამ წუთში შემოვალ. აქ იჯექი, ბიძია.

უნდოდა შალვა დადიანისთვის შეევლო თვალი, მაგრამ მწერლები უკან არ გამობრუნებულან. ჩანს, სხვა კარებიდან წაასვენეს ცხედარი.

მოსწყინდა მოსაცდელში ჯდომა.

გარეთ გამოვიდა და ვესტიბიულში დააბიჯებდა.

წვერს ხელით ივარცხნიდა.

ჯიბიდან რამდენჯერმე ამოიღო „რეკორდი“. პაპიროსს თავი მოუსრისა. პირში ჩაიდო, მაგრამ გადაიფიქრა და კვლავ კოლოფში ჩააბრუნა.

პირველ საათზე ჩამოვიდა ლიფტით ნოდარი.

– მეშვიდე პალატაში დაგაწვინეს.

– მარტო ვიქნები?

– ორი ავადმყოფია. კაი ხალხიაო. მალე საშუალება გვექნება და გადავიყვანთო.

– ზღაპარია, ეგ ამბავი. არავინ არსად არ გადამიყვანს. რა საჩქარო იყო, ძამიკო, ერთი მითხარი. მოვიდოდით ხვალ ადამიანურად, წესიერად. უნდა ვაწუხო ახლა უცნობები.

– კაი ხალხიაო. გაეხარდებათო გალაკტიონის გაცნობა. შენც გაერთობი ცოტას.

– მშვენივრად ვერთობი მე ჩემს სახლში, ძამიკო.

– კაი ახლა, ბიძია. მთლად ბავშვად ნუ გადაიქცევი. შენც უნდა შეგვიწყო ცოტა ხელი. შენს თავს შენ თუ არ მიხედე, ექიმი ღმერთი კი არაა.

გასახდელთან მივიდა, შემობრუნდა.

– როდის დაგაწვენთო?

– ამ წუთში ექთანი ჩამოვა.

– აქ მომიცადე, ქვევით ჩავალ. საქმე მაქვს.

– სად ქვევით?

– ბუფეტში.

– რა გინდა ბუფეტში?

– საპონს ვიყიდი.

– საპონიც ჩაგიდვა ბიცოლამ და კბილის ჩოთქიც. ვიცი მე, რაზეც მიდიხარ.

– რაზე მივდივარ?

– ვიცი მე.

– არაყს რა უნდა ბუფეტში, ძამიკო.

– ვიცი მე. არ ჩახვალ ქვევით შენ, ბიძია.

– სინამდვილეში ნოდარმა არაფერი იცოდა. გალაკტიონის ძმისშვილს ეგონა „ლურჯა ცხენების“ ავტორი ბუფეტში არყის დასალევად ჩადიოდა. არადა, საავადმყოფოს სარდაფში ნაცნობი ცეცხლფარეში ჰყავდა. აი, სად ეგულებოდა ნოდარის ბიძას არაყი.

– ორის ნახევარზე საავადმყოფოს ხალათში გამოწყობილი გალაკტიონი სანიტარმა ქალმა ლიფტით მეოთხე სართულზე აიყვანა. ნოდარმა ტანსაცმელი წამოიღო და წამოვიდა.

ორადგილიან მეშვიდე პალატაში გალაკტიონს შეზლონგი ჩაუდგეს.

ერთერთი ავადმყოფის მეუღლემ ამაზე სასტიკი პროტესტი განაცხადა.

– როგორ შეიძლება! ჯერ ერთი, ეს პალატა ერთი ავადმყოფისთვისაა განკუთვნილი. თაგვი კუდს ვერ მოიქნევს, ისეთი ვიწროა! ორი ავადმყოფი წევს, მესამის ჩამატება რაღა უბედურებაა! გული აწუხებს ჩემს ქმარს. არ ჰყავს ამ ქვეყანას პატრონი?!

– ქალბატონო, – გალაკტიონს რაღაცის თქმა სურდა.

– მე თქვენთან არა მაქვს, ბატონო საქმე. თქვენ ავადმყოფი ხართ და, რასაკვირველია, როგორც ყველას, ადგილი გეკუთვნით. მე იმათზე ვამბობ... ბოლოს და ბოლოს, სინდისიც კარგი საქონელია, რამდენჯერ ვთხოვე, გადაიყვანეთ ჩემი ქმარი ცალკე ნომერშიმეთქი. არ ეკუთვნის? ვისა აქვს მეტი დამსახურება. ჩამომითვალონ ერთი. ვინ გააკეთა ჩემს ქმარზე მეტი ამ ქვეყნისთვის. ამისთვის იომა, ამისთვის იშრომა? თქვენ გგონიათ, არა აქვთ ადგილები? ნახევარი საავადმყოფო ცარიელია. ყველაფერი ვიცი მე!

ამ უკანასკნელ წინადადებაში ავადმყოფის მეუღლე მართალი იყო.

საავადმყოფო კომბინატში ძლიერთა ამა ქვეყნისათვის გამზადებული ლუქსები საიმედოდ იყო ჩარაზული იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი იმხანად ჯანმრთელად იყვნენ.

გალაკტიონმა შეზლონგზე სათვალე და ბლოკნოტი დადო.

იმწამსვე ბლოკნოტი აიღო, ხალათის ჯიბეში ჩაიდო და გამოვიდა.

ორიდან ექვს საათამდე ვესტიბიულში ბოლთას სცემდა.

თავის პალატაში არ შებრუნებულა და არც აპირებდა.

პალატაში ახლობელთაგან არავინ აჰყოლია.

არც მერე მოუკითხავს ვინმეს.

ძმისშვილი შინ ათ საათზე დაბრუნდა.

გალაკტიონი კი მეოთხე სართულიდან, ნევროპათოლოგ პონდოევის კაბინეტის ფანჯრიდან გადახტა 1959 წლის 17 მარტს, ზუსტად 6 საათზე.

ფანჯარასთან „ვენური სკამი“ მიიდგა და გადახტა.

ფანჯრის რაფაზე ფეხის კვალი ვერ აღმოაჩინეს.

როგორც ჩანს, სკამიდან პირდაპირ გადაფრინდა. გადაეშვა ძირს. არც ხელგაშლილი წასულა თავდაღმა და არც ფეხზე დამდგარს უფრენია ბეტონის ასფალტამდე. დაეცა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. მთელი ტანით დაეცა. ნეკნები ჰქონდა ჩამტვრეული და გულფილტვები ელენთითურთ დახეთქილი.

1959 წლის 16 აპრილს მეუღლემ თბილისის პროკურორს განცხადებით მიმართა:

„...გალაკტიონ ტაბიძის მეუღლე და ერთადერთი მემკვიდრე მე ვარ. რისთვისაც გთხოვთ, გასცეთ სათანადო განკარგულება, რათა შემნახველი წიგნაკი დამიბრუნონ.

გალაკტიონ ტაბიძის ქვრივი ნ. ტაბიძე“.

თხოვნა შეუსრულეს.

ნინო ტაბიძის ხელწერილი №71.

„1959 წლის 21 აპრილი, ქ. თბლისი. ნინო სიმონის ასულმა ტაბიძემ მივიღე ჩემი მეუღლის – გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძის შემდეგი ნივთები:

1. შემსალაროს წიგნაკი, სალაროს №3575, ანგარიშის ნომერი 94170, 26 295 მან. და 46 კაპის ნაშთით.

1 ფული ორასოთხმოცდაერთი მანეთი.

2 უბის წიგნკი ალფაბეტით, სხვადასხვა ჩანაწერებით.

4. ლექსი „ია სოვეტსკი რაბოჩი. კომმუნისტ“. რუსულად ხელის მოწერა ალექსი პეტრეს ძე ზაკომოლდინი.

5. ცხვირსახოცი ყავისფერი ნაპირებით.

6. გ.ვ. ტაბიძის შრომის უუნარობის ფურცელი, სერია 7201, 089933, 19 იანვრიდან 16 მარტამდე.

ცნობა, რომ ტაბიძე მკურნალობს „ლეჩკომბინატში“.

სათვალე გამჭვირვალე გაყოფილი მინებით.

9. „რეკორდის“ კოლოფი სამი პაპიროსის ნამწვითა და სამი მოუწეველი პაპიროსით.

შავი უბრალო ფანქარი 7 სმის სიგრძის.

სავარცხელი, ტარიანი, ყავისფერი.

2 ორი თითბერის გასაღები, ერთერთი რკინის ენით შეკრული ქაღალდის კანაფით.

13. სამი ყუთი ასანთი.

აღნიშნული ნივთები და ფული მივიღე ქ. თბილისის პროკურატურის უფროს გამომძიებელ სიმონიშვილისაგან“.

ბატონო სტუდენტებო

ხელისფულების მიერ ინტელიგენციის აბუჩად აგდება მთელი ძალით 2003 წლიდან დაიწყო.

არც მანამდე ვეხატებოდით გულზე ეროვნული პროფესორები ხელისუფლებას, მაგრამ რაც ახლა ხდება, წარმოუდგენელზე წარმოუდგენელია.

ეს ნოველა ჩემი და ჩემი კოლეგების გაუხარელმა ყოფამ დამაწერინა.

***

ნოემბრის გრილი საღამო იყო.

ქარი ქალაქში არ იგრძნობოდა, მაგრამ ცას თუ ახედავდი, შეამჩნევდი, რომ იქ, ზემოთ, კარგა გვარიანად უბერავდა.

სხვადასხვა მხრიდან ქროდა ქარი და ტყვიისფერ ღრუბლებს სწორედ აქ, უდავითაღმაშენებლო პოსტამენტის და ჩონჩხადქცეული „ივერიის“ თავზე აქუჩებდა.

ზუსტად რვა საათზე სამთავრობო ტელევიზიით ჯანმრთელობის მინისტრი გამოვიდა და მოწყენილი სახით გამოაცხადა: უახლოეს თვეებში ქათმის გრიპისაგან ყოველი მესამე დაიღუპებითო.

მინისტრის ამ განცხადებას ტელევიზიამ ჯომარდსატირიკოსის სამხიარულო შოუ მოაყოლა. „შოუში“ სასაცილო მხოლოდ ის იყო, რომ მამაკაც მსახიობს ბატისჭუკისფერი პარიკი ებურა, ტუჩები წითლად, ვნებიანად შეეღება და, აქაოდა ქალი ვარო, უკანალს, როგორ დავუკარგავ, ენერგიულად ათამაშებდა.

რომელიმე ნორმალურ ქვეყანაში რომ გამოეცხადებინათ, მალე ყოველი მესამე აღარ იქნებითო, ქუჩებს სასოწარკვეთილი ადამიანების გნიასი წალეკავდა, საქართველოში კი (როგორც არ უნდა გაუკვირდეს ამ ნოველის საზღვარგარეთელ მკითხველს) შემაძრწუნებელ ცნობას პანიკა არ გამოუწვევია.

მოქალაქეებმა მშვიდად მოისმინეს ქათმის გრიპისაგან მოსალოდნელი კატასტროფის მაუწყებელი ცნობა და ტელევიზორები რომელიღაც შვიდასსერიან არგენტინულ ფილმზე გადართეს. მეორე

დილით კი ისე ჩვეულებრივი მასლაათით მიიჩქაროდნენ სამსახურებიანები სამსახურში, ხოლო მოწაფეები ისეთი მხიარული ყიჟინით მიისროდმიიბურთავებდნენ სულელური სახელმძღვანელოებით სავსე ხელჩანთებს სკოლისაკენ, თითქოსდა წუხელის ყოველი მესამის დაღუპვაზე ამ ქვეყნის კი არა, ანტარქტიდის მოზამთრეესკიმოსების შესახებ ეთქვას ტელევიზორს.

რა მოხდა? რა ასეთი უნაღვლო და ფეხზემკიდია ხალხი ცხოვრობდა საქართველოში, რომ ნერვსაც კი არ აუტოკებდა გაგება იმისა, რომ ექვსწევრიანი ოჯახიდან მალე, სულ მცირე, ორი კუბო იქნებოდა გასატანი?

ჯერ ერთი, ადამიანი, მოგეხსენებათ, იმედს ებღაუჭება და ფიქრობს: ეპიდემია ასე ზუსტად ხომ არ გაანაწილებს სიკვდილს, ხომ შეიძლება, მეზობელ ბინაში გრიპის ეპიდემიამ ექვსიდან ექვსივე იმსხვერპლოს და ჩემს ოჯახში – არც ერთიო.

მეორეც, თუ მაინცდამაინც ყოველ მესამეს დაგვერია, რაღა მაინცდამაინც მე ვიქნები მესამეო.

მესამეც, ქვეყანაში საშინელი შიმშილი მძვინვარებს, რა მნიშვნელობა აქვს, ქათმის გრიპი მოგიღებს ბოლოს, თუ შიმშილიო.

მეოთხეც, ორი წელიწადია ამ მთავრობას სხვა სიმართლე არაფერი უთქვამს და რაღა ეს აღმოჩნდება მართალიო.

კარგია თუ ცუდი შიშის გრძნობის ასე მასობრივი დაძლევა სამმილიონიან ქვეყანაში, ამაზე ფსიქოლოგებმა და ისტორიკოსებმა იმსჯელონ, მე კი, ზემოთ თქმულისადმი მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად, ჩემის მხრივ დავძენ: ჯანმრთელობის მინისტრს რომ გამოეცხადებინა, ქათმის გრიპისაგან უახლოეს ხანებში ყოველი მეორე დაიღუპებითო, არც ამ განცხადებას მოჰყვებოდა დიდი ვაივიში და პირხოკვობა.

უცნაურ ადამიანს რა დალევს დუნიაზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქალაქში იყო კაცი, რომელსაც გულის სიღრმეში გაეხარდა კიდეც ისედაც გამესამედებული ხალხის კიდევ ერთხელ დაჩქარებული მოსრვაამოწყვეტა ქათმის გრიპის მიერ. ეს გახლდათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბენიამინ არჩვაძე.

„თუ ეს მართალი აღმოჩნდა, ღმერთს ხსნა მოუვლენია ქათმის გრიპის სახით და ეგ არის. მორჩება, დამთავრდება ყოველდღიური წამებადამცირება, აბუჩად აგდება, იდიოტური კონკურსობია, ქუჩაში გაგდების შიში, „რეფორმისტთა“ ზიზღით სავსე, უტიფარი თვალების დანახვა და შეშინებული კოლეგავირთხების გაუთავებელი წუწუნის მოსმენა“, – ფიქრობდა პროფესორი არჩვაძე, როცა მეორე დღეს გამოხუნებული პლაშჩით, ლანჩებგაცვეთილი „შიბლეტებითა“ და გაცრეცილი პორტფელით კეკელიძის აღმართს მიუყვებოდა.

ფიქრის გორასთან ფილოსოფოსი კალისტრატე წევაძე აემგზავრა. ახალგაზრდობაშიც ერთობ შეუხედავი ვინმე იყო ბატონი კალისტრატე და სიბერეში მთლად წასულიყო ხელიდან მისი გარეგნობა.

გორილასავით დადიოდა.

გრძელ ხელებს სხვა პროფესორებივით კი არ მიიქნევდა, ორივე ხელი ძირს ჰქონდა დაშვებული. კაჭა ფეხებს აჩაბაჩა დგამდა და სიარულის დროს აქეთიქით ირწეოდა. შესახედავადაც გორილას ჰგავდა; ვიწრო შუბლით, გაჭყლეტილი ცხვირით, ღოჯებიანი, დიდი პირით და ღრმად ჩამჯდარი, კვართისღილისოდენა, პატარა, მრგვალი თვალებით.

– ახალი ხომ არაფერი გაგიგია? – მისალმებას მოაყოლა კალემ თანამედროვე საქართველოში ეს ყველაზე გავრცელებული და, შეიძლება ითქვას, მოსაწყენი კითხვა.

– წუხანდელს მერე არაფერი.

– გრიპზე ამბობ?

– ქე მაინც დროზე შემოვიდოდეს და მოგვისვამდეს ხელს დიდიანპატარიანად.

– ჩვენ დაგვერევა, საწყალ ხალხს, თვარა ამგენს არ დაემართება ქათმის გრიპი, ტყვილად გაქვს იმედი. ხომ უყურებ ტელევიზორში, რა საშიშრად ჯანმრთელები არიან. რავა დასაბმელი გიჟებივით დაშლიგინებენ იქეთაქეთ.

– ბარე ორი დაშლიგინებდა, მარა ქე ჩახვეტა მტკვარმა. გამოჩნდება მაგენის დამბმელიც, ნუ გეშინია.

– როდის? ჩვენ რო არ ვიქნებით?

– ჩვენი საქმე მოთავებულია, უნდა შევეგუოთ, – ამოიოხრა ბენომ, – ჩვენს გაგდებადამხობას

ქე ასწრებენ.

– ვითომ ფილოსოფოსი მერქვა და სინამდვილეში აბდალი ვყოფილვარ. ისე მაგდებენ ქუჩაში, რომ ვერ გამიგია, რა შემეშალა, რა დავაშავე.

– მეცინება, ამას რომ იტყვით ხოლმე. ჯერ ერთი, ჩემო კალე, რად უნდათ ამათ ფილოსოფია. დალაპარაკებიხარ რომელიმეს? თვალებს არ გისწორებს არც ერთი. თუ მაინცდამაინც შემოგხედა, ზიზღი ჩაჰხატვია თვალებში, – შენ კიდევ ცოცხალი ხარ? კიდევ დაღოღავ ამ დუნიაზეო? – გეუბნება თვალებით.

– ამ კონკურსსაც აღარ დაადგა საშველი.

– ნელ ცეცხლზე გწვავენ, ძალად აჭიანურებენ, რომ ეგება დავიხოცოთ ნერვიულობისგან.

– შრომა რამდენი გიგროვდება?

– ასამდე.

– ასპირანტი?

– დაცული ოცდათოთხმეტი.

– აბა შენ კარგად გქონია საქმე.

– რა გულუბრყვილო კაცი ხარ, კალისტრატე. შენ გგონია, ჩვენს შრომებს დათვლის ვინმე? გუშინ დამირეკეს, ვერ გეტყვი, ჭორია თუ მართალი, საპროფესორო კონკურსის პირობებისთვის ფიზიკური გამძლეობის შემოწმება დაუმატებიათ.

– რაი?!

– რაი და პროფესორმა ბაგირზე ცოცვა, ას მეტრზე სირბილი და ბატუტზე ხტომა უნდა ჩააბაროს.

– მოსულა, აბა, ყვარყვარეს დრო, – ჩაიხითხითა კალისტრატემ, – თურმე ყველა რევოლუცია ერთნაირად იდიოტურია – „სუსტი გულის პატრონი რათ უნდა პროლეტარიატს“.

– ერთს ვიტყვი მე. თუ მართლა ასე გიჟურად გააგრძელეს, გამოვაცხადოთ გაფიცვა. აღარ მოვიდეთ უნივერსიტეტში, აღარ წავიკითხოთ ლექცია.

ნახევრად ჩურჩულით უთხრა კალემ კოლეგას და ყოველშემთხვევისთვის მიმოიხედა, არავინ გვისმენდესო.

– რად უნდა მაგას ჩურჩული. ეგ უნდათ მაგათაც. უკვირთ კიდეც, ალბათ. გულში ამბობენ: ვინაა ეს უთავმოყვარეო ხალხი. რაც ამათ ვლანძღავთ და ვამცირებთ ყოველდღე, მაინც რომ დადიან უნივერსიტეტშიო.

ახალი, რაც იმ დღეს უნივერსიტეტში შეიტყო პროფესორმა ბენიამინ არჩვაძემ, ის გახლდათ, რომ განათლების სამინისტროს მაცნეშემტყობინებელი სანდუხაძე გამოეგზავნა; ძველი სახეებიდან, ვინც თავის ძველ, დამჭკნარ სახეს არ დაგვანახვებს და თავისი ნებით მოშორდება უნივერსიტეტს, ორ წელიწადს სტიპენდიას მიიღებს, ხოლო ვინც გაჯიუტდება, კონკურსზე გავაშავებთ და მერე მოსრია პატრონიო. ოცდაორი ფაკულტეტი ხომ დავიყვანეთ ექვს ფაკულტეტზე, ახლა ეს ექვსი ფაკულტეტიც უნდა გავამსხვილოთ და ორზე დავიყვანოთ. რაკი პროფესორებიდან 100 მეტრზე სირბილის ნორმატივს მეტნაკლებად ყველა მეცნიერი ჩააბარებს, საკონკურსო პირობებს პარაშუტით გადმოხტომა დაემატებაო.

„დავხუჭავდი თვალს და გადმოვხტებოდი, – ფიქრობდა შინისაკენ მიმავალი ბენიამინ არჩვაძე, – მაგრამ ამათი იმედი არა მაქვს. ჩვენ, ალბათ, გაფუჭებულ პარაშუტებს დაგვირიგებენ. მერე იტყვიან, არ გაიშალაო. მე შენ გეტყვი, სირცხვილის გრძნობა აწუხებთ, ან ღმერთის ეშინიათ“.

ოცდახუთ იანვარს თბილისში თოვლი მოვიდა.

„მოულოდნელად მოთოვაო“, – ამტკიცებდა სამთავრობო ტელევიზია, მაგრამ ხალხს ვერა და ვერ გაეგო, რატომ იყო 25 იანვარს მოსული თოვლი მოულოდნელი. აბა „მოსალოდნელი“ რომელი თვის რომელ რიცხვში უნდა ყოფილიყო თოვლის მოსვლა.

ქალაქის მერიას, რაკიღა „მოულოდნელად მოთოვა“, გზებზე დასაყრელი მარილის მარაგი არ აღმოაჩნდა, რამაც ერთობ უხერხულ დღეში ჩააყენა ხალხზე მზრუნველი ხელისუფლება.

მოგეხსენებათ, თბილისი ოღროჩოღრო, აღმართდაღმართიანი ქალაქია და თოვლყინულმა სახსრებში მოშალა.

თავდაღმართში მწუხარე სახეებით მოსრიალებდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლები, სანოვაგეზე გაგზავნილი, კისრის მოსატეხად განწირული სიდედრები, უბნის ინსპექ-

ტორები და კანონიერი ქურდებიც კი.

მხოლოდ ჩანთებზე შემომჯდარ მოსწავლეებს და ეროვნულ გამოცდაჩაბარებულ პირველკურსელებს ჰქონდათ ერთნაირად მხიარული და, ცოტა არ იყოს, ბრიყვული სახეები.

თოვლმა ერთბაშად შეცვალა ქალაქი.

ისმოდა შუქნიშანთან სამარშრუტო ტაქსებს მიჯახებული ძალიან მსუბუქი მანქანების ხათქა-ხუთქი.

საგრძნობლად შემცირდა მუდმივი საპროტესტო მიტინგების მონაწილეთა რაოდენობა.

ხელისუფლების გადადგომის მსურველნი ძირითადად ფანჯრებზე გადმომდგარნი უერთებდნენ ხმას გათოშილ მომიტინგეებს.

მაჩაბლის ქუჩაზე მშვილდისრით და კაჟიანი თოფებით შეიარაღებული, ფაფახნაბდიანი სამი ცნობილი მწერალი ზაურ იობაიას ხელმძღვანელობით ერთგულად იცავდა მწერალთა სასახლეს გოკა გაბაშვილის მიერ გამოგზავნილი სპეცრაზმელებისაგან.

რუსმა დრო იხელთა და ყინვისაგან ისედაც სასოწარკვეთილ საქართველოს გაზი და ელექტროენერგია ერთბაშად შეუწყვიტა.

„დრო იხელთამეთქი“, იმიტომ ვამბობ, რომ პრეზიდენტი შვეიცარიაში სასრიალოდ იყო წასული და საქართველოში ისეთი არავინ იყო, რომ რუსს შეშინებოდა.

ერთ საათში ტელევიზიის ეკრანებზე შემკრთალი პრეზიდენტი გამოჩნდა. იგი დავოსელ ჟურნალისტს ელაპარაკებოდა.

სად მიდიხარო, ეკითხებოდა ჟურნალისტი.

თბილისში ვბრუნდებიო, ცრემლის ყლაპვით აუწყებდა პრეზიდენტი.

ან ჩამოსვლა რა იყო, ან წასვლა რა არის. დარჩენილიყავი, კარგი ამინდებია, გესრიალა, შე კაი კაცოვო, – გულით ურჩევდა შვეიცარიელი ტელეჟურნალისტი.

ეჰ, იცოცხლე, სრიალი კარგი იყოს, მაგრამ რომ არ წავიდე, არ შეიძლება, რუსმა შორს რომ დამიგულა, თავი აიშვა და ამ გასაჭირში ჩემს ხალხს ვერ მივატოვებო, – წასვლას არ იშლიდა პრეზიდენტი.

დიახ, პრეზიდენტი არც ისე მიამიტი გახლდათ, რომ არ სცოდნოდა, ხალხი მომთმენია მხოლოდ მოთმინების ფიალის ავსებამდე. საკმარისია ზამთარში ერთ თვეს დარჩეს ქვეყანა უპურუგაზუშუქოდ, რომ რაც უნდა საყვარელი იყოს სახელმწიფოს მეთაური, რა ახალგაზრდა და ლამაზიც უნდა იყოს და როგორც არ უნდა ამოსდიოდეს ერს თავის რჩეულზე მზე და მთვარე, ერთ თვეში დამთავრდება მისი მეთაურობაპრეზიდენტობა.

გამძვინვარებულ ხალხს, ვინ მოსთვლის, რამდენი მეფის სასახლე დაურბევია და რამდენი პრეზიდენტის სავარძელი დაუწვავს.

ჰოდა, დაიწყო თბილისში ხალხის გვერდით მდგომი ხელისუფლების თეატრალური სანახაობა-ჩალიჩი.

პრეზიდენტმა რუსეთს თითი დაუქნია და სკოლებში ერთკვირიანი არდადეგები გამოაცხადა.

განათლების მინისტრმა პრეზიდენტის ბრძანებაში შესწორება შეიტანა და სრიალის ჟინით ათრთოლებული ბავშვების სიხარულს წყალი გადაასხა.

სწავლა შეწყდეს მხოლოდ იმ სკოლებში, რომლებიც გაზით თბებოდნენ, ხოლო დიზელგათბობიანმა სკოლებმა სწავლა განაგრძონო.

მედიზელე სკოლების პროტესტმაც არ დააყოვნა.

რატომ ჰგონია მინისტრს, რომ ჩვენ გამთბარგაღუღუნებულები ვართ. ორი თვეა დიზელის საწვავი თვალით არ გვინახავს. ესეც არ იყოს, რა უპირატესობა აქვთ გაზშეწყვეტილ სკოლებს. დაგვასვენონ ჩვენც. ჩვენს ბავშვებსაც არ აწყენს ციგაობაო.

სწორია ეს ხალხიო, პრეზიდენტმა, და განათლების მინისტრს დაურეკა: დიზელის საწვავი მაინც არ ჰქონიათ, დაისვენონ ამათაც, რას ისწავლიან ახლა ამნაირს, კაცმა რომ თქვას, ამ ერთ კვირაშიო.

დაღონდა პრეზიდენტი. რა დროს მიყელა რუსმაო, მე ვასწავლი რუსეთს ჭკუას, ვანანებ ამ საქციელს, თუ ვყოფილვარ საქართველოს კანონიერი პრეზიდენტიო.

არადა საათივით ჰქონდა საქმე აწყობილი. კვირაში საშუალოდ ორ უფასო სასადილოს ხსნიდა

და, სატელევიზიოდ ყურებამდე გაღიმებული, ისე მადიანად შეექცეოდა წყალწყალა სუპს, გეგონებოდათ, ამ კვირაში არაფერი უჭამიაო. უფასო სასადილოში სერობატრაპეზის დროს პრეზიდენტს გვერდს ქალაქის მერი უმშვენებდა. აშკარად ჩანდა, მერს ტყუილი სუპი არ უყვარდა და კოვზს ზოგჯერ მოსაჩვენებლად, გადმობრუნებულად იდებდა პირში, თანაც ხანდახან ზიზღით გახედავდა ქათმის გალურჯებულ ბარკალს. აშკარად ჩანდა, მერს არ სურდა ქათმის გრიპის პირველ მსხვერპლთა შორის ყოფილიყო.

დიდთოვლობამ და უშუქგაზობამ გამოაცოცხლა ქალაქი.

ცხოვრება უფრო საინტერესო გახდა.

სასრიალოდ შვეიცარიაში წასული პრეზიდენტის ასე სწრაფად დაბრუნებას არ ელოდა პუტინი. რუსთხელმწიფის კარი შეშფოთებამ მოიცვა. რუსეთის მხარე აშკარად მაშინ შეძრწუნდა, როცა ნაციონალური მოძრაობის ხუთმა აქტივისტმა რუსეთის საელჩოს წინ, თოვლზე ერთი ტომარა შეშა და კილონახევარი მანდარინი დაყარა.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო რუსეთს.

ძიუდოისტი პრეზიდენტი საგონებელში ჩავარდა.

თბილისში კი ამ დროს თეატრბერიკაობა სრულ სვლას განაგრძობდა.

ნავთის ხუთასბიდონიან რიგში მდგომი ახალგაზრდა, მომხიბვლელი ქალი ტელეჟურნალისტს ინტერვიუს აძლევდა: „დილის 4 საათიდან ვდგავარ ნავთის რიგში და ძალიანაც მომწონს ეს ამბავიო. სახლში ვიყავი გამოკეტილი, ძლივს ქუჩაში გამოვედი და ხალხს დაველაპარაკეო. თუ არ მოიტანეს ნავთი, არა უშავს, მოვიცდი. აქ მოწყენილი სულ არა ვარ. ღამეც აქ ვაპირებ დარჩენას, თუ გამაჩერა ჩემმა ქმარმაო“.

სიცივისაგან სახსრებდამზრალი პროფესორი ბენიამინ არჩვაძე თავისი ერთოთახიანი ბინის ფანჯრიდან ჩასცქეროდა ქალაქს. ქუჩაში გასვლის თავიც აღარ ჰქონდა. ხუთი დღის პურით და ყოველსაათიანი ტელეტყუილით იკვებებოდა: „სარემონტო სამუშაოები დამთავრდა, გაზი უკვე გამოშვებულიაო“. მიფაჩუჩდებოდა გაზქურასთან პროფესორი, გადასწევდა ონკანს, მაგრამ გაზის სანატრელი შიშინი არა და არ ისმოდა.

სამს აღარაფერი უკლდა, კარებზე რომ მიუკაკუნეს.

გააღო.

ქალაქის მერს ორი პური ეჭირა. პრემიერს – ერთი ტომარა შეშა. უკან ტელემიკროფონების მუშტები და იუპიტერები ირწეოდნენ.

ქალაქის თავნი ცალი თვალით ტელეკამერებისაკენ იყურებოდნენ და გაბადრული სახით აწვდიდნენ პროფესორს ხუთსაათიან შველას – ორ პურს და ტომარა შეშას.

– მომწყდით თავიდან! – იყვირა აცახცახებულმა ბენიამინ არჩვაძემ და სტუმრებს კარი ცხვირწინ მიუჯახუნა.

***

ამ ამბიდან ერთი კვირის თავზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უბედური შემთხვევა მოხდა.

პროფესორმა ბენიამინ არჩვაძემ ოთხმოცდამეცამეტე აუდიტორიასთან, დერეფანში, პალტოს ჯიბიდან ნახევარბოთლიანი ამოიღო, ნავთი გადაისხა, ფანჯარასთან მივიდა და ასანთს გაჰკრა.

ცეცხლი სწრაფად აბრიალდა, მაგრამ სანამ სახეზე და ხელებზე მოედებოდა, აუდიტორიიდან გამოსულმა სტუდენტმა გოგონამ შენიშნა, პალტო გაიხადა, პროფესორს თავზე ჩამოამხო და კივილი ატეხა.

საღამოს სამთავრობო ტელევიზიამ სხვა ახალ ამბავთა შორის გამოაცხადა: „დღეს უნივერსიტეტში თავის დაწვა სცადა პენსიონერმა ბენიამინ არჩვაძემ, რომელიც სტუდენტებმა გადაარჩინეს.

როგორც ექიმები ირწმუნებიან, ბატონი ბენიამინი უკანასკნელ ხანს ნევროზით იყო შეპყრობილი, რასაც თან დაერთო ასაკობრივი ცვლილებებით გამოწვეული კლიმაქსური მოვლენები.

ამჟამად პროფესორის მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნელი საგინაძე

სიმართლის ქომაგი

ნოველა

---დედი, დედი,საითკენა ხარ დე!

---აქა ვარ შვილო აი აქა, ვაშლის ჩრდილის ქვეშა, გამოიხედე,--შეეპასუხა იქვე ახლოს, აგვისტოს მცხუნვარე მზისგან გრილოში თავშეფარებულმა და მოსაქმე თინიამ თავის პატარა თეკოსა.

თეკო უკანმოუხედავად გაიქცა დედისკენ. ისე კუნტრუშითა და სისწრაფით მირბოდა პატარა ცელქუნა, რომ კინაღამ ფეხის ქუსლებს ზურგზე ირტყამდა.

პატარა გოგონა დაბალ, სამფეხა სკამზე მჯდომ დედას კალთაში ჩაუხტა, ლოყებზე მაგრად მოეფერა, მკერდზე ძალიან, ძალიან ახლოს მიეკრა და ისე ძლიერ შეატოკა თინია, რომ კინაღამ ქალი სკამიდან გადავარდა.

--რაო თეკო, რაშია დედიკო საქმე?--ალერსით ჰკითხა თეკოს დედამისმა თინიამ და ხელები მანაც მაგრად შემოაჭდო ბავშვს ზურგზედ.

----დედი, დედი, აგერ წოწოლაანთ ეზოში ვთამაშობდით და იცი, ტასოსათვისა თავის დედას სკოლაში მისასვლელად ახალი წითელი ტუფლები უყიდია. დედი,ამ ფეხსაცმელებს თან ზედ თეთრი პეპელა ახატია---სიხარულის ემოციას ვერ მალავდა პატარა.

---დე, დე, მეც მიყიდი მასეთებსა?!--ეღრიჯებოდა ბავშვური,მიამიტური სახით პატარა თეკო თინიასა.

-----კი შვილო, როგორ არ გიყიდი ჩემი გულის სიხარულო!-

---ეს ერთი-ორი დღე დამაცადე, ბარეღამ ბოლომდე გამოვარჩევ ამ, ჩვენს ვენახში დაგლეჯილ ხმელ ლობიოს პარკებიდანა. მერე კიდევა, აგერ მაყვალა ბებოც მოგვიტანს ჩვენს გაყიდულ ოცდაათ კილო ლობიოს ფულსა და წავიდეთ ქალაქში იმ, შენს წითელ ტუფლებზედა---ხმამაღლა აიმედებდა პატარა თმაგაწეწილ და შავ ბრიალა თვალებიან თეკოს თინია დედიკო. ---რა კარგი იქნებოდა თუ მაყვალა ბებოც ხვალ მოგიტანდეს ფულსა არა დე!. ---იცი დედიკო, რა ლამაზებია, პეპელა ახატია იმ ტუფლებსა, თეთრი პეპელა! ---ზუსტად მასეთი მინდა, მასეთი მიყიდე რა — თბილი, პატარა ხელებით ეალერსებოდა და ეტკტიკებოდა მეოთხე კლასელი ცელქი თეკო დედასა.

გახარებულმა დაიძინა იმ ღამეს წითელ ფეხსაცმელებზე მეოცნებე პატარამ.

მეორე დღეს, იქნებოდა ასე საღამოს ხუთი საათი, რომ თინიას მაყვალას ხმამაღალი დაძახილი შემოისმა.

იქვე, ეზოში მოთამაშე თეკომ მიირბინა სახლის ჭიშკართან. მოხუცს სასწრაფოდ კარები გაუღო და ვიდრე თინია მეზობელს გამოხედავდა მას პატარა თეკო უკვე სახლისაკენ მიუძღვებოდა.

---მობრძანდით მაყვალა დეიდა მობრძანდით. აგერ აქ ჩამოჯექით და ჩამოისვენეთ! ---თინი, აი შვილო, შენგან ნაყიდი ლობიოს ფული მოგიტანე!– დღეს პენსიები ჩამოარიგეს, ავიღე და მალევე გამოგიტანე არაფერში დამეხარჯოს –მეთქი. თქვენც ახალგაზრდა ოჯახი ხართ, ათას რამეში გჭირდებათ თქვენი ნაშრომი. აგერ, ამ კუდრაჭასაც კარზე აქვს სკოლის დასაწყისი მომდგარი.

---კი მაყვალა დეიდა, ტუფლები უნდა ვუყიდო მაგ ფულით ხვალე თეკოსა.

--ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ შვილო, თქვენი ნაშრომი თანხა და ამ კუდრაჭასთვისა კიდევა ლამაზი ფეხსაცმელი გეყიდოთ!

გამოემშვიდობა მაყვალა თინიასა და ჯოხზე დაყრდნობილმა,ნელი ნაბიჯით გასწია სახლისაკენა.

პატარა თეკომ ყველაფერი მოისმინა და დედას უთხრა--

----დედიკო ხვალ წამიყვან ქალაქში?!

--კი დედა გენაცვალოს,აუცილებლად წაგიყვან და სკოლისათვის, გიყიდი ტასოსნაირ წითელ პეპელებიან ფეხსაცმელსა.

ის ღამე სიხარულით არც სძინებია თეკოსა.

დილის მზემ თვალი ამოაპარა თუ არა, იმწამსვე წამოხტა ჩვენი კუდრაჭა გოგონა საწოლიდან, ხელ– პირი დაიბანა და დედასთან მიირბინა ქალაქში წასასვლელად და მოსამზადებლადა.

სულ მალე დედაშვილი ქალაქისკენ მიმავალ ყვითელ ავტობუსში ისხდნენ. თეკო ძალიან ხალისობდა და დედას ათასნაირი კითხვებით გულს უწვრილებდა. ავტოსადგურში, ტრანსპორტიდან ჩამოსვლისას თინიამ მაგრად მოსჭიდა მაჯაში ხელი თავის თეკოსა და დედაშვილი სულ ტიკ-ტიკით გაუყვნენ მაღაზიისკენ მიმავალ პროსპექტსა.

თინიამ თეკო პირველივე შემხვედრ დიდ მაღაზიაში შეიყვანა.

აქ, ყველანაირ ერთმანეთის მიჯრით, ჩამწკრივებულ კერძო სექციებს ნახავდით. ზოგგან ტანსაცმელი იყიდებოდა, ზოგგან თეთრეული, საყოფაცხოვრებო საქონელი, სამკაულ-ბიჟუტერია, და ასე შემდეგ.

თინია თავის თეკოთი ფეხსაცმელების კერძო განყოფილებისაკენ გაეშურა.

გამყიდველმა ქალმა შიგნით, სექციაში შეიპატიჟა დედაშვილი, თაროდან წითელი ფერის, ბავშვის ფეხსაცმელი გადმოუღო და ლამაზი, მიეთ– მოეთი სიტყვებით დაუწყო თინიას ტუფლის მოწონება.

-----აი, ეს არის ამ ბავშვის ზომა, უარი არ უთხრათ, ეს ერთი წყვილიღა დამრჩა. დახატავს ამ ბავშვს ეს ფეხსაცმელი--მეტად მოყირჭებული სიტყვებით აწონებდა თინიას ბავშვის ფეხსაცმელს გამყიდველი. ქალმაც უარი ვეღარ შეუბედა ქალს და შვილს უთხრა.

---დედიკო, მოდი გაგასინჯო ეს ტუფლი.

--დედა, დედი, ამ წითელ ტუფლს რომ პეპელა არ ახატია--არ მინდა!—

--ასეთი, მარტო წითელი არ მინდა რა დე-ჩუმად თქვა თეკომ –--არა უშავს დედიკო, ესეც ლამაზებია და თინიამ, იქვე პატარა სკამზე ჩამომჯდარ შვილს ფეხი ტუფლში ჩააყოფინა..ბავშვმა როგორც იქნა ჩაიცვა ფეხსაცმელი.ის იყო დედას თასმა უნდა შეეკრა, რომ უეცრად მასზედ მოწყვეტილი შესაკრავი თინიას ცალკე შერჩა ხელში.

---უი, ეს რა მოხდა?!--შეცბუნებული სახით თინიამ გამყიდველს თასმის მოწყვეტილი პატარა ლითონი გაუწოდა..

---დეიდა თვითონ, უნებლიედ მოსძვრა ტუფლს შესაკვრელი ლითონი--დაადასტურა თეკომაც.

ამის დანახვა იყო და კმაყოფილიანი სახე გამყიდველს მოეღუშა, შუბლი შეიკრა, წარბები მაღლა ასწია ისე, რომ მისი სახე ქალის სახეს აღარ ჰგავდა და თინიას უშვერი სიტყვებით დაეტაკა.

----არა ქალბატონო, ძალით კი არ მოვაწყვიტე შესაკვრელი, თვითონ მოსძვრა.

შეცბუნებული, დედის შემხედვარე თეკიამ სასწრაფოდ გაიძრო ფეხიდან ტუფლი, თავისი ძველი ფეხსაცმელი ამოიცვა, დედიკოს რაც ძალი და ღონე ჰქონდა კაბის კალთის ბოლოზე მიეკრა და თვალებიდან კუნწულ-ჰკუნწულა ცრემლები გადმოყარა.

--მე არ ვიცი, როგორც გინდათ ისე ამინაზღაურეთ ამ ფეხსაცმლის ფასი---ურცხვად გაჰყვიროდა გამყიდველი.

მაღაზიის ყველა სექციიდან ხალხი გაოგნებული უყურებდა ასე,განარებულ კოლეგას, ვერც ვერაფერს ეუბნებოდნენ და სიბრაზისაგან თავებს აქნევდნენ მის არაკეთილ დამოკიდებულებაზე ახალგაზრდა დედაშვილის მიმართ.

ამ დროს, მაღაზიაში ერთი, ლამაზი გარეგნობის ქალბატონი შემობრძანდა. ჯერ პირველ სექციაში იკითხა რაღაც, შემდეგ მეორეში და როდესაც ამ, გაუგებრობის ადგილს მიუახლოვდა, იქვე ნაცნობ, თეთრეულის განყოფილების ქალბატონს ჰკითხა

---გამარჯობა სვეტა,-როგორ ხართ?

--რა ხდება, რა ხმაურია, რატომ ტირის ეს პატარა ბავშვი ასე გულამომჯდარი, რატომ დგას ამ ბავშვის დედა მხრებჩამოყრილი?!—

სვეტამ თავი გვერდზე გასწია და ოდნავ ხმადაბალი ტონით უთხრა--

---რა ვიცი საყვარელო, ფეხსაცმლის თასმის გულისათვის, ლამისაა შეჭამოს ეს დედაშვილი!

---კარგი სვეტა---მიტრიალდა ეს ლამაზი, ცისფერთვალა ქალბატონი და პირდაპირ იმ სექციას მიადგა, სადაც გავეშებულ გამყიდველს, თავისი უხარისხო ტუფლის თასმის ლითონის გულისათვის დატყვევებულივით ჰყავდა უდანაშაულო მომხმარებელ– დედაშვილი.

---გამარჯობათ ქალბატონო,---ხმამაღალი ტონით მიესალმა ქალბატონი გაავებულ გამყიდველს.

--გნებავთ რაიმე?--არც კი მოუხედია, ისე უზრდელურად ისროლა სიტყვა სექციიდან.

--დიახ მნებავს--ხმის ტონს აუწია ქალბატონმა

---რა გინდათ, რა მოგეწონათ-– თავისი გააგრძელა გამყიდველმა.

რა მომეწონა კი არა, თქვენთან ძალიან არ მომეწონა აი, ეს არაეთიკური მოპყრობა ამ ახალგაზრდა დედაშვილის მიმართ. ქალბატონმა თან ჩანთიდან თეთრი, ახალი ფურცელ-– კალამი ამოიღო და დახლზე დააწყო.

ფურცელისა და კალმის დანახვაზე ცოტა არ იყოს სახე შეუსხვაფერდა გამყიდველს და წამში სანთელივით დაიწყო სიტყვების ჩამოლღობა.

----მე იურისტი ვარ---– გამყიდველი უფრო შეცბა და თავის მართლებისათვის სიტყვა სიტყვაზე მიაყარა--არაფერია, არაფერი არ მომხდარა აქ ისეთი!

----როგორ არაფერი--უპასუხა იურისტმა

---რატომ ატირებთ პატარა ბავშვს და რატომ აყენებთ შეურაცხყოფას მის მშობელს?!—

აგერ უკვე ათი– თხუთმეტი წუთია ამ მაღაზიაში შემოვედი და მესმის თქვენი არაადეკვატური და უსიამოვნო მიმართვები მათდამი.---

----არა, არა, როგორ გეკადრებათ –-გამყიდველმა ნიღაბი უცებ შეიცვალა სახეზე და ყველას გასაოცრად, უცაბედად კეთიშობილური გამომეტყველების’ მასკა’ მოირგო იერზე.

---როგორ არა!

----იურისტად წარმოდგენილი ქალბატონი, ახლა ახალგაზრდა დედაშვილისკენ შეტრიალდა, თბილი, მეტად სასიამოვნო თვალები შეაპარა ორივეს სახეზე და მშვიდად უთხრა თინიას--

---ქალბატონო, იქნებ ბავშვს გამოიყვანდეთ სექციიდან გარეთ, იქნებ თქვენ ამიხსნათ რა მოხდა, რატომაა ბავშვი ასე შეშინებული და ფურცელ--კალამი თავისკენ ახლოს მიიცურა. -– აი, ამ ტუფლის ყიდვა მინდოდა ჩემი თეკოსათვის ქალბატონო, თასმის შეკვრის დროს შესაკვრელი ლითონი მოსძვრა და ხელში შემრჩა. გამყიდველი კი ტუფლის საფასურის ნახევრის ანაზღაურებას გვთხოვს!

----მართლა?!

----გამოდის რომ ტუფლის თასმის შეკვრის დროს ფეხსაცმლის არავარგისი შესაკვრელი ხელში შეგრჩათ?!-

---კი დეიდა, ასე იყო, დედა არ ტყუის--ლამაზი, ბრიალა, შავი თვალები ძლივს გამოაპარა აქეთ, დედის კაბის კალთებს შეფარებულმა პატარა თეკომ.

---გამოდის რომ გამყიდველი დაგყვიროდათ თავისი უხარისხო ფეხსაცმლის გამო?!– გაუკვირდა იურისტს

--– არადა,სასაყვედურო სათქმელი თურმე თქვენ გქონიათ მისდამი.

ტუფლი, სულ მცირე დაახლოვებით ოთხი– ხუთი თვე მაინც უნდა იხმაროს ბავშვმა და შემდეგ შეიძლება შეილახოს, რაიმე ასწყდეს, გაეცვითოს.....

დედაშვილმა ამ სიტყვებზე ამოისუნთქეს, სამაგიეროდ ვითომდა შეუმჩნევლად, გამყიდველს დაეძაბა თვალები.

---სათქმელი თქვენ გქონიათ იქეთ ჩემო კარგო!---ომახიანად თქვა ისევ ქალბატონმა. გამყიდველი ხმას ვეღარ იღებდა.

---რა ვიცი აბა!-– თვალები ძირს დახარა თინიამ.

--ისე ბავშვის ულამაზესი და ხარისხიანი ფეხსაცმელი, დიდი არჩევანით აქვე, ახლოს გვერდით, საბავშვო მაღაზია „ნაცარქექიაში“ იყიდება. შეგიძლია წაიყვანო ეს ცუგრუმელა და თავისი სურვილისამებრ აურჩიოთ ტუფლი.

----დიდ მადლობა ქალბატონო--თინიამ თავაზიანი მადლობა უთხრა იურისტს და დედაშვილი მაღაზიიდან გავიდნენ.

იურისტი მიუბრუნდა უკვე, თავისი უმსგავსო საქციელით, კინაღამ მუხლებზე დაცემულ გამყიდველს და უთხრა

---ვინ მოგცათ იმის უფლება, რომ ჩაწოლილი, დეფექტიანი, უხარისხო საქონელი მომხმარებელს მიაყიდოთ?!-

--სად გაგიგიათ, რომ ბავშვი, ცრემლებამდე დასაჯოთ სულ არაფრის, თქვენი უხარისხო საქონლის გულისათვის!

--და კიდევ,გადასაყრელ ნივთში რატომ ცდილობთ, რომ გამოსძალოთ მომხმარებელს საქონლის ღირებულების ნახევარი?!-

--მე, ახლავე შევადგენ თქვენი საქციელის სარჩიელს, ხელს მოვაწერინებ ყველა ამ მაღაზიის, სხვადასხვა სექციის გამყიდველებს, რომლებიც თქვენს მიერ დატრიალებული უმსგავსო საქციელის მომსწრენი არიან.-

---და ბოლოს

--იცით თქვენს ასეთ მოქმედებებზე სისხლის სამართლის რა მუხლი წარგედგინებათ?!—გამყიდველი უკვე სერიოზულად ანერვიულდა და იურისტი ქალბატონის წინაშე თავის მართლება დაიწყო. მაღაზიის გამყიდველები კი, ისევ ისე ხმის ამოუღებლად, გაოცებულები უყურებდნენ თავიაანთ კოლეგას და ზიზღნარევი თვალებით ასკილებივით აქნევდნენ თავებს.

იურისტმა რამდენიმე წამი თვალი თვალში გაუყარა სიავისგან მომლღვალ გამყიდველს. შემდეგ ფურცელი და კალამი ხელში აიღო, შეუმჩნევლად ჩანთაში ჩაიცურა და უთხრა-
---არ ხართ მართალი!

----– ქალები ასე არ იქცევიან!--ამ სიტყვების თქმა იყო, ზურგი შეაქცია ქალს და მაღაზიიდან გავიდა.

სულ რამდენიმე მეტრი არ ექნებოდა გავლილი იურისტს ქალბატონს, რომ გვერდით ბავშთა მაღაზიიდან თინია გამოვიდა თავისი თეკოთი.

გოგონას ხელში წითელი პაკეტი ეჭირა, ზედ ქართულად „ნაცარქექიას“ წარწერით და სიხარულისაგან სახე გადაბრწყინ--გადანათებული დედიკოს რაღაცაზე ეტიკტიკებოდა.

უზომოდ გაუხარდათ იურისტის დანახვა. თინიამ, ისევ დიდი მადლობა გადაუხადა ქალბატონს. შემდეგ კი, თავაზიანად დაემშვიდობნენ და დედაშვილმა თავისი გზა გააგრძელეს. მიდიოდა იურისტი ქალი და თვალს აყოლებდა სულ კუნტრუშ– კუნტრუშით მიმავალ თეკოსა და მის დედიკოს.გულიდან ლოცვის თვალი გააყოლათ დედაშვილს იქამდის, სადამდისაც მისი თვალსაწიერი მიჰყვა მათ გაუჩინარებამდე.

მიდიოდა ქალბატონი ხალხით სავსე ქუჩაში და თან თავისთვის ჩუმი ღიმილით ამბობდა --ეს პედაგოგი ქალი არ გამხადეს დღეს ადვოკატი?!

ღმერთო, მშვიდობაში მოახმარე ჩემი სიმართლით გატანილი შენაძენი იმ, ალალ დედაშვილსა!

---ღმერთო,მშვიდობაში და სიხარულში ყველაფერი იმ, პატარა ქართველ თეკოსა! პედაგოგმა ქალბატონმა ცოტა ხნით ფეხი შეანელა, წამით შეჩერდა და ლამაზი მოცისფრო–მომწვანო თვალების კმაყოფილება შორს, ძალიან შორს ზეცის სილურჯეს ცის რგვალისაკენ გაატანა!!!

ელგუჯა მგელაძე

უჩვეულო თევზაობა

მთელი ჩემი ბედნიერი ბავშვობა გურიაში, ჩოხატაურის რაიონის მშობლიურ სოფელ ზომლეთში გავატარე. ეს იყო ულამაზესი წლები, რაც წილად მხვდა ჩემი წინაპრებისგან.

როგორც შემდგომში მეუბნებოდნენ, ბავშვობაში, ეშმაკზე უფრო ეშმაკი ბავშვი ვყოფილვარ. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ შეფასებაში მათ მეც ვეთანხმებოდი. ბაბუაჩემი, უაღრესად განსწავლული პიროვნება, პედაგოგი, მსახიობი და რეჟისორი დიმიტრი (ტიტიკო) მგელაძე ამის გამო ღვთისპირიდან გადავარდნილსა და ველურსაც კი მეძახდა.

ზაფხულობით, როცა სასწავლო წელი მთავრდებოდა და არდადეგები იწყებოდა, დედაჩემს, ქსენია მგელაძე-ღლონტს მე და ჩემი ორი წლით უმცროსი ძმა, რაინდი მგელაძე, დედულეთში, მის მშობლიურ სოფელ ქვემო აკეთში ბიძაჩემთან, კოტე ღლონტთან და ბებიასთან, პელაკი ღლონტთან ჩავყავდით დასასვენებლად. ეს ძალიან გვიხაროდა, რადგან იმ ოჯახში ბიძაშვილები, ჩვენი ტოლი ავთო და ოთარი და ორი წლით უფროსი თამილა გველოდებოდნენ.

ჩვენი ჩასვლა სოფელში, იქაურებისათვის ნამდვილი ზეიმი იყო. ყველას ძალიან უხაროდა. ბიძაჩემის სახლის წინ არსებულ ფეხბურთის მოედანზე ყოველ საღამოს ფეხბურთს ვეთამაშებოდით იქაურ ბავშვებს: ღლონტებს, ჩხაიძეებს, გოგელიებს, მორჩილაძეებს და რა ვიცი კიდევ ვის არა. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ თითქმის ყოველთვის ჩვენ ვიმარჯვებდით.

მოედანზე, ორი სარი, ფეხბურთის კარის ძელის ფუნქციას ასრულებდა და სულ იყო კამათი და გნიასი იმის გასარკვევად, გაიარა თუ არა კარისკენ დარტყმულმა ბურთმა, მათ შორის... მოკლედ, შესანიშნავად ვერთობოდით და დღეებიც სწრაფად გადიოდა.

ერთ მშვენიერ საღამოს, ბიძაჩემმა, ვახშმობის შემდეგ ბავშვებს გამოგვიცხადა: აბა, მითხარით, ყველაზე სწრაფი ვინ არის თქვენს შორის და კარგი სირბილი ვის შეუძლიაო. ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ. შეკითხვის აზრს ვერ მივხვდით, მაგრამ მალე ყველაფერი გაირკვა...

კოტე ბიძია, იმჟამად სოფელ ქვემო აკეთის მეღორეობის ფერმის გამგე იყო. ფერმაში ორას სულზე მეტი ღორი ჰყავდა. მწყემსები ღორებს ყოველდღიურად მდინარე სუფსის მარჯვენა სანაპიროზე აბალახებდნენ, საღამოს ისევ უკან ფერმაში ერეკებოდნენ. როგორც ჩანს, ერთ-ერთი მწყემსი ავად გახდა და ბიძაჩემმა გადაწყვიტა, დროებით ჩვენ დავხმარებოდით მწყემსებს და დღის განმავლობაში, როცა ღორები კოლმეურნეობის სიმინდის ყანებისკენ გაიქცეოდნენ, უკან უნდა გამოგვერეკა.

ამ ამბით დიდად არ აღვფრთოვანდით, რადგან საღამოობით ფეხბურთს ვეღარ ვითამაშებდით, მაგრამ სხვა გზა არ იყო და დავეთანხმეთ ბიძაჩემის წინადადებას.

ერთხელაც, ჩვენს რეგიონში ძლიერი, ხანგრძლივი წვიმა მოვიდა, რამაც ბუნებრივია მდინარე სუფსის ადიდება და მისი კალაპოტიდან გადმოსვლა გამოიწვია. წყალმა დაფარა მდინარის კალაპოტის მიმდებარედ არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ის ორმოები, რომლებიც სხვადასხვა დროს ექსკავატორით ხრეშის ამოღების შედეგად დარჩა.

რამდენიმე დღეში წყალდიდობამ ჩაიარა და მდინარე სუფსა თავის ძველ კალაპოტს დაუბრუნდა, მაგრამ ორმოები, რომლებიც სოფელ ქვემო აკეთსა და სოფელ ნაგომარს შორის დამაკავშირებელ, ამჟამინდელ, ვარდენ ჩხაიძის სახელობის ხიდის მიმდებარედ იყო გაჩენილი, კვლავ წყლით იყო სავსე და ფაქტობრივად პატარ-პატარა, დაახლოებით ოციდან ას კვადრატულ მეტრამდე გუბეებს წარმოადგენდა.

ერთხელ, შუადღისას, ფერმის ღორების ჩრდილში შერეკვა გადავწყვიტეთ. ეს ჩრდილები თხმელის ხეების ძირში იყო. იქ მისაღწევად ზემოთხსენებულ გუბეებთან უნდა გაგვევლო. უცებ, ღორების ერთი ნაწილი, ერთ მოზრდილ გუბეში შევიდა, რითაც გუბის წყალი მთლიანად ატალახდა და შევამჩნიეთ, მასში მყოფი ღორები, წყლის ზედაპირზე რაღაცეებს დასდევდნენ. საერთოდ ღორები წყალში კარგად ცურავენ, რის გამოც აშკარად დავინახეთ, ერთ-ერთ, დაახლოებით მტკაველის სიდიდის თევზს, თითქმის წყლის ზედაპირზე ღორი ცურვით როგორ გამოეკიდა. ატალახებული წყლის გამო თევზები რა თქმა უნდა ვერაფერს ხედავდნენ და წყლის ზედაპირზე აშკარად ტოვებდნენ გადაადგილების კვალს. წყალში შესული ღორები დასდევდნენ გაჭირვებულ თევზებს, ხშირ შემთხვევაში იჭერდნენ და ჭამდნენ კიდეც.

ამის შემჩნევისთანავე, ღორები სასწრაფოდ ამოვრეკეთ ატალახებული გუბიდან და ახლა ღორების ნაცვლად ჩვენ დავუწყეთ დევნა თევზებს, რომლებიც ძალიან ადვილი დასაჭერი იყო, ვინაიდან ტალახიან წყალში ძლივსძლივობით იგნებდნენ გზას... მოკლედ, დაახლოებით ოც წუთში, ბავშვების მთელმა შემადგენლობამ, 36 ცალი თევზი დავიჭირეთ. მათგან, ყველაზე დიდი, დაახლოებით 30 სანტიმეტრიანი იქნებოდა.

შემდეგ სხვა გუბეებში სპეციალურად შევყარეთ ღორები, თუმცა იქ თევზები არ აღმოჩნდა.

საღამოს, ჩვენი ნადავლი ამაყად მივიტანეთ სახლში, რითაც ოჯახის წევრები ძალიან გავახარეთ.

სამაგალითო ადამიანი

უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნიდან სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლა ქართული მეცხვარეობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო და ღირსეულმა წარმომადგენელმა **გიორგი ალექსის ძე ბექაურმა.** იგი დაიბადა დუშეთის რაიონის სოფელ გუდამაყარში 1949 წლის 7 აპრილს. მშობლიური სოფლის რვაკლასიანი სკოლის დამთავრების შემდეგ იგი მამის კვალს გაჰყვა და ღირსეული მეცხვარეების ამქარს შეუერთდა. იმჟამად, კერძოდ კი – გასული საუკუნის 60-80-იან წლებში საქართველოს მთიანი რეგიონის კოლმეურნეობებს ათიათასობით სული ცხვარი ჰყავდათ და მათ მოვლა-პატრონობას, დღევანდელისგან განსხვავებით, უდიდესი ყურადღება ექცეოდა.



1981 წელს გიორგი ბექაურმა ოჯახი შექმნა სოფელ ჩოხის მკვიდრ მაყვალა ჩოხელთან ერთად მათ 5 შვილი შეეძინათ: ტყუპი ბიჭები და 3 გოგონა.

გიორგი ბექაურის ხელმძღვანელობით სოფელ გუდამაყრის ცხვრის ფარა ყოველწლიურად ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე იზამთრებდა, იქიდან კი გუდამაყრის მთების და სოფელ კარკუჩას გავლით ისევ გუდამაყრის ხეობაში ბრუნდებოდა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, როცა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში და საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად დაიძაბა, სხვა თანმდევ კანონდარღვევებთან ერთად, მასობრივად ხდებოდა მკვლელობები, ცხვრის ფარების და მწყემსების გატაცებები. სწორედ მაშინ იჩინა თავი გიორგი ბექაურის გამჭრიახობამ, საზრიანობამ და გამბედაობამ. მან პირადი კონტაქტებით საკუთარი ადამიანური თვისებების წყალობით, რომ იტყვიან, შეუძლებელი შეძლო და ჩრდილო ოსეთის სანომრე ნიშნებით მოძრავი,,კამაზის“ მარკის მისაბმელიანი ავტომობილებით საქართველოს ტერიტორიაზე ორ დღეში 2 ათას სულამდე ცხვრის უკლებლად და უვნებლად გადმოყვანა მოახერხა, რაც იმჟამად გმირობის ტოლფასი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მის გარდა ვერც ერთმა სხვა პიროვნებამ ასეთი რამ ვერ შეძლო და აქედან გამომდინარე ჩვენი ქვეყნის სხვა კოლმეურნეობების ცხვრის ფარები და ბევრი ღირსეული მეცხვარე იმ არეულობას შეეწირა.



გიორგი ბექაურს მეცხვარეობის ურთულეს საქმიანობაში აქტიურად ეხმარებოდნენ 1977 წლის 5 მარტს დაბადებული მისი ტუუპი ბიჭები – ალექსი და ტარიელ ბექაურები, მაგრამ 1995 წლის ავადმოსაგონარ სამ ივლისს, გუდამაყრის ხეობაში ცხვრის გადარეკვის დროს ჭექა-ქუხილის შედეგად წარმოქმნილმა უძლიერესმა ელექტრულმა ველმა, მოულოდნელად იმსხვერპლა ერთ-ერთი ტყუპისცალი – ტარიელ ბექაური, აგრეთვე 35 სული ცხვარი და ცხენები, ხოლო მეორე ტყუპისცალმა ალექსი ბექაურმა, რომელიც ელვის ძალამ საკმაოდ შორს გადაისროლა, ძლიერი დამწვრობა მიიღო. საბედნიეროდ ის გადარჩა და დღეს მამა-პაპის დაწყებულ საქმეს პირნათლად აგრძელებს.

წლების განმავლობაში ამ უაღრესად წესიერ და კეთილშობილ ოჯახთან განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ გიორგი ბექაურმა, ამ ოციოდე წლის წინ შემომთავაზა მომენათლა მისი ერთ-ერთი შვილიშვილი, რომელსაც ტრაგიკულად დაღუპული ვაჟიშვილის საპატივცემულოდ ტარიელი დაარქვეს. მე რა თქმა უნდა სიამოვნებით შევასრულე ეს მისია და დღეს უკვე სტუდენტი და დავაჟკაცებული **ტარიელ (ტატო) ბექაური** წარმატებით საქმიანობს ერთ-ერთ ტურისტულ კომპანიაში.

მამა-შვილი – გიორგი და ტარიელ ბექაურები მშობლიურ გუდამაყარში არიან დაკრძალულნი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები.

პატიკო

უახლოესი მეგობრების რეკომენდაციით, ჩემი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ მცხოვრები მე-10 კლასელი ყმაწვილი სამსახურში მივიღე. მას სახელად პაატა ერქვა, მაგრამ მოფერებით ყველა პატიკოს ეძახდა.

პატიკო ძირითადად შაბათ-კვირას და გაკვეთილების შემდეგ დღის მეორე ნახევარში გვეხმარებოდა. იგი, თითქმის ყველანაირ სამუშაოს ასრულებდა, თანაც, უაღრესად კეთილ-სინდისიერად, დინჯად, აუჩქარებლად და თქვენ წარმოიდგინეთ, საკმაოდ ხარისხიანადაც.

თავდაპირველად იგი, თემქის დასახლებაში არსებულ სამშენებლო ობიექტზე, ჩვენივე ორგანიზაციის ადმინისტრაციულ ეზოში მივამაგრე სამუშაოთა მწარმოებელს. თანაც გავაფრ-თხილე, რომ მისთვის ყველანაირად შეეწყო ხელი და პატიკოს თავისთვის მისაღები გრაფიკით ემუშავა, სწავლაში ხელი რომ არ შეშლოდა.

სულ მალე პატიკო ბევრ საამშენებლო სახეობაში დაოსტატდა. განსაკუთრებით ბრტყელი გადახურვების შეკეთებაში. რამდენიმე თვის შემდეგ კი იგი უკვე სამშენებლო ბრიგადის სრულუფ-ლებიანი წევრი გახდა.

თავისი პირადული, ადამიანური თვისებებიდან გამომდინარე, მან ძალიან მალე თავი ყველას შეაყვარა. იყო დაუზარელი და თავაზიანი. იმ დროს მისი ტოლი ბიჭები საცხოვრებელ უბანში, ძირითადად კორპუსის წინ ე.წ.,,ბირჟას ამაგრებდნენ“, ან სკოლის ეზოში ბურთს დას-დევდნენ.

გადიოდა დრო. პაატამ თავისი ერთგული კეთილსინდისიერი, მუყაითი შრომით მთელ კოლექტივში გაითქვა სახელი. ბუნებრივია ჩემი ორგანიზაციის სამუშაოთა მწარმოებლების მხრიდან მასზე დიდი მოთხოვნაც გაჩნდა. ყველას სურდა იგი თავის ბრიგადაში ეხილა, თუმცა მე ყოველთვის ვცდილობდი სამსახურიდან მაინცადამაინც შორს არ გამეშვა და ძირითადად ჩემი თვალთახედვის არეში მყოლოდა.

პატიკოს მამა – გოდერძი ტაბატაძე გარდაცვლილი ჰყავდა. სხვათა შორის, ის ძირითადად კერძო სამშენებლო სამუშაოებს ასრულებდა და საკმაოდ კარგადაც. მუხიანის დასახლებაში ღია კონსოლურ აივნებს აფართოებდა და შეკვეთებიც თავზე საყრელად ჰქონდა.

პაატა (პატიკო) ტაბატაძე

პატიკო მეუღლესთან და შვილებთან

პატიკოს დედა – ქალბატონი სვეტა, უაღრესად კეთილშობილი ქალი იყო. თავის კორპუსში ყოველთვის იგი უძღვებოდა მეზობლების ისეთ საერთო საქმეებს, როგორიც იყო ჭირის თუ ლხინის ღონისძიებების წარმართვა, მათი ორგანიზება, ბაზარში საყიდლების სახეობების და რაოდენობის განსაზღვრა და ბოლოს თავად კერძების მომზადებაც.

მე ბევრჯერ დავსწრებივარ მის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს და ყოველთვის აღფრთოვანებული ვრჩებოდი მისი დაგეგმვით და შესრულებით. ქალბატონ სვეტას თავისივე სადარბაზოში ჰყავდა მის მიერვე გამოზრდილი რამდენიმე ქალბატონი და მათი დახმარებით აგვარებდა ანალოგიურ საქმეებს. სამწუხაროდ ქალბატონი სვეტაც ადრეულ ასაკში გარდაიცვალა.

დრო შეუმჩნევლად გადიოდა, პატიკომ საშუალო სკოლა წარმატებით დაამთავრა. სკოლის გამოსაშვებ ბანკეტზე იგი საკუთარი შრომით შეძენილი ტანსაცმლით და ფეხსაცმლით მივიდა, მისი ჩაცმულობით აშკარად გამოირჩეოდა თანაკლასელებში. ამით რა თქმა უნდა თვითონაც და დედამისიც ამაყობდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, მან დიზაინერის პროფესია შეისწავლა, ისე რომ ჩვენს ორგანიზაციასთან კავშირი არ გაუწყვეტია. პირიქით, სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების წარმართვაში კვლავ დიდი წვლილი შეჰქონდა.

იმ დროისთვის, საქართველოში პოლიტიკურად ძალიან არეული სიტუაცია იყო, ხშირად ხდებოდა ქუჩაში ძალადობები, ბინების გაქურდვები, ძარცვა და სხვადასხვა კანონდარღვევები.

მე მთელი ზაფხულის განმავლობაში ოჯახით აგარაკზე მივდიოდი და ფაქტობრივად, თითქმის მთელ ზაფხულს იქ ვატარებდი, თუმცა ყოველთვის შიშის გრძნობა მქონდა, რომ ღამით ჩემი საცხოვრებელი ბინა არ გაეტეხათ. მართალია, საცხოვრებელ ბინაზე ლითონის ორი კარი მეყენა, მაგრამ ეს არ იძლეოდა უსაფრთხოების გარანტიას.

ერთ დღეს პატიკომ შემომთავაზა, რომ, როცა სახლში არ იქნები, ღამღამობით მე დავრჩები თქვენს ბინაში და შიშის პრობლემაც მოხსნილი გექნებაო. რა თქმა უნდა სიამოვნებით დავთანხმდი მის წინადადებას და რამდენიმე წელი ზაფხულობით, ღამღამობით სწორედ იგი რჩებოდა ჩემს ბინაში და ამ მხრივ საფიქრალ-სადარდებელიც აღარ მქონდა.

ერთხელაც, ჩემს შვილს ალეკო მგელაძეს, მის განუყრელ მეგობართან, დიტო ბიწაძესთან ერთად გადაუწყვეტია, სახლში ავიდეთ და შევამოწმოთ პატიკო რას შვება, როგორ დარაჯობს ბინასო. მართლაც ორივე ასულა. სადარბაზო შესასვლელში, ბინის გარეთა კარების

სათვალთვალო ადგილისთვის, ე.წ.,,გლაზოკისთვის“ ხელი მიუფარებიათ და გაბმული ზარი მიუციათ. პატიკოს გაუხედავს, მაგრამ რომ ვერაფერი დაუნახავს მიმხვდარა, რომ მასზე ვიღაცას ხელი ჰქონდა მიფარებული. საკმაოდ მშვიდად მიუმართავს კარებს მიღმა მდგომებისთვის:,,მე ახლა ფეხბურთს ვუყურებ ტელევიზორში, მეტი აღარ შემაწუხოთ, ზარი რამდენჯერაც გინდა დარეკეთ, მეტს აღარ გამოგხედავთო“. მერე მართლა წასულა და ფეხბურთის ყურება გაუგრძელებია. ალეკოს და დიტოს ყვირილი დაუწყიათ:,,ჩვენ ვართ პატიკო, ცოტახნით გამოგვხედე, დაგველაპარაკე და მალევე წავალთო. თუმცა პატიკოს აღარ გაუხედავს. ალეკოს კვლავ დაუწყია ძახილი:,,პატიკო გაგვიღე კარები რაღაცას დაგელ;აპარაკებიო. მაგრამ გაგიგონიათ? პატიკოს იქედან დაუძახია:,,ხომ ორნი ხართ და ერთმანეთს დაელაპარაკეთო“. ასე რომ, პატიკოს ალეკო საკუთარ სახლში არ შეუშვია...



ანი, ხატია და ქრისტი ტაბატაძეები

პატიკო ქალიშვილებთან ერთად

ამასობაში პატიკოს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის დროც მოუვიდა.

იმჟამად, დაცვის პოლიციაში სამსახური, წვევანდელებს სამხედრო სამსახურში ეთვლებოდათ. ამიტომ, მან გადაწყვიტა, რომ საქართველოს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში გაეგრძელებინა მუშაობა.

იგი, თავისი ახლობლის რჩევით ამავე სამსახურის ადმინისტრაციულ შენობაში გაამწესეს. თავდაპირველად, ადმინისტრაციული შენობის ეზოს შესასვლელ შლაგბაუმთან პატრულირებდა. სამუშაოც არ იყო მაინდამაინც რთული, მას ევალებოდა შლაგბაუმთან მისული უცხო ავტომობილები არ შეეშვა ტერიტორიაზე, ხოლო სპეციალური დანიშნულების ავტომობილებისთვის და იქ მომუშავე თანამშრომლების კერძო ავტომობილებისთვის, რომელთა ჩამონათვალის ერთი

ეგზემპლარი კედელზე ჰქონდათ გაკრული შლაგბაუმი გაეღო. ამ მოვალეობას ყოველთვის პირნათლად ასრულებდა, მაგრამ ცუდი ის იყო, რომ ქარში, წვიმასა და თოვლში სამორიგეო ჯიხურიდან ხშირად უწევდა გარეთ გამოსვლა.

ერთხელ ასეთი რამ მოხდა, საქართველოს დაცვის პოლიციის უფროსს, პირად საკუთრებაში ახალი ავტომანქანა შეუძენია და სწორედ ამ ავტომანქანით, თავისივე დაქვემდებარებული ორგანიზაციის შლაგბაუმს მიადგა, თანაც საკმაოდ მედიდურად, ხელით ანიშნა პატიკოს შლაგბაუმი ასწიეო. პატიკო ამ პიროვნებას პირადად არ იცნობდა, ხოლო მისი ავტომანქანის ნომერი ჩამონათვალში არ ეწერა. ამიტომ, პატიკომ ეჭვით შეხედა ახალთახალ ავტომანქანას და მის პატრონს. შემდეგ ზრდილობიანად ბოდიში მოუხადა, სასწრაფოდ საყარაულო ჯიხურში შევიდა და იქიდან იმ ავტომანქანების საკმაოდ მოზრდილი სია გამოიტანა, რომლებიც ტერიტორიაზე უნდა შეეშვა. ეს სია საჭესთან მჯდომი პიროვნების ხელმოწერილი იყო. ვინაიდან, სიაში ახალი მანქანის ნომერი არ იყო მითითებული პატიკომ ამავე ორგანიზაციის ხელმძღვანელი ტერიტორიაზე არ შეუშვა. დაცვის პოლიციის უფროსი რა თქმა უნდა გაბრაზდა, შემდეგ გაეღიმა, მობილური ტელეფონით ვიღაცას დაელაპარაკა და ისევ ღიმილიანი სახით მიაჩერდა პატიკოს, რომელმაც კვლავ გაუმეორა, რომ მას ტერიტორიაზე არ შეუშვებდა. ამასობაში პატიკომ თვალი მოჰკრა ამ სამსახურის უფროსის მოადგილეს, რომელიც ჩქარი ნაბიჯით, თითქმის სირბილით მისკენ გამორბოდა. პატიკო მას კარგად იცნობდა და ჰკითხა: ასე საით მიიჩქარითო. ახლადმოსულმა ხელები გაშალა და ყვირილით მიმართა პატიკოს: რას შვრები კაცო? ამხელა ორგანიზაციის უფროსს საკუთარი ავტომანქანით როგორ არ უშვებ საკუთარ ტერიტორიაზეო. პატიკო რა თქმა უნდა შეცბა და აღარ იცოდა რა გაეკეთებინა. უფროსის მოადგილემ საკუთარი ხელით ასწია ჩამკეტი შლაგბაუმი, თავის უფროსს ახალი ავტომანქანა მიულოცა და ეზოში შემოუძღვა. უფროსმა ხმამაღლა, საკმაოდ მკაცრად უთხრა თავის მოადგილეს და პატიკოზე ანიშნა – ეს კაცი ხვალიდანვე აქ აღარ დავინახოო.

,,ზოგი ჭირი მარგებელიაო", ეს აფორიზმი პატიკოზეა ზედგამოჭრილი. იმ დღიდან პატიკო ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულის შესასვლელში გადაიყვანეს, სადაც სპეციალურ მაგიდასთან უნდა მჯდარიყო და იქ სხვადასხვა საკითხზე მისულ უცხო მოქალაქეებს დალაპარაკებოდა. ამასთანავე, თანამშრომლებისთვის ჟურნალ-გაზეთები დაერიგებინა, ამ ადგილზე კი ყოველთვის საკმაოდ თბილოდა და რომ იტყვიან, ძველ ადგილზე გამწესებულს, ეს ადგილი ასი თავით ჯობდა.

გავიდა ხანი. პატიკომ მუხიანის დასახლებაში არსებული, დედის დანატოვარი ბინა, რომელიც მის უფროს ძმასთან ერთად საზიარო იყო, მთლიანად გამოისყიდა. შემდეგ ქარელის რაიონის სოფელ მოხისში მცხოვრებ მარი ხუციშვილთან ოჯახი შექმნა და სამი ერთმანეთზე მშვენიერი გოგონა ანი, ხატია და ქრისტი შეეძინა, რომელთანაც ერთად ბედნიერად აგრძელებს ცხოვრებას.

რაც შეეხება მის შრომით საქმიანობას, იგი ჩვენგან ქალაქის ერთ-ერთ დიდ სამშენებლო კომპანიაში გადავიდა სამუშაოდ და სწორედ იქ, როგორც ერთ-ერთი განხრის ხელმძღვანელი, ამჟამადაც აგრძელებს საქმიანობას.

ირმა კეკელიძე

დოკუმენტური პროზა

ქრისტეშობიდან ქრისტეშობამდე

ვუძღვნი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ხსოვნას.

1993 წლის 7 იანვარს, გროზნოში ყოფნისას, ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა, ზვიადმა მისი ერთ-ერთი საუკეთესო წიგნი „ვეფხისტყაოსნის სახის მეტყველება“ მაჩუქა, რა თქმა უნდა, მისივე წარწერით... როდესაც წიგნი ჩემს ხელში აღმოჩნდა, საოცრად ამაყი და ბედნიერი ვიყავი... როცა ამ წიგნს დავხედავ, დღესაც იგივე გრძნობა მეუფლება...

მთელმა დღემ დაძაბულ ყოფაში ჩაიარა. სამსახურიდან სახლში მისვლა უნდა მომესწრო, შემდეგ ისე უნდა მოვმზადებულიყავი, რომ არავის არაფერი შეემჩნია, განსაკუთრებით დედას. რას ვაპირებდი, რისთვის ვემზადებოდი და სად მივდიოდი, ვერავინ უნდა მიმხვდარიყო. დაფეთებული და დაძაბული გარეგნულად არაფერს ვიმჩნევდი. ყავისფერ ჩანთაში ძველი გაზეთი და რამდენიმე თაბახის ფურცელი, რომელიც საიდუმლოდ მქონდა შენახული, ჩუმად მოვათავსე. ფეხაკრეფით დავდიოდი ოთახიდან ოთახში და ვცდილობდი, რაღაცნაირად შემენიღბა ჩემი განზრახვა... დედა დავარწმუნე, რომ ორი დღე დეიდასთან უნდა დავრჩენილიყავი, ბევრი საწერ-სამუშაოს გამო, სიმყუდროვე მჭირდებოდა.

საღამოს ათის ნახევარზე, ჩანთით ხელში, თბილისის რკინიგზის სადგურის ბაქანზე ვიდექი. დაძაბულობა უფრო მომემატა. ბაქანზე წინ და უკან გავდი-გამოვდიოდი. ნინო არ ჩანდა, დავიძაბე. „ნეტავ ხომ მშვიდობაა, რომ არ მოვიდეს, რა უნდა ვქნა?“ ამ ფიქრში ვიყავი, რომ შორიდან ლამაზ, ყავისფერ ქურთუკში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალბატონის სილუეტი გამოჩნდა. დაჟინებით მივაჩერდი, „ნეტავ ნინო იყოს“ – გავიფიქრე. მომიახლოვდა და შვებით ამოვისუნთქე, ნინო იყო.

– დიდი ხნის მოსული ხარ? – შემეკითხა ნინო.

– არა, მაგრამ შემეშინდა, ვიფიქრე, რამე ხიფათი ხომ არ გამოგვიხტა-მეთქი, – მივუგე მე.

– არა, ნუ გეშინია, – მიპასუხა ნინომ.

ამასობაში ბაქანზე თბილისიდან ბაქოს მიმართულებით მიმავალი მატარებელი ჩამოდგა.

– ჯერ ნუ ავალთ, ნოდარ სივსივაძე უნდა მოვიდეს, ზვიადის ახალგაზრდობის მეგობარი, რაღაც უნდა გაგვატანოს პრეზიდენტთან, – მითხრა ნინომ.

უხმოდ დავეთანხმე, „რადგან ნინო ასე თვლის საჭიროდ, ალბათ იცის, რასაც აკეთებს“, – გავიფიქრე მე. მთავარი იყო, რომ ნინო გამოჩნდა და ვიცოდი, რომ ნამდვილად მივდიოდით.

რამოდენიმე წუთში ბაქანზე გამხდარი, ტანმორჩილი, თმაჭაღარა, სანდომიანი სახის მამაკაცი გამოჩნდა.

– მოვიდა, – თქვა ნინომ და ხელით ანიშნა მამაკაცს, რომ ჩვენამდე მოსულიყო.

მამაკაცი მოგვიახლოვდა, ხმადაბლა მოგვესალმა და ირგვლივ მიმოიხედა, შემდეგ ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და ნინოს მიაწოდა.

– ეს წერილი მინდა გადასცეთ ზვიადს. წერილთან ერთად კონვერტში ცოტა დანაზოგი თანხაც დევს, მას უფრო სჭირდება, მე აქ როგორმე მოვახერხებ თავის გატანას... წერილში მივანიშნებ სამი ადამიანის საქციელზე, რომელიც წაღმა გასაკეთებელს, უკუღმა აკეთებენ. იცოდეს მაინც, ფრთხილად იყოს, იცის მან, რომ მე ტყუილად არაფერს ვიტყვი...

ნოდარმა მშვიდობიანი მგზავრობა გვისურვა და იქაურობა სწრაფად დატოვა...

.....

ზამთარი მიყვარს, ზღვაზეც მიყვარს ზამთარი. ჩემს გუდაუთში, გაგრაში, ბიჭვინთაში როცა ვიყავი, ზამთარი არ მაშინებდა. საოცრად მიყვარდა, სანაპიროს ჩაფიქრებული, ფეხით რომ მივუყვებოდი. ხშირად სიცივით ვცახცახებდი, მაგრამ ამავე დროს სიცივე მაფხიზლებდა... მართალია, ზღვის ნაპირზე არ ვსეირნობ, მატარებელში, საერთაშორისო ვაგონში, ორადგილიან ცივ კუპეში ვზივარ, მაგრამ მაინც მიყვარს ზამთარი. ცივი ჰაერი გონებას აჯანსაღებს, გაფხიზლებს, გაფრთხილებს – ზამთარი ამიტომ მიყვარს.

მიქრის მატარებელი, მიქრის ჩვენი ვაგონი ჩვენს კუპესთან და ჩვენთან ერთად. მეზობელი კუპიდან მამაკაცების ხმა ისმის. ხმამაღლა ქართულად ლაპარაკობენ. ჩვენ ვჩურჩულებთ, ჩუმად ვსაუბრობთ. ცოტა ხნის შემდეგ მამაკაცების საუბარი შეწყდა, აღარაფერი აღარ გვესმის.

– არ მეძინება, – მითხრა ნინომ.

– არც მე, – ვუპასუხე ფიქრში წასულმა.

– გინდა ლექსები წაგიკითხო? – მეკითხება ნინო და გაღიმებული ჩემს პასუხს ელოდება.

– დაიწყე, – მოკლედ მივუგე მე.

– რა დავიწყო? – ჩამეკითხა ნინო.

– რაც შენ გინდა ის დაიწყე, – ვპასუხობ მოკლედ.

– არა, შენ მითხარი, რა გესიამოვნება, – არ მეშვება ნინო.

– კარგი, მაშინ შენი მოგვარის ლექსები დაიწყე, – მოკლედ ვუპასუხე მე.

– გიყვარს ნიშნიანიძე? – გაღიმებული მეკითხება ნინო.

– ძალიან! დაიწყე, თუ იწყებ, – ვპასუხობ მე და თვალებით გვერდით კუპისკენ ვანიშნებ...

ნინო უსიტყვოდ მიმიხვდა, რაც მივანიშნე, ზურგით კედელს მიეყრდნო, მზერა კარისკენ გადაიტანა და დაიწყო:

„მცხეთის ქალაქს მირონი დუღს, მზის და ვაზის მირონი,

ბებერ ქვებში ღაღადებენ საქმენი საგმირონი.

იღაღადეთ, ფუძის ქვანო, ქვანო საგუმბათონო,

მცხეთას ხომ არ მობრძანდებით, კონსტანტინე ბატონო!..“

კითხულობდა ნინო შოთა ნიშნიანიძის ლექსებს. ერთს ამთავრებდა და მეორეს იწყებდა. ბოლოს, როცა დაიღალა, შემეკითხა:

– ცოტათი მაინც გასიამოვნე?

– ცოტათი არა, ძალიან ვისიამოვნე, ვერ წარმოვიდგენდი, თუ მთელი მისი შემოქმედება ზეპირად იცოდი.

– რამე შენც წამიკითხე, – მთხოვა ნინომ.

– არა, რას ამბობ, შენს შემდეგ მე როგორ გავბედავ რამის წაკითხვას, – ვუპასუხე მე.

– თუნდაც ერთი სტროფი, ძალიან გთხოვ, – ჩამაცივდა ნინო.

– კარგი, ერთ სტროფს როგორმე მოვახერხებ, – ვუპასუხე მე და დავიწყე:

– „მოხდების ხოლმე არწივი დაჭრილი დაბლა დავარდეს, მაგრამ ქათამი ზეცაში ვერასდროს გაინავარდებს...“

– ვაჟა, ჩემი საყვარელი ვაჟა-ფშაველა, – ჩაილაპარაკა ნინომ და თვალები დახუჭა...

……

დილით, როდესაც მატარებელი ბაქოს სადგურში ბაქანზე ჩამოდგა, ჩვენ ჰოლში გამოვედით და ჩასასვლელად ვემზადებოდით. გვერდით კუპიდან გამოსულმა ორმა მამაკაცმა საგანგებოდ შემოგვხედა. ერთ-ერთმა მათგანმა, წითურთმიანმა, თავზე შავი ფერის კეპიანი ქუდი დაიხურა, ცინიკური ღიმილით შემოგვხედა და გვითხრა:

– მთელი ღამე არ გვეძინა, ან რა დაგვაძინებდა, ისეთი პოეზიის ღამე მოგვიწყეთ, ისეთი შემართებით, არტისტულად კითხულობდით ლექსებს, რომ ცოტა არ იყოს, გაოგნებული დავრჩით.

გოგოებმა ერთმანეთს გადავხედეთ. უცნობისთვის პასუხი არ გაგვიცია. სწრაფად ჩავედით მატარებლიდან. სადგურთან ახლოს მდებარე ავტობუსის გაჩერებასთან თითქმის სირბილით მივედით. აქეთ-იქით შეშინებული ვიცქირებოდით. გაჩერებაზე ჩამომდგარ პირველსავე ავტობუსში ავედით. არც ვიცოდით, სად მივდიოდით, რისთვის მივდიოდით, მთავარი იყო იმ წუთებში იქაურობას რაც შეიძლება სწრაფად გავცლოდით…

……

შუადღემ მოატანა, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი იყო, კასპიის ზღვის სანაპირო მზის სხივების ნაკლებობას არ უჩიოდა. სანაპიროსთან ახლოს მდებარე კაფეში ლამაზ მრგვალ მაგიდასთან ვისხედით და ერთმანეთს დამშვიდებული სახით შევცქეროდით. ფანჯრები ღია იყო და ციოდა, მაგრამ ჩვენ ცხელ ჩაის მივირთმევდით და ამით მეტ-ნაკლებად ვთბებოდით…

დაღამებამდე სანაპიროზე ფეხით გავისეირნეთ და დაქანცულები გრძელ სკამზე ჩამოვსხედით. იქვე ახლოს ჩვენს ფეხებთან ბეღურა დაფრინდა, დიდხანს იჯდა უძრავად. მზერა ბეღურასკენ გადავიტანე, ვუყურებდი და ვფიქრობდი: „ყველა ჩიტს ვერ მოკლავს ზამთარი“. მაინტერესებდა, როდემდე იჯდებოდა. ისიც ჯიუტად და უშიშრად იჯდა მანამ, სანამ სხვა ბეღურები არ შემოუერთდნენ. ჩვენდაუნებურად ბეღურების რკალში აღმოვჩნდით.

– შემცივდა, – ჩუმად წარმოთქვა ნინომ.

– მეც, – ჩუმად ვუპასუხე.

– მე მგონი, დროა სადგურზე წავიდეთ და ბილეთები ავიღოთ.

– მართალი ხარ, გარშემოც ისეთი არავინ ჩანს, რომ გვითვალთვალებდეს, – ვუპასუხე და კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი იქაურობას. სწრაფად წამოვდექით. ჩვენს წამოდგომას ბეღურების აფრენაც და ცაში ერთ გუნდად განავარდებაც მოჰყვა…

……

ბაქოდან გროზნოს მიმართულებით ბილეთები ვერ ვიშოვეთ. სასოწარკვეთილები აქეთ-იქით ვაწყდებოდით. ბოლოს ვიღაცამ გვირჩია, „გამცილებელს სთხოვეთ და იქნებ უბილეთოდაც მოახერხოთ მატარებელში ასვლაო…“ ყველა ვაგონს ჩამოვურბინეთ. მხოლოდ ერთი გამცილებელი დაგვთანხმდა იმ პირობით, რომ მატარებლის ჰოლში, ფეხზე დგომით ვიმგზავრებდით. დაფიქრების დრო აღარ გვქონდა, სწრაფად ავედით და შევცვივდით ბაქოდან გროზნოსკენ მიმავალი მატარებლის გასასვლელში. ძველი ვაგონი იყო, ცივი ჰაერი ხან საიდან და ხან საიდან გვეხეთქებოდა. ვაგონის გასასვლელში ჩამოსაწევი, მრგვალი, პატარა დასაჯდომი შევნიშნეთ. გახარებულები იქითკენ გავემართეთ. კედლიდან გადმოვწიე მრგვალი ფორმის, ვითომ სკამის მაგვარი რამ და გათოშილი ჩამოვჯექი. ნინო თავზე დამადგა და მეუბნება:

– კარგია, ფეხებს მაინც დავასვენებთ.

ცოტა ხანში ნინოს დავუთმე „სავარძელი“ და ასე შემდეგ მორიგეობით ვენაცვლებოდით ერთმანეთს. დაახლოებით ორი საათი ვიწვალეთ ასე. ბოლოს ნინომ ვაგონში კუპიდან გამოსულ გამცილებელს შეეხვეწა: „ფულს დაგიმატებთ და იქნებ სადმე კუპეში ჩამოსაჯდომი ადგილი

მოგვიხერხოო...“ გამცილებელმა ფული გამოგვართვა და თავისი პატარა ორადგილიანი კუპე დაგვითმო.

– რა ბედნიერები ვართ, გადავრჩით. იმედია, დილით გროზნოში ცოცხლები ჩავაღწევთ, – წარმოთქვა ნინომ და გაღიმებული, კმაყოფილი სახით შემომხედა.

– მართალი ხარ, გადავრჩით, – კმაყოფილმა ვუპასუხე მე.

– ასეთი ჭიდილი და გაუთავებელი დაბრკოლებები, ფათერაკიანი გზები, ეს რა დღეში ჩავვარდით, – მეუბნება ნინო.

მატარებელი ნელი სვლით მიიწევს იჩქერიისკენ. რკინის უსულო ბორბლები ნელა მიგორავდნენ. ირგვლივ დუმილი იყო. მხოლოდ უსულო და ცივი ბორბლების რახარუხი ისმოდა.

– კარგია, რომ ამჯერად მარტო წამოვედით და ვაჟა არ გამოგვყვა, – მითხრა ნინომ.

– ჰო, ხომ იცი, როგორი ემოციურია, ნამდვილი ხევსურია, თუ გაიგო, რომ წამოსულები ვართ, ძალიან გაბრაზდება, – ვუპასუხე მე.

– გაბრაზდება და გაბრაზდეს, ამ ეტაპზე მხოლოდ ჩვენ უნდა წამოვსულიყავით, – მიპასუხა ნინომ.

მართალი ხარ, მაგრამ ძალიან განიცდის პრეზიდენტის გარეშე ყოფნას, მიჩვეულია მის სამსახურს, არც გაემტყუნება, მისი დაცვა იყო, მუდამ გვერდით ედგა, – ვაგრძელებ მე.

– კი, მესმის. ამას წინათ ჩვენთან ერთად არ წამოვიდა?! როცა აუცილებელი იქნება, ვეტყვით და წამოვიდეს... ძალიან ახალგაზრდაა, მისი ასაკისთვის შეუფერებელი თავგანწირვით გამოირჩევა. ამას წინათ, ჩემთან მოვიდა სამსახურში, შემართებით, ყელმოღერებით და იცი, რა მითხრა? – მეუბნება ნინო.

– რა, რა გითხრა? – ინტერესით ჩავეკითხე მე.

– სანამ ვინმე ჩემს პრეზიდენტს რამეს დაუშავებს, ჩემს გვამზე, ვაჟა ჭინჭარაულის გვამზე მოუწევს გადავლაო!.. ხედავ რამხელა გული აქვს?! – სიცილით მითხრა ნინომ.

– რას ამბობ, – თავი ვერ შევიკავე და მეც სიცილი ამივარდა, – ისე იცოდე, რომ რასაც ამბობს, გულით ამბობს, – ისევ სიცილით ვაგრძელებ მე...

– მთავარია, არ გაიგოს, რომ გამოვეპარეთ და აღარაფერს აღარ დავეძებ, – აგრძელებს ნინო.

– ახლა მაგაზე ფიქრის დრო არ არის, მთავარია, მშვიდობით ჩავიდეთ და ჩვენი მისია შევასრულოთ, – ვპასუხობ მე.

– წამოსვლის წინ, დილით, ჩიტაძეზე რომ წმინდა ნინოს ტაძარია, იქ ვიყავი და უფალს შეევედრე, რომ მშვიდობიანი გზა მოგვცეს, – მითხრა ნინომ და მატარებლის ფანჯარაში გაიხედა.

– კარგია, მეც ვიყავი სიონში და შეევედრე ღვთისმშობელს, რომ დაგვიფაროს ყოველგვარი განსაცდელისგან... რა დამთხვევაა, ახლა დავფიქრდი, დღეს რა დღეა? – ვეკითხები ნინოს.

– დღეს 6 იანვარია, ნახევარ საათში შობა შემოდის, – მპასუხობს ნინო.

– ზუსტად ერთი წელი გავიდა, – ვამბობ მე.

– რა ერთი წელი? – მეკითხება ნინო.

– რა ერთი წელი და ერთი წელი გავიდა, რაც პრეზიდენტმა ქვეყანა დატოვა, რაც ზვიადი დევნილობაშია, შარშან 6 იანვარს არ მოხდა ეს? – ვეკითხები მე.

– კი, 6 იანვარი იყო, ამას რა დამავიწყებს?! – მპასუხობს ნინო და ისევ ფანჯარაში იხედება.

– გამოდის, რომ შობა დღეს, პრეზიდენტთან, ჩრდილოეთ კავკასიაში, იჩქერიაში ვიქნებით! – ფეხზე წამოდგომით, ხმამაღლა, მხატვრულად წარმოვთქვი.

– გარეთ გაიხედე, როგორ თოვს, ირგვლივ ყველაფერი გადათეთრებულია... რა სილამაზეა, ღამეც კი გაანათა, ისეთი თვალისმომჭრელი, თეთრი თოვლია, – აღტაცებული ლაპარაკობდა ნინო.

საათს დავხედე. ფანჯარაში გავიხედე, ფეხზე წამოვდექი და პირჯვარი გადავიწერე. ნინომ ამომხედა, მიხვდა, რატომაც მოვიქეცი ასე და ხმადაბლა წარმოთქვა:

– ჩვენს სამშობლოში უკვე ქრისტეშობის დღე დადგა!

შემდეგ რაღაცის ძებნა დაიწყო. ცნობისმოყვარეობით ვუყურებდი, მაინტერესებდა, რას ეძებდა. ბოლოს ჩანთიდან პატარა, ლურჯი ფერის ლამაზი სასანთლე და ქარვისფერი პატარა, ცვილის სანთელი ამოიღო. სასანთლე მაგიდაზე საგანგებოდ მოათავსა, ზედ სანთელი დაამაგრა და აანთო კიდეც. შემდეგ ჩემსავით ფეხზე წამოდგა და პირჯვარი გადაიწერა... კარგა ხანს გარინდებულები ვიყავით. შემდეგ ისევ ჩამოვჯექით და ჩვენს პატარა კუპეში ანთებულ სანთელს იმედის თვალით შევცქეროდით...

ჩრდილოეთ კავკასიაში უხვად თოვდა, ვიყურებოდი ფანჯარაში და ჩემდაუნებურად გამახსენდა ზვიადის ლექსი, რომლის კითხვაც ხმამაღლა წამოვიწყე:

„ალბათ, თვითონ ღმერთი ირჩევს –

უცნაური რამეა,

ქრისტეშობა თითქმის მუდამ საოცარი

ღამეა,

დეკემბერი დააჭენებს ყინვით ნახატ ეტლებსა,

ამ ღამით ხომ წამებული ქრისტე იშვა ბეთლემსა...“

გაღიმებული და სევდანარევი მიყურებდა ნინო, მეც ვაგრძელებდი და ვაგრძელებდი კითხვას, ბოლო სტროფებამდე რომ მივედი, ჩვენდაუნებურად ორივე ფეხზე წამოვდექით და ერთად წარმოვთქვით:

„რწმენა ძნელად გადარჩება, ხატი – უფრო ადვილად,

ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად, ქრისტე აღსდგა ნამდვილად...“

დაღლილი ვიცქირებოდი მატარებლის სარკმელში და თვალებზე ძილი მეკიდებოდა... გამთენიისას, თვალი გავახილე თუ არა, სარკმლიდან თოვლის თვალისმომჭრელმა სითეთრემ შემომანათა, 1993 წლის ქრისტეშობის დილა, ჩვენთვის, ჩრდილოკავკასიაში, იჩქერიაში, გროზნოში თენდებოდა...

.....

გამთენიისას, ქურქებში გამოწყობილები, პატარა კუპეში გამომწყვდეულები, სულგანაბულები ველოდებოდით, მატარებელი გროზნოს სადგურში როდის შევიდოდა. უცებ ვიღაცამ კუპის კარები უხეშად გააღო და ხმამაღლა, რუსულად, მკაცრი ტონით იკითხა:

– ესენი არიან?

ჩვენ ერთმანეთს შეშფოთებულებმა შევხედეთ. დაფიქრებაც ვერ მოვასწარით, რომ სამხედრომ კარები, როგორც გააღო, ისევე დაკეტა. ნინო ადგილიდან წამოხტა, ტანზე შემოკრული დოკუმენტების დასტა მოიხსნა, ჩანთიდან კიდევ რაღაც შეკრული ფურცლები ამოიღო და კუპის სარკმელი ჩამოსწია...

– რას აკეთებ? – დაბნეულმა ვკითხე.

– გადავყაროთ, თუ გვიპოვეს, დავიღუპებით, – შეშფოთებული მპასუხობს ნინო.

– ვინ რა უნდა გვიპოვოს? – გაოცებული ვეკითხები მე.

– ვინ და ვერ ხედავ, სამხედროები არიან, – გაკვირვებულმა შემომხედა ნინომ.

ფეხზე წამოვდექი, ნინოს ხელი მოვკიდე და ძალით ჩამოვაჯინე. შემდეგ სარკმელი დავკეტე და მშვიდად ვუთხარი:

– შეინახე ეგ ყველაფერი, ტანზეც ნუღარ შემოიკრავ, ჩანთაში მოათავსე.

– რისი იმედი გაქვს? – დაბნეულმა შემომხედა ნინომ.

მე მას თვალი თვალში გავუყარე და მშვიდად შევეკითხე:

– რისი უნდა მეშინოდეს?

– რომ გვიპოვონ და ყველაფერი წაგვართვან, არ გეშინია? – აგრძელებს ნინო... ამასობაში მატარებელი გაჩერდა. ნინო გაოგნებული მიყურებს. მე ღიმილით ვუთხარი:

– არა, უკვე აღარ მეშინია, რადგან გროზნოში ვართ. თუ ვინმე დაგვაკავებს, ვეტყვით, რომ პრეზიდენტთან მივდივართ და მორჩა, აქ რისი უნდა მეშინოდეს?.. ნინომ თავზე ხელი შემოიდო, შემდეგ სახე გაუნათდა, მომეხვია და მაკოცა. დამშვიდებულმა ბედნიერი სახით მითხრა:

– შიშისაგან და დაღლილობისგან გონება დამებინდა, არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი.

ამასობაში გამცილებელმა კუპის კარები გამოაღო და რუსულად ხმამაღლა გვითხრა:

– გოგოებო, გროზნოში ვართ, დროზე დატოვეთ მატარებელი, სადაცაა დავიძრებით. ფართხა-ფურთხით გამოვედით კუპიდან, მატარებლიდან ჩამოვედით და ჩვენ უკვე გროზნოს ირგვლივ თოვლით გადათეთრებულ სადგურში, გაბრწყინებული, ბედნიერი სახეებით ვიდექით...

ტაქსით სასტუმრო „კავკასიაში“ მივედით, რომელიც სამშობლოდან დევნილობაში მყოფი ქართველების ნავსაყუდელს წარმოადგენდა. იქ აფარებდნენ თავს უზენაესი საბჭოს დეპუტატები, ეროვნული მთავრობის წევრები და მათი გულშემატკივრები...

ოჯახებით გადახვეწილ მთავრობის წევრებს ყველაფერი აინტერესებდათ, რა ხდებოდა, რითი არსებობდა და სუნთქავდა მათი სამშობლო. სამწუხაროდ, კარგს და საიმედოს ვერაფერს ვეუბნებოდით, მაგრამ ვაიმედებდით იმით, რომ პრეზიდენტის გარეშე დარჩენილ ჩვენს სამშობლოში ერის და ქვეყნის ერთგული ადამიანები თავგამოდებით ვიბრძოდით და ვიცავდით დევნაში მყოფი პრეზიდენტის და სრულიად ქართველი ერის ღირსებას...

პრეზიდენტის რეზიდენციისკენ მიმავალ, თოვლით გადათეთრებულ გზას ფეხით გავუყევით. მეგზურობას, როგორც ყოველთვის, ვიქტორ დომუხოვსკი და პეტრე გელბახიანი გვიწევდა. როგორც იქნა მივადექით წითელი აგურით ნაშენებ ორსართულიან ლამაზ ვილას, რომელსაც ქართველი და ჩეჩენი მებრძოლები ერთად იცავდნენ. დაცვას ვიქტორმა ხელით ანიშნა და გზა გაგვიხსნეს, შესასვლელში გაღიმებული სოსო თორია შემოგვეგება და მეორე სართულზე, პრეზიდენტის მისაღებისკენ წაგვიძღვა...

ვიჯექით უხმოდ სავარძელში და პრეზიდენტის შემოსვლას ველოდებოდით. პრეზიდენტი სულ რაღაც ხუთ წუთში შემოვიდა, მაგრამ ის ხუთი წუთიც საოცრად გაიწელა...

პრეზიდენტი იშვიათად იღიმებოდა. იმ დღეს კი გაღიმებული სახით შემოვიდა... ქრისტეშობა მივულოცეთ ერთმანეთს... ცოტა ხნის შემდეგ მე და ნინო ერთმანეთს არ ვაცლიდით, ვუყვებოდით ზვიადს, თუ რა, როგორ და რანაირად ხდებოდა მის სამშობლოში. ნინომ „დოკუმენტების“ დასტა გადასცა პრეზიდენტს. ზვიადმა ყველაფერს საგულდაგულოდ გადახედა. სახეზე კმაყოფილება დაეტყო.

– კარგია, კარგია, სწორედ ეს მაინტერესებდა, – წარმოსთქვა ზვიადმა და ნინოს მადლიერების ნიშნად მხარზე ხელი დაადო. როდესაც ჩემსკენ გამოიხედა, მორიდებით მივაწოდე ძველი, წლების წინანდელი გაზეთი „კომუნისტი“ და სულგანაბული მივაჩერდი პრეზიდენტს.

– მესამე გვერდზეა, ბატონო ზვიად, ის რაც ჩვენ გვინდა, – მივუგე მე.

ზვიადმა გაზეთი გადაშალა და გაფაციცებით დაიწყო კითხვა. შემდეგ გაოცებულმა შემომხედა და მკითხა:

– სად აღმოაჩინე ეს გაზეთი?

– საჯაროში, იქ ბევრი მომხრეები გვყავს და დამეხმარნენ, – მოკლედ მივუგე მე.

– ეს ნაძირალა, დღეს წამყვანი ძალოვანია, არადა ყაჩაღობისთვის, მკვლელობისთვის, ძარცვისთვის ნასამართლევი ყოფილა, – წარმოსთქვა პრეზიდენტმა.

– დღევანდელი მედია კი, როგორც პოლიტპატიმარს და დისიდენტობისთვის ნაჯდომს, ისე წარმოგვიდგენს, – თავისთვის ჩაილაპარაკა ვიქტორმა.

– ამას წინათ, აქედან რომ ჩავედით, უშიშროებაში დამიბარეს და ხუთი საათის განმავლობაში, პირადად ეგ მეჯდა დაკითხვაზე, – ვთქვი მე.

– რას ამბობთ, – გაოცებულმა შემომხედა პრეზიდენტმა.

– ვიქტორს და პეტრეს დაეძებენ ყველგან, მათი დაჭერის სურვილით არიან შეპყრობილი... მათდა სამწუხაროდ, ჩემგან სასურველი ინფორმაცია ვერ მიიღეს... ბოლოს დიდი გულშემატკივრობით და მზრუნველობით, პირადად მაგ ჩინოვნიკმა მირჩია, რომ ფრთხილად ვიყოთ, თავი საფრთხეში არ ჩავიგდოთ მე და ჩემმა ტოლმა გოგონამ, – სიტყვა დავამთავრე და ჩემდაუნებურად ნინოს გადავხედე.

– და თქვენ ისევ აქა ხართ, – გაეცინა პეტრეს.

– ძალიან კარგია, რომ ეს ძველი გაზეთი ჩვენს ხელთაა, ეს ასე არ უნდა დარჩეს, – წარმოსთქვა პრეზიდენტმა.

– ყველას უნდა ვაცნობოთ, განსაკუთრებით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს, ვინ ზის დღეს საქართველოში, ასეთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე, – დასძინა ვიქტორმა.

– აუცილებლად, – დაეთანხმა პეტრე...

მთელი საათი ვესაუბრებოდით პრეზიდენტს, ბოლოს გავბედე და შევეკითხე:

– ბატონო ზვიად, როგორც გავიგეთ, ევროპაში ბრძანდებოდით და სულ ახლახანს დაბრუნდით, ძალიან გვაინტერესებს, მართალია?

ზვიადმა ღიმილით მიპასუხა:

– დიახ, მართალია, ვფიქრობ, რომ კარგი და შედეგიანი გასვლა იყო. განსაკუთრებით კარგი შეხვედრები მქონდა ავსტრიაში, რაც იმედის მომცემია ჩვენი შემდგომი მოძრაობისთვის... აუცილებელი იყო ჩემი გამგზავრება ევროპაში, აუცილებელი იყო და არის კანონიერი ხელისუფლების გარშემო არსებული დეზინფორმაციის რკალის და საშინელი ბლოკადის გარღვევა. გროზნოდან ამის გაკეთება ძალიან რთულია. ჯოჰარ დუდაევის გამარჯვების შემდეგ, მოსკოვმა მთელი კავკასია საინფორმაციო ბლოკადაში მოაქცია.

– იქნებ, თქვენი ყოფნა ევროპაში უფრო გამართლებული იყოს, – მორიდებით ვუთხარი მე.

ზვიადს გაეღიმა და ხმადაბლა გვიპასუხა:

– შემოთავაზებები მაქვს, მაგრამ ჩემი ჩეჩნეთში ყოფნა საქართველოში ყოფნის ტოლფასია, ფიზიკურადაც და სულიერადაც... მე და ჯოხარი ერთად ყოფნით ერთმანეთს ძალას და სიმტკიცეს ვმატებთ... ორასი წლის განმავლობაში, მიძინებული კავკასიის ერთიანობის გამოღვიძება აუცილებელია... ხომ ხედავთ, რა ხდება აფხაზეთში. იმპერიული ძალების ძირითადი მიზეზი კანონიერი პრეზიდენტის და ხელისუფლების დევნისა სწორედ ეს გახლავთ... კანონიერი პრეზიდენტი და კანონიერი ხელისუფლება ქვეყნის ერთიანობის გარანტი ვიყავით და ვართ, თუნდაც დევნილობაში მყოფნი... მათი ძირითადი მიზანი აფხაზეთის, შავი ზღვის წართმევა და ხელში ჩაგდებაა... ეს ჭიდილი კი მანამ გაგრძელდება, სანამ კავკასიის პატარა ქვეყნები ერთ ძლიერ, დიდ ძალად არ გავერთიანდებით. ამ ერთიანობისთვის კი ჩემი და ჯოხარის ერთად ყოფნა და დგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია!.. – ზვიადმა რამოდენიმე თაბახის ფურცელი გადმოგვცა და გვითხრა:

– ეს ჩემი ახალი წერილია, როგორც კი თბილისში ჩახვალთ, ჩვენს რომელიმე გაზეთს მიაწოდეთ, დაუყოვნებლივ გამოაქვეყნონ!..

ნინომ პრეზიდენტს კონვერტი მიაწოდა და უთხრა:

– ბატონო ზვიად, ნოდარ სივსივაძემ გამომატანა თქვენთან, წერილი და რაღაც თანხა.

– ვინ არის ნოდარ სივსივაძე? – ჩაგვეკითხა პეტრე.

– ჩემი მეგობარია, მწერალი, პუბლიცისტი, – ჩვენს მაგივრად გასცა პასუხი ზვიადმა.

პრეზიდენტი დასცქეროდა კონვერტს და გაღიმებულმა ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– რას შვრება ეს საწყალი, ალალი კაცი, ჩემთან გამოსაგზავნი ფული სად ჰქონდა, სად იშოვა?! მომიკითხეთ და გადაეცით, თავს გაუფრთხილდეს, ჯანმრთელობას მიხედოს...

გამომშვიდობებისას ზვიადმა იქვე მაგიდაზე დადებული წიგნი „საქართველოს სულიერი მისია“ აიღო, წარწერა გააკეთა და ნინოს მიაწოდა. შემდეგ რაღაცის ძებნა დაიწყო.

– როგორც ჩანს მეტი აღარ დამრჩა, ახლავე მოვძებნი, იქნებ მქონდეს, – წარმოსთქვა პრეზიდენტმა და ოთახიდან გავიდა. მალევე უკან დაბრუნდა, ხელში მწვანეყდიანი წიგნი ეჭირა.

– მართალია, „საქართველოს სულიერი მისია“ აღარ მქონია, მაგრამ ნახეთ, რა აღმოვაჩინე, – გვითხრა ზვიადმა, მაგიდასთან ჩამოჯდა, წარწერა გააკეთა და წიგნი მომაწოდა. გახარებულმა გამოვართვი... როდესაც წიგნი ჩემს ხელში აღმოჩნდა, საოცრად ამაყი და ბედნიერი ვიყავი... წიგნის მწვანე ყდას დავხედე – „ვეფხისტყაოსნის სახის მეტყველება“ იყო...

.....

იანვარია, სიცივეა, ბაქოდან მომავალი მატარებელი თბილისს უახლოვდება.

– მოვემზადოთ ჩასასვლელად! – ხმამაღლა შემომძახა ნინომ.

– თითქმის მზადა ვარ, ქურქს ჩავიცვამ და მორჩა, – ვპასუხობ მე.

– ქურქი, სად არის ჩემი ქურქი? – შეშფოთებული კითხულობს ნინო.

– სად უნდა იყოს? – გაოცებულმა ვუპასუხე.

– აქ, კარებთან, დასაკიდზე დავკიდე, სად გაქრა?

– კუპეში მხოლოდ ჩვენ ვართ, კარები შიგნიდან არის ჩაკეტილი, ვის ან როგორ უნდა გაეღო? – კვლავ ვეუბნები მე.

მთელი ვაგონი შემოვირბინეთ, აქეთ-იქით მივედ-მოვედეთ, მაგრამ ამაოდ. ქურქი ვერ ვიპოვეთ.

– ჩემმა დამ მათხოვა, მისი ქურქი იყო, თბილად იქნებიო... ნეტავ არ ჩამეცვა, რა ვუთხრა?! – შეწუხებული სახით შემომჩივლა ნინომ... შემდეგ ჩანთები მოვიძიეთ. შვებით ამოვისუნთქეთ, როცა ვნახეთ, რომ პრეზიდენტის ნაჩუქარი წიგნები და გამოსაქვეყნებლად წამოღებული წერილი ჩანთაში „უვნებლად“ აღმოვაჩინეთ...

.....

2020 წლის ქრისტეშობის ღამე. დავით გარეჯის ნათლისმცემლის მამათა მონასტერი. 6 იანვარი იწურება, სულგანაბული მრევლი ლოცვას ვუსმენთ... სადაცაა ქრისტეშობა დადგება...

დადგა, შემოვიდა ქრისტეშობა, დაიწყო საზეიმო წირვა. კელაპტრების, სანთლების შუქით გაბრწყინებულია საუკუნეების, დიდი ისტორიული წარსულის მქონე ტაძარი... მგალობლები გალობენ – „ოცდახუთსა დეკემბერსა, ქრისტე იშვა ბეთლემსაო...“ ვდგავარ წირვაზე და ჩემდაუნებურად ის ღამე გამახსენდა, 27 წლის წინანდელი, ქრისტეშობის ღამე... მატარებელი, გროზნო, შეხვედრა პრეზიდენტთან. თვალწინ გაირბინა ქვეყნის უახლოესი წარსულის სხვადასხვა მოგონებამ.

.....

ქვეყანა დამოუკიდებლობის 25 წლისთავს აღნიშნავდა, ზეიმობდა. პირველი პრეზიდენტის ქვრივს ტელევიზიის სტუდიაში გადაცემის წამყვანმა ჰკითხა:

– ბოლოს როდის იტირეთ?

– წუხელ ღამით, – უპასუხა პრეზიდენტის ქვრივმა...

.....

რომელიღაც მემატიანემ ტელევიზიით გამოსვლისას თქვა:

– ქვეყნის პირველი პრეზიდენტის და კანონიერი მთავრობის წინაშე ყველამ ბოდიში უნდა მოვიხადოთ!..

– ბოდიში აფსაითშია, – პასუხობს პრეზიდენტის ვაჟი...

.....

გამახსენდა საინფორმაციო გადაცემა, სადაც გამოაცხადეს, რომ „პოლონეთში, ვარშავაში, გარდაიცვალა ქართველი პოლიტიკოსის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი – ვიქტორ დომუხოვსკი... გამახსენდა ვიქტორის სიტყვები გროზნოში ყოფნისას: „... ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემი ხელმოწერა არის საქართველოს

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის 1991 წლის 9 აპრილის აქტზე...“ „დომუხოვსკის არ აპატიეს, თვითმფრინავის ბიჭების გამო, მოსკოვში ჩასვლა და გამოძიების დაწყება“ – გავიფიქრე და ჩემდაუნებურად ღვთისმშობლის ხატს შევხედე... კვლავ ფიქრებში წავედი...

ვიქტორის გარდაცვალებამდე პეტრე გელბახიანი გარდაიცვალა. ხანმოკლე და წამებული იყო მისი სიცოცხლე, რომელმაც ლამაზად, თოლიასავით ჩაინავარდა მისი ერის ისტორიაში... ცნობილი ოჯახის შვილს არ აპატიეს მხარდაჭერა ზვიად გამსახურდიასადმი. პეტრეს თავისუფლად შეეძლო უზრუნველად ეცხოვრა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, მაგრამ ვერ დათმო თავისი ერისა და ქვეყნის სიყვარული...“

გამახსენდა ვაჟა ჭინჭარაული, ირაკლი გოგაძე, ძველ ხიბულაში უგზოუკვლოდ დაკარგული ზვიადის დაცვის ბიჭები. გამახსენდა ვაჟას სიტყვები, რომელსაც ხშირად იმეორებდა – „პრეზიდენტს მაშინ მოკლავენ, თუ ჩემს გვამზე გადაივლიანო“, – როგორც ჩანს ზუსტად აუხდა ახალგაზრდა ვაჟკაცს, ვაჟა ჭინჭარაულს, მისი გულწრფელი გამონათქვამი.

.....

გარეჯში საზეიმო წირვის დამთავრების შემდეგ ტაძრიდან გამოსულს სიბნელე დამხვდა... „ზამთარია, მაგრამ არ ცივა“ – გავიფიქრე და ცას ავხედე, რომელიც ვარსკვლავებით მოჭედილიყო. მათ დანახვაზე კვლავ მომეძალა ფიქრები: „რა უცნაურია, ცაზე ბევრი ვარსკვლავია, მაგრამ მათ შორის ორი ერთნაირი არ არსებობს. ისინი მილიონი, ასობით მილიონი წელი ცხოვრობენ. ყველა თავისებურად განუმეორებელია... მაგრამ ჩვენ ვარსკვლავები არა ვართ და ხანგრძლივი ცხოვრება არა გვაქვს. მათზე გაცილებით ნაკლები დრო გვაქვს სიცოცხლისა და დრო, თუნდაც მცირე დრო, ჩვენი ცხოვრების შეგუებას გვასწავლის, მაგრამ დავიწყებას არასდროს...“

– ტრაპეზი! – დაიძახა მრევლთაგანმა ყველაზე პატარა ბიჭმა.

– ტრაპეზი! – გაიმეორა კიდევ უფრო ხმამაღლა...

მონასტრის წინ მდგარი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შევყურებდი. კვლავ ფიქრებში წავედი – „ყველაფერმა, ჩემი ქვეყნის უახლესმა წარსულმა და მასთან ერთად ჩემმა და ჩემისთანების ახალგაზრდობამ, რომელსაც 90-იანელების თაობას, დაკარგულ თაობას გვეძახიან, ჩემი ქვეყნის წარსულთან ერთად, ისევ ჩემს ფიქრებში, მოგონებებში გაირბინა... ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს გუშინ ნაღმი აფეთქდა და ახლა ყუმბარისაგან დაგლეჯილი ნერვებით ვაგრძელებთ ცხოვრებას, ყოფას, არსებობას... სადაც არ უნდა წახვიდე წარსული მაინც არ განებებს თავს. ძალიან მინდა წარსულის შეცვლა, მაგრამ არავინ არის ისეთი მდიდარი, რომ წარსული იყიდოს...“

.....

მონასტრის ეზოდან კვლავ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შევყურებდი, ჩემდაუნებურად გავიფიქრე: „რა კარგია, რომ უფალი დღევანდელ დღეს აქ, გარეჯში, ჩვენი სულის ნავსაყუდელში გვმასპინძლობს...“

გარეჯში, ნათლისმცემლის ტაძარში, 2020 წლის ქრისტეშობის ლამაზი და იდუმალი დილა თენდებოდა...

ლია ჩიქოვანი-გოგრიჭიანი

ახდენილი ოცნება

დასასრული
(დასაწყისი ანთოლოგიის №13-ში
ათინათის №50-51-ში)

10

– ახლა კი მომახსენე თავად რა გააკეთე,რაც დაგიტოვე მონიშნული თუ ისწავლე?

– იმაზე მეტი ვისწავლე, ვიდრე შენ დამიტოვე.

– ყოჩაღ, ჩემო მზეჭაბუკო! ვამაყობ შენით! – დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი წლის მისაღებ გამოცდებს წარმატებებით ჩავაბარებ.

– რა თქმა უნდა, თუ ასე კარგად გააგრძელებ. ახლა ეს მაგიდა მივალაგოთ, შემდეგ ვნახავ რა ისწავლე. ხომ არ გგონია რომ არ შეგამოწმებ?!

– მეც ეს მინდა რომ შემამოწმო. უფრო მეტად ვიქნები დარწმუნებული ჩემს ცოდნაში.

ძმებმა ერთ წუთში მიალაგეს სამზარეულო და სამეცადინო მაგიდას მიუსხდნენ.

მირზამ წიგნი გადაშალა მონიშნულ გვერდზე და ძმას უთხრა:

– აბა დაიწყე, გისმენ.

ჭაბუკამ თხრობა დაიწყო. ერთი წამითაც კი არ შეჩერებულა და წაბორძიკებულა ისე ჩამოასხაპუნა მირზას მიერ დატოვებული გაკვეთილი და კიდევ რამდენიმე ფურცელი ზედ მიაყოლა.

– მართლაც ყოჩაღ, ჩემო ძმაო, შენ უკვე აღარ ხუმრობ.

– რა დროს ხუმრობაა, კარგი ექიმი მინდა გამოვიდე.

ჩვენ ორივენი შევძლებთ უამრავი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას.

გზად მიმავალი ალიკა ფიქრებს მისცემოდა: "ამდენი წელი ვითმენდი და პირნათლად ვასრულებდი ჩემს მოვალეობებს თუ მათგან დაკისრებულ ზოგიერთ უმსგავსობას, ახლაც უნდა მომეთმინა, მაგრამ ვერ ავიტანე ანგელოზივით ქალი უდანაშაულოდ რომ ამოდეს მიწაში და უდანაშაულო კაცი რომ უნდა დამესაჯა. საბრალოს ახლოდან არასოდეს ჰყავდა ნანახი ეს გოგო და ერთი უბედურებისთვის მეორე უნდა დამემატებინა მისთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით.

ჩემს შვილებს რომ ასე მოექცნენ, რა დღეში აღმოვჩნდები? – კითხვა დაუსვა თავისთავს, თან გზას გახედა და დაიყვირა:

– მარგო, მანქანა გვეჯახება, თავი მყარად დაიჭირე! არ მაპატიეს! – ამოიგმნა ხმადაბლა...

მის სმენას ძლიერი დარტყმისა და მარგოს განწირული კივილის ხმა ჩაესმა.მეორე მანქანის მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მარგო ისტერიულად კიოდა და ცდილობდა ქმარს დახმარებოდა. უეცრად მოაგონდა სამედიცინო დახმარება გამოეძახებინა. ნომერი აკრიფა და აუწყა მომხდარის შესახებ, თანაც შემთხვევის ადგილი მიუთითა. ამასობაში, გზად მიმავალი მანქანებიც გაჩერდნენ, შეეცადნენ მანქანიდან გადმოეყვანათ ალიკა, რომელსაც სისხლი ჩამოსდიოდა. მარგოს გაახსენდა ჩემოდანში თეთრეული რომ ედო. ზეწარი ამოიღო, დაგლიჯა და თავზე შემოახვია ქმარს. გზად გამვლელმა ახალფაზრდებმა ალიკას ამოყვანა შეძლეს. იქვე, გზისპირას ჩამოსვეს. ამასობაში სასწრაფო დახმარების მანქანა მოვიდა საპატრული პოლიციასთან ერთად.

შემთხვევის ადგილი წითელი ლენტით გადაკეტეს. ვიდრე ექიმი ალიკას დაზიანებებს ადგენდა, პოლიციამ მარგო დაკითხა. შემოწმებული იქნა მეორე მანქანა და დადგენილი იქნა მესაკუთ-

რის ვინაობა. ალიკას ტრავმა ჰქონდა მიღებული თავის არეში, ასევე აღენიშნებოდა ცალი კიდურის მოტეხილობა იგი კომაში იმყოფებოდა. სასწრაფო დახმარების ბრიგადამ იგი მეუღლესთან ერთად თბილისში, იაშვილის სახ. კლინიკაში გადაიყვანა, სადაც ჩაუტარდა სასწრაფო ოპერაცია. ბარძაყის ძვალში ჩაუსვეს რკინა, გაუკეთდა თავზე ოპერაცია. სასწრაფოდ დასჭირდა პირველი ჯგუფის რეზუსუარყოფითი სისხლი. საბედნიეროდ, ჭაბუკას აღმოჩნდა მამის ჯგუფის სისხლი. წამითაც არ დაიფიქრებულა, უმალ დაეთანხმა ექიმს მისი სისხლი გადაესხათ მამისთვის...

ლექციებიდან დაბრუნებულ მირზას მაგიდაზე ჭაბუკას მიერ დატოვებული წერილი დახვდა. ბიჭმა რა წაიკითხა წერილი, გველნაკბენივით გამოვარდა გარეთ, კარები გადაკეტა, ტაქსი გამოიძახა, ლიფტს არ დაელოდა, შლეგიანივით დაეშვა ძირს. ვიდრე კიბეებზე ჩავიდოდა, ტაქსიც მოვიდა. ბიჭმა მანქანის კარი გამოაღო, სავარძელში ჩაჯდა და მძღოლს უთხრა იაშვილის კლინიკაში წამიყვანითო. მძღოლმა ძრავი ჩართო, გაზის პედალს ფეხი დააჭირა და მანქანა ადგილს მოსწყვიტა.

რამდენიმე წუთში ტაქსი კლინიკის წინ გაჩერდა. მირზამ მძღოლს ფული გადაუხადა და სირბილით აირბინა კიბე. შესასვლელში რეამინაციული განყოფილება იკითხა და მითითებული მიმართულებით გაემართა.

დერეფანში სკამზე თავჩაქინდრული მარგო შენიშნა, ჩქაარი ნაბიჯით მივიდა და მხარზე ხელი დაადო. ქალმა თავი ასწია, სახეზე ნაკაწრები აჩნდა. რა დაინახა მირზა, თვალებზე ცრემლი მოადგა.

– დედა, რა მოხდა? – ჰკითხა ვაჟმა.

– დავიღუპეთ შვილო, ალიკა მძიმედ არის ძალიან.

ვიღაც განზრახ შეგვეჯახა. შეეძლო გვერდის აქცევა, მაგრამ პირდაპირ ჩვენს მანქანას შეასკდა. მამაშენმა იმარჯვა, თორემ არ გადავრჩებოდით. – იმ მანქანის მძღოლი სად არის?

– შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

– მაინც გავიგებ ვინ იყო

– არ გინდა, შვილო, თორემ უარესი მოხდება.

ალიკას ბოლო სიტყვები იყო – არ მაპატიესო და თქვენ მაინც ნუ გაერევით შვილო ამ სიბინძურეში.

პირიქით, გთხოვთ, გაფრთხილდეთ, ეშმაკს არ სძინავს.

ახლა მთავარია მამამ გაიღვიძოს.

– ჭაბუკა სად არის?

– სისხლი აიღო და ჯერ კიდევ შიგნით არის.

– იმედი ვიქონიოთ რომ ყველაფერი კარგად იქნება

მანქანის მესაკუთრე გამოძახებული იქნა პოლიციის განყოფილებაში დაკითხვაზე. გავიდა რამდენიმე დღე, მაგრამ არსად ჩანდა. დაიწყეს მოძიება. პოლიციამ საცხოვრებელ სახლში მიაკითხა. შინ მხოლოდ მანქანის მესაკუთრის ცოლი და რამდენიმე თვის ბავშვი დახვდათ.

ინასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მეუღლე მესამე თვე იწურებოდა, რაც თურქეთში იმყოფებოდა სამუშაოდ და დღედღეზე ელოდებოდა მის დაბრუნგბას, მანქანა პარკინგზე იყო

დატოვებული, მაგრამ სად, ქალს წარმოდგენაც არ ჰონდა.

– კი, მაგრამ რის საფუძველზე მიწყობთ დაკითხვას? – მოგვიანებით იკითხა დაბნეულმა. – თქვენი მეუღლის მანქანით, გუშინ საღამოს, 20 საათზე ავტოავარია მოხდა, რის შედეგადაც ადამიანმა მძიმე ტრამვა მიიღო.

– შეუძლებელია, რადგან რამდენიმე საათის წინ ჩემი მეუღლე სამუშაო ობიექტზე იმყოფებოდა თურქეთში. – იქნებ ვინმემ მოიპარა მანქანა – ივარაუდა ქალმა.

– ამას ჩვენ გავარკვევთ. თქვენთან კი ერთი თხოვნა მაქვს: აცნობეთ რამაზს სასწრაფოდ დაბრუნდეს საქართველოში და გამოცხადდეს განყოფილებაში. – გადავცემ ბატონო, – მიუგო დამფრთხალმა ქალმა

მარტოდ დარჩენილმა ინამ მეუღლეს შეატყობინა მომხდარის შესახებ და სთხოვა, როგორც კი შესაძლებლობა მოეცემოდა, დაბრუნებულიყო საქართველოში. რამაზმა მოუგო: – მე ხვალის ბილეთი უკვე ავიღე, ზეგ შუადღისთვის მანდ ვიქნები და მე მივხედავ მაგ საქმეს, შენ მაგაზე არ ინერვიულო, საყვარელო.

მარგოს და მირზას თვალები რეანიმაციის კარისკენ ეჭირათ – როდის გამოვიდოდა ჭაბუკა ან ექიმი და რაიმე საიმედოს ეტყოდა ნერვებად ქცეულ ოჯახის წევრებს.

როგორც იქნა, მზეჭაბუკმა კარებში გამოანათა და იმედის სხივი მოჰფინა მომლოდინეთ.

– შვილო, როგორ გრძნობ თავს, წყალი ხომ არ გინდა?-კითხვები დააყარა მარგომ.

– კარგად ვარ დედი და კიდევ უფრო კარგად, რადგან მამიკოს გადარჩენის შანსი მივეცი. ექიმმა თქვა რომ ჩემი სისხლი კარგად მიიღო მისმა ორგანიზმმა, იმედია მალე შეძლებს კომიდან გამოსვლას.

დედა, აქ ჩვენს ჯდომას აზრი არა აქვს, წამდით სახლში დაისვენეთ შენც და ჭაბუკამაც. მე აქ დავრჩები. თუ რაიმე შეიცვალა, შეგატყობინებთ.

-არა, შვილო.

აქ დავრჩები ვიდრე არ გაიღვიძებს ალიკა.

-დედა, ჩვენ ხომ არ ვიცით რამდენი დღე იქნება ასეთ მდგომარეობაში? მითუმეტეს, ასეთ ნაოპერაციებს დრო სჭირდება. ჯერ ისედაც არ გააღვიძებენ.

წადით მე აქა არა ვარ?

– კარგი, შვილო. ჩვენ წავალთ და აბა შენ იცი,

– არ ინერვიულო, დედა, ყველაფერი კარგად იქნება, ღმერთი დიდია და მოწყალე.

"– ღმერთი რომ დიდია, იმიტომ ვშიშობ, "– გაიფიქრა გულში ქალმა და ნელი ნაბიჯით გაუყვა დერეფანს გასასვლელისაკენ. თან ფიქრს განაგრძობდა: "– ღმერთი უსამართლობას არავის პატიებს, ადრე თუ გვიან ყველას მიუზღავს თავისას. იმედია, ცოტა მოწყალებას მაინც გამოიმეტებს მისი კეთილი გულის გამო... ჩემს გამოც, რომ მარტო არ დავრჩე... " უეცრად ლოცვა აღმოხდა: –ღმერთო, მოუტევე საბრალო ჩემს ქმარს თუ კი ოდესმე შეუცოდავს ნებისით თუ უნებლიეთ!

– დედა, ისე გულიანად ამოთქვი ეს ლოცვა, ტაძარში ხომ არ შეგვევლო საჯამრთელო პარაკლისი რომ შევუკვეთოთ? –წავიდეთ, შვილო, იქნებ მოხდეს სასწაული, – უთხრა მარგომ და ტაქსი გამოიძახა.

11

ტაქსის მძღოლმა მანქანა ტაძრის მახლობლად გააჩერა. დედა-შვილი მანქანიდან გადმოვიდა. ჭაბუკამ იქაურობას თვალი მოავლო და დედასთან ერთად ფეხით აუყვა გზას ტაძრისკენ, რომელიც მაღლობიდან, ამაყად გადმოჰყურებდა არემარეს.

გზა მალე გაილია და მათ თვალწინ ორი ულამაზესი მონასტერი აღიმართა. ერთი – მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის და მეორე წმინდა გიორგის. იქიდან თბილისკენ და თრიალეთის ქედისკენ ულამაზესი სანახაობა იშლებოდა. რამდენიმე წუთით მოავლეს თვალი ამ სილამაზეს, შემდეგ კი მომლოდინე ხალხის რიგს შეუერთდნენ, რომლებიც მოუთმელად ელოდნენ იმ პატარა კელიის კარის გაღებას, სადაც დედა ანა (ოთარაშვილი) აღავლენდა ლოცვას.

კარგა ხანის ლოდინის შემდეგ დედა-შვილის რიგიც მოვიდა. ჭაბუკას შიგნით შესვლა არ სურდა, მაგრამ, როდესაც კარი გაიღო, დედა ანამ იკითხა:

– აქ მამაკაცი არავინ არის რომ შემოვიდესო? მარგომ არ დააყოვნა და უთხრა:

– ჩემი შვილი არის. –შემოიყვანეთ და შემობრძანდით. ვაჟს სხვა გზა აღარ ჰქონდა და დედასთან ერთად შევიდა.

დედაომ ჯერ ჭაბუკა დალოცა. თან დასძინა:

– ილოცე, შვილო. ღმერთი გიხსნის განსაცდელისაგან! ფრთხილად იყავი! – მიაძახა გამოსვლისას. კელიაში დარჩენილმა მარგომ გაანდო. თავისი გასაჭირი, თანაც, ქმრის მაისური

მიაწოდა. დედა ანამ დალოცა მარგო. მისი მეუღლის მაისურს ნაკურთხი წყალი აპკურა და პირჯვარი გადასახა.

მარგომ წამოდგა შესაწირ ყულაბა დაინახა და ორმოცდაათ ლარიანი ჩაუშვა. გარეთ გამოვიდა. იქვე, ტაძარში შევიდა, სანთელები შეიძინა, ილოცა და შვილთან ერთად დაღმართზე. დაეშვა.

კარგა მანძილი განვლეს ვიდრე, თბილისის მიმართულებით მიმავალი ავტობუსის გაჩერება მოძებნეს. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებიათ.

შინ მისულებმა მირზას დაურეკეს და ალიკას მდგომარეობა იკითხეს.

– დედა, მამამ გამოიღვიძა. ალბათ ხვალ პალატაში გადმოიყვანენ. მარგოსა და ჭაბუკას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

– მე არ დამელოდოთ, ამაღამ აქ დავრჩები. დილით უნივერსიტეტში წავალ. აქ კი ჭაბუკა გამოაგზავნე..შენ დაისვენე დედა, ისედაც დაღლილი და ნანერვიულები ხარ.

– კარგი, შვილო. მე ხვალ მაინც ტაძარში ვაპირებ წასვლას.

– მე ლექციების შემდეგ სახლში მოვალ

– კარგი, ჩემო იმედო, დაგელოდები და ერთად წავიდეთ

– კარგი, დედი. ძილი ნებისა.

რამაზი თურქეთიდან დაბრუნდა.ვიდრე შინ მივიდოდა პარკინგზე შეიარა. ნახა რომ მისი მანქანა იქ აღარ იდგა, მაგრამ პასუხი ვისთვის უნდა მოეთხოვა მაშინ, როცა პარკინგი უფასო იყო და მეთვალყურე არავინ ჰყავდა. შინ მივიდა. მონატრებულ ცოლ–შვილს მოესიყვარულა და პოლიციის განყოფილებას მიადგა.

სადაც დაიკითხა. ამოსაცნობად ნაჩვენები იქნა ფოტორობოტი, რადგან მიახლოებით უკვე იცოდნენ იმ ადამიანის ვინაობა, რომელმაც, მოძრაობის წესების დარაღვევით, ავტოსაგზაო შემთხვევა მოახდინა. სამწუხაროდ, რამაზმა, სურათებზე გამოსახული ადამიანებიდან, ვერცერთი ვერ ამოიცნო.

მეორე დილით ალიკა გადაყვანილი იქნა სპეციალურ პალატაში, რომელიც აღჭურვილი იყო ყველა იმ საჭირო აპარატურით, რაც მის ამჟამინდელ მდგომარეობას ესაჭიროებოდა. პაციენტის უსაფრთხოების მიზნით მნახველების მიღება იკრძალებოდა.

გონზე მოსულმა მარგო მოიკითხა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდა.

ექიმმა იგი დაამშვიდა და უთხრა რომ მის მეუღლეს არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა.

იგი წამიერად დამშვიდდა. უეცრად მეხსიერებაში ამოუტივტივდა მომენტი, როცა მანქანა ეჯახებოდა და ყვირილი დაიწყო: – რას მერჩით, რა გინდათ ჩემგან? უდანაშაულო კაცი როგორ უნდა დამესაჯა?! რა უღმერთო ხალხი ხართ, არ მპატიობთ არა?!

ოთახში ცისფერხალათიანი ახალგაზრდა კაცი შემოვიდა, თეთრეულით სავსე ურიკა შემოაგორა. რამდენიმე წამი უსმინა, შემდეგ ზიზღით გამოსცრა კბილებში:

– არ გინდოდა ხომ მისი დასჯა,ახლა შენ მე სამუდამო სასჯელს მოგისჯი. იქედან მაინც ვერ მომწვდები! ჩაძაღლდი ძაღლო! – უთხრა და ჟანგბადი გამოურთო. ბალიში აიღო და ის იყო, უნდა გაეგუდა, რომ ექიმმა კარები შემოაღო.კაცმა ბალიში კარგად ამოუგო, თეთრეული გაუსწორა,ექიმს ცალყბად გაუღიმა,მიესალმა და ურიკიანად დატოვა ალიკას პალატა. რამდენიმე კიბე სწრაფად აირბინა, საავარიო გასასვლელი მოძებნა და კიბით ეზოში გავიდა. ხალათი გზაში გაიხადა, ურნაში მოისროლა.

ქუჩაში დამდუღრულივით გავარდა და გაუჩინარდა.

ექიმმა პაციენტს დახედა. მონიტორზე არეული ზიგზაგი ხაზები თანდათან კრთებოდა. ზარის ღილაკს თითი დააჭირა, შეეცადა ავადმყოფის მდგომარეობიდან გამოყვანას. ახლაღა შეამჩნია, რომ ჟანგბადი არ მიეწოდებოდა. გადასხმის სისტემაც გამორთული იყო. ღრიალი მორთო: –აქ რა ჯანდაბა ხდება, ვინ გააკეთა ეს საშინელება? უეცრად გონებაში ურიკიანი კაცი ამოუტივტივდა. ნათელი გახდა რომ ის ბოროტმომქმედი იყო, რომელსაც პაციენტის სიცოცხლის ხელყოფა ჰქონდა განსაზღვრული.

ხმაურზე პალატა ექიმებით გაივსო. მათი ძალისხმევით ალიკა სიკვდილს გადაურჩა. მკურნალმა ექიმმა პოლიციას შეატყობინა მომხდარის შესახებ.

გამოძიებისთვის ნათელი გახდა, რომ ვიღაცას ალიკას სიცოცხლის ხეყოფა ჰქონდა გადაწყვეტილი თუ კი ცხელ კვალზე არ დააკავებდნენ დამნაშავეს, ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

საავადმყოფოში მისულმა საგამოძიებო ჯგუფმა დაკითხა ალიკას ექიმი, რომელმაც ნაწილობრივ შეძლო

შეძლო დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის გარეგნული სურათი დაეხატა.

12

დაკითხული იქნა ყველა ის პირი, ვინც კი იმ ღამით კლინიკის მოსაცდელში იმყოფებოდა, მათ შორის, მირზაც, რამაც ვაჟში დიდი გაოცება გამოიწვია. იგი ცდილობდა იმის გარკვევას, თუ რის საფუძველზე ხდებოდა მისი დაკითხვა, მაგრამ ვერ გაერკვია. ასევე დაიკითხა მარგო. დაინტერესდნენ

ვინ შეიძლება ყოფილიყო ის ადამიანი, ვისთანაც შეიძლება ჰქონოდა ცუდი ურთიერთობა ალიკას. მარგომ უპასუხა, რომ მის საქმიანობასთან არაფერი შეხება არ ჰქონია და არც წარმოდგენა არ ჰქონდა ვინ შეიძლება ყოფილიყო.

– თუმცა, მხოლოდ ერთი შემიძლია ვთქვა, რომ ეს მგონი პირველი. შემთხვევის გაგრძელებაა. შესაძლოა ამას ალიკას საქმიანობასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს...

– კი, მაგრამ, რატომ ვარაუდობთ, რომ ეს ასეა? – ჰკითხა გამომძიებელმა.

– ალიკას ბოლო სიტყვების გამო –მან რა თქვა ასეთი?

– როდესაც მანქანა გვეჯახებოდა, ეს სიტყვები აღმოხდა:– მაინც არ მაპატიესო, – ამიტომ, ვფიქრობ საქმის გასაღები იქიდან უნდა ეძებოთ, რისთვისაც ამ რამოდენიმე დღის წინ ალიკა სამსახურიდან გაანთავისუფლეს.

დაკითხვის შემდეგ მირზამ დედას ჰკითხა:

– რა ხდება დედა? რატომ დაგვიბარეს დაკითხვაზე?

– შენ იმიტომ, რომ წუხელ იქ იყავი.

– მერე რა მოხდა ვერაფერს ვხვდები.

– წუხელ მამაშენის მოკვლას ცდილობდა ვიღაც კაცი.

– დედა, გთხოვ გამარკვიოთ რატომ ხდება ეს? ვის სურს ჩვენი ოჯახის ფეხქვეშ გათელვა?

– ეს არც მე ვიცი, შვილო, მაგრამ ის კი ვიცი რომ ყველას სიფრთხილე გვმართებს,რადგან თუ ალიკას ვერ მისწვდებიან იმ შემთხვევაში ჩვენზე დაიწყებენ ნადირობას შურისძიების მიზნით. ამიტომ,გთხოვთ, ყურადღებით იყავით ყველგან და ყველაფერში.

–იმედია დამნაშავეს დააკავებენ და სამართლი აღსრულდება!

– შვილო, ამ უსამართლო ქვეყანაში ძნელია სიმართლის პოვნა და მიღწევა. ან უნდა შეაკვდე, ან უნდა დანებდე. ჩვენ კიდევ ჯანდაბას, ჩვენი გასალეწი კალო უკვე გავლეწეთ, თქვენი დარდი მაქვს არავინ რაიმე არ დაგიშავოთ.

– შენ მაგაზე არ იდარდო, ჩვენ ერთად გადავლახავთ ყველა დაბრკოლებას. ახლა მთავარია მამა იყოს კარგად.

–დღეს, რაღაც, ჭაბუკა არ შეგვხმიანებია, სად არის ნეტავ?

– კლინიკაში უნდა მოსულიყო და მე უნდა შევეცვალე. თუმცა, იქ ყოფნას აზრი არა აქვს, მაინც არ გვიშვებენ შიგნით.

– შეიძლება კი მივიდა. ერთი დავურეკოთ და გავიგოთ სად არის.

მარგომ ტელეფონის ნომერი აკრიფა. ავტომოპასუხე ჩაირთო– ტელეფონი გამორთულია ან გასულია მომსახურების ზონიდან.

– მირზა, რაღაც ცუდი ხდება ჩვენს თავს. ჭაბუკა ტელეფონს არ თიშავს, ახლა კი გამორთული აქვს.

– დამშვიდდი, დედა, იქნებ ბატარეა დაუჯდა და გაეთიშა.მივიდეთ კლინიკაში.

– კარგი, ტაქსს გამოვიძახებ. ტელეფონი მოიმარჯვა,ის იყო ნომერი უნდა აეკრიფა, რომ ზარმა დარეკა. ქალმა ნომერს დახედა, მაგრამ ზარი დაფარული ნომრიდან იყო.

ქალმა გულისკანკალით დააჭირა ჩართვის ღილაკს ხელი და ხმისკანკალით ჩასძახა:

– გისმენთ. ვის ვესაუბრები?

– ქალბატონო, გეგონათ ვერ მოგწვდებოდით? – ვინ ხართ და რა გინდათ ჩვენგან?

ტელეფონში საშინელი ხარხარის ხმა გაისმა.

– ის ვარ, ვინც თქვენს შვილს ღორივით გამოღადრავს ყელს!

ქალს ცრემლები წასკდა.

– რატომ, რა დავაშავეთ? – თქვენ არაფერი, მაგრამ ჩემთვის სულერთია! მიქაუტაძეების სისხლს დავღვრი, თუ 24 საათში ასიათას დოლარს არ მომიტან კოჯრის ტყის ახლოს. ქალი გაშრა. მირზა გაქვავებული შესცქეროდა დედის ქვად ქცეულ სახეს და არ იცოდა რა ექნა. უეცრად ისევ დარეკა ტელეფონმა. მარგომ უპასუხა. –ქალბატონო მარგო, გთხოვთ მობრძანდეთ განყოფილებაში. –ეს წუთია გამოვიდი.

– ვიცით,მაგრამ ახლავე დაბრუნდით უკან – გაისმა უფრო ბრძანება, ვიდრე თხოვნა.

საგონებელში ჩავარდნილი ქალი ვერ გარკვეულიყო რა გზას დასდგომოდა.

– დედა, რას ფიქრობ?

– არ ვიცი რა ვიფიქრო, შვილო. თუ თანხას არ მივიტან, ან პოლიციაში თუ განვაცხადებ, შვილს მომიკლავენ.

არადა, ამდენი ფული საიდან უნდა შევაგროვოთ?! – დედა, პოლიცია რამდენადაც მახსოვს შენს ტელეფონს უსმენს და იქნებ ამიტომაც გიბარებენ. წავიდეთ.

– კარგი.

ვიდრე მარგო შვილის ადგილსამყოფელით იყო დაინტერესებული და მასთან დაკავშირებას ცდილობდა, პოლიციაში ანონიმური ზარი შევიდა, რომელიც ატყობინებდა, რომ იარაღის მუქარით სადარბაზოდან გამოსული ახაგაზრდა ბიჭი ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. მოწმე მიუთითებდა მანქანის ფერს და აღწერდა ახალგაზრდების აღნაგობას. პოლიციამ უმალ გადაკეტა ქალაქიდან გასასვლელი გზები. მომხდარის შესახებ ეცნობა საპატრულო პოლიციის ყველა საგუშაგოს, ამას ისიც დაემატა, რომ მარგოს ტელეფონზე საუბრის ჩანაწერი მოიპოვეს, რითაც დადგინდა გამტაცებელთა ადგილსამყოფელი, მაგრამ უსაფრთხოების მიზნით, დაიგეგმა თანხის გადაცემის სცენარი. მანამდე კი რამდენიმე პოლიციელი მეთვალყურეობდა იმ ტერიტორიას, სადაც ჭაბუკა იმყოფებოდა.

ჭაბუკას გამტაცებლებიდან ერთ– ერთის გარეგნობა ემთხვეოდა ალიკაზე თავდამსხმელს. აქეთედან გამომდინარე, ვარაუდობდნენ რომ ბოროტმოქმედი ერთი და იგივე პიროვნება იყო.

განყოფილებაში მისულ მარგოს გაესაუბრნენ და დაამშვიდეს, რომ მის შვილს საფრთხე არ ემუქრებოდა.

თუმცა, კარგად იცოდნენ, რომ გამტაცებლები ყველაფერზე იყვნენ წამსვლელი. მათი ვინაობა უკვე დადგენილი იყო. ერთი ახალგაზრდა ადრე მკვლელობაზე ნასამართლევი, ქალაქ ქუთაისში დაბადებული, ვაჟა–ფშაველას ქუჩაზე მაცხოვრებელი ვინმე "ქილერა" იყო, მეორე მისი მეგობარი, ბაკისუბნელი " კურცხალია",

რომელსაც თავისი სისწრაფისა და ფიცხი ხასიათის გამო შეარქვეს ეს სახელი. ქილერას ბრალად ედებოდა ახალგაზრდა ქალის მკვლელობა.ამ საქმის გამოძიება ალიკას ჰქონდა დავალებული. მკვლელის მაგივრად სრულიად უდანაშაულო კაცი ჰყავდათ დაკავებული, რისი გაპროტესტების გამოც, ალიკას დაატოვებინეს თანამდებობა. არც ეს აკმარეს და სასიკვდილოდ გაიმეტეს. ახლა კი ჯაჭვურად გადაბმული და ერთმანეთს მიყოლებული დანაშაულებები არ წყდებოდა. გათამამებული ქილერა თავის ბოროტ ზრახვებს განაგრძობდა, რადგან თავი თბილ ქუდში ჰქონდა შეფარებული გავლენიანი სიძის წყალობით.

ნათქვამია "კაცმა ჭირი მალა მალა, ჭირმა თავი არ დამალაო," სწორედ ასე დაემართა ქილერას.

ალიკამ მოიკეთა

მან შეძლო დამნაშავის სურათით ამოცნობა. დაადასტურა, რომ ავტოავარია განზრახ იყო დაგეგმილი,ისევე, როგორც მისი მეორედ სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა.

მარგოს განყოფილებაში ყოფნის დროს ისევ განხორციელდა სატელეფონო ზარი ბოროტმოქმედისგან რომელმაც, ამჯერად, ტელეფონი ჭაბუკას მიაწოდა და დედისთვის ათქმევინა, რომ თუ ცოცხალი სურდა ენახა, თანხა უნდა გადაეხადა. ქალი შვილის ხმის გაგონებაზე ცრემლებად დაიღვრა.

მირზას ყელში მოჭერილი ბურთი ნერწყვის გადაყლაპვის საშუალებას არ აძლევდა. სუნთქვა უძნელდებოდა, რომ წარმოიდგენდა ძმის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და თავის უმწეობაზე ბრაზობდა.რომ არ შეეძლო ძმას დახმარებოდა.

პოლიციაში ფულის გადაცემის გეგმა შეიმუშავეს.

მეორე საღამოს, დათქმულ დროზე კოჯრის ტყის პირას მარგო ტაქსით უნდა მისულიყო და დანიშნულების ადგილზე ჩემოდანი უნდა მიეტანა. რამდენიმე პოლიციელი ტყეში, წინასწარ გათხრლ სანგრებში დაიმალებოდა, კურცხალიას რომ არ შეემჩნია რადგან დარწმუნებულები იყვნენ ის მოვიდოდა ფულის ასაღებად.

ასეც მოიქცნენ.

მეორე საღამოს, როგორც კი ცას ბინდი შეეპარა და ხილვადობა შესუსტდა, ტყის ახლოს ტაქსი გაჩერდა. მარგომ მძღოლს სთხოვა დალოდებოდა, თავად გადავიდა ტყეში, პირველსავე ხესთან დადგა, ერთ მიმოიხედა, ძლიერად ჩაახველა, თითქოს გულიც ზედ ამოაყოლა., გრილი ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა და ისევ მანქანაში დაბრუნდა.

როგორც კი ტაქსი თვალს მოეფარა, ერთი ჩაფსკვნილი მამაკაცი მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ჩემოდანი იყო, ხელი დაავლო და გზის მეორე მხარეს გადავიდა, სადაც მანქანა ელოდებოდა.

ვიდრე კაცი მანქანაში ჩაჯდებოდა, პოლიციელების მთელი ამალა გარს შემოერტყა. ერთხმად იყვირეს;– ხელები მაღლა! არ გაინძრეთ თორემ გესვრით,არც გაქცევა სცადოთ ალყაში ხართ.

კაცი მიხვდა რომ ხაფანგში გაება. მანქანის მძღოლმა,ანუ ქილერამ,სცადა გაქცევა მაგრამ, ნურას უკაცრავად, სად გაექცეოდა ამდენ კბილებამდე შეიარაღებულ პოლიციელს და ჩაბარება ამჯობინა.

მანქანის გაჩხრეკის შედეგად აღმოჩნდა,რომ საბარგულში ხელ-ფეხ შეკრული ჭაბუკა ჰყავდათ მოთავსებული, რომელსაც პირი აკრული ჰქონდა. დროზე რომ არ მიესწროთ, ალბათ უჰაერობით გაიგუდებოდა.

მარგო მღელვარებისგან კანკალებდა, მირზა ცდილობდა მის დამშვიდებას, მაგრამ ვიდრე შვილს არ ნახავდა რა დაამშვიდებდა საბრალო ქალს.

წუთი საათად ეჩვენებოდა. ვიდრე მის ტელეფნზე შეტყობინებას მიიღებდა ლამის ტვინში სისხლის გაჟონვა დაემართა. როგორც იქნა მობილურმა დაიწკაპუნა, დახედა წერილი მოვიდა.

– ქალბატონო მარგო ოპერაცია წარმატებით დასრულდა.

ქალმა ამოისუნთქა ახალ მხოლოდ იმის სურვილმა შეიპყრო,რომ იმ მამაკაცის თვალებში ჩაეხედა რომელიც მხოლოდ ბოროტებით იკვებებოდა და ეთქვა რა დედამ გაგზარდა ასეთი გულქვაბოროტი კაციო, არა კაცოო.

13

კარგა ხანის ლოდინის შემდეგ, პოლიციის განყოფილებაში, ბოროტმოქმედებთან ერთად ჭაბუკაც მოიყვანეს. დედა-შვილი ერთმანეთს გადაეხვია. მირზამ ორივეს ერთად მოხვია მკლავები და ერთმანეთს მშვიდობით გადარჩენა მიულოცეს.

შემდეგ, ქალმა პოლიციის თანამშრომელს ჰკითხა:

– შეიძლება ის კაცი ვნახო, ვინც ამდენი ტკივილი მოგვაყენა?

– არა ქალბატონო, ვერ განახებთ! დადგება მაგის დროც. ახლა კი თქვენი შვილი უნდა დავკითხოთ.

თქვენ შეგიძლიათ მშვიდად განაგრძოთ ცხოვრება, ამ კაცს დიდხანს მოუწევს ციხის კედლების ცქერა.

– ეჰ, არა მგონია მხოლოდ ეს კაცი არსებობდეს. მას დიდი ჩინოსანი უნდა მფარველობდეს, ჩემი აზრით, რადგან ჩემს მეუღლეს სამსახურისდან ეს კაცი ვერ გაათავისუფლებდა.

– ყველაფერს გავარკვევთ, ქალბატონო, არ ინერვიულოთ.

მირზა დაკითხვაზე გაიყვანეს.

-ბატონო მირზა, აბა მოგვიყევით როგორ აღმოჩნდით ბოროტმომმედთა ხელში?

– სახლიდან გამოვედი. კლინიკაში უნდა მივსულიყავი, სადარბაზოდან გამოსულს, ეს ორი ახალგაზრდა დამხვდა. ერთი ერთ მხარეს ამომიდგა, მეორე –მეორე მხარეს. გაქცევა ვცადე. ორივემ იარაღი ამოიღო მომაბჯინა და გამაფრთხილეს, რომ თუ არ დავემორჩილებოდი, იქვე დავამთავრებდი სიცოცხლეს.

– შემდეგ რა მოხდა?

– მანქანაში ჩამსვეს, ტელეფონი წამართვეს, პირი ამიკრეს და თვალები ამიხვიეს. სად მივყავდი, ანდა რატომ, ჩემთვის გაურკვეველი იყო. ერთ – ერთი ამბობდა:

– ამ ძაღლის ლეკვს ბოლოს მოვუღებ, თუ იმას არ გააკეთებს მისი ოჯახი რაც მე მსურსო.

– სად წაგიყვანეს? –იმ ტერიტორიას არ ვიცნობ. ვფიქრობ მიტოვებული სახლი უნდა ყოფილიყო სადღაც, იმ ადგილთან ახლოს, სადაც მერე თქვენ გვიპოვეთ.

– რით ახსნით, რომ იქვე ახლოს იყავით?

– როცა გამომიყვანეს იმ სახლიდან და მანქანაში ჩამსვეს, ალბათ, ხუთი შვიდი წუთის გზა განვლეთ. დაახლოებით.

– ძალადობის სხვა ფაქტს ხომ არ ჰქონია ადგილი?

– ხელით შეხების ფაქტს ადგილი არ ჰქონია, მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფა იყო, ისიც მამაჩემის მისამართით.

– კარგი, თავისუფალი ბრძანდებით.

ჭაბუკამ ძმასთან და დედასთან ერთად დატოვა პოლიციის განყოფილების შენობა. მათელი ამ დროის მანძილზე ალიკას ჯამრთელობის მდგომარეობა არავის ახსოვდა, მთელი მათი გონება ჭაბუკათი იყო დაკავებული.

ახლა კი, როცა ყველანი დამშვიდდნენ, გადაწყვიტეს კლინიკაში გაევლოთ..იქ მისულებს მიღების საათები დამთავრებული დახვდათ. საინფორმაციო განყოფილებაში იკითხეს ავადმყოფის მდგომარეობა.

თეთრხალთიანმა ახალგაზრდა ქალმა რეანიმაციულ განყოფილებაში დარეკა და ოჯახის წევრებს კარგი ინფორმაცია მიაწოდა.ალიკა ხვალიდან გადაყვანილი იქნებოდა პალატაში, სადაც თავისუფალად შეძლებდნენ მის მონახულებას. ყველანი კმაყოფილნი გაუყვნენ სახლის გზას. უკვე კარგად შებინდებული იყო შინ რომ დაბრუნდნენ.

მარგოს ახლაღა გაახსენდა, რომ მთელი დღის განმავლობაში არც ერთს ლუკმა არ ჰქონდა ნაჭამი.

სასწრაფოდ ხელები დაიბანა, სამზარეულოში შევიდა, სალათი მოამზადა. მაცივარში თუ რამ იყო, წინა დღის ნარჩენი მზა საკვები, სუფრაზე შემოდგა, შვილებს უხმო და მათთან ერთად ივახშმა.

– დედა, როგორც კი ეს სიტუაცია დაწყნარდება, მე სამუშაოს მოვძებნი ცოტათი მაინც რომ შეგეხიდოთ. ჩემთვის შრომა არც ისე ძნელია. –თქვა მირზამ.

-სწავლას არ მინდა ჩამორჩე შვილო.

-არა, დედა, მაგაზე არ იდარდო. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ თქვენი შრომა წყალში არ ჩავყარო.

– ვის ჰყავს შვილი ჩემისთანა?! ალბათ ძალიან ცოტას თუ ეყოლება ჩემნაირი შვილები. მეამაყებით ორივენი, დედა გენაცვალოთ თქვენ !

– არც ჩემზე იდარდო, დედი.

მეც ვიშრომებ რომ მთლად თქვენ არ ჩამოგეკიდოთ ყელზე. თან ვისწავლი.ხომ ხედავ ჩემი ძმა ისე კარგად მამზადებს მისაღები გამოცდებისთვის, რომ რეპეტიტორი არც კი მჭირდება. ამითაც ვზოგავთ ფულს.

– შენ არასოდეს გიცხოვრია დამოუკიდებელად და გაგიჭირდება შვილო,

მირზას კი აქვს გამოცდილება და მისი იმედი მაქვს.

– ჩემი იმედიც გქონდეს დედი. ოდესღაც ხომ უნდა დავიწყო დამოკიდებულად ცხოვრება და რაც უფრო ადრე დავიწყებ, უფრო ავუღებ ალაღოს.

– კარგი შვილებო. ახლა დაისვენეთ. დღეს საკმაოდ მძიმე დღე გვქონდა. ორივენი წამოდგნენ. დედას ძილინებისა უსურვეს და საძინებელში შევიდნენ.

– ჩემო მზეჭაბუკო როგორი შიში ჭამე დღეს.და ჩვენც გვიწილადე...

– ეჰ, შიშით მართლაც შემეშინდა. არც კი მეგონა ცოცხალს თუ დამტოვებდნენ. ალბათ სიკვდილს ვერც გადავურჩებოდი, პოლიციას რომ არ მოესწრო. – კარგი, ნუღარ ვიფიქრებთ ამაზე. დავიძინოთ, ხვალე უნივერსიტეტში უნდა წავიდე.

– მე კი ჩემს მონაცემებს განვათავსებ ინტერნეტსივრცეში, იქნებ რაიმე სამუშაო ვიშოვო.

– კარგს იზამ. ჩვენს მშობლებს ტვირთი უნდა მოვუხსნათ მხრებიდან.მეც იგივეს გავაკეთებ. ახლა კი ძილი ნებისა ჩემო მზესავით ჭაბუკო, – თქვა მირზამ და და მხარი იცვალა.

– ტკბილი ძილი მირზა.

ორივეს მალე ჩაეძინა.

ღამემ მშვიდად ჩაიარა.

დილაადრიან წამოდგა მირზა, ფეხაკრებით გავიდა საძინებელიდან. ფრთხილობდა, რომ ძმა არ გაეღვიძებინა.

აბაზანაში შევიდა, შხაპი მიიღო, ტანთ ჩაიცვა და სამზარეულოში გავიდა. მიესალმა დედას, რომელსაც მათელი ღამე თვალი არ მოეხუჭა და ადრიანად წამომდგარიყო, თან, საუზმეც უკვე მოემზადებინა შვილისთვის.

უცებ წაისაუზმა, დედას დაემშვიდობა და გზას გაუდგა.

უნივერსიტეტში მისულს მეგობრები შემოეხვივნენ: –კეთილი იყოს შენი გამოჩენა მირზა, ხომ მშვიდობა გაქვს? რატომ არ იყავი ეს დღეები?

– მამის ავადმყოფობის გამო, – მოკლედ აუხსნა ვაჟმა, შემდეგ თვალი მოავლო იქაურობას ისე, თითქოს ვიღაცას ეძებდა.

აუდიტორიის კარი გაიღო. ნიტა შემოვიდა. მათი თვალები ერთმანეთს გადაეყარა. გოგოს სახეზე ცეცხლი წაეკიდა, მთელ სხეულში მდუღარე წყალივით დაუარა ცხელმა, სისხლმა გულში დამარხული გრძნობა წამში გამოეფინა სახეზე და მთელს აუდიტორიას მოაფრქვია სიყვარულის სხივები.

მეგობრებს დაბმეული მიესალმა. უხერხულობის გასაფანტად მირზა მიეგება და ჰკითხა: როგორ ხართ ნიტა? რაღაც აღელვებული ჩანხართ, წყალი ხომ არ მოგაწოდოთ?

– არა, გმადლობთ. კარგად ვარ. თქვენ რატომ არ იყავით ეს დღეები?

– ოჯახურ პირობებში გამო, – მიუგო ვაჟმა.

ზოგიერთმა ენაგრძელმა თანაკურსელმა თავი ვერ შეიკავა და ერთმანეთში დაიწყო ჩურჩული იმაზე, რომ ნიტა ყურებამდე იყო შეყვარებული მირზაზე თუმცა არა მხოლოდ ნიტა იყო მასზე შეყვარებული აღმოჩნდა რომ შურის თვალით უცქერდა ნუციკო, რომელიც ჩუმად მალავდა გულში მირზას სიყვარულს და ელოდებოდა იმ დღეს როდის მოიაქცევდა ვაჟი მას ყურადღებას.ახლა კი მიხვდა რომ ნიტამ გაიმარჯვა. ისიც თვალნათლივ დაინახა რომ არც მირზა იყო გულგრილი მის მიმართ და შურით აღივსო.

მარგო და ჭაბუკა კლინიკაში მივიდნენ. ალიკა იმ დროს რეაბილიტაციის კურსს გადიოდა. ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ თავის პალატაში შემოიყვანეს. ძალიან გაუხარდა ოჯახის წევრების ნახვა. ვიდრე ნახვის საათები არ ამო წურა, ერთად იყვნენ.

ალიკას ჯამრთელობის მდგომარეობა ბევრად უკეთესი იყო. ამ რამდენიმე დღეში გაწერდნენ კლინიკიდან.

რამაზი ბავშვთან თამაშში იყო გართული, რა დროსაც ტელეფონის ზარის ხმა შემოესმა. ბავშვი საწოლზე დასვა, ტელეფონს დახედა. უცხო ნომერი იყო. –გისმენთ. ვინ გნებავთ?

– რამაზს ვეძებთ.

– ვინ მკითხულობს?

– გთხოვთ გამოცხადდეთ განყოფილებაში. დამნაშავე დაკავებულია.

– კარგი, ბატონო. რამდენიმე წუთში მანდ ვიქნები.

სახლიდან გამოსულმა ტაქსი გააჩერა და მისამართი მიუთითა. მძღოლმა რამდენიმე წუთში მანქანა პოლიციის განყოფილების შესასვლელთან გააჩერა. რამაზი გადმოვიდა დინჯად გაირა დერეფენი. ერთ კართან შეჩერდა. დააკაკუნა.

– მობრძანდით ! გაისმა მამაკაცის ბოხი ხმა.

მანაც არ დააყოვნა კარის ზღურბლს გადააბიჯა გამარჯობათ ბატონო სერგო! მიმართა მას.

– გამარჯობათ. დაბრძანდით.

სერგომ ბრძანება გასცა დამნაშავე შემოიყვანეთ.

ქილერა ბადრაგის თანხლებით მოიყვანეს.

სერგომ რამაზს ჰკითხა:–იცნობთ ამ კაცს?

– არა არასდროს არსად მინახავს.

– ეს გახლავთ თქვენი მანქანის ქურდი.

უეცრად რამაზს ნერვი აუტოკდა,მუშტი მოიმარჯვა უნდოდა მაგიდაზე მთელი ძალით დაერტყა, მაგრამ წამში გაანალიზა სად იმყოფებოდა და თავი შეიკავა.

მხოლოდ იკითხა ზარალს ვინ ამინაზღაურებს?

– სადაზღვევო კომპანია.მიუგო სერგომ.

– მანქანის წაყვანას როდის შევძლებ?

– ამ საკითხს განვიხილავთ და დაგიკავშირდებით.

– თუ სხვა რაიმე საქმე არა გვაქვთ ჩემთან, თქვენის ნებართვით დაგტოვებთ.

– შეგიძლიათ მობრძანდეთ და ჩვენს ზარს დაელოდო.

ლექციების შემდეგ მირზამ გადაწყვიტა ნიტასთან ერთად გასეირნება, რაზედაც ქალი სიამოვნებით დაეთანხმა და ერთად დატოვეს უნივერსიტეტის კედლები.

ნუციკო შორიდან უყურებდა მათ და თვალებზე მომდგარ ცრემლებს მალიმალ იმშრალებდა, თანაც, საკუთარ თავს რჩევას აძლევდა, მორეოდა თავს და რაც შეიძლებოდა მალე ამოეღო გულიდან მტანჯველი ცალმხრივი სიყვარული.

პირველი გასეირნება ორივესთვის რამდენიმე წუთი დაძაბული აღმოჩნდა. ერთად მიუყვებიდნენ ქუჩებს, მაგრამ ხმის ამოღებას ვერც ერთი ვერ ბედავდა.

ბოლოს მირზამ დაარღვია სიჩუმე:

– ნიტა წავიდეთ, ბარში დავსხდეთ, ყავა ან რაიმე გრილი სასმელი მივირთვათ.

– კარგი, მორცხვად დაეთანხმა გოგო.

ორივენი იქვე ახლო მდებარე ბარში შევიდნენ.

14

მირზამ ალკოჰოლიანი ცივი სასმელი შეუკვეთა. იფიქრა, ცოტა სითამამეს შეგვმატებს ორთავესო, თან რამდენიმე ნამცხრის ნაჭერიც აირჩია ნიტასთან შეთანხმებით. ნელ-ნელა წრუპავდნენ სასმელს, თანაც საუბრობდნენ. იმდენად ემთხვეოდა მათი აზრები ერთმანეთს, ორივეს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს წლებია ერთმანეთს იცნობდნენ. საუბარში დრო ისე

გაიპარა ვერც კი შენიშნეს. მხოლოდ ზარის საპასუხოდ აღებულ ტელეფონზე დახედა მირზამ საათს და თქვა:

– ოჰ, რა დრო გასულა?! ჩემები მეძებენ.

გისმენ, ჭაბუკა.

რა ხდება, ხომ მშვიდობაა?

– ეს მე უნდა გკითხო, სად დაიკარგე? ციცი დეიდა და რუსუდანი გველოდებიან, შენი ნახვა უნდათ. შემდეგ ერთად მივდივართ მამას სანახავად.

– მეგობარს გავაცილებ სახლამდე და მოვალ.

– დიდხანს არ გვალოდინო.

– კარგი, გავიგე.

ტელეფონი დადო. სალაროსთან მივიდა, თანხა გადაიხადა და ნიტას ჰკითხა:

– სად ცხოვრობთ ძვირფასო?

– ვაჟა–ფშაველას გამზირზე.

– ოჰო, მეზობლებიც ვყოფილვართ.

– შენც ვაჟა-ფშაველას გამზირზე ცხოვრებ?

– დიახ, მეტრო უნივერსიტეტის მახლობლად მდებარე ბინაში.

– მე კი მოპირდაპირე მხარეს ვცხოვრობ. –ძალიან კარგი. გზა ერთი გვაქვს, თავისუფალ დროსაც შეგვიძლია ერთმანეთს შევხვდეთ, თუ წინააღმდეგი არ იქნები, –უთხრა მირზამ.

– საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

რამდენიმე წუთში მირზამ ნიტა სახლამდე მიაცილა, დაემშვიდობა და სახლში ავიდა, სადაც ციცი და რუსუდანი ელოდებოდნენ.

რამდენიმე დღე იყო გასული, რაც ერთმანეთი არ ენახათ.ერთმანეთს თბილად მიესალმნენ. რუსუდანი მისი სწავლით დაინტერესდა. მირზამ მოკლედ აუხსნა, რომ ყველაფერი ისე მიდიოდა წინ, როგორც თავად სურდა, თვითონაც დაინტერესდა დეიდაშვილის მიღწევებით. ერთმანეთის წარმატებული სწავლით კმაყოფილნი დარჩნენ.

მარგომ ტაქსი გამოძახა და ყველანი ალიკას სანახავად წავიდნენ. მისულებს ალიკა საწოლზე დახვდათ წამომჯდარი და ცდილობდა დამოუკიდებლად წამოდგომას, მაგრამ ვაჟებმა ამის საშუალება არ მისცეს. მარგომ ზარის ღილაკს თითი დააჭირა. მალევე მედდა შემოვიდა. – ქალბატონო შეიძლება პაციენტის მოძრაობა?

– თქვენი დახმარებით შეიძლება რამდენიმე ნაბიჯი გაიაროს, მარტო კი, ჯერჯერობით არ შეუძლია.

ძმები მხარში ამოუდგნენ მამას და რამდენიმე მეტრზე გაატარეს. ალიკამ დაღლა იგრძნო და შვილებს სთხოვა საწოლამდე მიეყვანათ. ბიჭებმა თხოვნა შეუსრულეს. ცოტა ხანს კიდევ დარჩნენ იქ. შემდეგ ჭაბუკა და მარგო ციცისთან წავიდნენ.

მირზამ სამეცადინო მაქვსო, მოიმიზეზა და სახლისაკენ მიმავალ გზას დაადგა. სახლში მისულმა ცოტა წაიხემსა, ტანსაცმელი გამოიცვალა, ტელეფონი აიღო და ნიტას წერილი მისწერა:

– თუ შეგიძლია სადმე დავჯდეთ და ერთად ვიმეცადინოთ, ასე ორივესთვის უკეთესი იქნებაო. "ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო",ნათქვამია – ნიტასაც ეს უნდოდა. წიგნებს ხელი დაავლო, სარკის წინ ერთი დატრიალდა, თავის ორეულს შესცინა, თვალი ჩაუკრა და ბედნიერი ღიმილით დატოვა სახლი. ქუჩა ლამის სირბილით გადაჭრა და ბინის კუთხეში დაელოდა მირზას გამოჩენას.

მალე ისიც მოვიდა.ორივენი ავტობუსის გაჩერებაზე მივიდნენ და ვაკის პარკის მიმართულებით მივავალ ავტობუსს გაჰყვნენ. დაახლოებით ოც წუთში პარკში შევიდნენ, მყუდრო ადგილი მოძებნეს, დასხდნენ და მომდევნო დღისთვის კარგად მოემზადნენ, თან ერთმანეთს თავიანთი მიზნები გაანდეს. კარგად შებინდებული იყო, როცა პარკის ტერიტორია დატოვეს.

– ნიტა, წინააღმდეგი ხომ არ იქნები ყოველთვის ერთად რომ ვიმეცადინოთ ხოლმე?– ჰკითხა მირზამ.

– რატომ უნდა ვიყო წინააღმდეგი, როცა შენ იმდენად კარგად ხსნი თვითოეულ პუნქტს, რომ ლექტორი მგონიხარ. თან შენს გვერდით თავს კარგად ვგრძნობ.

– მეც კარგად ვგრძნობ თავს შენს გვერდით და მინდა რომ ჩვენი შეხვედრები გაგრძელდეს. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

– რა თქმა უნდა, თუ შენი სურვილიც იქნება...

– კარგი, მირზა. შევხვდეთ. დანარჩენი ღმერთის ნებაა! –თქვა ნიტამ და ღაწვები ცეცხლის ალივით აენთო.

მირზამ იგი სახლმდე მიაცილა. წამში გადაკვეთა გზა, თავის სადარბაზოში შევიდა, ლიფტით ავიდა.კარები გააღო.

– მოხვედი შვილო? – შემოეგება მარგო – რატომ გაქვს ტელეფონი გამორთული, ლამის პოლიცია გამოვიძახე. – მაპატიე, დედა, სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ მეგობარს ვხვდებოდი. ერთად ვიმეცადინეთ. რომ არავის შევეწუხებინე ტელეფონი გამოვრთე და ჩართვა დამავიწყდა.

–კარგი, შვილო. მთავარია კარგად ხარ.

– ჭაბუკა სად არის? თავის ოთახშია და კითხულობს.

მგონი სამსახური იპოვა.

– ყოჩაღ !რა სამსახურია? –მაღაზიაში დამხმარედ მოეწყო, ასე რომ ვთქვათ, ტვირთის მტვირთავად დილიდან თორმეტ საათამდე.

– ხელფასი რამდენი ექნება?

– ასე თქვა სამასორმოცდათი ლარიო.

– მაინც კარგია, თავისი ჯიბის ფული ექნება.

ახლა კი შევალ მასთან და გავიგებ რა ისწავლა.

– კარგი, შვილო, მეც დავისვენებ.

– ძილი ნებისა დედა.

– ტკბილი ძილი და უფალის წყალობა ჩემო შვილებო თქვენ.

მირზა ოთახში შევიდა. აბა ჩამოარაკრაკე რა ისწავლე ჩემო აბიტურიენტო?

ჭაბუკამ კონსპექტები გვერდზე გადადო და მირზას დასმულ კითხვებს უპასუხა

– შენ არ ხუმრობ, ჩემო ძმაო, თითქმის მზად ხარ გამოცდების ჩასაბარებლად.

– აბა რა გეგონა.მე სამსახურიც ვნახე. ხვალ დილაადრიან სუპერმარკეტ "ორ ნაბიჯში" უნდა მივიდე.

იქ ვიწყებ მუშაობას.

– ყოჩაღ, ჩემო მზეჭაბიკო.

– ერთი ეს მითხარი სად დაიკარგე მთელი საღამო, ქალთან ერთად ხომ არ გაგვეპარე და იმიტომ დაგვიძვერი ხელიდან?

– მეგობარ გოგონასთან ერთად ვიყავი, მაგრამ არა ისე, შენ რომ ფიქრობ. ხვალინდელი დღისთვის მოვემზადეთ.

– რა კარგი მასწავლებელი შეურჩევია იმ გოგოს.

– არც ის არის ნაკლები.

– რა ჰქვია!

– ნიტა?

– სად ცხოვრობს?

– აქვე ახლოს.

– ხომ გამაცნობ.

– ჯერ კარგად არც მე ვიცნობ, მოთმინება იქონიე,ჩემო ძმაო და დედას არ უთხრა.

– არა რა უნდა ვუთხრა

– ახლა კი დავიძინოთ. ხვალ ორივე ადრე უნდა ავდგეთ.

– კარგი.ძილინებისა.

– ძილინებისა.

მშვიდი ღამე იყო. მოწმენდილ ცაზე ბადრი მთვარე ამოგორებულიყო და ქალაქს ლამპიონივით ანათებდა. აქა – იქ, სადღაც, უსასრულობაში რამდენიმე ვარსკვლავი ბრწყინავდა.

მარგოს სიზმარმა ძილი დაუფრთხო. წამოდგა. ფანჯარა გამოაღო. ესიამოვნა ღამის გრილი ჰაერი. ფანჯრის ჩარჩოს ჩამოეყრდნო და ცას გახედა.

– ო, რა ჩირაღდანივით ანათებს არემარეს მთვარე,რა ლამაზი ღამეა. ალიკა რომ იყოს სახლში, სიამოვნებით გავისეირნებდი მასთან ერთად, ისეთი რომანტიული საღამოა.

მეუღლის გახსენებაზე ფიქრები აიშალნენ და მრავალი კითხვა გაუჩნდა:

"– ნეტავ შეძლებს დამოუკიდებლად გადაადგილებას? ანდა საუბარს თუ გამოასწორებს?

ან კიდევ, რა მოხდება სასამართლომ იმ ქილერას გირაოთი გამოშვება რომ დაუშვას? რა გვეშველება? იგი თავს ასე ადვილად არ დაგვანებებს.

ეჰ, მარგო, დაელოდე მოვლენებს, თავი გაინთავისუფლე ამ აბეზარი ფიქრებისგან და დატკბი ბუნების ჯადოსნური სილამაზით– უთხრა თავის თავს და ვარაკვლავებს დაუწო ყურება,– ჩემს ბავშვობაში როგორი ვარსკვლავებით მოჭედილი ცა იყო, ახლა კი თითო –ოროლა შემორჩენია ამოდენა ცას. ეჰ, როგორ ყველაფერი შეიცვალა და გადაგვარდა, როგორც ადამიანები, ასევე ბუნებაც. ყველაფერმა დაკარგა ადრინდელი სილამაზე,

იმიტომ ხდება ამდენი უბედურება, ქვეყნად კაცი კაცს აღარ ჰგავს და ქალი ქალს...

რწმენა აღარ არსებობს ამ ქვეყნად და როცა ადამინებში რწმენა იკრგება, იქ იწყება ადამიანობისა და ღირსების დაკარგვაც, რასაც ბუნება აღარ გაპატიებს."

უეცრად ლოცვა აღმოხდა ხმამაღლა:

– ღმერთო შენ დაიფარე ეს ცოდვილი სამყარო და ჩემი ოჯახი.

შემდეგ წამოდგა. ფანჯრები დახურა და ისევ საწოლს მიუბრუნდა. ბევრი იწრიალა საწოლში, ძლივძლივობით ჩაეძინა.

15

ირიჟრაჟა. ცას სილურჯე შეეპარა. თანდათან გაკრთნენ ისედაც გაცოტავებული ვარსკვლავები. აქა –იქ მამლის ყივილი ისმოდა. ქალაქს თანდათან გამოეღვიძა და სიცოცხლის ელფერი დაედო. ჯერ კიდევ მშვიდად მძინარ ძმებს მამლის ყივილი ტკბილ მუსიკასავით ჩაესმოდათ ყურში. უეცრად მაღვიძარამ დარეკა. ორივეს გაეღვიძა. ერთმანეთს მიესალმნენ. საწოლიდან სწრაფად წამოდგნენ. მოემზადნენ. მირზა სამზარეულოში გავიდა.

გაუკვირდა დედა რომ არ დახვდა.

ფეხაკრეფით შევიდა მისაღებ ოთახში. რა დაინახა ტკბილად მძინარი დედა, ისევ უჩუმრად გაბრუნდა უკან და თავად მოამზადა საუზმე. ძმებმა ჩაი და თითო ნაჭერი ხაჭაპური მიირთვეს და ერთად დატოვეს სახლი.

– აბა შენ იცი, ძმაო, თავი კარგად მოაწონე შენს უფროსებს, რომ აგიყვანონ სამუშაოდ.

– ვეცდები.

– რომ დაბრუნდები, რაც მოგინიშნე ნასწავლი დამახვედრე, არ იზარმაცო.

– არის უფროსო! – უთხრა ძმას ჭაბუკამ და ავტობუსში ავედა.

დილით ალიკასთან თავისი ადვოკატი მივიდა და აუწყა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი განთავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან, ამასთან ბრალი წარედგინა თანამდებობის ბოროტად გამოყენებისთვის.და რადგან სიძე –ცოლისძმას დიდხანს მოუწევდათ ციხის კედლების ყურება, რათქმაუნდა, თუ ბრალი დაუმტკიცდებოდათ და ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ასე მოხდებოდა, ალიკას შეეძლო მშვიდად გაეგრძელებინა ცხოვრება.

– ბატონო ალიკა, რის საფუძველზე მოხდა თქვენი სამსახურიდან განთავისუფლება?

– მკვლელობის საქმის გამო, რომლის გამოძიება მე მევალეობოდა.

მე ვერ შევძელი უდანაშაულო კაცისთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, რის გამოც ჩემი სიკვდილის განაჩენს მოაწერეს ხელი, როგორც ჩანს და კი მხედავთ რა დღეშიც ვარ.

ქილერასთვის ექიმს რომ არ შემოესწო ცოცხალი არ ვიქნებოდი,მაგრამ ვინც იყო, გთხოვთ შეეშვით, არ მინდა ჩემს გამო ჩემი ოჯახის წევრები ისჯებოდნენ.

– იცით თუ არა, რომ ქილერამ ამ რამდენიმე დღის წინ თქვენი შვილი გაიტაცა, რის ნიადაგზეც დააკავეს?

– ღმერთო ჩემო, ეს არ ვიცოდი,-

გაბზარული ხმით წარმოთქვა ალიკამ.

– თქვენს მდგომარეობას გაუფრთხილდნენ და იმიტომ არ გითხრეს. ამის საფუძველზე, უმჯობესია დასასჯელი მკაცრად დაისაჯოს, დაფარვა ცუდ შედეგამდე მიგვიყვანს, ეს ჩემგან არ გესწავლებაათ თქვენ.

– დავფიქრდები, ბატონო დავით. გავაანალიზებ და როგორც უმჯობესი იქნება, ისე მოვიქცევი.

შესაძლებელია, მათი ზეწოლის შედეგად არასწორად გამოძიებულ საქმეებსაც აეხადოს ფარდა.

– არც მე ამცდება სასჯელი,თუმცა, საკმაოდ დამსაჯა განგებამ ამის გამო.

– ახლა კი დაგტოვებთ ბატონო ალიკა, მალე გამოჯანმრთელებას გისურვებთ.

– გმადლობთ, ბატონო დავით! შეხვედრამდე.

ადვოკატის წასვლის შემდეგ, ალიკას პალატა ში ექიმები შემოვიდნენ. გაესაუბრნენ, გასინჯეს, ექთანს სისხლის ანალიზის აღება დაავალეს და სხვა პალატაში გადაინაცვლეს.

ორ დღეში ალიკას ანალიზის პასუხები მზად იყო. გადახედეს და მიიღეს გადაწყვეტილება ალიკას სახლში გაწერის შესახებ, რადგან მკურნალობის სრული კურსი დასრულდა. მხოლოდ რამდენიმე თავი წამალი უნდა მიეღო, რასაც სახლის პირობებშიც შეძლებდა.

მისმა მკურნალმა ექიმმა გაწერის ფურცელი შეავსო და ალიკასთან შევიდა.

– ბატონო ალიკა გილოცავთ! თქვენ შეგიძლიათ წაბრძადეთ სახლში და იქ გააგრძელოთ წამლების მიღება. ამადთან, ოჯახთან ყოფნა უკეთეს შედეგს გამოიღებს.

– უღრმესი მადლობა ექიმო, ყველფერი იმისათვის, რაც ჩემთვის გააკეთეთ.

– ეს ჩემი მოვალეობაა, ბატონო ალიკა!

– თქვენ მოვალეობას თან ერთად ადამიანობა გაგაჩნიათ და უდიდესი სითბო, რაც ავადმყოფს წამალზე მეტად რგებს ხშირად..

– გმადლობთ,ბატონო!

ახლა კი თქვენს მეუღლეს შევატყობინებ თქვენს შესახებ.

მარგო ოჯახის საქმეებით იყო დაკავებული, როცა ტელეფონმა დარეკა. – გისმენთ, ჩასძახა ქალმა.

– ქალბატონო მარგო, თქვენი მეუღლის ექიმი გაწუხებთ.

– რა ხდება, ხომ მშვიდობაა მღელვარება დაეტყო ხმაში ქალს.

დიახ მშვიდობაა? აღელდა ქალი.

– თქვენი მეუღლე გაწერილია კლინიკიდან, შეგიძლიათ მობრძანდეთ და წაიყვანოთ.

– კარგით, გმადლობთ. მოვალ.

მარგო დაფიქრდა, როგორ შეძლებდა მარტო წამოყვანას? ტელეფონი აიღო, მირზას დაურეკა.

რამდენიმე ზარის შემდეგ ვაჟმა უპასუხა.

– გისმენ, დედა, ხომ კარგად ხარ?

– შვილო, ალიკა, გამოწერეს და მარტო ვერ შევძლებ სახლში ამოყვანას, თორემ იქ კი დამეხმარებიან... – წადი, დედა და მეც მალე მოვალ. ჭაბუკაც უკვე წამოვიდა. მე გავურეკავ და ორივენი თქვენს გვერდით გავჩნდებით.

ჭაბუკა სამსახურიდან ბრუნდებოდა, როცა ძმამ ტელეფონის საშუალებით ამცნო მამის კლინიკიდან გაწერის შესახებ და უთხრა, რომ მისულიყო საავადმყოფოში.

ვაჟს გაუხარდა მამას შინ რომ მოიყვანდა, სიხარულმა კი დაღლილობა დაავიწყა. ავტობუსიდან მომდევნო გაჩერებაზე ჩამოვიდა, გზა გადაკვეთა, ისევ გაჩერებაზე დადგა, ვიდრე საჭირო მიმართულებით მიმავალი ტრანსპორტი არ მოვიდა. რამდენიმე წუთში უკვე კლინიკაში იმყოფებოდა მამასთან ერთად. მალე მარგო და მირზაც მოვიდნენ. ძმები მხარში ამოუდგნენ მამას და ლიფტში შეიყვანეს, ძირს კი ტაქსი ელოდებოდათ..ალიკას თითქოს მარწუხები ახსნეს, ისეთი თავისუფლების შეგრძნება დაეუფლა, როცა გარეთ გამოვიდა და სუფთა ჰაერი

ჩაისუნთქა.მალე სახლში ავიდნენ. რადგან მხოლოდ ერთი საძინებელი ჰქონდათ, ძმებმა მშობლებს ადგილი გაუცვალეს.

– დივანზე მამა კარგად ვერ დაისვენებს, – განაცხადეს ძმებმა და ალიკა თავიანთ საწოლში დააწვინეს.

რადგან მირზას სამეცადინო ჰქონდა ოჯახს განუცხადა, რომ მეგობართან ერთად სურდა მომდევნო დღისთვის მომზადება. თავის სასწავლო ნივთებს ხელი დაავლო, გარეთ გამოვიდა და ნიტას წერილი მისწერა. გამოდი, გელოდებიო და ლიფტს ჩაჰყვა. რამდენიმე წუთში თვალებგაბრწყინებული ნიტაც მოვიდა ვაჟს გაუღიმა, ერთმანეთს ხელჩაკიდებულებმა რამდენიმე გაჩერება ფეხით განვლეს.

მირზამ მაკდონალდსი დაინახა, წამოდი ნიტა შევიდეთ დღეს ერთი ლუკმა არაფერი ჩამიდევს პირში. ავიღოთ რაიმე,თუ ბევრი ხალხი არ იქნება იქაც შევძლებთ სწავლას.

ნიტამ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა. ორივენი შიგნით შევიდნენ. მონიტორზე მენიუ შეარჩიეს ვაჟმა საფასური საკრედიტო ბარათით გადახდა ადგილი შეარჩია დასხდნენ და დაელოდენ როდის გამოცხადდებოდა მათი რიგის ნომერი.

დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებიათ, მირზამ აიღო შეკვეთა, ნიტას მიართვა და თავადაც გვერდით მიუჯდა.

16
დასასრული

მირზა შინ გვიან დაბრუნდა.

მარგომ იგი კარგად შეათვალიერა და გაიფიქრა: "– რაღაც ცვლილებებს ვამჩნევ მასში, მაგრამ ჯერჯერობით თავს შევიკავებ შეკითხვებისგან, რადგან ისედაც ვხვდები, რომ შეყვარებულია და ზედმეტი კითხვებით არ შევაწუხებ. მოვა დრო და თავად იტყვის."

ჭაბუკამ თავალი ეშმაკურად ჩაუკრა, ანიშნა –როგორ მიდის საქმეებიო? –ძმას გაუღიმა და მამასთან შევიდა: –აბა, როგორ ხარ ჩემო ლომო?– ჰკითხა მას.

– ეჰ, ჩემო ვაჟკაცო, კი ვარ დაჭრილი, ბებერი ლომივით.

– ნუ გეშინია,მამა, მალე კარგად იქნები.

– შვილო ერთი რამ მინდა გთხოვო.

– რამდენიც გენებოს მთხოვე, მამა!

– მინდა, რომ მანქანის ტარება ისწავლო. ხომ ხედავ, ერთი მძღოლი გვჭირდება ოჯახში.ჩემი მანქანა გასაკეთებელად აღარ ღირს გავყიდი და ახალს ვიყიდი. ვფიქრობ ქუთაისის სახლიც გავყიდოთ და სადმე აქვე ვიყიდოთ მეორე ასეთი ბინა – ერთად □□□□□□□□ ყველანი.

–ეს ძალიან კარგია მამა, მაგრამ ისეთ სახლს, როგორიც გვინდა –თავისი ეზოთი, აქ ვერასოდეს შევწვდებით და ნუ ვიჩქარებთ. აქაც შეგვიძლია ერთად მოვთავსდეთ, შემდეგ მომავალი გვიჩვენებს როგორ მოვიქცეთ. ხომ ხედავ, ჭაბუკამ მუშაობა დაიწყო, მეც შევასრულებ შენს თხოვნას, ავიღებ მართვის მოწმობას, მანქანის ტარებაზე ვივლი,მუშაობასაც დავიწყებ.დედას პენსიით და ჩვენი ხელფასით თავს ვირჩენთ. მალე შენც დაგენიშნება მეორე ჯგუფის ინვალიდობის პენსია და ის კი შევინახოთ, ვინ იცის რაში დაგვჭირდება.

– კარგი, ჩემო ჭკვიანო შვილო,

მართალი ხარ. ისეთ სახლს, როგორიც გვინდა, აქ ვერასოდეს ვიყიდი.

არ ავჩქარდები. იქნებ, კიდეც შევძლო დამოუკიდებლად გადაადგილება.

– მამა ფიზიოთერაპისტს მოგიყვან და ის დაგეხმარება გამოჯანმრთებაში – სპეციალურ მასაჟებს გაგიკეთებს.

– კარგი, ჩემო ვაჟკაცო. ახლა დაისვენე, დაღლილი იქნები.

– კარგი, მამა. ძილი ნებისა.

– ძილი ნებისა, შვილო.

რა დაიმარტოხელა ჭაბუკამ მირზა, ჰკითხა:

– როგორ მიდის შენი იდუმალი შეხვედრები?

– მშვენივრად ვუგებთ ერთმანეთს.

ახლა დავიძინოთ მეტი მაინც არაფერი მაქვს სათქმელი.

დილით ალიკას თავისმა ადვოკატმა ტელეფონით აცნობა, რომ რამდენიმე დღეში სასამართლო პროცესი დაიწყებოდა და როგორმე უნდა დასწრებოდა.

აუდიტორიაში შესულ მირზას ერთდოულად მრავალი თვალი შემოეგება, განსაკუთრებით კი ნუციკოს გაავებული მზერა მოხვდა თვალში. უეცრად დაიბანა, ვერ გაეგო რატომ უმზერდნენ ცნობისმოყვარე თვალებით.

მერე გონს მოეგო და გაახსენდა მაკდონალდსში შემოსული თანაკურსელი, რომელმაც ნიტასთან ერთად ნახა. ახლა კი მიხვდა, რომ კურსელემა ამის შესახებ უკვე იცოდნენ.

თუმცა დასამალი არაფერი ჰქონდა რაიმე, მხოლოდ ნუციკოს მოხვდა ცუდად ეს ამბავი გულზე. იმდენად, რომ გაიფიქრა:-რაც არის არის, ვეცდები დავივიწყოო", თუმცა, ჯერჯერობით გულის მბრძანებლობა არ შეეძლო მაგრამ სწამდა რომ ერთ დღეს აუცილებლად შეძლებდა, რომც ვერ დაევიწყებინა თავმოყვარეობა და ზნეობა შურისძიების უფლებას არ მისცემდა.

რამდენიმე დღის შემდეგ სასამართლო პროცესი შედგა. ალიკამ ჩვენება მისცა ქილერას წინააღმდეგოდ. თქვა, რომ იგი ორჯერ შეეცადა მისი სიცოცხლის ხელყოფას. ასევე, აღიარა ისიც, რომ პროგრამისტი ქალის ნამდვილი მკვლელი ქილერა იყო და არა ის ახალგაზრდა, რომელიც სასჯელს ცრუ ბრალდების გამო იხდიდა.

მან ასევე ბრალი დასდო ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს დანაშაულის დაფარვის მცდელობაში და სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებაში.

სასამართლოს ხელთ არსებული ყველა დაზუსტებული ჩვენება ამტკიცებდა მათ მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულს, რის გამოც, ქილერას ბრალად ედებოდა: მკვლელობა,ადამიანის მკვლელიბის მცდელობა და ადამიანის გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით. მას სასამართლომ 15 დან 20 წლამდე პატიმრობის მუხლი შეუფარდა.

მის მეგობარს 5 დან 7 წლამდე, თუმცა ექვემდებარებოდა გასაჩივრებას.

ყოფილ მინისტრს კი 3 წლამდე პარიმრობა მიესაჯა.

დრომ სწრაფად გაირბინა. მისაღები გამოცდების ციებ-ცხელება დაიწყო. ჭაბუკა დღედაღამ მეცადინებდა და გამოცდებიც წარმატებით ჩააბარა. მააღალი ქულებით ჩაირიცხა სამედიცინო უნივერსიტეტში, რაც ოჯახმა საზეიმოდ აღინიშნა.

ორივე ძმა სტიპენდიანტი იყო, ორივენი სწავლას შრომას უთავსებდნენ და ოჯახი ერთმანეთის ხელშეწყობით ბედნიერად მიიწევდა წინ.

ერთ საღამოს მირზა გვიან დაბრუნდა სახლში. მარგომ ვეღარ მოითმინა და ჰკითხა: – შვილო, შენს თვალებში რაღაც უცნაური სხივი ციმციმებს, რა ხდება?

– არაფერი, დედა, რა უნდა ხდებოდეს?

– მე კი ვფიქრობ, რომ შეყვარებული ხარ.

ვინ არის ის ბედნიერი, ან კიდევ, არის შენი ღირსი?

– დედა, არ მინდოდა რომ მეთქვა, მაგრამ დედის თვალს ვერაფერს გამოაპარებო – ბრძენ კაცს უთქვამს და მართალი ყოფილა.

ჩემი თანაკურსელია. ძალია ჭკვიანია, დახვეწილი გემოვნების და თანაც ძალიან ლამაზი.

– მოხარული ვარ, შვილო, რადგან ასეთი კარგია,

მაგრამ, მინდა გითხრა, რომ შენ ჯერ სიყვარულის ბევრი არა გაგეგება...

– რად ამბობ ამას დედი?

– იმიტომ, რომ შენ მის ხმაში მხოლოდ რომანტიული მელოდია გესმის, ის გართობს და მის დაკრულ ჰანგებზე შენც მშვენიერად ცეკვავ,

სიყვარული, შვილო, მხოლოდ ლხინში კი არა, ჭირშიც უნდა გამოიწრთოს, ადუღებულ ვულკანის ლავაში უნდა გაატარო ისე, რომ არ დაიწვას და ამას ხელი ორივემ უნდა შეუწყოთ, თორემ დაინაცრება და ქარი იმ ფერფლს ისე გაფანტავს, ნაკვალევიც კი არ დარჩება. იმიტომ გეუბნები დღეს ამ სიტყვებს, რომ არასოდეს გააციოთ სიყვარული არც ერთმა – მას სითბო უყვარს.

– კარგი რჩევა და შეგონებაა, გმადლობთ, დედა.

– როდის გამაცნობ შენს პრინცესას? –როცა მოინდომებ.

– ხვალ უნდა შეხვდე?

– საღამოს ერთად დავსხდებით მოპირდაპირე მხარეს ბარში და იქ მოდი.

კარგი შვილო, მოვალ,ახლა კი არ მოგაცდენ.ვიცი რომ საქმე გვაქვს.

მარგო მეორე საღამოს ლამაზად გამოეწყო და ჭაბუკას სთხოვა გაჰყოლოდა.

– სად მივდივართ?, დაინტერესდა ჭაბუკა.

– აქვე ახლოს, ბარში. მინდა შენთან ერთად ცივი სასმელი დავლიო.– კი, მაგრამ როგორ მოხდა რომ ეს სურვილი დაგებადა?

-შვილო, რა არის გასაკვირი, თუ ჩემს შვილთან ერთად მინდა განმარტოვდე? თუ შენ არ გინდა რომ გამომყვე მარტო წავალ.

-არა, დედა, მარტო როგორ გაგიშვებ, – უთხრა და ხელკავი გამოსდო და ნამდვილი კავალერივით გაჰყვა გვერდით.როგორც კი ბარში შევიდნენ, მარგო შედგა, თვალი მოავლო იქაურობას. დარბაზის ერთ კუთხეში შენიშნა მირზა და ნიტა. ჭაბუკას უთხრა, რომ ორი კოქტეილი შეეკვეთა, თავად მირზას ზურგს უკან მდგარ მაგიდასთან მდგარ სკამზე ჩამოჯდა. გოგონას თვალი კარგად შეავლო.

"– კარგი გემოვნება ჰქონია ჩემს შვილს, მშვენიერი ქალიშვილია, " – გაიფიქრა. ამ დროს ჭაბუკა მოვიდა. დედის მოპირადპირე სკამზე ჩამოჯდა. – ნახე, აქ ვინ ყოფილა, – უთხრა დედას, ფეხზე წამოდგა და მირზას მხარზე ხელი დაადო. ვაჟმა თავი ასწია. –შენ აქ საიდან გაჩნდი?– ჰკითხა ძმას, თანაც ნიტას უთხრა:

– გაიცანი, ჩემი ძმა ჭაბუკა.

ნიტა ფეხზე წამოდგა, ხელი გაუწოდა, სახეზე უხერხულობისგან ცოტა წამოწითლდა კიდეც.

– მარტო ხარ თუ გახლავს ვინმე? – ჰკითხა მირზამ.

– ერთ ქალბატონთან ერთად მივედი. აი ისეც.

ვაჟი მთელი ტანით შემობრუნდა: – დედა შენც აქა ხარ?

საბრალო ნიტამ აღარ იცოდა სად დაემალა წითელი წიწაკასავით აწითლებული სახე.

მარგო ფეხზე წამოდგა, ნიტას თბილი ღიმილით მიესალმა და იქვე მის გვერდით სკამზე ჩამოჯდა.

– რას მიირთმევთ შვილებო?

– ჩვენ უკვე მივირთვით. ახლა ვმეცადინეობთ, ვიდრე აქაურობა ხალხით გაივსება. – მაშინ, არც ჩვენ შეგიშლით ხელს. წარმატებებს გისურვებთ, ჩემო ლამაზებო, – უთხრა მარგომ და თავის ადგილს დაუბრუნდა.

დედა შვილმა კოქტეილით სავსე ჭიქები დაცალეს და წასასვლელად მოემზადნენ. მარგომ ნიტას შესთავაზა მათთან მისულიყო სამეცადინოდ. ნიტაც დაეთანხმა. იმ დღის შემდეგ აღარც დასჭირვებიათ მირზას და ნიტას სამეცადინოდ მყუდრო ადგილის ძებნა. მარგომ კოხტად მოუწყო სამეცადინო კუთხე სასტუმრო ოთახში და გემრიელი ნამცხვრებიათაც ანებივდრებდა ხოლმე.

ნიტა და მარგო კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს. ალიკასაც ძალიან მოსწონდა სარძლო და კმაყოფილი იყო, რომ მირზა არ ცდებოდა არასოდეს თავის წინ გადადგმულ ნაბიჯში.

ალიკასთვის ცნობილი გახდა რომ კობას პატიმრების ვადა ამოიწურა.ცოტა შეშთოთდა, მაგრამ მალევე გაარკვია, რომ ტუპერკულოზით იყო დაავადებული და ხანგძლივი მკურნალობა ესაჭიროებოდა. ნამდვილად არ ჰქონდა საქმე ისე, რომ შური ეძია მიქაუტაძეების ოჯახზე. ერთის მხრივ, რომ მის ოჯახს საფრთხეს ვერ შეუქმნიდა გაუხარდა. მაგრამ გულში სინანულის გრაძნობა ჩამეღვარა,რომ ასეთი ახალგაზრდა ადგილი შესაძებელი იყო ა,სეთ დაცხრილული ფილტვების დაავადებას შეწირვოდა.

ექვსი წლის შემდეგ მირზა და ნიტა ორდინატურაზე სწავლობდნენ,თან პრაქტიკებს გადიოდნენ პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში.

ნუციკომ კი შეძლო დაევიწყებინა მირზა, ერთი თანაკურსელის წყალობით, რომელსაც დაუკავშირა ბედი და მეხუთე კურსზე მასთან ერთად შექმნა ოჯახი.

ორივე ძმები მათლაც კარგი ქირურგები გახდნენ.მათი ბავშვობის დროინდელ ოცნებას ფრთები თანდათან ესხმებოდა – მალე საკუთარი კლინიკის მფლობელები გახდებოდნენ ალიკას დახმარებით, მისი ადრინდელი დანაზოგის წყალობითა და ოჯახის ყველა წევრის ერთმანეთის გვერდით დგომით.

კლინიკა რომელიც შეიძინეს თანამედროვე აპარატურით აღჭურვეს სადაც რუსუდანი და მისი რამდენიმე მეგობარიც იქ იყო დასაქმებული. ასევე სხვა გამოცდილი მედ–პერსონალით დაკომპლექტდა.

კლინიკამ მალე გაითქვა სახელი.

ჭაბუკამაც იპოვა თავის გულის სწორი, პროფესიით ექიმი – კარდიოლოგი მანა სხირტლაძე, რომელსაც დაუკავშირა თავისი ბედი.

მარგო და ალიკა შვილების წარმატებული და ბედნიერი მომავლით ხარობდნენ.

მარინე ქარსაულიძე-სიბოშვილი

დედის წერილი ემიგრანტ შვილზე

უბედნიერესი დედა ვარ, რადგან უფალმა არ წამართვა შვილი.არ მაყურებინა დაობლებულ შვილიშვილებს... მე ის მეორედ მაჩუქა, მეორედ უფრო დიდი ტკივილის საფასურად, მაგრამ დამიბრუნა, დაგვიბრუნა ოჯახს. მე მას ღვთის სასწაულს ვეძახი, არა მარტო იმიტომ, რომ სასწაული მოხდა მისი გადარჩენით, არამედ მასში უდიდესი მადლი, ღვთის შიში და სიყვარული იგრძნობა.

ძალიან ახალგაზრდები დავქორწინდით მე და ჩემი მეუღლე ზაური. შეგვეძინა ნინო და ერთი წლის შემდეგ – თენგო. ძალიან რთული გზებით ვიარეთ, უამრავი ტკივილი და სიხარული, დაცემა და წამოდგომა, გაჭირვება და დალხენა... გამოვიარეთ. ყველანაირ დროს გაუძლო ჩვენმა ოჯახმა, ყველანაირ ქარ-ცეცხლში მოგვიწია გავლა... და არ დავიშალეთ(ნუ ემიგრაციას თუ გავითვალისწინებ, ჩემი ნინო ორი ათეული წელია უცხო ქვეყანაში ცხოვრობს.), არ გამოკვადლა არავინ...

გავზარდეთ ორი საამაყო და ღირსეული შვილი. დაოჯახდნენ ჩვენი შვილები, შეეძენათ შვილები და მათ შვილებს კიდე შვილები... და ჩვენ არც ისე მოხუცები, უკვე დიდი პაპა და ბაბო ვართ.გვყავს ოთხი შვილიშვილი და ხუთი შვილთაშვილი. ბუნებრივია ეს ყველაფერი კიდევ ერთ-ერთი მიზეზია ბედნიერების.

"ცხოვრება კიბეაო" ამბობენ, და არავინ ვიცით რა დროს, რა საფეხურზე აღმოვჩნდებით. მთავარი მაინც მტკიცე ნაბიჯებია. ხშირად კიბის სიმტკიცე მშობლებზეა დამოკიდებული, ხშირად კი შვილები თავად იშენებენ კიბესაც და თან ნაბიჯებით მიუყვებიან ცხოვრებას. ნებისმიერ შემთხვევაში მთავარია ვიადამიანოთ და მართლები ვიყოთ უფალთან.

"დედას ჰკითხეს შვილებმა: – რომელი შვილი უფრო ძალიან გიყვარსო? დედამ გაშალა ხუთი თითი და კითხვა-კითხვითვე შეუბრუნა:-თითი რომ მომაჭრან, რომელი თითი მეტკინება ყველაზე მეტადო? შვილები შეშფოდნენ და მიუგეს: – დედა ყველა ერთნაირად მტკივნეული იქნებაო და მერე ერთმანეთს შეხედეს... მიხვდნენ დედას რისი თქმაც უნდოდა. – შეუძლებელია შვილო რომელიმე შვილი მეტად ან ნაკლებად გიყვარდესო." ასეა ჩემთვისაც ორივე შვილი, მაგრამ როცა რომელიმე მათგანს უჭირს, მეტი ზრუნვა გიწევს მასზე.

ორი სიამაყე მყავს, ორი სამაგალითო შვილი, რომლებმაც ასეთივე კარგი შვილები დაზარდეს. ნინომ – დეა და სალომე და თენგო – მარი და შაკო. მათი მშობლისეული ამაგის გადახდა მართლაც რომ თავიანთი შვილების აღზრდით გამოიხატა.

ნინო სულ რაღაც 23 წლის იყო, როცა უმძიმესი ტრამვები მიიღო. როცა დრო გაჩერდა მისთვის და სიკვდილს ებრძოდა... როცა თვეები და წლების განმავლობაში არ მთავრდებოდა მისი ტანჯვა... და მე– დედა ვერაფერს ვშველოდი, ვუყურებდი და მასთან ერთად მტკიოდა, მასზე მეტად ვიტანჯებოდი ასე რომ ვხედავდი... ნინოს სიჩუმე და გამძლეობა, მისი აქეთ ჩვენი ნუგეში ჩემი ტანჯვის კულმინაცია იყო... მან ენით აუღწერელ ტკივილებს გაუძლო, წარმოუდგენელი სასიკვდილო დიაგნოზები დაამარცხა, ნახევრად პარალიზებული სხეული გაიცოცხლა და ფეხზე

წამოდგა... ამ დროს მისი შვილები პატარები იყვნენ, ერთი და ხუთი წლისები. დედა-შვილების ცოდვით დღე და ღამე ვტიროდი, მათზე ლოცვებში ვათენებდი...

ახლა მიკვირს ჩემი თავის, თუ ძალა მყოფნიდა ან როგორ გუვუძელი?!... მაგრამ პასუხიც მაქვს; ნინოს რომ ვხედავდი, რამხელა მოთმინება ჰქონდა, რა ტკივილზე შეეძლო ჩუმად ყოფილიყო, იმიტომ რომ ჩვენ არ გვენერვიულა... მეც მავსებდა იმ გამძლეობით, მეც მაძლევდა ყოველდღე იმედს, რომ ის კარგად იქნებოდა... როგორც დღეს ხდება; ნინო ყველას გაამხნევებს, ენერგიას მისცემს, რაც შეუძლია დაეხმარება, თავს არ დაზოგავს... ზუსტად ვიცი, რომ უფალი ეხმარება და მთლიანად მასშია, მის სხეულში... ვინც ახლოდან იცნობს, აუცილებლად იგრძნობს ამ ძალას. ნინოს უამრავი ოპერაცია გაუკეთდა საქართველოში. მკურნალობები, რეაბილიტაციის პერიოდი... ეკონომიურად ამოვწურეთ რაც შეგვეძლო... არადა ნინოს კიდევ აუცილებელი ოპერაციები სჭირდებოდა. ყველაზე მტკივნეული გადასალახი მისთვის კი საკუთარი ბუნებრივი სილამაზის დაკარგვა იყო. ყველანაირად ტრამვირებული ის, მაინც მაინც ყველაზე ლამაზი იყო, მაგრამ თვითონ უცხო სახესთან უწევდა შეგუება... ესეც გადალახა, ამასაც მოერია...

მისი ყოველი დღე იწყებოდა ფრაზით: "-დედა მადლობა ყველაფრისთვის, მადლობა უფალს სიცოცხლისათვის, ამ ტკივილებისთვის და გამძლეობისთვის... დედა გპირდები არაფერს მოგაკლებ და ბევრ ბედნიერ წლებს გაჩუქებ. პატარებს პრინცესობა დავაკელი, მაგრამ აუცილებლად გავაბედნიერებ მათ, ჩემს დეას და სალომეს. აუცილებლად სამივეს დედოფლებივით გაცხოვრებთ...!"

...და ეს სიტყვა შეასრულა ჩემმა შვილმა, ჩემმა უფლის სასწაულმა. შეასრულა და ასრულებს დღემდემდე. 25 წელი გავიდა ამ ტრაგედიიდან, ოცდახუთი მძიმე და მრავალფეროვანი. ნინოს სულ ხუთი წელი დასჭირდა, თავის პირობის აღსრულებას რომ შესდგომოდა. რა თქმა უნდა ჯანმრთელობა შერყეული, განახევრებული, მაგრამ ათმაგად ძლიერი, ასმაგად შეუპოვარი, ათასმაგად კეთილი და რაც მთავარია უფლის სასწაულებით და მადლით დაჯილდოვებული.

სიარული და გადაადგილება უჭირდა, ბაქოდან დაიწყო ტანსაცმლის ჩამოტანა და მაღაზიებში აბარებდა. მისი მეგობრები ეხმარებოდნენ რეალიზაციაში. ყველას უკვირდა ნინო რასაც აკეთებდა, რადგან მარცხენა მკლავის მოძრაობა არ შეეძლო ჯერ. მკლავის ფიქსატორით თითქმის ოთხი წელი იარა. საქართველოში პირველმა 2003 წელს გახსნა ტურისტული სააგენტო. ქ. რუსთავში გააკეთა ოფისი და ტურისტული სერვისით ემსახურებოდა მთელ საქართველოს.

ბევრი გაჭირვება, ტკივილი, სიდუხჭირე, ღალატი, გულის ტკენა... მარტომ გადაიტანა. მარტო შეეჭიდა დაუნდობელ და მკაცრ ცხოვრებას. ჯანმრთელობა ღალატობდა, ოპერაციეები სჭირდებოდა... ძალიან არ უნდოდა ქვეყნიდან შორს წასულიყო, მაგრამ გარდაუვალი იყო... გააზრებაც ვერ მოვასწარით რომ ნინო იტალიაში უკვე ჩანიშნულ ოპერაციას ელოდებ

ოდა. მის შვილებზე მზრუნველობა და პასუხისმგებლობა კი ჩვენ ავიღეთ.ეს არ იყო ადვილი, ორი მოზარდი გოგონა, რომლებმაც ავადმყოფი დედა შორს გააცილეს და ისიც არ იცოდნენ რა დროით... არ იყო ადვილი, როცა ჩემი შვილის დარდით ღამენათევი, მეორე დღეს გოგონებისთვის სითბო, ყურადღება და მზრუნველობა უნდა გამეცა. ესეც შემაძლებინა ღმერთმა.

ნინო

იქ, შორს ყველაზე მარტო აღმოჩნდა, 11 საათიანი ოპერაცია ელოდა... მაგრამ ჩვენ საქართველოში გვამხნევებდა და ნაძალადევი ღიმილით ამბობდა, რომ ძალინ კარგად გრძნობდა თავს...

ოპერაციის სიმძიმის გათვალისწინებით, საავადმყოფომ მოსთხოვა პასუხისმგებელი ვინმე ადამიანი, და ემიგრანტებმა თავი არ დაზოგეს ქალბატონი ლუიზა ტაბეშაძის ორგანიზებით ნინოს

ყურადღება არ მოკლებია. გვერდიდან არ შორდებოდნენ თამუნა ჩხიტუნიძე, ვენერა მორბედაძე... და ბევრი სხვა. თითიოელი მათგანის დღემდე მლოცველი ვარ, და ჩემი დარჩენილი სიცოცხლე ვილოცებ ყველაზე, ვინც ჩემს შვილს გვერდით უდგას, ვისაც სულ მცირე წვლილიც კი მიუძღვის მის მიმართ სიკეთეში, ვინც უბრალოდ კეთილი გულით კარგს უსურვებს...

ნინომ სულ ცრხრა დიდი ოპერაცია გაიკეთა 10 წლის განმავლობაში. თან მუშაობდა, ჩვენ მშობლებს და შვილებს არაფერს აკლებდა. შვილებს მისცა საშუალება მიეღოთ განათლება. მისი ერთადერთი მიზანი იყო შვილები მის გვერდით ყოფილიყვნენ, ესეც აისრულა. დედა-შვილებმა უერთმანეთოდ გამოტოვილი წლების შევსება დაიწყეს ერთად...

ორივე შვილი დაოჯახდა, და მალევე ბებიაც გახდა. ამ ერთმა გოგომ, ასეთი ფიზიკური ტრამვებით, სამი შვილიშვილის დაბადებას შეხვდა. არც ავი შეეშალა და არც კარგი... არავის არაფერი მოგვაკლო. იტალიის ემიგრანტებს ყველას თავი შეაყვარა, ყველა პატივს სცემს.

მისი შვილები ამაყობენ დედიკოთი, ჩემი შვილით. ჩვენ და მთელი სანათესაო ამაყობს ნინოს შვილობით, დედობით, მეგობრობით, სიკეთით...

არ იფიქროთ მარტო დედის პოზიციიდან ვიყურები და რადგან ჩემია, იმიტომ ვწერ ასე, არა... ეს ჩემი ემოცია გარშემომყოფებიდან, მისი ცხოვრების შედეგებიდან, მისი საქმიანობიდან და ადამიანობიდან... გამომდინარე, უბრალოდ გულში ვეღარ ვიტევდი... ჩემი ბედნიერების და სიამაყის განცდის ახსნას ვცდილობ. მინდა იცოდეთ რომ, შეუძლებელი არაფერია. რწმენას, შრომას, სიკეთეს და სიყვარულს ყოველთვის კარგი შედეგი აქვს.

დღეს ჩემი შვილი უფრო შორს არის სამწუხაროდ. არ ჩერდება არასდროს, სულ რაღაც ახალს სწავლობს, ახალს იწყებს. სულ რამოდენიმე თვის ჩასულია ამერიკაში და უკვე ვხედავ როგორ ბრწინდება იქაც, როგორ იმკვიდრებს თავს და რა მიღწევების კიბეზე დადგა.

– უფლის წყალობა სულ თან გსდევს დე... რასაც უფალს შევთხოვ – მალე დაგვიბრუნდი, მალე ჩაეხუტე შენს "მოტეხილ" მშობლებს, შვილებს და შვილიშვილებს!

ყველა ემიგრანტს ვუსურვებ მალე ოჯახებში დაბრუნებას. ჯანმრთელობას, უფლის წყალობას! თქვენი შვილები და დედები გზას გაჰყურებენ, დღეებს ითვლიან... თქვენ მათ ჰაერივით სჭირდებით!

ნათელა ხარაიშვილი

1.

ეს წერილი მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს, ძალიან საინტერესოც, რადგან მოვლენა, რომელზედაც ვისაუბრებ, თითოეული ქართველის საკუთრებაა. ქართველის სიხარული და ბედნიერებაა. ამისთვის გაგვაჩინა ღმერთმა ადამიანები დედამიწაზე. ამ სიკეთეების მისაღწევად კი გზა წმინდანებისკენ მიდის. საქართველოს რომ უამრავი წმინდანი ჰყავს ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ჩვენ რომ დედამიწაზე ფეხითმოსიარულე წმინდანები გვყავს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ იცის უმრავლესობამ. მე კი სხვის მონათხრობზე ან გაგონილზე არ გესაუბრებით. ვწერ საკუთარ გამოცდილებას, რასაც ვგრძნობ და ვაზროვნებ. ერის პირველი დიდი მამა, რომელთანაც მე მხვდა წილად სტუმრობა, მამა გიორგი ბასილაძე იყო ქუთაისში, რომელმაც სრულიად უცნობს მითხრა, – ,, ბაბუა, მე შენთვის თხუტმეტი წელია ვლოცულობ,, ეს იყო ჩემი პირველი ნაბიჯები ზეციერი ეკლესიის მღვდელმთავართან. მერე გაგრძელდა ისეთი სასწაულები, რომ მე, რომელსაც დედა საწოლში მივლიდა და ეტლზე ერთი ან ორი საათი შემეძლო გაჩერება, გამიადვილდა, მთელი საქართველო მომევლო, თუ ეტლზე დამსვავდნენ. წმინდანი უდიდესი მოვლენა ყოფილა ერის ისტორიაში, წმინდანისთვის არ არსებობს დრო და სივრცე.. ასეთი მადლის მატარებელი მამები უხილავში ყველას გვხედავენ და ჩვენი მოთხოვნილებისამებრ გვეხმარებიან. წმინდანთან მისული ადამიანის თავზე იმდენი საოცრება ხდება, ყველას შეუძლია , წიგნი დაწეროს იქ განცდილით . ვწუხვარ, რომ მე ვერ გავიგე მამა გაბრიელის სიცოცხლეში ბერის შესახებ, მაგრამ ეს დანაკლისი , მამა გაბრიელი მემკვიდრემ, მამა ნიკოლოზმა შემივსო და ვინ ჰყავს დღეს საქართველოს იმედად და მანათობლად, მდუმარე ბერ, მამა ნიკოლოზზე მინდა მოგითხროთ.

2.

ნამდვილად ვერ გავთამამდები და ვიტყვი, მე შემიძლია, ვისაუბრო მამა ნიკოლოზის ღვაწლზე, მაგრამ ვიტყვი იმდენს, რა უნარიც ჩემს გონებას გააჩნია, ამასაც ძალიან მოკრძალრბულად, მკითხველო, რადგან დიდ სიწმინდეს ვეხები,.....გთხოვ, დამლოცე, მამა ნიკოლოზ, მომიტევე, რომ გამომაჩნდა გამბედაობა, ვწერ თქვენში დავანებულ მადლზე..... მამა ნიკოლოზი მდუმარე ბერია, რომელსაც თხუთმეტ წელზე მეტია, ხმა არ გაუღია, მრევლთან სალაპარაკო ენა ხელით მინიშნება და რამდენიმე წინადადებიანი წერილებია, რასაც იშვიათად გვაწვდის. ეს გარეგანი მხარეა. სასწაულია ის რომ მამაო გულში და გონებაში ესაუბრება მასთან მისულ მრევლს და აღძრავს თითოეულ მათთაგანში ადამიანად შედგომის, პიროვნებად ჩამოყალიბების სურვილს და განამზადებს ამ გზით სავალად.. ესაა ყველაზე დიდი სასწაული, რასაც მე ვხედავ. ..... ადამიანო, შეიცანი საკუთარი თავი, ხარ კი ადამიანი? ოდესმე გიფიქრია და გიმუშავია საკუთარ თავზე, გააკონტროლო თუ არის შენში ის ადამიანური თვისებები, რომელიც გჭირდება იცხოვრო წარმატებით, გადალახო და დაძლიო ყველა პრობლემა, დაეხმარო სხვებს და იყო შენი ქვეყნის ღირსეული შვილი, რომელთა სიმრავლეც გააბრწყინებს საქართველოს, საქრისტიანოს და ასე შევქმნით ჩვენ გაბრწყინებულ საქართველოს. მამა ნიკოლოზი კი თავად უკვე გაბრწყინებული საქართველოა,. მამაოს ცხოვრება ყველა ჩვენთაგანისთვის არის მაგალითი, დავინახოთ, ვინ არის ადამიანი, მორწმუნე, ქვეყნის პატრიიოტი გამიჭირდება, ჩამოვთვალო ,რა სიმდიდრეს ინახავს ღმერთი მამა ნიკოლოზის ეკლესიაში. ერთი კაცი იქცა ეკლესიად, ამოუწურავ სიმდოდრედ, რომელიც ყველა მიმსვლელს უნაწილებს. გასათვალისეინებელია ერთი გარემოება, ვინ როგორი მომზადებული მიდის სულიერად მამაოსთან. დიდ ღვაწლშია , მამაოს ოთახში საწოლი არ უდგას. არ სძინავს.სკამზე ისვენებს მხოლოდ. გასათბობლად არაფერს ხმარობს. ზამთარ-ზაფხულ გაცრეცილი თხელი კაბა აცვია , ბევრჯერ დახეულიც რომ მინახავს. გახუნებული კალოშები და ძველმოდური თხელი შარვალი მოუჩანს კაბაში. საზრდელს იშვიათად ღებულობს. საჭირო დროს კი კვირეობით შიმშილობს. მრევლი სულ დგას მამაოს ბინის კართან, ეზოში. კარს ორ კვირაში ერთხელ ყოველთვის აღებს. ორშაბათობით, მაგრამ არის შემთხვევები , მამაომ სხვა დღეებშიც გააღოს კარი მრევლთან შესახვედრად.მიმსვლელებთან საურთიერთობოდ რამდენიმე წუთი აქვს

გამოყოფილი კართან უამრავი სასწაული აღევლინება. მადლიერი ხალხი ფულს სწირავს მამა ნიკოლოზის ეკლესიას, მამაო კი ამ შენაწირს უკლებლივ ურიგებს მასთან მისულ მრევლს.

3.

მამა ნიკოლოზის შესახებ მამა გიორგის დროიდან ვიცი, მაგრამ რაც მამა ნიკოლოზთან წასვლა გადავწყვიტე მგონია ათი წელია. მდუმარე ბერი აქამდე არ მენახა და შესასწავლი იყო , როგორ შეიძლებოდა, მდუმარესთან კონტაქტში შესვლა. მიმიყვანეს მამაოს საცხოვრებლის ღობესთან, და მითხრეს, ფანჯარას უყურე, სასწაულია, მამაო თუ ფანჯარაში დაინახე. მაშინ მამა ნიკოლოზი სხვაგან ცხოვრობდა. დამეღალა თვალები ფანჯრებზე ცქერით. მამაო ვერსად დავინახე. თხოვე, რაც გინდა, შეგისრულებსო, მითხრეს. უამრავი ხალხი იყრის თავს მამაოს გარშემო. სულ დგანან მომლოცველები, მავედრებელნი და ღებულობენ შემწეობას. ვდგავარ ჩემი ეტლით მამაოს საცხოვრებელი სახლის რკინით შემოსარტყლული ღობის წინ და ისეთ სიმსუბუქეს ვგრძნობ, მიწაზე არც მგონია თავი. უეცრად გონებაში სათხოვარის სურვილი გამიჩნდა და მამაოს ისეთი რამ ვთხოვე გონებაში გააზრებით, გამეღიმა და საკუთარ თავზე გულიც დამწყდა, რეალურად შესასრულებელი მაინც ყოფილიყო სათხოვარი-მეთქი. ვხმარობდი წამალს, ურომლისოდაც არ შემეძლო და ამ წამლის მოხსნაც ვერ წარმომედგინა. ისე ვიყავი შეგუებული, ვფიქრობდი, ეს წამალი მთელი ცხოვრება დამჭირდებოდა. ვთხოვე მამაოს, დამეხმარე, რომ ეს წამალი აღარ დამჭირდეს-მეთქი. იმდენად შეუძლებლად მიმაჩნდა, ამ სურვილის შესრულება, საკუთარ თავს დავუწყე დატუქსვა, რატომ ჩავიდინე ეს თავხედობა, ამხელა გზაზე სათამაშოდ ხომ არ ჩამოვედი. ..... რამდენიმე საათით ვიდექი კართან ენადაბმული და წამომიყვანეს. მამაო არსად დამინახავს. მანქანაში ჩამსვეს, მაგრამ მამა ნიკოლოზიდან წამოსული მე ღრუბელ-ღრუბელ გადმოვყევი და სახლში ისე მოვედი. საოცარი იყო ეს მოგზაურობა. როდესაც ჩემი სახლის კარი გავაღე და ოთახში შემოვედი, მაშინ გამოვერკვიე, რომ ღრუბლებს მოვწყდი და ჩვეულებრივი მიწის ბინადარი გავხდი. იმ დღეს წამალი არ დამჭირვებია, მაგრამ ვერაფერს მივხვდი, რა ხდებოდა ჩემს თავს. წამალი არც მეორე დღეს და მთელი კვირა არ მიმიღია. რაღაცას ვხვდები, მაგრამ ენა არ მემორჩილება სათქმელად. გაყურსული ვარ მომავლის მოლოდინში,როდის დამჭირდება წამალი. ასე გავიდა ერთი,ორი,სამი თვე წამალი არ მჭირდება, რატომ მივიღო. უკვე ვხვდები, შესრულდა ჩემი სათხოვარი, მაგრამ მაინც ვერ ვიჯერებ, ნუთუ აღარასდროს დამჭირდება? თქმით ვერავის ვეუბნები. ენა დამება ამხელა სასწაულის მომსწრეს. ასე გასუსული ვიყავი სამი წელი, სათქმელად ენა არ მემორჩილებოდა და ზუსტად სამი წლის შემდეგ ვთქვი, რგორ მომეხსნა ეს წამალი. უამრავ ასეთ თემაზე საუბარი შემიძლია მამა ნიკოლოზის ეკლესიაში მომხდარი შემწეობის თაობაზე. ვარჩევ სხვადასხვა ხასიათის მადლზე გავამახვილო ყურადღება..... მამა ნიკოლოზში არის წინასწარმეტყველების ნიჭი, რომელიც აღესრულება რეალურ ყოფაში. მამაოს საცხოვრებელს აივანი აქვს ეზოს მხარეს და ამ აივანზე გამობრძანდება ხოლმე მამაო მრევლის დასალოცად. არის შემთხვევა, რომ მამაო ხელის მოძრაობით მინიშნებებს აკეთებს, მიდის მერე მრევლში გარჩევა, რა გვანიშნა ამით მამაომ. ოქტომბრის თვეა და მამა ნიკოლოზის ეზოში ვდგავარ. მამაო აივანზე გამობრძანდა და ისეთ მოძრაობებს აკეთებს აივანზე, ვხედავ , რომ მამაო ჯარისკაცია და თოფს ისვრის, ფეთქებად იარაღს იყენებს. უცებ გავიფიქრე, მამაო გვანიშნებს, რომ ომი უნდა დაიწყოს დიდი აფეთქებებით. მერე მალე უკრაინის ომი დაიწყო და ასე ახდა მამაოს ეს წინასწარმეტყვრლება.

4.

ყველაზე დიდი სასწაული კი ისაა, რომ მამაოს ლოცვაში მყოფო ღვთის მაძიებელი იწყებს საკუთარ თავზე მუშაობას, დაუბრუნდეს თავის ფესვებს. განიწმინდოს, ყველა პრობლემის მიზეზი ეძიოს საკუთარ თავში. ყველანაირი ხალხი დადის მამაოსთან, ამიტომ ხშირად მამაოს კარზე ისეთი მდგომარეობაა, გაოგნდები. ზუსტად ამაშია ყველაზე დიდი სასწაული.მამაოს კართან მთელი მსოფლიოს ყოფა-ცხოვრება იხსნება. ის აღწევს წმინდა ტაძარში, ვინც არ დაბრკოლდება და გონებით მიაყურადებს ქრისტეს ღვაწლს.

ნინა გიორგაძე-გაჩეჩილაძე



დები

---სახლში შემოდი შვილო, გაცივდები!...

---არ მცივა დედი, ცოტა ხნით კიდევ ვიქნები აქ.

...სულმოუთქმელად ელოდა გოგონა საღამოს მოსვლას, შვიდ საათზე– სოფლის სამგზავრო ავტობუსს ქალაქში სასწავ-ლებლად წასული უფროსი და უნდა მოყოლოდა. როგორ გაბევრდებოდა და გაიზრდებოდა კვირის დღეები უსაშველოდ... არ გადიოდა დრო სწრაფად, რომ, ჩახუტებოდა გულში ულამაზეს დაიკოს. მისთვის უშურველად მოემეტებინა ღმერთს მშვენიერება და ნიჭიერება. და ყველაფერი იყო მისთვის,-– იმედი, ძალა, დასაყრდენი, დამცველი...თავად სამყაროც მისგან იწყებოდა. საღამოობით სულგანაბული უსმენდა უჩვეულო, ასჯერ ნაამბობ ,,მთეთუნახავის ზღაპარს"-– შავმა არწივმა წითელი კაბა და წითელი ქოშები რომ მოუტანა, შემდეგ ფრთებზე დაისვა და უცხო ქვეყნები მოატარა, სადაც მუდამ სითბო იყო, სიკეთე და სიყვარული მეფობდა. ის საუბრისას ყოველთვის იღიმოდა...შავ თვალებში ვარსკვლავები უკიაფებდნენ, გრძელი– შავი დალალები ჩანჩქერივით ეღვრებოდა მხრებზე. გაპობილ ბაგეს მძივებივით ჩარიგებული, თოვლივით ქათქათა კბილები უმშვენებდა. მისგან ნათქვამი--,,ჩემო პატარავ"-– უკვდავების წამალივით მოქმედებდა გოგონაზე.

*

ვერაფრით დაივიწყა ,,გოგონამ" ის ბავშვი...ვერც ჯეირანივით მშვენიერი დაიკოს სახე...შორეთში რომ გადასახლდა სამუდამოდ და კვლავ მარტო დატოვა. ვერც თეთრად აყვავებული ტყემლის ხეები...მოვისფერი, მორცხვი ყოჩივარდები...გაზაფხულის სურნელი... მუდამ მისი თანმხლები ცუგა და დედის უტკბესი ხმა:

---სახლში შემოდი შვილო, გაცივდები!

სათხოვარი

დრომ ცივი ზამთარი დაიჭირა. ყინვა ქურდივით დაძრწოდა ქუჩებში, ირგვლივ ყველაფერს თოშავდა, ბატონობდა ქალაქზე. ქარის წივილი გულის წამღებად ჩაესმოდა ყურებში ქეთევანს, შინაგან სიცივეს უფრო უმძაფრებდა, თავი საშინლად ტკიოდა...საბანი შემოიფუთა... უმატა ტეხვამ საფეთქლებში და კეფაში. ხელი გადაწია, წინასწარ მომზადებული წამალი და წყლიანი ჭიქა აიღო. წამალი დალია და ისევ დაწვა.თვალები დახუჭა, დაიწყო თვლა, -– ერთი, ორი, სამი...ფიქრებმა აურია სათვალავი,– ,,რატომ არ მეშვება ეს საშინელი ტკივილი, ცუდად რომ გავხდე რა ეშველება ჩემს მოხუც მშობლებს, ვინ უპატრონებთ, ვინ აჭმევთ და ასმევთ." -– დაგორდა ცრემლები ბალიშზე. ლოყის ქვეშ სისველე იგრძნო. ბალიში შეაბრუნა და გვერდი შეიცვალა.

გამთენიისხანს ჩაეძინა.ძილ-ბურანში მყოფს ხმაური ჩაესმა,--,, ჭერი ჩამოინგრა!"...გაიფიქრა და წამოდგომა ცადა, მაგრამ, ამაოდ...ხელ-ფეხს, სხეულს ვეღარ გრძნობდა. რაღაც სიმძიმეს შეებოჭა ქალი, მხოლოდ გონება მუშაობდა. ფართოდ გახელილი თვალები მოავლო ოთახს, ყველაფერი ტრილებდა ირგვლივ და ერთმანეთში ირეოდა. თვალები დახუჭა... სიბნელეში და ხმაურში მარტოდ დარჩენილს ცრემლები კვლავ ნაკადულივით წასკდა.

--დედა, დედა...ცუდად ვარ, ძალიან ცუდად...– ჩურჩულებდა ღონემიხდილი.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ოთახში ფოსტლების ფრთხილი ფრატუნი გაისმა, სახეზე დედის დამჭკნარი ხელების შეხება იგრძნო:

-– შვილო...რა მოგვიდა შვილო! ქეთი! გესმის შვილო?...– ყვიროდა შეშინებული მოხუცი.

--დედა...არ შეგეშინდეს! ექიმი! სასწრაფო!...– ძლივს ამოთქვა ორიოდე სიტყვა.

ხმაური არ წყდებოდა წამითაც კი. იდო ლოგინზე უძრავად ქეთევანი და ელოდა როგორ განვითარდებოდა მდგომარეობა, შეძლებდა თუ არა ავადმყოფი დედა სასწრაფო დახმარების გამოძახებას. გონებას კარგავდა და უსასრულობაში ინაცვლებდა.

კვლავ ჩაესმა ხმები...მეზობლები აწყნარებდნენ თვალმტირალ მოხუცებს. მალე ექიმის შეკითხვაც გაიგონა.

-– ქალბატონო, გესმით ჩემი? შეგიძლიათ საუბარი?

--საავადმყოფოში არ წამიყვანოთ ექიმო! გთხოვთ...

--კარგი, დამშვიდდით. ყველაფერი კარგად იქნება!...– იმედი მიეცა ქეთევანს, რომ, კვლავ შეძლებდა სიცოცხლის გაგრძელებას. მალე სიმშვიდე იგრძნო,– ,,ალბათ, გადასხმა დამიდგეს..."– ის ხომ ექთანი იყო და ყველაფერი ნათელი იყო მისთვის რაც დაემართა.

--ინსულიტი! – ჩაესმა ყურში ექიმის ნათქვამი.--,, გასაგებია!..ღმერთო მიშველე, მომეცი სიცოცხლის ძალა, არ უნდა მოვკვდე...ჩემი მოხუცები როგორ იქნებიან უჩემოდ."

ნელ-ნელა მიჩუმდა გუგუნი, მხოლოდ მკვეთრი შუილი ესმოდა ყურებში.– ,,ეს არაფერია, დავძლევ, აუცილებლად დავძლევ...ფეხზე აუცილებლად უნდა დავდგე."– ფეხის თითების ამოძრავება შეძლო, გაუხარდა, იმედი არ ტოვებდა– გადარჩენის იმედი.

ერთი თვე გაუნძრევლად იწვა ქეთევანი. გარეთ ეპიდემია მძვინვარებდა,– ,,კორონა" რომ დაარქვეს...საავადმყოფოები გადაჭედილი იყო ავადმყოფებით, უმოწყალოდ იხოცებოდნენ ხალხი. ეპიდემიით გარდაცვლილებს,საავადმყოფოებიდან პირდაპირ სასაფლაოზე ეზიდებოდნენ, გაუხსნელად ჩასვენებულებს სასახლეებში. ირგვლივ გამეფებულ შიშს ძლივ-ძლივობით ერეოდნენ ადამიანები. უმუშევრობა, შიმშილის ზღვარი, სრული ქაოსი, დაბნეულობა...სიკვდილთან აახლოვებდა ყოველ კაცს.

ნელ-ნელა მოუვიდა ძალა კიდურებში ქეთავანს, წამოჯდომაც შეძლო ლოგინში. ექიმი ხშირად აკითხავდა, ამხნევებდა და იმედს აძლევდა. მოხუცი დედ-მამაც თავზე დაკანკალებდნენ. ჩამოუჯდებოდნენ აქეთ-იქეთ მტრედებივით საწოლის ორივე მხარეს და მოთმინებით ელოდნენ შვილის გამოჯანმრთელებას.

თვალს როგორც კი დახუჭავდა დასაძინებლად, იმავე წამს წყვდიადი ეშვებოდა, დადიოდა ამ სიბნელეში ხელის ცეცებით, ტაძარს ეძებდა...ხედავდა– უფლის, ღვთისმშობლის, წმინდა ნინოს, წმინდა გიორგის, წმინდა ნიკოლოზის ხატებს– სანთლის შუქზე გაბრწყინებულთ. – ეშვებოდა მუხლებზე და ითხოვდა შველას გულწრფელი ლოცვით:-

--უფალო, გამომაჯანმრთელე...ჩემი მშობლებისთვის!... ჩემს მეტი არავინ ყავთ. მამა თვალში ვერ იხედება, ყურში არ ესმის...დედაც მოტყდა, ნერვიულობს, წნევა უწევს და სულ წამლებში მყავს...გთხოვ, არ წაართვა მათ ჩემი თავი.მომეცი უფლება სიცოცხლის ბოლომდე მოუარო მათ. ისმინე ჩემი სათხოვარი.

*

გაზაფხულდა...საოცრად დათბა. ფართოდ გაღებული ფანჯრებიდან შემოსული საამო სურნელი ავსებდა ოთახს.. ეზოში მდგარი მაღალი ვერხვები ფოთლებით ავსებულიყვნენ. მწვანე ბზის ბუჩქებს ახალი კვირტები დაეყარათ. თოთო ბალახი ლივლივებდა ბუჩქებს შორის. მზით გამთბარი ქალაქი ღაღანებდა და ეტრფოდა გაზაფხულს, ზამთრის შემდეგ ღრმა ძილიდან გაცოცხლებული და აღმდგარი.

იდგა ქეთევანი ფანჯარასთან. ღრმად სუნთქავდა სუფთა ჰაერს, სიხარულით უღიმოდა ბაგე.-

-– რა ლამაზი ხარ გაზაფხულო!...გმადლობ უფალო, რომ შეისმინე ჩემი სათხოვარი!!!

მოხუცი დედა მშვიდად იჯდა სავარძელში და საყვარელ წიგნს გულდასმით კითხულობდა. მამა ტახტზე წამოწოლილი მარცვლავდა ქარვის კრიალოსანს, რაღაც კარგზე ფიქრით იღიმოდა და უსინათლო თვალებში სიცოცხლის სხივი უკრთოდა.

მირანდა ზაბაძიძე

.,,ყოველთვის სუსტი ვიყავი მათემატიკაში"....
,,უცხო ენები არასოდეს მაინტერესებდა"...
,,მიჭირს ყურადღების მოკრება"....
,,წერა არ გამომდის"....
,,წიგნებში ძალიან ბევრი უცხო სიტყვაა"....
,,ფიზიკაში არაფერი გამეგება ".....
,,მართლწერაში ყოველთვის ორიანს ვიღებდი"...
,,ისტორია მომწონს,მაგრამ თარიღებს ვერ ვიმახსოვრებ,,.....
,,ალბათ,საკმარისად არ ვინდომებ,,....
,,ვერ ვიგებ"....
,,ბევრი გავაცდინე"....
,,ძალიან მინდა,რომ ვხატავდე,მაგრამ ნიჭი არ მაქვს"...
,,ჩემთვის ეს ძალიან რთულია"....
,,ცუდი მეხსიერება მაქვს"....
,,მომზადება მაკლია"...
,,სიტყვები არ მყოფნის"....

აი, ასეთი არასახარბიელო წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე.
ხელი აქვთ ჩაქნეული.ჯერ არ დაუწყიათ და უკვე წერტილი დაუსვეს საკუთარ მომავალს.

რა თქმა უნდა, ცოტას აჭარბებენ.პირადი დღიური სავსეა თვითკიტიკით. რატომღაც წერის დროს ქვეცნობიერად ვამუქებთ საკუთარ პრობლემებს,თანაც ამგვარი გადაჭარბებული თვითკიტიკით სხვას ჩვენი კრიტიკის საფუძველს აღარ ვუტოვებთ.

თუმცა ახალგაზრდების მიერ დახატული ავტოპორტრეტი სულაც არ გავს მათ ავტორებს.ვინმე უნიჭო რეჟისორს ეს სტრიქონები რომ წაეკითხა,აუცილებლად წარმოიდგენდა, ტვინგამოლაყებულ მოსწავლეს დაბალი შუბლითა და კვადრატული ყბებით.

არა,ისინი განსხვავებულები არიან,როგორც ეპოქა, რომელშიც ცხოვრობენ: ერთი თავგამოდებული როკერია რაც გარეგნობაზეც ეტყობა.მეორეს რომ დაინახავ ზედგამოჭრილი ბაიკერია,ზოგს გრძელი თმა აქვს, სხვას კი, პირიქით, მოკლედ შეჭრილი-ოჯახური ტრადიციების მიხედვით.

ახლა გოგონები ვნახოთ....

აი იმას, დაგლეჯილი ჯინსი და მამამისის პერანგი აცვია, მუცლებამდე რომ სწვდება,მის გვერდით მჯდომი კი მოდის ჟურნალიდან გადმომხტარს ჰგავს, მოვლილ-დავარცხნილი და გამოპრანჭულია.

ყბაყურას და წითურას ასაკიდან გამოსვლა ვერც მოასწრეს, რომ პირდაპირ,,მოდაზე თავგადაკლულობის"ასაკში ამოყვეს თავი.

თანაც რამსიმაღლეები არიან ეს დალოცვილები!უმრავლესობა მაინც. მასწავლებელს ზემოდან დაჰყურებენ.ბიჭები რა მხარბეჭიანები არიან,გოგონები –რა ტანადები!

ესენი მოკრებილი ძალების შედეგს წარმოადგენენ.

ეს ჯანმრთმრთელი და მოდური გარეგნობა მათ რაღაცნაირ ზრდასრულ იერს აძლევს, რომელიც ზოგჯერ კიდევ მაბნევს ხოლმე.ეს ტანსაცმელი, მათი ლექსიკა,თავდაჯერებულობა გვაფიქრებინებთ, რომ ისინი უკვე იცნობენ ამ ცხოვრებას, უკეთ არიან,,მორგებული" ამ რეალობას, ვიდრე მასწავლებლები.

მაგრამ სინამდვილეში მათზე მეტი არაფერი იციან.

აი,სწორედ ესაა საიდუმლო.

არაფერია იმაზე გამოუცნობი,ვიდრე მოჩვენებითი სიმწიფე.

მასწავლებელი გამობრძმედილი და მრავლისმნახველი რომ არ იყოს, ნამდვილად იფიქრებდა, რომ აწმყო დროის თხრობით კილოში(სად გამომადგა ფილოლოგობა)მისი ადგილი არაა, თავი ერთი გადაღმძრვალი და დრომოჭმული მასწავლებელი გეგონებოდათ.....

მაგრამ პედაგოგიური გამოცდილების მანძილზე ბევრი ასეთი ბავშვი უნახავთ, მოდასაც ბევრს გაუვლია მათ თვალწინ და, თქვენ წარმოიდგინეთ უკანაც დაბრუნებულა.

ერთადერთი რაც არ იცვლება სასკოლო ანკეტის შინაარსია. მისი წაიკითხველი მაშინვე ხვდება, რომ ეს გარეგნული ესთეტიკა მოჩვენებითია:ზარმაცი ვარ,უჭკუო ვარ,თავი ყველაფერში ვცადე და არ გამომივიდა, ჩემგან არაფერი გამოვა.

ერთი სიტყვით საკუთარი თავი არ მოსწონთ,ბავშვირად თვითდაჯერებულები ყველგან ამბობენ ამის შესახებ.

ჩვენ, რა თქმა უნდა,,დონე" ვართ, – ფიქრობენ ისინი-სკოლამ კი,,დაახვიოს რა", მაგათი მოთხოვნები არ ილევა, პატარები კი არ ვართ.!სანამ გავიზრდებით ასე უნდა იყოს!?

თავისუფლება უნდათ და თან თავს მარტოსულად გრძნობენ!

* * *

არავინ არაფერში დაარწმუნო. როცა რამე არ იცი - იკითხე ან ეცადე შენით მიაგნო.მაგრამ ჩადენილ საქციელში, მდუმარედ მიმდინარე მდინარეს რომ ემსგავსება,ჩნდება ენერგია.

გჯეროდეს რომ შეგიძლია!

ყველანი ფიქრობენ რომ მოტყუებეულები არიან,ყველა ადამიანს,ვინც კი დედამიწაზე ცხოვრობს ,მიდრეკილება აქვს უარესი ფიქრებისკენ: ყველას ეშინია ავადმყოფობის, სიკვდილის. ეცადე, დაუბრუნო მათ ყოფას დაკარგული სიხარული.

საკუთარი თავი დაარწმუნე, რომ ყოველ წუთში ისეთი აზრები მოგდიოდეს რაც გაგზრდის. თუ გამძვინვარდი,ეცადე შენს თავს თვითონ დასცინო.იცინე,იხარხარე,ამ შეწუხებულ ან დარდს აყოლილ ქალზე,რომელიც დარწმუნებულია რომ მისი პრობლემები უმნიშვნელოვანესია.დასცინე ამ აბსურდულ სიტუაციას,რადგან შენ გამოვლენა ხარ დედისა.

თუკი ვერაფერს იპოვი ისეთს ,რაზეც შეიძლება ყურადღება შეაჩერო ,დააკვირდი შენს სუნთქვას,ყური უგდე შენს გულისცემას.მიჰყევი შენი აზრის თავისუფალ მდინარებას,როლის გაკონტროლებაც არ შეგიძლია,გააკონტროლე შენი სურვილი,რათა დაუყონებლივ ადგე და გააკეთო რაიმე სასარგებლო.

ჭურჭელს რომ რეცხავ ილოცე,მადლობა თქვი, რომ გაქვს თეფშები რომლებსაც რეცხვა სჭირდება:ეს იმას ნიშნავს რომ მასზე დააწყვე საჭმელი ,რომ ვიღაც გამოკვებე,რომ იზრუნე ახლობელზე,მოუმზადე საჭმელი და გაუწყე სუფრა.იფიქრე იმაზეც,ახლა ამ წუთებში რამდენ მილიონს არა აქვს საჭმელი და არც ვინმესვთვის სუფრის გაშლა შეუძლია.

უსმენ საკუთარ თავს და გიკვირს რამდენი შეგძლებია.

ესაა ცოდნა იმისა ,რომ მონოტონური და უფერული რაღაც რიტმულად,მშვენიერებად გადააქციო,უნარი იმისა რომ ეს იქცეს გამაერთიანებელ არხად.

შენ ისეთი ხარ როგორადაც გწამს.

არ ღირს ,იმეორებდა,სხვებივით,ვისაც სწამს ,,პოზიტიური აზროვნება",იმეორებდე რომ შენ ხარ ძალითა და შესაძლებლობებით სავსე.

გაიღიმე..

დასცინე შენს შიშს,შენს თავში დაურწმუნებლობას.იუმორით შეხვდი სევდის შემოტევას...

ესაა ყოფის შემადგენელი ნაწილი, ,,კაცობრიობის არსებობის პირობა":იცხოვრო სხვებს შორის,სხვასთან ერთად.

კლარა გელაშვილი

დაგვიანების სინანული

ეძღვნება შოთა ქურდაძის ხსოვნას

მთელი ცხოვრება ამ დღეს ელოდა.ელოდა და მიისწრაფოდა ისე, როგორც მწყურვალი წყლისკენ,როგორც სნეული ექიმისაკენ. ამ დღეს ელოდა მისი თაობაც; შორს აღარ იყო ის დღე,რომლის წყალობითაც დიდებულ ტაძარში თავის წილ ბედნიერებას უნდა ზიარებოდა.

სანთელი ყველამ შეიძინა, რადგან გზაც და ტაძარიც მის შუქს უნდა გაენათებია. სხვისი არა, მაგრამ თავისი სანტელი კი ნამდვილად სუფთა სანთლისა იყო, ნაკურთხი..

არაჩვეულებრივმა დილამ მშვენიერი განწყობა შექმნა.სულში შემოჭრილმა სინათლემ სიმღერის ხასიათზე დააყენა. წაიღიღინა და... ჰარმონიულად შეირხენ უფაქიზესი სიმები... თუმცა, მერამდენედ, მაგრამ ეს იყო სულ სხვა, სულ ახალი სულთა გალობის მელოდია, რომელიც ახლა, სწორედ ამ წუთში დაიბადა. ეს ის საგალობელი იყო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ, უთუოდ დიდ ტაძარში უნდა შესრულებულიყო.

სწორი,ია-ვარდით მოფენილი და იოლად დასაძლევი მოსჩანდა გზა, ტაძრისკენ მიმავალი.ან, რა უჭირდა?!-ახალგაზრდა იყო,მიზანდასახული,მუხლმაგარი და ენერგიული...

ზურგჩანტებით საჭირო მარაგი გაიმძღვარეს და აღმართს შეუდგნენ.მხიარული შეძახილები გულს უფორიაქებდა.სიყვარულისთვის და სათნოებისთვის დანთებულ სანთელს ჰგავდა. მოსაფერებლად და გასაფრთხილებლად გაჩენილი მეტს გასცემდა,ვიდრე ითხოვდა...

სულ ცქარა მიმოიფანტნენ. შორიშორ ისმოდა გადაძახილები.გზები იყოფოდა, თუმცა, ბოლოს თავს ყველა დიდ ტაზართან იყრიდა. მიიჩქაროდნენ მისი ტოლები. მიიჩქაროდნენ და მიჰქონდათ მათი თაობის ტვირთი და სანთლები. ჩქარობდნენ, რადგან მათ უკან ახალი ნაკადი მოედინებოდა,უკან კიდევ სხვა და, გათვლილი იყო ყოველი წუთი.

მიდიოდა თავისთვის. ტყის ნაპირს მიჰყვებოდა იმედით სავსე.თვალიც და გულიც მხის სხივებზე მოლიცლიცე ფოთლებითა და მოჭიკჭიკე ფრინველთა გალობით ხარობდა.

უცბად შეჩერდა-ტყის სიღრმიდან უცნაური ხმა მოდიოდა.-ერთი წუთით!-ო-დაუძახეს. შეშინდა, შეკრთა, მაგრამ – არ გენდობითო,როგორ შეკადრებდა!-თავმოყვარე იყო, ამაყი... მიიხედა და,ეს რა მოსდის,ეს ვინ ექაჩება?! დაიყვიროს?-სირცხვილია! ისევ მისი ტოლები დასცინებენ.არადა,უკვე ჩამორჩა! რა ქნას?რა უყოს?! ცრემლი მოერია,გონება აემღვრა და ობობისაგან დახლართულ უშველებელ ქსელში პირქვე ჩაემხო. გონზე რომ მოვიდა, პირველი, რაც დაინახა ჟამთა სიავისაგან სახედაკარგული პატარა საყდარი იყო.მოაგონდა დიდი ტაძარი,რომლისკენაც მიისწრაფოდა და,ატირდა!... მერე სანთელი მოიძია.შეენანა...არა,ამ საყდარში მათ ვერ დავანთებო-გაიფიქრა. ზურგჩანთა ვეღარ დაინახა.წითელი იყო, კვასკვასა, ყველგან ადვილად შესამჩნევი. თვალი მიმოატარა და, გაოცდა:-პატარა საყდრის ბინადარნი დაუფლებოდნენ!... სად,სად და,სწორედ აქ იყო რაიმეს თქმა უადგილობა! სიბრალული იგრძნო და საყდარში მოწყვეტით შეაბიჯა.

შეწევნას ევედრებოდა ღვთისგან და კაცისგან დასანგრევად გამეტებული პატარა საყდარი. დაფიქრდა... ჰო, მისი შველა ნამდვილად შეიძლება,მაგრამ...სხვა გზა ეძახის!... წავა, ახლავე წავა და... სანთელი ფრთხილად შეახვია,უბეში შეიფარა და ის იყო იქაურობა უნდა დაეტოვებია,რომ საყდარში პატარა მერცხალი შემოფრინდა, პატარა ბრჭყალებით გულზე მოეჭიდა და მუდარანარევი ჭიკჭიკით მიესალბუნა.გული გაეხსნა....თვალი ვერ მოარიდა... მოეფერა,მიუალერსა..დატოვოს? არა,ამას არ დაუშვებს!..მის გარეშე ხომ დაიღუპება!...

...არაფერი დაზოგა, ბუდე მოუწყო,გარემო გაულამაზა.პირველს მეორე მოჰყვა,მეორეს მესამე და დიდი ტაძრისთვის გადანახული სანთლებიდან სამი სანთელი მისივე სუნთქვით გამთბარ საყდარში ააკიაფა.ერთი კი, ყველაზე დიდი კელეპტარი სათუთად შეინახა,რადგან ჯერ კიდევ სიცოცხლეს განაგრძობდა იმედი...

ჩამოწვებოდა ავდრიანი შემოდგომა,აირეოდა ამინდი,ყვითლდებოდნენ და მიწას ეკვროდნენ ერთდროს მწვანედ მოხასხასე და სიცოცხლით სავსე ფოთლები... გაივლიდა და,თითქოს თითქოს ხვდებიანო, მაშინვე აშრიალდებოდნენ,-ხომ ხედავ, ყველაფერი წარმავალია, ბოლო მაინც ესაა და თავს ნუ იტანჯავო... მაშინვე,პასუხად,უცეცხლოდ აინთებოდა ტაძრისთვის გადანახული კელეპტარი და სულში მდუღარეს აწვეთებდა.

ზაფხულში,როცა გზიდან ტაძრისკენ მიმავალ თაობათა ჟრიამული ესმოდა,გული ეწურებოდა.უნდოდა გადევნებოდა,სურდა ხმა მიეწვდინა-დამელოდეთო!..მაგრამ ვაი, რომ არავინ იყო შემწე და შემსმენი მისი ღაღადისა...

ზამთარშიც, უჭირისუფლო საფლავს დამსგავსებული, ფატაგადაცმულ ნაძვებსაც ტაძარზე ესაუბრებოდა... ვერავითარმა ძალამ,ვერც კაცთა,ვერც ჟამტა სიავემ ვერ შეაგუა იმ აზრს,რომ იგი,,იქ იდგა და სხვაგვარად არ ძალუძდა!"

და აი, დადგა დრო უფლის ნების აღსრულებისა! –სირინოზთა გუნდმა გადაიფრინა და გაიყოლა... ისევ დავბრუნდებიო,დაიბარა და დიდი სურვილით,ერთადერთი კელაპტრითა და დაღლილი მუხლით დიდ გზას დაადგა.

თითქოს ეცნო და არც ეცნო გზა,რომელიც თაობათა ნაკვალს ფეხქვეშ გაეგო და გაეცვითა.

სადაც გაუჭირდა შეჩერდა,დაიჩოქა და ილოცა;ფეხის ხმა მოესმა,ახალი თაობა წამოწეოდა! გზა ერთად განაგრძეს.სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ,ნაკლებად ესმოდათ ერთმანეთისა. არა უშავს რა,ამასაც აიტანს,ოღონდ იმტაძრამდე მიაღწიოს,სადაც თავდახრილი შევა და მერე ამაყად გამოაბიჯებს!...

მაინც შეჭირვდა,გაუცხოვდა,თითქოს გაირიყა...როგორ უნდოდა,ხმამაღლა ეთხოვა-ნაგვიანები მგზავრი ვარ,გთხოვთ ცემს თაობას დამწიოთო,მაგრამ...

ძლივს მიაღწია.ამაყად იდგა სწორუპოვარი ტაძარი! იდგა და ელოდა..დედო ზარის გუგუნი უხმობდა და სუნთქვას უჩქარებდა დაგვიანებულ მგზავრს და ისიც სასოებით აღავლენდა სამადლობელს უფლისადმი. პირჯვარი გადაიწერა და მოკრძალებული ნაბიჯით,თავდახრილმა შეაბიჯა ტაძარში..

ათასობით სანთელს გაენათებია ტაძრის კედელზე გამოსახული ფრესკები.გასაოცარი გალობის ფონზე ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეზიარებოდნენ მორწმონენი. ეგონა სიზმარში იყო.რამდენჯერმე თვალი დახუჭა და ისევ გაახილა,დარწმუნდა,ნამდვილად ცხადი იყო რომ ამ დიდებული ტაძრის მრევლთა შორის იდგა და ზიარებას ელოდა...

უბე გაიხსნა,სათუთად გადანახული კელეპტარი წმინდა გიორგის ხატთან დაანთო და ტროპარი შეასრულა. მერე მუხლზე დაეშვა,თვალი დახუჭა და თავისთავად აღმოხდა საგალობელი... გალობდა გრძნობით,ხმადაბლა,სხვათა ყურთათვის მიუწვდომლად...

მხარზე ფრთხილი შეხება იგრძნო.თავზე ხანდაზმული,მთლად გათეთრებული მოძღვარი ადგა და სათნოებით სავსე თვალებით უმზერდა:

– წამოდექ,შვილო!-ამ სიტყვებს ისეთი სითბო ჩააქსოვა,მიხვდა მისი საგალობელი მოესმინა...თუ არა მოძღვარს,ვის შეეძლო დაენახა სულის სინათლე?!

ეს იყო ის,რაზეც მთელი შეგნებული ცხოვრება ოცნებობდა...მორჩა! აღარ გატანჯავს სინანული! ღვთის ხელით აღსრულებულა ნება კაცისა!

წირვა დასრულდა.ტაძრის ეზოში სკამზე ჩამოჯდა და თვალი მიმოატარა.-ზოგი შედიოდა, ზოგი გამოდიოდა.ყველას შუბლზე ეწერა-ვინ რწმენით,ვინ ბაძით,ვინ ინტერესით მიახლებოდა უფალს...

შთაბეჭდილებათა გამზიარებელი სჭიროდა,სიხარულისა,მითუმეტეს,მაგრამ...ნაცნობი ვერავინ დაინახა...გული მოეწურა...მერე როგორ უნდოდა ამ ხალხში თავისი თაობა შეეცნო, თაობა,რომლის კვალიც კი წაშლილიყო...

მიუღწევლობის სინანულიდან,წამსვე,დაგვიანების სინანულში გადაინაცვლა.ახლა ეს ტკივილი აღარ დატოვებს!...

დავიგვიანე,ო,რა ძლიერ დავიგვიანე,

საყდარს მოვავლე წლები,როგორც ცისარტყელები...

ინანოს? მერე და რა, მოსვლა? –არა,რას ამბობ!

მაშ რა,დაგვიანება?

კი,მაგრამ...მან ხომ წმინდა საყდარი გაამყარა! მან ხომ უანგაროდ დახარჯა სული და შესაძლებლობები?! არა,არ ნანობს! სხვაგვარად არ შეეძლო და,მიტომ! მაშ რა ემართება?! ვერა და ვერ გაიგო რა უნდა,სად უნდა ჰპოვოს სულის სიმშვიდე?! ნუთუ დამღლელმა მოლოდინმა ახლა განცდა შვა დაგვიანების სინანულისა?!

...მხოლოდ თმათეთრმა მოძღვარმა იცოდა შემოდგომის პირს აბრდღვიალებული ხრიზან-თემის ძალაც და ფასიც. ასევე შიშიც,შიში მოახლოებული ზამთრისა და სინანული-დაგვიანებისა...

ჰუბლიკა

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)

მოგზაურობა

მოსაღამოვდა მზემ სხივის ფარდები ლამაზად გადმოაფინა ხვანის მთებს. ოქროს ფერმა ფარდებმა ძირულის პირამდე ჩრდილის რკალში გაახვიეს მზისგან გავარვარებული ყვავილები. სხივები მდინარის ტალღებს შეეთამაშნენ და გზა ისევ საპირისპირო შეღმართისაკენ განაგრძეს. სხივებს თვალი გავაყოლე, რატომღაც მომინდა მათთან ერთად მემოგზაურა. სწრაფი ნაბიჯით დავეწიე და სხივებში გავეხვიე. ისე მიცოცავდნენ დაღლა არ ეტყობოდათ, არც ეთმანეთს ცილდებოდნენ. როგორი მეგობრობა ცოდნიათ ჩავილაპარაკე და კვალდაკვალ მივყევი. ზეციდან ჩამოსულები ჯერ დაბლა ჩამოვიდნენ, მერე ისევ ზეცისკენ მიიწევდნენ. ოცნებით ფრთები გამომესხა, მათთან ერთად რამდენი მაღლა აიწიეს მეც ავყევი. მზემ ყველა სხივი გულში ჩაიხუტა. ვიდექი მათ წინ დაუპატიჟებელი სტუმარი და ვტკბებოდი დედისა და შვილების სიმშვიდით. მზე და სხივები ძილის სახლში გაუჩინარდნენ. ცაზე შავი ფარდა დაეშვა, არაფერი აღარ ჩანდა. ვიდექი ბედშეგუებული და ნაბიჯის გადადგმას აზრი არ ჰქონდა. ვეღარც წინ მივდიოდი და ვეღარც უკან. სადღაც ჯერ ერთი შუქი აინთო, ცოტა ხანში მთელი ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. მე დავფრინავდი ვარკვლავთ ქვეყანაში. ყველა ვარსკვლავს სახელი ერქვა. მეტი წილი სახელი სულ ქართული იყო.

მე რადგან ქართველი ვიყავი, სხვა ეროვნების ვარსკვლავები წაკითხვის საშუალებას არ მაძლევდნენ. რამდენი წავიწიე წასაკითხათ ვარსკვლავები თავისივე ჩრდილით იფარავდა სახეს. სიმართლე გითხრათ არც მაინცდამაინც არ ვიკლავდი მათ საალერსოდ თავს. იმდენი ჩემიანი ვნახე და ისე გავერთე მათთან აღარც მახსოვდა ზეცაში რომ, ვიყავი. იყვნენ პატარა ვარსკვლავები და დიდი ვარსკვლავები. პატარა ვარსკვლავებს ანგელოზებს უწოდებდნენ. დიდი ვარსკვლავები ეროვნული გმირები იყვნენ. ძალიან მაინტერესებდა პოეტების ნახვა. ანგელოზებთან და გმირებთან პოეტები არ იყვნენ. დავფიქრდი ნუთუ ყველაფერი ფანტაზიაა

და ადამიანის მოგონილია? სად არიან პოეტები? ვარსკვლავებმა ერთმანეთს გადახედეს და ჩურჩული ატეხეს. ცოდვაა ვასწავლოთ გზა პოეტი ძმა ყავს ზეცაში და მას დაეძებს. ძალიან შორიდან მრისხანე ხმა მოისმა. ჯერ ადრეა პოეტებთან შეხვედრა. პოეტები ღმერთის სახლში რაღაცა საკითხზე თათბირობენ. თენდება... მზის სხივებს ადევნებული მგზავრი დაბლა დაბრუნდეს. ცისკრის დილამ მაიძულა დავმორჩილებოდი და ზეციდან ჩამოვედი ცისკარელი. ერთი სასიხარულო ამბავი მოგიტანეთ. გმირები ვარსკვლავებად ანათებენ. ახალგაზრდები ანგელოზის ფრთებით დაფრინავენ და პოეტები ღმერთთან განაგრძობენ მარადიულ სიცოცხლეს. მხოლოდ გაითვალისწინეთ მოეშვით შურისძიებას და ბოღმას. მტერზეც არ იფიქროთ ცუდი თორემ, იქვე ახლოს კუპრის ქვაბიც იდგა!

ისტორიული დღე



2024 წლის 31 მარტის დღე, მჯერა ასე უნდოდა გათენებულიყო ცისა და დედამიწის სამყაროს. თინათინ უზარაშვილის შემოსვლა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიაში დაემთხვა, პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს, 31 მარტს. ეს დღე განსაკუთრებული იყო იმითაც რომ, გერმანიაში მცხოვრები ქართველი მუსიკოსი ბელა მახარაძე სტუმრად ეწვია აკადემიას. ქალბატონი თინათინის აკადემიაში მიღების დღე და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე ერთმანეთს დაემთხვა, დიდება უფალს. აგუგუნდა ხმა ზეციური და უკიდეგანო. ვგრძნობდი რომ, ცის ფანჯრებიდან იყურებოდნენ სულები. ზვიად გამსახურდიას, ბეჟან ხარაიშვილის და პაატა მახარაძის. ზვიადის იდეების მიმდევარი ქალბატონი თინათის საუბარი ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის წლებში ტრიალებდა. იხსენებდა სტუდენტურ წლებს და მისი ნაზი ხმის ტემბრი ბუნებრივად ხდებოდა, თბილიც და მკაცრიც. რამდენიმე წლის პაუზის შემდეგ აკადემიის სხდომას ესწრებოდა, პროფესორი ტიტე მოსია რომლიც, ადასტურებდა თინათინის განვლილი წლების ნიჭიერებას. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას რომ, ვინ იტყვის შენზე და რას იტყვის. შენი კალამი და განვლილი წლები შეაქოს სამოცდაათი სამეცნიერო წიგნის ავტორმა, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორმა ბატონმა ტიტე მოსიამ ეს პიროვნების დიდი აღიარებაა. გილოცავ ქალბატონო თინათინ და აკადემიასაც ვულოცავ, თქვენნაირი ღირსეული ქალბატონის შემოსვლას აკადემიაში. აკადემიის დაარსებიდან დღემდე და სიცოცხლის ბოლომდე იქნებიან და არიან საამაყო საყრდენი კედელი ბატონი ტიტე და ქალბატონი ლუარა სორდია,, გალაქტიონოლოგი". ქალბატონ ლუარას, შვიდი სამეცნიერო წიგნი აქვს დაწერილი გალაქტიონზე და სწორედ ქალბატონ ლუარას არაერთხელ უთქვია ბატონ ტიტეზე ასეთი სიტყვები: ტიტე ქართული ლიტერატურის ენციკლოპედია არისო. ასეთი დიდი მეცნიერი მოვიდა 31 მარტს ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს, აკადემიაში. ქალბატონი თინათ უზარაშვილის ნიჭისათვის ხოტბა რომ, შეესხა. მადლობა უფალო, ამ ლამაზი დღისათვის. რამდენი წელიწადია ბატონ თემურ გოგსაძე აკადემიის ღირსებას წარმოადგენს და არ ვიცოდი რომ, ის თემური რომლისთვისაც უფალს ყველანაირი ნიჭი მიუცია, ყოფილა, ზვიად გამსახურდიას პირადი ადვოკატი და მასთან ერთად ქართული სულის გადარჩენისათვის ბევრჯერ სიცოცხლეც კი საფრთხეში ჩაუგდია. მნიშვნელოვანი დღის სიხარულის გამზიარებელი იყო, აკადემიის წევრი, ქალური ღირსებებითა და ნიჭიერებით შემკული ქალბატონი ნორა მგელაძე, აკადემიის ბულბული ქალბატონი ლია ალადაშვილი. გულიკო კაპანაძემ კი თავისი ახალად გამოსული წიგნით გაგვახარა. თინათინის შემოსვლა აკადემიაში დალოცა, საერო ცხოვრებაში პროფესორმა ქალბატონმა დარიკო ონიანმა და ახლა უკვე დედაომ, დედა იოანამ. იტალიიდან თბილი სიტყვებით გამოეხმაურა პოეტი ნანა გიგუაშვილი. სწორედ ნანა გიგუაშვილის რეკომენდაციით მოხვდა აკადემიაში ქალბატონი თინათინი. ღვთით კურთხეულ დღეს ესწრებოდა, ქალბატონი თინათინის ჟურნალისტი ქალიშვილი და კლასიკურად მოაზროვნე სიძე. სიხარულის ათინათები უბრწყინავდა თვალებში მის მეგობარ სვან ქალბატონს. ღვთის ნება იყო ქალბატონი

ნათია სირაძის და საჩხერელი ქალბატონის მოსვლა აკადემიაში. თუ არ გიყვარს, თუ არ გიხარია, კიდეც რომ მიგიწვიონ არ მიხვალ. მადლობა ამ ორ ქალბატონს, რომლებმაც მოწვევის გარეშე მოისურვეს აკადემიის სასიხარულო დღის სიხარულის გაზიარება. ბატონმა ნიკო ბაღაშვილმა გადაიღო 31 დღის მარტის ისტორიული ლამაზი დღე, ამისთვის მადლობა მას. გარკვეული მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა ქალბატონი ირმა კეკელიძე და ეთერ ჭელიძე. ეს დღე აკადემიის ისტორიაში ლამაზ ისტორიად ჩაიწერება.

დარიკო ონიანი დედა იოანაა

ვარკეთილში მეტროს მიმდებარე ტერიტორიასთან იყო კოლეჯი რომლის რექტორი გახლდათ აკადემიკოსი გარი ჩაფიძე. მიახლოვებით ასე 2001-2 წელი იქნებოდა. ბატონ გარიმ პირველად კადრების განყოფილების თანამდებობა შემომთავაზა. სიხარულით დავთანხმდი რადგან, რომელ თანამდებობის არჩევაზე იყო საუბარი, სამაჩაბლოდან ჩამოსულს თუკი ვინმე ხელს გამომიწვ-დიდა ამას ღვთის წყალობად ვთვლიდი. დავიწყე მუშაობა. მაისის თვე იყო ზარის შეტყობინებით ბატონმა გარიმ ითახში შესვლა მთხოვა. კარები შევაღე და დამხვდა ლამაზი, კოხტად მოწესრიგებული ქალბატონი. გაიცანი პროფესორი დარიკო ონიანია. მეუბნება ბატონი გარი. დიდი სიამოვნებით მივესალმები ამ ლამაზ ქალბატონსთქო და სკამზე ჩამოვჯექი. საუბარს შევყევით. ვატყობდი რომ, ჩემს მიმართ გულგრილი არც თვითონ არ დარჩენილა. საკმაოდ მკაცრ სახეზე ღიმილის ნაპერწკლები აუციმციმდა. იმ დღიდან დღემდე ახლა უკვე დედაო იონა და მე მეგობრებად შემოვრჩით. დარიკოს ლექციები იყო მკაცრი და თბილიც. სახელმწიფო გამოცდებზე ყველას ეხმარებოდა, მანამდე კი ცოდნას მთელი სიმკაცრით მოითხოვდა. ისეთი მეგობრები გავხდით, მასთან ვრჩებოდი სახლში და მისი ოჯახი ჩემი ოჯახი გახდა. ძალიან ტკბილი კოლექტივი გვქონდა. ბატონმა გარიმ ჩქარე გადამიყვანა თბილისის ცენტრში ვაგზალთან კულტურის ცენტრის დირექტორად. ჩვეულებრივად ტარდებოდა ლექციები და პარალელურად ღონისძიებებსაც ვატარებდი. მახსოვს ვატარებ აწ გარდაცვლილ გიზო ჭელიძის პოეზიის საღამოს. დაიწყო ღონისძიება, მოწვეული სტუმრებიდან იყო აწ გარდაცვლილი ზინაიდა კვერენჩხილაძე, რომელმაც წაიკითხა ბატონი გიზოს ლექსი. ბოლოს ბატონი გიზოს მოთხოვნა იყო, ქალბატონი ლია ნაროშვილი სცენაზე ამომეყვანა და პოეზიის დუეტი გაემართათ. საღამოს ქალბატონი ნათელაც ესწრებოდა გიზოს მეუღლე. გაიმართა დუეტი და ბატონმა გიზომ და ქალბატონმა ლიამ პოეზიის რომანტიკით ცეცხლი დაანთეს. აღტაცებით უსმენდა დარბაზი. რადგან საღამო მე მიმყავდა გავბედე და ვთქვი.

იმერეთშია ერთი მთა
რომელსაც ქვია სანთელა,
სხვის ლამაზმანებს რას ეძებ,
აგერ არ გიზის ნათელა?

ღონისძიების ფინალის კარგი დასასრული იყო. ამ ღონისძიებას დარიკოც ესწრებოდა და უხაროდა ჩემი ასეთი გაბედულობა. ო, ეს კაცები კიცხავდა ბატონ გიზოს. თითქმის დარიკო ონიანი ყველა ჩემს ჩატარებულ ღონისძიებას ესწრებოდა და მისი მოსვლა ყოველთვის დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ყველას. გარი ჩაფიძეს ორივე შვილად ვჩემობდით და ბოლოს მის სიყვარულს ვერ ვიყოფდით.

ტელეფონით ვიცნობდი ბატონი გარის დედას. ხშირად ვსაუბრობდით ერთად. ერთხელ ისიც კი წამოცდა რომ, აღარ ვინაღვლებ თუ ამ ქვეყნიდან წავალო რადგან, ჩემი შვილის სულიერი დედა შენ იქნებიო. რამოდენიმე წლის შემდეგ შენობა ნგრევის პროექტში მოყვა და

ისევ რუსთავში მომიწია გადასვლა და შუშაობა. მე და დარიკო ონიანის მეგობრობა კი უფრო მყარი გახდა. ერთმანეთთან სიშორემ ერთმანეთის ფასი დაგვანახა. გავიდა წლები. ცა მოწმენდილზე ტრომბით შვილი გარდამეცვალა. ცხრამეტ თებერვალს დარიკო ჩემს გვერდით იყო და ჩემს ტკივილს იზიარებდა. მესამე დღეს მირეკავს და მეუბნება, არ იდარდო ყველაფერი უფლის ნებაა. ობლებს მე დაგაზრდევინებო. გაოგნებულმა და ძალა გამოცდილმა ისევ სიცოცხლეზე ფიქრი დავიწყე რადგან, ჩემი თამუნა პირველი კურსის სტუდენტი იყო, თეონა სკოლის მოსწავლე და ვახო კი ორწლინახევრის. ღონემიხდილმა გულგაგლეჯილმა დავიწყე ფარფატი თბილისსა და რუსთავს შორის. ზუსტად იმ დღეს დარიკო ობლების დარდის დახმარებას როცა დამპირდა, სავადმყოფოში მძიმე დიაგნოზით მოხვდა. ექიმებმა დაითხოვეს. ღამით გამოეცხადა დედაღვთისმშობელი. ხმა ჩაესმა, სამ დღეში გადაწყდება ყველაფერიო. დარიკო საავადმყოფოდან დაითხოვეს. უმეტყველო დარიკოს წამოუძახია – მე ჩემი ხატები გადამარჩენსო. ეს ამბავი გავიგე თუ არა, ძალა მოვიკრიბე და მასთან სახლში გავჩნდი. თავს უიმედოდ დასტრიალებდა თავისი ძმიშვილი ირა ონიანი. მე ვესაუბრობდი და დარიკოს სახეს არანაირი რეაგირება არ ჰქონდა. დიდხანს ვერ შევძელი დატანჯული მეგობრის სახის ყურება და უკან გამოვბრუნდი. დარიკო ონიანი გარდა იმისა რომ, პროფესორი და წიგნების ავტორი იყო ის რწმენით ცხოვრობდა. ყავდა მოძღვარი. დადიოდა ეკლესიაში ავადმყოფობამდე. როცა უკვე მძიმე მდგომარეობაში იყო მაშინ კი იჯდა მისი ძმიშვილი მის სასთუმალთან და უკითხავდა ჯამრთელობის ლოცვებს. მოხდა სასწაული, დარიკომ მეტყველება დაიწყო, ფეხზეც ადგა და დედაოთაც აკურთხეს. მას შემდეგ თორმეტი წელი გავიდა. დედა იოანა ლოცავს მთლიანად საქართველოს და მისი მადლიანი ლოცვით ვდგავარ მეც ფეხზე. ასეთი ძალა აქვს უფალს და მეგობრი დედაო იოანას ლოცვას.

ეს რეალურად მომხდარი ჩანახატი იმიტომ დავწერე რომ, არავინ არ დაუსვათ თქვენ თავებს დიაგნოზი. ეს უფლის ნებაა. ხდება საწაულებიც!

სიცოცხლის ბოლომდე

გული ცოცხლობს მასში შემავალი დადებითი მუხტით, ჯანსაღი არტერიით, რომელსაც დიდმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა ჩონგურის სიმები უწოდა. ჩონგურის სიმებში საქართველოს ტერიტორიებია გაერთიანებული. თითოეული ქართველის სხეულის ათრთოლებული გულია ამ სიტყვებში ნაგულისხმები.,,ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, ერთი მათგანიც რომ გაწყდეს მაშინვე უნდა შველაო". კი არ გაწყდა, დაწყდა სიმები. გულს მოწიწკნეს სამაჩაბლო და აფხაზეთი. ეს ტკივილიანი სიტყვები მეტაფორებისთვის კი არ მიხმარია ეს ასე ხდებოდა.

ქართველების მოჭრილ თავებს მტრები,
სტადიონზე აგორებდნენ ბურთად.

ეს ტკივილი ყველა ქართველის გულს სიმს შეეხო. პირადად ჩემი სისხლის ნათესვები შეეწირნენ აფხაზეთის მტრისგან დატრიალებულ ქარბორბალას. ჩემი დეიდაშვილები შავაძეები, ბიძაშვილები შუბითიძეები და ჩემი ხარაიშვილები. ყველაზე დიდი სასიცოცხლო სიმი ჟიული შარტავაა. ის საქართველოს გულის არტერია იყო. უიმედობა რომ მომეკლა, გულში გავაქრე სატანის კვალი და ჩემი ხელით ავაციმციმე ვარსკვლავები რათა ვალმოხდილი შევუერთდე უდროვოდ და ღირსეულად წასულებს. მოვიმარჯვე ღვთით ნაკურთხი კალამი და დავწერე ხალხის საიმედოდ ეს სიტყვები.

მწამს გაქრება დრო სატანის კვალი,
ვარსკვლავები განაგრძობენ ციმციმს,
აფხაზეთი? საქართველოს თვალი,

კვლავ ქართულად ამღერდება ვიცი.

უნდათ თუ არ უნდათ ასე მოხდება რადგან, ყველაზე დიდი უზენაესი თავყრილობა ზეცაში იმართება, იქ წყდება ეს საკითხი. უფალი იმას არ დაუშვებს რომ, ქართულ მიწაწყალზე სხვა ჯიშის ვარდებმა სამუდამოდ დაიყვავილოს. ჩონგურის მეორე დიდი სიმი სამაჩაბლოა. ეს ის ადგილია სადაც შვილები გავზარდე და სადაც ვცხოვრობდი. ეს ჩონგურის გულის მეორე დიდი სიმია. ჩემს თვალწინ მოხდა თემურ იარღანაშვილის, ლერი მჭედლიძის და კახა ქელეხსაევის სიკვდილი. მოკლეს სიცოცხლით გაუმაძღარი ბიჭები. არავინ არ კითხულობდა ვინ იყო მტერი და ვინ იყო მოყვარე, მთავარია უნდა ესროლათ. უნდა ყოფილიყო, ტყვიებით გავსებული სამაჩაბლო. ირგვლივ მიმდებარე ტერიტორიები ია-იებივით ტყვიით უნდა მორთულიყო. ამ ბრძანების კვალდაკვალ ტყვიები სეტყვასავით ცვიოდა. ჩემს უბანში არეულობის განცდებს შეეწირნენ, ამირან, ოლეგი, ვახტანგ, ჟორა სხირტლაძეები. მათ ვერ წარმოედგინათ როგორ უნდა გამხდარიყვნენ მტრები გვერდიგვერდ გაზრდილი მეზობლების და სისხლშერეული ნათესავების. საკუთარ ეზოში მოკლეს შვილიშვილს საშველად გადაფარებული ბებია ნორა კვინიკაძე. ხოლო დაჭრილი მამაშვილი სოფელ ბრეძიდან ამოსულმა მურიკა მეყანწიშვილმა გადაარჩინა მან თავისი სიცოცხლე სასწორზე დადო და დაჭრილები ქარელის სავასმყოფოში მოათავსა. აქ არ ტყუოდა ადგილობრივები არც ოსი არც აფხაზი და არც ქართველი, ისინი ბრძანებებს ასრულებდნენ. ამიტომ მოვმართე ჩემი გულის ჩონგური და ვუფრთხილდები ყველას. ვეფერები გულში გაერთიანებულ თაობათა კავშირს. გული ყურძენივით უნდა გამოვწურო და სიყვარულის შარბათით მინდა დავათრო თაობები, ამას ვემსახურებოდი ომამდეც და მოვემსახურები სიცოცხლის ბოლომდე!

ჩამოხლეჩილი ტოტი

იდგა ხე საღი ტოტებით და წელიწადში ხუთჯერ ყვაოდა. ნაყოფით დახუნძლული ყველა დროში ლამაზი იყო. გაზაფხულზე, ზაფხულში შემოდგომაზე და ზამთარში. ხის სიძლიერე დროს სჯობნიდა. წელიწადში ხუთჯერ აყვავებულ-მოსხმული ნაყოფით გამლელ-გამომვლელსაც აპურებდა და შინაურებიც კმაყოფილი ჰყავდა. რამოდენიმე წლების წინ ქარი ამოვარდა, ხეს ჯერ გულში შეუსისინა კოდალასავით გული ამოძიძგნა და მერე ზუსტად ერთ დღეში ისეთი ტოტი მოატეხა რითაც საზრდოობდა. დაიწყეს შინაურებმა ცრემლით ვიშვიშები ირგვლიმყოფებმა ხელი ჩაიქნიეს უიმედოდ რადგან, ეგონად რომ ხე წაიქცეოდა....

იდგა ხე გარინდებული. მარჯვენა ერთ ტოტს სამი ტოტი წამოზრდოდა მაგრამ, ისინიც სევდის ფიქრებს შეეპყროთ. დაიწყო ფიქრი ხემ გავხმე და წავიქცე თუ გავაგრძელო სიცოცხლე? ხშირად უსვამდა თავის თავს კითხვას. უიმედო ფიქრის ნეგატივი ხის ფესვებმა შეიგრძნეს და კვნესა დაიწყეს. ხემ გადმოხედა თავის ფესვებს და ჩამოსძახა. გავაგრძელებ სიცოცხლეს, ოღონდ მტკივნეულ ადგილას არავინ შემეხოს. მართალია ტოტი მომატყდა მაგრამ, ჩემი ტოტის ფესვებმა უნდა ისაზრდოვოთ ჩემი სიკეთის ჰაერით. ფესვებმა ახალი სამი ყლორტი წამოიზარდა. ყლორტებმა კიდევ ოთხი და ჩამოხლეჩილი ხის ტოტი გადაიქცა შვიდ ჯანსაღ ხედ, ამათ დაემატა საღი ტოტისგან დაზდილი ლამაზი ორი ტოტი და შეიქმნა სიკეთეთა არმია. მართლაც ისეთი ლამაზები არიან მათ ყურებას არაფერი ჯობია. დგას ხე და ტკბება მათი ყურებით. ერთ დღეს გადაწყვიტა რომ, თავის ტოტებ ქვეშ ისეთი ადამიანები ჩამოესვენებინა, ვისაც გულში მხოლოდ სიყვარული ჰქონდა გაბატონებული. მოიყვნა ერთი-ორი კეთილი სულისანი და ასე გამრავლდა სიკეთისა და სიყვარულის აკადემია რომელიც, ატარებს დიდი მოგზაურის ჯუმბერ ლეჟავას სახელს. ქარი ხშირად ამოვარდება ხოლმე, დატრიალდება ზუსტად იმ ჩამოხლეჩილ ტოტთან

რომელის, შეხებაზეც ხე კვნესის და. ცერმლები ცვივა. ითმენს ხე მომავლის სიყვარულით. ქარი იმიტომ დაძრწის ხის სიძლიერეზე ბრაზდება, ყველა ღონეს ხმარობს წელში მოხაროს. ქარმა არ იცის რომ, ხეს ცა მართავს. ცის უხილავი ძალები უგზავნის კეთილ ბატონებს და ქალბატონებს. ასეთ სულით წმინდა ნიჭიერთა ჯგუფს მიეკუთვნება. ლონდონში მცხოვრები ქართველი ქალბატონი მზია კვირიკაშვილი და კახეთში გაზრდილი ლია ალადაშვილი, ამ ქალბატონების სული ისე წმინდაა, როგორც ჰაერში მოფარფატე ფიფქები.

გულის ბუხარი

სიყვარულისთვის გაჩენილს, სიძულვილს ნუ დამავალებ. ნუ მაიძულებ ვიყო ის რაც არ ვარ და არც არასოდეს ვიქნები. სიძულვილის მისიის შესრულებას სიკვდილი მირჩევნია. ნუ ამომადენ ყელში იმ სიტყვას თუ ოდესმე ჩემზე თბილი სიტყვა გითქვია. დასაყვედურებული სიცოცხლეც არ მინდა. ენას სანამ ვისწავლიდი დედაჩემი სიყვარულის ზღაპრებს მიყვებოდა. როცა წამოვიზარდე ვიცოდი რომ, ყველაფერს უნდა მივფერებოდი და მყვარებოდა. უნდა მყვარებოდა თვით უსულო და უმეტყველო ნივთებიც კი. დედისგან ვიცოდი რომ, ჩემი საკუთარი მინდვრის იებისა და ენძელების სურნელებით უნდა დამტკბარიყავი და სხვის ბაღში ვარდი არ უნდა მომეწყვიტა. ჰოდა გავიზარდე ისეთი როგორიც დედას უნდოდა. არ ყოფილა შემთხვევა რომ, დედაჩემს ჩემს საქციელზე გული ტკენოდა. თუმცა ძალიან ცელქი და მოძრავი ბავშვი ვიყავი. ჩემი სიცელქით არაფერს ვაშავებდი. არავის ვცემდი და არავის ვჩაგრავდი. თუ ერთი ბავშვი მეორეზე ცუდს იტყოდა და მერე ვიღაცა იმ ბავშს ენას მიუტანდა და დავინახავდი რომ, სიბრაზისაგან ცოფებს ყრიდა. მე ისე დავამშვიდებდი სიძულვილის მაგივრად ერთმანეთის მეგობრები ხდებოდნენ. მე კი ეს მიხაროდა და ამნაირი სიყვარულით ვკვებავდი გულს ბავშობიდან. როცა გავიზარდე და უკვე დედა გავხდი ჩემს სოფელში ჩხუბი მოხდა, ერთმა ახალგაზრდამ მეორეს ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა. დაზარალებული ჩემი ნათესავი იყო. წამში მასთან გავჩნდი. საუბარისას ისეთ თემებს შევეხე, ისე ვამოგზაურე მიმტევებლობის ქვეყანაში რომ, გაცოფებული ნათესავს სიმშვიდე შევანაეჩუნებინე და ბოლოს კი ერთმანეთთან შევარიგე. პატივს ვცემ კანონს და სამართალს მაგრამ, პოლიციის აგენტად არასდროს გამოვდგები. სიკვდილზე მეტად მძულს ისეთი ქალბატონები ვინც ამას დამავალებს. ასეთი

ცხოვრებით არასოდეს ვიცხოვრებ. მე ერთი ღარიბი პოეტი ვარ, საკუთარი მხოლოდ გული მაქვს. გულში სიყვარულის ცეცხლი მინთია. სუყვარულის ცეცხლზე გათბობა მხოლოდ კეთილ ადამიანებს შეუძლიათ. ბოროტს და ავს გული არ კარობს. თუ ვინმე ჯიუტად გათბობას მოინდომებს, თვალთ უხილავი ძალით, ძალა მემატება და ასეთ ენერგო ვამპირებს დუმილითვე ვაიძულებ უკან გაბრუნებას. გავიზარდე ვეფხის ტყაოსნის აფორიზმებით. ,,ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია".,,გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილი მოუბარი". იმაზე ძალიან მძულს ენის მომტანი ადამიანი, ვიდრე ჩემზე აუგის მთქმელი. თუ ჩემი მოყვარე ხარ იქვე გაეცი პასუხი. მე ასეთი ცხოვრებით ვიცხოვრე. ამჯერად თმებ შვერცხლილ –შეჭაღრებულს ნუ დამავალებ იმას რაც არასოდეს გამიკეთებია და არც არასოდეს გავაკეთებ. შენი მტერისთვის სათქმელი შენი

დავალების გარეშეც მითქვია და ვიტყვი. რასაც არ გკადრებ, შენც ნუ მკადრებ. ქართული ენა, მდიდარია თბილი სიტყვებით. გენაცვალე, გეთაყვა, საყვარელო, გაიხარე, გამრავლდი და ასე შემდეგ... ძლიერი მამაკაცი ქალბატონებთან არასოდეს იკადრებს ბილწსიტყვაობას.

დედა ქალბატონი არასოდეს არ უნდა წყევლიდეს სხვას. დამინახე, ხელში სიყვარულის თაიგული მიჭირავს და უშიშრად მივიწევ წინ. დააკვირდი ჩემს უშიშარ სახეს. ჩემი კვალის ანარეკლს სიყვარულის იერსახე დასტრიალებს. ჩემი ხელები ცისარტყელის ხელებია, ცასა და დედამიწას სიყვარულით აერთიანებს. მივდივარ წინ და უკან მომავალს გზას ვუკაფავ. რათა უეკლო გზაზე იარონ. სიყვარული უნდა დავამკვიდრო დედამიწაზე. მე ქართველი ვარ და ყველაფერი ქართული მიყვარს. ორი თვალი მაქვს და თვალთა ხედვასაც არ ვუჩივი, მადლობა უფალს. ჩემი თვალი ვარდისფერ ქართულ სამყაროში ტრიალებს. შენი თვალებით არაფერს დავინახავ. დედა თბილი უნდა იყოს როგორც შეშით აგუზგუზებული ბუხარი. ასეთი თბილი ძველებური ბუხარი ვარ მე დედა გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი).

სათნო და მებრძოლი

ნაილი ხარაიშვილ-ხეთერელში ორი ქალბატონი ცხოვრობდა. ერთი ნაილი იყო სათნო, კეთილი და მიმტევებელი. მეორე ნაილი იყო მებრძოლი და შეუპოვარი. ნაილი ჩემი ტკბილი ბავშობაა. საჩხერის რაიონ სოფელ ხვანის მდინარე ძირულის ახლოს აგებული კოპწია სახლი და ლამაზად მოწერიგებული ეზოს ყვავილები მახსენებს იმ წლებს ჩვენ რომ ერთად დავდიოდით. ერთად გვიხაროდა ყოფნა. უშიშრად დავხტოდით ქარვისფრად შეყითლებულ თეთრი ბლის ხეზე. მახსენდება შუშანა ბებიას შეძახული, არ ჩამოვარდეთ! მახსენდება დაიკო შენი კისკისი და თეთრ სახეზე წითელ ტუჩების ქვეშ მიმალული ქათქათა კბილების ჯადოსნური ღიმილი. რა დამავიწყებს ხვანის ტყეში დაკრეფილ ნიყვებს. მოვიტანდით და შუშანა ბებია იმ წუთში ბუხარში ცეცხლს მოაძლიერებდა, ზედ თიხის კეცებს გადააწყობდა და გავარვარებულ კეცებზე სუფთად გარეცხილ მარილი წაყრილ ნიყვებს დააწყობდა. სახელ-დახელოდ აფუებულ ცომში კეცებზე შუშანა ბებიას გამომცხვარი ხაჭაპურიც გემრიელი იყო. ეს მცირე ამონარიდია იმ დიდი და ვრცელი გაუხუნარი ბავშვობიდან. შენი სიცოცხლის ბოლო წლებში, დაიკო, ისევ კალამმა გააერთანა ჩვენი წლები. თბილისში როცა ერთმანეთს შევხვდით, შენ უკვე დარდ-ბრძოლა გამოვლილი იყავი. ადრე დაქვრივებულს ღირსეული სახელით დამხვდი. ყველამ იცოდა ნაილი ხარაიშვილის სახელი. სიცოცხლის ბოლო წუთამდე მე მამხნევებდი, არადა, თურმე ჩუმად მძიმე დაავადებას ისე ებრძოდი, ერთხელ არ დაგცდენია. აი, ამას ქვია სიძლიერე. გუშინ მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში შენი გახსენების სიტყვებს ვერ ვეგუებოდი. არადა, ლამაზად გიხსენებდა ლამზირა შეყილაძე. გიხსენებდა, სერგი ლომაძე და კახა ბაციკაძე. მე არ გიხსენებდი, დაიკო, მე გულში მყავდი ისევ ისეთი მომღიმარი ვითომდა უდარდელი ნაილი. ვწერ ამ სიტყვებს და ცრემლები მწკრივად ცვიოდა თვალებიდან. ნათელში იყავი სულით სპეტაკო უკვე დედაო. შენი სამუდამო საცხოვრისი დედათა მონასტერია. საფლავიდან წამოღებული სამოთხის ვაშლი მახსენებს შენი სულის უკვდავებას. სამოთხის ვაშლს ვეფერები იმიტომ რომ, სულის უკვდავებასთან ასოცირდება!

თაობათა კავშირის ერთსულოვნება

როცა არ ივიწყებენ ესაა მარადისობა. მივყვეთ გზადაგზა ჯგუფ ზღვარის ლიდერის სერგი ლომაძის ჩატარებულ საღამოს. მე ვიხილე ზღვარელები კიდევ უფრო ზე აღმატებულები. სამ საათიან ღონისძიების მსვლელობისას, იყო ტაში, იყო დუმილი და იყო შეძახილებიც. ღონისძიება ცასა დედამიწას შორის ტრიალებდა.

მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში, მირზას სულის სიახლოვე იგრძნობოდა. მირზა მასპინძელი იყო, მეუფე თადეოზ მირიან იორამაშბილის, ბეჟან ხარაიშვილის, თემურ ჩალაბაშვილის და დავით გამთენაძის. სერგი ლომაძის წაკითხული ლექსები მზის ფერებში სხივებს ადევნებული დედამიწაზე მარგალიტებად ცვიოდა. სულთა ზეიმი იყო. გაერთიანებულ თაობათა კავშირს, ჯგუფ ზღვარს და ანსამბლ ლალეს ხელოვნების ცეცხლი ენთო. მუსიკა და ლექსები ერთად შერწყმული სასიამოვნო მოსასმენი იყო. ვიჯექი ჩემთვის და ამ სამყაროს არ ვეკუთვნოდი. არ დავიწყება მიხაროდა.

მაგიდაზე მეწყო ანთოლოგიის წიგნები, სადაც წლების განმავლობაში იბეჭდებოდნენ და ახლაც იბეჭდებიან, გარდაცვლილი პოეტები. ესაა მარადისობა, ესაა არ დავიწყება. დიდება მათ სულებს. რაც შეეხება ჯგუფ ზღვარს აკადემიის დაარსებიდან, აკადემიის სიცოცხლის უსასრულობამდე არიან და იქნებიან რჩეულები. მათ არ ეშლებად სად უნდა მივიდნონ სამივე ერთად, როდის და რატომ.

მივყვეთ სერგის წაყვანილ საღამოს. კახა ბაციკაძე, გიორგი ზუხბაია, დარბაზში მოწვეული პოეტები და ანსამბლი ლალე, ისე ააწყო სერგიმ როგორც, სიმები. გამახსენდა აკაკი წერეთელი,, ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შველა". არა ღმერთმა ნუ ქნას. არ უნდა გაწყდეს, დიდები უნდა გაერთიანდეს პატარებში. არაფერი არ ჯობდა ამ სანახაობის მოსმენას. მინდოდა არ დამთავრებულიყო. აქ, არ იყო ბოღმა და შუღლი. სიყვარული ზეიმობდა. სიცოცხლე იმარჯვებდა სიკვდილზე. იმასაც ვხედავდი და ვგრძნობდი რომ, თავისი თავდაბლობით ამაღლებული ბატონი გოჩა ჭელიძეც კმაყოფილი იყო ჩატარებული საღამოსი. სევდის ცეცხლი ნელ-ნელა იფერფლებოდა, მარადისობის ცეცხლის ალს მიფიცხებულები გაყინულ გულებს ყველანი ერთად ვითბობდით. ოთხ პოეტზე გათვლილი საღამო, სერგი ლომაძემ მთლიანად გარდაცვლილთა სამყაროში გააზიარა. ზეციდან სულები დაბლა ჩამოიყვანა და ერთად აზეიმა უკვდავება. ფიქრს მგზავრად ავედევნე, ჯერ დავისვენე, მერე ცაში ავედი და იქიდან გადმოვხედე ჩატარებული ღონისძიების მსვლელობას. როგორ ლამაზად კითხულობდნენ პოეტები ლექსებს. ნორიკო მგელაძე, ნინო უძილაური, ხათუნა ცომაია, ლამზირა შეყილაძე, დავით ქორიძე, გერონტი მესხი და სხვები. არ დავიწყების დღეს მასპინძლობდა, მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელი. ბრწყინვალე იყო ბიბლიოთეკის დირექტორის ქალბატონ ქეთინო ნიკურაძის სიტყვა.,,ჩვენ მზად ვართ ყველა ღონისძიების აქტივობაში ჩავერთოთო". ღონისძიება შეაჯამა ქალბატონმა ირმა კეკელიძემ. ეს არის ქალბატონი ენციკლოპედია. შეეკითხეთ თუ რამის ცოდნაში ეჭვი გეპარებათ და შეუცდიმლად გიპასუხებთ. რაც შეეხება მის კალამს, ბრწყინვალე მწერალია. ათინათი მდიდარია ირმა კეკელიძის მასალებით. ათინათში სიახლე შემოტანა ისტორიის კვლევით, ბატონმა გოჩა ჭელიძემ. როცა ღონისძიება შეაჯამა ქალბატონმა ირინამ, არ

დავიწყებაში გააერთანა ათინათი მთლიანად. ერთი ამოსუნთქვით გვაზიარა ჭეშმარიტებას. რამეთუ ეს ღონისძიებაც ათინათიდან გამომდინარე იყო. რუბრიკა,,არ დავიწყება ქართველ მოღვაწეთა".

არ მიგვრძნია დაღლა რადგან, სერგი იყო თავისი ჯგუფით და ანსამბლ,,ლალეთი". თუმცა რუსთავიდან თბილისში ჩამოსულს, მზის სხივებიდან სევდის ელდამ გული ისე ჩამისერა, ვერაფრით ვერ მოვახერხე სადმე გადამემალა. ამიტომ ჩემი სიხარულით ვერ შევეხმიანე მარადისობის მგზავრებს. ცოტა ხნით თვალს მოვატყუებთქო და გადაღლილს ღრმად ჩამძინებია. ცისკრის დილა თენდება. ხელებში ძალა მომემატა და როგორც შევძელი ისე გიამბეთ, თაობათა კავშირის ერთსულოვნება!

სიყვარული გადაარჩენს საქართველოს

მადლობა მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორს, ქალბატონ ქეთევან ნიკურაძეს. მადლობა მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში მომუშავე ყველა თანამშრომელს. იქ, მიგვიხარია სადაც პოეტი მირზა გელოვანის სული ტრიალებს. ღონისძიება მადლმოსილი იყო რადგან, მამა დავით ადამაშვილმა აკურთხა, დალოცა ყველა ღონისძიებაში მონაწილე აკადემიის წევრი. ერთ საათში მამა ამირან ამირანაშვილიც შემოგვიერთდა და ღვთის წყალობის ქვეშ გუგუნებდა კულტურის კერა. მირზა გელოვანის ბიბლიოთეკაში, სულიერების მყუდრო სავანეა. იმ დღის პოეზიის ხმაური ზეცას ესმოდა. სიმღერის ხმის ექო დადებით აურად იფანტება ვაჟა ფშაველას გამზირზე. გამახსენდა წლების წინ დაწერილი ლექსი.

თუკი მიხმობს ფშავ ხევსურეთი,
მგზავრად გავყვები ფრთა დაჭრილ ნიავს,
მტკვარო, არაგვი იმიტომ გერთვის,
წლობით ნაგროვი დარდი რომ მიგაქვს.
და მე სანაცვლოდ ლამაზ ჩარგალში,
დავაყურადებ ღელეთა ბუტბუტს,
წყალსაც ჩავასხან ნაპრალში ხახაში
და გავამხნევებ ნაღვლიან ბულბულს.

ჩემი ბულბულები, აკადემიის წევრებია. ვცდილობ ცრემლები შეუმშრალო სევდით გადაღლილ კულტურის მოღვაწეებს, გულის სიცოცხლის კერა მოვუძლიერო. გამოვიდა 51 ნომერი, ბევრჯერ ჩატარდა ათინათის სხვადასხვა დარგის პრეზენტაციები. ითქვა სათქმელი. დაინეგა სამომავლო გეგმები. აქამდე არ ვიყავი კმაყოფილი თითქოს რაღაცა აკლდა ჩემგან ნაშებებ ხელოვნების კედლებს.

თითქოს რაღაცას ვაკლებდი საქმეს. ვფიქრობ 51 ნომერმა თქვა სათქმელი. მაინც ვეჭვობ რა შეიძლება კიდევ დავამატო ან გამოვაკლო. მამა ამირან ამირანაშვილმა, ბატონი რეზო მიშველახის და რეზო ადამიას შემდეგ თქვა ის რისთვისაც მართლაც მთელი სიცოცხლე ვბრძოლობ. რა დავუტოვო მომავალ თაობას ისეთი რომ, იყოს მისაღებიც და საინტერესოც. მოულოდნელი იყო ჩემთვის მისი სიტყვები. ასეთი წიგნი უკვე მომავალი თაობის საგანძურიაო.

წიგნი ათინათი პრეზენტაციამდე განვიხილეთ აკადემიაში და სტატიაც არის დაწერილი ვრცლად და შინარსობრივად განხილული. 19 მარტის ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეებს მადლობა უნდა გადავუხადო. ესენი არიან ანსამბლი ლალეს ჯგუფი, ხელმძღვანელი ლეილა ჭიოკახე და ბოლნისის ააიპი საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული წმინდა იუანე ბოლნელის სახელობის მეხუთე ბ კლასის მოსწავლეები, რომლებმაც წაიკითხეს, ემიგრანტი პოეტების ლექსები. მალვინა ჭელიძის, ლეილა მაჩაიძის. პოეტი ნაირა უგულავას, ლამზირა შეყილაძის და ჩემი დიდაქტიკური ლექსები. საპატივსაცემოდ გადავეცი სიგელები, ათინათები და

ემიგრანტ ანა მარიას პოეტური კრებული ,,ცა ოცნების ფერია". ბარბარე აკოფიანის, ანასტასია დევნოზაშვილის და მარიამ ახოტელაშვილისთვის, ეს დღე ლამაზ ისტორიად დარჩება. მოსწავლეები ლექსებს ამბობდნენ ცნობილი პოეტების გვერდზე. მადლობა კლასის ხელმძღვანელს ნანა სხირტლაძეს აკადემია ,,ბუდარიას" პრეზიდენტს, პედაგოგს, ათინათის რედაქტორს. ღონისძიება საინტერესო იმითაც იყო რომ, გვესწრებიდა ცნობილი ჟურნალისტი, რუსთაველი ბატონი ბესო ჩუბინიძე, რომლის ლექსებიც ამშვენებს ათინათს. ვიყოთ ასე ერთად სიყვარული გადაარჩენს საქართველოს!

გზას გამოყევით

2024 წლის 16 მარტს ლამაზი დღე ჩატარდა მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში, ხელმძღვანელი ქეთევან ნიკურაძე.,,ფეხი ჩემია და კვალი ანგელოზისაო" თქვა ორი წლის უშგულელმა თაია ჭელიძემ. მეც ავიღე ყვავილების თაიგული და გავყევი ანგელოზის

კვალს. მივდიოდი და გზადაგზა მერცხალივით ჭიკჭიკა ხმა მაცილებდა. ეს თაია იყო, პატარა სიფრიფანა გოგონა. გავხალისდით. დარდიც არ მცილდებოდა რადგან, დარდსაც ვუყვარდი. მივდიოდი და მიმყვებოდა უსასრულო პირადული თუ საერთო ტკივილი ერისა. ღრმად ვიყავი მაინც დარწმუნებული იმაში რომ, ანგელოზის კვალაზე ივლიან, ანსამბლ ,,ლალეს" მომღერალთა გუნდისნაირები, ხელმძღვანელი (ლეილა ჭიოკაძე). ბევრი თაიასნაირები და ასე იჟღურტულებენ ჩემს საყვარელ საქართველოში გაზაფხულის მერცხლები. თაობათა კავშირი არის შექმნილი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიაში. აქ არიან დიდები და პატარა ასაკისანები. ძლიერები და საშუალო პოეტები. – მე ვინ ვარ? – სანამ კითხვას დასვამდეთ გიპასუხებთ. – მე საშუალო დონის პოეტი, დედა გულნაზი გახლავართ.– სიყვარული როგორი ვიცი? ო, აქ, პირველობას არავის დავუთმობ. სიყვარულში ყველას გეჯიბრებით. გაბრაზდით და შემეჯიბრეთ ჩემო თანამოკალმეებო. დამამარცხებთ? იცით როგორ გამეხარდება? აი, მაგისთვის ვწვალობ გიყვარდეთ ერთმანეთი. ისეთი სუფთა და უმანკოები უნდა იყოთ, როგორც ორი წლის მტრედივით მოფართქალე თაია ჭელიძის გულია. 16 მარტი ლამაზად ჩაიწერება ქალბატონი ლია ალადაშვილის (აკადემიის ბულბულის) ცხოვრებაში. მან აკადემიის გადაწყვეტილებით, მიიღო მადლობის ბარათი, აკადემიაში უანგაროდ გაწეული დაუღალავი შრომისათვის. მისი შრომა სიმღერაა. დიახ! მღერის დარდიანი ქალბატონი რათა, საქართველო დადებით მუხტში ამყოფოს. მადლობა ჩემო ერთგულო ლია. შენ გულის სირწფელეში არასდროს არავის არ შეეპარება ეჭვი. დიდი და კარგი მაშინ ხარ, როცა შეგიძლია თავდაბლობა. რუსთაველის პრემიის ლაურიატი ბატონი რეზო მიშველაძე და კლასიკოსი ხატმწერი მსოფლიო ხელოვნების საერთაშორისო მუდმივი წევრი რეზო ადამია, ორი ბუმბერაზი ადამიანი სიმშვიდით უსმენდა მომავალი თაობის ანსამბლ,, ლალეს" გალობას. თუმცა წინსწრება სწორედ მათ საპატივსაცემოდ იყო გათვლილი. აკადემიის მოწვეულ წევრებს და მოწვეულ კლასიკოს მწერალს ბატონ რეზო მიშველაძეს და ხატმწერ რეზო ადამიას ,,მრავალჟამიეროთი " შეეგებენ ანსამბლი,, ლალე " და პატარა თაია. 16 რიცხვს მოხდა ახალი შოთა რუსთაველის დაბადება,, ათინათში". ნურავინ გამინაწყენდება იმაში რომ, ეს პორტრეტი უფრო მიყვარს ვიდრე ას ლარიანების დასტა შოთა რუსთაველისა. სხვა ერს

და ეროვნებასაც პატივს ვცემ მაგრამ, მე ჩემი მიყვარს. დაიბადა ახალი შოთა, ქართული სახეთი. პორტრეტი ზრდის პროცესშია. შეიძლება მხატვარმა, პარიზის მსოფლიო ხელოვნების საერთაშორისო მუდმივმა წევრმა ბატონმა რეზო ადამიამ, რამე შეცვალოს და მიიღოს კეთილი რჩევები მაგრამ, საქმე იმაშია რომ, ათინათმა და წმინდა ნინოს ხატმა უკვე ჩაიხუტა შოთა რუსთაველის ქართული სახე რომელსაც, წმინდა გიორგი და დედა ღვთისმშობელი დაიცავს. კლასიკოსი მწერალი რეზო მიშველაძის საუბარი ძალიან საინტერესო იყო. ბატონმა რეზომ იცის როგორც, ყოველთვის თუ სად, როდის და როგორ რა თემაზე გაშალოს საუბარი. დარბაზიდან ძალიან ბევრჯერ გაისმა კმაყოფილების ტაში. ახლა მინდა საქართველოს და არა მარტო საქართველოს მივმართო ის რომ, ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრები თუ მასპინძლები იყვნენ დიდი ხელოვანნი. ცეცხლი დაანთო პოეტი ნანა ცინცაძის გამოსვლამ. ხოლო ნინო უძილაურს ახსოვდა თავისი მისია. გულნაზი დედასაც უნდა მოფერებოდა, პორტრეტზეც უნდა ესაუბრა და ლექსიც უნდა ეთქვა. ჩემდა გასახარად არ ჩაჭრილა ჩემი შვილობილი და თქვა ის რაც უნდა ეთქვა. მადლობა ქალბატონ ნინოს. ახლა დავასახელებ შეძლებისდაგვარად იმათ ვის მხრებზეც დგას აკადემია. ეს უნდა ვთქვა რადგან, არავინ მომნათლოს ამხელა ორგანიზაციის მომწყობი და ჩამტარებელი თუნდაც ,,ათინათის' გამოშვები ვიყო მარტო მე. არა ჩემო კეთილო ხალხო. აკადემიის იმ დღის ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ. თუმცა ბერი არიან, აკადემიის გულშემატკივარი პოეტები ამაზე სხვა დროს. ახლა ვასახელებ იმათ ვინც 16 რიცხვს იყვნენ ღონისძიებაზე. ირმა კეკელიძე (მწერალი-ექიმი) თემურ გოგსაძე (ადვოკატი – პოეტი) და ეთერ ჭელიძე პოეტი და აკადემიის დიდი ძალა. რაც შეეხება ღონისძიებაზე მოსულ ჩემს აკადემიის წევრებს. პედაგოგები და პოეტები: გულიკო კაპანაძე, ნინო მოსაშვილი, ვალია კვაშილავა მათთან ერთად სხვადასხვა სპეციალობის აკადემიის წევრები, ადვოკატი პოეტი მაგული კორძაია, ექიმი და პოეტი ია მოსაშვილის, გამოსვლით ღონისძიება გამრავალფეროვანდა. ნათია ჯიქურაშვილს, ვალია კვაშილავას და სხვების გამოყვანა აღარ მოხერხდა დროის გამო. საჩხერიდან რომ, პედაგოგი პოეტი ჩამოვა და სიტყვაში არ გამოიყვან. სირცხვილის ალი მწვავს მაპატიე ქალბატონი ვალია. სიტყვა ვერ მივეცი ათინათის რედაქტორს, ფილოლოგს ბოლნისის საპატრიარქოსთან არსებულ ივანე ბოლნელის სახელობის ქართული ენის პედაგოგს, აკადემია ,,ბუდარიას" პრეზიდენტს ნანა სხირტლაძეს, რისთვისაც ბოდიშს ვუხდი. რუსთავიდან იყო აკადემიის წევრი გიგი თეთრაძე საცოლესთან ერთად. მას კი უსიტყვოდ როგორ დავტოვებდი, ამ აღიარებულ სპორტის ოსტატს და უკვე საქორწილოდ გამზადებულ ახალგაზრდა რუსთაველს. ბედნიერი იყავი შვილო გიგი შენს საცოლესთან ერთად და შოთა რუსთაველური სიყვარულით შეიყვარე შენი მომავალი მეუღლე. ყველაზე მთავარი ის იყო, რომ 51 ნომერი გამოვიდა სქელი ყდით. შოთას ქართულ სახესთან ერთად დაიბადა ახალი ათინათი. წმინდა გიორგის შიგა ყდაზე, უცვლელად დარჩება, დიდი მოგზაურის სურათი და აკადემიის ფიცი. შოთა რუსთაველის სიტყვებით., ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია" აკადემიის ფიცი და შოთას აფორიზმი თარგმნა ლობდონში მცხოვრებმა ქართველმა ქალბატონმა, აკადემიის წევრმა, მზია კვირიკაშვილმა. ბატონმა ჯუმბერიმ ცხრა წელიწადი იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო და ვინ იცის მისი სიცოცხლის მცველადაც აირჩია შოთას სიტყვები. მე ბევრჯერ ვფიქრდები, ამაზე შოთა რუსთაველის სიტყვები ხომ არ იცავდა მოგზაურს, აბა როგორ გადაურჩა კაციჭამიებს. როცა მათთან მოხვდა. თურმე გვერდზე მიუჯდა და უთხრა ჩემი ჯერი როდის დადგებაო. კაცი ჭამიების ლიდერს უპასუხია, ნუ გეშინია ბებრის ხორცს არ ვჭაამთო". აი,

ასე ერთი ღონისძიების ჩატარება არაფერია იმ დიდ რწმენასთან რაც ჩემშია. არ არსებობს სიკვდილი. არსებობს გარდაცვალება, სწორედ მაღლიდან დამჩერებიან გარდაცვალებულები. ვცდილობ პატივი მივაგო შეძლებისდაგვარად რათა წინაპრის უპატივცემულობა ცოდვად მიმაჩნია. მაშ, ასე გზას გამოყევით ჩემო მომავალო, თქვენთვის ვიწვალე... ეკლები ავბარდე. აუცილებლად სიყვარულის გზაზე მოხვდებით სადაც სიმშვიდე გელოდებათ!

რა არის სიყვარული

სიყვარული ერთი ყვავილია. მთლიანად გაერთიანებული კონა კი, ჩემი აკადემიის ერთად ყოფნას ნიშნავს. რეალურად ეს ასე არის. თაიგული რომელიც ხელში მიჭირავს გალიდან გადმოსულმა ლამაზმა კოლხმა ქალბატონმა ლიანა კაკუბავამ მომართვა. ლიანა როცა გავაცილე, მოვბრუნდი და დიდ ხანს ვიდექი დაფიქრებული. ბოლოს ხელში ავიღე ყვავილების კონა და ყურება დავუწყე. ისეთი სიყვარული ვიგეძენი მთლიანი ტანი ჟრჟოლვის ქარცეცხლში გაეხვია. დავრჩით მე და ყვავილები ერთად. ბევრი ვისაუბრეთ, ყვავილები სხვადასვა თემაზე მესაუბრებოდნენ. თითქოს ქალბატონი ლიანას ფიქრი იყო მათში დარჩენილი. თავისუფლება გვენატრებაო მითხრეს. ცა როცა კაშკაშებს მზისგან გავარვარებულ დედამიწას შეიძლება წამებში სევდის ყინულებმა წამოუშინოს და ყველაფერი გაყინოსო. ჩვენც თოვლის ქვეშ სული ამოგვხდესო. ძალიან ბევრჯერ გარდა-ვიცვალეთ და მერე მიწაში ღრმად დარჩენილმა ფესვებმა წამოგვზარდა და სული ჩაგვიდგაო. ყვავილებს დავპირდი რომ, არ მოვაკლებდი ყურადღებას. ასეც მოვიქეცი. ყოველდღე წყალს ვუცლიდი, ვეფერებოდი იმ ქართველების მაგივრად რომლებსაც, ძალიან ენატრებათ აქეთ თავის ნათესავები. ფაქიზმა ყვავილებმა ზუსტად ერთი თვე გაძლეს. რამდენიმე ციცქნა ყვავილი წითელ თვალებს ისე აბრიალედა, პატარა თიხის ჭურჭელში ჩავდე და იმ ადგილას მივიტანე სადაც სამლოცველო კუთხე მაქვს განთავსებული. სანთელი ავანთე და თქვენც დაგლოცეთ ქართვე-ლების მოძულენო. იცით რა ვთხოვე უფალს? თვალები აგეხილოთ, ჭკუა და გონება გაგინათდეთ და გაიხსენეთ ის რომ, ქართველები არავის არაფერს ართმევს. მე კი სიყვარული ამით გამოვხატე თქვენს მიმართ ნათესავებს მონატრებულო გალელებო!

მთავარი არის მჯეროდეს

თოთო კვირტები გამესაუბრნენ. გამარჯობა მითხრეს და მერე ჩემს სკამზე დაჯდომა მოისურვეს. გამეღიმა. დაბრძანდით ვუთხარი და გზა განვაგრძე. ეჰეი, ქალბატონო, მომადევნეს ხმა, შენ თუ არ დაისვენებ, ჩვენ აქ კედლებს ვესაუბროთ? თქვენ დაისვენეთ კვირტებო, მზეზე მიაფიცხეთ ქორფა კანი, რათა დროულად გაიშალოთ. მე ხომ ხედავთ, ყინვასაც ვუძლებ და ადიდებული ღელეებიდან მოვარდნილ ღვარცოფსაც. თოთო კვირტებმა ერთმანეთს გადახედეს და დადუმდნენ. მე გზა გავაგრძელე. გზადაგზა ათასნაირ რჯულის ადამიანს გადავეყარე. პირდაღებული მხეცებიც დარბოდნენ აქეთ-იქით. თუმცა მხეცები არაფერს მიშავებდნენ მაგრამ, მაინც მხეცები იყვნენ და ვერიდებოდი. შემომაღამდა. ტყეში ხმელი ტოტებისგან ცეცხლი დავანთე. აგუზგუზებული ალში ტოტები იდუმალებით მოცულ ხმაურიან ხმას გამოცემდნენ. მომეჩვენა თუ ასე იყო თითქოს ტკივილისაგან კვნესოდნენ. ფიქრის სასახლეში გავიარ–გამოვიარე. ბოლოს კარი შევაღე და ფიქრის უფროსმა გაკვირებით შემომხედა თან უხეშად სიტყვა მომახალა მოხვედი? – დიახ! ვუპასუხე! ძალიან კარგი მითხრა და საუბარი თვითონვე გააგრძელა. ვიცი სიყვარულს ეძებ. დედაშვილურს და მეგობრულს. ცდილობ რომ, სიყვარული გააბატონო საქართველოში. გინდა რომ, კაცთა მოდგმას ერთმანეთი არ სძულდეთ მაგრამ, შენ ვეღარ შეძლებ. რატომ? – იმიტომ რომ, ასაკი გაგტეხავს წელში, მითხრა და არხეინად სახეზე დამაკვირდა. აიღე სარკე და ჩაიხედე. ნახე ნაოჭები ერთმანეთს გზას აღარ უთმობენ. ცდები

ძვირფასო, ვუთხარი მშვიდი ტონით ფიქრის ხელმძღვანელს. მე სანამ სიყვარულს ხიდს არ ავაშენებ ისეთს რომ, არასოდეს არ გატყდეს, მანამ სარკეში საერთოდ არ ჩავიხედავ.

ჯიუტად დავიწყე მზის ქვეყანაში სიარული, ვეძებდი იმ ძალას, რომელიც, სიყვარულის ხიდს ამაშენებუნებდა.

ფიქრს გავხედე დაეჭვებით,
გზას ვეძებდი სურნელიანს,
სულ არ მიშლის ნაოჭები,
ფიქრი ზოგჯერ სულელია.

აუცილებლად ავაშენებ სიყვარულის ხიდს, რათა მზეზე მიფიცხებულმა ნორჩმა კვირტებმა ნედლი ნეშოს მწვანე სამოსელი ჩაიცვან, მერე კი მომავალმა წიფლის ხეივანში ისეირნონ. მთავარი არის მჯეროდეს და ვშრომობდე, დანარჩენი უფალზე არის დამოკიდებული. წლები კი საქმის გაკეთებას სულაც არ უშლის ხელს!

მეორე სიცოცხლე
დარეჯან ღონღაძის წიგნი

,,მეორე სიცოცხლე" მიგვანიშნებს იმაზე რომ, გარდაცვალება სიკვდილს არ ნიშნავს. როცა ადამიანის სული თავისი ბედისწერით მიდის ზეცაში. იწყება მეორე სიცოცხლე. თუმცა ეს არც თუ ისე ადვილი გზა არის. სიცოცხლეშივე უნდა ქმნიდე მარადისობის ძეგლს. პირველ რიგში აუცილებლად უნდა იყო მიმტევებელი რომ, ცაში უფალმაც მოგიტევოს. ვწერ ამ სიტყვებს და მახსენდება ფშავხევსურეთის მიტროპოლიტი მეუფე მირიან იორამაშვილი რომელიც, განისვენებს სიონში. მეუფეს ვაჟი მოუკლეს, მკვლელი იჯდა რუსთავის ციხეში. მეუფემ ითხოვა შვილის მკვლელთან შესვლა. რა თქმა უნდა შეუშვეს. მეუფემ შვილის მკვლელს აპატია ის მძიმე დანაშაული რასაც შვილის სიკვდილი ქვია.

დარეჯან ღონღაძის წიგნი ,,მეორე სიცოცხლე," რომელსაც გარდაცვლილ მამას უძღვნის სასიხარულოა რადგან, ამით მამის სულს ამშვიდებს. დიახ! მეორე სიცოცხლე ცაში იწყება იმ შემთხვევაში თუ რეალურ სიცოცხლემდე ადამიანი უძლებს, ყველანაირ ტკივილს და მისი სული აღევლინება უფლის ნებით.

დარეჯან ღონღაძე ნატრობს ბავშობის ხანას სადაც სიწმინდის ზეცა ბარდნის.

,,წამიყვანა იქ მაცხოვრა, სადაც დღესაც ბარდნის ზეცა,
სადაც რწმენა ნამდვილია,
სადაც სიტყვას ფასი შერჩა."

რთულია ცხოვრება რადგან, არ არსებობს სულ მზე იყოს შენს ცხოვრებაში, ანდა პირიქით სულ წვიმდეს. ცხოვრება კიბე არის,,,ზოგი ადის ზოგი ჩადის".დარეჯან ღონღაძის წიგნი,,მეორე სიცოცხლე" სევდასთან ასოცირდება. მას გარდაეცვალა მამა და სწორედ მამის გასაუკვდავებლად შექმნა მეორე კრებული რომელიც მკითხველს აუცილებლად რწმენის გზით ატარებს, რადგან ზეცაში მეორე სიცოცხლე იწყება რასაც მარადისობა ქვია.

რვა მარტს
ათინათით მოგილოცავთ

ნახევრად ძილში ვიყავი, თითქოს მღიძავდა მაგრამ, ძილს თავს ვერ ვართმევდი. ვხედავ აკადემიაში ვარ. დედის სხეულს მოცილებული ყვავილები, ჩემს სამუშაო მაგიდაზე ისევ სიცოცხლეს უღიმოდნენ. ახლოს მივედი გავუღიმე. სანამ სამუშაოს სხვადასხვა საკითხების მოწესრიგებას

დავიწყებდი, ყვავილებს მივუალერსე. ვიგრძენი რომ, ძველებურად აღარ ხასხასებდნენ. ონკანიდან წყალი ავავსე, ბოლო ღეროები ახალი წყლით შემოვასუფთავე და ისევ ლარნაკში მოვათავსე. ფიქრმა გამიტაცა. წარმოვიდგინე გაჭირვებული ადამიანი სულს რომ, ღაფავს, ხედავ და არ შველი. წყურია და წყალს არ ასმევ. მშიერია და ლუკმას არ უწილადებ. გადაადგილება უჭირს და ხელს არ მიაშველებ. მე? მე ვინ ვარ? – შენ? გამომეპასუხა საკუთარი ხმა. შენ დიდი ნაკლი გაქვს, ძალიან ცუდი ხარ! – მე? გაკაფასებული შევყვირე საკუთარ მეს. რაც შემიძლია ყველას ვეფერები. აგერ ყვავილებს წყალი გამოვუცვალე. ისევ ხასხასი დაიწყეს. დაგაგვიანდა! შემიყვირა საკუთარმა ხმამ. ყვავილებმა ნაძალადევად გაგიღიმეს. ეს ყალბი ღიმილია, ფარისეული ადამიანის ღიმილს გავს. საკუთარ ხმას გავექეცი და აქეთ-იქით სიარული დავიწყე. გამახსენდა, ხვალ რვა მარტია. ახლა დილის შვიდი საათია. დაველოდები გათენებას. სასწრაფო გადაწყვეტილება მივიღე. რუსთავი სიკეთითა და სიყვარულით დამემოძღვრა და თბილისში აკადემიაში ახალი წიგნი,,ათინათი" შემეტანა. წმინდა ნინოს, წმინდა გიორგის ხატებით დამშვენებულს მივართმევ ქალბატონებს, შოთა რუსთაველის უკვდავი სიტყვებით,,, ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია". ვეძებ მოყვებს. არა ვარ ჩემი თავის მტერი და არც სხვისი. სამ საათზე აკადემიაში,,ათინათი" მექნება. აკადემიის სულით ლამაზო ქალბატონებო, რვა მარტს,,ათინათით " მოგილოცავთ!

ეს, ლამაზი თაიგული თქვენ!

ქალბატონო ირმა, ქართველი ქალის ეტალონო, ფიზიკურობით, განათლებით, მიმტევებლობით, სიკეთის თესვით, უთვალავ გაზაფხულსა და დედის დღეს დაგასწროს უფალმა. თქვენ ხათ მისაბაძი ქალბატონი, როგორც ექიმი, როგორც მწერალი, როგორც მეუღლე და დედა. მეამაყები, მეიმედები და მეძვირფასები. თქვენით მოხვდა ,,ათინათი" დავით გარეჯში. თქვენით გავიცანი მამა ნეოფიტე რომელმაც, სრულიად უცნობ ,,ათინათის" რედაქტორს, ლექსი მომიძღვნა. თქვენ ხათ ჩემი საქმიანობის შემფასებელი და დამფასებელი. ჰოდა, ამიტომ ეს ლამაზი თაიგული თქვენ ჩემგან პატივისცემის ნიშად ძვირფასო ირმა. ბედნიერი დედა იყავი. ერთი შვილი ათიათასად გაგიმრავლოს ცნობილი რუსთაველის მსახიობი თენგიზ (ლონგინოზ) გიორგაძის იმედი ასი წელი არ მოგიშალოს უფალმა.

მადლობა უფალო



ის რაც ხდება ჩემსა და სამყაროს ირგვლივ ყველაფერი ზეციდან მოდის. ჰო, უცხოა ცის სამყარო თვალთ უხილავია, მას ცის გალაქტიკას უწოდებენ. ლექსი რომელიც ჩემს სულიერ შვილს თემურის მიუძღვენი დღეს დავდე. ამბავი ცოტა შორიდან იწყება. ჩემი ძმა თამაზ ხარაიშვილი (დათას ბაბუა) და თემურის დედა საჩხერის სავადმყოფოში ერთად გადიოდნენ მკურნალობას. ჩვენ ერთმანეთს ვკითხულობდით. თემურ შვილო, დედაშენი როგორ არის? – რა ვიცი დედი უფლის ნებაა ყველაფერი იყო ერთიდა იგივე პასუხი თემურის მხრიდან. მოხდა ისე, რომ თემურის დედა გარდაიცვალა. მას შემდეგ თემურის სულში ასეთმა რწმენამ შემოღო სულის სარკმელი. მე გავხდი მისი სულიერი დედა. თემური როცა მივლინებიდან ჩამოდის, პირველი ჯერ შვილიშვილს ურეკავს კითხულობს მის ამბავს და მერე კი მე. დედი, როგორ ხარ? – მეც ვპასუხობ, კარგად შვილო. როცა ჩემი ძმა გარდაიცვალა ზამთრის პერიოდი იყო, უამრავ ხალხთან

ერთად, თემურიც მოვიდა. გარეთ თოვდა. ყველა მომსვლელი, მანქანებში ან სახლის კუთხეში თბილ ღუმელს აფარებდა თავს. თემური იდგა გარეთ და ხვანის ზეციდან ჩამობარდნილ ფიფქებს ეფერებოდა. ვინ იცის თემური ამ ფიფქებში თავის დედის სიწმინდეს ხედავდა. ზოგი ცნობდა თხოვდა სახლში შემოსვლას და ზოგს კიდევ უკვირდა თოვლის ფიფქებში გახვეულ თემურის ყინვაგამძლეობა. რა იცოდნენ მათმა, რომ თემურ გოგსაძე, იქიდანაც თავის სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდა და იმედიანი სიტყვებით აპირებდა მათ. ასეა ცნობილი ადვოკატის სამსახური. თემურიმ ბოლომდე სცა პატივი ჩემი ძმის სულს და ალბათ თავის დედასთანაც მოკითხვა დააბარა. სუფრაზე ის აღარავის უნახია. ეს ერთი ნამდვილი ამბავი და რამდენი დედაშვილური ტკივილი თუ სიხარული გვაკავშირებს ერთმანეთთან. ზუსტად თემური, ლამზირა შეყილაძე, ეთერ ჭელიძე, ეკა ბრსგვაძე ჩამოვიდა ჭალვანში, დათას მარადისობის გზის გასაცილებლად. თემური იყო დიანას, რომ მოძღრამდა რწმენით. დათა უფლის ანგელოზიაო ჩასძახოდა დიანას და თხოვდა,რომ სული არ დაუმძიმბინა ძმისთვის. დღეს როცა, ლექსი მიუძღვენი და ფეისბუქზე დავდე, ლია ალადაშვილს წამებში ქონდა სიმღერა გაკეთებული. ესეც უფლის ნებაა, ქალბატონი ლიას ტვირთია ეს. ამიტომ ნუ ჩაგვითვლით ბავშურ მიამიტირ სულსწრაფობაში, ნურც ლექსის გამოქვეყნებას და ნუცა ლექსის დადებას. ბედნიერი დღე დაგიღამდეთ ყველას. მრავალჟამიერი ვინც ამ პოსტს კითხულობს!

გულის ძახილი

გული უძახის გულს. ასეთ ძახილს ვერავინ ამჩნევს, ეს ისე ხდება ჩუმად უხმაუროდ. გულის ძარღვები აფათურდება და გზის ძებნას დაიწყებს. ეს გზა სიყვარულის გზა არის. სიყვარულის ფერებს უხილავი ძალა ხატავს. ბედნიერება ზეციური გრძნობაა. ეს ისე მოდის, ვარდის სურნელის შარბათით შეგათრობს და შენს მკლავებზე ჩამოიძინებს. ნისლიანი დღეებიც ზეციდან მოდის. ისიც ისე შემოგიღებს მზით გავარვარებულ გულში კარებს, გვერდზე მიხედვასაც ვერ მოასწრებ. ასეა ქალბატონი გულიკო კაპანაძის სიყვარულის ფერებში გახვეული,, გულის ძახილი". მზის ყანაში შემოდგომის მზის სხივებით უნდა დამტკბარიყო პოეტი. ცეცხლოვან,, გულის ძახილს" სევდის ფერებმა გადმოაწვიმა. გაკვირვებულმა ზეცას შეხედა. არ ეგონა რომ, ეს ყველაფერი თავის თავზე ხდებოდა. სამწუხარო რეალობაში მოხვედრილმა აქეთ-იქით ყურება დაიწყო. გულმა ვეღარ გაუძლო სევდას და ლექსად გადმოიღვარა.

,,ბედნიერება თვითონ მოდის, თვითონვე გძებნის,
შენ კი დანახვა უნდა შეძლო, ისწავლო უნდა,
შეხედე იმ ცას, აირჩიე შენი ფერები, მერე დახატე,
რისი დახატვაც ყოველთვის გსურდა.

სიყვარულ დაკარგულმა ქალბატონმა ისწავლა ღრუბლებთან ცხოვრება. ზოგჯერ ნისლებს გაურბის და ამბობს:

,,ვერ მოვერიე თავს, დრო ნათითურებს ჰგავს,
ვერსად ვიპოვნი სხვას, ამ სიყვარულის მსგავსს".

ბევრჯერ გაურბის ფიქრებსაც და თავის თავს უსვამს კითხვას.

,, ფიქრი მეტია თუ ცაა მეტი? ხშირად გადავდივარ ცის იქით,
ნოემბრის დღეა... დღეს თვრამეტია, მე ცის აქეთ ვარ ის იქით"

გულიკო კაპანაძე ასე ეფერება წარსულის გულის ღელვას. დარდის ფერებით ეძახის იმ გულს რომელიც, ყავდა და უყვარდა.

ამიტომაც დაარქვა თავის პირველ წიგნს ,,გულის ძახილი". მკითხველს საინტერესო პოეზია ელოდება.

ხან მზეში ივლის და ხანაც ნისლებიდან ცის სივრცეს გადაავლებს თვალს. მიყევით ავტორის კვალს და მარადიულ სიყვარულს ისწავლით!

მოვესწრები???

ერთ პირ გამოძინებულს იტალიიდან ლურჯი ცის ანარეკლმა ნახევრად მძინარე თვალები ამიხილა. ლურჯი ცის ელვარებამ მომხიბლა და მშვიდად განვაგრძე მოგზაურობა. ცაზე სულ ქართული ვარსკვლავები ბრწყინავდნენ. ცის ელვარების ბილიკს გავყევი. ნაცნობმა ხმამ შემაჩერა. რად არ გძინავს დედა. ბელა მოდებაძის ხმა იყო. ო, ეს ქართული ვარსკვლავები ამ უცხო ცას რომ, აშუქებენ გულსატკენია ჩავილაპარაკე. მერე დავფიქრდი და ჩემს თავს გაკიცხვა დავუწყე. საკუთარ მესთან საუბარი გავაგრძელე. უნდა გიხაროდეს რომ, ქართველი ქალები ყველა საუკუნეს ამშვენებენ თავიანთი სიძლიერით და ამტანობით. ჩემი საკუთარი ფიქრის მეს გამოვეცალე და ბელას მივუბრუნდი. დედი ჩემი უძილობა რომ, გაწუხებს შენ რად არ გძინავს? შვილები მენატრება. გამცა ბელა მოდებაძემ სევდიანად პასუხი. საუბარს შევყევით და ბოლოს დედაშვილობის სიყვარულის ფიცით დავშორდით ერთმანეთს. ისედაც ძილ გატეხილი ვიყავი და ფეისბუქის ფანჯრებში შევიხედე. ნანა გიგუაშვილი ისე ტკბილად მეფერებოდა, ტანში კვლავ სიყვარულის ვულკანმა ამოაფრქვია. ისევ ღამეა. მადლობა იტალიის ლურჯო ცაო, ჩემი ქართველი ქალბატონები და ბატონები რომ შეიფარე. რა ლამაზად კაშკაშობ. შენი ბუნებრივი კლიმატი საქართველოსას გავს. სტუმართმასპინძლობაც გცოდნია. ჰოდა დამილოცნიხარ. იკაშკაშე, იმზეგრძელე, შენი ხალხიც დააპირე და ჩემი ქართველებიც. ხომ ხედავ, რა კარგი ქალბატონებია ქართლის ჟიშისანნი, თქვენ მოხუცებს ისე უვლიან, ცივ ნიავს არ აკარებენ. ლექსებს უძღვნიან, უმღერიან, სადილს აკეთებენ, ექიმის დანიშნულ წამლებს დროულად აძლევენ და თქვენ ოჯახის წევრებს სიცოცხლეს უხანგძლივებენ. ეჰ, იტალიის ლურჯი ცაო, სამაგიეროდ საქართველოს ცას დაფანტული შვილების მოლოდინში თვალებში შუქი დააკლდა. სახეც ჩამოუბერდა. რას ვიზამთ, რა შენი ბრალია. მადლობის მეტი რა მეთქმის. იკაშკააშე საყვარელო და იდღეგრძელე. რა ვიცი, იქნებ საქართველოშიც გათენდეს. აი, მერე კი თქვენ არ დაგაჭირვოთ უფალმა მაგრამ, თუ დაგჭირდათ. თქვენი ქალბატონები აქეთ თუ ჩამოვლიან ჩვენი მოხუცების მოსავლელად. აი, ეგ ამაგი აუცილებლად წინ დაგხვდება. ქართველები მაინც ქართველებია, თან გადაგყვებიან. თითონ მშიერი დარჩება ქართველი და სტუმარს გაუმასპინძლდებს.

მწარედ გამახსენდა ვაჟა ფშაველას,,სტუმარმასპინძელი". იქნებ გათენდეს. რა ვიცი მე მოვესწრები???

სულის ზეიმი

სიმშვიდის მზე მაცილებდა რუსთავიდან თბილისის მიმართულებით. მზის ოქროსფერ სხივებს სულის სიმები არხევდა. სულის სიმები რაღაცა უცხო და არამიწიერი იყო. აკაკი წერეთლის ძეგლს გვერდი ავუარე და ფიქრის მესიჯი გავუგზავნე მგოსანს. 20 წელიწადია ამ გზაზე დავდივარ. დიდი პოეტის ძეგლის მოპირდაპირე კორპუსში დავიდე ბინა. ოთხსართულიან შენობაში სანამ კარებს შევაღებ, შინაურებივით მესალმებიან მაღაზიებში დასაქმებული ბატონები და ქალბატონები. დაფიქრებული ავიარე კიბეები. გამახსენდა პოეტი ხათუნა ცომაიას შემოსვლა აკადემიაში. ქალბატონ ლიანა კაკუბავას ვხვდებოდი. პოეტი დარეჯან მაჭარაშვილიც იქ იყო. ორივე ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრები არიან. ნორიკო მგელაძეს და ლია ალადაშვილს ხომ, აკადემიის მდუმარე კედლებიც ესალმებიან რადგან, სისტემატიურად იღებენ მონაწილეობას აკადემიის აკტივობებში. ეს ორი ქალბატონი უკვე ყველა მომსვლელის მასპინძლები გახდნენ, რისთვისაც დიდი მადლობა მათ. სრულ სიმშვიდეში ისმოდა ლიანა კაკუბავას პოეზიის სულის გალობა. არავის აღარ ველოდი. კარები ოდნავ გაიღი და ცისფერმა თვალებმა შემოანათა. არ მითქვია მობრძანდი რადგან, ჩაწერას ვაკეთებდი. გალიდან გადმოსული იყო მონატრებული პოეტი პოეტებთან. ცისფერმა თვალებმა შავ წამწამებში უცებ სწრაფად შეიყუჟა და ვგრძნობდი რომ, გადაღება უნდა გამეჩერებინა რადგან, ღვთისგან

გამოგზავნილი სტუმარი მიმეღო. ასეც მოვიქეცი. მობრძანდი ქალბატონო შევძახე ქალბატონს და კარებისკენ მე თვითონ წავედი. ქალბატონი უფრო გერმანული სტილის იყო. თეთრ ქათქათა კბილებში ღიმილი შემოაცურა და სკამზე ნაზად ჩემოჯდა. დავამთავრეთ ლიანა კაკუბავასთან ნახევარ საათიანი მოფერების ცერემონიალი და ხათუნას მივუბრუნდი. გისმენ ქალბატონო. ხათუნამ დინჯად თვალი – თვალში გამისწორა და საუბარი დაიწყო. ბატონმა გერმანემ წიგნები გამომატანა. პოეტური

კრებულები ისეთი ქალბატონისგან იყო გამოგზავნილი. ამაზე სხვა დროს ვისაუბრებ რადგან, ეს პოეტი განსაკუთრებულად მოსაფერებელია და ახლა სახელსა და გვარსაც არ დავწერ რადგან, არ მინდა რამე დავაკლო. მისთვის განსაკუთრებულ დროს გამოვყოფ აუცილებლად. ეს დღეც დადგება. ახლა კი კვლავ ხათუნა ცომაიას მივუბრუნდები. მისმა სიმშვიდის ხმამ მომხიბლა. დახვეწილი საუბარი, თავშეკავებულობა, რაც ქალს ისე უხდება როგორც, საგანგებოდ მორთულ პატარძალს თეთრი ქათქათა ფატა. ცოტა ხნით სიმშვიდემ დაისადგურა და ამ წყნარი წუთების ახმიანება კვლავ ხათუნას ინიციატივით მოხდა. ქალბატონო, იცით მე მინდა შემოვიდე აკადემიაში. ჩემსა და პოეტს შორის საუბარი დადებითად გადაწყდა და დღეს 2024 წლის 21 თებერვალს ქალბატონი ხათუნა ცომაია გახდა ჯუმბერ კეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი. ხათუნას სიხარული გაიზიარეს, პოეტმა მადონა ქალდანმა, ბატონ დავით ქორიძემ და პოეტმა დეზი ემანულიძემ. დიდი მადლობა პოეტებსა და აკადემიის წევრებს, რომლებმაც დრო გამონახეს და მოვიდნენ ამ ლამაზი დღის საღამოზე, ეთერ ისაკაძეს ნორიკო მგელაძეს და თემურ გოგსაძეს. დღეს ჩემთვის გასახარელი პირველ რიგში იყო მადონა ქალდანი. მადონა ძმიშვილია იმ შერმადინ ქალდანის რომელიც, მცხეთაში განისვენებს. თვალწინ დამიდგა ორმოცი წლის პირველი იანვრის სევდიანი კადრები. ბეჟანის გარდაცვალება. დიდმა თოვლმა გააცილა პირველ იანვარს დაბადებული პოეტი. დაბადების დღეს შეაღო ზეცის კარები ბეჟანიმ. დიდი თოვლის გამო გზები შეკრული იყო. არ არსებობდა მობილური ტელეფონები, თოვლიან ქარბუქში შერმანდინ ქალდანს წამწამებზე ყინვის ლოლეობი შენივთოდა. წუთი – წუთზე მოუსწრო ბეჟანის უკვე უსიცოცხლო სხეულს. სული ზეცას მიფრინავდა. გამახსენდა ლევან ბაბუხადიას შეღმუვლება. მოხვედი შერმადინ? აი, იმ დიდი მეგობრის ძმიშვილი იყო დღეს ჩემთან პოეტი მადონა ქალდანი. საღამო ისე წარიმართა რომ, ყველა თავის ლექსს კითხულობდა. სხვათა შორის ეთერ ისაკაძის ლამაზ თვალებში გაკვირვებას ვკითხულობდი. ასე იყო ჩემთვის საამაყო თემურ გოგსაძისა და ნორიკოს შეცბუნებული თვალებიც. განსხვავებული დღე იყო მართლაც. თითქოს ხათუნა ცომაიას მოთბინების ხასიათს მაცნობდა უფალი. დღეს გავიგე ის რომ, მადონა ქალდანის ძმას აუშენებია გარეჯში ეკლესია. დიდება შენდა ღმერთო. სხვა სიახლეც იყო აკადემიაში. ორმოცი წელიწადია დავეძებ ბეჟანის ხმის ტემბრს, სიმაღლეს, ფიზიკურობას. დღეს აღმოვაჩინე. როდესაც დავით ქორიძე ლექსს კითხულობდა, ბეჟანის ხმა მესმოდა. მივაყურადე. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და წამოვიძახე ბეჟანის ხმა. მერე ვთხოვე ზეზე ამდგარიყო, ბეჟანის პორტრეტთან მივიყვანე. ნახე შენი ორეული. დააკვირდი შენ მას გავხარ. როდესაც ბაბუა ალუდაური დავით ქორიძეს ნახავს, აუცილებლად იტყვის რომ, დავითი ბეჟანის ორეულია ფიზიკურიბით და ხმის ტემბრითაც. საუბარი გავაგრძელეთ და იქვე ავღნიშნე რომ, მეც ვიპოვე ჩემი გულის ორეულითქო. ვაღიარე კიდეც, ეს არის ბელა მოდებაძე ემიგრანტი. ვაპირებ ახალ პოეტურ კრებულის გამოცემას. წიგნი მოინათლება.,, გულის ორეულის სახელწოდებით. ბოლოს ყველანი წავიდნენ. აკადემიის სიმშვიდის ითახს შემოვრჩით ნორიკო, თემური და მე. ტკბილად და დედაშვილურად ვისაუბრეთ სამომავლო გეგმებზე. ვაღიარეთ რომ, ნიკო ბაღაშვილი რომელიც, ამ ღვთიურ საღამოს იღებდა ნიჭიერი რეჟისორია. ვნახოთ როგორი გამოვა ეს პატარა მაგრამ, მრავლის მთქელი საღამო.

წინასწარ ვერაფერს ვიტყვი.

მადლობა ნანა სხირტლაძეს

მთელი ცხოვრება. სიყვარული და პატივისცემა ყოველთვის წინ იდგა და დგას ჩვენს ოჯახებში, ვიდრე სხვა მატერიალური. ასეა ჩემი მაზლიშვილები და მულიშვილები. ჰოდა ჩემმა პედაგოგმა ნანამ დღეს რუსთაველის თეატრში დაგვპატიჟა ბებიები. მანქანა სადღაც დააყენა ჩვენ კი გვითხრა, შედით და ქაშვეთის ეკლესიაში ილოცეთო. ვიყიდე სანთლები და ქაშვეთის ეკლესიის გუმბათები ცეცხლის ალში გავახვიე. ჩქარე ნანაც მოვიდა სანთლები დაანთო. დავლოცეთ ყველა. მე პირადად დავლოცე ჩემი ემიგრანტები. დავლოცე ისრაელში ჩემი აბრამ პაატა, იოსებაშვილი, ლოლა და იზოლდა. დავლოცე ლონდონში ჩემი მზია კვირიკაშვილი. ამერიკაში ჩემი თეა. არავინ დამიტოვებიხართ ჩემო სულიერო შვილებო და შვილიშვილებო. სანთლები ავუნთე გარდაცვლილებს. ბოლოს თეატრში გადავინაცვლეთ. შესანიშნავად ასრულებდნენ როლებს მსახიობები. მე პირადად პრომეთს როლის შემსრულებელ მსახიობს გამოვყოფდი თავისი მსახიობური ნიჭით და გარეგნობით. ეს იყო მართლაც საოცრება.

დარდი გამიფანტე ბელა

დარდის ქარი ამოვარდა და ღრუბლებში გამიტაცა. თეთრ ნისლებში გამახვია სევდამ. ინტუიცია მკარნახობდა სადღაც, მზე გამოჩნდებოდა. თვალებს გაურკვეველი მიმართულებით იმიტომ ვაცეცებდი რომ, ჩემი შვილი გელა უნდა მეპოვნა. ვიცოდი სადღაც შემხვდებოდა. თეთრ სიწმინდეში. ნისლების მთების ნაკადი არ წყდებიდა. შორს იმედის სხივი გამოჩნდა, ტკბილად გავუღიმე. ლამაზ ოქროსფერ სხივთან ლაზად ხმა გალობდა. ხმის ჟღერადობა ქართული იყო. პირველ ხმას მეორე და მესამე ხმა ემატებოდა. თეთრმა სიწმინდემ საბანი გადაიძრო და მზე მთლიანად გამოჩნდა. სევდის ფერ ცაში დავდიოდი. მივიხედ – მოვიხედე და ეს ქართული ცა არ იყო. ოხ! ღმერთო ჩემო, ხმები ქართულია, ზეცა არ არის საქართველოსი. მე ჩემს შვილ გელას დავეძებ. დარდის ქარებმა იტალიაში მომახვედრეს. დიახ! ქართული ხმები იტალიაში მღეროდა. ეს ემიგრანტების ხმათა კავშირი იყო. რატომ არ გძინავს? რაღაცას ვწერ ვუპასუხე, ქართულ ხმას. არ გავამხილე რომ, ცისკარელი ცაში შვილს დავეძებდი. დაიძინე დედი მიპასუხა, მე შენთვის ვიმღერებ ახლა და დაგეძინება. ძილი ისე შემომეპარა ვერაფერი გავიგე. გელას დავეძებდი და დილით ბელას ხმა დამხვდა. მადლობა შვილო ბელა, ემიგრანტები ეკონომიურადაც გვასაზრდოვებთ დედებს და სულის შიმშილსაც არ გვაგრძნობინებთ. თქვენი ამაგი შეუფასებელია!

ასეთი დედა ვარ

ბავშობა ეს ისეთი წლებია ყოველთვის თავს შეგახსენებს. ჩემი ბავშობა ბუნებასთან და მდინარე ძირულასთან ასოცირდება. დილით სანამ მზე ჩემს ფანჯრებში შემოიხედავდა, მე ზეზე ვიყავი. გაზაფხულზე ვტკბებოდი იების სურნელით. ჩემი სოფლის მინდვრები აფერადებული იყო ნაირ-ნაირი ყვავილებით. ამ სილამაზის ფონზე შევუყვებოდი მდინარე ძირულის ნაპირებს და ისეთ თებზებს ვიჭერდი რომლებსაც ქვებში ეძინათ. ნისლი ტყის ტოტებზე მთლიანად იყო გადაშლილი. ველოდებოდი დილის მზის სხივებს. ვიცოდი რომ, მზე ჩემთან აუცილებლად გამოაგზავნიდა. ეს სიყვარული ბუნების დღემდე შემომრჩა. ამიტომაა რომ, საჩუქრად მორთმეული ყვავილები ძალიან მიყვარს. უბრალო ბალახის ღეროშიც კი იმ უმანკო სიყვარულს ვხედავ რომელითაც გავიზარდე. ბავშობაში ვისწავლე მუნჯურად ჩუმად ჩურჩული ბუნებასთან. როცა უკვე ეს ყველაფერი ლექსებად გადმოიღვარა, ტყის ჩურჩული, იების სურნელი, ღელის

ხმაური, ბაყაყების ყიყინი, ადიდებული მდინარის ღმუილი, მერცხლების ჭიკჭიკი ჩემს წიგნებში მოვათავსე. გზის ბილიკები ეკალბარდებით სავალი შემხვდა. საკუთარი ხელებით მივწიე– მოვწიე

ბაძაძგნარი და ასე მოვედი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიამდე. ჩემი სახელი ჩემივე საჭრეთელით გამოვჭერი. იურიდიულად აკადემიის ხელმძღვანელი ვარ. გამოვუშვი უკვე 52 ნომერი, 350 გვერდიანი ათინათი და 13 ტომი 600 გვერდიანი სამეცნიერო შემეცნებითი ანთოლოგია. ტყის ჩურჩულის ხმაც თავის ენაზე ამეტყველდა და უფლის გზავნილი ჩემი ხელშეწყობით 13 წიგნი დაიბადა. მადლობელი ვარ უფლის რადგან, ჩემში დედაშვილობის სიკეთის მზე ისე ჩაასახლა გარეთ არასოდეს გამოვა. ვცხოვრობთ ერთად მე და ჩემი უფლის საჩუქარი. ჩემთან მოდიან ყველანაირი ადამიანები. უმეტესობას ყინვისგან შემობზარვია გული. თიქოს და ეს ჩემი ვალდებულებაა. ვცდილობ იმედის მზით გავათბო ყინვით გათოშილნი და მერე კი რწმენით გამოვკვებო. სახელად დედა მქვია. დედას ყველანაირი შვილი უყვარს, უძღებიც და ამაგის დამფასებელიც. იმდენი წელი შვილს შეემატოს რამდენჯერ დედამ ლუკმა დაიკლოს. მიყვარს ყვავილები და სულიერ შვილებს ვაძლევ. ზოგჯერ მეც სულიერად ისე მშია ფეხზე ძლივს ვდგავარ მაგრამ, სხვებს მაინც ვაპურებ. ასეთი დედა ვარ მე გულნაზი ხარაიშვილი.

უნდა გაჩუქო

მინდა ისე შემოვიჭრე შენს გულში როგორც, დილის მზე. დედაშვილური სითბო გაგრძნობინო და ისევ ფეხაკრეფით გამოვტრიალდე უკან, რათა ძილი არ დაგიფრთხო. მოგცე ის რაც არ გაქვს. იქნებ კიდეც გაქვს მაგრამ, მე ჩემი წილი სითბო უნდა გაჩუქო. თქვენ კიდევ არ იცით ჩემო სულიერო შვილებო, როგორი მდიდარი დედა გყავთ. გული სიყვარულის ელქსირით მაქვს ავსებული. რამდენი ვიღებ და ვურიგებ სიყვარულით მოწყურებულებს, იმდენივე მემატება. არ დამზოგოთ, არ მოგერიდოთ, შესვით ბოლომდე.

შენ შენ ხარ, არავის შესადარი

შენ ხარ დედამიწაზე არ დაშვებული ციდან მოფარფატე სუფთა უბიწო ფიფქი. ალალი, მებრძოლი და უღალატო. შენ ხარ ქალი რომელიც, საქართველოსა და შვილის გულისთვის სიცოცხლეს დათმობს. რაც შენ შექმენი შენი ბუნებრივი ხმით ეს უკვე რეკორდია. დადგება დრო რომ, შენს ადამიანობაზე და ნიჭზე დაიწერება წიგნი. შენ შენ ხარ, არავის შესადარი. ხელი ჩავყავი შენგან შექმნილ ნიჭიერების კიდობანში და რაც ამომყვა, ამოვამზიურე. არ შემირჩევია. ახლა მეც მაინტერესებს აბა, ვინ მოხვდა დღევანდელი დღის საასპერეზოდ.

შენ ყოველ დღე იბადები. შენ ყოველ დღე იზრდები. შენი ყოველი დღე უკვდავია.

როცა სიყვარული გიხმობს

ბატონი აბრამ პაატას უყვარხართ ჩემო ლამაზო ქართველო მანდილოსნებო, შვილნო ჩემნო. იცით რომ, ახლა ისრაელში სიმშვიდის დღეები არ არის. აი, ამ დროს გიხსენებთ ქართველი ებრაელი, ქუთაისში გაზრდილი და მთხოვს, იზა და ნინო ბრწყინვალე ხელოვანიაო და ჩემი სახელით,,ათინათის" ფურცლებზე აღბეჭდე ჩემი მათთან გატარებული კულტურული დღეებიო. თუ გული გაქვს არ შეიძლება ცრემლები არ წამოგცვივდეს თვალებიდან. დიახ! ვტირიიიიიი. მხოლოდ ეს ცრემლები სიყვარულის, პატივისცემის და მონატრების ცრემლებია. ნინო და იზა, ლამაზ თვალება, ლამაზ გულა ქალბატონებო, გეფერებით

აბრამ პაატასეული სიყვარულით. ფეისბუქზე იზას სიტყვები სართოდ ასე იწყებოდა (მიყვარხართ). დაიღალა ალბათ და კარგა ხანია აღარ დაწერილა ლამაზი სიტყვა.,, მე თქვენ მიყვარხართ". საყვარელო ქალბატონო შენ მთელ საქართველოს უყვარხარ. შენ კიდევ ჩემო საყვარელო ნინო. ჩვენი შეხვედრა სწორედ ბატონი აბრამ პაატათი დაიწყო, როცა ბატონი აბრამ პაატა, ქალბატონი მაყვალა გონაშვილის რეკომენდაციით ავირჩიეთ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთადორისო სამეცნიერო აკადემიაში. დიპლომი ამ დიდებულ ქართველ ებრაელს, უნიჭიერეს დესპანს, გადასცა ამაღლების ეკლესიის წინამძღვარმა, მამა ამირან ამირანაშვილმა. ჩემ გვერდით ისხდნენ დიდი ჯამლეტი და მისი მეუღლე ევა. იქ, გაგიცანი ჩემო სულიერო შვილო ნინო და იმ დღიდან სიცოცხლის ბოლომდე ჩვენ დედაშვილად დავრჩით და ვიქნებით სიცოცხლის ბოლომდე. მიხარია და ამაყი ვარ თქვენით ქართველო მანდილოსანო, დედა პოეტებო რომ, ასეთი სიყვარულის გაცემა შეგიძლიათ. ვუერთები თქვენ სიყვარულს ჩემი სიყვარულით და გილოცავთ გაზაფხულის პირველი თვის მოსვლას. ახლა უკვე იზა საყვარელო, ხარაგაულის ტყეში ალაგ-ალაგ ყოჩივარდები ამოყოფდნენ თავს. ისიც ვიცი რომ, მოსაწყვეტად არ გაიმეტებდი. ლამაზი თვალებით დაუწყვებდი ყურებას. მერე ფიქრის დიალოგს გააგრძელებდი ყოჩივარდებთან... რამდენ რამეს ეტყოდი. ერთი სიტყვით იზა და ნინო მოყვარხართ. თქვენ კი ჩემო დიდო იმედო ბატონო აბრამ პაატა, ასოცი წელი კარგად უნდა მყავდე ჩემდა იმედად. მომიკითხე ჩემი იზოლდა მოშიაშვილი და თქვენი მეუღლე ქალბატონი ლოლა.

ვინ არის შენი მეგობარი

ქალბატონი ლამარა გერგედავა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მწერალთა კავშირის წევრი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრი, პედაგოგი, დიდაქტიკური წიგნების ავტორი. ლუარა სორდია, სოხუმის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, 70 სამეცნიერო წიგნის ავტორი, აქედან საბედნიეროდ ჩემი, წიგნი ,,მადლდემოსილი " ჩემი ძმის,,პოეზიის მიმინო" და ძმიშვილის გვანცა ხარაიშვილის,, სამების სამრეკლოდან. ჰოდა, ძველი ანდაზაა, ,,მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინ ხარ შენ". ქალბატონი ლამარა გერგედავას სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო, ქალბატონი ლუარა სორდია. დოქტორანტი და პროფესორი დამეგობრდნენ და დღემდე მებორები არიან. სიამაყით ვესწრებოდი ლამარა გერგედავას სამეცნიერო თემის დაცვას. კითხვებზე დასმულმა დოქტორანტის პასუხებმა ყველა კმაყოფილი დატოვა. ეს ყველაფრი ჩემი თვალით ვნახე რადგან, მეც ვიყავი მიწვეული და იმ დღის ლამაზი შთაბეჭდილებით ვცხოვრობ. დოქტორანტი და პროფესორი დღემდე განუყრელი მეგობრები ჩემი მეგობრებიც და აკადემიის წევრები არიან. მე ყველა დედას მეხაძის ანუ ვარ უმრავლესობის სულიერი დედა და მეგობარი. ჩემი სულიერი მეგობრები ვისთანაც ბოლომდე ვიხსენები არიან: ქალბატონი ლუარა სორდია და ქალბატონი ლამარა გერგედავა. იცით რატომ დამჭირდა ამის

განმარტება? იმიტომ რომ, ჩემი მეგობარი არის ქალბატონი ლამარა გერგედავა და იმიტომ მოხვდა ჩემი წიგნი თბილისის საჯარო 167 სკოლის კლუბში. აი, რას ნიშნავს კარგ და გონიერ მეგობართან ურთიერთობა. ამასაც თქვენთვის ვწერ ჩემო სულიერი შვილებო და თქვენთვისაც ბავშვებო. გაერთეთ, იცეკვეთ, იმღერეთ და ბოლოს როცა ცეკვა თამაშს ვეღარ შეძლებთ, ხელში აღარაფერი შეგრჩებათ ბრძენი მეგობრის გარდა. ყოველთვის უნდა შეეცადოთ, იმ გართობასთან ერთად სულიერ მეგობარის ძებნას. დაბრძებებულ ადამიანებთან ურთიერთობას არაფერი სჯობია. აი, შედეგი. რამდენად სასიხარულო იქნებოდა წიგნის ავტორებო, ამის დანახვა ხომ წარმოგიდგენიათ, როცა მოსწავლეები შენს წიგნს ხელში ატრიალებენ და კითხულობენ შენს ლექსს. გმადლობთ ბავშვებო. მთელი სიცოცხლის ას წელს ისეთი გახარებული იარეთ როგორც, დღეს მე გამახარეთ. გმადლობთ ჩემო სულიერო მეგობრებო ქალბატონო ლუარა და ქალბატონო ლამარა. ოცი წელიწადია ჩვენ ერთმანეთის სულთა კავშირით ვცოცხლობთ.

თოთხმეტი წელი



არავის ვჯობივარ, უბრალოდ ჩემთან მამა გაბრიელის მადლი არის გადმოსული. ,,ათინათს", წმინდა ნინოს, წმინდა გიორგის და დედაღვთისმშობლის მადლი იცავს. მადლი გადადის ყველა ავტორთან. ხატები შექმნილია ბატონი რეზო ადამიასგან. არასოდროს არ განვადიდებ ჩემს პიროვნებას. უფლის გარეშე ერთ ნომერსაც ვერ გამოუშვებდი. ტანჯვის დღეებიც მაქვს გამოვლილი. ერთ საიდუმლოებას გავამხელ, რამდენი წინაღმდეგობაც მხვდება იმდენჯერ ვძლიერდები. ამჟამად ისეთი რწმენა მაქვს რომ, არანაირი ქარიშხალი არ წააქცევს „ათინათს“. ჩემთან და ჩემს ავტორებთან ღმერთია. დავიწყე 52 ნომერი. უფალი ამღერებს ლია ალადაშვილს. დამირეკა და მითხრა. ამ ლექსზე ბევრი ვიტირე. გული რომ, ვიჯერე მოვკიდე ფანდურს ხელი და ჩემი ცრემლები სიმღერით უფალთან გავგზავნეო. ჩემო ალალი კახელო ქალბატონო, იმღერე რომ, შენი ხმა უფალს მისწვდეს. მამული გულში უნდა გადმოვიხატო. უნდა გადავმალო საქართველო. მტერს მალე ეწვევა მსაჯულები დიდი უფლისგან ჩემი სამშობლო მუჭში რომ ყავს გამომწყვდეული.

ეს ჩემი თამუნაა

ეს ჩემი თამუნიაა, ვინაც ორმოცდა ორი წლის როცა გავხდი, მითხრა:==გეყოს ახალგაზრდობა, უნდა დაგაბეროვო და ბებია გამხადა. შემოცქრიალდა სახლში და შემოიტანა მზის ფერი სხივები. როცა წამოიზარდა, სულ ჩემთან იწვა. მე მისი საკუთრება ვიყავი, არავინ უნდა მომკარებოდა.

(თ ა მ უ ნ ი ა)

მზის ათინათის მსგავს ლამაზ გოგოს,
კვლავინდებურად, მივესათუთე,
მიყვარს ძალიან, თან მიყვარს როგორ,
ჩავიკარი და გულში ჩავფუთნე.
სიცოცხლის შარბათს მასმევს და მათრობს,
გრძნობის ლოთი ვარ, მიყვარს ძალიან,
ახლა დიდია მაინც არა მთმობს,
უკვე ბებიკოს დიდი ქალია!

გულის სუფრიდან

ეს ღვთის წყალობაა, გულის სუფრიდან გამოგზავნილი. ჩვენეული მასპინძლობაა. უბრალო იმერული მეკენწალათი შეგემებული. სიტყვები ხვანის ტყის შეშით გახურებულ – გაფიცხებულ ბუხარის კეცებზეა დამცხვარი. სიმღრა – კახური რქაწითელია, ლია ალადაშვილსგან მორთმეული. გლოცავთ აკადემიის ოჯახიდან. ჩვენ უბრალო ხალხი და ძალიან პატარები ვართ. არ

დავფრინავთ ოცნების ფრთებით. ბუმბულ შეუმოსავი ჩვენივე საბუდარში ვფუსფუსებთ. რომ არ შეგვცივდეს ღვთის უბეში შევიყუჟეთ. სახელად სიყვარული გვქვია. გვიყვარს ისეთი ხალხი ვინც ჩვენ ღარიბულ სუფრაზე ჩამოისვენებს.

გილოცავ

რასაც გასცემ სულ უკლებლივ დაგიბრუნდებაო ასე უთქვიათ და ასეც არის. რაც ყვავილებია შენს ირგვლივ შემოკოპწიავებული სუყველაფერი ჩემთვის გემეტებიდა და მე გამომიგზავნე. ამიტომ ასე დილადრიანად სად წავსულიყავი შვილო. ბევრი არც მიფიქრია, შენგან მორთმეული ყვავილებით ისევ შენ გილოცავ დაბადების დღეს. სურნელოვანი სირინოზებივით ლამაზი ყოფილიყოს ის წლები რაც ამის შემდეგ უნდა გაიარო. თეთრ ქათქათა სულის სიწმინდეში ჩამოკრეფილი ლექსების კონები კი ხალხს უშურველად დაურიგე. მერე კი წიგნებად აკინძე და მომავალს სულის საზრდოდ გადაეცი დიდაქტიკურ–აღმზრდელობითი მარგალიტები.

შენ ის ქალბატონი ხარ რომელსაც, სიყვარული შეუძლია. შენ ის ნანა ხარ რომელიც, გულს მიამებს. შენ ის სულიერი შვილი ხარ, რომელიც, მხოლოდ სიკეთეს თესავს. გილოცავ დედი დაბადების დღეს. უბოროტო, ალალო და კეთილო.

ნანას

გილოცავ გაზაფხულის მოსვლას,
გულს რომ გიკვებავს სიყვარულია,
როგორც შვილს მეც ისე გლოცავ,
გული ჩემს გულში გადმორგულია.
ყაყაჩოები და ენძელენი,
გამოგიზავნე ყველა შენია...
შორს გაპენტილა სულის ტყემლები,
ეს ემიგრანტის განაჩენია.
ქართვლის ქალებმა რას არ გაუძლეს,
ოდით და ახლაც ბრძოლის ველია,
ცალ უღელიბით უღელს გაუძღვე,
სასწაული და მართლაც ძნელია.

საყვარელო ნანა, გილოცავ დაბადების დღეს. საუკეთესო დედავ და ქართველო პოეტო ქალბატონო!

დაგვიანებული მილოცვა

გაზაფხულის კვირტებივით გაბუტული, იასამანივით ლამაზი ქალბატონი ფიქრის ღრუბლებში გახვეულიყო. დილის მზის სხივებმა ქალბატონთან ჩამოისვენა. ფიქრებში გარინდულ ნაზ პოეტთან მზის სხივმა გასაუბრება მოისურვა. დაფიქრებულმა პოეტმა ყველა კითხვაზე ზრდილობიანად პასუხი გასცა. დღეს თოთხმეტი აპრილია, საქართველოში დედაენის დღეს ზეიმობენ მიახარა მზის სხივმა. კი, ასე არის ასე, ამოიკვნესა იასამანის ყვავილივით ლამაზმა ქალბატონმა და თიქოს გული თან ამოაყოლა. ასე დარდიანი რატომ ხარ? შეეკითხა მზის სხივი. ქართველი ვარ და მენატრება ჩემი შვილები. საქართველოში უბრალო ყვავილებსაც კი სხვანაირი სურნელი ასდის. ქუჩაში გავედი ყვავილები ვიყიდე და ჩემს თავს დაბადების დღე მივულოცე. ფიქრებში ჩაძირული ქალბატონი ტელეფონის ხმამ გამოაფხიზლა. საქართველოდან ურეკავდნენ. ალო? გისმენთ! მშვიდად უპასუხა ემიგრანტმა. ქალბატონო ნატალია, თუმცა მოგვიანებით მაგრამ, სიყვარულით გილოცავ დაბადების დღეს. ამ მნიშვნელოვან და ლამაზ დღესთან დაკავშირებით მინდა ლექსის სტრიქონებით მოგეფერო!

სიკეთის სხივო

შენ გულის სითბოს შევადარებ ციურ მნათობებს,
დაუნანებლად... უშურველად მზედ რომ ანათებ,
ო, როგორ მინდა ყოველ დილით შვილო, მათბობდე,
მერე კი ღამეს შენთან ერთად გამოვათენებ!

ქალბატონო ნაირა

დღეს ნაირა უგულავას დაბადების დღე არის. ათინათი იმიტომ წარუმძღვანე მილოცვის სიტყვებს რომ, ათინათს ამშვენებს, ქალბატონი ნაირას, პოეზია, ლექსები, ,,ბრძნული აზრები" და ,,ბრალის თეორია". ექიმი ქალბატონის სიკეთე აუწონელია. ღმერთს მისთვის ყველაფერი მიუცია. ნიჭი, ფიზიკური სილამაზე და კარგი ქმარშვილი. ვულოცავ დაბადების დღეს და ვიხსენებ ერთი წლის წინ ჩატარებულ ჩემი თვალით დანახულ საღამოს. სხვისი ნაამბობი იმ, ზღაპარს დაემგვანება ბავშობაში რომ, გვიყვებოდნენ. იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა და ასე შემდეგ... ცუდად რომ, იწყებოდა და ყველაფერი რომ კარგად მთავრდებოდა. ხონის რაიონი სოფელი გორდი დღისით მზეს წვდება და ღამე კი მწვანე ვარსკვლავებად ანათებს.

სურათები რომლებიც ამ ჩანახატს ახლავს, ქალბატონი ნაირა უგულავას ეზოშია გადაღებული. მწვანე წალკოტში ჩატარდა ქალბატონი ნაირას იუბილე და წიგნების პრეზენტაცია. თბილისი, ქუთაისი და ხონი იყო გაერთიანებული, დიდებული ქალბატონის საპატივსაცემოდ. დღეს 14 აპრილია, ქალბატონი ნაირას დაბადების დღე. არ შემეძლო უბრალო სიტყვებით მიმელოცა და ეს დაუვიწყარი დღე არ გამეხსენებინა. ქალბატონი ნაირას ოჯახში საღამო მიყავდა დამსახურებულ მსახიობს და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წარმომადგენელს, ქალბატონ გულიადა სანოძეს. ლამაზ ჰარმონიულ დღეს ალამაზებდნენ ვარსკვლავებივით მოციმციმე ხონისა და გორდის ახალგაზრდები.

საყვარელო ნაირა,
გილოცავ დაბადების დღეს

* * *

ათინათს შენი სიბრძნე ამშვენებს,
აქ არის შენი სულის სამყარო,
ყვავილებს გორდის ბაღში აშენებ,
ჰაერი სჯობნის მგონი ბახმაროს.

ასე მგონია ღმერთიც აქ ცხოვრობს,
აქ სხვანაირი ვარდი ყვავილობს,
ათინათი მსურს შენთან ვაცხოვრო,
სიყვარული რომ ავაყვავილო.

შვილი და ძმისშვილიშვილი

გაზაფხულის კვირტებ გაბუტულ ხვანისა და ჭალვანის წიფლის ხეების ძირში ხალიჩებად ეფინება სხვადასხვანაირი ყვავილები. დაგვიანებული მგზავრივით თოვლიც არის აქ იქ შერჩენილი. მთის ღეელები მღერიან. თხილი საყურეებ ჩამოკიდებული ყვითლად გადაპენტილ შინდს სილამაზეში ეჯიბრება. კლდეზე მობინადრე ბორბალა ყვავილიც ემზადება გაზაფხულის შესახვედრად. მდინარე ძირულა მიდის და მიაქვს წლები ნაზამთრი და დარდწაწვიმარი. უხარია მთის ბუნებას თავის უბეში გაზრდილი გულნაზის ბედნიერება. ბიჭია, ბიჭი ... ყვირის ხაშურის სამშობიაროში ექიმი და 27 აპრილს დაიბადა გელა სხირტლაძე, რომლის უეცრად წასვლამ ძირულის ტალღებივით ააზვირთა თვალებში ცრემლები. ანალოგიური სიხარულით შეხვდნენ ჭიათურის სამშობიაროში დაბადებულ დათას. ბიჭია... ბიჭი ყვირոდნენ და ულოცავდნენ შვილის დაბადებით გახარებულ ხვიჩა შუბითიძეს. ჩემი ძმა ამირანი და რძალი ელზა ლაბაძე მასპინძლობას უწევდა გახარებულ ხათუნას. დათა და გელა, განსაკუთრებულად უყვარდა ჩემს ძმა ამირანს და მათ მოგონებაზე ხშირად ბავშვივით ქვითინებდა. უდროვოდ წასვლამ კი წელში გატეხა სიძლიერით გამორჩელი ამირან ხარაიშვილი. ამიტომაა რომ, ღამით ცაში ვარ თქვენთან ერთად ბიჭებო, გამთენიისას დილით სულს სხეული ამძიმებს და დედამიწაზე ვეშვები. ცისკრის ალიონზე თქვენგან გამოტანებულ სითბოთი ვასაზრდოვებ მიწიერთ. არ მენატრებით რადგან, ჩემში დარჩით. თქვენ ჩემთან ხართ. სადაც მივდივარ თან დამყვებით, ძალას მაძლევთ. გაზაფხულმა თვალები რომ, გაახილა თქვენ გაჩნდით გელა და დათა. ჩემო მაგარო ბიჭებო, 17 წლის დათა და ორმოც წელს მიტანებულო გელა. მაინც რა იყო შვილო რომ, ორმოც წელს ორმოცი დღე გაკლდა და გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შემდეგ, შენს შესანდობარს სვამდნენ. ჩემო მწვანეთვალება გელა, ნაღვლიანად რომ, უყურებ სახლის კიბეზე ამაყად მდგარ 17 წლის დათას. ჩემო ბიჭებო, დღე ათინათი მათბობს და ღამე კი, ფიქრის სახლში ცის კარის შესასვლეთან თქვენთან ვარ,

ჩამო გაზაფხულის მაყრებო!

ბუმბერაზ მთებს ამჩვნევია კვალი,
გელასი და ჩემი დათა ბიჭის,
ცრემლად დნება ჭალვანი და ხვანი,
მათ გარეშე ბუნებასაც უჭირს.
შვლის ნუკრს გავდა დათა თვალთა მზერით,
რაჭის მთების ჰაერს ჩემი გელა,
ბულბულები ისე აღარ მღერის
დედამიწას მოწვდა ბედის ელვა.
მე არ ვტირი რადგან ჩემში დარჩით,
სიყვარულის უშრეტ წყაროს წვეთად,
აედევნეთ ღამით მთვარის აჩრდილს
გაზაფხულზე კვირტებივით ფეთქავთ!

* * *

დღეს 19 თებერვალის ათი საათია. ჩემო დილის ცისკრის მზევ, თვალები დახუჭე და ზეცაში გაახილე. მიიხედ – მოიხედე ნაცნობი სახეები ხელს გიქნევდნენ. იქვე გიღომოდა შემი კლასელი და ბიძაშვილი გიო სხირტლაძე. ძიუდოს სამოსელი ეცვა და საჭიდაოდ გიხმობდა. თქვენ ხომ ერთად დადიოდით ქარელში. თქვენი მწვრთნელი იყო გრიშა მურაჩაშვილი. შორიდან მამაშენი გამორბოდა. გაბრაზებულმა და სახეალეწილმა ყვირილი დაგიწყო დედაშენი ოთახში გელოდება და აქ სად ამოხვედიო. ჩხუბის ხმა ჩემმა ძმებმა გაიგონეს, შენთან მოიჭრნენ, მხრებზე ხელი დაგადეს და გითხრეს: ნუ გეშინია ბიძია ჩვენ აქ ვართო. მერე მამაშენს შეუყვირეს. შენ თვითონ მიატოვე ჩვენი და 50 წლის ასაკში და აქ ხარ. გელას რატომ ეკამათები, განა ამას უნდოდა ? შენი მოსახელე ვახო ორწლინახვრის მიეტოვებინა? ეხ! სიძევ ბატონო, დაწყნარდი ,

ყველაფერი აზრთაგამრიგის ბრალია. მის ხელშია ყველაფერი. ჰოდა დედიკო გენაცვალოს, მივენდე ბედს და უშენოდ 12 წელი უდარდელი ქალის როლს ვთამაშობ. როლს შეჩვეული სხვებსაც ვამშვიდებ. ვეუბნები რომ, აქ ყველაფერი არის დროებითი, მარადისობა ზეცაშია. ვიყოთ კეთილინი, მივუტეოთ, რათა ჩვენც მოგვიტევოს უფალმა. ხომ სწორად ვიქცევი დედი?

ტელეფონის ზარი

აღდომის დღესასწაულის ბზობის მეორე დღე არის. თბილისის 167 -ე საჯარო სკოლის ღონიესძიების ემოცია გადავიტანე ფეისბუქის გვერდზე. ვწერ სიხარულის განცდებს და ტელეფონის ხმამ სხვა ფიქრში გადამიყვანა. ნომერი დაფიქსირდა, ჩემი ძმიშვილის ცოლის დათო ხარაიშვილის მეუღლისგან. ლალი მაჭარაშვილი მირეკავდა. ცოტა კი შევშინდი დაწერილი არ წამშლოდა რადგან, ტელეფონში ვწერდი სკოლის სიხარულის განცდებს. უფრო სხვა დიდმა შიშმა ამაწრიალა. იქნებ რა უნდა? იქნებ რა უჭირს?პასუხი გავეცი.

– გისმენ ლალიკო მამიდა გენაცვალოს. – თვალწინ დამიდგა ჩემი საბა და ანა ხარაიშვილები.

ერთხელ საბას შევეკითხე, რა იცი შენი გვარის შესახებთქო, მან სხაპასუხით მიპასუხა.

ძალიან ბევრჯერ მქონდა შეკითხვები ჩემს ბაბუასთან (თამაზ) ხარაიშვილთან, გვარის შესახებ მისგან მსმენია, რო რომ ხარაიშვილი სიტყვა (ხარი) სიძლიერეს ნიშნავს. საქართველოსთვის ცნობილია, რომ ჩემი ბაბუის ძმის სახელი მინიჭებული აქვს საჩხერის რაიონ სოფელ ჭალვანის საჯარო სკოლას. ბეჟან ბაბუა პოეტი იყო. ის ოცდაათი წლის გარდაიცვალა მაგრამ დატოვა, უკვდავება. ბეჟან ბაბუას სახელობის პრემია დაარსებული მწერალთა კავშირში. ჩემი ოჯახის და გვარის საამაყოა ის, რომ ერთ ოჯახში გაიზარდა სამი ცნობილი პოეტი.ბეჟანი, გულნაზი და გვანცა ხარაიშვილები.

– იცი მამი, – სიჩუმე ლალიმ დაარღვია, – გუშინ რომ, გთხოვე ტელეფონი გამიგე ნაილი ხარაიშვილ-ხეთერელის ქალიშვილის ნახე? – არა საყვარელო, ვერ მოვახერხე ფიზიკურად ვერ მოვიცალე ლალიკო. საუბარი ისევ ლალიმ გააგრძელა. ტელეფონი ნათელა ხარაიშვილისთვის მინდა. აი, იმ, ქალბატონის, ჩემს საბას და ანას რომ მიმზადებს ქართულში და ინგლისურში. – შევწუხდი სირცხვილის ალმა დამიარა მთელ სხეულში. ეს ის ქალბატონია, ავარიაში რომ, მოხვდა რამოდენიმე წლების უკან და ეტლში ზის. ასეთმა წმინდა სულის ეტლში მყოფმა პოეტმა ნათელამ, როცა თორმეტი წლის წინ შვილი გარდამეცვალა, დახურული კონვერტით წერილი გამომიგზავნა. კონვერტში წერილთან ერთად 50 ლარი იყო ჩადებული. ნათელა მწერდა, ეს ფული პატარა ვახოს მიუტანე და უთხარი რომ, მამიკომ გამოგიგზავნა რათა კამფეტები იყიდოთქო. ტელეფონის ნომრების სიის ფურცვლა გავაგრძელე. ვერაფრით ვერ ვნახე, ვერ მივაგენი, არადა მეწერა. ნაილის ქალიშვილის, მირანდა ხეთერელის ტელეფონის ნომერ. ვიცი რომ, ამ წუთშიც ჩემს წინ ტრიალებს, მეკი ვერ ვხედავ. რა ხდება? ვეკითხები ჩემს თავს. აღარც კი მახსოვს რამდენჯერ გადავატრიალე ერთი და იმავე გვერდი. ბოლოს აწ გარდაცვლილი ნაილის ნომერი ავკრიფე. გარდაცვალებამდე ნაილი რომ იყო და დედაოთ რომ აღკვეცეს, ზეცაში წასვლის წინა თვეში. ვიფიქრე იქნებ მირანდას, დედის ნომერი შენახული აქვსთქო. გამორთულიაო მიპასუხა ავტომატმა. ბოლოს პოეტ ქალბატონს ჩემს საბას და ანას მასწავლებელ ნათელა ხარაიშვილს, მე თვითონ დავურეკე და აუხსენი მდგომარეობა. მოვუყევი თბილისის 167 – სკოლის ჩატარებული ღონისძიების შესახებ და ვუხსნიდი როგორ ყავდა 45 წუთში პედაგოგს ჩატეული ლექსები, სიმღერა და სიტყვებში გამომსვლელები. ისიც არ დამიმალია რომ, თორმეტ საათზე მივედი სახლში რადგან, მიტინგის გამო მოძრაობა ძალიან ჭირდა. ერთი სიტყვით რეალური მიზეზი ავხსენი. თან მიკვირდა, მართლაც ძალიან მიკვირდა, ტელეფონის ნომერს რატომ ვერ ვპოულობდი? საუბარს შევყევით... ნათელა, ღონისძიების შინაარსით დაინტერესდა. რამოდენიმე კითხვაც დამისვა.

იმ ორმოცდახუთ წუთიან საღამოში ყველაზე ძალიან რა მოგეწონაო მითხრა. მეც დაზეპირებული ლექსივით ავლაპარაკდი. კითხვა პასუხის დიალოგითქო ვუპასუხე. ნათელა დაინტერესდა თუ რა კითხვები დამისვეს ბავშვებმა. მეც მოსწავლესავით ავჭიკჭიკდი. პირველი

კითხვა ასეთი იყო, როდის დავიწყე ლექსების წერა? მითხრა ერთ-ერთმა მოსწავლემ. მეც ვუპასუხე რომ, არასოდეს ლექსი არ დამიწერია, მამა გაბრიელის საფლავზე სანამ არ მივედითქო. თან ავხსენი რომ, როცა მამა გაბრიელის საფლავზე მივედი სამაჩაბლოს ომისგან ავარვალებული ცეცხლის ალი თამაშიბდნენ ჩემს თვალსწინ და მშვიდობისა და სიყვარულს ვთხოვდი მამა გაბრიელსთქო. ლექსის დაწერის სურვილი და გააზრებაც კი ჩემში არ იყოთქო. მოსწავლეები ინტერესით მომჩერებოდნენ. ცოტახანს ჩავფიქრდი და დამაჯერებელი რომ ყოფილიყო ჩემი საუბარი დავიწყე, ,, ჩიტის ბუდე ისევ იქ ჩანს, ჩიტი გუნდათ გაფრენილა" ჩიტში ჩემი თავი და შვილები დავინახეთქო . ეს იყო ჩემი ლექსის პირველი პწკარები რაც, მამა გაბრიელის მადლით წლების მერე უკვე 13 წიგნად იქცათქო. ამ ყველაფერს ღონისძიების განცდებზე უკვე ნათელთან ვყვებოდი და თავს ვიმართლებდი რატომ მიიმალა ტელეფონის ნომერი მაშინ როცა, ნაილის სამკურნალო წამალი ჭირდებოდა ნათელას. ნაილი – ხეთერელის მალამო განთქმული იყო. ნაილი გარდაცვალებამდე პოეტიც გახდა, რამოდენიმე პოეტური კრებული გამოუშვა. ამასთანევე დიდ მადლს აკეთებდა. ის თავისი დამზადებული მალამოთი მკურნალობდა ხალხს გარდაცვალებამდე. ,,სამკურნალო თიხა"და ხეთერელის მალამო ასე ერქვა მისგან დამზადებულ უებარ წამალს. მე და ნათელა ისე შევყევით საუბარს სულ დაგვავიწყდა ტალეფონის ნომერის არსებობა. ნათელა მეუბნება სულიერად განვიკურნეო, ახლა მე დავდუმდი და მდუმარე მამა ნიკოლოზი მიდგას თვალწინო. შენ მის მის შესახებ გსმენია რამე? შემეკითხა ნათელა. ამ დროს თითქოს დახურული კარი გაიხსნა და კარს შიგნით გარეჯის ბერმა შემოიხედა, მამა ნეუფიტემ. ნათელამ ვერ შამჩნია რადგან, მამა მამა ნიკოლოზის სასწაულებზე ყვებოდა. მე კი პირიქით მამა ნეოფიტეზე ვესაუბრებოდი. ისე მიიხურა კარები ვერც კი გავიგე. დაკეტილი კარების შიგნით დავრჩით მე , ნათელა, მამა ნეოფიტე და მდუმარე მამა ნიკოლოზი. მეც ისე განვიტვირთე დაღლაც დამავიწყდა და დარდიც. ღამით ზეცას ხშირად ვსტუმრობ, ფიქრით, როცა ძილის ზღვაში შევცურდები დილის ცისკარზე მშვიდად თვალებს ვახელ და სიკეთის კეთებით შეპყრობილი ვფიქრობ რა დავწერო ისეთი რომ, ხალხმა ისე ირწმუნოს, ისე შეიგრძნოს, უფალის სიახლოვე როგორც ვგრძნობ მე. ამჟად ჩემს წარმოსახაშვი დავრჩი ნათელასთან, მდუმარე მამა ნიკოლოზთან და მამა ნეოფიტესთან ერთად. მძიმე ჯვარის ტარება ძნელია. მე ერთი მოკვდავი პოეტი ვარ, მოკვდავი და არა უკვდავი. მაპატიე უფალო, ის რომ, მამა ნეოფიტემდე ირმა კეკელიძემ მიმიყვანა და ამ ამბის თხრობა ისე დავიწყე თითქოს მე ანგელოზი ფრთებით დავფრინავ. სიკეთის ზღვაში. ადამიანების გარეშე ცურვა არაფერია. რწმენისა და უფლის გზის მასწავლელი ჩემი ირმა კეკელიძე არის. გმადლობთ უფალო რომ, ჩემს გვედით ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველ ადამიანებს მიგზავნი. გმადლოთ, ქალბატონო, ირინა, ია, ლამარა, ლეილა, ლია, ეთერი, ლამზირა ნორიკო, ნანა, ქეთინო, ბელა, მანანა, მაგული, მაკა, ეკა, თამატი, მზია, მაყვალა. უხ! რამდენი ხართ! გამრავლდით, გაფუფუნდით და იცოცხლეთ! ამინ!

მადლობის წერილი

სულის აღდგომის დღესასწაული მაჩუქა სსიპ ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლამ (დირექ-ტორი ნინო ალადაშვილი).

მივდიოდი და ვფიქრობდი, ნეტავ, რა სიახლეს შეიძლება ველოდო სკოლის პედაგოგის-გან, ფილოლოგიის დოქტორ, ქალბატონ ლამარა გერგედავასგან, რომელიც, თავის აღსაზრდე-ლებთან ერთად, მკითხველთა კლუბის ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციაზე, სალონურ ღონისძიებაზე, მიწვევს.

არ მავიწყდება, განვლილი წლები, როცა ამ სკოლაში, "ათინათებით" ხელდამშვენებული, ჩემს სულიერ შვილებთან, ჯგუფ "ზღვარის" წევრებ სერგი ლომაძესთან, კახა ბაციკაძესა და ლამზირა შეყილაძესთან ერთად, მივდიოდი.

ჩვენი მისვლა განპირობებული იყო ადგილობრივი ხელმძღვანელების ხელშეწყობით. პედა-გოგებსა და დირექციას გათავისებული ჰქონდათ ღმერთთან სიახლოვე და წმინდა ნინოს ხატის მადლი, რომელიც ჩვენი ჟურნალის სიმბოლოა და მის გარეკანს ამშვენებს, ცნობილი მხატვრის. რეზო ადამიას მიერ შესრულებული ნახატი. ეს, ყველაფერი, აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგის,

ქალბატონი ლამარა გერგედავასგან ხდებოდა. საწყისი მაინც ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემია იყო, რადგან თვითონ ქალბატონი ლამარა აკადემიის წევრია და არაერთხელ დასწრებია და მიუღია მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში. ღონისძიებებში და ასე შემდეგ.

ქალბატონი ლამარას მიერ კლასიკურად მომზადებული მოსწავლეები ხვდებოდნენ ცნობილ პიროვნებებს. მოსწავლეებმა ჩაიწერეს არაერთი ინტერვიუ კულტურის მინისტრ ბატონ გურამ ოდიშარიასთან, მწერალ, ბატონ რეზო მიშველაძესთან, მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან, ქალბატონ მაყვალა გონაშვილთან, მსოფლიო მოგზაურ ბატონ ჯუმბერ ლეჟავასთან და ასე შემდეგ.

აღდგომის წინა კვირას ისევ, აკადემიასა და 167-ე საჯარო სკოლას შორის, 2020 წელს დაწყებული პანდემიის მიზეზით შეწყვეტილი ურთიერთობა აღდგა და გაცოცხლდა.

ჩემთან ერთად, მიწვეული სტუმრები იყვნენ, საქართველოში აღიარებული მწერალი და ექიმი ქალბატონი ირმა კეკელიძე, თავისი ბუნებრივი ხმით, უკვე ბულბულად წოდებული ლია ალადაშვილი რომელმაც, ქალბატონ ლამარა გერგედავასადმი მიძღვნილი ჩემი ლექსი აქცია სიმღერად და ღონისძიების მასპინძელი, ქალბატონი ლამარა, ძალიან გაახარა.

ამ შეხვედრას დაესწრო, ასევე, ექიმი და პოეტი, ქალბატონი ლეილა გაფრინდაშვილი.

საღამომ, გააერთიანა პედაგოგები, მოსწავლეები და მიწვეული სტუმრები. განვიცდიდი შინაგანად, რადგან მასპინძლად და მიწვეულ სტუმრადაც ვგრძნობდი თავს. განვიცდიდი რადგან, ქალბატონი ირმა და ქალბატონი ლეილა რისკის წინაშე დავაყენე, მათ სხვა მნიშვნელოვან საღამოსთვისაც უნდა მიესწროთ. ვუყურებდი ირმა კეკელიძეს და მისი სიმშვიდე მიკვირდა. თუმცა, არ უნდა გამკვირდებოდა. საყვარელი და საამაყო ირმა უფალს მინდობილი ქალბატონია. სიტყვა გამიგრძელდა, ვერ ვთქვი სათქმელი, არადა როგორ მინდა ყველაფერი გავიხსენო. მოვიგონო წარსული და აღვწერო ღონისძიების შთაბეჭდილებები. მაშ, დავიწყოთ: პირველ რიგში, გამიხარდა, რომ სოხუმის უნივერსიტეტის სრული პროფესორის, მეცნიერ ქალბატონი ლუარა სორდიას წიგნს,,მადლშემოსილსა" და სერგი ლომაძის წიგნს,,გზა მწვერვალისკენ" ფურცლავდნენ მოსწავლეები, კითხულობდნენ ამონარიდებს. ორივე წიგნი, ავტორებმა, ჩემზე დაწერეს, რაც დიდ პატივად მიმაჩნია.

მადლობა მინდა გადავუხადო წამყვან მოსწავლეებს. მარიამ ონანაშვილსა და მარიამ კუპატაძეს, ისინი იყვნენ საკმაოდ ინფორმირებული. შინაარსიანად განიხილავდნენ ლექსებს. ბოლოს ყველაზე გასახარებელი, გულის ამაჩუყებელი იყო ჩემთვის ის, რომ ბავშვებს სურვილი ჰქონდათ, რომ მათთან ერთად გადამეღო სამახსოვრო ფოტოები. რა დამავიწყებს მათ გაბრწყინებულ თვალებს.

საინტერესოდ და სკოლის სიმდიდრედ ჩავთვალე ხელოვანი მათემატიკის პედაგოგი, გიორგი გობეჯიშვილი, რომელმაც, საკუთარი ლექსი წაიკითხა. ყველაზე მთავარი, ამ ყველაფერში იყო დირექტორის, ქალბატონი ნინო ალადაშვილისგან მხარდაჭერა.

ეს მისი და მომღერალ ლია ალადაშვილის გაცნობის დღეც იყო.

გამახსენდა ქალბატონი ლამარა გერგედავას აწ გარდაცვლილი მეუღლე. თვალები ამიცრემლდა. იმ საღამოს, თითქოს, მისი აჩრდილი იქვე ტრიალებდა.

ის სულ ეხმარებოდა მეუღლეს, ყოველთვის მოდიოდა აკადემიაში და მიჰქონდა სკოლისთვის "ათინათები", ანთოლოგიები. ამაყობდა, თავისი მეუღლის მოსწავლეების ნამუშევრები რომ იბეჭდებოდა ჟურნალში. როცა მოვიდოდა, ყოველთვის თავის შვილიშვილზე, ნუცაზე, ამახვილებდა ყურადღებას, შვილი დამავიწყაო, ამბობდა. მისი ნუციკო იმ დღის ღონისძიების ვარსკვლავი იყო. განვიცდიდი ჩუმად და ვფიქრობდი, რა ხანმოკლეა წუთისოფელი და როგორ არ ვიცით სიცოცხლის ფასი.

გუშინდელმა ლამაზმა საღამომ კვლავ სიცოცხლისკენ წამაქეზა.

მადლობა მკითხველთა კლუბ "მთიები 167-ის" კურატორს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, მწერალსა და ფილოლოგიის დოქტორს, პედაგოგ ლამარა გერგედავას, სკოლის დირექციას, დამსწრე პედაგოგებს, მშობლებსა და მოსწავლეებს.

ბედი და იღბალი

2024 წელი 5 მაისი. აღდომის ბრწყინვალე დღესასწაული და ჩემი დაბადების დღე. პირველი მოლოცვა ისრაელიდან მივიღე. გმადლობ სიკეთის დესპანო ბატონო აბრამ პაატა, თქვენი მეუღლე ქალბატონი ლოლა და მე ერთ დღეს ვართ დაბადებული, ყველანაირი სიკეთე მისურვებია ქალბატონი ლოლასთვის. ბატონი აბრამ პაატა სრულიად განსხვავებული პიროვნებაა, ის მთელ საქართველოს ეფერება. ეს არის მსოფლიოში სიკეთით გამორჩეული პიროვნება. ქუთაისში დაბადებულ და გაზრდილ ქართველ ებრაელს ქუთაისური სითბო გაყოლია ისრაელში და იქ უფალთან სიახლოვის მადლს გზავნის თიოეულ ქართველის მისამართით. სიკეთის დესპანის მეუღლეს ქალბატონ ლოლას მთელი სიყვარულით ვულოცავ დაბადების დღეს. ქალბატონო ლოლა, ბატონი აბრამ პაატა არ მიწყენს თუ ვიტყვი იმას რომ, თქვენ ერთი გული გაქვთ, ერთნაირად ფიქრობთ და იღებთ სიკეთისა და სიყვარულის გზავნილების გადაწყვეტილებებს. საქართველოში კი გყავთ თქვენი მიმდევრები. ხარაგაულში ქალბატონი იზა ვეფხვაძე და თბილისში ნინო უძილაური. ჰოდა, თქვენი სულიერი დედა გულნაზი გეფერებათ და სამადლობელ სიტყვებს გზავნის ისრაელში. 2024 წლის ხუთი მაისი საერთოდ მაფიქრებდა, რა უნდა მომხდარიყო ისეთი რომ, განსხვავებული ყოფილიყო. აი, სახეზეა რაც მოხდა , მოლოცვა ისრაელიდან. მეორე მოლოცვა ლონდონიდან ამზიანდა და ამწვერვალდა. მზია კვირიკაშვილი ლონდინში ცხოვრობს, პოეტი და მთარგმნელი ქალბატონი რომლის, თარგმანებით გამდიდრდა და გაიზარდა ათინათის შინაარსობრივი ხარისხი. მესამე მოლოცვა იტალიიდან გადმოფრინდა საქართველოში ბელა მოდებაძედან. თუ რას ამბობს ამ სიტყვების გამეორებისაც კი მეუხერხულება. თვითონაც ამხელს რომ, სულ რაღაც თვეებიაო რომ ვიცნობო დედა გულნაზისო. ეს ქალბატონი აკადემიაში პოეტ ქალბატონ ლიანა ჯანეზაშვილისგან მოხვდა. ასეთი რა უთხრა მსოფლიო ინტერნეტ სივრცე რომ, აქვს დაპყრობილი ქალბატონ ბელას თავის სიკეთის კეთებით რომ, მართლაც გულის ორსულმა სიტყვების მზის კონა შეკრა და ისეთი საჩუქარი გამიკეთა დროს მართლაც გაიუძლებს. იტალიიდან იების კონები ჩამომირიგეს, ჩემმა ხათო კილაძემ, ანერიმ, თამუნამ, ნანა გიგუაშვილმა, ნანა ჩარკვიანმა, ნატალია სამუშიამ, თამარ ჯაჭვაძემ, მალვინა ჭელიძემ და ბევრმა სხვამ. საბერძნეთიდან თამარ ნიჟარაძემ ყველას დაასწრო როგორც, ყოველთვის. თბილი დედაშვილური მოლოცვა გამიკეთა ჩემმა ანამარია ლილუაშვილმა. ამერიკიდან თეა კანდელაკმა და ვარდენ მეკალმიშვილმა. ახლა რა ხდება საქართველოში. დაბადების დღე მომილოცა გარეჯის ბერმა მამა ნეოფიტემ. ამაღლების ეკლესიიდან დალოცა ამაღლების ეკლესიის ზარის რეკვით მოხვდა სადაც, ეკლესიის წინამძღვარია მამა ამირან ამირანაშვილი რომელმაც,

მომახარა საჩუქრად შენს სახელზე ნაკურთხი დედაღვთისმშობელი გელოდებო. რა სწორი გადაწყვეტილება მიუღია მამაოს. ნაკურთ ხატზე დაგლოცავთ ყველას ვინაც მე დამლოცეთ. ვინაც არ მიმილოცეთ იმათაც მოგეფერებით, რადგან ვიცი რომ ჩემს მიმართ არა მგონია ვინმე ცუდს ამბობდეს ან ფიქრობდეს. გამიგონია წყენით კი ადამიანის ორგანიზმში ნაწლავები ზოგჯერ კინკლავებენო. მოლოცვით გამახარა რუსთაველის პრემიის ლაურიატმა კლასიკოსმა მწერალმა ბატონმა რეზო მიშველაძემ. ნიკო ბაღაშვილმა ლამაზი კლიპით მომილოცა რომელის სიტყვებშიც მთელი მისი თბილი გული იყო ჩადებული. ძალიან განსხვავებული და თბილია პოეტ ეთერ ჭელიძის მოლოცვა, გმადლობთ საყვარელო. ასეთივეა ნორა მგელაძის მოლოცვაც. ლია ალადაშვილმა ჩემი საკუთარი ლექსები რომ ამოლია ჩემი სულის ჭურჭლიდან, საკუთარი ლექსი დაწერა და ხალხს მიმართა. აბა მივულოცოთ დედა გულნაზის დაბადების დღეო და სიმღერით ახალი ტექსტი ააბულბულა. დამლოცა დედა იოანემ მან ჩემს გასაგონად ლოცვის რიტუალები ჩაატარა. აჭარის ტელევიზიის დირექტორმა ბატონმა ჯემალ მეგრელიძემ სპეციალური გადაცემით დაგვასაჩუქრა სულის ტაძრის იუბილარები, მე და მაიკო ქასრაშვილ-რამიშვილი. გადავინაცვლებ ხონში. ბევრჯერ მითქვია, ხონის რაიონი ჩემთვის მეორე საჩხერე არისთქო. საჩხერის კენჭიც მიყვარს და ხმაც მიყვარს განსაკუთრებულად იმერული. ჩემი ფესვებია და იმიტომ. ხონი მეორე რაიონად შემოიერთა ჩემმა გულმა. დამსახურებულმა მსახიობმა გულიადა სანოძემ დიდი პოეტის

ედვარდ უგულავას დედამ და ცნობილი ხატმწერის იაგოს დედამ, ჩემი პიროვნება შეაყვარა, რაიონის ხელმძღვანელობას. პირველ რიგში ქალბატონი ნაირა უგულავამ და ქალბატონმა თამარ კორძაიმ ყველას დაასწრო და მომილოცეს იუბილე. გულიადა სანოძე ჩემი და სხვთა პოეტების ლექსებით ზრდის მომავალ თაობას. რა დამავიწყებს მისგან ჩატარებულ საღამოს ხონის კულტურის ცენტრიდან რომ, დაიწყო და დადიანის ტყე პერკში რომ გაგრძელდა. რუსთაველის პრემიის ლაურეატის ქალბატონი მაყვალა გონაშვილის და ჩემი პოეზია ერთად გაერთიანა და ახალგაზრდა თაობებში გადაანაწილა. დადიანის ტყე-პარკში გუგუნებდა, მაყვალა გონაშვილის და გულნაზი ხარაიშვილის სახელი. იქ, დავინახე ქალბატონი მაყვალას დიდსულოვნება, იქნებ ეს გამოცდაც იყო მის მიმართ, რადგან იქვე ეკლესიაში სანთლები იყო ანთებული და გორდის მოსახლეობა ლოცავდა ორ პოეტს ქალბატონ მაყვალა გონაშვილს და გულნაზ ხარაიშვილს. გამოცდა იყო ნამდვილად რადგან, მე ფიქრშიც არ გავივლებ რომ, მაყვალას პოეზიას გაუვუთანაბრო ჩემი მამა გაბრიელის მადლით სავსე ლექსები. მაყვალა გონაშვილის ლექსები ცაა და ჩემი კი დაბლიდან მიჩერებია. გულით და სითბოთი ნამდვილად ვგავართ ერთმანეთს. ჰოდა, აღდომის ბრწყინვალე დღესასწაულზეც არ დავიწყებიათ გულიადა სანოძის აღზრდილ ლიტერატურის წრის წევრებს ჩემი დაბადების დღე და ჩემივე ლექსებით მომილოცეს დაბადების დღე მოსწავლეებმა. დაგლოცოთ უფალმა შვილებო. გადავინაცვლოთ საჩხერის რაონ სოფელ ხვანში სადაც, დავიბადე და გავიზარდე .ჩემი შვილი მიძახის დავით სხირტლაძე, დედა ჩემი ტელეფონით გილოცავენ დაბადების დღესო. ძმიშვილი მირეკავდა მირზა ხარაიშვილი. გისმენ მამიდას იმედო, ვთქვი ეს სიტყვები და ჩემი ფიქრების წინ წამოიმართნენ ხვანის მთებივით ბუმბერაზი უკვე აწ გარდაცვლილი ხუთი ძმა, მშობლები, დეიდაშვილები და ბიძაშვილები. ყველა ნედლი ფოთლებივით დაუბერებლები რომ წავიდნენ, რადგან აღდომა იყო მხოლოდ ისინი ტრიალებდნენ ჩემს თვალებში. მამიდა გააგრძელა მირზამ მოფერება. პირველ რიგში გილოცავ დაბადების დღეს და ახლა კი ვიდეო თვალი ჩართე შენი ხალხი უნდა გაჩვენოვო. რა თქმა უნდა ჩავრთე ვიდეო თვალი. გაშლილი იყო სუფრა სადღაც ბუნებაში და არა ეკლესიაში. პატარა ქოხი იდგა. ისეთი პოეტებს რომ უყვარს. ბუნება, ქოხი და სიშვიდე. მაგიდას სხვადასხვა ასაკის ხალხი იყო შემომსხდარი. ყველა ერთად მილოცავდა დაბადების დღეს. რა თქმა უნდა ახლა ყველა ცოცხლები და ღმერთმა ასი წელი მიცოცხლის მათი თავი. ჩემმა თვალებმა პირველად მაინც ზეცა მოიარა

სადაც, ნახა მარადმწვანე წალკოტი სადაც გარდაცვალებულები სუფრასთან ისხდნენ. სუფრას ჩემი 30 წლის წასული ძმა პოეტი ბეჟან ხარაიშვილი თამადობდა. ყველა გასუსული უსმენდა. სუფრის ბოლოში დათა შუბითიძე აკონტროლებდა სიტუაციას. უფრო სწორად დათა ყველა სადღიგრძელოს ლექსით ამბობდა. ბეჟანის ეღიმებოდა, ჩემ ხათოს რა კარგი ბიჭი გაუზრდიაო გულში ამაყობდა. ლევის, თამაზის, იუზას, ამირანს და გურგენი შავაძეს დედაჩემის დიშვილს, ჯიხვის რქის ყანწები ეჭირათ ხელში და საქართველოს ლოცავდნენ. შუბითიძეები, ხარაიშვილები, მაჭარაშვილები, გელაშვილები და რიკაძეები ერთად შეკრებილიყვნენ. ამ კადრმა ჩემს თვალებში წამში გაიარა. უცებ გაქრა ყველაფერი და გამოჩნდნენ ჩემი ხარაიშვილები. აქ, მხოლოდ ისინი იყვნენ, მალხაზი, ჯემალი, მირზა, ალიკა, მარეხი ერთად მილოცავდა დაბადების დღეს. სიხარულის მზემ თვალები ისე მომჭრა რომ, იქ, ყოფილა ჩემი ლაშა, ხუთი წლის რომ დატოვა ბეჟანიმ და გაზარდა თავისმა დედიკო ნელიმ. ლაშას და თავის ლამაზ ქალიშვილებს გვანცა და ბარბარეს ბეჟანის საფლავზე კვერცხები გადაუგორებიათ, მე კი სიხარულის ლამპიონებმა თვალები ისე დამიბნელა ისინი ვერ დავინახე. ყველა ერთად მილოცავდა დაბადების დღეს და აღდომის ბრწყინვალე დღესასწაულს. გამახსენდა ძველი თქმულება.თურმე ბედი და იღბალი დანიძლავდნენ მე გჯობივარო, უთქვია ბედს. არა, მე გჯობივარო უთქვამს იღბალს. ამ ხალხური მითის რატომღაც არ მჯეროდა. 2024 წლის ხუთ მაისს დავიჯერე. როცა სასაფლაოზე გავედით ერთად სამი ოჯახი ჩემი მაზლი თამაზ სხირტლაძე მეუღლე ნატო, შვილიშვილი ლაშა, მეორე მაზლის ოჯახი რძალი ეკა და ქალიშვილი ლელა, ჩემი დათო, რძალი ცირა და შვილიშვილი ნანა. ერთიანი სუფრა გაშალეს. გაშალეს ისე როგორც, უყვარდათ ერთიანობა ჩვენს ოჯახებს. სანთლები ავანთეთ. სასაფლაოზე მისული ახლობლები ერთმანეთს უზიარებდა დარდსა და სიხარულს. ცა მოწმენდილზე უცებ მოიღრუბლა. სადღაც გაიელვა. დავდუმდი... ჩემს თამუნას, თეონას და ვახოს ველოდებოდი, ჩემი გელას შვილებს. ვიცოდი რომ, გზაში იყვნენ და წუთიწუთზე უნდა შემოეღოთ თავიანთი მამისა და ბაბუის სამუდამო სახლი (სასაფლაო) სადაც აუცილებლად გელას შვილიშვილები კვერცხებს თავიანთი ხელით დააწყობდნენ ბაბუის საფლავზე. ჭექა-წუხილმა გაძლიერდა ...წვიმის წვეთებიც წამოვიდა. წავიდეთ ვთქვი და გამახსენდა, ბედი და უღბალის დანიძლავება. ბედმა აჯობა იღბალს. ჩემი დაბადების დღე 5 მაისი იღბალმა დაამთხვია აღდომის ბრწყინვალე დღესასწაულს მაგრამ, იღბალს ბედმა აჯობა და ჩემი თამუნა თავისი ქმარშვილით, დედამთილით და ძამიკო ვახოთი მივიდა სასაფლაოზე სადაც ბებია არ დახვდათ. ბექამ თურმე ჯერ ვაჟკაცურად მიირბინა გელას საფლავთან და მერე კი როცა სეტყვის მარცვლები თავში მოხვდა ტირილი დაიწყოვო საუბრობდა თავისი პედაგოგი ბებიკო თამარი და თან გულში იკრავდა ბექას. იმ დროს როცა ჩემი თამარის თვალები თავის ბებიკოს ეძებდა ბედისწრის წვიმებს არ შეპუებული მისი ბებია გულნაზი სანთლებს ანთებდა და ლოცავდა წმინდა ელიას საყდარში. ლოცავდა სანათესაოს და მთელ საქართველოს. ბოლოს სამი ოჯახის შტო ტრადიციულად შეიკრიბა ჩემს აშენებულ სახლკარში. ვიდექი ფერწასული მაგრამ, მაინც დადებითი უნერგეიით სავსე. დავჩერებოდი ჩემი თამუნას მორთმეულ თეთრი კალების თაიგულს. გვერდით ტორტი იყო სხვადასხვანაირი ფერადი სანთლებით გაწყობილი. ბექა წინ და უკან დარბოდა და ტოვებდა ანგელოზის კვალს სახლში. ლევანი ჩემი დათოს ვაჟი ხუთ მაისს ჩაფრინდა საღვარგარეთ სადაც ხარისხი დაიცვა. ახლა უკვე სამსახურში მიიწვიეს ორი წლით. იმუშავებს და თავისი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებით დაუბრუნდება საქართველოს. უამრავი მომლოცველი გამომრჩა და სახელი და გვარი არ დაფიქსირდა. ღმერთი ყველაფერს ხედავს ჩემო ძვირფასებო. ასმაგად მოგიბრუნდეთ უკან სიყავარულით და სიკეთით. მრავალ ბრწყინვალე დღესასწაულს დაესწარით შვილებით და შვილიშვილებით. ბედი და იღბალი რომ დანიძლავდა ეს თქმულება გზაში წამომეწია ხუთ მაისს და ისედაც ცრემლით დასველებული წლები დამისველა. იქნებ ჩემი ძმების ცრემლები ცვიოდა, იქნებ ჩემი ქმარშვილის, ანდა ჩემი თბილი და კეთილი მულის თამარ სხირტლაძის. რას გაიგებ განგების საიდუმლეობას. მაინც იყო განსხვავებული ჩემთვის 2024 წლის ხუთი მაისი. გადახედეთ ფეისბუქს და კითხვები ალბათ აღარც დაგებადებათ. მე კი ისღა დამრჩენია თავი დავხარო და ქედი მოვიხარო თქვენს წინაშე ჩემი სევდიანი გულის გამხარებლებო. გილოცავთ აღდომის ბრწყინვალე დღესასწაულს და გიორგობას!

ჯვარდაწერილი დედა გულნაზი

2024 წლის 10 მაისი. მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკა და მოულოდნელი სიხარული. რასაც ნამდვილად არ ველოდი. საღამოთი როცა სახლში დავბრუნდი, ლამაზი საღამოს ზღვა ემოციბით დაღლილს ადრე ჩამეძინა. დილის რიჟრაჟია... თენდება. თერთმეტმა მაისმა ნახევრად მძინარს სიხარულის 10 მაისის დღე გამახსენა. ჯერ კიდევ თავი სიზმარში მგონია. იყო კი ასე? არა და ეს ყველაფერი რეალურად მოხდა. ტანში ჟრუანტელ დავლილი ჯერ კიდევ ვერ გამოვდივარ სიყვარულის ქარცეცხლიდან. რუსთავიდან პოეტ ქალბატონებთან ერთად წამოვედი. ეთერი ჭელიძესთან და ლამზირა შეყილაძესთან გზაში შემკრთალი ბავშვივით ვიმეორებდი ერთი და იგივე სიტყვებს. არ მიხარია, მეუხერხულება, რატომ შეწუხდნენ. ნახევრად ინფორმირებული ვიყავი უკვე რომ, ღონისძიებას ატარებდა მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორი ქალბატონი ქეთევან ნიკურაძე, აკადემიის იმ წევრებთან შეთანხმებით ვისაც იცნობდა. მიკვირდა ეთერი და ლამზირა ჩემი საუბარის დროს აქტიურად არ კონტაქტობდნენ. როგორც მერე გაირკვა ამ ღონისძიების იდეის ხელის შემწყობი თავადაც ყოფილან. ასე ნახევრად გაურკვეველ ვითარებაში შევაღე ბიბლიოთეკის კარები. თვალებს არ ვუჯერებდი, ხალხით გადაჭედილი დარბაზი და იდუმალებაში მოქცეული საღამო. – დედი ეს ვარდები მე მოგიტანე, ნახე რა ლამაზია, საინგილოდან ჩამოვიტანე პატარა ბავშვივით აჟღურტულებული სიტყვებით მესაუბრება ეთერ ისაკაძე. ეს წითელი ვარდები კი აკადემიის წევრებმა მოგართვით ამბობს ლია ალადაშვილი და თან ახალგაზრდა გოგონას სთხოვს, სურათი გადამიღე დედა გულნაზისთანო. სიხარულის ზღვა თანდათან ისე ადიდდა,

დამავიწყდა ყველაფერი. ხელებს ისე ვიქნევდი ვშიშობდი ტალღებს არ გავეტაცებინე. ეთერი გულში ჩავიკარი. იქვე მოკრძალებულად მდგარ ციური მასწავლებელსაც მოვკარი თვალი. გამიღიმა, გადამეხვია და თქვა. ორ ოთახში სხვადასხვა სურპრიზი გელოდებაო. დარბაზს გადავხედე, ნაცნობები და უცნობები მდუმარედ ისხდნენ. ვხედავ თითქმის ერთდროულად შემოდიან: მამა ამირან ამირანაშვილი, ამაღლების ეკლესიის წინამძღვარი, თემურ გოგსაძე, ერეკლე საღლიანი, ირმა კეკელიძე, ნანა ცინცაძე, ნინო უძილაური, ია მოსულიშვილი, ირინა ბერიანიძე, გულიკო კაპანაძე და ჩემი აკადემიის მარჯვენა ხელი ნორიკო მგელაძე. თითქოს წინასწარ იცოდნენ სად უნდა დამსხდარიყვნრნ უხმაუროდ იკავებდნენ ადგილებს. ხათუნა ელიაშვილი თავის ღრმა ფიქრებთაბ ერთად ჩაძირული იჯდა და სიხარულის მზით უბრწყინავდა თვალები. დანარჩენი ნაცნობებით და უცნობებებით დარბაზი სავსე იყო. ღონისძიების მთავარი ორგანიზატორი ქეთინო ნიკურაძე მშვიდად აწესრიგებდა ყველაფერს. ვამჩნევდი რომ, გზად ადევნებული შიში თანდათან მშორდებოდა.

ყვავილებში ჩაფლულ მაგიდისკენ მიმანიშნეს ადგილის დასაკავებლად. დარბაზს ისევ გაოცებული გადავავლე თვალი დავინახე მაგული კორძაია, პოეტი და საკმაოდ ცნობილი ადვოკატი, ღმერთო, გადამხდევინე ეს დიდი ყურადღება და ისევ ნაცნობმა ხმამ გამომარკვია. გული, აქ შენ დაჯექი მითხრა ლეილა გაფრინდაშვილმა, ვიგრძენი რომ, ამ ორგანიზაციის აქტივობებში ისიც გარეული იყო. ვზივარ ჩაფიქრებული და ჩემ გულს ვესაუბრები. ნუთუ ამდენი დარდის შემდეგ კვლავ გიხარია დარდებით ნაფატრო გულო? ძალიან, ძალიან მიხარია, ჩამჩურჩულა საკუთარმა მემ. დაიწყო ღონისძიება. გულნაზი ხარაიშვილის დაბადების დღე 5 მაისს დაემთხვა აღდომის ბრწყინვალე დღესასწაულს, ასეთი დამთხვევა იშვიათია, გადავწყვიტე მისთვის განსაკუთრებული საღამო ჩამეტარებინა და ჩემი აზრი რამოდენიმე აკადემიის წევრს გავანდეო, თქვა ქალბატონმა ქეთინომ. საღამო უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული და ამაღელვებელი ვნახოთ რა გამომივაო. ღობისძიება მამა ამირანის ლოცვა კურთხევით წარიმართა რომელმაც, დედაღვთიშობელი გადმომცა საჩუქრად. შემოდიან თითქმის ერთი ასაკის მოსწავლეები ოთახიდან. ყველა ბავშვი ისე კითხულობდა ლექსს რომ, გათავისებული ჰქონდათ შინაარსობრივად რას კითხულობდნენ და რატომ კითხულობდნენ. პირველი სიმღერა შეასრულეს თბილისის 116 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, დირექტორი მარიამ წიქაძე. ,,ჩემი საქართველო აქ, არის" ძალიან საყვარლები და საინტერესო იყო, გოგონათა ანსამბლის მიერ შესრულებული ცეკვა ,,სამაია" ხელმძღვანელი 116 საჯარო სკოლის 11 კლასის მოსწავლე ნინო ნათელაშვილი. დანერჩენმა მოსწავლეებმა ღონისძიება მიძღვნილი ლექსებით დაიწყეს. წაკითხული იყო ბატონი რეზო მიშველაძეზე და და ქალბატონ მაყვალა გონაშვილიზე მიძღვნილი ლექსები. ციური მასწავლებელს ძირითადან შერჩეული ჰქონდა დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი შინაარსის ლექსები. დარბაზში ისე შემოცურდა პატარა ტანმოვარჯიშე გოგონა თითქოს ზღვის გედი იყო და ზღვაში ცურავდა. სურპრიზი მზია მასაწავლებლიდანაც იმხელა იყო დავწერ მაგრამ, რეალურად მართალი არც გეგონებათ. როგორ უნდა უყვარდე სკოლის მოსწავლეს ისე რომ, ნუცა ელიაძეს პორტრეტის დახატვა მოუნდეს. ვინ იცის რამდენჯერ ატრიალებდა პატარა ნუციკო სუსტ თითებში პალიტრაში ჩაძირულ თვალებს. ნუცუკო იმდენი წლის სიცოცხლე შეგემატოს რამდენჯრაც ხელებში ფუნჯსს პორტრეტის დასახატად დაატრიალებდი. ბებიკო მზია მასწავლებელს არც დაუნახია, როცა წავიდნენ მე და ნუციკო ერთმანეთს თვალებით როგორი სიყვარულით დავემშვიდობეთ. ეს ისეთი ძლიერი მუხტი იყო რომ, ძლირ გულნაზისაც ამ წუთში ცრემლები ცვივა წერის დროს. მართლაც რეალურად სიზმარში მეგონა თავი. გასაოცარი ის იყო რომ, სიზმარი ისე სწრაფად გრძელდებოდა, გააზრებასაც ვერ ვასწრებდი რა ხდებიდა. ეს იყო როგორც ციური მასწავლებელმა თავიდანვე მიმანიშნა, პირველი ოთახის კულისებიდან გამოსული სურპრიზი. მათ პროგრამაში შედიოდა: სინღერები, გედივით მოსრიალე გოგონას ვარჯიში და ლექსების წაკითხვა. პირველად ვნახე, ტაში და დუმილი ერთად რომ, მეგობრებდნენ. შესრულებული სიმღერების ოვაციების შემდეგ, დარბაზში გამეფებული სამარისებური დუმილი ლიდერობ-

და. ციური მასწავლებელი უხმაუროდ აძლევდა მითითებებს, მოსწავლეებს. ისინიც ლამაზად ასრულებდნენ ოთხი დღის პარალელში მომზადებულ დავალებებს. ეს თვითონ აღნიშნა ნუ განსჯით, ნუ შეაფასებთ მკაცრად ბავშვებს, ეს ღონისძიება ოთხ დღეში მოვამზადებინეო. მე კი ვგრძნობდი რომ, საღამოს ჩატარებაში უფლის ხელი ერია. ეს საღამო ზეციური იყო. იხსნება მეორე კარები და შემოდიან მოსწავლეები, უკვე დიდი ასაკის რომელსაც, წინ უსწრებდა ციური მასწავლებლის სიტყვები. ქალბატონო გულნაზი, ეს ის მოსწავლეებია შენ რომ, პირველ კლასში მიგიწვიეს. თბილისის საჯარო სკოლაში რომლის, დირექტორია ქალბატონი მაია კვინიკაძე, შემოვიდნენ მოსწავლეები რომლებსაც, ციური ნასწავლებელი ასწავლიდა და რომლებიც მე ძალიან მიყვარდბენ. თბილისს საჯარო სკოლაში, ამ ბავშვებთან ოთხი წელიწადი ტარდებოდა ჩემი პოეზიის საღამოები. კლასიდან კლასში გადადიოდნენ ჩემი ლექსებით და მამა ამირანის ლოცვით დამოძღრილნი. ციური მასწავლებელს ისე ღრმად ჰქონდა ჩემი პოეზია გათავისებული როგორც, ეს ქალბატონ ლია ალადაშვილს აქვს შესისხორცებული. უკვე ას ლექზე მეტი სიმღერად რომ აქცია. ჩემს გვერდზე იჯდა მამა ამირანი და თემურ გიგსაძე. სკამზე მოკრძალებულად დააბრძანეს დედა ღვთიშობელი რომელიც, მამა ამირანმა საჩუქრად გადმომცა. დედა ღვთისშობელი მადლი იღვრებოდა დარბაზში. ვგრძნიბდი მამა გაბრიელის სიახლოვეს. თითქოს ღინისძიებას ზეციური უხილავი ძალა მართავდა. ყურში ჩამესმიდა ისევ ეთერ ისაკაძის სიტყვები, აი, ნახე ეს ვარდები საინგილოდან წამოგიღე. სასწაული ტრიალებდა მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში. მადლ შემოსილი პოეზიის საღამო ზეციდან იმართებოდა. ციური მასწავლებლის მოსწავლეები მეხვეოდნენ სურათებს იღებდნენ.

საღამოს უცხო ძალა მართავდა. გამახსენდა წლების წინ ჩატარებული საღამოები, როცა იმ სკოლაში მივდიოდი ვგრძნობდი ბავშვების სიყვარულს და მეც ძალიან მიყვარდნენ მთლიანად ეს კლსი. მეოთხე კლასიდან მეხუთე კლასში რომ გადავიდნენ მომდოდა ხმები რომ, ვენატრებიდი. დაიწყო პანდემია, სკოლა კი არა და ამ საშინელმა ხელოვნურად დადგმულმა სპექტაკლმა ოჯახის წევრები დააშორა ერთმანეთს. ეს საშინელება მე უყურადღებოდ როგორ დამტოვებდა და წამართვა ჩემზე რვა წლით უნცროსი ძმა ამირან ხარაიშვილი და ისე დაასაფლავეს რომ, ესპანეთიდან ძმიშვილმა დამირეკა ტარიელ ხარაიშვილმა. მამიდა არ წახვიდე მე ჭიათურაში გადავურეკე ჩემი მეგობრები მიხედავენ მამაჩემს და შენც არაფერი დაგემართოსო. აი, ამ დრომ გამთიშა ციური მასწავლებლის დაზრდილ მოსწავლეებთან. ხომ წარმოგიდგენიათ მთელი კლასი უკვე მეათე კლასელები, გოგოები და ბიჭები მშობლებთან ერთად რომ, შემოვიდოდნენ რა დღეში ჩავარდებოდი. ყვავილები, სიხარულის ცრემლები, სურათების გადაღებები, აირიენ ერთმანეთში. უკვე ორად გაყოფილი ორ ითახში მიმალული სურპრიზი გამომზიურდა. ეს წამებში მოხდა. დარბაზში ზის ინტელიგენცია და საკმაოდ ისეთი ცნობილი პოეტები წამიერად თუ შემოირბენენ საღამოზე, იმიტომ რომ არ სცლიათ, იმიტომ რომ, მათ ყველა ეპატიჟებათ. ერეკლე საღლიანი, ირმა კეკელიძე, ეთერი ჭელიძე, ნანა ცინცაძე, ნინო უძილაური და სხვები. ადგილიდან არავინ არ იძვრის. ამაღელვებელი იყო თითქმის ყველას გამოსვლა. ერეკლე საღლიანის, ირმა კეკელიძის, ნანა ცინცაძის, ნინო უძილაურის, ირინა ბერიანიძის, ია მისულიშვილის ლამზირა შეყილაძის და ყველასი საერთოდ მათ თვალებში სიხარული იკითხებოდა. ლეილა გაფრინდაშვილმა ლამაზად და შინასრსიანად წაიკითხა თავისი მოკლე სიტყვა და მოძღვნილი ლექსი. სიტყვის დამთავრების შემდეგ მეორე ღვთის საჩუქარი ეწვია ჩემს გულს. სანახსოვრო

ოქროს ბეჭედით დამნიშნეს აკადემიის შვილებმა და უკვე გავხდი მამა ამირანის ლოცვა კურთხევით დედა გულნაზი. მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკას ცალკე განსაკუთრებული ლამაზი კუთხე აქვს გაკეთებული, ათინათების, ანთოლოგიების და ჩემი პირადი წიგნების. თითქოს და უფმლმა იქ მიანიშნა ბატონ გოჩა ჭაბუკაიძეს ქართველი პოეტების აკინძულ ზღვა სივრცეში დამჯდარიყო ცნობილი მომღერალი და მედავითნე. იჯდა შეუმჩნევლად დიდი ხელოვანი. ბოლოს თითქმის ყველამ რომ თავისი სათქმელი თქვა, გამოვიდა ბატონი გოჩა და თავისი სიმღერებით შეუდარებელი ცეცხლი დაანთო. ბატონ გოჩას ხმას მამა ამირანისა და ლია ალადაშვილის ხმაც შეურთდა და ეს ხმა მიწიდან ზეცამდე იყო ამაღლებული. საღამო შეაჯსმა ეთერ ჭელიძემ. შემაჯებელ სიტყვაში იმხელა ერთგულება და სიყვარული ჩანდა საქარათველოს რომ სულის სამკურნალოდ ეყოფოდა. ეკა ბრეგვაძე და ხათუნა სვანიძე იღებდა ღინისძიებას. ეკა ასწრებდა ჩემს მოფერებასაც. მეც ვუკოცნიდი იმ თუთებს რომელსაც, ჩემი გულისთვის ღლიდა. 2024 წლის ათ მაისამდე კურთხევის გარეშე მერქვა დედა გულნაზი. ახლა კი ოქროს ბეჭედით დამნიშნეს ჩემმა აკადემიის წევრებმა ,გავხდი ჯვარდაწერილი დედა გულნაზი. მიყვარხართ სულიერო შვილებო!

* * *

დედაა ის სამყარო რომელმაც, მოგვავლინა და გვასწავლა ადამიანური თვისებები. დღეს ხსოვნის დღე არის. პირველად ჩემს მშობლებს შევეხმიანები, რომლთა გენებიდან დამყვა, სიყვარული, მიმტევებლობა და სიძლიერე. ჩემი წლების მატებასთან ერთად ფოთოლცვენები კვალდაკვალ დამყვებოდა. ჰოდა, აი, ახლა 2024 წლის ექვსი მაისია. ჩამოვისვენე, ჩემი ფესვების მუხის ჩრდილში და ვითვლი დაცვენილ ფოთლებს. იმდენია, სათვალავი ამერია. ნათელში მყავდეთ ჩემო ნახევრად შეყვითლებული ფოთლებივით ნაადრევად წასულო მშობლებო, ბებიეებო, ბაბუეებო, დეიდებო, ბიძებო, მამიდებო, ბიძაშვილებო, დეიდაშვილებო, ძმებო, მეუღლე, შვილო გელა, მაზლო და მაზლიშვილო. ბოლოს კი ჩემო დათა, ცის ვარსკვლავო.

მადლობა, ჩემო სულიერო შვილებო, აკადემიის წევრებო, ჩემი გახარებისა და დაბადების დღის მოლოცვისათვის. მიყვარხართ, თქვენით ვცოცხლობ და მიხარია ყოველი დღის გათენება. გლოცავთ და გისურვებთ რწმენით სიძლიერეს.

სიმდიდრე რწმენით სიცოცხლის გზის გაგრძელებაა. მე ასე ვცოცხლობ და კვლავ მიხარია ყოველი დღის გათენება!

დარიკო ონიანი
აკადემიკოსი პროფესორი

წმინდისაგან ხატისა შენისა ჰოი დედოფალო ღვთისმშობელო სიმრთელენი და კურნებანი უხვად მოეცემიან ყოველთა სარწმუნოებითა მისთა მოლტოლვილთა.ამისთვისა მოხედენ სრულიად საქართველოს მის მიწა წყალს,ცასა და ჰაერს გაამარჯვებინე ყოველგვარ მტერზე, გაამთლიანე, გააერთიანე,გადაარჩინეს გენი ქართული.წყალობა მოანიჭე საქართველოში მცხოვრებ ხალხს განურჩევლად სარწმუნოებისა სქესისა და ასაკისა.მიანიჭე სიყვარული ურთიერთპატივისცემა მოთმინება,სასოება,სულგრძელობა, ღვთის მოსაობა. რამე თუ ყოველი მაცხოვრებელი საქართველოისა იყოს ღვთის მოშიში და მოყვასის მოყვარული. ჩემი ამბავი რომელიც ქალმა გულნაზი ხარაიშვილმა თქვენამდე მოიტანა შეესაბამება სრულ სიმართლეს.რაც პირადად ჩემ თავზე მოხვდა უფლისწყალობით სრულიად მომაკვდავი გამაცოცხლა, მაშინ როდესაც მკურნალი ექიმების მიერ სიცოცხლის წამების მქონდა დათვლილი, რომ როგორმე საავადმყოფოდან სახლამდე ცოცხალი მოვიყვანო.როცა საკაცით კარებში შემომ.იყვანეს მე ასეთი სიტყვები წარმოვთქვი(ნუ გეშიმიათ მე ჩემი ხატები გადამარჩენენ). ექიმების ამალა და ნათესაობა ყველანი თავს დამტრიალებდნენ, მე კი ყველა სხეული გათიშული მქონდა მხოლოდ მხედველობა, აზროვნება მეტყველება და ცნობადობა მქონდა შეზღუდული. უფლის წყალობით ნახევარსაათიანი გასლის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და დღემდე ცოცხალი ვარ. დღეს კი უძლურებაში მყოფი შინ აღკვეთილი 9 – წლის მონაზონი ვარ. უფალის ნებითადა ღვთის წყალობით მომეცა უფლება მხოლოდ ლოცვის.რომელსაც ვასრულებ.მაშინ როდესაც ვიყავი აქტიური ეროვნულ მოხრაობის – მრგვალი მაგიდის წევრი უამრავი ნაშრომების და სახელ-მძღვანელო წიგნების ავტორი.შემინდეთ და გთხოვთ ყველას არა მარტო მართლმადიდებელს იწამეთ უფალი მიენდეთ მას რომელსაც შეუძლია სასწაულების მოხდენა.დიდება და მადლობა ყველას ვისაც საქართველო და ქართველი ერი უყვარს, იღწვის ჩვენი ქვეყნის აღმშენებლო-ბისთვის.დღეს 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს გილოცავთ.ჩვენ საყვარელ ემიგრანტებს, ფარავდეთ და წყალობდეთ უფალი რომ გამთლიანებულ და გაერთიანებულ მშვიდობიან დაწყნარებულ საქართველოში დაბრუნებას.გფარავდეთ უფალი. თქვენთვის მლოცველი მონაზონი იოანა

ციური ხუჭუა

რამდენი სიკეთის გაკეთება შეუძლია ერთ "კის."

"რატომაც არა, ამას რა სჯობს, ვისაც შეუძლია წარმოაჩინოს სკოლა, წინააღმდეგი არ ვარ, კი ბატონო" ეს გახლავთ 116-ე საჯარო სკოლის ქალბატონ მარიამ წაქაძის სიტყვები, რომლის შემდეგაც სულ 4 შეხვედრა დაგვჭირდა ორ მეხუთე კლასის მოსწავლეებთან (ხელმძღ. ქალბ. დაჯი მიქავა და ქალბატონი ქეთი მედულიშვილი) რომ ონლაინ გაგვეცნოდა გაგვეაზრებინა ცნობილი პოეტის, ქალბ. გულნაზ ხარაიშვილის პოეზია.

ნაყოფიერ და წარმატებულ მუშაობაში კლასის ხელმძღვანელებთან ერთად დიდი დახმარება გაგვიწია ამავე სკოლის პედაგოგმა ქალბატონმა მაია გამისონია, აგრეთვე, ამავე სკოლის 11 კლასის მოსწავლემ ნინო ნათელაშვილმა, რომელმაც პირველკლასელები (ანასტასია რაზმაძე, ნინი. უსუფაშვილი და ანასტასია სვანიძე) პირველად აზიარა ცეკვას და მოკლე დროში წარმატებით დადგა ცეკვა "სამაია".

თავისი ულამაზესი ნომრით მაყურებელთა წინაშე წარსდგა მეორე კლასელი მხატვრულ ტანვარჯიშში თამარ ბერიშვილი, ამავე სკოლის მესამეკლასელმა დავით ბურდულმა კი ულამაზესი ხმით შეგვისრულა გოგი ცაბაძის სიმღერა "ჩემი საქართველო აქ არის."

აი ამ პროგრამით მივულოცეთ

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიის პრეზიდენტს, ანთოლოგიის და ჟურნალ, ათინათის, მთავარ რედაქტორს, მწერალთა კავშირის გამგეობის წევრს უამრავი სიგელისა და მედლის მფლობელს, პოეტს, მწერალს, 13 წიგნის ავტორს და საზოგადო მოღვაწეს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს დაბადების დღე და ვუსურვეთ ჯანმრთელობა და წინსვლა შემოქმედებით საქმიანობაში.

"სიკეთე გადამდებიაო" და დაწყებული ქალბატონი მარიამის სიკეთით ძალიან ბევრ ადამიანს გავუთბეთ გული და მივანიჭეთ სიხარული, ბედნიერება.

უღრმესი მადლობა ქალბატონო მარიამ!

უდიდესი მადლობა ჩემს კოლეგებს იმ კეთილი საქმისათვის გვერდით დგომა რომ ჰქვია.

უდიდესი მადლობა ჩვენსს ულამაზეს მონაწილეებს, რომლებმაც თითქმის შეუძლებელი შესძლეს და ნამდვილად ასახელეს სკოლა.

უდიდესი მადლობა თითოეულ მშობელს თანადგომისათვის.

როგორ შეიძლება ყურადღების მიღმა დაგრჩეს ის ადამიანები, რომელთანაც ათი წლის მანძილზე სითბო, სიყვარული და ურთიერთპატივისცემა იგრძნობა.

დიახ, ეს ჩემი პატარა მეგობრებია, ახლა უკვე დიდები.

დიახ,10 წლის წინ, პირველად ეზიარნენ სკოლას, პირველად მიუსხდნენ მათთვის განკუთვნილ მერხებს. გავიცანით ერთმანეთი.

უდიდესი შესაძლებლობის მქონე კლასი, უნიჭიერესები.

სულ რამდენიმე თვეში, დიახ 10 წლის წინ საახალწლოდ მოვიწვიეთ პირველი პოეტი, აკადემიის პრეზიდენტი, ჟურნალ ათინათისა და ანთოლოგიის მთავარი რედაქტორი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი.

შემოქმედებითმა საღამომ კარგად ჩაიარა.

შემაჯამებელი სიტყვა ქალბატონმა გულნაზიმ ასე დაიწყო, ნამდვილად გაოცებული ვარ ამ ბავშვებით, ვუსმენდი თითოეულს და თავში ერთი რამ მიტრიალებდა, ბავშვებმა უნდა გახსნან ჩემი საიუბილეო საღამო, რომელიც პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მაყვალა გონაშვილსა და რეზო მიშველაძის ხელმძღვანელობით იმართებოდა.

იქაც, შესანიშნავად წარსდგნენ დიდი აუდიტორიის წინაშე.

შემდეგ იყო ინტერვიუები ცნობილ ადამიანებთან,

ექსკურსიები, შეხვედრები, ქალაქგარეთ გასვლები, სადაც იმართებოდა პოეზიის საღამო. აი, ასე იზრდებოდა ჩემი პატარები, რომლებმაც ძალიან დიდი გამოცდილება მიიღეს, გამოიმუშავეს ხალხთან ურთიერთობის უნარები, ისწავლეს უფროსების პატივისცემა, ყველასგან გამორჩეულები მუდამ ასხივებდნენ სითბოსა და სიყვარულს.

დიახ, სწორედ გუშინ, ამ სითბოთი და სიყვარულით მოულოდნელად შემოიჭრნენ ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის საიუბილეო საღამოზე, ტორტით ხელში სიმღერით. ,,რა ლამაზი დღეა...." ...კიდევ ერთხელ გაუთბეს გული და ბედნიერი წუთები მიანიჭეს ჩვენს უსაყვარლეს და უთბილეს პოეტს.

მინდა 36 საჯარო სკოლის სახელით (დირექტორი ქალბ. მაია კვინიკაძეზე) იუბილე მიულოცოთ ქალბატონ გულნაზს, ვუსურვოთ ჯანმრთელობა და წინსვლა შემოქმედებით საქმიანობაში გპირდებით ყოველ წელს მოგეფერებით იმ დიდი სიყვარულით, რომელიც თქვენ ჩადეთ ჩვენში.

გვანცა ხარაიშვილი
ბეჟანის შვილიშვილი

ისტორია რომელსაც ჩვენ თავად ვქმნით

ცხოვება ხომ ერთი შეხედვით შესაძლოა მარტივ და ერთი შეხედვით რვაასოიან სიტყვად მოგვეჩვენოს, მაშინ როდესაც არ ვიცით ამ სიტყვის უკან რა იმალება....და საერთოდ რას ნიშნავს?! მაგრამ თუ დავუკვირდებით და ამ ერთ სიტყვას უკან ჩვენს განვლილ და შექმნილ ისტორიას ჩავუდებთ სათავეში.... შესაძლოა ეს სიტყვა მეტად მრავალფეროვანი გავხადოთ ვიდრე იგი გვაჩვენებს.... მოდით განვმარტოთ და უფრო საინტერესოდ ავღწეროთ... ერთი შეხედვით ცხოვრება შესაძლოა იყოს ისეთვე მარტივი სიტყვა როგორც თუნდაც ისტორია ხომ? მაგრამ აქ მთავარია, მის უკან რა იმალება და ეს სიტყვა რის წინაპირობას გვაძლევს... მაგალითად, რომ ავიღოთ პიროვნება რომელმაც თავისი „ცხოვრების“ ძალიან რთული ეტაპი გაიარა და ეხლა, ის ამ მაგალითზე ქმნის ახალ უფრო გაუმჯობესებული „ცხოვრების ‘ „ისტორიას“ ,თუ ჩვენ წარმოდგენა არ გვექნება, როგორი იყო მისი განვლილი ცხოვრება და ახალ ისტორიაში იგი რას მოიაზრებს, რთული იქნება იმის ამოცნობა თუ რა მდგომარეობაშია , და ამავდროულად რას განიცდის....ფსიქოლოგები, ამ ხრიკს ბევრნაირად იყენებენ და განსხვავებული ვერსიებით...ფსიქოლოგიაში გამოყენებადი შესაძლოა იყოს როგორც : მათემატიკა,ქიმია,ისტორია და გასაკვირად ბიოლოგიაც კი. ეხლა განვმარტოთ რას ვგულისხმობ ამ მდგობარეობაში,სიტუაციებსა და განვლილ ცხოვრებაში... დარწმუნებული ვარ ამ ტექსტის ნებისმიერი მკითხველი რომელიც თავის განვლი და შექმნილ ისტორიას შეუთავსებს ზუსტად ერთ სიტყვას ‘ცხოვრება’-ს, იგი მარტივად მიხვდება ამ სიტყვის მნიშვნელობას...თუ რა არის ცხოვრება... და მასში მოქცეული თქვენივე ისტორია... მე ვფიქრობ, რომ ადამიანებს როგორც წინა თემაში ვახსენე სახელწოდებით „უსათაუროდ“ უნდა გააჩნდეთ, თავისი სუბიექტური და ინდივიდუალური აზროვნება ...მე პირადად ცხოვრებას ვუყურებ როგორც ხელოვნური თვალსაზრისით...მაგრამ თქვენმა ცხოვრებისადმი ნებისმიერმა შეხედულებამ ხელი არ უნდა შეგიშალოთ, მისი ‘რეალურობის’ აღქმაში .... ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს რომ აქ რეალობაში იქმნება თქვენი ისტორია რასაც სათაურად „ცხოვრება“-ს ვუწოდებთ ... ტრამვები რომლებიც მოდის ღრმა ბავშვობიდან შესაძლოა ხელშემშლელი ფაქტორი იყოს შემდეგი ზრდასრულობის პერიოდში დასახული მიზნებისთვის ან თუნდაც უბრალოდ „არსებობისთვის’ რადგან თქვენი ფსიქიკა ყველაზე დიდ როლს თამაშობს თქვენს ცხოვრებაში და ეს უნდა იცოდეთ .... მაგრამ მე ამასთანავე ვფიქრობ იმასაც რო თუ ადამიანები ამ ცხოვრებაში მოქცეულ ისტორიებს სწორი სვლებით გააგრძელებენ ,საბოლოოდ ფინალამდე რასაც მარტივ ენაზე ‘მიზნების’ განხორციელებას ვუწოდებ,მეტად მარტივი იქნება... ალბათ ნებისმიერ თქვენგანს როდესაც ვახსენე სიტყვა სვლა....ბევრი სიტყვის ერთობლიობა ტრიალებდა თქვენს გონებაში, რომ დაგეკავშირებინათ ... მაგრამ მე გეტყვით რომ თქვენი სიტყვების ერთობლიობაში მხოლოდ ის ერთი სიტყვაა შეთავსებადი ამ მომენტში ,სვლასთან რასაც ‘თამაში’ ეწოდება... და რა საერთო აქვს ცხოვრებაში თამაშს? ალბათ ეს კითხვაც გაგიჩნდებოდათ ... ესეც ავხსნათ ... მე ვფიქრობ რომ თქვენს ცხოვრებაში არსებობენ ადამიანები რომლებსაც თქვენთვის რადიკალურად განსხვავებული ადგილი აქვთ თქვენივე ცხოვრებაში .... უფრო რომ განვმარტო ... თქვენი დაოკიდებულება დედასთან იგივე ვერ იქნება როგორც დასთან , ან თუნდაც იგივე ვერ იქნება მამასთან ისევე როგორც ძმასთან .... აქედან გამომდინარე თქვენ გიწევთ თქვენ პიროვნებას შეუცვალოთ რაღაც ნაწილი რომელიც მოგცემთ საშუალებას თუნდაც ამ ორ ადამიანს რადიკალური სხვაობით მოექცეთ.... უპასუხოთ,შეედავოთ,მოუსმინოთ და ა.შ თუ გაინტერესებთ აქ სხვაობა რა არის?! ვგულისხმობ იმს რომ თუნდაც ერთი მაგალითი რომ ვთქვათ, შედარებით პატარასთან ნაკლები ნებისყოფა შესაძლოა გქონდეთ ვიდრე საპირისპიროდ დიდთან ... მე კი ვფიქრობ რომ ესეც თამაშის ერთ ერთი მახასიათებელი მდგომარეობა და მოქმედებაა...რადგან ალბათ მე და შენ უკვე შევთანხმდით იმაზე რომ ამ ცოვრებაში გვიწევს ისტორიები თამაშით შევქმნათ რომელიც წინ გვიხსნის გზას სვლისკენ სწორია

მაშინ განვაგრძოთ საუბარი... რადგან შენ ახლა უკვე სწორედ იცი ცხოვრების,ისტორიის და თამაშის მნიშვნელობა, რაც შესაძლოა ჩემი ტექსტის გარეშეც ძალიან კარგად იცოდი .... გადავიდეთ ამის სწორედ გამოყენებაში ... მე გეთანხმები და დარწმუნებული ვარ ახლა გიჩნდება აზრი თუ როგორ შეიძლება ჩემთვის სწორი იყოს ,შენთვისაც ანალოგიური, როდესაც წინა თემაში ვახსენე აზრთა სხვადასხვაობა და ინდივიდუალიზმი... მაგრამ სწორედ რომ აგიხსნა შენი აზრთა სხვადასხვაობა ზუსტად იქიდან გამომდინარე შეიქმნა რომ სხვა ადამიანებისგან განსხვავებით გაქვს სხვა და სხვა ინტერესები... შესაძლოა რასაც შენ კითხულობ,ნახულობ,ისმენ ეს გიქმნიდეს შენი აზრისს სხვასთან განსხვავებით განსხვავებულს... ამიტომ ვწერ აქ ჩემს მოსაზრებას და განახებ რომ ჩემი აზრით ეს ასეა და მე ცხოვრების ეტაპზე ვფიქრობ რომ ჩემი ისტორია ცხოვრების მაგალითად ვაქციე... და შენ ამის წაკითხვის შემდეგ შესაძლოა შენი ცხოვრება და აზრები მეტად მრავალფეროვანი გახადო გარშომო მყოფი ადამიანებისგან ან პირიქით შენი აზროვნება დაამთხვიო მათსას...მოდით დავუბრუნდეთ თამაშს... რა ვიგულისხმე თამაშში... ეს არის წინა პირობა ისტორიის სექმნის რომელსაც ჩვენ სხვა და სხვა ადამიანებთან სხვა და სხვა ნაირად ვიყენებთ რაც გვაძლევს საშუალებას ,გზიდან რომელიც ჩვენი მიზნების განხორციელებისაკენ მიდის ავირიდოთ დაბრკოლებები და გზა განვაგრძოთ...აქ მთავარია რამდენად ძლიერი ხარ ... შესაძლოა საერთოდ არ იყო მაგრამ გზა ოდნავ გრძელი გახადო ჯერ შენი თავი გააუმჯობესო ,შემდეგ კი მიზნებისკენ განაგრძო გზა. ეს ხომ შენი თამაშია შენ ირჩევ ვინ იყო როგორი იყო და რა გინდა რომ გქონდეს.... რთული ის არის რომ შენ სულ რომ არ გინდოდეს დაბრკოლებები, ცხოვრება ამას მაინც დაგანახებს, რადგან ეს აქ არსებობს ,ისევე როგორც ცუდი და კარგი,თეთრი და შავი, ცხელი და ცივი ეს დაბრკოლება საპირისპიროა თავისუფლების... რომრლიც შენს ისტორიას მრავალფეროვანს ხდის შენს პიროვნებას კი ძლიერს... ალბათ მიხვდი ამ თავში ჩემი მიზანი რაც იყო, დიდი ალბათობით დაფიქრები მაგრამ შეგახსენებ ჩემი მიზანი იყო ის რომ დაგანახო მეორე მხარე ,ამ ყველაფრის და არა, ის რომ ჩემს აზრზე დაყრდნობით განაგრძო ცხოვრება... აბა შენ იცი, დაფიქრდი დარწმუნებული ვარ შენი ისტორია მეტად მრავალფეროვანი იქნება, რადგან შენ ამ სიტყვებიდან რომლებიც ძალიან საინტერესო წინადადებებს ქმნის, აზრის ჩამოსაყალიბებლად მოტივაცია მოგცა...(მადლობა ყურედღებისთვის).

როგორ ვმართოთ შიში

„შიში ეს არის ერთ ერთი ეფექტური და სწრაფად რეაგირებადი გრძნობა..პრაქტიკულ დონეზე ,რომ ავხსნათ მისი მიზანია დაიცვას ორგანიზმები და დაეხმაროს მათ გადარჩენაში და გამრავლებაში.ეს ისეთივე მარტივი მოვლენა შესაძლოა იყოს როგორც წამში თვალის დახამხამება.ჩვენ ვიცით უკვე როგორი პრაქტიკით რეაგირებს შიში და ეს პრაქტიკა რისი წინაპირობაა, ხოლო ახლა გადავიდეთ მეორე საკითხზე.“

– როგორ ვაკონტროლოთ შიში?

სანამ განვიხილავთ და ვიმსჯელებთ ამ საკითხზე, ჯერ გავიხსენოთ შიშის თავდპირველი ისტორია.ჰომო საპიენსი დაახლოებით 200 000 წლია რაც არსებობს და შესაძლოა ითქვას რომ შიშსაც ამდენი ხანია ვეზიარეთ.შესაძლოა ასევე ავღნიშნოტ ის ფაქტიც რომ შიშის ისტორიაში ფუნდამენტური გარდატეხა ალბათ მაშინ მოხდა როდესაც ადამიანს სხვა სიცოცხლის ფორმების-გან განსხვავებით გაუჩნდა კითხვები; სად ვარ? ვინ ვარ?საიდან მოვდივარ?საით მივდივარ? გასა-კვირი არ არის რომ უძველეს წინაპრებს ამ კითხვებზე პასუხი არ ქონდათ რის შედეგადაც ბუნებ-რივია მათ შიში დაეუფლებოდათ. ამ დროისთვის უკვე ცნობიერი დაიბადა,რასაც თან უამრავი შიში მოჰყვა.“რეალობა კი ის არის რომ ადამიანი მუდმივ ასპექტში განიცდის შიშს,მე კი ვფიქრობ რომ ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ერთ ერთი გამოსავალი არის, კონცენტრაცია იმ კითხვებზე და გრძნობებზე რაც ჩვენში იწვევს შიშს და მისი კონტროლი. ნებისმიერ შემთხვევაში თუ გავათვიცნობიერებთ იმას რომ გარკვეულ სიტუაციაში ადამიანი თავის ინტიქტებს მართავს ,ვგულისხმობ იმას რომ ქვეცნობიერს მიანდრობს ორგანიზმების დაცვა არა თუ პრაქტიკულ არა-მედ თეორიულ დონეზე, მან გადაწყვიტოს რომ პრაქტიკულ დონეზე მისი ორგანიზმების დაცვა შე-წყვიტოს და მის ნაცვლად ქვეცნობიერმა გააგრძელოს ორგანიზმების დაცვა.ამ შემთხვევაში ნა-კლებად გვექნება შიშის განცდა. რეალურად ადამიანის ინსტიქტებიც ასეთია როდესაც იგი სხვაზე

დამოკიდებულების განცდაშია ნაკლებად ახდენს კონცენტრაციას გარკვეულ ქმედებებზე და მათ შორის მდგომარეობებზეც კი.ამ სიტუაციაშიც ჩვენს თავს უნდა მოვაშოროთ ის ზედმეტი პასუხისმგებლობა რასაც ინტიქტებით გამოვხატავთ.

ცხოვრების ისტორიის ერთი სურათი



ვიპოვოთ გამჭვირვალე მედუზა, გამჭვირვალე წყალში,ისეთივე შესაძლებელი შესაძლოა იყოს როგორც შეუმჩნეველი გამოსავალის პოვნა, გამოუვალ მდგომარეობაში. საზრისი კი არის ის, რომ თუ კონცენტრაციას მოვახდენთ, გარკვეულ პრობლემაზე, რომლის გადაჭრის გზებისთვის გამოსავალის პოვნა გვესაჭიროება, უბრალოდ დავაკვირდებით სიტუაციებს, სადაც გამოსავალის კვალია, გავყვებით და ნელ ნელა პასუხსაც მივაგნებთ.თეორია რომელიც ვიცით, ძირითად შემთხვევაში, პრაქტიკაში იმ მიზეზით ვერ ვიყენებთ, რომ ჩვენი ქვეცნობიერი თავად საზღვრავს, მოვლენებს და მდგომარეობას. მაგალითად რომ ავიღოთ, დავუშვათ მაქვს გარკვეული მიზანი, რომლის განხორციელებაც გარკვეულ მოკლე დროში ჩემს შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, ერთი მხრივ მე ამას ვაანალიზებ და ვახდენ, არა მხოლოდ დროზე არამედ ჩემს შესაძლებლობებზე კონცენტრაციას, მაგრამ კონცენტრაციაში ჩემი ხელშემშლელი ფაქტორი, არა თუ შესაძლებლობა და დრო, არამედ ქვეცნობიერია, რომელიც ცდილობს, ჩემში გააღვიძოს იმ დროისთვის მიყურადებული გრძნობები,ფიქრები და აზრები რომელიც მიზნის დასახვის დროს გვერდზე გადავდე.

იმ მომენტისთვის როდესაც უკვე ვიაზრებ, რომ უარყოფითი აზრები, ჩემში ბლოკავს მიზნებზე და შესაძლებლობებზე კონცენტრაციის შესაძლებლობას,ვცდილობ არა თუ საპირისპიროდ შემოვტრიალდე და უკუსვლით განვაგრძო სვლა ,არამედ წინ ვიარო, ყველა იმ დაბრკოლების მიუხედავად რასაც ჩემი ქვეცნობიერი ბლოკავს.ხშირ შემთხვევაში ხდება, ისე რომ როდესაც ვერ ვაღწევთ მიზნებს მოსაზრება ჩნდება, იმისა რომ არ ვართ საკმარისად განვითარებულები, ძლიერები,მოტივირებლები,თვითრეალიზებულები და ამ მომენტშიც კი როდესაც ისევ ჩვენი ქვეცნობიერი მართავს ჩვენს აზრებს, ვერ ვხვდებით რომ პირველ ეტაპზე სადც მიზანს უნდა მივაღწიოთ, ქვეცნობიერი უკან გვხევს და ვკარგავთ ძალას, მიზნების განხორციელებისათვის, უკვე როდესაც ვერ ვაღწევთ მიზანს, მაშინაც კი იმფაქტზე ვღელავთ რომ არ ვართ საკმარისად კარგი.ფოტოზე ასახულია ადამიანის გონების სამფლობელო, სადაც მასში მოქცეული ქვეცნობიერი ცდილობს, მისი მიზნები ჩააქსოვოს წვრილად, იმ ფიქრებში რომელიც ბლოკავს, კონცენტრაციას შესაძლებლობებზე, შეგვიძლია უფრო განვავრცოთ ეს თემა, რომ მეტად მარტივად აღვიქვათ,ჩვენ შეგვიძლია ის წვრილად ჩაქსოვილი დადებითი აზრები,მიზნები და ფიქრები მეტად თვალსაჩინო გავხადოთ, თუ ქვეცნობიერს არ მივცემთ იმის შესაძლებლობას, რომ ჩვენს თვალს მოაშოროს ეს თვისებები და ისე დამალოს რომ მისი აღქმა ვერ შევძლოთ. ეს რომ მეტად თვალსაჩინო გავხადოთ, დავაკვირდეთ, მეორე სურათს და გავაკეთოთ შედარება. პირველ სურათზე ასახულია ისეთივე ადამანის გონების ნაწილი როგორიც მეორე სურათზე, მაგრამ სხვაობა ის არის რომ პირველ სურათზე ასახულ ადამიანის გონებას და შესაძლებლობებს ქვეცნობიერის მიერ ჩახლართული ქსოვილები აკავებს, ხოლო უშუალოდ მეორე სურათზე ასახულია, ადამიანის გონება, რომელშიც ქვეცნობიერი არანაირ როლს არ თამაშობს, გარდა შესაძლებლობების უკეთ აღქმაზე და მასზე კონცენტრაციაზე. არჩევანი ამ ორ რადიკალურად განსხვავებულ სიტუაციაზე და მდგომარეობაზე, ისევ ჩვენზეა დამოკიდებული. თუ გადავაბიჯებთ ქვეცნობიერს, რომელიც აბრკოლებს ჩვენს მიზნებს მეტი წინ სვლა ექნება, რადგან ჩვენს შესაძლებლობებს არ ექნება დაბრკოლება რომელსაც ისევ და ისევ ქვეცნობიერი წარმოქმნის.აქ თეორიას და პრაქტიკას ისევ ჩვენ ვირჩევთ,სხვა შემთხვევაში პრაქტიკის წინაპირობას ანუ თეორიას ქვეცნობიერი განსაზღვრავს. მაშასადამე ლოგიკური საზრისი არის ის, რომ როდესაც ადამიანი მივა დასკვნამდე, რომ მისი ქვეცნობიერი თავად მართოს, მიზნებზე კონცენტრაცია ბევრად მარტივ იქნება, რის წინაპირობასაც შესაძლებლობები განსაზღვრავს...



ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ლუარა სორდია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲡᲔᲕᲓᲐ ᲢᲔᲠᲔᲜᲢᲘ ᲒᲠᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲨᲘ

მეოცე საუკუნე ღირებულებათა ტოტალური გადაფასებით გამოირჩა. მრავალი შემოქმედის სახელი ჩაიძირა დავიწყების უფსკრულში. გაღმა ნაპირამდე ვერ გააღწიეს მთავრობის მიერ ხელდასხმულმა, ხუთწლედების პრემიებით და ორდენებით წახალისებულმა კალმოსნებმა. სულიწმიდის მადლით ცხებული სიტყვის ოსტატები კი, რომლებიც თავის დროზე დევნილნი, ტერორიზმებულნი, რეპრესირებულნი იყვნენ, ნათლის სვეტივით გაბრწყინდნენ და სულის სასწაულებით გაგვაოცეს. ცოტანი არიან ასეთები, მსხვერპლის ფასად რომ გადაარჩინეს უმაღლესი იდეალები, ერთ–ერთი ასეთი უპირველესი ლირიკოსის შარავანდედით მოსილი პოეტია ტერენტი გრანელი. იგი ბოლომდე დარჩა მოუსყიდავი, მოუთვინიერებელი.

გარდაცვალებიდან თითქმის სამი ათეული წელი გაუცხოების ნისლი ებურა „მემენტო მორის“ ავტორს. მის შემოქმედებას საგანგებოდ უგულებელყოფდნენ და მკითხველს უმალავდნენ მედროვეები, პრიმიტივები, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ მისი სიდიადის დაფარვის მოსურნეები.

დღეს ტერენტი გრანელის გამორჩეული პოეტური აზრი მეუფებს ყველგან. აზრთან კი, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა, არტილერიაც უძლურია.

ჩვენმა დრომ ხელახლა აღმოაჩინა მისი პოეტური პლანეტა, მთელი არსებით იწამა ეს „პოეტი ბავშვი“ და ლამის ჩვენი დროის სახარებად შერაცხა მისი განუმეორებელი კრებულები.

სიტყვის ჯადოქართა ქვეყანაში, პოეტების მეფე გალაკტიონის გვერდით ცხოვრობდა ცრუ პოეტების ლეგიონებისგან გამორჩეული, ზეგარდმო მადლით ცხებული ლირიკოსი და ისეთსავე ფურორს ახდენდა მეოცე საუკუნის 20-30–იანი წლების ქართულ სინამდვილეში, როგორც არტურ რემბო თავის თანამედროვე საფრანგეთში.

ტერენტი გრანელის შემოქმედებამ უკვე ჩააბარა დროის გამოცდა და ერის მუდმივ მეგზურად იქცა.

ცხოვრებაში იგი იობივით მრავალტანჯული და იობივით ღმერთის რჩეული იყო, თითქოს საგანგებოდ უფლენდა უზენაესი ყოველგვარ განსაცდელს, რათა წამების ცეცხლში ნაწრთობს, ბოლომდე გამოევლინებინა თავისი განსაკუთრებული შესაძლებლობები, უფსკრულიდან მიეკვლია მარადიული შუქისთვის.

მიწიერი, წარმავალი ბედნიერებისგან განზე დარჩენილი, მაინც დიადად განიცდებოდა. ერის ნერვებს ათრთოლებდა პოეზიითაც და ცხოვრებითაც. მეშჩანობის ჭაობს, ბრბოს ცდუნებებს ბოლომდე განრიდებულ ტერენტი გრანელს დავით წინასწარმეტყველივით შეეძლო ეთქვა: „შევიძულე კრებული უკეთურთა და ბოროტთა გვერდით არ დავჯდები“ (ფს. 25/26,5) (1,545).

„უცნობი სფინქსის“ „მინანქრის სტრიქონებით“ მოიხიბლა საუკუნის უპირველესი პროზაიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, ხოლო თვითშეცნობილმა პოეტერმა გენიამ გალაკტიონმა აღტაცება ვერ დაფარა წალენჯიხიდან მოვლენილი ჭეშმარიტი ტალანტის „საამო ქართულით და „მემენტო მორის“ ავტორს „ხალასი გენია და ნიჭი, ბუნებით პოეტი, ჭეშ;მარიტი პოეტი უწოდა.

ზეცაწართმეული, ღმერთწართმეული ეპოქის შვილი იყო ტერენტი გრანელი, ღმერთის გმობა კი ადამიანის გაარაფრების, ყოველგვარი უკეთურების დაკანონების გზა იყო.

მაგრამ „უცნობი სფინქსის“ ნიღბით მოვლენილ პოეტს არასოდეს უწერია პარტიული დიქტატით, არასოდეს შეუქია მიწიერთა პრაგმატიზმი, სოციალისტური ქვეყნის არარსებული წარმატებები, ცრუ ბელადები, რომელთაც „დიქტატორ იმპერატორებს“ უწოდებდა.

ტერენტი გრანელისთვის მთავარი იყო „მამული, ენა, სარწმუნოება“, კოსმიური პრობლემები.

სისხლიანი ბოლშევიზმის ტერორითაც დაუმარცხებელი პოეტია ტერენტი გრანელი, რომელმაც სავსებით განსხვავებული, „უვალი გზა“, ნამდვილი პოეტის გზა აირჩია.

აკაკი წერეთელი გვაფრთხილებდა: „თქვენ რომ გგონივართ, ის არ ვარო“.

ტერენტი გრანელი ირწმუნებოდა: „მე სხვა ვარ, ხალხი სხვაგვარად მიცნობსო“.

თუმცა მის სიდიადეს გრძნობდნენ, ბოლომდე ვერ აცნობიერებდნენ და შეუცნობლობის ტკივილმა ათქმევინა: „სადაც მე ვდგავარ, იქ სიბნელეა, იქეთ არავინ არ იხედება“. ეს ღვთაებრივი სიბნელე იყო, ანუ სინათლე, ჩვეულებრივი მზერისთვის მოუხელთებელი.

ჭეშმარიტი პოეტები დიდი განსაცდელის ჟამს ევლინებიან ხოლმე ერს. ბუნებრივია, ჩვენს დროს ასე რომ აედევნა ტერენტი გრანელის აჩრდილი და ხალხს ძილს უფრთხობს მისი პოეზიის „ცისფერი შუქი“, საღმრთო ემბაზში განბანილი აზრები.

„მემენტო მორის“ ავტორის შემოქმედება გვიზიდავს იგავურ – სიმბოლური ფორმით გამოხატული ჭეშმარიტებებით, იგი იმ მარადიული სიბრძნის წყაროს დაწაფების შედეგია, რაც უფლის მიერ შთაგონებული ბიბლიიდან მომდინარეობს.

ბიბლიაში განარჩევენ ორგვარ სიბრძნეს: მიწის სიბრძნეს და ზეციურს /ბარუქი), წუთისოფლის სიბრძნეს და მაღლიდან გარდმოვლენილს /პავლე მოციქული, და ღვთის სიბრძნეს, კორინთელთა, 2,6,7)(1,3,5,8).

ტერენტი გრანელის პოეზიაში სწორედ ზეციური, მარადიული სიბრძნე მოიძიება. კერპების, ცრუ მოციქულების, ანტიქრისტეების ეპოქაშიც გაიგნო პოეტმა გზა ჭეშმარიტი ღმერთისკენ.

მისი პოეზიის ნაყოფელვარე ხე უფლისგან არის კურთხეული.

მისი ცეცხლი უზენაესი ცეცხლია, ჩვენ მასზე ვითბობთ ჩრდილოეთის ყინვისაგან გათოშილ ხელებს, ვწმენდთ დროის მტვრისაგან გაუხეშებულ სულს. ფაქტია, რომ „უცნობი სფინქსის“ მწუხარე მუზამ მოაზროვნე, მსოფლიოს მრავალი კუთხე შესძრა.

მის ენიგმურ, სიმბოლურ–მეტაფორულ სამყაროში შესასვლელი „საოცრების კარი“ ანუ ქრისტიანული ღმერთია. პოეტი ამრავალფეროვნებს, ახალი ნიუანებით ავსებს საღმრთო სახელებს. ამ გამორჩეულ სამყაროში უბერავს სულიწმიდის ნიავი, გვეცნაურება გამოცხადების სიბრძნე, საღვთო ნისლი.

სისხლის, ტერორის, ძალმომრეობის ეპოქაშიც შეძლო პოეტმა ანგელოზური სულის შენარჩუნება.

განსაკუთრებული განსჯის საგნად აქცია ფილოსოფიური პრობლემები, სიკვდილ–სიცოცხლის მიმართება, ადამიანის ზნეობრივი განწმენდა, ბედისწერის იდუმალება.

იგი დაემყარა მოძღვრებას, რომლის მიხედვითაც ადაამიანში ორი არსია: ღვთაებრივი და მდაბალი. ღმერთის სამყაროში, ჩვენს ნამდვილ სახლში დასაბრუნებლად აუცილებელია წმინდა სული.

ტერენტი ჰგავდა ზიარებულთა ორდენის წევრს, რომელსაც უნდა გაევლო ინიციაციის, კათარსისის რთული და ძნელი გზა, სიწმინდის გადარჩენის აუცილებლობის შეგნებით.

პოეტის სული წმინდა გიორგის მსგავსად განიწმინდა“ წამების ცეცხლით, მადლის მდინარით, სულიწმიდით, გულის სისხლით.

ზიარებულთა ინიციაციის ერთ–ერთი საფეხურია ლოცვა, მსხვერპლის გაღება, მონანიება.

„პოეზიის უმანკო მსხვერპლი“ – ტერენტი გრანელი გამუდმებით ლოცულობდა, მარხულობდა უკეთესი დროის სახელით: „ვდგავარ ქვეყნის წინ, როგორც მლოცველი, ვითმენ წამებას, სხვაგვარ დროს ველი“... (ვდგავარ ქვეყნის წინ) (2,137).

მისტიკოსები საღმრთო ტრფიალის იდეას იზიარებენ.

პლატონის დარად, ტ. გრანელი განარჩევდა ორგვარ ეროსს და „ციური ეროსის“ ჰანგებს ქმნიდა, პითაგორეულ სფეროთა ჰარმონიას ეზიარებოდა.

სულიერი განსაწმენდელი ორფეოსელთათვის იყო არგონავტების ლაშქრობა, გაჭირვების დათმენა.

ტერენტი გრანელისთვის განსაწმენდელია პოეზია, მუსიკა, „ლექსი მისტერიაა“.

პოეტის ცხოვრება სიკვდილისათვის მზადება და სიკვდილის შიშის დაძლევა იყოო.

დიდი ადამიანები ამაღლებული სულით, ესთეტიკური ფენომენით ამარცხებენ სიკვდილს და ფერებში წარმოიდგენენ მას. მალარმესთვის სიკვდილი ოქროსფერია, ვერლენთან – მზისფერი, რემბოსთან – წითელი. გალაკტიონთან ვარდისფერი, ტერენტი გრანელთან ცისფერი: „ეს იყო წამი, წამი, როდესაც ელოდნენ ცისფერ სიკვდილის წამებს“.

სიკვდილთან ბრძოლის სურვილით შეიქმნა ხელოვნება, მეცნიერება, ფილოსოფია, რელიგია.

სიკვდილის გაცნობიერება წყაროა ჩვენი გაღვიძების, ამაღლების, იგი ემსახურება ადამიანის დაფარული სულიერი ძალების გამოვლენას.

ტერენტი გრანელის რწმენით, ადამიანი კვდება არა მაშინ, როცა სული სხეულს შორდება, არამედ სიკვდილის ტოლფასია სულის დაშორება ღვთისგან.

ლაო ძი ამბობს: „ყოვლადბრძენი დაფარულს მიელტვის და არა ხილვად მშვენიერებას. იგი ეძიებს დაფარულს, უარყოფს ყოფიერს“ (3,184).

„ადამიანი გაუკვდავდება იმიტომ და იმ დროს, ოდეს შეითვისებს თავის წიაღში ღვთაებრივ ძალას, ოდეს უკვდავების წყალს დალევს სიკეთისა და სიბრძნის სახით, ოდეს გარემოიცავს თავის თავში ღვთაებრივ საწყისებს.

„ვინც არყოფნას უჭვრეტს, სრულქმნილია, ვინც წარუვალში გარდაიცვალა, მარადიულია“ (3,201).

„უნდა იცხოვრო არა სხეულისთვის, არამედ სულისთვის“ (3,247).

ტერენტი გრანელს არ უძებნია მიწიერი, პრაგმატული ბედნიერება, მისთვის ბედნირება იყო ერის, რწმენის, სიმართლის მსახურება, ცის და მიწის საიდუმლოებათა შეცნობა, მისი მრწამსი მსოფლიოს დიდი მოაზროვნეთა შეხედულებებს ემთხვეოდა: „ო, უბედურებავ! შენ ძირი ხარ ბედნიერების ო, ბედნიერებავ! შენ ძირი ხარ უბედურების“ (ლაო-ძი, დაო დე ძინი) (3,219).

ტერენტი გრანელი დარწმუნებული იყო, რომ სული სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს არსებობას, იგი იღვიძებს ახალ გარემოში, ვითარდება და ამბობდა: „სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“.

პოეტმა გაიზიარა გარდასხეულების თეორია, გადაიხედა მიღმურში, ჩაწვდა ყოფნა – არყოფნის საიდუმლოებებს.

იოგების მიხედვით, სამყარო დაყოფილია მაღალ, შუა და დაბალ პლანეტარულ სისტემებად. დედამიწა შუა პლანეტარული სისტემის შემადგენლობაშია. სიკვდილი ყველგან არსებობს, გარდა მაღალი სულიერი პლანეტისა. ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ მიიღოს სულიერი სხეული და მიაღწიოს სულიერ პლანეტას.

ტერენტი გრანელი გამუდმებით ეძებდა „მესამე გზას“, „სხვა პლანეტას“. მას სწამდა უკვდავება, „სიცოცხლე სხეულის გარეშე“. მისი „უვალი გზა“, „მესამე გზა“ ხორცისაგან გასაღწევი, სულის გამარადისების გზა იყო, რაც სიკვდილის შემდეგ უნდა დაწყებულიყო სულიერი ნათელღების პირობების ერთგული დაცვის შემდეგ. აკი გვიჩვენა კიდეც ზეცამდე ასამაღლებელი საფეხურები.

„უცნობმა სფინქსმა“ შექმნა თავისებური გარდაცვალების სახელმძღვანელო, „„მიცვალებულის დღიური“, მაგრამ ფუჭად მოზეიმე საზოგადოებამ, რომელიც ნივთს, ყოველდღიურობას, ვულგარულ გრძნობებს აიდეალებდა, ვერაფერი გაუგო პოეტის უზენაეს სიბრძნეს და მის გენიალურ წიგნს „შავი წიგნი“ უწოდა.

ტერენტი გრანელის სულის გზები იწყება კაცობაში „ადამის ძის“ სახით და სრულდება უმაღლეს სავანეში. მის მიერ განვლილი გზა მთელი კაცობრიობის სულიერი გზაა და ამიტომაც არის იგი „მსოფლიო პოეტი“.

„მემენტო მორის“ ავტორს ბიბლიური წინასწარმეტყველებივით, აღაშფოთებდა ადამიანის განშორება ღვთისგან და ურჩევდა მოძმეთ, შერიგებოდნენ უზენაესს.

„აჰა, მოგივლენთ ელია წინასწარმეტყველს უფლის დღის, დიდის და საშინელის დადგომამდე.

„ის შეარიგებს მამების გულს შვილების გულთან და შვილების გულს მამების გულთან, რომ ჩემი მოსვლისას ქვეყანა შეჩვენებით არ შევმუსრო“ – აცხადებდა მალაქია წინასწარმეტყველის პირით უზენაესი (3,23,24)(4,704).

პავლე მოციქული მოძღვრავდა ხალხს: „ყოველივე ღვთისგან არის, რომელმაც შეგვირიგა იესო ქრისტეს მეშვეობის და მოგვცა შერიგების მსახურება.

„იმიტომ, რომ ღმერთმა ქრისტეში შეირიგა წუთისოფელი და არ ჩაუთვალა მათ მათი დანაშაულებანი და გვიბოძა შერიგების სიტყვა.

„ამგვარად, ჩვენ ქრისტეს სახელით ვართ მოვლენილი და თავად ღმერთი შეგაგონებთ ჩვენი მეშვეობით, ქრისტეს სახელით გთხოვთ: შეურიგდით ღმერთს (პავლე მოციქული, III კორინთელთა 5,18,19,20)(1,390-391).

შერიგების დღეს ნატრობდა გალაკტიონი და მზის–ქრისტეს სახელით ურიგდებოდა ფიზიკურ სიკვდილს, რაც სულიერი უკვდავების სავანეში გამგზავრებად ესახებოდა (შერიგება)(5,53).

განშორების გულისტკივილი, განშორების წამებით ჩამქრალი სანთლები, ღმერთისგან განშორება აწამებდა ტერენტი გრანელს, მაგრამ მაინც სჯეროდა განწმენდის, შერიგების: „და სულის ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების“.

პოეტს ელანდებოდა ცოდვილთა განკითხვა, „უფლის დიდი დღე, ძალზე საშინელი“ (იოველი, 2,11).

ტერენტი გრანელი აცხადებდა: „დაწვებოდა კვლავ ბინდი, გულში მეწყო ლოდები, მოდიოდა დღე დიდი, ქარი ცოტაოდენი“.

ღმერთი არის მარად ღია თვალებით მზირალი მართალი მსაჯული, რომელიც დამსახურებისამებრ მიუზღავს თითოეულს: „დიდგანმზრახველო და მარავლადმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელიოს მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელის და თავისი ნამოქმედარის მიხედვით“(იერემია წინასწარმეტყველი, 34,19)(4,156).

ტერენტი გრანელის უნიკალური ხედვა და ინტუიცია სამყაროს გლობალურ მოვლენებს აფიქსირებდა: „ვუმზერ სამყაროს ღია თვალებით“.

ადამიანებზე გულგატეხილი, ღმერთზე ამყარებდა იმედებს: „მე ისევ ციდან ველი ტაროსებს“.

„მემენტო მორის“ ავტორი ეპოქისგან გამდგარი პოეტი კი არ იყო, როგორც ამტკიცებდნენ დაქირავებული კრიტიკოსები, არამედ თავისი თანამედროვეობის არსს, შავი დროის კონტურებს განუმეორებელი სახე – სიმბოლოებით აფიქსირებდა.

არაჰუმანური, სატანური პერიოდის შინაარსს გვიცნობიერებს ხატოვანი სახეები: უღირსი თვალი, მხეცი (აპოკალიფსური მხეცების ნაშიერი), კაენი, დემონი, ბნელი შუაღამე. ეშაფოტი და საფლავები, დროის თანამდევია გველი და მკვდარი დღეები (უარყოფილი ღმერთი).

სიმბოლური ჩანაფიქრისაა შუქის ჩაქრობა, შავი აღრუბლების მოვლინება, ფინიების გააქტიურება: „და ჩაქრა შუქი თავისუფლების, სიბნელე ირგვლივ დაფენილია, ნელა მიდიან ღრუბლები ცისკენ, გარეთ ვიღაცას უყეფს ფინია“.

იკრძალებოდა ღმერთის ხსენება, სამშობლოს სიყვარული, ირგვლივ კი მრავლად იყვნენ ჭოტები, ყვავები, ყორნები, კატები, ფინიები.

ეროვნულ ტრაგედიაზე მიგვანიშნებდა ქარისაგან ყაჩაღივით აკლებული, მიტოვებული ბაღების სახეებით (ბაღი კაცური ბუნებაა იპოლიტე რომაელის მიხედვით). მიტოვებული ბაღი ღმერთისაგან მიტოვებული ადამიანის სულია.

ჰგოდებდა „ქვეყნის უკუღმართობას“, დაღუპვის გარდუვალობას, აღაშფოთებდა კოსმიური ავდარი, მთელი პლანეტის ბედი: „ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“.

ტოტალურ კატაკლიზმებს, წინაპარი კლასიკოსების დარად, ღმერთის უარყოფით ხსნიდა, რუსული ბოლშევიზმის ბაცილებით გადაგვარებას, უღმერთობას სიმბოლურად შემდეგნაირად გამოხატავდა: „ქრება ის უმანკო და შუქი ნუგეშის, გრიგალი არხევს სულის მიმოზებს, გრიგალი მისდევს ოცნების ხომალდს, მზე თითქოს გაქრა, მზემ ცა დატოვა, ჩემი თეთრი იმედი დაიკარგა ოდესღაც, ქარისაგან იღუპება ტოტი, ახლა ვხედავ ხის გაძარცულ შტოებს, ისევ მიცქერის მთა გადამწვარი, და ძველებური სახლი იქცევა, გამქრალი ზაფხულის (ზაფხული საღმრთო სახელია), ზამთრის სიცივის ქვეტექსტებით გვაგრძნობინებს ეროვნულ –სარწმუნოებრივ ტრაგედიას.

პოეტს ეზმანებოდა სიავის აღსასრული, ქართველი ერის– ლაზარეს აღდგინება, რწმენისკენ მიბრუნება: „მაგრამ ლაზარე აღდგება მკვდრეთით, აღდგება, როგორც ღვთის სიყვარული (ფიქრები ქაქუცას მკვლელობის დღეს)(2,246).

ბოროტების იმპერიის დანგრევაზე ოცნება ასოცირდებოდა ბიბლიური ბაბილონის დაცემასთან, მის ნანგრევებზე ყორნების ჩხავილთან („მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“) (2,85).

ტერენტი გრანელი თავის სამშობლოდ ზეცას იგულვებდა: „ჩემი ნაზი სამშობლო ლაჟვარდები ცისფერი“. თავის მარადიულ სავანედ ესახებოდა „ზეციური სახლი, ცისფერი სახლი, ცისფერი ქვეყანა“.

მაგრამ, ამასთან, ყოველ ადამიანს აქვს თავისი მიწიერი სამშობლო, წალენჯიხიდან, ზუგდიდიდან დაწყებული მისი გზა თბილისზე გადის და ქვეყნის ამ მთავარი მაგისტრალიდან მიერთვის მსოფლიოს და უსაზღვროს.

ტერენტი გრანელი ილია ჭავჭავაძესავით ხედავდა საქართველოს თანამდევ უკვდავ სულს, „უხილავ საქართველოს“.

მისი დევიზი იყო: „სამშობლოს დაცვა და აყვავება“, რისთვისაც მარტო სიტყვით კი არა, საქმით იბრძოდა 1918წელს, რათა ბათუმიდან იარაღით განედევნა თურქი ასკერები.

იგი გრძნობდა სამშობლოს ტკივილს, უფსკრულს და სათაყვანებელი ქვეყნის სიდიადეს დარდის თანხლებით მოიაზრებოდა: „და საქართველო ჩემთვის დიდია და საქართველო ჩემთვის დარდია, ზოგჯერ კი სამარედ აღიქვამდა მშობლიურს.

21-ის, 24-ის, 30-იანი წლების ტრაგედიების მომსწრე ყალი პოეტები ხალხს არწმუნებდნენ, ჩვენი სიცლცხლის ხე ყვავისო, ტერენტი გრანელი კი გულისტკივილით წერდა: „მოკვდა სამშობლო მხარე“, „კვდება ეს მდელო და ეს ქარია და საქართველო ახლა მკვდარია“.

პოეტს „ლურჯ გალიად“ ეჩვენებოდა დედამიწა, აღაშფოთებდა „სისხლით დაფენილი გზები და შარა“, „სამარადისო მწუხარება მოკლულ თვალების“, ამხელდა ხელისუფლების ტირანიას, „ქვეყნის უკუღმართობას“, უნიჭო მჭღაბნელები კი რენეგატი კომუნისტების ხოტბაში ცვეთდნენ კალმებს.

ტერენტი გრანელს აქვს ჩვენს სულთან, დღევანდელ პრობლემებთან შემხები საოცარი სტრიქონები: „შრება სისხლისგან გული–აუზი და მიპყრობს ქუჩა, ვით თაფლი ფუტკარს, თითქმის ყოველდღე სასაფლაოზე ვხედავ მათხოვარს და პროსტიტუტკას“.

ნებისმიერი დიდი პოეტი, მოაწერდა ხელს გაუცხოების თემაზე შექმნილ ტერენტი გრანელის შედევრებს: „ის იღუპეპა, მას არ უვლიან, ქვეყნის სიმძიმე მის გულს მოება და სიჩუმეში დაფარულია ჩემი სიმართლე და სათნოება“, „მოდის ფარული ეს გამწარება, ვეძებ თანამგრძნობ მეგობრის ხელებს“, „სხვა მეგობარი მე არ მყოლია, მხოლოდ ქარია ჩემი მხლებელი, უფრო ხშირია მელანქოლია და გაფიქრება შეუძლებელის“, „რა ვქნა, გრიგალში გული ვატკინე და ჩემი ფიქრი ცისკენ წავიდა, ახლა ხომ კმარა, რაც მოვითმინე, მეტ დამცირებას ვეღარ ავიტან“.

გაუცხოების გვირგვინია საოცრად მიგნებული „უცნობი სფინქსი“.

ტერენტი გრანელი ნათელმხილველი და ნათელმსმენი იყო.

მან ზუსტად იწინასწარმეტყველა თავისი გარდაცვალების წელი, თვე და რიცხვის განსაზღვრაში მხოლოდ ხუთი დღით შეცდა.

პოეტმა განჭვრიტა თავისი მომავალი დიდება („მე წავალ სხვანაირ სახით, ჩემს წასვლას დიდება მოსდევს“), თბილისში დასაფლავება („მალე მოვკვდები და ვიცი, გულზე, რომ დამაყრიან თბილისის მიწას“), იწინასწარმეტყველა მომავლის კატაკლიზმები, ღმერთისკენ მიბრუნება, დაქირავებული პროლეტარული პოეზიის აღსასრული.

ტერენტი გრანელი ერთდროულად ხედავდა ცას და მიწას, სულს და ხორცს, წარმავალს და მარადიულს, „გონიერ ზეცას“: „რა ბრწყინვალეა ცა იქაური“.

პოეტი ჭვრეტდა საკუთარ აჩრდილს, ლანდებს, სულიერ და ეთერულ სხეულებს, სულის გაფითრებას, წვდებოდა უსხეულო არსებობის საიდუმლოებას.

მან დალანდა ბედის მწვერვალი, უსაზღვროება, სიცოცხლის ბოლო, იგრძნო, რაც იქნებოდა გარდაცვალების შემდეგ.

ტერენტი გრანელი ფრენდა სულით, მოგზაურობდა ასტრალური სხეულით, ამიტომ ხშირია მის პოეზიაში „ლოცვა გაფრენისთვის“, „ექსკურსია ცისკენ“, „ბარათი ცისკენ“.

ცხოვრება დარდისთვის, გლოვისთვის მეტ საფუძველს იძლეოდა და პოეტის ხილვები ცრემლითა და ნაღველით იყო შეფერილი: „ჩემი ოცნება შეირხევა, როგორც ლერწამი და ცის კალთაში დაისვენებს სევდიან ძილით, და ჩემი მწუხარე სული მსგავსია დათოვლილ სანთლის, დროა, გრიგალმა მაღლა აგწიოს, როგორც ოცნება დიდი ნაღველის, ჩუმად ძინავს გულს ტყეში სევდის ლურჯი ოდებით, და ჩემი სული თეთრ ლოცვებში დატეხილი გლოვის ხაზებად“.

ეკლესიასტე გვმოძღვრავს: „ბრძენთა ფიქრები გლოვის სახლშია, უგუნურთა ფიქრები მხიარულების სახლში“ (6,484).

ღმერთთან ახლო მდგომ მცირერიცხოვან პოეტებში უპირველესია ტერენტი გრანელი, რითაც განაღდებული ჰქონდა სამოთხე: „გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა და ჩემი სული სამოთხეში მივა გოდებით“.

ქართველი ხალხის დიდ გულისტკივილს დიდი მკურნალობა სჭირდება უპირველესად ღმერთით, რწმენით, მადლით, ცრემლით, სიტყვით და სიკეთის ის ფლუიდები, რაც ასე უხვად იფრქვევა ტერენტი გრანელის პოეზიიდან, ჩვენი გაბზარული გულის განახლების უპირველეს წამლად უნდა ვიგულვოთ.

„ჯადო აქვს მწერლის სიტყვას, მას წვიმები მოჰყავს, გრიგალების ატეხა და ზღვათა ამბოხება შეუძლია“, აცხდებდა კონსტანტინე გმსახურდია.

„მწერალი ჰგავს ბერძნულ მითიურ არსებას, რომელმაც გრიგალი გამოიწვია და ვეღარ დააწყნარა“, გვარწმუნებდა მიხეილ ჯავახიშვილი.

უეჭველია, რომ სულიწმიდის მადლია ტერენტი გრანელის შემოქმედებაში და მისი ლექსებიდან დაძრულ გრიგალს დაცხრომა არ უწერია.

ვფიქრობთ, ბედნიერია ყოველი კაცი, ვინც შეისუნთქა პოეტის სამყაროდან მონაბერი ზეციური ქარი.

„ტირილში წასვლა სჯობს ლხინში წასვლას, რადგან იქ არის ბოლო კაცისა“ (ეკლესიასტე, 7,2).

„ყოველივეს თავისი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში.

„ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა, ჟამი გლოვისა და ჟამი ლხინისა“ (ეკლესიასტე, III, 1,3) (ბიბლია, 1990:47).

გალაკტიონი ხედავდა ძე ღმერთის – „მომავლის ჩრდილის“ მჭმუნვარებას, ყოვლისმხილველ უფალს აძრწუნებდა ადამიანთა უზნეობა, უზენაესის დავიწყება (მიმღერე რამე) (გალაკტიონ ტაბიძე, „პოეზია“, თბ. 2014,გვ. 18).

უმბერტო ეკოს „ვარდის სახელშიც“ მუდმივად აქცენტირებულია ის, რომ ადამიანთა უზნეობის გამო ქრისტე მუდმივად ჭმუნავდა.

ტერენტი გრანელის სევდა–გოდება პირადული კი არ არის, არამედ ეროვნული და საკაცობრიო მასშტაბებისაა.

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
2. ტერენტი გრანელი, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, თბ. 2012
3. ლაო–ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალიმონაკის, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1983
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
5. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული „მერანი“, თბ. 1982
6. ბიბლია, თბ. 2013

ტიტე მოსია



ზურაბ ავალიშვილი რუსთაველის მანიქეველობის თეორიაზე

ნ. ჟორდანიას წიგნის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ ანუ 1931 წელს პარიზში გამოდის ზურაბ ავალიშვილის „ვეფხის ტყაოსნის“ საკითხები“, სადაც იგი რუსთაველის რელიგიურ მსოფლმხედველობასაც ეხება.

წიგნში შესულ ერთ–ერთ ნარკვევში ზ. ავალიშვილი განიკითხავს პ. ინგოროყვას მიერ სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილ რუსთაველის მანიქეველობის თეორიას. ემიგრანტი მკვლევარი მანის შესახებ წერს: „მანი, სარწმუნოებათა ისტორიის ერთი დიდ სახეთაგანი, დაიბადა ბაბილონს 216 წელს, 242 წელს დაიწყო ახალი რელიგიის ქადაგება, რომელიც ძველ სპარსულ სწავლას ორი მეტოქე დასაბამისა ანუ პრინციპისა – კეთილისა და ბოროტისა – და ქრისტიანულ უკიდურეს ასკეიკას აერთებდა. თვით მანი სპარსეთის ცეცხლის – მსახური მეფის ბაჰრამ მეორის მიერ სიკვდილით იქნა დასჯილი 273 წელს. მისი სარწმუნოება და ეკლესია, ყველგან სასტიკად დევნილი და ბოლოს ყველგან მოსპობილი, მესამე–მეოთხე საუკუნეებში დიდი ფაქტორი იყო საერთაშორისო სარწმუნოებრივ ცხოვრებაში... კათოლიკე ქრისტიანობასთან ბრძოლაში, აღმოსავლეთსა და დასავლეთში, მანიქეველობა დამარცხდა... მანის სწავლის მიერ მსოფლიოს აგებულობაში კეთილი და ბოროტი დასაბამის დაპირისპირება ბოროტის ერთგვარი გაღმერთებით და პესიმიზმის გაღრმავებით, მონოთეისტურ ღმერთს, ყოველთა შემქმნელს და ყოვლისა მპყრობელს, უეჭველად ამცირებდა და ამისათვის ქრისტიანობის და შემდეგში ისლამის თვალსაზრისით სახიფათო რამ და მავნებელი იყო“.[1]

ზ. ავალიშვილი თავიდანვე გვარკვევს, რომ პ. ინგოროყვას მიერ წამოყენებული დებულება რუსთაველის მანიქეველობაზე მისთვის კატეგორიულად მიუღებელია. ასევე, იგი უარყოფს ჰერეთის ერისთავის შოთა კუპრის და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შოთა რუსთაველის ერთმანეთთან გაიგივების მტკიცებულებებს. მკვლევარი აანალიზებს იმ მასალებს „ქართლის ცხოვრებიდან“, რასაც ემყარება პ. ინგოროყვა და გამოაქვს დასკვნა, რომ ამ ორი პიროვნების გაიგივება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

გაკვირვებული ზ. ავალიშვილი შენიშნავს: „მანიქეური „შეიხობის“ მისაღებად დევნილი შოთას ბაღდადს მისი ბიოგრაფის მიერ გადასახლება სულ უმიზეზო რამ და არა მიზანშეწონილია“.[2]

რაღას ვაგრძელებ? სჯობს ზ. ავალიშვილის დასკვნის გამეორებით შემოვიფარგლოთ: „ამ შოთა ჰერეთელის მანიქეველობის „მანის ფერობის“ და „კუპრობით“ დასაბუთება უიმედო და ამაო საქმეა. მისი განდგომილება და„გამანიქეველობა“ იქ, სადაც ეს „რუსთაველიანის“ ავტორს ჰსურს, ე. ი. „ბაღდადის ქვეყანაში“, დროისა და ადგილის მიხედვით შეუძლებელია. მართლაც რომ მომხდარიყო, ეს უფრო მონგოლთა ხანაში იქნებოდა (თეორიულად) საფიქრებელი. ხოლო თუნდაც ამ შესწორებით ეს ჰიპოთეზა (შოთა ჰერეთელ–რუსთაველის მანიქეველობისა) ყოველივე საფუძველს არის მოკლებული და ქართული ქრონიკის განხილულ ცნობებით სრულებითაც არ მტკიცდება. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში (ე. ი. მონგოლთა ბატონობის დროს სადმე შუა – აზიაში რომ განდგომილიყო ეს ჰერეთელი შოთა), ის ადრე, თამარის ეპოქაში, 1206–7 წლებში „მანიქეური“ მიმართულების „ვეფხისტყაოსანსაც“ ვერ დასწერდა“.[3]

ზ. ავალიშვილს რუსთაველის მანიქეველობაზე ყოველივე ზემოთ თქმული საქმის ფორმალურ მხარედ წარმოუდგენია. ამის შემდეგ უმთავრეს ყურადღებას იგი „ვეფხისტყაოსანს“ მიაქცევს: „უმთავრესი ჩვენი ყურადღება კი უფრო თვით შოთას ქმნილებას უნდა მივმართოთ. მართლაც, რუსთაველის ცხოვრების ძეგლი „ვეფხისტყაოსანია“ და თუ კი ამ პოემაში მანიქეველობის ცხადი კვალი არ აღმოჩნდა, მაშინ ხომ სულ ერთია, რა იყო შოთა, კერძო პირი: მანიქეველი, ბუდისტი თუ ანაბაპტისტი“.[4]

ზ. ავალიშვილი მკითხველის ყურადღებას, უპირველს ყოვლისა, „ვეფხისტყაოსნის“ მზის

---

[1] **ზ. ავალიშვილი,** „ვეფხისტყაოსანის“ საკითხები, პარიზი, 1931, გვ. 44
[2] იქვე, გვ. 49
[3] იქვე, გვ. 50
[4] იქვე, გვ. 51

ტაეპებზე ამახვილებს: მანის სწავლაში ბნელისა და ნათლის დაპირისპირებას, მათ ბრძოლას უდიდესი ადგილი ეკუთვნის და, ბუნებრივია, რომ ამ სწავლის გავლენა ვეფხისტყაოსანში იქ ვეძიოთ (თუ კი ერთია მიზანი), სადაც მეტი სინათლეა – მზის ტაეპებში. ბატონი პ. ინგოროყვაც აქეთკენ იყურება. დიდი აღტაცებით იმას უსვამს ხაზს, რომ შვიდ მნათობთა შაირებში ავთანდილი პირდაპირ მიმართავს ლოცვათ მზეს, როგორც ღმერთსო“.[5] ნიმუშად პოემიდან დამოწმებულია: „ეუბნების, ეტყვის მზესა: „ჰა, მზეო, გეაჯები“.

ზ. ავალიშვილი ამასთან დაკავშირებთ შენიშნავს, რომ პ. ინგოროყვას ერთი ხელნაწერის მიხედვით, ჩაუსწორებია მზის ნაცვლად, „აჰა, ღმერთო“ უნდა იყოსო და ეს სავსებით უდგება მანიქეიზმის თეოსოფიასო. მკვლევარი იქვე სვამს კითხვას: მარტო მანიქეიზმისა? და სხვა ნამდვილ მზის მსახურთა „თეოსოფიას“ არ უდგება? ნუ თუ ჰგონია, რომ მათი სია მოკლე იქმნებოდა?

ზ. ავალიშვილი იქვე განაგრძობს: „მაგრამ საქმეც ისაა, რომ მანიქეველები მზეს ღმერთად არასოდეს არ სთვლიდნენ; კარგად ცნობილია, რომ მათი რწმენით ღმერთი იყო „სინათლის სამოთხეთა მეფე“; მზეს კი ეთაყვანებოდნენ, ვითარცა „უდიდეს ნათელ სხეულს“ და ღვთის სინათლეს; ხოლო მათი ლოცვა ყოველთვის ღვთის და არა მზის მიმართ იყო. გარდა ამისა, სინათლის და სიბნელის კოსმიურ ბრძოლაში (რომლის ძირითადი აზრი მანიმ ძველ სპარსულ სარწმუნოებითგან ამოიღო) მზეც გარკვეულ სამსახურს ასრულებს, არა ღმერთისა, არამედ გამარჯვებულ „ნათელ ნაწილთა“ სამოთხისაკენ ამაღლებისა გზაზედ ერთი სადგურისა“.[1]

აქედან მკვლევარს გამოაქვს დასკვნა, რომ მზის მიმართ ეს „აჰა, ღმერთო“, სრულებითაც არ უდგება, ისიც „სავსებით“, „მანიქეიზმის თეოსოფიას“.

ზ. ავალიშვილმა მნათობისადმი მოწოდებანი ქარანელთა კულტის მწიგნობრულ ტრადიციას დაუკავშირა. ისიც აღნიშნა, რომ ძველი რწმენით თითო მნათობი საკუთარ ღვთაებას წარმოადგენდა. ამისი ერთი გამოძახილი „ვეფხისტყაოსანში“ უპოვია: „მთვარესა ეტყვის: იფიცე სახელი ღმრთისა შენისა“.

ზ. ავალიშვილს აკვირვებს პ. ინგოროყვას თვალსაზრისი, თითქოს თამარ მეფის „მზედ“ და „ქართველთა ღმერთად“ აღიარება ნიშნავდეს თამარის შედარებას იმ ღმერთთან, „რომელმაც შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“, „ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“. მკვლევარს ასევე აკვირვებს სუფიური მსოფლხედვის ძებნა საკარო და მგოსანთა ენასა და მეტაფორაში: „სუფიების მისტიციზმი, ჩვენთვის გაუგებარი და მიუღებელი, მაინც სხვა ხარისხის და მნიშვნელობის მოვლენა იყო **<u>ერთთან</u>** მისტიური შეერთება სრულებით არ იგულისხმებდა ნივთიერ, ცხელ და ნათელ მზეს, არამედ ტრანსცენდენტ ღმერთს „ერთს“:[2]

ნესტან–დარეჯანის წერილში (ტარიელისადმი გაგზავნილში ქაჯეთის ციხიდან) ნათქვამია:

„ღმერთსა შემვედრე, ნუ თუ კვლავ დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა,
მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა.
მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას ეახელ, მისი ეტლი, არ თუ წბილი.
მუნა გნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდეს ტკბილი“.

პ. ინგოროყვას თანახმად, ამ სტრიქონებში გატარებული აზრები თითქმის პირდაპირ ამოღებულია მანიქეურ თხზულებითგან. ზ. ავალიშვილისთვის ეს კონცეფცია მიუღებელია: „აქ მართლაც რომ რუსთაველს შემთხვევა ჰქონდა რამე მანიქეური ეთქვა! მაგრამ ერთი წერტილიც არ არის ამ სტროფებში – შოთას ამ ერთ უმაღლეს მიღწევაში – მანის გავლენის მაჩვენებელი“.[1]

ამის შემდეგ ზ. ავალიშვილი საუბრობს რუსთაველის მიერ ნახსენებ ოთხ ელემენტზე (მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი), რომელიც ემპედოკლედან მომდინარეობს და შუა საუკუნეებში ყველგან იყო მიღებულიო, მათ შორის ქართულ სინამდვილეშიც, მას იმეორებს რუსთაველიც. მანის მოძღვრება კი აღიარებსო ორგვარ ელემენტს, ზოგი ღვთისაა, ზოგი კი მისი მოწინააღმდეგე სიბნელის სამეფოისა. ღვთის ძალა ხუთ ელემენტს სთვლის: ჰაერის სუნთქვას, ქარს, სინათლეს,

[5] იქვე, გვ. 52
[1] **ზ. ავალიშვილი,** „ვეფხისტყაოსანის“ საკითხები, გვ. 53
[2] იქვე, გვ. 55
[1] **ზ. ავალიშვილი,** „ვეფხისტყაოსანის“ საკითხები, გვ. 55

წყალსა და ცაცხლს. სიბნელესაც თავისი ძალა აქვს სხვა რამეებში გამოიხატება.[2]

„ვეფხისტყაოსნის“ ზემოთ დამოწმებულ სტროფებზე მსჯელობისას ზ. ავალიშვილი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამ ტაეპების არსის გასაგებად სუფიების მსოფლმხედველობის ხსენებას, ანუ მანის მიერ აღიარებული სინათლის მატერიალიზმს.[3] მკვლევარმა მკითხველის ყურადღება განგებ გადაიტანა მანის მოძღვრების თავისებურ ფანტასტიკასა და ზღაპრულ–მხატვრულ მხარეზე. კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ რუსთაველის პოემაში მანიქეიზმის კვალი არსად შეინიშნება, მითუმეტეს, დამოწმებულ მზიან ტაეპებში. იგი წერს: „შედარებით ნაკლები მნიშვნელობისაა და უკეთესია სულ გვერდზე დავტოვოთ – ის უკიდურესი წინააღმდეგობა, რომელიც მანიქეიზმის ასკეტიკას, ამ დევნილთ, პირ–მკთალ სეკტანტთა სულიერ განწყობილებასა და რუსთაველის გმირთა სულის–კვეთებას ურთიერთისაგან ჰყოფს, მართლაც რომ „შუა უზის დიდი მზღვარი“.[4]

მანიქეველობის თეორიის გასაბათილებლად ზ. ავალიშვილი მოითხოვს რუსთაველის ღმერთზე, მის რაობაზე ღრმად დაკვირვებას. მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ წმინდა სამება არ-სად იხსენიება, მაგრამ ყურადღება უნდა მიექცესო რუსთაველის მიერ **<u>ღმერთი ერთის</u>** აღიარებას, რომლითაც იმთავითვე უარყოფილია მანის დუალიზმი. ე. ი. ორის, ორი მეტოქე პრინციპის ცნობა და ორთა – ნათლისა და ბნელის, კეთილისა და ბოროტის – თითქმის თანაბარი გაღმერთებაც.[5]

ავტორის დასკვნით, რუსთაველის ძირითადი აზროვნება, მისი **<u>ერთის</u>** რელიგია ნამდვილი უკუგდებაა მანის სწავლისა. შოთას ღმერთი **<u>ერთია</u>** და არა მსოფლიოს, თუ ასე ითქმის, მონახევრე, როგორიც აუცილებლად არის ყოველი დუალისტური ღვთაება.[6] მისი დასკვნები დაფუძნებულია პოემიდან დამოწმებულ შესაბამის ტაეპებზე („ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა, შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა“).

ტაეპები, რომელთაც ქვემოთ მოვუხმობთ, ზ. ავალიშვილს მოაგონებს პეტრე იბერიელის (ფსევდო–დიონისე არეოპაგელის) წიგნს „საღმრთოთა სახელთათვის“.

„გულითა ღმერთსა ადიდებს ავთანდილ ცრემლთა მდენელი,
სთქვა: „ღმერთო, გმადლობ, რომელი ხარ ჭირთა მომალხენელი,
<u>ყოფილი</u>, <u>მყოფი</u>, <u>უთქმელი</u>, <u>ყურთაგან მოუსმენელი</u>,
წყალობა თქვენი იჩქითად არს ჩვენი გარდმომფენელი;
ასმათ სთქვა: „ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა,
შენ ხარ სავსება ყოველთა აგვავსებ მზეებრ ფენითა;
გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ საქებელი სმენითა!“

გამომდინარე აქედან, ზ. ავალაშვილის თანახმად, ირკვევა **<u>ქართული ქრისტიანული განათლების</u>** ზეგავლენა რუსთაველის პოემაზედ.[1] მკვლევრის თქმით: „მანიქეური ანუ, საერთოდ, რომელიმე გარკვეული სარწმუნოებრივი ტენდენციის ძებნა „ვეფხისტყაოსანში“ შემცდარი საქმეა და რომ შემთხვევით და მოულოდნელად იქ მართლაც მანიქეველობის გარკვეული კვალი აღმოჩენილ იყო, ეს უსათუოდ ან რომელიმე მწიგნობრული წყაროს უშუალო გამოძახილი იქნებოდა ან და რუსთაველის საპოეზიო საუნჯეში ძველი ქართული სიტყვიერებითგან მემკვიდრეობით შენახული, ადრინდელი რწმენის შემთხვევითი ნიშანი, ნასახი, მოგონება, ხოლო „მანიქეველობის“ დამტკიცება ამითი ძნელი იქნებოდა“.[2]

როგორც დავინახეთ, ზ. ავალიშვილი უარყოფს რუსთაველის მანიქეველობის პ. ინგოროყვა-სეულ თეორიას, გამორიცხავს მას საკმაოდ არგუმენტირებულად, ამასთანავე, მკვლევარი ქარ-თული ქრისტიანული განათლების ზეგავლენას ხედავს „ვეფხისტყაოსანში“. მის ნაშრომში არსად არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ რუსთაველი იყო ჭეშმარიტად ქრისტიანი პოეტი, ბიბლიაზე და ქრისტიანულ კულტურაზე აღზრდილი. უფრო მეტიც, ზ. ავალიშვილი კატეგორიულად გამორი-ცხავს, საერთოდ, რომელიმე გარკვეული სარწმუნოებრივი ტენდენციის ძიებას „ვეფხისტყაოსანში“. ამით იგი მიუახლოვდა ნ. ჟორდანიას განაცხადს: რუსთაველი იყოო ურელიგიო პოეტი.

---

[2] იქვე, გვ. 56
[3] იქვე, გვ. 58
[4] იქვე, გვ. 60
[5] იქვე, გვ. 61
[6] იქვე
[1] **ზ. ავალიშვილი,** „ვეფხისტყაოსანის“ საკითხები, გვ. 62
[2] იქვე, გვ. 66

გულნაზ ხარაიშვილი

"ათინათის" 51-ე გამოცემა

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიამ, ჟურნალ "ათინათის" ახალი ნომერი გამოსცა...თუმცა, ახალ გამოცემას ჟურნალს ვეღარ დავარქმევთ, რადგანაც "ათინათი" ახალი (განსხვავებულ) ფორმატით, სქელყდიანი წიგნის სახით გამოიცა. ამიტომაც, უფლება გვეძლევა, რომ ვქვათ "ათინათის" კრებული გამოიცა... კრებულის გარეთა ყდებს, კვლავაც (ბატონ რეზო ადამიას მიერ დახატული) წმინდა ნინოს და წმინდა გიორგის გამოსახულებები ამშვენებს... "ათინათის" 2024 წლის პირველი (რიგით 51) ნომრის მთავარი რედაქტორია – გულნაზ ხარაიშვილი; რედაქტორი-ნანა სხირტლაძე; პასუხისმგებელი მდივანი– რეზო ადამია; სწავლული მდივანი– მალხაზ ჩხიტუნიძე; რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი-მამა ამირან ამირანაშვილი; საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები: თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) და თემურ გოგსაძე; სპორტის განყოფილების რედაქტორი-თენგიზ ფანცულაია; სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები: ტიტე მოსია და ლუარა სორდია; ლიტერატურისა და პუბლიცისტიკური წერილების განყოფილების რედაქტორი-ეთერ ჭელიძე; მთარგმნელობითი განყოფილების რედაქტორი – მზია კვირიკაშვილი-ლოურენსი; ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: ნიკო ხერკელაძე და გულიადა სანოძე; მედიცინის განყოფილების რედაქტორი – ნაირა უგულავა; ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი-ვალერი მოსიაშვილი; იურიდიული განყოფილების რედაქტორი– ირაკლი ნადარეიშვილი;

სარედაქციო კოლეგიის წევრები: ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი), იური მამედოვი (აზერბაიჯანი), მარინე სხირტლაძე(საქართველო) და ლამაზირა შეყილაძე (საქართველო); კომპიუტერული უზრუნველყოფა– დათო ყანდაშვილი;

გარეთა ყდის შიდა გვერდზე, "ათინათის"ახალ გამოცემაში ბინა დაიდო, მხატვარ რეზო ადამიას მიერ დახატულმა, შოთა რუსთაველის პორტრეტმა, რომელიც ერთი შეხედვით, უფლის ხელთუქმნელ ხატსაც კი წააგავს... მხატვრის მიერ, დიდი შოთას, ახლებური (რეზო ადამიასეული) შექმნილი პორტრეტი, რეალურად ახალ სათქმელს ამბობს უკვდავი "ვეფხისტყაოსნის" ავტორის, ამოუცნობი, გენიალური აზროვნების მქონე პიროვნებაზე...ასევე, გარეთა ყდის შიდა გვერდზე (წიგნის ფინალურ ნაწილში),თვალში მოსახვედრია დიდი შოთას უკვდავი სიტყვები: "ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია"... იქვეა განთავსებული, დიდი პიროვნების, მსოფლიო მოგზაურის, ჯუმბერ ლეჟავას ფოტო, რომელიც ეგვიპტის პირამიდების ფონზე, გაშლილი ხელებით, სრულიად სამყაროს ესალმება (ეფერება)... ამავე გვერდზეა განთავსებული, ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის ლექსი-"აკადემიის წევრების ფიცი", რომელიც ინგლისურ ენაზე, ქალბატონმა მზია ლოურენსმა თარგმნა...

"ათინათის" ახალი კრებული, ტრადიციულად სასულიერო პირთა შემოქმედებით იწყება... ყურადღებას იპყრობს, ხატმწერების: ხატია, გელა და გიორგი ლარიაშვილების მიერ დაწერილი– წმინდა ნიკოლოზის, შობის და აღდგომის, ულამაზესი ხატები, რომელთაც დაბა წყნეთის (მერვე საუკუნის) წმინდა გიორგის სახელობის მონასტერში დაიდეს ბინა... ამავე ნაწილში, ყურადსაღებია წმინდა მამა გაბრიელის (სალოსის) ქადაგება, რომელიც მრევლს მოგვიწოდებს:" თქვენ რომ ხედავდეთ, როგორი მადლი გადმოდის წირვის დროს, მზად იქნებოდით ტაძრის იატაკზე მტვერი შეგეგროვებინათ და იმით სახე დაგებანათ"...სასულიერო ნაწილში განთავსებულია, უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათოლოკოს-პქტრიარქის, ილია მეორეს ქადაგება:"მე მინდა

მთელ საქართველოს ვუთხრა, რომ არ გაუტყდეს გული, ყველაფერი ეს განსაცდელი, რაც გვაქვს, ყველაფერი გაივლის და ღმერთი გადმოგვხედავს, მე ასევე მინდა სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდეთ, აუცილებლად უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, შური არ უნდა ვიძიოთ. ბოროტებით ბოროტება არ იკურნება, ბოროტება იკურნება სიყვარულით, ერთმანეთს გავუკეთოთ სიკეთე, შეიძლება ღირსიც არ არის ის, ამ სიკეთისა, მაგრამ ათმაგად შენ დაგიბრუნდება. არ შეგეშინდეთ, ყველაფერი კარგად იქნება. გიყვარდეთ ერთმანეთი!".. აქვე წავიკითხავთ, მეუფე თადეოზის (მირიან იორამაშვილის) მოწოდებას:" ქრისტე ღმერთმა დაგვიფაროს, გვაკურთხოს და გაგვახაროს; – სამარადისოდ – ამინ"...

"ათინათის" დასაწყისშივე დაბეჭდილია, პირადად ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის ლექსი "შევქმენ ჟურნალი", რომლშიც ასე მივმართავ მკითხველს:

აგერ წიგნები, თვალით რომ ხედავთ,
მეკი დარდებში შემომაღამდა,
მოკრძალებულად დღეს სიტყვას ვბედავ,
ლექსში კი გული ბევრჯერ აბღავლდა...

"ათინათის" ახალ კრებულში, მკითხველი გაეცნობა, ჯგუფი ზღვარის ახალ ლექსებს... ჯგუფი ზღვარის შემოქმედება წარმოდგენიალია– სერგი ლომაძის, კახა ბაციკაძის და გიორგი ზუხბაიას, ულამაზესი პოეზიით...

"ათინათის" პოეზიის განყოფილებაში განთავსებულია, როგორც სასულიერო, ასევე საერო პირების, ძალიან ლამაზი ლექსები... პოეზიის ნაწილში დაბეჭდილია, ისეთი პოეტების შემოქმედება, როგორებიც არიან: მამა ამირან ამირანაშვილი, ბერდიაკონი ნეოფიტე, ნანა ცინცაძე, ეთერ ჭელიძე, ნაირა უგულავა, ნელი საგინაძე, გულიკო კაპანაძე, ხათუნა თედიაშვილი, მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე, მალვინა ჭელიძე, გერონტი მესხი, ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი, დარეჯან ღონღაძე, ნელი ტორონჯაძე, თემურ გოგსაძე, ია მაჭარაშვილი, მაგული კორძაია, ლამზირა შეყილაძე, ირმა ტყემალაძე, ვალია კვაშილავა, ნორა (ნორიკო) მგელაძე, მზია გირგვლიანი, ნინო ქინქლაძე-ჭიღიტაშვილი, ლეილა ვადაჭკორია, გიგი თეთრაძე, მანანა სამყურაშვილი, მირზა ვარძუკაშვილი, ანზორ შერვაშიძე, ბესო ჩუბინიძე, გვანცა პაატაშვილი, ნესტან გეგეშიძე, დარეჯან მაჭარაშვილი, ნატალია ფიფია-სამუშია, თეა ბარბაქაძე, ბელა მოდებაძე, ლეილა-ლიკა მაჩაიძე, ნინო მოსაშვილი, ნინო უძილაური, მზია ელიაძე, ეთერ ისაკაძე, თამრო ნიჟარაძე, ვერიკო პარწიკანაშვილი, ეთერ გაჩეჩილაძე, მარინა კოლხელი, მარინა დიერაშვილი, მთვარისა ზეინკლიშვილი, ეკა სურამელი, ლალი სოხაძე, გოჩა ჭაბუკაიძე, თამარ ფიცხელაური, ნესტან ხარებავა, თინა ბასაბიშვილი, ირინა ბერიანიძე, მზია გომართელი, ლია ალადაშვილი, ელენე ზურაბიშვილი, ლია შენგელიძე, გიორგი დემეტრაშვილი, თინა სტეფლიანი, ნინა გაჩეჩილაძე, ნანა გიგუაშვილი, ლიკა აკობია, ია მოსულიშვილი, რუსუდან ჯანელიძე, ბეჟან ხარაიშვილი, გულნაზ ხარაიშვილი.

მიძღვნით ნაწილში, ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის პოეზიით, ვეფერები ისეთ პიროვნებებს, როგორებიც არიან: უწმიდესი და უნეტარესი –ილია მეორე; მამა ამირან ამირანაშვილი და მამა დავით ადამაშვილი; დიდი მოგზაური– ჯუმბერ ლეჟავა; ჩემი საყვარელი პატარები– იოანე, ნენე და დანიელი; სოსო და ბექა მექვაბიშვილები; ჩემი საყვარელი გვანცა; მზია კვირიკაშვილი-ლოურენსი; ჩემი საყვარელი –ია ექიმი; ეთერ ჭელიძე; ჩემი დათო და ცირა; ერეკლე საღლიანი და მზია გირგვლიანი; ნანა გაჩეჩილაძე; დავით ახლოური და სხვები...

თარგმანების განყოფილება, მთლიანად ეთმობა, უნიჭიერესი ქალბატონის, მზია კვირიკაშვილი-ლოურენსის, შეუდარებლად მაღალ დონეზე თარგმნილ პოეზიას.მათ შორისაა, შემდეგი პოეტების ლექსები: გულნაზ ხარაიშვილი (3 ლექსი), ბეჟან ხარაიშვილი (3 ლექსი), მაგული

კორძაია (3 ლექსი), ნანა გიგუაშვილი (2 ლექსი), ია მოსულიშვილი (ლექსი), ნინა გაჩეჩილაძე (2 ლექსი), ირინა ბერიანიძე (2 ლექსი), თამარ ფიცხელაური (2 ლექსი)...

საბავშვო ნაწილი წარმოდგენილია, მარინა დიერაშვილის "ლოგიკური რითმებით" და ლექსით "დედა ენა", რომელშიც ლამაზ სტროფებს წავიკითხავთ:

"გულის გულში ჩაბნეული მარცვლებად,
ქართველობის ნიშია და გენია,
ჩაკირულა, გონებაში ჩართულა,
დედა ენა სიბრძნედ შემოგვრჩენია."

ხსოვნის, "არდავიწყება მოღვაწეთა" ნაწილში, გავეცნობით, გარდაცვლილ ადამიანებისადმი მიძღვნილ წერილებს და მათ შემოქმედებას...ყურადღებას იპყრობს, მეუფე თადეოზის ლექსი "ფიროსმანის ფიქრები", სადაც ასეთ სტროფებს ამოიკითხავთ:

"ქვეყნად უმიზნოდ ვიცხოვრე განა,
განა უმიზნოდ გავცვითე ფუნჯი?
ვხატე ქალაქი, სოფელი, ყანა,
ყანაში გლეხი-სიკეთის ბურჯი."

ამავე ნაწილში წავიკითხავთ დავით გამთენაძის პოეზიას, სადაც ასეთ სტროფებს შევხვდებით:

"გაჩენის დღიდან მხარზე მაქვს სურა
და ყოველ დილით შენთან ვიჩქარი,
ანგელოზები თეთრ ფრთებს მახურავს,
ჩამომაქვს მთიდან ანკარა წყალი"...

აქვე გავეცნობით ედუარდ უგულავას წერილს, რომელიც უნიჭიერესი პოეტის, თემურ ჩალაბაშვილის, ხსოვნას ეძღვნება...თემურ ჩლაბაშვილის ხსოვნას ეძღვნება,ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის ლექსი "იმედის სანთელი", რომლითაც მოკრძალებით ვეფერები დიდი პოეტის მართალ სულს:

პირველ იანვარს შეხვდები ბეჟანს
და გაგახსენებს ახალგაზრდობას,
დრომ და ცხოვრებამ ის ადრე ჟეჟა,
ბედს არ ცოდნია თემურ დანდობა.
იმედის სანთელს მე კვლავ დავანთებ,
დეკემბრის სუსხმა ადრეც მატირა,
შენი ვარსკვლავი თბილისს ანათებს,
შენ ისევ მოხვალ...მოხვალ აპრილად!

პროზის ნაწილში განთავსებულია, კლასიკოსი მწერლის, რევაზ მიშველაძის რომანი "წამება" (დასაწყისი იხილეთ ჟურნალ "ათინათის" 28-32, 45-50 ნომრებში)...ამავე ნაწილში დაბეჭდილია, პროზაული ნაწარმოებები, რომელთა ავტორებიც არიან: ხათუნა ჩიტაძე, ლია ჩიქოვანი-გოგრიჭიანი, ია მაჭარაშვილი, მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე, ნინო ჭელიძე, ანამარია ლილუაშვილი, გვანცა ხარაიშვილი, იზა ვეფხვაძე...

პუბლიკის ნაწილში, დაბეჭდილია, ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის წერილი,რომელიც აკადემიის კურთხევის ლამაზ, მართლმადიდებლურ, ცერემონიას ეხება...აკადემია შექმნისთანავე აკურთხა, ფშავხევსურეთის მიტროპოლიტმა-მეუფე თადეოზმა... შემდგომში აკადემია აკურთხეს მამებმა– მერაბ დეკანოსიძემ და ამირან ამირანაშვილმა...წელს აკადემია გვიკურთხა მამა დავით ადამაშვილმა, რომელიც მეუღლით და პატარა ანგელოზით გვესტუმრა...ვუყურებდი ჩემი შვილის მოსახელე მამა დავითს და ვგრძნობდი ღვთის ძალით ვივსებოდი...ამავე ნაწილში დაბეჭდილია,

ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის წერილები: აფხაზეთი ქართულად ამღერდება; როცა მეუღლე გიყვარს; მე სულით მდიდარი ვარ; ნანა გიგუაშვილის ბენეფისი; მალხაზ ხარაიშვილის იდეა; სიახლე აკადემიაში; გზა მომავალს; ჩემი მეკვლე; სიხარულის ემოციები; შენ რომ გეცოცხლა; როცა სიყვარული გიხმობს; ასეთი დედა ვარ; უნდა გაჩუქო; დარდი გამიფანტე ბელა; მადლობა ნანა სხირტლაძეს;

წერილების განყოფილება, იწყება ლუარა სორდიას წერილით: "სულთა სიახლოვე გალაკტიონ ტაბიძისა და ტერენტი გრანელის სულიერი ნათესაობის ერთი ასპექტი"...წერილში ლაპარაკია, გალაკტიონის და ტერენტი გრანელის შემოქმედებით ნათესაობაზე, სულიერ სიახლოვეზე, რომელიც მრავალ ასპექტში იქნა გამოვლენილი...ამავე ნაწილში დაბეჭდილია, რევაზ მიშველაძის წერილი "წინათქმა", რომელიც ნიჭიერი პოეტი ქალის, ნინო უძილაურის, ლამაზ შემოქმედებაზე მოგვითხრობს...აქვე შეგიძლიათ წაიკითხოთ, ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის შემაჯამებელი წერილი, რომელიც "ათინათის" 50-ე საიუბილეო გამოცემას მიუძღვენი...წერილში "დევნილობაში ამღერებული მუზები" ჩემს დამოკიდებულებას (სითბოს) გამოვხატავ, ანსამბლ "ლომისის" ხელმძღვანელის, შალვა ილურიძის მიმართ, რომელიც ამჟამად წეროვანში ცხოვრობს და რომლისთვისაც ქსნის ლამაზი ხეობა, კვლავ წარსულის ცრემლია...

"პირველადობის სიმბოლო! დასაბამისეულის სიღრმე!"ასე ჰქვია წერილს, რომლის ავტორიც, მწერალი, ხათუნა ელიაშვილი გახლავთ...წერილის შინაარსი დაგვაფიქრებს და დაგვისვამს არაერთ (ცხოვრებისეულ) შეკითხვას: "ვინ ვართ ჩვენ?! სადაა ჩვენი საწყისი?! რატომ გვიჭირს მისი მოძებნა, მისი აღქმა, მისი გააზრება, რანი ვართ ადამიანები?!".

"სიბრძნის სკივრში" განთავსებულია, ნაირა უგულავას "აისის აპელიოტი", რომლის დასაწყისი დაბეჭდილია "ათინათის" 49-50 ნომრებში და ანთოლოგიის მე-13 ტომში...წერილის დღევანდელ თემატიკას "კულტურა, ერი, ტრადიცია" წარმოადგენს. მწერლის სიტყვებით: " "კულტურას", რომელიც ადამიანს მორალურ-ზნეობრივ სახეს არ უნარჩუნებს, ვერ მივიჩნევთ კულტურად"...

"ათინათის" ახალ ნომერს დაემატა დრამატურგიის განყოფილება, სადაც განთავსებულია, ირმა კეკელიძის პიესა "ზეთის ხილნარი"...პიესა ეძღვნება აფხაზეთის ომში დაღუპულ, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერის, ზურაბ ძამუნაშვილის ხსოვნას...

"შემეცნებითი სამყარო" წარმოდგენილია, ნაირა უგულავას "ბრალის თეორიით," სადაც გავეცნობით– სხვადასხვა მოტივსა და შინაარსზე აგებულ ბრალის ფორმებს (დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის 10-11-12-13 ტომსა და ჟურნალ "ათინათის" 38-50 ნომრებში)...

ისტორიის ნაწილში გავეცნობით, გოჩა ჭელიძის ნაშრომს" საქართველოს ისტორიის დიდებული მომენტები", სადაც ავტრის თქმით:"თამარ მეფის და ერეკლე მეორის შესახებ შემონახულ თქმულებებზე ახლო მომავალში ვისაუბრებთ. ამ ეტაპზე თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ გაზეთ "სანკტ პეტერბურგის უწყებანში" ერეკლე მეორეს შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებზე"...

სამართალმცოდნეობის ნაწილში განთავსებულია, ლალი ჩოდრიშვილის წერილი-" საკუთრების უფლების შეზღუდვა". ავტორის აზრით:" საკუთრების უფლება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ერთ-ერთი ყველაზე აბსოლუტური და მნიშვნელოვანი უფლებაა"... ქალბატონ ლალი ჩოდრიშვილის მიერ მოწოდებული თემა, საინტერესო და აქტუალურია, არა მხოლოდ ქონების მესაკუთრეებისათვის, არამედ საზოგადოების ფართო წრისათვის...

ეკონომიკის ნაწილში დაბეჭდილია, ვალერი მოსიაშვილის წერილი-" კომერციული ბანკების საპროცენტო პოლიტიკა და განაკვეთების გაანგარიშების მეთოდები". ავტორს, ნაშრომში, წარმოდგენილი აქვს, თუ როგორ განისაზღვრება საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, საბანკო

პროცენტის დონე...ნაშრომი სიღრმისეულად გვასწავლის, თანამედროვე საქართველოში, ბანკების საპროცენტო პოლიტიკის მართვას...

ხელოვნების განყოფილებაში გაეცნობით, ირმა კეკელიძის წერილებს: "დამაყარეთ გულზე მინდვრის ყვავილი" და "ვაჟიშვილი"..."დამაყარეთ გულზე მინდვრის ყვავილი" არის დოკუმენტური ფილმი, რომელიც 1993 წლის ოქტომბერში, სოხუმში, 9 აპრილის სახელობის სკვერში დახვრეტილი, ქართველი პოეტი ქალის, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ხსოვნას მიეძღვნა. ავტორის სიტყვებით:" ეს არის ფილმი-სპექტაკლი, სრულფასოვანი რეჟისურით, სცენარით, ოპერატორის ლამაზი ხედვით...ფილმი-სპექტაკლი, გაჯერებულია, სამშობლოს სიყვარულს ზვარაკად შეწირული პოეტი ქალის, ეთერ სამხარაძის ლამაზი ლექსებით, კომპოზიტორ ია მაისაიას ულამაზესი მუსიკით...კომპოზიტორი ია მაისაია, თავადვე არის ფილმის პროექტის ავტორი და სულის ჩამდგმელი...ფილმის რეჟისორი-ზვიად მიქელაძე, სცენარის ავტორი-ნინო ხოფერია"...რაც შეეხება მეორე წერილი "ვაჟიშვილი" ეხება, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის, სახელმწიფო დრამატული თეატრში დადგმულ, იგივე სახელწოდების მქონე სპექტაკლს. პიესის ავტორი, თანამედროვე ფრანგი დრამატურგი ფლორიან ზელერი გახლავთ. სპექტაკლის რეჟისორია-მერაბ ყოლბაია...ამავე ნაწილში შეგიძლიათ იხილოთ: გიორგი ჩლაიძის, ნინო კუტალაძის, ელენე ზურაბიშვილის შემოქმედებითი ნამუშევრების ფოტოები...

ნორჩი "ათინათელები" წარმოგვიდგენენ თავიანთ ლამაზ შემოქმედებას. ვიხილავთ, ნინი ზეინკლიშვილის ლამაზ ნახატებს და წავიკითხავთ მის მიერვე დაწერილ ლექსებს...ამავე ნაწილში წავიკითხავთ ნორჩი მწერლის, გიორგი ქემქაძის, მუსიკალური შინაარსის ნოველას "დიდი ოჯახის ფორტეპიანო"...აგრეთვე ვიხილავთ, პატარა მხატვრის, ელენე მაისურაძის ნახატებს...

გახსენების ნაწილში განთავსებულია, ლამზირა შეყილაძის ლექსი "უსაშველოდ ენატრება დედას". პოეტის სიტყვებით:

"შვილო! ავად ვარ...და სული მტკივა,
დარდი და ცრემლი სულს მიზიანებს.
ახლა, რომ ფეხზე წამოგაყენა
ჩამიყუჩებდი სულის იარებს"...

ამავე ნაწილში, განთავსებულია, ჩემი პოეტური მოფერება, მარადიულ სიცოცხლეში მყოფი ჩემი შვილისადმი:

მოგონებები ინისლება სევდის მალულად,
დღე არ გავა, რომ არ მახსოვდე სულის არაკო,
ახლაც ფიქრები შვილო შენსკენ გამოპარულა,
არ დამეღალო, ლექსებით თუ გელაპარაკო!..

გილოცავთ "ათინათელებო" 51-ე ნომრის გამოცემას! დღეიდან უკვდავების გემით უნდა ვიმოგზაუროთ, სადაც მხოლოდ სიყვარული და ერთმანეთის მიმართ პატივისცემაა, რადგან უფალს უბრალოება და თავმდაბლობა უყვარს. რეზო ადამიას მიერ შექმნილი წმინდა ნინოს, წმინდა გიორგის და დედა-ღვთისმშობლის ხატები დაგიცავთ ამ გზაზე...

პატივისცემით, "ათინათის" მთავარი რედაქტორი–
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ირმა კეკელიძე

სიმონ მილორავას შთამომავლობა



სრულფასოვანი, მხატვრული ნაწარმოების (წიგნის) კითხვა, სიამოვნებას მანიჭებს, როგორც მკითხველს. ასევე სიამოვნება შეიძლება მომანიჭოს დოკუმენტურმა (რეალური ყოფის ამსახველმა) წიგნმა, რომელიც ბრძენ, ჭეშმარიტ პიროვნებას, მშობლიურ მიწაზე მყარად მოკიდებულ ადამიანს და მის შთამომავლობას ეძღვნება...

ლიტერატურულ ნაწარმოებში, პერსონაჟების ცხოვრებით და მოქმედების მსვლელობით ვართ დაინტერესებული. რაც შეეხება დოკუმენტურ– ბიოგრაფიული წიგნის წაკითხვისას, გამოგონებული პერსონაჟების ადგილს, რეალურ ცხოვრებაში (წარსულსა და აწმყოში) არსებული ადამიანები იკავებენ...კონკრეტულ შემთხვევაში (მეტ-ნაკლებად) ტენდენციური ვიქნები, რადგან წიგნის ავტორები, დები, მედიკო და ფლორა-ნაზი მილორავები (წიგნის რედაქტორი, მათი და, ნუნუ მილორავა), რეალური პერსონაჟები, იმ სოფლის, იმ მამითადის მკვიდრნი არიან, საიდანაც ჩემი ოჯახის და წინაპართა ფესვებიც მოდის... სადაც ჩემს ბავშვობაშიც, აწმყოშიც, დიდი სიხარულით მიმეჩქარებოდა და მიმეჩქა-რება...სადაც ძალიან მიყვარდა და მიყვარს ყოფნა...

წიგნის ავტორების თქმით, მთავარი გმირი: "სიმონ მილორავა გვარში დაფასებული, პატივსაცემი აზნაური გახლდათ. მისი მამული ჰექტრობით მონაკვეთზე გადაჭიმულიყო. მარტო ტყე, რომელიც ჩვიდმეტ ჰექტარს მოიცავდა, ნადირ-ფრინველით იყო სავსე, ისე რომ ცა არ ჩანდა თურმე... ნადირობა მხოლოდ სეზონურად შეიძლებოდა. ტყე, რომელშიც მუხის, აკაციის, კოპიტის, ჭადრისა და რცხილის ასწლოვანი ხეები ხარობდა, მილორავების სიამაყეს წარმოადგენდა...სიმონი თავის მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად, ვანის რაიონის, სოფელ ტობანიერში ცხოვრობდა"...რადგან ვანის რაიონზეა საუბარი არ შემიძლია გვერდი აუარო და მოკლედ არ გავიხსენო ის ფაქტი, რომ ვანი ანტიკური ნაქალაქარია და იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშიც ღირსეული ადგილი უჭირავს...ვანი მდიდარია სახელგანთქმული ადამიანებით, რომელთა ფესვებიც მის მიწას (მამითადს) მჭიდროდ არიან მიჯაჭვულები. მათი მცირედი ჩამონათვალიც საკმარისია, რომ ყველა მიხვდება, საქართველოს როგორ მაგიურ და გამორჩეულ კუთხესთან გვაქვს საქმე...ცნობილი ვანელები არიან: კალისტრატე ცინცაძე, კორნელი კეკელიძე, გალაკტოინ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ჯემალ ქარჩხაძე, ნიკოლოზ (ნიკა) აგიაშვილი, კოლაუ ნადირაძე,გიორგი ნაფეტვარიძე, კარლო საკანდელიძე და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს...შემთხვევით გონებაში წამომოტივტივდა, მურმან ლებანიძის სიტყვები: "იმ ღამეს ჭყვიშთან ვერ დიოდა წყნარად რიონი, თურმე, იმ ღამეს დაიბადა გალაკტიონი." მართლაც, რომ გენიოსების სავანეს წარმოადგენს, იმერეთის ეს ულამაზესი ნავსაყუდელი...რაც შეეხება, სოფელ ტობანიერში, სადაც იმ წიგნის გმირი დაიბადა, რომელზედაც ვსაუბრობთ, დაიბადნენ და გაიზარდნენ: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტატესი, კალისტრატე ცინცაძე და დიდი ენათმეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი კორნელი კეკელიძე.



სიმონ მილორავა



ნიკოლოზ მილორავა

რიმა კერელეიშვილი-მილორავასი

წიგნის ავტორები, მთავარი გმირის, სიმონ მილორავას შვილიშვილები არიან. სიმონს პირველი მეუღლესთან (მარგველაშვილის ქალთან) ექვსი შვილი შესძენია. სამწუხაროდ მეუღლე ნაბოლარა შვილზე მშობიარობას გადაჰყოლია. მოგვიანებით, სიმონმა მეორე ცოლი, პატივსაცემი ოჯახის ქალიშვილი, ეფროსინე ავალიანი შეირთო. ავტორთა თქმით: "ასე მოხვდა ეფროსინე ავალიანის ქალი მილორავების ოჯახში, სადაც მეუღლის ექვსი შვილი დახვდა...ბებია საოცარი დედა გამოდგა. მას სიმონისგან ხუთი შვილი ეყოლა: საშა, გუცანა, შალიკო, თამარი და კოლია. ასე რომ, თერთმეტი შვილის დედობა ისე აიღო საკუთარ თავზე, რომ არცერთი გაურჩევია ერთმანეთისგან"...

თამარ (თამუსი) მილორავა

ნუნუ და ნაზი მილორავები

ტობანიერში დასახლებულ სიმონ მილორავას დიდი ოჯახი და მისი შთამომავლობა, უკვე ექვს თაობას ითვლის. ისინი ჩვენი ქვეყნის სვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ და წარმატებული ადამიანები არიან...წიგნის ავტორების მამას, ნიკოლოზ მილორავას, ოთხი ქალიშვილი შეეძინა: მედეა, თამარი, ფლორა (ნაზი) და ნუნუ მილორავები. სამწუხაროდ, თამარმა, სულ ახალგაზრდამ, 21 წლის ასაკში, დატოვა ამქვეყნიური ცხოვრება და ცათა სასუფეველში გადაინაცვლა...წიგნის ავტორები (მედიკო და ფლორა-ნაზი მილორავები), დიდ პატივს მიაგებენ,

მათი ბაბუის სიმონ მილორავას ხსოვნას. სხვათა გადმოცემით, მკითხველსაც გვაწვდიან ინფორმაციას, თუ მათი წინაპარი, რამდენად კეთილშობილი ადამიანი იყო...წიგნიდან ვგებულობთ, თუ როგორ შეიფარა და გაზარდა ობოლი ბიჭი, სიმონის ოჯახმა, თერთმეტ შვილთან ერთად...ძალიან საინტრერესო და სევდის მომგვრელია ნიკოლოზ მილორავას ცხოვრება, რომელსაც 1937 წლის რეპრესიის უსამართლო ტალღამ, ციმბირში გადასახლება გამოუტანა განაჩენად...მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ფაშიზმის რისხვა მთელს ევროპას და ყოფილ საბჭოთა ქვეყანასაც დაატყდა თავს, ნიკოლოზ მილორავა დაუფიქრებლად დადგა მის დამცველთა რიგებში...თორმეტი საპატიო ჯილდოთი დაბრუნდა ვალმოხდილი მებრძოლი, ნიკოლოზ მილორავა, საქართველოში. მან ბრძოლით მოიარა ჩრდილოეთ კავკასია, უკრაინა, ყირიმი, ბელორუსია, კენისბერგი (კალინინგრადი), ბალტიისპირეთი და გამარჯვებამ ბერლინში მოუსწრო...დები მილორავები, თავის ნაშრომში, არა მხოლოდ თავისი ოჯახის, არამედ ყველა იმ ადამიანების, ახლობლების, ნათესავების, ნათელ-მირონების, მეგობრების ცხოვრებაზე, მათ ღირსეულ და ღირებულ ყოფაზე გვესაუბრებიან (მოგვითხრობენ), ვისთანაც კი თავიანთ ცხოვრების მანძილზე ურთიერთობა და კავშირი ჰქონიათ... ძალიან გამიხარდა და სიამაყის გრძნობა დამეუფლა, როდესაც წიგნში, მათ ახლობლებს (ნათესავებს შორის), ჩემი სტუდენტობის უახლოესი მეგობარი, წარმატებული ექიმი და უკეთილშობილესი პიროვნება, გელა მეცხვარიშვილი და მისი უსაყვარლესი დედიკო, ქალბატონი იზო გოგოძე აღმოვაჩინე...ვანში, სოფელ ტობანიერში, სიმონ მილორავას შთამომავლობა– "ნიკოლოზ მილორავას ქალიშვილები, მათი შვილები და შვილიშვილები უვლიან და პატრონობენ სახლს. მათთვის ეს ადგილი წმინდაა, სადაც ისევ დგას საგვარეულო, ასწლოვანი კოპიტის ხე, შუშაბანდიანი ორსართულიანი ძველი სახლი...სახლი უამრავ მოგონებას ინახავს. ის მოწმეა იმ დიდი ბედნიერების, სიხარულის, ტკივილისა და ტრაგედიის, რაც ამ ოჯახმა გადაიტანა...ის არამარტო მშობლიური, არამედ საოჯახო ქრონიკების და ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია"...წიგნის –"სიმონ მილორავას შთამომავლობის" წაკითხვისას, დამეუფლა განცდა იმისა, თუ როგორ იბადებიან ადამიანები, ცხოვრობენ, იბრძვიან, არსებობენ და თუ მათ ცხოვრებას, შთამომავლობას, ღირსეული ყოფა გასდევს მეგზურად, ლიტერატირულ ნაწარმოებშიც ან დოკუმენტურ– ბიოგრაფიულ წიგნებშიც იდებენ მყუდრო და დაუნგრეველ ბინას...მადლობა წიგნის ერთ-ერთ ავტორს, ქალბატონ ფლორა მილორავას, მოკრძალებული, გულწრფელი გრძნობით ნაჩუქარი წიგნისათვის, რითაც არა მხოლოდ მისი ღირსეული წინაპრების ცხოვრებას მაზიარა, არამედ ჩემს ლამაზ სოფელშიც მამოგზაურა...ჩემი მხრიდან კი ქალბატონ ფლორას და მისი ლამაზი დების მიმართ, გალაკტიონის ლექსით მინდა გამოვხატო მადლიერება...

მედიკო და ნაზი მილორავები

მახსოვს ზაფხული

მახსოვს ზაფხული ტობანიერის,
ჩვენი მდინარე და მეფის-ჭალა.
დედა სათუთად შლის "ივერიას",
მდინარის ქარი ჰქრის ჩალა-ჩალა.

არც ის ზაფხული არსებობს ახლა,
არც მეფის-ჭალა, არც ის მდინარე,
სულ სხვა დროებამ ხმა აღიმაღლა
და გზა წაშალა მონანინარე.

ეს გზა გაუქმდა. გზა გაიშალა
სხვა ჰორიზონტის ფრთაგანიერის.
მდინარის ქარი ჰქრის ჩალა-ჩალა.
მახსოვს ზაფხული ტობანიერის!

ხათუნა ელიაშვილი

გაცხადებული სული

"ვეფხისტყაოსანი"

ჩემი სულის ვეფხისტყაოსანი, ჩემში დანახული სიდიადე, გაცოცხლების პროცესი.

კაცობრიობის რენესანსი!

"შოთა რუსთაველი"

გულის მწვერვალზე აყვანილი ოცნებაა, ჩვენივე საწყისის სიმბოლო, როგორც ახალი ცხოვრების დასაწყისი, განსაკუთრებული ხედვის ნაწილი.

მონათვლა ხდება!

"ვეფხისტყაოსანი" – გატყავებული ვეფხვი, დამორჩილებული ეგოა!

დამოუკიდებელი შემოქმედების უფლება ეს ჩვენი არჩევანია!

სიყვარულია საწყისი!

სიბრძნე, სილამაზე და ჯამრთელობა კი ჩვენივე სულის ალქიმიური მოვლენა!

შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი" საკუთარი სივრცის შევსებას ახდენს მხოლოდ ადამიანში.

იზრდები ცნობიერად, დამოუკიდებლად შესწავლა ხდება სულის!

სამყაროსთან კავშირის არსებობა გვაძლევს ღვთიურ ნიშანსაც და განსაცდელსაც, რომლითაც ივსება კალამი და წერს.

ზუსტად ამ კალმით დაიწერა "ვეფხისტყაოსანი"

ანუ ეს ვეფხის-ტყაოს-ნის კ-ალამია!

დროშაა ღმერთის,სივრცის და ადამიანის!

ეს კალამი ერთადერთია და ჩვენთვისაა განკუთვნილი, ის ზევით, კოსმიურ კავშირთანაა შეერთებული და პარალელს ავლებს სამყაროსა და ადამიანს შორის.

აქ სულიერი განზომილებაა!

უნდა გავაცნობიეროთ ეს სულიერი საგანძური, გონივრული განზომილება, სიცოცხლის შინაარსი, რადგან ეს აღმავალი წერტილია ჩვენში.

ატომის ამოქმედება ხდება!

შენ ხარ შენივე თავის შემომქმედი, შენშივე აყალიბებ ჭეშმარიტებას, შენვე მოიპოვებ უფლის დაუფლებას!

იპოვე ჭეშმარიტება!

მაღალიც და მდაბალიც ჩვენშია, მაღლის მიზანი ევოლუციაა!

დედამიწა სკოლაა!

ამ ცოდნის შეძენას ბრძენი ადამიანი შესძლებს, აზრში გაჩერების უნარი ხელოვნებაა.

სამყაროს ბუნების უსასრულობა.

სიბრძნე მხსნელია, ზეციური მოვლ-ენა,

მარწუხებისაგან განთავისუფლება მოდის.

ქართველობა ცხოვრებისა და ურთიერთობების მოდელია საკუთარ თავთან, ღმერთთან და ბუნებასთან.

"ვეფხისტყაოსანი" – იდეაა!

მისი ყოველი თავი იდეის მატარებელია კაცობრიობისთვის, სადაც ჩვენი სრულყოფილება დევს, ჩვენი სიდიადე, სიმაღლე, სახელი, სიყვარული, ჯამრთელობა, ურთიერთობა, ძალა, ნება, გრძნობა, სუნთქვა, ხედვა და გემო.

ცხოვრების გემოს სულიწმინდაზე გასვლით ახერხებს ადამიანი, ესაა მთავარი პიროვნებისთვის შეინარჩუნოს სიწმინდე, დაიცვას სიკეთე, დაიოკოს ვნებები რათა არ დაკარგოს ღვთიური განძი,მის სხეულში არსებული მაღალი სული!

შენ, ანუ " მე" საკუთარ თავშივე სპობ ყოველივე უარყოფითს რაც აზრებიდან მოდის და ეს გახსნილი გონება, საკუთარი შინაგანი თუ გარეგანი სამყაროს თავისუფლებას გაპოვნინებს, გვამაღლებს,რაც ღმერთთან დაახლოვების შესაძლებლობაა!

1. " რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა".

რომელ – "მან" ანუ ვინ იყო,ან აწი ვინ იქნება კიდევ ვინც შექმნის საკუთარ სამყაროს, ანუ სამებაში შესვლას გულისხმობს "ძალითა მით ძლიერითა", და ეს ძლიერი ძალა "მით"-ებშია,სადაც ცოდნაა დამალული და ეს მითებია ამ ნაწარმოებში" ვეფხისტყაოსანში" ზუსტად.

სამ – ყ(ხ) ა როს შექმნას ზუსტად ეს უდევს საფუძვლად და მისი ძალაც აქედან განისაზღვრება.

"ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა, ზეცითა მონაბერითა"

ზე– ციდან გადმოსული არს, ე.ი უკვე იქ არსებული ცოდნა-"ნი", ცნობიერი აზრი, რომელიც სიბრძნითაა გაჯერებული ზუსტად მაღალი სულის რაობაზეა მოსაუბრე, "სულთა ყვნა" მაღლა აყვანილი სული.

"ზე– ცითა მონაბერითა"– როგორც ჰაერი, ჟანგბადი, ისეთი ყოფილა და ეს როგორც ყოველ სულდგმულს სჭირდება ისევე ყოფილა საჭირო ყველასათვის. რადგან იწმინდება ტვინი, აზრი ლაგდება და ადამიანი უკვე ღმერთის არსს წარმოადგენს.

ზე – ზეციური მოვლენაა!

ეს ბუნების შექმნილი მარადიული სიცოცხლის უფლებაა!

სწორი აზრი ჯამრთელობაა სხეულში, ასევე სისხლის მიმოქცევას აწესრიგებს.

"ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა."

"ჩვენ, "ანუ ყველაზეა საუბარი, "კა-ცთა". "კა" – მუდმივად მზარდი სულია, ანუ ზეციური სული.

(ბგერებში ჩატეული უსასრულობაა "კა". " ნი". და ა.შ.)

"მოგვცა ქვეყანა" – ე.ი ეს ქვეყანა მაღალი სულთათვისაა თან უთვალავი ფერთ.

მიკრო და მაკრო სამყარო ადამიანსა და ქვეყნას აერთიანებს, მთლიანობაში სივრცის შემავსებლები ვართ, ზუსტად ამ სივრცეს ვავსებთ ჩვენი აზრებით და ცხოვრებასაც ამ სივრცით ვაგრძელებთ ანუ ვცხოვრობთ და ფერებით განისაზღვრება.

ანუ მოვეფეროთო, "უთვალავი ფერითა" – უსასრულო სიყვარულზეა საუბარი, წმინდა სიყვარულზე, უპირობო სიყვარულზე.

"მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მისმიერითა" ზუსტად აქედან დგება ყოველი "ხელ–მწიფე" – ხელმწიფობა ცოდნას მიუთითებს, რაც ღმერთს უტოლდება და მის არსზეა მოსაუბრე.

ღვთის არსში წვდომაა მთავარი და ეს "როს-ტევანი" დროში შევსებული მტევანია, უკვე მწიფე,სავსე და ტკბილი.

მტევანს ხელსაც ვუძახით და თურმე სიბრძნე ხელიდანაც მოდის.

ზუსტად ეს იგულისხმება "ხელ-მწიფე"-ში.

ადამიანი როცა იბადება ზუსტად ზრდა ახდენს დაბრძენებას და განვითარებას ცხოვრების მაგალითებზე, გამოცდილება ტანჯვაზე.

ის ვერ იქნება სრულყოფილი ადრეულ ასაკში, თანდათან აღწევს ამ დონეს.

2. ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა."

"ჰე" – შეძახილია, რადგან ერთადერთ ძალად მხოლოდ ღმერთი მოიაზრება ადამიანის სახისა და ტანის შექმნაში და "ტ-ანი"-ს, ანბანით შევსება ხდება.

ეს ანბანი არის ღვთიური ძალა, ენერგეტიული ველი, რომელიც ღვთიურ სასწაულს ახდენს სხეულში და აწესრიგებს.

"შენ დაიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა!"

მისი სწორად გამოთქმა და მის წიაღში შესვლით სა– ტანა დაითრგუნება,და დაძლევა მოხდება უარყოფითი და მავნე მოქმედებების.

"შენ დამიფარე" – ანუ ფარად დამიდექიო.

მდაბალი ხარისხის აზრის დათრგუნვაზეა საუბარი.

"მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდიმდე გასატანისა."

აქ სიყვარულის ძალის მოთხოვნაზეა საუბარი, ამ უდიადესსა და ერთადერთ ძალაზე,რადგან ერთადერთი გრძნობაა რაც ადამიანს სიკვდილისაგან აშორებს.

სიკვდილი გააქვს სხეულიდან.

"ცოდვათა შემსუბუქება, მუნ თანა წასატანისა."

ცოდვა – უსიყვარულობაა!

"მუნ" სიკვდილზე გატანება,ანუ მოსპობა სხეულში სა-ტანის.

მაღალი ეგო, უსიყვარულობა და უსულობაა პირდაპირ მწარმოებელი,დამაპროგრამებელი პიროვნებისა, ზუსტად სხეული ხდება ცოდვის ბუდე თავის არეში წარმოშობილი აზრებით საიდანაც ითესება შემდგომ სხეული.

როდესაც აზროვნების ფორმა ღვთიურს უტოლდება და ხდება სიყვარულით შევსება, უპირობო სუყვარულზეა აქ საუბარი, მაშინ უზენაესი სიცოცხლის შემომქმედი ხდები და ავსებ სამყაროს.

აქ სულის ამოცნობის მაღალი არსი დევს!

გაცხადებული სული ეს იგივეა, რაც დროში მოჭედილი მინანქარი, ცის კიდეზე მზის სხივები, საიდანაც დიდი სიბრძნე მოდის.

გრძნობა – გონების ერთიანობაა.

" ვეფხისტყაოსანის" სულის სარკეში ჩახედვაა მთავარი,, მის სიღრმეში გასვლა, ის სულიერ კავშირს ახდენს საკუთარ სხეულთან, ყოველ უჯრედთან, ორგანოსთან, ატომთან.

"ვეფხისტყაოსანი" გზაა! მიზანი!

სიცოცხლე!

სიყვარული და ადამიანობა!

ა-და-მი-ანი-ააო!

ე.ი. თვითონ ბგერების ერთიანობა ადამიანობასთან ჰქონია კავშირი,გაგება კი ღვთიური!

"როს-ტევ-ანი" კი დროში ჩატეული "ანია", ანბანია!

ქართული ენის სადიდებელია ეს პოემა!

საქართველოს გული!

უკვდავების არსი!

თვითეული სიტყვა შვიდ გზას გადის და ეს შვიდი გზა დამამშვიდებელია, უთვალავ სხივებს ითვლის.

ღმერთის ცნობიერება გვაძლევს და გვამდიდრებს ამ ცოდნით. აზრში ჩატეული მსხმოიარე ვენახია, რომელიც აღორძინდება ჩვენში, ვაზი უფლისა, ზრდას განაგრძობს და დაიწყებს ცის კაფვას და გასუფთავებას.

სიმართლე კონტაქტია უფალთან!

იწერება უბრალო ენით, რათა უფრო გასაგები გახდეს ყველასათვის და ადვილად მისაღები!

უბრალოება ბრალიანობას ბადებს!

და ეს პროცესები აბსოლიტურად ყველასი და ყველაფრის ცხოვრებაში დგება, რომელიც გვაქვს გასავლელი, გვინდა თუ არ გვინდა მაინც განვიცდით, ამიტომ მაღალი ცნობიერება გვაძლევს იმის გარანტიას რომ იოლად და უბრალოდ მივაგნოთ საღ აზრს თავისუფლების მოპოვებისთვს!

გაგრძელება იქნება

2024წ. აპრილი!

მოგზაური

ჯემალ კასრაძე

კაცი – პერპეტუმ-მობილე, ანუ მსოფლიოს გარშემო

ველოსიპედით მოგზაურის ნაკვალევზე

გინესის წიგნის თერთმეტგზის რეკორდსმენის, მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით მოგზაურის, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას გამცილებელთა ჯგუფში რომ შემიყვანეს, ვიფიქრე, გზადაგზა ბევრი ადამიანი შემხვდება და გოდერძი ჩოხელის ერთ-ერთი მოთხრობის პერსონაჟ ჩაჩას მსგავსად, დარდებსაც შევაგროვებ-მეთქი. მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ ამ ჩანაფიქრს ჩემი დარდის აღწერით დავიწყებდი.

საქმე ისაა, რომ, ჩვენი ტრანსპორტის გადამკიდეს, სულ რაღაც ხუთიოდე წუთით დამაგვიანდა თბილისის მერიასთან მისვლა, საიდანაც რუსთავში „რაფი“ უნდა გასულიყო (მოგეხსენებათ, ამ „ეპოკაცურმა“ მოგზაურობამ სტარტი აქ აიღო). ჩვენი ჯგუფის წევრებსაც, მაინცდამაინც, მაშინ გამოედოთ თავი და გერმანული სიზუსტით გასულიყვნენ.

ველარაფერი შეღავათი იყო ის, რომ ჩემსავით დააგვიანდა ერთ-ერთ გამცილებელს, ჩემს მეგობარს, გაზეთ „დედამიწის“ პასუხისმგებელ მდივანს ავთანდილ გურასაშვილს, კაცს, რომელიც საერთოდაა დაგვიანების დიდოსტატი, მაგრამ ამით არასოდეს დაზარალებულა.

თუ როგორი ჯახირით ჩავედით რუსთავში და როგორ შემთხვევით დაგვინახეს „რაფელებმა“, ამის მოყოლით თავს აღარ შეგაწყენთ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ჩვენი კუთვნილი ადგილი დავიკავეთ (ჩვენი სადარდებელიც აქ დამთავრდა) და ბატონი ჯუმბერის კვალს დავადექით, რომელიც ენერგიულად მიაპობდა ქარს (მოგვიანებით იგი იტყვის – საქართველოში ეს იყო ყველაზე მძიმე მონაკვეთი).

„მას ძალა კოსმოსიდან მიეწოდება“

პირველად სიონის საკათედრო ტაძართან შევისვენეთ. აქ გასაცილებლად მოსულთაგან ერთ-ერთს – უფოლოგ თალეს შონიას გამოველაპარაკეთ.

– ჯუმბერს დიდი ხანია ვიცნობ. ერთადაც გვიმუშავია. მას ძალა კოსმოსიდან მიეწოდება. კუნთები, ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, ფორმალურ მხარეს ასრულებს. ამას გარდა, ჯუმბერს ღმერთი მფარველობს და დარწმუნებული ვარ, იგი თავის მისიას შეასრულებს.

სიონთან გავიცანი ბატონი ნუგზარ კიკნაძე, კაცი, რომელიც მერმის აპირებს თავისი ხელით აგებული აფრიანი ნავით, ერთ წელიწადში მარტოდმარტო შემოუაროს დედამიწას. არაა გამორიცხული, ის და ბატონი ჯუმბერი დედამიწის რომელიმე წერტილში შეხვდნენ.

საოცარი დამთხვევაა, რომ ბატონი ნუგზარი, ისევე, როგორც ბატონი ჯუმბერი, ელექტროინჟინერია (სხვათა შორის, ერთ ელექტროინჟინერს სარფამდე კიდევ შევხვდებით).

არცთუ ლირიკული გადახვევა: 1987 წელს ბატონმა ჯუმბერმა კლინიკური სიკვდილი გადაიტანა (მას განგრენა დაეწყო და ქირურგებმა სამი მეტრი ნაწლავი ამოკვეთეს). იგი გვირაბის ბოლოს განათებულ ადგილას გავიდა და ზღაპრული სილამაზის მთები და ცა დაინახა. სფეროს ქვეშ სამი კაცი იდგა. მათ ბატონ ჯუმბერს უთხრეს, რომ იგი უკან, დედამიწაზე უნდა დაბრუნებულიყო, რადგან დიდი საქმეები ელოდა.

ბატონ ჯუმბერს ძალიანაც არ უნდოდა იქაურობის დატოვება, მაგრამ უსიტყვოდ დაემორჩილა. ექიმები, უკეთეს შემთხვევაში, ხეიბრის ეტლს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ დიდი ნე-

ბისყოფით შეძლო ფეხზე დადგომა. ექვსიოდე თვის შემდეგ მანქანით ქუჩაში სასეირნოდ გამოსულმა დაინახა კაცი, რომელიც მანქანას ვერ ქოქავდა, სალონში კი მისი შვილიშვილები სიცივისგან იბუზებოდნენ. ბატონი ჯუმბერი, რომელსაც ჭრილობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული, მთელი ძალით მიაწვა მანქანას და... მეორე ოპერაცია არანაკლებ მძიმე გამოდგა, ვიდრე პირველი. განკურნება კი უფრო რთული და ხანგრძლივი, მაგრამ დიდმა ნებისყოფამ კვლავ თავისი გაიტანა. ვარჯიში ხეიბრის ეტლში დაიწყო...

სვეტიცხოველში

დარდი №2-3. მორიგი გაჩერება მცხეთაში, სვეტიცხოველთან გვქონდა. ბატონმა ჯუმბერმა, ისევე, როგორც სიონში, სანთლები დაანთო. მათგან ერთ-ერთი სამი წლის წინ გარდაცვლილ მეუღლეს ეკუთვნოდა, ადამიანს, რომლის სულმა არაერთხელ მოუწონა და დაუჭირა მხარი მეუღლის მოგზაურობას.

სვეტიცხოვლის მღვდელმა ტაძრის ნიშიდან წმინდა მიწა გაატანა ბატონ ჯუმბერს.

მოგზაურის თვალცრემლიან ქალიშვილებს, მაიასა და ხათუნას დაველაპარაკე.

– ძალიან გვეამაყება, რომ ასეთი მამა გვყავს, მაგრამ ძალიან გვადარდებს მისი რთული გზა და ის, რომ დიდხანს ვერ ვნახავთ.

– ბაბუა რომ ჩამოვა, მე თორმეტი წლის ვიქნები, – მითხრა ექვსი წლის ლაშამ, ოთხთაგან ერთ-ერთმა შვილიშვილმა.

დადგა დიდი დამშვიდობების დრო. ეს იყო მოგზაურობის ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი მომენტი. ბატონი ჯუმბერის ბოლო სიტყვა იყო – ერთმანეთს მიხედეთ.

მცხეთაში, ქერდიკაშვილების ოჯახში, გამოსამშვიდობებელი სუფრა გაიშალა. მასპინძლისთვის, ბატონი შოთასთვის არ მიკითხავს, რა დარდი აწუხებდა – კედლიდან გვიმზერდა ახალგაზრდა ვაჟკაცის (შვილის) გადიდებული სურათი...

პირველი საჯილდაო ქვა

ღამე ხაშურში უნდა გაგვეთია და წინ საკმაოდ დიდი გზა გვქონდა.

გორში, სტალინის ძეგლთან, გამვლელ-გამომვლელები შემოგვეხვივნენ, ყველას აინტერესებდა, ახლოს ენახა ჯუმბერ ლეჟავა. ერთმა ახალგაზრდამ მკლავზეც კი შეავლო ხელი – კუნთები მოუსინჯა.

გორის ასავლელი აღმართი პირველი საჯილდაო ქვა აღმოჩნდა ხარკოვში საგანგებოდ დამზადებული ველოსიპედისთვის. სამწუხაროდ, პირველივე მონაკვეთზე ჯაჭვი კბილანებს ასცდა და ველოსიპედმა და პატრონმა როლები გაცვალეს. მოვლენებს წინ გავუსწრებ და ბარემ აქვე ვიტყვი, რომ იგივე ავადმყოფობა ველოსიპედს კიდევ რამდენჯერმე დაემართა.

სამი პომიდვრის წვლილი

„რაფელები“ დავწინაურდით, რომ ხაშურში სასტუმროს საქმე მოგვეგვარებინა. ორი საათის შემდეგ, ღამის 11 საათზე, ხაშურში ბატონი ჯუმბერიც შემოვიდა (იმ დღეს მან 180 კილომეტრი გაიარა). მანამდე კი, როგორც მოგზაურობის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა, ბატონმა რობერტ ღარიბაშვილმა გვითხრა, ადგილობრივი სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ბოდიში მოუხდია – რესტორანი 8 საათზე დაიკეტა და ვახშამზე უკაცრავადო.

სამწუხაროდ, ვერც მცხეთის მშვენიერი სუფრის გახსენებამ გვიშველა და ვერც იმან, რომ მოგზაური ყველა გაჭირვებისთვის და, მათ შორის, შიმშილისთვისაც, მზად უნდა იყოს. ჩვენი უმთავრესი საწუხარი იყო ბატონი ჯუმბერ ლეჟავა, რომელსაც ენერგიის აღსადგენად კალორიული საკვები სჭირდებოდა.

ყველა მაშინ დავფიქრდით, რომ ბრმად ვენდეთ ორგანიზატორებს და შინიდან არაფერი გამოვიყოლეთ.

აქ ნაწილობრივ გვიშველა „ივექსის“ კორესპონდენტის ბესო ჭინჭარაულის „ხელმრუდობამ“, რომელმაც გზაზე ღობიდან მომზირალ წითელ-მწვანე სამ პომიდორს ადგილი შეუცვალა. ამ ნობათს ცოტ-ცოტა რამ სხვებმაც მიუმატეს და საუკუნის მოგზაურობის გაგრძელებაში თავისი ისტორიული წვლილი შეიტანეს.

არაკომპეტენტურობის გამო გვიჭირს იმის განსაზღვრა, ხაშურის სასტუმრო რამდენვარსკვლავიანი იყო, მაგრამ, როდესაც სართულის მორიგემ გვითხრა – ნათურიანი ოთახი გიპოვეთო, ქვეცნობიერად მივხვდი, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე ვიყავით გაჩენილები.

აქვე, ერთი აღმოჩენაც დავაფიქსირე, მოპარვისგან დაზღვევის მიზნით – ყველა გრაფინს თავი ჰქონდა წამტვრეული. დილის 6-ის ნახევარზე, ძირითადი და დამხმარე „ეკიპაჟი“ სრულ მზადყოფნაში ვიყავით. სამწუხაროდ, ხაშურელებმა ვერ გაიგეს, რომ მათ სასტუმროში ღამე გაათია მოგზაურმა, რომელიც, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, საპატიო ადგილს დაიკავებს მსოფლიოს მოგზაურთა ელიტაში.

ლირიკული გადახვევა: გინესის წიგნში დედამიწის გარშემო ველოსიპედით მოგზაურობის სამი მნიშვნელოვანი ფაქტია აღნიშნული. ყველაზე ხანგრძლივი იყო შოტლანდიელი ტომი ჩემბერსის მოგზაურობა. მან 1922 წელს დაიწყო და 1973 წელს დაამთავრა (გაიარა მილიონ 200 ათასი კილომეტრი). ხანგრძლივობით მეორე ადგილზეა ინგლისელი უოლტერ სტიელი – 1952-1976 (24 წელიწადში დაფარა 650 ათასი კილომეტრი). კანადელმა ჯონ სატაუიმ ყველა კონტინენტის შემოვლას ოთხი წელი მოანდომა (გაიარა 81.800 კილომეტრი).

თბილისელმა ჯუმბერ ლეჟავამ შვიდი წლის განმავლობაში უნდა გაიაროს 300 ათასი კილომეტრი. აქედან 240 ათასი ველოსიპედით, დანარჩენი გემით. ამ ხნის განმავლობაში იგი უნდა შევიდეს ყველა ქვეყანაში, გარდა კუნძულების ხერდისა და მაკდონალდის.

მოდით, ბარემ აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ საქართველოში პირველი ველოსიპედი ნიკო ნიკოლაძეს შემოუტანია.

შეხვედრა „ხუტა უფროსთან“

მომდევნო მცირე შესვენება შროშამდე გვქონდა – „სულიკოს“ მემორიალთან. აქ მოხდა ერთი საოცარი დამთხვევა (ეს სიტყვა, მგონი, ადრეც ვიხმარე), მემორიალთან მოსაუზმე კაცებს შორის შევიცანით ფილმ „რეკორდის“ მთავარი როლის შემსრულებელი გოვენ ჭეიშვილი – „ხუტა უფროსი“. სწორედ ამ ფილმის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, ქვის მსროლელი ჯოტიას სახელი ჰქვია საქართველოს არაჩვეულებრივი რეკორდების კლუბს, რომლის პრეზიდენტი გახლავთ ბატონი ჯუმბერ ლეჟავა.

ბატონი გოვენი ამჟამად ქუთაისის თეატრში მუშაობს და თბილისში იმიტომ მიდიოდა, რომ შვილიშვილი – გიორგი შესძენოდა.

სამწუხაროდ, ბატონ გოვენს ფეხი ჰქონდა გაკავებული. ბატონმა გვანჯი მანიამ, „მოგზაურობა-93“-ის პრესცენტრის ხელმძღვანელმა, სთხოვა ბატონ ჯუმბერს, ის ვარჯიშები ეჩვენებინა, რომლითაც თვითონ განიკურნა.

დარდი №4. ბატონი გოვენი – იცით, რა მადარდებს? მეგობრიდან მეგობართან რომ გადავდივარ, მეშინია, ვინმემ ავტომატი არ დამახალოს.

სტუმრად ბიჭიკო სულიაშვილის ოჯახში

შროშასთან მეთუნეებმა ბატონ ჯუმბერს გზა დაულოცეს და ამ მოგზაურობის სამახსოვროდ, ფიალა და დოქი აჩუქეს.

წინ ილემია, იმერეთის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი. აქ დილის 10-ის ნახევრიდან გველოდება ბიჭიკო სულიაშვილი – ბატონი ჯუმბერის მეგობარი.

– იმერეთში ქათამი სტუმარს რომ დაინახავს, თვითონვე დებს ჯირკზე თავს, – ხუმრობს ბატონი ამირან აბესაძე, ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი და ჩვენს ისედაც გაღიზიანებულ გასტრონომიულ რეცეპტორებს უფრო მეტად აღიზიანებს.

ერთ-ერთი ეზოდან ხელს გვიქნევენ. იმერული შეხვედრა ზენიტშია. ამ ოჯახში გავიცანით, აგრეთვე, ბატონი ბიჭიკოს კარის მეზობელი, ბატონი გოგი ნადირაძე – მეფუტკრე (ადრე იგი მეფუტკრეობას ასწავლიდა საგურამოში – წინამძღვრიანთკარში), რომლის გამოგზავნილ თაფლს უმადლის ბატონი ჯუმბერი თავისი რეკორდების ნახევარს. ილემური თაფლის საუკეთესო თვისებებში ჩვენც მალე ვრწმუნდებით.

საგულისხმოა, რომ ბატონი გოგი სპორტის ოსტატი ყოფილა ველოსპორტში და პირველთანრიგოსანი კრივში (ეს უკანასკნელი სახეობა, მგონი, ჩვენს შესაშინებლად გვითხრა).

მაგონდება, რომ დარდებს ვაგროვებ და თონეში ჩაკიდებულ, ძელზე გაკრულ ციკანთან მოფუსფუსე მასპინძლის ბიძაშვილს, ბატონ ემზარ სულიაშვილს ვიწვევ სასაუბროდ.

დარდი №5. ჩემი ყველაზე დიდი დარდი საქართველოა. 60 წლის კაცი ვარ, ათმაგზე გადავხტები, საკუთარ სახლს კრამიტს გადავხდი, ოღონდ მაგი არ დამიჩაგრონ. აფხაზეთში მინდოდა წასვლა, ჯანი მერჩის, ერთს რომ დავარტყა, მეორეს წავაქცევ, მაგრამ არ გამიშვეს. რა მაქვს

დასამალავი, ახალგაზრდობაში ხულიგანი ვიყავი, არავის ეგონა, თუ საქმეს მოვკიდებდი ხელს. დღეს პირადად კარგად ვარ, სტუმრის მიღების არ მრცხვენია, მაგრამ რად გინდა, მთელი ქვეყანა ერთმანეთზეა გადაკიდებული. ქართველებმა ერთმანეთს უნდა დავუჯეროთ. სხვანაირად არაფერი გვეშველება. ქალაქელები მეცოდებით, ნამეტნავად, ხელფასზე მცხოვრებლები. ჩემი ცოლისთვის ხშირად მითქვამს, ბაზარში ჭირნახულს რომ ყიდის – თუ გაჭირვებული ნახო, ფული არ გამოართვა-მეთქი.

კიდევ ერთი მინდა ვთქვა, მიწები დარიგდა არასწორად. მთავრობამ ფეხებზე დაგვიკიდა გლეხები.

ჯუმბერიც მადარდებს ძალიან. სად მიდის, ვინ იქნება მისი პატრონი და მფარველი?

იმერული სტუმარ-მასპინძლობა წინასწარ შედგენილ გრაფიკში არ თავსდება, მიუხედავად ამისა, დგება განშორების ჟამი და ვემშვიდობებით „მასპინძელსა მხიარულსა“.

ძაღლები მოგზაურის წინააღმდეგ

მალე ზესტაფონში ჩავალთ. ზოგი ჭირი მარგებელიაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი: ეკონომიკური სიდუხჭირის გამო აღარ ბოლავს ცადაწვდენილი მილები, აღარ წამლავს გარემოს.

თერჯოლის გადასახვევთან ბატონ ჯუმბერს მთვრალი ავტომატიანები გადაუდგნენ. აშკარად შარზე იყვნენ, მაგრამ ჩაერია ჩვენი დაცვა – რუსთავიდან საგანგებოდ გამოყოლილი პოლიციის კაპიტნები – რეზო იობიძე და ირაკლი ჯაჯანაშვილი და საქმე აღარ გართულებულა. სიტყვამ მოიტანა და, ასეც რომ არ მომხდარიყო, ამ ორი ადამიანის წარდგენას მაინც ვაპირებდით – მათ გარკვეული წვლილი შეიტანეს ჩვენს უსაფრთხოებაში. სხვათა შორის, ორივე ყოფილი სპორტსმენია – პირველი ფრენბურთელი, მეორე ავტომრბოლელი. ეგ არის, ბატონი რეზო ბუნებამ დაჩაგრა – სიმაღლეში 4 სანტიმეტრი დააკლო... ორ მეტრს.

...ქუთაისის შესასვლელის საკმაოდ რთული აღმართი გაუჭირვებლად დასძლია ბატონმა ჯუმბერმა.

ქალაქის მერმა, ბატონმა თეიმურაზ შაშიაშვილმა მოგვიბოდიშა – არ ვიცოდი, თუ ჩვენს ქალაქში შემოვლას აპირებდითო. წარმატება გვისურვა და დაგვემშვიდობა.

სოფელ ფარცხანაყანევთან ჩვენს მოგზაურს სერიოზული გამოცდა მოუწყვეს ძაღლებმა. შვიდი ზორბა ძაღლი შეუპოვრად ცდილობდა, რომ ეს მოგზაურობა მაინცდამაინც ამ სოფელში დამთავრებულიყო. მათ ვერ გაითვალისწინეს ის, რომ ბატონი ჯუმბერი საგანგებოდ ემზადებოდა ძაღლების მოსაგერიებლად. საამისოდ ბევრი ილეთიც დაამუშავა, თუმცა თავისი საბრძოლო არსენალი მთლიანად არ გამოუყენებია, დროზე წამოეშველნენ პოლიციელები.

ჯიხაიში, მამაპაპურ მიწაზე

სოფელ დიდი ჯიხაიშისკენ გადავუხვიეთ და ერთ, უპატრონობისგან გავერანებულ მიწის ნაკვეთთან შევჩერდით. აქ მდგარა სახლი, სადაც ბატონი ჯუმბერის მამა, დავითი დაიბადა. 13 დაძმიდან ექვსი კომუნისტებს დაუხვრეტიათ. მამა, ცნობილი ადვოკატი (იგი კარგა ხანს მოსკოვში მუშაობდა) იმავე კომუნისტებმა მოწამლეს.

მასპინძელმა გულისტკივილით გვითხრა, რომ სოფლის მესვეურებმა მამაპაპური მიწის დაბრუნებაზე უარი უთხრეს, თუმცა კანონით ეკუთვნოდა.

მხედრიონელები და დეკანოზი

სამტრედია იყო მეორე პუნქტი, სადაც ღამე უნდა გაგვეთია, მაგრამ ამ სურვილს თურმე განხორციელება არ ეწერა, რადგან ერთადერთი სასტუმრო აფხაზეთიდან ლტოლვილებით და მხედრიონელებით იყო გადატვირთული. ის, რომ სამტრედიაში თავშესაფარს არ მოგვცემდნენ, „ოპერატიულად“, სულ რაღაც ოთხ საათში გაირკვა. თუმცა ის დრო ჩვენ, ჟურნალისტებმა, საკმაოდ ნაყოფიერად გამოვიყენეთ. ბატონმა გვანჯი მანიამ მხედრიონელთა და სასტუმროს აუდიტორიის წინაშე საინტერესოდ ისაუბრა ბატონ ჯუმბერ ლეჟავაზე და მის მოგზაურობაზე. შემდეგ თვითონ მოგზაურმა ილაპარაკა, რა მნიშვნელობა აქვს მკლავებზე აზიდვას და იქვე პრაქტიკულად უჩვენა ამ ვარჯიშის სწორად შესრულების წესი.

აქვე გავიცანით სამტრედიის რაიონის სოფელ ხურჯულაურის დეკანოზი რევაზ კოხრეიძე. იგი ადრე კარგი მძლეოსანი ყოფილა. შემდეგ თეატრალური ინსტიტუტი დაუმთავრებია და სახასიათო როლებსაც ასრულებდა. მისი თაყვანისმცემლები თურმე ჟორჟოლიანსაც კი ადარებდნენ. პა-

რალელურად სკეტჩებსაც წერდა. დეკანოზი დაგვპირდა, რომ 30.000 კუპონს გადმორიცხავდა ჯუმბერ ლეჟავას სამოგზაურო ფონდში.

დარდი №6. დეკანოზი რევაზ კოხრეიძე: აგერ აქვე, პარკის ტერიტორიაზე ეკლესიას ვაშენებთ (პროექტი გვაჩვენა). თავიდან თითქოს კარგად მიდიოდა საქმე, მოსაპირკეთებელი ძვირფასი თეთრი ქვა მოვიტანეთ, თუნუქის სახურავიც, მაგრამ რად გინდა, საქმემ წინ ვერ წაიწია. უხარისხო აგურით გვაძალებდნენ ეკლესიის აშენებას. ჩემმა მტკიცებამ რომ ვერ გაჭრა, ორი აგური დავაყენე ვერტიკალურად, მესამე კიდეებით დავადე, გაშლილი ხელი ჩამოვკარი და შუაზე გადავტეხე. ეს იყო და ეს, ხმა აღარ ამოუღიათ.

ამასობაში ის თეთრი ქვა და თუნუქი სანახევროდ მოიპარეს. არ მოერიდნენ იმას, რომ ეკლესიისთვის იყო განკუთვნილი და ღმერთი დასჯიდა.

სამტრედიაში ადგილობრივი გამგეობის რჩევით გადაწყდა, რომ დაძაბული სიტუაციის გამო სენაკში აღარ შეგვევლო. ამან ბატონ ჯუმბერს ძალიან დასწყვიტა გული, რადგან მისი მსოფლიო მოგზაურობის მისია სამშვიდობოა.

გარემოებათა დამთხვევის გამო, მსოფლიოს გარშემო მოგზაურ ბატონ ჯუმბერ ლეჟავას გამცილებელთა ჯგუფში საქართველოში არსებულმა ყველა პოლიტიკური მრწამსის ადამიანმა მოვიყარეთ თავი. ერთ „რაფში“ ვიყავით როგორც ორთოდოქსი ზვიადისტები და კომუნისტები, ისე ნეიტრალები და ზომიერები. მიუხედავად ამისა, საოცარი ჰარმონია სუფევდა (თუმცა, ბუნებრივია, კამათი ტემპერამენტის მიხედვით მიმდინარეობდა). ამის მიზეზი გახლდათ საერთო მიზანი. ამ საოცარმა კაცმა, რომელიც მედგრად მიიწევდა ველოსიპედით წინ, ყველა გაგვაერთიანა. ბავშვივით გვიხაროდა, როდესაც მოგზაურს ცნობდნენ და ხელის აწევით ესალმებოდნენ. ამ მხრივ ყველას გადააჭარბეს აჭარლებმა, რომლებიც, რატომღაც, საქართველოს სხვა კუთხეების ხალხზე მეტად იყვნენ ინფორმირებული. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას ისიც, რომ ბატონმა ჯუმბერმა აჭარის მთელ ტერიტორიაზე ველოსიპედი ცალი ხელით ატარა – მეორით მისალმებაზე პასუხობდა.

ეს უფრო გვიან მოხდა, მანამდე კი სამტრედიაში ღამე ვერ გავათიეთ და ახლა ლანჩხუთში მივემგზავრებით ბედის საძიებლად.

„კაგებეს“ მაიორი – ყაჩაღი

დაახლოებით ღამის 10 საათზე, ინდური ჟღერადობის სოფელ ჯაპანას პოლიციის ინსპექციის საგუშაგოს ჩავუარეთ, რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ ჩვენი გამცილებელი პოლიციელები დაგვეწივნენ – ჯაპანას ინსპექტორები გოჭზე გვეპატიჟებიან და უკან დაბრუნდითო. ისე ვართ დაღლილები, რომ ზოგს ძილი ურჩევნია, მაგრამ ჩვენი მძღოლის, ბატონი ჯემალის ფრთიანი ნათქვამი „ცარიელი ტომარა ფეხზე ვერ დადგებაო“, ჩვენც გვახსენებს, რომ ბიოლოგიური არსებები ვართ. ესეც რომ არ იყოს, „რაფი“ მოტრიალებულია და ფარები იმ წყვდიადს ანათებენ, რომელიც ეს-ესაა გამოვიარეთ.

როგორც ყველგან, ჩვენი ეს შეჩერებაც ლექცია-პრესკონფერენციით მთავრდება. მაგონდება, რომ დარდებსაც ვაგროვებ და ამ შუაღამისას ჯაპანას საგუშაგოს უფროს ლეიტენანტს, ბატონ კუკური საკანდელიძეს ვიმარტოხელებ.

დარდი №7. დარდი და პრობლემა ჩვენ რომ გვაქვს, ვის ექნება, მაგრამ ყველაზე მეტად ის გვაწუხებს, არა გვაქვს იარაღი და საჭირო რაოდენობით ვაზნები. შიშველი ხელებით კბილებამდე შეიარაღებულ ბოროტმოქმედთან ბრძოლა, მოგეხსენებათ, სიცოცხლის რისკთანაა დაკავშირებული. თუმცა, რაც შეგვიძლია, თავს არ ვზოგავთ. გუშინ ერთ ჩვენს თანამშრომელს თურქი ტურისტების მძღოლმა ანიშნა, გვაყაჩაღებენო. სანამ პოლიციელები შეიკრიბებოდნენ, ბანდიტებს ავტობუსი სიმინდის ყანაში გადაეყენებინათ და ტურისტებს პირწმინდად ძარცვავდნენ. ჩვენებმა ალყა შემოარტყეს და ექვსი თავდამსხმელიდან სამი დაიჭირეს (დანარჩენების გვარებიც დადგენილია) და იცით, ყაჩაღებს შორის ვინ აღმოჩნდა? ოზურგეთის „კაგებეს“ მაიორი...

ძილი შიმშილზე ძლიერი აღმოჩნდა. ბატონ ჯუმბერს საგუშაგოს დასასვენებელ ოთახში „ჩავუწყვე“ საქმე, რამდენიმეს კი „რაფში“ გვაქვს თავი ჩაქინდრული. პირველის ნახევარზე გაგვაღვიძეს და პროჟექტორის შუქზე აშკარად ჩანს, მასპინძლებს გოჭის მაგივრად ბურვაკი „შემოუტყუებიათ“. თავს ზევით ძალა არაა და ვუსხდებით იმპროვიზებულ სუფრას.

მეთევზეთა ნობათი

ლანჩხუთში შუაღამისას შევდივართ და სასტუმრო „მესხეთში“ ვბინავდებით. დილით სასტუმროსთან ლანჩხუთელებმა მოიყარეს თავი. სანამ ბატონი ჯუმბერი ყველსა და პურს შეექცეოდა და ველოსიპედი მოჰყავდა წესრიგში, გვანჯი მანიამ მომენტი არ გაუშვა და პრესკონფერენცია გამართა. როდესაც გურულებმა გაიგეს, რომ არსებობდა მოგზაურის ფონდი, რაიონის ელქსელის უფროსმა კობა ცინცაძემ 50 ათასი კუპონის ჩარიცხვა აღგვითქვა. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს მამანტი თევზაძემ და გურიის მწვრთნელ-ფეხბურთელმა გოჩა ხიტირმა, რომლებმაც შესაბამისად 5 და 10 ათასი კუპონი ნაღდი ფული გაიღეს. 5 ათასი კუპონი შეიტანა იქ მივლინებით მყოფმა ჩვენმა ძველმა ნაცნობმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა აკრობატიკაში ჰამლეტ სუთიძემ.

ისევ გზა. ამჯერად ფოთში უნდა შევიდეთ. წამოჟინჟლა. რაფელები კვლავ დავწინაურდით. სუფსასთან, გზის გასაყართან, გავჩერდით. ჩვენ გვერდით შუახნის გლეხი დგას ორი სავსე ტომრით, რომ გაიგო, ფოთში მივდივართ, თვალები გაუბრწყინდა. ვსარგებლობ შემთხვევით, მის დარდს ვიწერ.

დარდი №8. ვილჰელმ თალაკვაძე: წუხელ გუდაუთიდან ჩვენს სოფელში ცოლ-ქმარი ჩამოვიდა ბავშვით. ისეთ რამეებს ჰყვებოდნენ, თმები ყალყზე დაგვიდგა. გურული კაცისთვის მთავარი, მოგეხსენებათ, მშვიდობაა. პირადი გაჭირვება არა მაქვს. ეგაა, რომ პურის შოვნა ჭირს და მჭადს და ღომს გეახლებით. 8-9 ტონა სიმინდი მომყავს, რვა სული ძროხა მყავს და სარჩო-საბადებელი არ მაკლია. პრობლემა კიდევ ისა მაქვს, რომ გაჭირდა მისვლა-მოსვლა. სამი საათი ველოდე ტრანსპორტს და თქვენ რომ არ შემხვედროდით, შეიძლება შინ მივბრუნებულიყავი.

ჩვენებურ კაცზე იმას გეტყვით, რომ ისეთი მკაცრი უნდა გახდეს, როგორც ცეკას მდივნობის დროს იყო, სხვაგვარად ამ ხალხს ვერ მოთოკავ. სტალინმა ომი შიშით მოიგო.

ფოთის შესასვლელთან, სადაც რიონი ზღვას უერთდება, მეთევზეებმა დაუვიწყარი შეხვედრა მოუწყვეს ბატონ ჯუმბერს. მშვიდობით დაბრუნება უსურვეს და პირველი დაჭერილი თევზი მთლიანად გადასცეს.

ცომაიების ოჯახში

ფოთში წვიმამ თავისებური გამოცდა მოუწყო მოგზაურს – სულ მთლად გაილუმპა. გეგმით უნდა მოგვენახულებინა ჯუმბერ ცომაია, რომელმაც სამი წლის წინ იახტით შემოუარა მსოფლიოს. სამწუხაროდ, იგი არ დაგვხვდა, საზღვარგარეთ იყო. მიუხედავად ამისა, მისმა მშობლებმა, ქალბატონმა ნელიმ და ბატონმა რაინდმა გულმხურვალედ მიგვიღეს.

ბატონი რაინდი: 22 წელი ვიცურე გემით. პურს ვაცხობდი. ბევრი ქვეყანა მაქვს შემოვლილი. ბატონ ჯუმბერს ვუსურვებ, ჩემი შვილივით წარმატებით დაეგვირგვინებინოს მსოფლიო მოგზაურობა. ისე, ველოსიპედით მეც ბევრი მივლია. ეგ არის, რომ ორი მომპარეს და ახლახან მესამე შევიძინე.

შამპანურით გაწუწული ველოსიპედი

ჩოლოქთან (აჭარის საზღვარი), რამდენიმე რიგად ჩამწკრივებული ბეტონის ფილები გვაიძულებენ, ნელა, ზიგზაგით შევიდეთ. აქ უკვე იციან, რომ ბატონი ჯუმბერი გაივლის და პატივით გვხვდებიან. ეგ არის, რომ აჭარის კანონით, იარაღიანებს არ უშვებენ და ჩვენი პოლიციელები იძულებული ხდებიან, ამ სამართლიან კანონს დაემორჩილონ.

საბაჟოს თანამშრომელი, ქობულეთის „შუქურას“ ყოფილი მეკარე თამაზ მჟავანაძე შამპანურს ხსნის და დალოცვის შემდეგ ბატონი ჯუმბერის ველოსიპედს ასხამს. იქვე კაფეში გვპატიჟებენ.

ხარკოვში საგანგებოდ დამზადებულმა ველოსიპედმა თავისი შელახული რეპუტაცია აჭარის რთულ, ძნელად დასაძლევ აღმართებზე აღიდგინა. ბატონმა ჯუმბერმა ადვილად გადალახა ეს დაბრკოლებები.

ქათქათა ბათუმში ადგილობრივი ტელევიზია ფეხდაფეხ მოგვყვა. ინტერვიუც, ქუჩაში გამვლელ-გამომვლელთა წრეში შედგა. მათი ყველაზე დიდი გაოცება იმან გამოიწვია, რომ ბატონ ჯუმბერს დაღლილობა არ ეტყობოდა.

ერთი „უხერხულობა“, რომელმაც ყველა თბილისელი შეგვიპყრო, ისაა, რომ არ დადიან შეიარაღებული ფორმიანი თუ უფორმო ადამიანები და ჩვენს ყურთასმენას არ „ატკბობს“ ავტომატის კაკანი.

13 – ბედნიერი ციფრი

სასტუმროში დავბინავდით. წინა ორ სასტუმროსთან შედარებით, აქ ყველა ოთახში ნათურაა ჩამოკიდებული და რაც ყველაზე საკვირველია – ანათებენ.

მსოფლიოს გარშემო მოგზაურის „მერანმა“ და თვით მისმა პატრონმა მე-13 სართულის მე-13 ოთახში დაიდეს ბინა.

ციფრი 13 ბატონი ჯუმბერის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მან ყველა გინესის რეკორდი სწორედ ამ თარს რიცხვში დაამყარა. ეს ციფრი იყო მიზეზი, რომ რუსთავიდან სტარტი 13 აგვისტოს, 10-ის 13 წუთზე აიღო. აი, ის კი, რომ ბატონი ჯუმბერის თხოვნით მე გამცილებელთა ჯგუფში მე-13 ნომრად შემიყვანეს, როგორც მისი პირველი წარმატების თავგამოდებული პროპაგანდისტი, სრულიად შემთხვევით მოხდა.

ორშაბათს ძველი ფუნქცია დავუბრუნეთ და დასვენების დღედ გამოვაცხადეთ. თუმცა ეს გამოცხადება უფრო პირობითი იყო. ამ დღეს მოგვარდა ზოგიერთი საორგანიზაციო პრობლემა. გაიმართა პრესკონფერენცია. ამ დღეს ინახულა ბატონმა ჯუმბერმა მეგობრის საფლავი. ჩვენი ეს ინტერვიუც ორშაბათს დილით ბათუმის პლაჟზე შედგა. მანამდე მოგზაურმა დაგვიმტკიცა, რომ წყლის მხრივ ხიფათი არ ელოდა. იგი, როგორც ამ საქმის მთავარმა „ექსპერტმა“, საქართველოს ექსჩემპიონმა ცურვაში ავთანდილ გურასაშვილმა აღნიშნა, კარგად ფლობდა ცურვის ჩვევებს.

აქვე, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ პლაჟი ზაფხულისთვის საკმაოდ უჩვეულოდ გამოიყურებოდა. გასულ წლებში თუ კაცი ფეხს ვერ აუქცევდა დამსვენებელს, დღეს ეს „პრობლემა“ მთლიანად მოიხსნა. უსაშველოდ გაძვირებული საგზურისა და ტრანსპორტის გამო, დასვენება საზოგადოების მხოლოდ მცირე, ელიტარული ნაწილისთვის გახდა ხელმისაწვდომი.

– ბატონო ჯუმბერ, კაცი ოჯახიდან რამდენიმე დღითაც რომ გადის, უჭირს შეჩვეულ გარემოსთან მოცილება. თქვენ კი მთელი შვიდი წლით მიემგზავრებით.

– აქ მთავარი, იცით, რა არის? დედამიწა შენს სახლად უნდა ჩათვალო. ეს აზრი რომ გამეთავისებინა, საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური ბარიერი დავძლიე. მარტო იმის წარმოდგენა და შეგუება როგორია, რომ ამ ხნის განმავლობაში ექვს ისეთ ქვეყანაში მომიწევს გავლა, სადაც ადამიანის ხორცი დიდ პატივშია. არანაკლები საშიშროება მელის ჯუნგლებში, ტუნდრებში და ზამთარში. ხოლო უდაბნოში ველოსიპედი, 35-კილოგრამიანი ტვირთით, უმეტესად მე უნდა ვატარო. მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგიურად, ყველაზე ძალიან გამიჭირდა შვილებთან და შვილიშვილებთან დამშვიდობება. ჩემი შვილიშვილების ერთი გაღიმება ხომ მთელ სიცოცხლეს მირჩევნია.

– ბატონო ჯუმბერ, როდესაც თქვენი მოგზაურობის საკითხი წყდებოდა, საპარლამენტო კომისიის ერთ-ერთი წევრი სასტიკი წინააღმდეგი წავიდა – გამცილებლებს ბენზინი დასჭირდებათო. მისთვის რომ დაეჯერებინათ, რას იზამდით?

– როდესაც მოგზაურობა გადავწყვიტე, კონსულტაციისთვის მივმართე ბალტიისპირეთისა და რუსეთის ცნობილ მოგზაურებს. მათ, გარდა კონსულტაციებისა, სპონსორობა შემომთავაზეს, მაგრამ მე, ჩავთვალე, რომ სხვისი სახელით მოგზაურობა საქართველოსთვის შეურაცხმყოფელი იქნებოდა. საბედნიეროდ, იგივე აზრი ჩვენშიც ბევრს აღმოაჩნდა.

– იმ 300 ათასი კილომეტრიდან, რომელსაც თქვენ გაივლით, 60 ათასი გემით მოგიწევთ, როგორ აპირებთ ამ თავისუფალი დროის გამოყენებას?

– ჩაფიქრებული მაქვს, საკუთარ თავზე დავწერო 6-7 ფსიქოლოგიური ნაშრომი.

– თუ საიდუმლო არაა, რა დაჯდება თქვენი მოგზაურობა?

– 300-350 ათასი დოლარი. თუმცა ვაპირებ სპონსორებს ტვირთი შევუმსუბუქო... გზადაგზა ჩავატარებ ლექციებს და საჩვენებელ გამოსვლებს. მიმაჩნია, და ჩემი ცხოვრებაც იმის დასტურია, რომ მკლავებზე აზიდვა, ისევე როგორც ძუნძული და აერობიკა, კაცობრიობის ფიზიკური გაჯანსაღების უებარი საშუალებაა.

– ეს მოგზაურობა, ალბათ, გინესის წიგნში თქვენს მე-12 რეკორდად შევა. ხომ არ აპირებთ მოგზაურობის დროს კიდევ გაზარდოთ ეს რიცხვი?

– მინდა იაპონიაში და კანადაში დავამყარო 36-საათიანი რეკორდი მკლავებზე აზიდვაში და გავაუმჯობესო გინესის წიგნში შეტანილი, ველოსიპედით ტრეკზე ნაჩვენები 24-საათიანი რეკორდი.

– ბატონო ჯუმბერ, ნათქვამია, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, არ გიფიქრიათ, ვინმე შეგეამხანაგებინათ?

– ცხადია, ვიფიქრე, მაგრამ ჩემი ტემპის კაცი ვერ ვნახე. ამას გარდა, მოგზაურობის დროს, ჯობია, სურვილის მოწინააღმდეგე არ გყავდეს.

სხვათა შორის, ერთმა ქალბატონმა დაჟინებით მთხოვა ჩემთან ერთად წამოსულიყო. იგი იმაზეც კი თანახმა იყო, ზედმეტი წონა, თითქმის ნახევარი, დაეკლო. მეორედ 32 წლის, სრულიად უვარჯიშებელმა, ახალგაზრდამ მთხოვა, წამეყვანა იმ იმედით... ამიყოლიებო.

– პრესაში გამოქვეყნდა, რომ თქვენ ამ მოგზაურობას უძღვნით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 75-ე წლისთავს. კიდევ ხომ არ იყო რაიმე სტიმული, რომელმაც თქვენ ამხელა გზაზე დაგაყენათ?

– ჩემი გარდაცვლილი მეუღლის, ლიანას ხსოვნა. თუმცა ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამდენი ხნით ოჯახს ვერ მოვწყდებოდი.

„ირაოელები“

ეს იყო ჩემი ბოლო ინტერვიუ 21-ე საუკუნემდე. ხვალ, როდესაც ბატონი ჯუმბერი თურქეთის საზღვარს გადაკვეთს, მას მხოლოდ სატელევიზიო პროგრამა „ირაოს“ სამი წევრი გაჰყვება: რეჟისორი რეზო შალიბაშვილი, ოპერატორი ალიკ გრიგორიანი და მხატვარი ზურაბ კალანდაძე.

ისინი მთელი გზა ვიდეოკამერით აფიქსირებდნენ ბატონი ჯუმბერის მოგზაურობის მნიშვნელოვან მომენტებს.

დარდი №10. რეზო შალიბაშვილი: ჩვენთვის, ყველასთვის, ამ მოგზაურობაში მონაწილეობა, გარდა პროფესიული ინტერესისა, პატრიოტიზმთანაა გაიგივებული. ხუმრობა ხომ არ არის, ქართველმა კაცმა 7 წლის განმავლობაში ველოსიპედით უნდა შემოუაროს დედამიწას. გააცნოს ჩვენი ერის ისტორია, კულტურა და შესაძლებლობები. სამწუხაროდ, გაცილების ორგანიზაციაში იყო ხარვეზებიც, რომლებმაც ერთგვარი ჩრდილი მიაყენეს ზემოთ აღნიშნულ გრძნობას. ვიღაცამ რაღაცის ეკონომიით ხელი მოითბო. ეს ეხება როგორც კვებას, ისე ბენზინს თუ სხვა საკითხს.

ბატონი რეზოს ეს დარდი საერთო იყო, ყოველ შემთხვევაში, ჟურნალისტებისთვის.

„შვიდ წელიწადს ვერ გნახო“

სამშაბათი. დილა. ეკიპაჟი სრულ მზადყოფნაშია. „რაფელებს“ შემოგვიერთდნენ აჭარის ტელევიზიისა და გაზეთ „აჭარის“ კორესპონდენტები.

სარფამდე გზამ შეუმჩნევლად, ემოციურად გაიარა. მიუხედავად ამისა, არ მავიწყდება „ჩაჩაობა“ და „აჭარის“ კორესპონდენტს მანანა ძიძიშვილს ვიწვევ სასაუბროდ.

დარდი №11. დღეს აჭარაში სიმშვიდეა. ღამე უშიშრად გამოვდივართ, რაც, უდავოდ, ბატონ ასლან აბაშიძის დამსახურებაა, მაგრამ ძალიან მადარდებს ის, რომ ხელფასს ინსტრუქცია არ მოჰყვება, როგორ უნდა დავხარჯოთ, რომ თვიდან-თვემდე გვეყოს.

სარფის საბაჟოსთან თურქეთში მიმავალთა კილომეტრიანი რიგები ეკონომიკურმა გაჭირვებამ ჯადოსნური მაკრატლით შეკვეცა.

სანამ ბატონ ჯუმბერს რუსი მესაზღვრე პასპორტში ვიზას ჩაურტყამს (აქ, რატომღაც, ყველა საკვანძო ადგილზე ამ ეროვნების მესაზღვრეები დგანან), ვეკითხები, რა დარდი მიგყვებათ-მეთქი.

დარდი №12. ჯუმბერ ლეჟავა: ყველაზე დიდი დარდი ჩემთვის ისაა, რომ სენაკში ვერ შევიარეთ. იმედი მაქვს, რომ დავბრუნდები, საქართველო არამარტო გაერთიანებული, დამოუკიდებელი, ეკონომიურად აყვავებული დამხვდება.

დარდი №13. ეს „თარსი“ დარდი ჩვენ, გამცილებლებს გვრჩება, 7 წელი რომ ვერ ვნახავთ ამ საოცარ ადამიანს, რომელმაც დედამიწა თავის სახლად ჩათვალა.

...„ვაიმე, ჩემო ვენახო, შვიდ წელიწადს ვერ გნახო“
„საქართველო“, 1993 წ.

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

აისის აპელიოტი

აზრები

(გაგრძელება)
(დასაწყისი ათინათის 49-51-ე ნომერსა და ანთოლოგიის მე-13 ტომში)

აღზრდა

***

მოზარდი თაობა შემიძლია შევადარო მზის ამოსვლას. ვიდრე ის ამობრწყინდებოდეს და განათებას დაიწყებდეს, მას მოუხდება თავისი ენერგიის დათოკვა და დარეგულირება.
იცოდეთ, თქვენა ხართ მზის უძლიერესი ენერგიის მატარებლები, რომლის საზღვრებში მოქცეული ზომიერება განაპირობებს „უმშვენიერეს სიცოცხლეს“ დედამიწაზე.

***

ბავშვი რეალურობის საზღვრებში უნდა იზრდებოდეს. თავისი სახლის კარიდან გასული, იგი უამრავ აგრესიას წააწყდება. აგრესიის სტერილიზაციის ჩატარებას ნუ შევეცდებით.

***

შვილები უხილავი ძაფებით უნდა მივიბათ და არაჯაჭვებით... ჯაჭვებს ადვილად წყვეტენ, ძაფებს კი ვერ ამჩნევენ...

***

მოზარდის ასაკის შეუსაბამო გაცნობიერება - ცნობიერებითი ველის ზედმეტი გაფართოება (ჩვენი გადაჭარბებული მცდელობები) შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს. ცხოვრების საზრისის ძიება - ზედმეტი ჩაკირკიტება და მრავლად წარმოშობილი კითხვები - ხშირად ხდება მოზარდის იდენტიფიკაციის კრიზისის მიზეზი.

***

აღზრდა, უპირველესად, ბუნების სწორ შემეცნებას, მასთან სწორ კონტაქტს უნდა გულისხმობდეს და განაპირობებდეს.

***

ახალი თაობა ასპარეზზე ახალი მისიით გამოდის. ძველის გადაფასების მცდელობისას იმართება ჭიდილი, რომელიც კანონზომიერია. ამ დროს ორთავემ უნდა დაინახოს: ერთმა - გზა, რომელიც უნდა გააგრძელოს, მეორემ - გზა, რომელიც უნდა დათმოს!..

***

ცხოვრება უკეთ შეგუებულთა ასპარეზია...
სათბურში გამოყვანილი ჩვენი შვილები უკეთ შეგუებულთა რიცხვში არ შედიან.

***

ზოგჯერ ადამიანს ეზარება, გასწიოს ძალისხმევა, რათა საკუთარი პიროვნება აღზარდოს და მისგან რაიმე გამოიყვანოს. იგი სხვა პიროვნებებს ან ჯგუფებს აედევნება და გაუცნობიერებელ

ურთიერთობაში მყოფი, მათთან არასწორი ასახვით ცდილობს, თავის პიროვნებას რაიმე შესძინოს, რაც, საბოლოოდ, დამღუპველად მოქმედებს მასზე, - სხვა ადამიანების სურვილების აღმსრულებელ საშუალებად იქცევა ისე, რომ თავად ამას ვერ აცნობიერებს ან აცნობიერებს ძალიან გვიან, როცა უკვე სახეზეა პიროვნული კონფლიქტი.

***

საით წაიღებ შენს ტრაგედიას და ტანჯვას - ეს შენი საქმეა. უნდა ეცადო, ის სხვას არ გადაუნაწილო - განსაკუთრებით შვილებს.

***

გამოცდილებას ყველა თავისებურად იზიარებს (თუ იზიარებს საერთოდ...) გამოცდილება არ არის მყარი მოცემულობა. იგი შემოქმედებითად მიდგომას მოითხოვს. არ შეიძლება ყოველგვარი გამოცდილება მიაძალო მომავალ თაობას, რომლებიც სულ სხვა მიზნებისკენ არიან მიდრეკილნი...

***

მოზარდის ინტელექტუალური განვითარებისდაკვალად უნდა მიმდინარეობდეს მისი ფიზიოლოგიის და, ზოგადად, მასთან მიმართებით ფსიქოლოგიური პრობლემების გაცნობა. წინააღმდეგ ამისა, ცალმხრივად განვითარებული და გაუცნობიერებელი მოზარდი უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება სრულიად მოუმზადებელი, რაც მის ცხოვრებას ძალიან გაართულებს.

***

დასრულებული იდენტიფიკაცია ადამიანის სამოქმედო სქემად - პარადიგმად გვევლინება, რომელიც დროთა განმავლობაში გაძვალებას განიცდის, თუმცა ადამიანის ინტელექტიდან, გენეტიკური განწყობილებიდან და ღვთიური მადლიდან გამომდინარე, გამონაკლისებიც არსებობს, როცა გონების საცეცები დაუსაბამოდ იზრდება და ელასტიურობას არ კარგავს.

ახალგაზრდობა

***

ახალი თაობა განსაკუთრებული ცოდნით და ენერგიით გამოდის ასპარეზზე, რაც ძველი თაობისთვის ზოგჯერ გაუგებარი და მიუღებელია. მათ აქვთ მიზანსწრაფულობა და მომავლის ზედმიწევნითი რეფლექსია. ისინი გზადაგზა ასწავლიან და „აცნობიერებენ“ კიდევაც ძველ თაობას. „შეიგნებს“ რა ძველი თაობა ცვალებადობის გარდაუვალობას, ახალი თაობა ამის შემდეგ უბრუნდება ძველის ყალიბს...

***

ახალგაზრდული მგზნებარება - დაურეგულირებელ-დაუთოკავი ენერგია მაქსიმალიზმ-რადიკალიზმით, ავანტურულ-გაუცნობიერებლობით და ა. შ. ბევჯერ გახდა რადიკალური ცვლილებების მიზეზი და ეს ენერგია ბევრმა ტირანმა არაერთხელ გამოიყენა ავ საქმეთა აღსასრულებლად... დღეს ისლამური ფუნდამენტალიზმი სწორედ ამ ენერგიას იყენებს მსოფლიოს დასატერორებლად...

***

როდესაც მხოლოდ ინფორმაცია, ციფრები, ფული, დროსტარება ნთქავს ახალგაზრდის მთელ აზროვნებას - ეს ამორალური ცხოვრების ნაშობია; თუ ისინი იმყოფებიან გაურკვეველი, გამაბრუებელი ზემოქმედების ქვეშ, უნდა ვთქვათ რომ ამ მდგომარეობაში სწორედ საზოგადოების უმაქნისობის და უმოქმედობის გამო აღმოჩნდნენ...

ახალგაზრდები რომ შეცდომებს უშვებენ, ის კი არ არის გასაკვირი, არამედ, მშობლებსა და უფროსებში მისაბაძ მაგალითებს რომ ვერ ხედავენ...

***

თანამედროვე ახალგაზრდებს აქვთ უნარი, დაიპყრონ მწვერვალები. ისინი განვითარებული და ინტელექტუალურები არიან; დარწმუნებული ვარ, მეტს გააკეთებენ და მიაღწევენ; მთავარია, გაუცნობიერებლად, სხვის ბადეში არ მოყვნენ; დიდი ენერგიით და ენთუზიაზმით სხვისი მიზნების უნებური შემსრულებლები არ გახდნენ... რაც მთავარია, პატივი უნდა სცენ საკუთარ ნიჭს, ინდივიდუალურობას და განუმეორებლობას, რომელიც ყველაზე ძვირფასი, საინტერესო და დასაფასებელია ადამიანში.

***

ჩვენ არ ვიცით, ჩვენს შვილებს როდის არ მოუნდებათ ჩვენი უკადრისი ცხოვრება...

დრო, მოდა, თანამედროვეობა

***

ერთი ნაბიჯით მაინც დაშორდი დროს - წინ ან უკან, რათა შეამჩნიო თანამედროვეთა ნაკლი.

***

წარსული აქანდაკებს, ხოლო მომავალი დამზერს - აკონტროლებს აწმყოს.

***

დროითი აზროვნება და დროის მიდევნება ინსტინქტადაა მოცემული, მარადისობისაკენ მიჰყავს და ღვთაებრივ ენერგიებში აღადგენს ადამიანის აზროვნებას.

***

ვისაც არ სჯერა, თანამედროვე ტექნოლოგიების არასწორი ექსპლოატაცია გადაგვარების საშუალება რომაა, ეს მისი გულუბრყვილობაა...

***

ზოგს ავიწყდება ერთეული მთელში რომ მდგომარეობს და ეპოქებს აჯამებს თავისი უარყოფითი ან დადებითი ნიშნებით და უსახავს მიზნებს, რომლებიც იმ დროში ვერ მოხერხდებოდა. გარდაუვალობის პრინციპი (ფენომენი) მოქმედებს ყველა დროში. „პატარა მონაკვეთი“, მხოლოდდამხოლოდ მთლიანის ასახვის აუცილებლობის ნიშნითაა წარმოდგენილი (აღბეჭდილი)...

***

განვითარების სტადია, რომელშიც დღევანდელი მსოფლიო იმყოფება, საინტერესოა თავისი ფენომენებით. ის აუთვისებელია და საკმაოდ ნოყიერი, საიდანაც მრავალი სასარგებლო ნაყოფის მიღებაცაა შესაძლებელი...

***

ისტორიამ, არაერთხელ, დაადასტურა ფუტურისტული ავანგარდისტების, უტოპიური ქაოსის, ავანტურისტული „პროგრესის“ იდეა როგორ გადაიქცა რეგრესიად...

***

დააფასე წამი...

***

ხშირად დაიხედეთ ტანისამოსზე და იფიქრეთ: ეს პიჯაკი, კაბა, შარვალი ან სხვა რამ რისთვის გაცვიათ? ეს ვარცხნილობა და მორთულ-მოკაზმულობა რისთვის აირჩიეთ, ეს მანერები საიდან შეიძინეთ? ხომ არ არის ისინი „მონობის ნიშნის“ მატარებელნი - ე. წ. „დაღი“?

***

როცა მოდა მონობის უღელს გთავაზობს, გამოიჩინე პრინციპულობა და ნუ დაიდებ მის უღელს.

***

თუ ხვდები, რომ მოდა მონობის უღელს გთავაზობს - კარგია. თუ თავმიცემული ხარ და ეთაყვანები ყოველივეს, რასაც ის გთავაზობს - მაშინ პრობლემები გაქვს...

***

ბავშვს, დამჯერ ასაკში (7-10 წლები) თუ ჩავუნერგავთ, რომ "მოდა" ადამიანებს ბევრჯერ აბრიყვებს, ასაკობრივი კრიზისის პერიოდში (პუბერტულ პერიოდში), რეალურობის განცდით და საკუთარ თავთან წინააღმდეგობის გზით, შეეცდება, არ გახდეს ყველაფრის უპირობო მიმღები, რასაც „თანამედროვენი" სთავაზობენ მას.

გრძნობა და ემოცია

***

გრძნობები და ემოციები სიამოვნება-უსიამოვნების ზღვარზე, ადამიანის, როგორც ბიოლოგიური სისტემის და სოციალური არსების მოძრაობის ფორმებში ჩაისახა და აღმოცენდა.

***

შემეცნებით პროცესებში გრძნობითი და ემოციური ტონალობა ადამიანური ფენომენისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ჩანასახის სახით იგი ცხოველებშიც მოიპოვება.

***

გრძნობები უაღრესად სუბიექტივირებული ობიექტური განცდებია.

***

ესთეტიკურ ემოციურ განცდაში ობიექტს თვისებები ადამიანის კატეგორიალურ-ფასეულობითი ღირებულებებიდან გამომდინარე მიეწერება და არა ამ ობიექტის თავისებურების მიხედვით.

***

ხშირად ჩვენი გრნობების და ემოციების აღქმის, გამოხატვის, აჟღერების საშუალებებს ვერ ვფლობთ და კიდევ დამატებითი გრძნობების (ინტუიციის) საშუალებით დავეძებთ მათ გამოძახილს ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში.

***

მკვეთრი გრძნობები არის უხილავი საცეცების მქონე, რომლებიც უსაზღვროდ იზრდებიან და უსაზღვროდ გარდაიქმნ-გადაიჯაჭვებიან ერთმანეთში...

***

შენი აღმაფრენა სადღაც რომ მიგაქანებს, არ უნდა გაჯიუტდე...

***

აუშვი ემოციები, ნუ გყავს დაბმული, ოღონდაც, მყეფარა ძაღლს არ დაამსგავსო.

***

ემოციებს აწარმოებს ობიექტი - საჭირო მნიშვნელობით და აქტუალურობით და არა ზოგადად ამ ობიექტის შინაარსი.

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

მსოფლიოს ახლებურად მოწყობის ბრალი

ბრალის თეორია

(გაგრძელება)

(დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის № 10-11-12-13 ტომსა და ჟურნალ ათინათის №38 - 51-ში)

სხვადასხვა მოტივსა და შინაარსზე აგებული ბრალის ფორმები (არასისტემატიზირებული)

ადამიანის წამება, მასზე ცდების ჩატარება, ტრეფიკინგი და სხვა აკრძალული ზემოქმედება როგორც ბრალი

ბრალს, რომელსაც ამ თემაში განვიხილავ, თავისი მოტივებით და შინაარსებით, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი ბრალი და დანაშაული შეიძლება ვუწოდოთ. ამ ბრალის ფორმებია: ადამიანის წამების საშინელი იარაღების გამოგონება, დამზადება და გამოყენება; ადამიანებზე ცდების ჩატარება (რასაც ადგილი ჰქონდა გერმანიის საკოცენტრაციო ბანაკებში); ადამიანებით ვაჭრობა; ადამიანებზე ატომური იარაღის გამოცდა (ხიროსიმასა და ნაგასაკში); საერთოდ, ატომური კატასტროფით დამდგარი შედეგები მთელს მსოფლიოში. ამ უკანასკნელს თავისი „დამანგრეველი შინაარსებით“ შეიძლება გაუტოლდეს, სრულიად ახალი დარგის, გენური ინჟინერიის ტექნოლოგიებით გამოწვეული საფრთხეები და ამით დამდგარი შედეგები, მათი გაუაზრებლად გამოყენების შემთხვევაში.

თავისი „მოღვაწეობის“ მანძილზე ადამიანმა უამრავი ამაზრზენი საშუალება გამოიგონა და გამოიყენა სხვა ადამიანთა საწამებლად. როდესაც თვალს გადავავლებთ ამ იარაღებს და დასჯის ფორმებს, დავრწმუნდებით, თუ რა მრავალფეროვანია ბრალითი ფანტაზიები და რომ ეს ფანტაზიები ადამიანს არასოდეს ელეოდა თანასისხლიერთა დასადანაშაულებლად და დასასჯელად.

სამწუხაროა, რომ ადამიანებზე ცდების ჩატარებას გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში ყველაზე ჰუმანური დარგის ყველაზე სამარცხვინო ექიმები: კარლ კლაუბერგი, არიბერტ ჰეიმი – „სიკვდილის ექიმი“ და იოსეფ მენგელე – „სიკვდილის ანგელოზი“ – ახორციელებდნენ. ისინი თავისი სასტიკი ექსპერიმენტების შესახებ ჩანაწერებსაც აწარმოებდნენ, თითქოს რაიმე სასარგებლოს უტოვებდნენ კაცობრიობას. მათი ბრალი და ჩადენილი სისასტიკე შეუძლებელია, ერთმა ან ორმა ადამიანმა გაიაზროს. მათი ეს დანაშაული, არათუ გერმანიამ, კაცობრიობამ „სირცხვილად“ უნდა ატაროს, რომ არასოდეს დაივიწყოს „ადამიანისაგან“ ადამიანის ასეთი დამცირება და სისასტიკე.

ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისა და დამცირების კიდევ ერთ ბრალს განეკუთვნება ადამიანებით ვაჭრობა, რომელიც ოდითგანვე ხდებოდა მთელს მსოფლიოში. თუ არა ბრალითმა ფანტაზიამ, რამ უნდა დააშვებინოს „ღვთის ხატს“ – ადამიანს სასაქონლო

საგნად სხვა ადამიანის გადაქცევა, იმ ფონზე, როცა ეს დედამიწა საზრდოდ და საკვებად გამოყენებისათვის უამრავ საშუალებას გვთავაზობს... ამ საშინელი ცოდვით და ბრალით ჩვენი ქვეყნის ისტორიაც საკმარისადაა დამძიმებული. დასანანია, დღესაც კი, დღევანდელ მსოფლიოში, ამ დანაშაულით მილიონობით ადამიანის უფლებები რომ ირღვევა.

ერთ-ერთი დიდი ბრალი და დანაშაული, რაც მსოფლიოს მოსახლეობის წინაშე იქნა ჩადენილი, ეს იყო ატომური იარაღის დამზადება და მისი გამოყენება ადამიანების მასობრივი განადგურების მიზნით. დიდი ენთუზიაზმით ატომური ბომბის გამოგონებამ, გამოყენებამ და ამით დამდგარმა შედეგებმა მსოფლიო ჩიხში შეიყვანა; იმ კატასტროფებმა რაც ამ ენერგიის გამოყენებას მოჰყვა, მეცნიერებს თვალნათლივ დაანახვა ამ ენერგიის, არათუ, როგორც საომარ საშუალებად გამოყენების, არამედ, მისი როგორც ენერგიის წყაროდ გამოყენების საშიშროებაც.

ამ ბოლო დროს, გენური ინჟინერიის ტექნოლოგები სახიფათოდ ეთამაშებიან ადამიანის გენომს. ისინი აცხადებენ, რომ ემბრიონის გენის რედაქტირება (ანუ ჩანასახის გენის შეცვლა) შესაძლებელია. ბიოტექნოლოგები გენური ინჟინერიის ჯანმრთელობის სამსახურში ჩაყენებას გვპირდებიან იმ ფონზე, როცა გენის გადაკეთების თეორიული შესაძლებლობები, სრულიად შეუთანხმებელია მისი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობებთან, გამოცდილებასთან და რისკებთან. ადამიანის გენის გადაკეთების ტექნოლოგია ადამიანის „სურვილისამებრ“ გადაკეთების შესაძლებლობას უშვებს, რასაც თან სდევს უამრავი კითხვა: ვის რატომ სურს ადამიანის გადაკეთება, ან თუ სურს, „როგორი“ ადამიანი სურს, რომ მიიღოს; აწყობს თუ არა ასეთი ადამიანი მსოფლიოს; შეთანხმებულია ეს თუ არა მსოფლიო საზოგადოებასთან და ა.შ. არ იქნება გაზვიადებული, თუ ვიტყვით, რომ გენური ტექნოლოგიებით მოტანილი საფრთხეები ატომური იარაღის გამოცდით დამდგარ შედეგებს შეიძლება გაუტოლდეს. თავის დროზე ატომური ენერგიის წარმოებით აღტკინებული მეცნიერ-ატომისტები საზოგადოებას „დაბეჯითებით“ არწმუნებდნენ, რომ შეძლებდნენ ატომური ენერგიის კაცობრიობის სამსახურში წარმატებულად ჩაყენებას. მათ იმ დროისთვის წარმოდგენა არ ჰქონდათ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სხივური დაავადება, რადიაციის დიდი დოზებით ადამიანის გენის კატასტროფული და შეუქცევადი ცვლილებები, დამანგრეველი ეფექტები უსაფრთხოების წესების დარღვევის და მისი გაუკონტროლებლობის შემთხვევაში და ა.შ. შეძლებენ თუ არა თანამედროვე გენური ინჟინერიის სპეციალისტები სასურველი ნიშან-თვისებების მქონე ადამიანის „დაპროექტებას“ და სერიულ წარმოებას ეს ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან გენეტიკოსებისთვის ასეთი წარმოებისთვის ჯერ მწვანე შუქი არ აუნთიათ... თუმცა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ შეიძლება ცდების ჩატარება დახურულ ლაბორატორიებში გაგრძელდეს... ამჟამად მსოფლიოს საზოგადოება შეშფოთებულია ახალი ტიპის ვირუსების გამოჩენით. იმ აღიარების შემდეგ, რაც გენური ინჟინერიის სპეციალისტებმა გააკეთეს, სრულიად ბუნებრივია, საზოგადოებას გაუჩნდეს ეჭვი, რომ ახალი ვირუსები ახალი ტექნოლოგიებით არის შექმნილი; ბუნებრივია შეშფოთება იმის თაობაზეც, რომ დესტრუქციულ ძალთა მიერ მოხდება ამ ტექნოლოგიების მიზანმიმართულად გამოყენება ან გაუფრთხილებლობის შემთხვევაში ეს სიახლეები გამოიწვევს მსოფლიო მოსახლეობის კატასტროფას... ნიშანდობლივია, რომ მრავალმა ქვეყანამ უარი განაცხადა ბიოტექნოლოგიებით წარმოებული პროდუქტების თავის ქვეყანაში შეტანაზე (ევროპული ქვეყნების დიდმა ნაწილმა გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს დიდი ხანია კარი მიუხუ-

რა). ვინ, თუ არა ბიოტექნოლოგიის სპეციალისტებმა კარგად იციან, რა გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება მოყვეს ბიოსამყაროს გადაკეთების მცდელობას დედამიწაზე. გენური ინჟინერია დიდ რისკებთანაა დაკავშირებული, არა მარტო ამ დარგის გაუთვალისწინებელი შეცდომებიდან გამომდინარე, არამედ მსოფლიო პოლიტიკიდან და სახელმწიფოთა შორის დაძაბულ-დაპირისპირებული ურთიერთობიდან გამომდინარე. არავინ იცის, რომელი სახელმწიფო ან რეჟიმი როდის და როგორ გამოიყენებს, ბიოტექნოლოგიებით დანერგილი სიახლეების ან ადამიანის გადაკეთების ამ შესანიშნავ შანსს სათავისოდ, თუნდაც, მსოფლიოს ახლებურად მოსაწყობად...

ადამიანებზე ზემოქმედება სხვადასხვა საშუალებებით და სხვადასხვა მიზნით მათი გამოყენება, ასევე, მასათა მართვის იდეოლოგიური ან ტექნიკური მანქანის გამოგონება-გამოყენება, არის უდიდესი ბრალი და დანაშაული ადამიანთა საზოგადოებების და, საერთოდ, კაცობრიობის წინაშე.

ბრალი მტრად ყოფნისა და მტრად მიჩნევისა

რწმენისა და რელიგიის, ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში, ყველა შესაძლო – დაშვებული და დაუშვებელი მოვლენა იწყებს გასაგნობრივებას ადამიანის ფანტაზიებში. ადამიანური წარმოსახვის სივრცე ჩარჩოებს ვერ ეთავსებოდა; საბედისწერო მოვლენებიც კი, მოზღვავებულ ფანტაზიებს ვერ ახშობდა: ბევრჯერ, ფანტაზიები არანაირ ლოგიკას და ანალიზს არ ექვემდებარებოდა. მოზღვავებული ფანტაზიების მდინარებას დღევანდელი მსოფლიოც თავს ვერ ართმევს; დღესაც მსოფლიოს წარმოსახვები მართავს, ვიდრე რეალური მდგომარეობა. ფანტაზიები რეალობიდან ამომგდები ძალასავით მოქმედებს, რადგან ყოფიერებიდან გაქცევის ტკბობას და ილუზიას განაპირობებს. წარმოსახვათა სივრცეში დიდი დოზით არის ბრალის ვნება და ფანატიზმი. მოჭარბებულმა ფანტაზიებმა და ბრალმა დათიშა, დააპირისპირა – მოსისხლე მტრებად აქცია თავად უფლის რწმენის მატარებელი საზოგადოებები, რომელთა „ჭვრეტის“ განსხვავებულობას თვით უფალმაც ვერ დაუდო ზღვარი... და აღიძვრის უამრავი ბრალი შეხედულებებში უმნიშვნელო ნიუანსური განსხვავებულობის, რელიგიურ წარმოდგენებში და რიტუალებში წვრილმანი გადახვევის გამო. ასეთი დაპირისპირებულობა, წვრილმანი დეტალების გამო, სწორედ რომ, უფლისმიერი არ შეიძლება იყოს... იგი ადამიანური ვნების – ბრალის ანარეკლია. თანშობილი ფანტაზიურობა და ჭარბი ფანატიზმი მოქმედებს ადამიანის პიროვნებაზე, ჯგუფებზე, მასებზე; აღძრავს ბრალს წინააღმდეგობრივად და ბოლოს – სამტროდ, მცირედ განსხვავებულ შეხედულებათა გამო. უფლის მრავლისმეტყველი შეგონება „შეიყვარე მტერი შენი“ გაუგებარი და დამაბნეველი აღმოჩნდა, არათუ, ჩვეულებრივი მოკვდავისთვის, არამედ თვით რელიგიური საზოგადოების ზოგიერთი წევრისთვისაც. არადა, უფლის შეგონება ხომ ეს უნდა იყოს: გიყვარდეს უფლის სახე ყველა ადამიანში, დასძლიე მტრობაში მიმოქცეული საკუთარი ფანტაზიები – საკუთარი ბრალი სხვა ადამიანების მიმართ!..

ალიბი საკუთარი ბრალისა

90-იან წლებში, იმ დროს, როდესაც ქურდობა და ყაჩაღობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ბიზნესმენები ყვებოდნენ ასეთ ამბავს: ჩვენი ობიექტების გაქურდვა საეჭვოდ ემთხვეოდა წინა დღეებში „ფულის შეწერვაზე“ მოსული კრიმინალების გამოჩენას, რომლებსაც უარით ვისტუმრებდითო. ასეთი კაცის გამოჩენის შემდეგ ობიექტებზე დაცვას ვაძლიერებდითო. ნებით თუ არა ძალით წაღება (რაც მოგივათ თავს დააბრალეთო) – ეს ძალადობაა, მაგრამ ამის ახსნას თუ შევეცდებით, მივიღებთ ბრალის კიდევ ერთ განსაკუთრებულ ფორმას ანუ ბრალის საკუთარი პერსონიდან სხვა პერსონაზე გადატანის ერთგვარ მცდელობას. ერთი, რომ დანაშაული, მეორე, რომ საკუთარი თავის გაყვანა ბრალიდან (თავისმართლებისდაგვარი) არის ორმაგად დაზარალება გაქურდულისა (მატერიალურთან ერთად დააკისრო მორალური პასუხისმგებლობაც...). აქ ადგილი აქვს დამნაშავის „ერთგვარ“ თავის მართლებას ვიღაცის წინაშე. სახეზეა „რაღაცნაირი სინდისი“. ცხადია, ეს სინდისის „ნაგლეჯი“ ადამიანებზე არ არის გათვლილი, იგი უფლის მიმართ შიშზე უნდა იყოს დამყარებული და ეს ცუდი არ არის, მაგრამ, ბრალი ჩადენილი დანაშაულისა რომ სხვა ადამიანზე გადაიტანო, უფრო უპატიებელია, ვიდრე ქურდობა. უსამართლოდ დადანაშაულებით და სამაგიეროს მიზღვევით, აქ საქმე გვაქვს კაცთმოძულეობის კიდევ ერთ ბრალთან.

კუმულირებული ნეგატიური ენერგია და მისგან წარმოებული ბრალი

ზოგიერთი ადამიანი ნეგატიურ ენერგიებს შეძლებისდაგვარად ისხლიტავს, ზოგში ხდება ამ ენერგიების კუმულირება, რაც შემდგომში, პერიოდულად, სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა ინტენსივობით, ზოგჯერ ვულკანისებურად, თავს ატყდება ახლობელ ადამიანებს, საზოგადოების წევრებს ან თავად მას (უკუბრალი). ადამიანი, რომელიც დღის განმავლობაში რამოდენიმეჯერ შეურაცხყვეს, ან ჰქონდა ერთი ან რამოდენიმე წარუმატებლობა – მისდაუნებურად, სახიფათო ენერგიებს აგროვებს. მისი ბიოენერგეტიკა ირღვევა. ის, რაც შემუშავებული და დარეგულირებული ჰქონდა – საკუთარი თავის ფლობის უნარი – ქვეითდება; ასეთი დარღვეული-დაუბალანსირებელი ენერგეტიკა სახიფათოა როგორც სხვებისთვის, ასევე თავისთავისთვისაც. საკუთარი თავის ფლობის უნარის დაკარგვა – არაბუნებრივ გარსში გადანაცვლების ტოლფასია, რომელიც ადამიანს ამოძრავებს ქაოტურად, სტიქიურად. ჩვეულებრივ, ყოფაცხოვრებაში ადამიანი ამაზე არ ფიქრობს და არც ხელეწიფება გააკონტროლოს ის უამრავი უარყოფითი ენერგია, რომელიც მის ბიოენერგეტიკას ბლოკავს ან გადაყავს ავზნიანი ქმედების რეჟიმში...

ისტორია

გოჩა ჭელიძე

კავკასიის ფენომენი

კავკასიონი საქართველოს ერთ-ერთი მორფოლოგიური ერთეულია. მის ყველაზე მაღალ, 140 კილომეტრის სიგრძის ნაწილს, რომელიც მოქცეულია დასავლეთით ღვანდრას მთიდან აღმოსავლეთით ფასის მთამდე სვანეთის კავკასიონი ეწოდება და მისი საშუალო სიმაღლე 4000 მეტრია.

კავკასიონი დღევანდელი საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს წარმოადგენს. ოდესღაც საქართველო კავკასიონის ქედის ორივე მხარეს იყო განთავსებული (ჩვენ ამ საკითხზე მოგვიანებით ვისაუბრებთ).

კავკასიონი მსოფლიო მნიშვნელობის ფენომენია არა მხოლოდ მისი განუმეორებელი სილამაზით, არამედ იმ შეუდარებელი მნიშვნელობით, რაც სამყაროს ცივილიზაციის ფორმირების პროცესში უკავია. პირველ რიგში უნდა გავითავისოთ, რომ კაცობრიობის წარმოშობის ადგილად კავკასიაა მიჩნეული.

ტერმინი „**კავკასიური რასა**“ პირველად გამოიყენა გერმანელმა ფილოსოფოსმა **კრისტოფერ მეინერსმა** 1785 წელს გამოცემულ წიგნში **„კაცობრიობის ისტორიის კონტურები“**. **მეინერსის** ტერმინი განავრცო და გაავრცელა 1800 –იან წლებში მოღვაწე გერმანელმა ფიზიოლოგმა, ანატომმა, ანთროპოლოგმა, ზოოლოგმა, პროფესორმა მედიცინის დარგში და ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების წევრმა **იოჰან ფრიდრიხ ბლუმენბახმა**, რომელიც მიჩნეულია ანთროპოლოგიის სამეცნიერო დისციპლინის ფუძემდებლად. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ თანამედროვენი **ბლუმენბახს** მიიჩნევდნენ გერმანული მეცნიერების ამომავალ სინათლედ. **იმანუელ კანტი** და **ფრიდრიხ შელინგი** მას უწოდებდნენ თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ღრმად განსწავლულ ბიოლოგ – თეორეტიკოსს. მეცნიერებათა ისტორიკოსის **პიტერ უოტსონის** სიტყვებით XIX საუკუნის გერმანელი ბიოლოგების ნახევარი მისგან სწავლობდა ან მისით იყო შთაგონებული. **ბლუმენბახმა** XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე შექმნა ნაშრომი — **„ადამიანთა ტიპების ბუნებრივი სახესხვაობანი“**, ხსენებულ ნაშრომში მან კაცობრიობა ხუთ უმთავრეს რასად დაჰყო, მათ შორის:

- **კავკასიური რასა, ანუ თეთრკანიანები...**

ქართველთა შესახებ **ბლუმენბახი** წერდა: **„კავკასიონის მთაგრეხილის მახლობლად, კერძოდ მის სამხრეთ ნაწილში ყველაზე თვალწარმტაცი ქალბატონები და წარმოსადეგი მამაკაცები იბადებიან, მე მხედველობაში ქართველები მყავს და სწორად ამიტომაც, ყველა ფიზიოლოგიური წინაპირობისა თუ მიზეზის გათვალისწინებით, არსებობს ყველაზე მაღალი ალბათობა იმისა, რომ კაცობრიობის გაჩენის ადგილი დედამიწაზე, ეს რეგიონია“.**

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ინგლისელმა ზოოლოგმა **ვილიამ ჰენრი ფლოვერმა** კაცობრიობა **სამ მთავარ ძირითად მოდგმად:** ეთიოპიურ, მონღოლოიდურ და **კავკასიურ** მოდგმად დაჰყო.

XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე გერმანელმა ანტროპოლოგმა **პოლ ერენრაიჰმა** კაცობრიობა დაჰყო ექვს მოდგმად: **კავკასურ-ხმელთაშუაზღვის**, აფრიკა-ნეგრიტულ, მონღოლურ-აზიურ, ამერიკულ, მალაი–პოლინესურ და აუსტრალიურ მოდგმად.

ბრიტანელმა მწერალმა და პუბლიცისტმა. **ჟიულ ვერნთან** და **ჰიუგო გერნსბეკთან** ერთად სამეცნიერო ფანტასტიკის მამად აღიარებულმა **ჰერბერტ ჯორჯ უელსმა** 1920 წელს, **ხმელთაშუაზღვისპირულ რასას „იბერიული რასა“** უწოდა.

როგორც ირკვევა, **თეთრი რასის** წარმოშობის სათავე **კავკასია წმინდა ქართული ფენომენია** და ამას განსაკუთრებული გააზრება სჭირდება. კავკასიონთან არის დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა.

კავკასიონთან მიმართებაში 4000 წლის ინტერვალში ვხვდებით სვანეთში ოქროს მოპოვების საკითხთან დაკავშირებული თქმულებების ტრანსფორმაციას სვანეთის კავკასიონის მდინარეებში **ვერძის ტყავით** მოპოვებულ **ოქროს საწმისსა** და ამავე არეალში **გრიფების** საშუალებით მოპოვებულ ოქრომდე.

ამ მითებს შორის შევხვდებით კავკასიონთან თითქოს არანაირი შემხებლობის მქონე თქმულებებს. მაგალითად **ვალჰალას**. ვალჰალას ისლანდიურ თქმულებებში **ასგარდის** ერთი ნაწილია – **ოდინის სასახლე**. მასში ბინადრობენ ბრძოლის ველზე დაღუპულ გმირთა სულები, გაერთიანებულნი ოდინის რაზმში. ამ თავისებურ სამოთხეში, სიამოვნებისა და გართობის მიზნით, რაინდები დღისით ერკინებიან ერთურთს, და თუ დაიხოცებიან, საღამოთი კვლავ გაცოცხლებულები ბრუნდებიან ვალჰალაში და იწყებენ ღრეობას გათენებამდე. **„ოდინის შინდაბრუნება“** იძლევა ვალჰალას გეოგრაფიული ადგილსამყოფელის ლოკალურად დაზუსტების საშუალებას და ეს **კავკასიაა.** თქმულების თანახმად, იგი მოქცეულია კავკასიაში. აღსანიშნავია, რომ კავკასიაში ვალჰალას მოქცევის მოტივი, არამარტო ემთხვევა გერმანულ თქმულებებათა სხვა რკალში განვითარებულ აზრებს, რომ სამოთხე სწორედ მცირე აზიაშია, კერძოდ, **საქართველოში – სვანეთის კავკასიონზე.**

XII საუკუნის გერმანელი უდიდესი მწერლის **ვოლფრამ ფონ ეშენბახის** სარაინდო რომანში – **„პარციფალი“** ოთხ ადგილასაა ნახსენები **კავკასია.**

პარციფალის II ტექსტში აღწერილია **გამურეტის**, პარციფალის მამის შეჭურვილობა და მის აბჯარზე სიტყვა-სიტყვით ნათქვამია: დამზადებული იყო იგი **ოქროსგან, რომელსაც კავკასიის მთებიდან ბრჭყალებით გლეჯდნენ გრიფები,** არაბეთიდან მოდიან ადამიანები, რომლებიც ეშმაკობით იგდებენ ხელთ ოქროს და გააქვთ იგი არაბეთში!

რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი – **კლამიდე,** რომელსაც პარციფალმა წაართვა საყვარელი ქალი, **კონდვირმაური,** ეუბნება პარციფალს: – მე ისეთი რამ დავკარგე, რომ ამ დანაკლისს ვერ ამინაზღაურებს ვერავითარი სიმდიდრე და განძეულობა, ვერც ტრიბალიბოტი, ვერც **ოქროთი მდიდარი კავკასიის მთები** და ვერც თვით გრაალის ყოვლის მომნიჭება. პარციფალის VII წიგნში ვკითხულობთ: **კავკასიის ოქროსგან** წარმართები ქსოვენ მშვენიერ სამოსელს: დიდის ხელოვნებით აქსოვენ ისინი ოქროს აბრეშუმში.

კავკასია მოხსენიებულია აგრეთვე **XII საუკუნის** პირველი ნახევრის გერმანულ საგმირო ეპოსში – **ორტინტში.** სადაც: ქონდრისკაცი **ალბერიჰი** თხოვს ორტინტს სიცოცხლის შენარჩუნებას, რისთვისაც ჰპირდება მახვილს, მოვარაყებულს ოქროთი: მე ვფიქრობ, დედამიწაზე არ მოიპოვება უკეთესი მახვილი, მე ის წამოვიღე ქვეყნიდან, რომელსაც ჰქვია **ალმარაი.** იგი მოვარაყებულია ოქროთი და კრიალაა, ვითარცა მინა. **ოქრო მე ამოვიღე მთიდან, რომელსაც კავკასია ჰქვია!**

XIII საუკუნის მიწურულის გერმანულ საგმირო ეპოსში – **„რაინფრიდ ბრაუნშვაიგელი“** მოთხრობილია შემდეგი ამბავი: რაინფილდი თავის რაინდებთან ერთად სპარსეთში მიდის. აქედან ის სპარსეთის მეფესთან ერთად კავკასიის მთებს მიაშურებს, სადაც ბინადრობენ გრიფები, რომლებიც თავიანთ კვერცხს ოქროზე დებენ. ოქროს ხელში ჩასაგდებად იქაურები ხერხს მიმართავენ: როცა ოქროს მოპოვება სურთ, კლავენ დიდ ხარებს, მათ ატყავებენ, ხარის ტყავში დებენ დიდ, წვეტიან ქვებს, შემდეგ ტყავს პირს მოუკრავენ და ხარის ტყავებს იქვე დადებენ, ისე, რომ გრიფებმა კარგად დაინახონ... და ადრე, დილით, როდესაც ის ისაა ინათებს, გრიფს ჰგონია,

რომ საზრდო იპოვა – ის აიტაცებს ქვებით გამოტენილ ტყავებს და მთებზე აფრინდება, როცა მიფრინდება თავის ბუდეში, მაშინღა მიხვდება, რომ მოტყუებულია. გრიფი ტყავებსა და ქვებს მთიდან ძირს გადაყრის... ჩამოვარდნისას ქვები ტეხენ და თან გაიყოლებენ **ოქროს ზოდებს,** რომელთაც ადგილობრივები ღამით აგროვებენ და ეპატრონებიან.

XIII საუკუნის დასასრულის სარაინდო რომანში – **„უმცროსი ტიტურელი“**, რომელიც **ალბრეჰტს** მიეკუთვნება, შემდეგია მოთხრობილი: მთებში ბატონობენ ველური გრიფები. ამ მხარეში მცხოვრებთ მათი შიშით დამფრთხალი ჰქონდათ ძილი. ოთხი ცხენიც რომ ყოფილიყო გადაბმული, გრიფებს არც მათი გატაცება გაუჭირდებოდათ. გრიფები ადვილად არ თმობდნენ ოქროს; მათი ადგილსამყოფელი თანდათან ზევით იწევდა. **ისინი მთებში გლეჯდნენ ოქროს დიდ ზოდებს** და **კავკასიაში** მიჰქონდათ გასაყიდად, რათა ტყუილუბრალოდ არ გაფუჭებულიყო...

XV საუკუნის მწერალი, **ჰერმან ფონ ზაქსენჰაიმი** თავის **„მორინში“** წერს: მრავალ უცხო კუნძულზე, განსაკუთრებით კი შორეულ ინდოეთში, სადაც ერთ დროს გაემართა **თომა მოციქული**, აღმართულია **ოქროთი მდიდარი** მაღალი მთები, რომლებზეც გრიფები ბინადრობენ და მუდამჟამს ზიანს აყენებენ ნისკარტიან ადამიანებს. აქ ძალიან საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ძველ გერმანულ ლიტერატურაში, თითქმის ყველა, ვინც კი **კავკასიის** საკითხს შეხებია, მას ყველა **ინდურ კავკასიად** მოიხსენიებს. ამავე დროს, გარკვეულ ლიტერატურულ ძეგლებში არის ადგილები, სადაც ინდოეთი და კავკასია სხვადასხვა მხარეებად არის მოხსენიებული. მაგალითად, XVI საუკუნის **„ხალხურ წიგნში დოქტორ ფაუსტზე“** წერია: **კავკასია** ინდოეთსა და სკვითეთს შორის მდებარე უმაღლესი კუნძულია თავისი სიმაღლეებითა და მწვერვალებით. ამავე წიგნში ვკითხულობთ: იქიდან **დოქტორ ფაუსტმა** გადახედა მრავალ ლანდშაფტს და ზღვის სივრცეს. დოქტორი ფაუსტი ასეთ სიმაღლეებზე ადიოდა არა იმიტომ, რომ იქიდან ზღვა და გარემომცველი სამეფოები ეხილა, არამედ ფიქრობდა, რადგან ზოგიერთი კუნძულები თავისი მწვერვალებით ეგზომ მაღალია, სურდა მას ბოლოსდაბოლოს **სამოთხის** დანახვა... აღმოსავლეთით მან დაინახა სინათლე, მსგავსი მოკაშკაშე მზისა, იხილა მიწიდან ვიდრე ზეცამდე ცეცხლის ნაკადები ამოდიოდა... შეამჩნია ველზე ოთხი დიდი მდინარე მოედინებოდა – ერთი ინდოეთისკენ, მეორე ეგვიპტისკენ, მესამე – სამხრეთისკენ და მეოთხეც იქითკენ – სადაც ფაუსტი იმყოფებოდა. იხილა რა ეს, ფაუსტს ეწადა შეცნობა ყოველი ამის საფუძვლისა და წარმოშობისა და ჰკითხა **მეფისტოფილესს,** თუმცა მან ეს შეშინებული გულით მოიმოქმედა, თუ რა იყო. მეფისტოფელისმა მას სწორი პასუხი გასცა: **ეს სამოთხე არისო**.

გერმანული კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენელი **გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი განმარტავს:** მონღოლი მხოლოდ ანგრევს, ნამდვილი პროგრესი **კავკასიიდან** მოდისო, და პირველ რიგში ქართველებს ასახელებს.

როგორც ვხედავთ საქართველოს და სვანეთის კავკასიონს მრავალი მითი, ლეგენდა, თქმულება და სინამდვილე უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ერები და ქვეყნები თანამედროვე ეპოქაშიც კი თხზავენ და ქმნიან ლეგენდებს, ფუთავენ, მხატვრულ და ისტორიულ ელფერს აძლევენ, რათა მათი ქვეყნები ყოველმხრივ მიმზიდველი გახადონ. საქართველოს ეს არ სჭირდება. ლეგენდებით განგებამ უხვად დაგვაჯილდოვა და ამ გარემოებას დიდი ყურადღების მიქცევა სჭირდება.

მზია კვირიკაშვილი

ამ ჩანახატს ემოციების გარეშე ვერ წაიკითხავთ... თავად მაქვს გამონაცადი, როდესაც ომში შენს გვერდით შენი ძმაც იბრძვის... მოგეხსენებათ, ეს რა განცდაა... საბედნიეროდ, ჩემი ძმა ცოცხალი გადარჩა...

ოთარ ჯომიდავა ქართველი გმირია და ასეთი ვაჟკაცების გმირობანი აუცილებლად უნდა წარმოჩინდეს და ქართველმა ერმა უნდა იცოდეს მათზე...

დიდება გმირებს!..

მასალა ოთარ ჯომიდავაზე მოგვაწოდეს ბატონმა სოსომ და ქალბატონმა ქეთევანმა, ოთარ ჯომიდავას ძმამ და დამ.

სოსო, ქეთო და დათო ჯომიდავები

ოთარის ცრემლები



ოთარ ჯომიდავა

სოსო ჯომიდავა ოთარის უფროსი ძმაა.

იმ საბედისწერო დღეს სოსომ ოთარი ქვედა ზონაში, გზაზე დატოვა თავის მეგობრებთან და არ წაიყვანა წინა ხაზზე ... ის კი ფეხით ამოვიდა მასთან და უსაყვედურა ძმას:

– ნუ მაფარებ ხელს! მესმის შენი, მაგრამ ვერც შენ მიგატოვებ და ვერც ამ ბიჭებსო...

ასეთი იყო ოთარი, დაბადებული იყო ერთგულებისთვის, სიყვარულისთვის და გმირობისთვის!

''ცრემლი ჩამივარდაო სადღაც გულში, და მომეწვაო... – იხსენებს სოსო. - ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, ვერ გადავხარშე მისი დაკარგვა... ძალიან მიჭირს, ძალიან... ბოლო ხანებში სიზმრებში ვხედავ ყველას... და, ისინი, ვისაც ჩემი ხელით დავუხუჭე თვალები, ყველა ცოცხალია, თითქოს... ჩემი ოთარის სხეული ჯერ კიდევ თბილი იყო, როცა, კარგა ხნის შემდეგ მასთან მივაღწიე...

საშინელი ხმით ვღრიალებდი, იმდენი ვიღრიალე, რომ ეტყობა, ტვინი ჯერ კიდევ მუშაობდა მისი, და ცრემლები გადმოედინა სახეზე... – აი, რა დამიტოვა სახსოვრად და სატანჯველად ჩემმა ოთარმა.

ეკლესია მინდოდა ამეშენებინა ოთარის სახელზე ჩვენს სოფელში, გერზეულში (ღურზული), ძველი დანგრეული ეკლესიის ადგილას... და წყარო მინდოდა გამომეყვანა ძმის სახელზე იქვე, და ამ წყაროს ,,ოთარის ცრემლები" უნდა დარქმეოდა... ამიტომ დავასაფ-ლავე იგი სოფლის სასაფლაოს განაპირას. მაშინ ვინ იფიქრებდა, უპატრონობით მიტოვე-ბული საფლავები ასე თუ გავერანდებოდა და ჭირისუფლებს მათი მონატრებული ადა-მიანების საფლავებიც კი დაეკარგებოდათ.

ერთგული იყო ძალიან, მეგობრებისთვის თავგადადებული... ჩემი ძმა რომ არის, იმიტომ კი არ ვამბობ, ნამდვილად ასეთი იყო....ხშირად მას უსმენდნენ თანამებრძოლები, ის ოცმეთაურიც კი, რომელსაც ერთი მუჯლუგუნი ვუთავაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ოთარი გაუშვა დაზვერვაზე ჩემს დაუკითხავად... ისიც კი მას უსმენდა. მაგრამ ოთარი იყო ასეთი, ტყუილად კი არ შეარქვეს ,,ბაბუ". უშიშარი იყო, უკან არ დაიხევდა. თუ ჩაიფიქრებდა, შეასრულებდა კიდეც... მე კი სულ ვშიშობდი, მერჩივნა მე დავცემულიყავი ბრძოლის ველზე, ვიდრე ჩემი ძმა და ვცდილობდი ამერიდებინა მისთვის ყოველი განსაცდელი... სულ წინა პოზიციებზე გარბოდა, ეს კი მაშინებდა... ზოგჯერ ფიქრსაც ვერ ვახერხებდი, როცა ჩემი ძმა ჩემს თვალწინ ტრიალებდა და მთხოვდა წინა ხაზზე გაგზავნას... და ერთხელაც სოფელში გავუშვი, სადაც იდგა ჩვენი გაფუჭებული სამხედრო მანქანა, ვიფიქრე, მაგ მანქანის შეკეთებას ერთი სამი დღე მაინც დასჭირდება და დავისვენებ ცოტა ხანს მასზე დარდისგან-მეთქი... ჩავერთე ბრძოლაში... იმ საღამოსვე მომახსენეს, ოთარის მანქანა შეუკეთებია და მოუყვანიაო... ისევ ავფორიაქდი... ისეთი დანგრეული მანქანა იყო, ასე უცებ როგორ შეაკეთა-თქო? თურმე მთელი სამეზობლო დაუხმარებია, ნაწილებიც უშოვია და სახლშიც კი არ ასულა იმ მიზეზით, რომ როგორმე დროზე დაბრუნებულიყო ნაწილში.“

„– ჩემი დიდგულა და გულთბილი, ერთგული ძმა, ჩემი დიდი ტკივილი!“ – მერამდენედ იხსენებს მუდმივი ცრემლებით თვალებამოღამებული ქეთო... – მას მე ქუთაისში ვეგულებოდი ამ დროს და მშვიდად იყო... უმცროსი ძმა, დათო, რომელიც ასევე მუდამ ძმების გარშემო ტრიალებდა, სახლში გაუშვა იმ ღამეს და არაფრის ეშინოდა! სოსოს კი, მის უფროს ძმას, გვერდით ედგა ბოლომდე.

– არ შეიძლება, ქეთი, ამდენი ტირილი, 30 წელი გავიდა უკვე... კი ამშვიდებენ მეგობრები, მაგრამ რა დაამშვიდებს საყვარელი ძმის დამკარგავ დას.

„რომ შემეძლოს ერთხელ მაინც ვნახო მისი საფლავი, მხოლოდ ერთხელ მაინც გადავუსვა მას ხელი, ერთხელ მაინც ვიღრიალო მის საფლავზე, იქნებ ამოვაგდო როგორმე ეს ლოდი, რომელიც ამდენი წელია გულზე მადევს და მახრჩობს.“

ესეც კი სანატრელია ქართველი ქალისთვის, ხელი გადაუსვას მისი საყვარელი ადამიანის საფლავს.

„ოთარი ძალიან განსხვავებული იყო ჩვენგან... ძალიან სამართლიანი და გულთბილი, – განაგრძობს ქეთო ჯომიდავა, – თუ იგრძნობდა, რომ ენდობოდი, თავს გაწირავდა შენთვის... და-ძმებზე უფროსივით ზრუნავდა.. გულისყური მუდამ ჩვენსკენ ჰქონდა... მისი ბევრი გამონათქვამი, რომლებსაც ადრე არ ვეთანხმებოდი, ახლა ანდაზებივით მაქვს გამოყენებუ-ლი ცხოვრებაში... “დედას, მამას, და-ძმებს, ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილებს ვერ შეცვლი, ღმერთმა გვიბოძა ისინი ისეთები, როგორებიც არიანო და უნდა მივიღოთ ისინი

ასეთებად და შევიყვაროთო", ,,რაც არ უნდა მტყუანი იყოს შენი მეგობარი, მისი მხარი უნდა გეჭიროსო, მის დანაშაულზე სახლში ელაპარაკე და იქ აუხსენიო"... – ხშირად ამბობდა ამას. ჩვენი უფროსი ძმა, სოსო, არ ეთანხმებოდა-ხოლმე: „ცუდი ცუდიაო, გინდ დედა იყოს და გინდ დანარჩენებიო...'' დედას ეუბნებოდა თურმე ჩემზე, „იმდენად ვიცნობ ჩემს დას, რომ თქვენც არ გაპატიებთ, თუ აწყენინებთ მასო, მას რომ გული აქვს, ყველას ერთად გვეყოფაო...'' – ეს დედამ გვიან მიამბო, ოთარი აღარ იყო უკვე. ისე ამიჩუყდა გული, გულამოსკვნით ავტირდი... ასე როგორ მიცნობდა-მეთქი... უფროსი ძმა სასიკვდილოდ რომ გაწირეს და დაჭრილი ჩამოიყვანეს ზუგდიდიდან, მისთვის უკითხავთ, შენებს არ ვუთხრათო? – მხოლოდ ჩემს ძმას უთხარით, ოთარისო... უცებ მოუძებნიათ ოთარი... და როცა ის მოსულა, ჯერ ძმისთვის დაუხედავს და შემდეგ უკითხავს: სად არიანო ჩემი მშობლები და და-ძმა? ჩემ ძმას უჭირსო და რატომ არ არიანო ისინიც აქ? მაგათსავით ვინ მისცემსო ჩემს ძმას ძალას და ენერგიას გამოსაჯანმრთელებლადო?..

უფროს ძმას ლანდივით დასდევდა უკან...ზურგში ესროლესო ამას და მეორედ თუ განმეორდა ასეთი რამ, იქვე ვიქნებიო და არ დავუშვებო ამას...

თუ მის მეგობრებს რამე დასჭირდებოდა, თავისი მანქანით მათ ოჯახში იქამდე იყო, სანამ არ მოაგვარებდა პრობლემას... გარდაიცვლებოდა ვინმე სამეზობლოში და უბედურს სანამ არ მიუჩენდნენ მის ადგილს, არ შორდებოდა...

ყველას ამბავი იცოდა... შეშა თუ იყო დასაჭრელი, მოაგროვებდა ბიჭებს და დაუჭრიდნენ... მოსათოხნი იყო სიმინდი? ისევ მოგროვდებოდნენ და გათოხნიდნენ... მხიარული იყო და მასთან ყველას უხაროდა ყოფნა... აი, ნანის პატარა ბიჭიც, გელა, გვერდიდან არ შორდებოდა-ხოლმე, სოსო კი უწყრებოდა, ბავშვს რატომ ასმენინებთო თქვენს საუბარს... ის ჩამოყალიბებული ადამიანია, ყველაფერს სწორად იგებსო. -ასე პასუხობდა. თითქოს ბედის ირონია იყო, რომ ორივე ერთდროულად წავიდა ამ ქვეყნიდან, უსამართლო ომს შეწირულნი. ნანი კვაშილავას ბიჭიც ბოლო დღეებში ნაღმზე აფეთქდა და ისიც იქ დატოვა უბედურმა დედამ.

ზაფხულში, სანამ ომი განახლდებოდა, როცა ეგრეთწოდებული ,,პერემირიე'' გამოცხადდა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველთა ჯარი მოეტყუებინათ, განეიარაღებინათ და ასე სამარცხვინოდ დაემარცხებინათ, ოთარი სახლში ძალიან შეწუხებული ამოვიდა... ხორციც არ ჭამა... რა მოხდა-მეთქი, ვკითხე... ერთი აფხაზი ბიჭი აუყვანიათო ტყვედ, როცა მივედიო ბრძოლის ველიდან, ვიკითხე, ვინ არისო... ასე მითხრესო, – ტყვეაო.. შევხედეო, ასე 18-19 წლის იქნებოდაო, ძალიან ლამაზი, ცისფერთვალება... გამოველპარაკეო, ძალიან შეშინებული იყოო, ხომ არ მომკლავენო, მე არ ვიბრძოდიო თქვენს წინააღმდეგ... -ნუ გეშინია, გაგაპარებო, – უთქვამს ოთარის... წაუყვანია და დაუმალავს... ამ დროს დაზვერვაზე გაუშვიათ... საღამოს, როცა მიაკითხა ბიჭს, რომ გაეპარებინა, ვერ ნახა თურმე და მოიკითხა... აი, რა უთხრეს... როცა შენ არ იყავი, გაგრელი მებრძოლები მოვიდნენ, რომელთაც ორსული ცოლები და პატარები აუკუწეს თვალწინო, გაგიჟებულები მივარდნენ იმ ბიჭს, არავის არ მოუსმინეს, ტიროდნენ, ბღაოდნენო... გაათრიეს ის საწყალი და დახვრიტესო... ოთარი ამაზე გადარეულა, მაგრამ რას იზამდა? – ომი იყო და ასეთ ომში მონაწილეობა ტანჯავდა... სანამ არ შევხედავ, არ ვისვრიო...– ასე ამბობდა და სწორედ ასე დაასწრო მტერმა.

აგვისტო იყო, თითქოსდა შერიგება მოხდა ქართველებსა და აფხაზებს შორის და მშვიდი პერიოდი დადგა. მე, ოთარი და დათო ამ თვეში ვიყავით დაბადებულები, ასე რომ,

აგვისტო ჩვენი ოჯახისთვის ხალისიანი დღესასწაულების თვე იყო. იმ წელს, რატომღაც, ოთარმა მარხვა მოიმიზეზა და არც ერთმა არ აღვნიშნეთ ჩვენი დღეები. ...მონათლული არ იყო, მაგრამ წესებს იცავდა! მონათვლას ომის შემდეგ აპირებდა, ნათლიაც შერჩეული ჰყავდა... როგორც კი დამთავრდა მარხვა, 29 აგვისტოს გადაიფიქრა და დაბადების დღე უნდა გავაკეთოთ და დავპატიჟოთ ჩემი თანამებრძოლებიო... თან სოსოს ცოლი ახალი შერთული ჰყავდა და ისიც აღვნიშნოთო. მაშინ ჩვენთან სტუმრად იყო ჩვენი დეიდაშვილი ნანი, აჩადარაში მასიური დაბომბვების დროს მას დედა დაეღუპა და მგლოვიარედ იყო და ჩვენთან იმყოფებოდა. ...დავეხმარეთ ერთმანეთს და ლამაზი სუფრა გავაწყვეთ, თუმცა ოთარის და სოსოს თანამებრძოლებიდან მხოლოდ ორი მეომარი მოვიდა, დანარჩენები ზუგდიდში წასულიყვნენ... ოთარი მთელი ღამე დაღონებული იყო, სუფრასთან დაჯდომაც კი არ ისურვა! მეორე დღეს კი სასწრაფოდ წავიდა ზუგდიდში და იქ თავის თანამებრძოლებს შეუერთდა... სოსოს არ მოეწონა ეს, მაგრამ რას იზამდა? მის ძმაკაცს, რომელსაც ,,ვაღურია ჯიმას" ეძახდნენ, ოთარი ვერ მიატოვებდა!... ეს იყო ბოლო დღე, იმ დღეს საბოლოოდ ვხედავდი თურმე ჩემს საყვარელ ძმას. იქიდან 19 სექტემბერს ახალი ძალებით დაბრუნდნენ... აი, ამ დროს ავცდით ერთმანეთს და-ძმა! ორივე იმ დღეს აეროპორტში ვიყავით თურმე! ქუთაისში ვიმყოფებოდი და როცა ტელევიზიით ვნახე, რომ სოხუმში ბრძოლები განახლდა, იმ დღესვე გადმოვფრინდი ბიცოლასთან ერთად... გზაში გვესროდნენ, არ გვიშვებდნენ აეროპორტში და თვითმფრინავი ზღვისკენ გაფრინდა... როგორ მეშინოდა ზღვაში ჩავარდნის! კარგა ხანი დასჭირდა სანამ თვითმფრინავი დაჯდებოდა, პილოტმა ისიც კი მითხრა, ნუ ჩახვალო, მაგრამ ტირილი დავიწყე, ჩემები აქ არიან-მეთქი... არ მჯეროდა, რომ სოხუმი დაიკარგებოდა, სკოლაშიც სწავლის დაწყება იყო გამოცხადებული და იქით მიმეჩქარებოდა... აეროპორტში ნემსი ვერ ჩავარდებოდა, იმდენი ხალხი იყო... იქიდანაც ვიღაცამ დამიძახა, არ ჩამოხვიდე, სოხუმი აღებულიაო, მაგრამ მაინც ჩამოვხტი უტრაპო თვითმფრინავიდან... ძლივს მივაღწიე სოფლამდე, თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ გაუხარდათ მეზობლებს, მე რომ დამინახეს! აი, ხომ ხედავთ, ქეთინო არ გაუყვანიათ ძმებს, ესე იგი საშიში არააო! თორემ ერთადერთ დას აქ დატოვებდნენო? და ვისაც ჩალაგებული ჰქონდა ჩანთები წასასვლელად, ყველამ გადაიფიქრა...

მეორე დღეს კი ჩემი ოთარი დაიღუპა.

ნეტავ თუ დავბრუნდებით როდისმე იქ და თუ შევძლებ მოვეფერო მის საფლავს? 30 წელია უკვე ამ დღეზე ვოცნებობ.“

ოფიციალური ცნობა ასეთია:

“1993 წლის 20 სექტემბერს სოხუმის რაიონში, ბირცხის მაღლობზე განლაგებული მტრის არტილერიის და სნაიპერების ცეცხლის მიუხედავად, ოთარ ჯომიდავას მეთაურობით, ჯგუფი გადავიდა შეტევაზე დაჭრილებისა და ალყაში მყოფი მოსახლეობის გამოსაყვანად... დაჭრილებიც და ხალხიც გამოყვანილ იქნა სამშვიდობოს, ოთარი კი დაეცა მტრის ტყვიისგან განგმირული...'' (საქართველოს ეროვნული გვარდიის სოხუმის მეხუთე ბატალიონ ,,ოდიშის" მეთაური სოსო ჯომიდავა).

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

მერი ნეკრესელაშვილი
სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ცენტრალური ბანკის ტიპის საბანკო დაწესებულებების ფუნქციონირების ისტორია საქართველოში

ანოტაცია. განვითარებული ქვეყნების საკრედიტო სისტემის ანალიზი გვაძლევს საშუალებას აღინიშნოს, რომ ბანკებს არსებითად სერიოზული ფუნქცია აკისრიათ – სასესხო კაპიტაკის განაწილება და სახალხო მეურნეობის გადახდის საშუალებებით უზრუნველყოფა. ამასთან, ისინი არა მხოლოდ ეფექტიანად ანაწილებენ საკრედიტო რესურსებს, არამედ ქმნიანგადახდის საშუალებებს და უზრუნველყოფენ მეურნე სუბიექტებს შორის ანგარიშსწორებას. არცერთი სამეურნეო სუბიექტი არ ფუნქციონირებს ანგარიშსწორების სისტემის გარეშე. ბანკები კი – ფუნქციონალური ერთეულებია, რომლებიც ქმნიან ამგვარ სისტემას და სწორედ ეს განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისათვის მათ უნიკალურ როლსა და მნიშვნელობას. სწორედ აღნიშნული საკიტხები, კერძოდ კი საქართველოში ცენტრალური ბანკების ჩამოყალიბებისა და განვიტარების ეტაპებია განხილული წინამდებარე სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: საბანკო სექტორი, ცენტრალური ბანკი, საკრედიტო სისტემა, ფულის ემისია.

annotation. The analysis of the credit system of developed countries allows us to note that banks have a serious function in essence – the distribution of loan capital and the provision of means of payment to the public economy. In addition, they not only effectively allocate credit resources, but also create means of payment and ensure settlement between economic entities. No business entity functions without a settlement system. Banks are functional units that create such a system, and this is what determines their unique role and importance for the economy of any country. The mentioned issues, in particular, the stages of formation and development of central banks in Georgia are discussed in the present article.

Key words: banking sector, central bank, credit system, money emission.

საქართველოში საბანკო სისტემის არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი ბანკები, ემბრიონების სახით, ჯერ კიდევ ჩვენ წელთა აღრიცხვამდე VI საუკუნეში იღებენ სათავეებს. შემდგომ ეს პროცესი გრძელდება და ჩქარდება. დავით აღმაშენებელის დროს ტარდება ფულის, ფინანსებისა და კრედიტის ფართომასშტაბიანი რეფორმები. უკვე XIII საუკუნეში არსებობს სპეციალური საკრედიტო დაწესებულებების, რომლებსაც ქართულ ისტორიულ წყაროებში „ორტაღის“ სახელით მოიხსენიებენ (ჯავახიშვილი ივ. ა. – ქართული ერის ისტორია, ტ.2. – თბილისი, 1941 წ., გვ. 63 – 102). ისინი იძლეოდნენ კრედიტებს ქონების გირაოს ქვეშ ან მის გარეშე და საკრედიტო ურთიერთობების გამნვითარეას უწყობდნენ ხელს.

მიუხდავად რთული ისტორიული პერიოდებისა, შემდგომ საუკუნეების საქართველოში საკრედიტო ურთიერთობები და მათი სხვადასხვა სტრუქტურული ფორმა (ზარაფები, მევახშეები)

ნელა, მაგრამ მაინც ვითარდებოდა. ფართოდ ვრცელდებოდა საკრედიტო ურთიერთობების ისრთი დოკუმენტები, როგორიცაა თამასუქი, თანდათან ხორციელდებოდა ფულადი სისტემის სრულყოფა-განვითარება.

XVIII საუკუნის საქართველოში უჯვე არსებობს ისეთი საკრედიტო ურთიერთობები, მათი ორგანიზაციული სტრუქტურები და ოპერაციები, რომლებიც დამახასიათებელია ევროპის მაღალ-განვითარებული ქვეყნებისათვის. საქართველოს ფულდი ნიშნები (ქართუ;ი თეთრი) ქვეყნის გარეთ გადის და მათი მიმქცევა ამიერკავკასიის სხვა რეგიონებშიც ხდება.

რუსეთის მიერ 1801 წლიდან საქართველოს ანექსიის შემდეგ ეროვნულმა ფულად-საკრედიტო სტრუქტურებმა და საკრედიტო ინსტიტუტებმა თავიანთი მნიშვნელობები დაკარგეს, რის შედეგადაც იწყება იმპერიალსტური საკრდიტო მექანიზმის დამკვიდება. პირველი ასეთი იმპერიული საკრედიტო დაწესებულება თბილისში 1810 წელს დაარსდა „საქართველოს საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიოს“ სახელწოდებით, რომელიც იღებდა ანაბრებს და იძლეოდა კრედიტებს (გუგუშვილი პ.ბ. – საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX – XX საუკუნეებში, ტომი 2. – თბილისი, 1965 წელი, გვ. 245 – 380). 1849 წელს იგი ამიერკავკასიის საგანგიოდ გადაკეთდა. 1866 წელს თბილისში გაიხსნა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ბანკის (დაარსევული 1860 წელს) თბილისის კანტორა, ხოლო 1871 წელს – თბილისის კომერციული ბანკი, რომელსაც ფილიალები ქონდა ბაქოში, ბათუმსა და ერევანში. აღნიშნული ბანკები მეტროპოლიაში არსებული ბანკების ფილიალებს წარმოადგენდნენ და საქართველოს კოლონიზაციას ემსახურებოდნენ.

საქართველოს სოციალური და ეკონომიკური აღორძინებისათვის დიდი მნიშვნელობა ქონდა თბილისსა (1875 წ) და ქუთაისში (1876 წ) საადგილმამულო ბანკების დაარსებას, რომლებსაც შესაბამისად ილია ჭავჭავაზე და ბესარიონ და ნიკო ღოღობერიძეები ხელმძღვანელობდნენ. საქართველოში საბანკო საქმის, საქონელწაროებისა და საქონელმიმოქცევის ცივილეზირებული ფორმრბით, მეთოდებითა და მასშტაბებით განვითარებისათვის ორივე ბანკმა უდიდესი როლი შეასრულა. მოვლენათა ცენტრში იდგა თბილისის საადგილმამულო ბანკი, რომელიც ილია ჭავჭავაძის ძალისხმევით დაარსდა და რომელსაც იგი მთელი 30 წლის მანძილზე უცვლელად ხელმძღვანელობდა. ბანკით ილია ჭავჭავაძის ასეთი დაინტერესება გასაგები იყო – მან იმთავითვე განჭვრიტა, რომ ცივილიზებული მეთოდებით ამუშავებულ ბანკს იმპერიის მიერ გუბერნიებად და მაზრებად დაყოფილ ქვეყანაში, შეეძლო გაეერთიანებია იმდროინდელი საქართველოს აქტიური სოციალური ძალები, ჩაება ისინი ქვეყნის სამსახურში, განევითარებია საქართველოს ეკონომიკა, დაეფინანსებია საერთო ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებანი და სხვა.

ამ დროისათვის, ქართველი ფინანსისტები გრძნობდნენ, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილ დასოციალურად დაძაბულ საქართველოშისაქმის ცოდნით ამუშავებულ საადგილმამულო ბანკს უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის ამოცანების შესრულება შეეძლო. იგი, უპირველესად, ერთიანი საქართველოს ეკონომკური სახლის მზიდი კონსტრუქცია, მისი კარკასი უნდა ყოფილიყო, რომელიც გასცემდა კრედიტებს ეკონომიკის განვითარებისათვის, დააფინანსებდა სხვადასხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებს, ცამოაყალიბებდა ეპოქის შესაბამის ქართულ მენტალიტეტს, საფუზველს ჩაუყრიდა მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მართვის ისეთ მძლავრ ეკონომიკურ სტრუქტურას, როგორიც არის ქვეყნის ეროვნული ბანკი.

საბანკოსისტემის განვითარების მრავალეტაპობრივ პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ქონდა 1920 წელს. ამ დრომდე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არ გააჩნდა საკრედიტო სისტემის მართვისა და რეგულირების საკუთარი სათაო რგო;ი – საქართველოს ეროვნული ბანკი. მის მოვალეობას ასრულებდა რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება, რომელსაც 1917 წლის ოქტომბრდან არავითარი კავშირი აღარ ქონდა საიმპერიო ბანკთან.

რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისი განყოფილება 1917 წლის ნოემბრიდან, ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატის ფინათა კომისარის ქრისტეფორე კარჩიკიანის უშუალო დაქვემდებარეაში, ხოლო შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლოკის ფინანსთა

მინისტრის – გიორგი ჟურულის (ამ თანადებობაზე მუშაობდა 1918 წლის 26 მაისიდან 1919 წლის 21 მარტამდე) და კონსტანტინე კანდელაკის (მოღვაწეობდა 1919 წლის 21 მარტიდან) ზდამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

ზემოთხსენეული ბანკის თბილისის განყოფილების ფუნქცია – ზარაფხანიდან შემოტანილი ფულადი ნიშნების ფინანსთა მინისტრის დირექტივებისამებრ განკარგვა იყო. მის მუშაობას აკონტროლებდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დანიშნული საგანგებო კომისარი.

დამოუკიდებელი სახელმწიფო საკრედიტო აპარატის არარსებობა, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა ფულის მიმოქცევის და სხვა სასიცოცხლო ეკონომიკური მნიშვნელობის საქმეთა რეგულირების [პრეროგატივას, ერთობ უარყოფით როლს თამაშობდა და შეუძლებელი იყო დიდხანს გაგრძელებულიყო (ჯავახიშვილი ნ.გ. – ქართული ბონისტიკა. – თბილისი, 1996 წ., გვ. 58).

ჯერ კიდევ 1918 წლის მიწურულს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა გიორგი ჟურულმა ესპუბლიკის მთავრობას წარუდგინა კანონპროექტი სახელმწიფო ბანკის დაასებისა და მისი წესდების შესახებ. გარკვეულ მიზეზთა გამო, მისი დამტკიცება საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის ბოლომდე გადაიდო.

მნიშვნელოვანია აგრეთვე გარემოება, რომ დამოუკიდებელი საქართველოს საფინანსო წრეების წარმომადგენელთა აზრით, ცენტრალური ბაკი, თვისობრივად ახალ პრონციპებზე დაყრდნობით უნდა დაფუძნებულიყო. საქართველოს მაშინდელი ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო ბანკი არ უნდა მოქცეულიყო კერძო აქციონერებისა და ფინანსთა სამინისტროს გავლენის ქვეშ (როგორც ეს საბანკო პრაქტიკაში იყო მიღებული). ასეთ პირობებში საქართველოს სახელმწიფო ბანკის მოდელი შვედეთის სახელმწიფო ბანკის მაგალითზე აიგო, რომელიც საუკეთესო რეპუტაციით სარგებლობდა, ამავე დროს საწესდებო კაპიტალის თანხა სახელმწიფო ხაზინამ გაიღო და მთელი მისი მოგებაც სახელმწიფო ხაზინას ეკუთვნდა. იგი პირდაპირ ექვემდებარებოდა საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტს. წესდების მიხედვით, ბანკის გამგეობა და ზედამხედველობის საბჭო მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანოები უნდა ყოფილიყო.

1919 წლის 31 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუზნებელი კრედისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა „კანონი სახემწიფო ბანკის დაარსების შესახებ“, რითაც ქვეყანაში საბანკო სისტემის მარეგულირებელი და ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციე ლებელი ორგანოს კანონიერ ფუნქციონირებას ჩაეყარა საფუძველი.

კანნს თან ერთოდა წესდება, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ბანკის დანიშნულება, წყობის სტრუქტურა, საწესდებო კაპიტალი და უფლებამოვალეობანი იყო განმარტებული.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსების შსახებ კანონში ვკითხულობთ:

- „გაღებულ იქნას საქართველოს სახელმწიფო ბანკის ძირითად თანხად, სახელმწიფო ხაზინიდან ორმოცდაათი მილიონი მანეთი;
- არსებული კანონმდებლობის ყოველი ის მუხლი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდებას, გაუქმდეს ბანკის მიქმედების დაწყების დღიდან;
- კანონი ესე ალაში შედის დღიდან მისი მიღებისა დამფუძნეელი კრების მიერ“ (საქ. დემოკრ. რესპ სამართლებრივი აქტების კრებული – 1918 – 1921 წწ. – თბილისი, „ივერთა მხარე“, 1990. – გვ. 325).

საქართველოს სახელმწიფო ბანკის ამოქმედება 1920 წლის ივლისიდან გახდა შესაძლებელი. კანონის თანახმად, აღნიშნულ სტრიქტურას დაარსების პირველი დღიდან „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ ეწოდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო ფულის მიმოქცევისა და რესპუბლიკის ფულადი ნიშნების სტაბილურობა, აგრეთვე ვაჭრობის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მოკლევადიანი სესხების გაცემა. საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი ქართველი ფინანსისტი, ბანკირი იასონ ლორთქიფანიე. მიუ-

ხედავად თავისი არსებობის მცირე ხნისა, ბანკმა საქართველოსათვის ბევრი სასარგებლო და მნიშვნელოვანი საქმია გაკეთება მოასწრო: განახორციელა ფულის რეფორმა, შექმნა მნიშვნელოვანი უცხოური სავალუტო რეზერვები. მიმოქცევიდან ამოიღო ამიერკავკასიის კმოსარიარტის „ბონები“. ამ უკანასკნელის თავისუფალი მიმოქცევა აჭკარად ზღუდავდა სუვერენული საქართველოს ფულად-საკრედიტო სფეროს და ამდენად ხანგრძლივად ვერგაგრძელდებოდა. ამის გამი, საქართველოს ეროვნულ საბჭოში „ქართული ფულის“ თუნდაც ბონების სახით გამოშვების მომხრეთა რიცხვი რღითიდღე იზრდებიდა.

1918 წლის ივნისში დაარსდა „ქართული ფულის ფონდი“, რომელიც მომავალი ქართული ვალუტის სტაბილური კურსის ერთ-ერთი მყარი გარანტი უნდა გამხდარიყო. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1918 წლის ივლისში გამოცხადდა კონკურსი – ქართული ფულის ნიშნების კონკრეტული მხატვრული სახის შესარჩევად და დასადგენად. ღონისძიებას კურირებდა მთავრობის მირ შექმნილი სპაციალური კომისია, რომელმაც ერთხმად მოიწონა მხატვარ იოსებ შარლემანის მიერ შესრულებული ესკიზი. სწორედ ეს ესკიზი დაედო საფუძვლად ქართული ბონების გარეგნულ სახეს. ამ პერიოდისათვის ქართული ბონის გამოსაშვებად უკვე მომზადებული იყო ნიადაგი – საშინაო და საგარეო მდგომარეობა შედარებით სტაბლური იყო და ყველა ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ უკვე დრო იყო, ერთხელ დასამუდამოდ, წერტილი დასმოდა საქართველოს ფინანსურ დამოკიდებულებას სომხეთსა და აზერბაიჯანზე (ჯავახიშვილი ნ.– საქ. დემოკრ. რესპ-ის ბონები – 1919 – 1921 წწ. – თბილისი, 1998. – გვ. 16).

საქართველოს სახელმწიფო ბანკის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ამ დროისათვის დაბეჭდილ ნებისმიერი ფულის ერთეულთან შედარებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის – „ბონი“ ყველაზე მტკიცე ვალუტად ითვლებოდა. მისი კურსი რუსეთის „სახელმწიფო საკტრედიტო ბილეთებისა“ და ამიერკავკასიის ბონების პარიტეტული იყო, რის გამოც იგი თავისუფლად მიმოიქცეოდა არა მხოლოდ ამიერკავკასიაში, არამედ რუსეთის პოსტიმპერიულ ქვეყნებშიც. საქართველოს სახელმწიფო ბანკის საქმიანობის შედეგდ, დარეგულირდა ფასები პირველადი მოხმარების საგნებზე, შემუშავდა ფულის ახალი რეფორმის გატარების პროექტი და განხორციელდა სხვა მნიშველოვანი ღონისძიებები.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ დამოუკიდებლობის გაკარგვამ საქართველოს სახელმწიფო ბანკს სახელმწიფოებრივი საფუძველი გამოაცალა და მან არსებობა შეწყვიტა. 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ „გენერალური ბანკის ფუნქციებს“ „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო ბანკი“ ასრულებდა, რომელიც 1921 წლის ოქტომბერში რუსეთში დაარსებული „სახელმწიფო ბანკის“ ერთ-ერთ ფილიალს წარმოადგენდა. მისი საქმიანობის სფერო მნიშვნელოვნად შეზღუდული იყო, ვინაიდან საყოველთაოდ მიღებული მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა ბანკების დამოუკიდებელი მოქმედებსუნრს აფერხებდა და ხელს უშლიდა ქვეყნის ეკონომიკურიმდგომაეობის გაუმჯობესებას.

საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების ისტორიაში ახალი ეტაპი – კვლავ 1991 წლიდან იწყება. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში ფეხს იკიდებს საბაზრო პრინციპებზე დაფუზნებული ეროვნული ეკონომიკა. წვეყნის წინაშე მდგარ უამრავ პრობლემას შორის ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი და უმნიშვნელოვანესია – მძლავრი საბანკო სისტემის შექმნა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბანკო სისყემის მდგრადობასა და სტაბილურობაზე. საბანკო სფერო მოითხოვს სერიოზულ ყურადღებას და მხარდაჭერას, რომ მან არ შეაფერხოს ქვეყის ეკონომიკის კრიზისიდან გამოსცვლის პროცესი და ეროვნული მეურნეობის დინამიკური განვითარება. ამიტომ იყო, რომ ეროვნულმა ძალებმა დიდი ყურადღება დაუთმეს საბანკო სისტემისა და განსაკუთრებით, მისი სათაო რგოლის – „ეროვნული ბანკის“ შექმნას და ფუნქციონირებას.

1991 წლის აგვისტოში ოპერატიულად მიღებულმა კანონმა საფძველი ჩაუყარა საქართველოში ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას და განსაზღვრა, თუ ვის და როგორ უნდა

განეხორციელებინა ფულად-საკრედიტო ურტიერთობათა რეგულირება დარა როლი უნდა ეთამაშა ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნულ ბანკს. ქვეყნის ცენტრალური ბანკს შექმნის პირველივე დღეებიდანეწოდა „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი", რომელიც მძლავრ სახელმწიფოებრივ-ეკონომიკურ ინსტიტუტს წარმოდგენს.

დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ ეტაპზე მიღებული კანონები, ქვეყანაში არსებული მზიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო სრულყოფილად არ ფუნქციონირებდა. მდგომარეობას განსაკუთრებით ართულებდა ის, რომ ქვეყანას არ გააჩნდა ეკონომიკური პროცესების მართვის არსებითი ბერკეტი – ეროვნული ვალუტა, რომლის არსებობა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ბანკის მიერ ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებას ესაჭიროებოდა.

იმისათვის, რომ საქართველოს ეროვნულ (ცენტრალურ) ბანკს წარმატებით შეესრულებინა ქვეყნის საბანკო სისტემის ბანკთა-ბანკის რილი, აუცილებელი იყო:

- ჰქონოდა ფულის საკუთარი (ეროვნული) ნიშნები და ქვეყნის შიგნით ყოფილიყო მისი ერთადერთი ემიტენტი;
- შეექმნა საკუთარი საკრედიტო რესურსები;
- შეექმნა უცხოური კონვერტირ. ფულის მარაგები – საერთაშორისო რეზერვები;
- შეექმნა ოქროს მარაგი და სხვა.

მეტროპოლიის ანტიქართული პოლიტიკის შედეგად, საქართველოს ეროვნულ ბანკს, მისი შექმნისა და ფუნქციონირების პირველ ეტაპზე, არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი რესურსი არ გააჩნდა. ასეთ ვითარებაში აშკარა იყო, საკუთარი ძალებით ეროვნული საბანკო სისტემის ფუნქციონირება შეუძლეელი იქნებდა. საჭირო იყო სასწრაფო ნაბიჯების გადადგმა და „ვიღაცისათვის" რჩევისა და დახმარების თხოვნა. ასეთ „ვიღაცად" რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ საერთაშორისო სავალუტო ფობდი (სსფ) მიიჩნია.

1992 წლის მაისში საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირველი მისია ჩამოვიდა. მათ საგულდაგულოდ შეისწავლეს საქართველოში არსებული ეკონომლიური, ფინანსური, პოლიტიკური, სოციალური მდგმარეობა და კრიზისიდან თავისდასაღწევად რესპუბლიკის ხელმძღვანელობას თავიანთი რეკომენდაციები წარუდგინეს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის აქტიური მონაწილეობით განხორცეულდა საბანკოსისტემისა და ეროვნული ბანკის სტრუქტურული რეორგანიზაცია. გატარებულმა ღონისძიებებმა არსებითად შეცვალა საბანკოსისტემის ფუნქციონირების მექანიზმი. დღეისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი – წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ სახელმწიფოებრივ-ეკონმიკურ ინსტიტუტს, რომელიც თავისი სტატუსით, საერთაშორისო-სავალუტო რეზერვებითდა გაშტოებული საბანკო ქსეით, უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური სფეროს შემდგომ განვითარებაზე.

ბიბლიოგრაფია

1. https://www.turiba.lv/storage/files/konference-2023_1.pdf#page=139
2. https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022_1.pdf#page=95
3. https://journals.4science.ge/index.php/IDW/article/view/2089
4. http://surl.li/swtue
5. https://dergipark.org.tr/en/pub/kdeniz/issue/48671/573640
6. http://eprints.tsu.ge/1457/
7. https://www.ceeol.com/search/article-detail?id=813287
8. https://ijsser.org/2022files/ijsser_07__203.pdf

ხელოვნება

ირმა კეკელიძე

მოხუცი ჯამბაზები

"მოხუცი ჯამბაზები" – სპექტაკლი, რომელიც აღარ არის რუსთაველის თეატრის რეპერტუარში... სპექტაკლი, რომელიც არასოდეს დამავიწყდება!.. სპექტაკლი, რომელიც აღარც მახსოვს რამდენჯერ ვნახე!.. სპექტაკლი, რომელიც ყოველთვის ანშლაგით მიდიოდა!.. სპექტაკლი, რომელმაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართული თეატრის უახლეს ისტორიაში!.. სპექტაკლი, რომელიც ძალიან მენატრება!..

სრულიად შემთხვევით, რუსთაველის თეატრის სპექტაკლის "მოხუცი ჯამბაზების" (საგულდაგულოდ შენახულ) პროგრამას წავაწყდი და ვერ შევძელი გვერდზე ისე გადამედო, როგორც მაყურებელს, ჩემი გულწრფელი სათქმელი არ მეთქვა... პროგრამის გარეკანიდან, სპექტაკლის პერსონაჟი– კოტე (კახი კავსაძე) მიღიმის. გადავშალე და ვკითხულობ:

რონალდ ჰარვუდი

მოხუცი ჯამბაზები

მცირე სცენა

გადმოაქართულეს თამაზ გოდერძიშვილმა და გოჩა კაპანაძემ, რეჟისორი – გოჩა კაპანაძე, მხატვარი – ანა ნინუა, მუსიკალური გაფორმება – გოჩა კაპანაძე, ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე, კონცერტმეისტერი – სალომე ჯიჯეიშვილი, რეჟისორის თანაშემწე – გრიგოლ თათეიშვილი.

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი

კოტე – კახი კავსაძე, გრიგოლი – თენგიზ გიორგაძე

ლოლა – ზაზა ლებანიძე, თამარი – დარეჯან ხარშილაძე

შალვა – ჯემალ ღაღანიძე, ალექსანდრა – მარინა კახიანი

ელისო – მანანა გამცემლიძე, ნინა – მარი ჯანაშია

რამდენადაც მახსოვს, სპექტაკლი 2008 წელს, რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე დაიდგა... პიესის შინაარსის მიხედვით, მოქმედება მოხუცთა თავშესაფარში ხდება... თავშესაფარის ბინადრები, ხელოვანი ადამიანები (ოპერის მომღერლები, მსახიობები)არიან, რომელთაც სიბერის გამო, სცენის დატოვება და პანსიონში ცხოვრება ერგოთ ბედად.

სპექტაკლის (პიესის) შინაარსის მიხედვით, გამოკვეთილია ის სამწუხარო რეალობა, რომ მოხუცი ხელოვანები, არა მხოლოდ კოლეგებმა (საზოგადოებამ), არამედ საკუთარმა ნათესავებმა, ახლობლებმა, ოჯახის წევრებმაც გარიყეს და მარტოობისთვის გაიმეტეს. სპექტაკლში რეჟისორს, უდიდესი პროფესიონალიზმით აქვს ნაჩვენები, როგორია მათი ყოფა... ყოფა იმ ადამიანებისა, რომლებსაც ერთ დროს არ აკლდათ მაყურებლის სიყვარული. რომლებიც ერთ დროს სცენას "აზანზარებდნენ"...მოხუცთა პანსიონში, მათი ოცნება, სალაპარაკო თემა, ცხოვრების აზრი, ისევდა ისევ სცენაზე დადგომაა. ყველაფერს გაიღებენ, ოღონდაც ეს სურვილი აისრულონ... იმდენად დიდია მათი მონდომება, რომ მოხუცთა თავშესაფარში, თავად დგამენ სპექტაკლს და თავის თავს (უაზრობაში დაკარგულს) პოულობენ.

მოხუცთა თავშესაფარის ბინადრები, პატარა ბავშვებივით, ერთმანეთთან კინკლაობაში და ერთი მეორის გაშველებაში არიან. ამავე დროს ერთმანეთს დარდს უზიარებენ და ახალისებენ კიდეც...სცენაზე მდგომი, ყველა მსახიობი საოცარი პროფესიონალიზმით ასრულებს თავის

როლს. საოცრად კარგად ამბობენ თავის გმირის სათქმელს. თითოულ მათგანს ზუსტად მიაქვს თავისი სათქმელი, თავისი სევდა, მაყურებლამდე... სპექტაკლის მსვლელობისას, მაყურებელიც გმირების ცხოვრებით ცხოვრობს... ცხოვრობს იმ გმირების ცხოვრებით, რომლებიც სადღაც კულისებში ტოვებენ თავის განცდებს (ტკივილს) და მაყურებლის თვალწინ, უნდათ თუ არა, მაინც "ჯამბაზობენ"...

სპექტაკლს ლეიტმოტივად სევდანარევი ღიმილი გასდევს. ერთდროულად შეიძლება ცრემლიც მოგადგეს და გაგეცინოს კიდეც... მოხუცები ერთმანეთს აძლებინებენ, ერთმანეთის ატანითა და გატანით ცხოვრობენ... მსახიობები, მონოლოგების გზითაც, საოცრად მაღალ დონეზე წარმოაჩენენ თავისი გმირის სათქმელს, წარსულს და დღევანდელ ყოფას...

სპექტაკლის ფინალში, ეკრანზე (სპექტაკლის მონაწილე) გარდაცვლილი მსახიობების ხილვის ემოციაც და განცდაც გვქონდა მაყურებელს... სცენაზე, ეკრანიდან გვიყურებდნენ დიდი არტისტები: გურამ საღარაძე, მედეა ჩახავა, ზინაიდა კვერენჩხილაძე... მათ ეკრანზე გამოჩენას, მაყურებელთან ერთად, ტაშით ხვდებოდნენ პარტნიორი კოლეგები და მათი შემცვლელი მსახიობები... გურამ საღარაძის, მედეა ჩახავას, ზინაიდა კვერენჩხილაძის გარდაცვალების შემდეგ "მოხუც ჯამბაზებში" მათი როლები – თენგიზ გიორგაძემ,

მანანა გამცემლიძემ, დარეჯან ხარშილაძემ შეასრულეს... თითქმის ათი წლის განმავლობაში სპექტაკლი სცენიდან არ ჩამოსულა... თამამად შეიძლება ითქვას, რომ ათი წლის განმავლობაში, როგორც პირვანდელი, ასევე ახალი შემადგენლობით, სპექტაკლის არსებობა (ცხოვრება) მხოლოდ და მხოლოდ უსასრულო გამარჯვებათა გალა იყო... ყოველი რიგითი სპექტაკლი ახალ-ახალი გამარჯვების მომტანი იყო, როგორც შემოქმედებითი ჯგუფისათვის, ასევე მაყურებელთა უზომოდ დიდი გუნდისათვის...

რეჟისორს, გოჩა კაპანაძეს, უხვად ჰქონდა გამოყენებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ეპიზოდები, რაც სპექტაკლს განსაკუთრებულ ხიბლს მატებდა...რეჟისორის საოცრად მიზანმიმართულმა, პროფესიონალურმა ხედვამ, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ელემენტების უხვად გამოყენებამ, სპექტაკლი ზეიმის დონეზე აიყვანა... მაყურებელს ალბათ ახსოვს, რომ მთელი წარმოდგენა გათამაშებული იყო ერთ სივრცეში, რომლის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ზეიმის მონაწილენი თავადაც იყვნენ.

უნიჭიერესმა რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ, რუსთაველის თეატრის ლეგენდარულ არტისტებთან ერთად, შემოქმედებითი კუთხით, მაღალ დონეზე დაგვანახა სპექტაკლის (პიესის) ყველა პერსონაჟის თავგადასავალი და სულიერი მდგომარეობა... რეჟისორმა პროფესიონალურად, შემოქმედებითად მაღალ დონეზე დაგვანახა სპექტაკლის პერსონაჟების ფსიქოლოგიური პორტრეტიც და მაყურებელზე გათვლილი, მათი ყოფის სანახაობითი სურათიც...

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვი "მოხუცი ჯამბაზები", რომელიც აღარ არის რუსთაველის თეატრის რეპერტუარში, არის ეპოქალური სპექტაკლი, რომელიც არასოდეს დაავიწყდება მაყურებელს...სამწუხაროდ, აღდგენილ სპექტაკლს – კახი კავსაძე, ჯემალ ღაღანიძე, ზაზა ლებანიძე და მარი ჯანაშია გამოაკლდნენ... როგორც მაყურებელი ვისურვებდი, რომ კვლავ მენახა "მოხუცი ჯამბაზები", ქართული თეატრის სცენაზე... ვისურვებდი, რომ ზეციურ საქართველოში გადანაცვლებული მსახიობები კვლავ ღირსეული არტისტებით ჩანაცვლდეს, რომელთა მიგნების და ხედვის დიდოსტატი, რეალურად გახლავთ თანამედროვეობის უნიჭიერესი რეჟისორი გოჩა კაპანაძე... მახსენდება ლეგენდარული კახი კავსაძის სიტყვები: "ნეტავ იქ თეატრი არის?"

როგორც მაყურებელი ვისურვებდი, რომ მარადიულ სიცოცხლეში გადასულ მსახიობებთან-გურამ საღარაძესთან, მედეა ჩახავასთან, ზინაიდა კვერენჩხილაძესთან ერთად, განახლებულ, გაცოცხლებულ "მოხუც ჯამბაზებში", ზეციურ თეატრში გადასული მათი კოლეგებიც ვიხილოთ... სცენაზე, ეკრანზე-კახი კავსაძის, ზაზა ლებანიძის, ჯემალ ღაღანიძის, მარი ჯანაშიას პერსონაჟებსაც მოვეფეროთ და მარადიულ სიცოცხლეში, ზეციურ თეატრშიც, ტაშით მივაგოთ პატივი...

პატივისცემით, მაყურებლის პოზიციიდან –

ირმა კეკელიძე

წერილი ინგლისურად თარგმნა მზია ლოურენსმა
English translation was done by Mzia Lawrence

OLD CLOWNS

"Old Clowns" is no longer in the repertoire of the Rustaveli Theater. But it is a play that I will never forget; the play that I don't even remember how many times I saw; the play that was always sold out; the play that took a particular place in the recent history of the theatre; and a performance that I miss very much.

Quite by chance, I came across the carefully preserved program of Rustaveli Theater's play "Old Clowns", and as an audience, I couldn't turn to the page without expressing my honest opinion... From the cover of the program, the character of the play – Kote (Kakhi Kavsadze), smiles at me. I opened it and read:

Ronald Harwood

Old clowns

A small scene

It was translated into Georgian by Tamaz Goderdzishvili and Gocha Kapanadze, director – Gocha Kapanadze, artist – Ana Ninua, musical arrangement – Gocha Kapanadze, choreographer – Kote Furtseladze, concertmaster – Salome Djijeishvili, assistant director – Grigol Tateishvili.

Acting persons and role players:

Kote – Kakhi Kavsadze, Grigoli – Tengiz Giorgadze, Lola – Zaza Lebanidze,

Tamari – Darejan Kharshiladze, Shalva – Jemal Ghaganidze, Alexandra – Marina Kakhiani, Eliso – Manana Gamtsemlidze, Nina – Mari Janashia.

As far as I remember, the play was staged in 2008 on the small stage of the Rustaveli Theatre. According to the play's content, the action takes place in an old people's home. The home's residents are creative people—opera singers and actors—who, due to old age, were destined to leave the stage and live in a Nursing home.

According to the play's content, the sad reality is highlighted that the old artists were ostracized, rejected by their colleagues, society, relatives, friends, and even family members and left for solitude. In the play, the director shows what their existence is with outstanding professionalism, the existence of people who at one time did not lack the love of the audience. Who once resounded the stage from fame and achievement. In the nursing home for older people, their dream, conversation topic, and meaning of life is to be on the stage again. They would have given anything but to fulfil this desire... their determination is so great that they stage a play in the nursing home and find themselves lost in meaninglessness.

The nursing home residents are like little children; they constantly argue with with each other, and then soon get back together. At the same time, they share their sorrows and even cheer each other... All the actors standing on the stage perform their roles with fantastic professionalism. They say what their hero has to say surprisingly well. Each one of them brings precisely what they have to say, their

sadness, to the audience... during the play, the audience also lives the life of the characters... they live the life of those characters who leave their painful feelings somewhere behind the scenes and "clown" in front of the audience, whether they want to or not.

The leitmotif of the performance is a smile mixed with sadness. It can make you cry and laugh at the same time. The old people support each other; they live by supporting and bearing each other. Actors, through monologues, present their hero's words, past and present life at an amazingly high level...

In the performance's finale, the audience had the emotion and feeling of seeing the dead actors on the screen (participating in the performance)... On the stage, great artists watched us from the screen: Guram Sagaradze, Medea Chakhava, Zinaida Kverenchkhiladze... Their appearance on the screen, along with the audience, was met with applause by their partner colleagues and the colleagues who played after their deaths, replacement actors... After the death of Guram Sagaradze, Medea Chakhava, and Zinaida Kverenchkhiladze, their roles in "Old Clowns" – Tengiz Giorgadze, Manana Gamtsemlidze and Darejan Kharshiladze performed... for almost ten years, the play did not leave the stage... It can be safely said that for ten years, both with the original and the new composition, the existence (life) of the play was only a gala of endless victories... Each regular performance brought a new win for both the creative team and the vast audience...

The director, Gocha Kapanadze, abundantly used musical and choreographic episodes, which added a unique charm to the play. The director's incredibly purposeful, professional vision and the abundant use of musical and choreographic elements raised the play to the level of celebration. The audience probably remembers that the entire performance was staged in a space where they participated in the musical and choreographic celebration.

The talented director Gocha Kapanadze and the legendary artists of the Rustaveli Theatre showed us the adventures and spiritual condition of all the play's characters at a high level from a creative point of view... The director professionally and creatively showed us both the psychological portrait of the play's characters and the spectacular picture of their being aimed at the audience.

As I said at the beginning of the letter, "Old Clowns", which is no longer in the repertoire of the Rustaveli Theatre, is an epoch-making play that the audience will never forget... Unfortunately, Kakhi Kavsadze, Jemal Ghaganidze, Zaza Lebanidze and Mari Janashia were missing from the restored play... As an audience member, I wish I could see "Old Clowns" again on the stage at the Georgian theatre... I want the actors transferred to Heavenly Georgia to be replaced by worthy artists; finding and choosing relevantly gifted actors and actresses can easily manage the most talented director of our time, Gocha Kapanadze...

I remember the words of the legendary Kakhi Kavsadze: " Is there a theatre there?"

As an audience, I would like to see, together with the actors Guram Sagaradze, Medea Chakhava, Zinaida Kverenchkhiladze, who have passed on to eternal life earlier, in the renewed, revived "Old Clowns", their colleagues who have also passed later to the heavenly theatre... on the stage, on the screen – Kakhi Kavsadze, Zaza Lebanidze, Jemal Ghaganidze... Let's caress Mari Janashia's characters and applaud them in eternal life in the heavenly theatre...

Sincerely, from the position of the viewer – Irma Kekelidze

ირმა-სადაღაშვილი

ხელოვნება სულიერი სამყაროს გარე გამოვლენა-განსხეულებაა. სულის რეინკარნაციაა. ყოველ ახალ ქმნილებათა შექმნისას, ადამიანში ის კოდი იწყებს ამოქმედებას, რასაც ემსახურებოდა თავად შესაქმე... მრავალი გენიალური ქმნილება უნახავს კაცის თვალს და ყურით მოუსმენია, ზოგს კალმით გადმოუცია და ვუ-ზიარებივართ საკუთარ სულიერ სამყაროს, რომელთა შორისაც გახლავთ ერთ-ერთი უსათნოესი თბილისელი ქალბატონი - ირმა სადაღაშვილი დაბადებული 1974 წლის 7 დეკემბერს, რომელიც აუცილებლად დაგამახ-სოვრდებოდათ თავისი სისადავით, სათნოებითა და ირეალურ სამყაროსთან ხელოვნების სულით ნაზია-რები.

1992 წელს ამთავრებს ქ.თბილისის 172-ე საშუალო სკოლას და პატრიოტული სულით აღვსილი ამავე წელს აბარებს ქალთა პედაგოგიურ ინსტიტუტში, დაწყებითი განათლებისა და მეთოდიკის ფაკულტეტზე.

1996 წელს წითელ დიპლომზე ამთავრებს და მუშაობას იწყებს გიმნაზიასა და კოლეჯ□ი, დაწყებითი კლასების პედაგოგად.

წარმატებული პედაგოგის ღვაწლი მეტად დასაფასებელი და აღსანიშნავი გახდა როცა მის პროფესიონალიზმს თვითნასწავლი შმოქმედის სტატუსიც დაემატა... სამშობ-ლოს სიყვარულით გულანთებულმა სულიერი საზრდო ხელოვნების თანაზიარობაში ნახა ქარგვის, გობელენის, ხალიჩის, ხეზე ამოწვის, თუ ფერწერის განხრით, რომ არაფერი ვთქვათ პატრიოტულ მოტივებზე შქმნილი ხელნაკეთი თოჯინებისა, რომელიც 80-90-იან წლებისთვის შეიძლება ითქვას, იშვიათობასაც კი წარმოადგენდა...

1997 წლიდან თანამშრომლობდა ებრაული კულტურის ცენტრთან და მონაწილეო-ბა მიიღო ებრაელთა 26-საუკუნოვანი საიუბილეო დღისადმი გამართულ ფესტივალზე.

2000 წლიდან ერთობლივი პროექტებით თანამშრომლობდა ხალხური შემოქმედე-ბის სამეცნიერო ცენტრთან და საქართველოს ქალთა საბჭოსთან.

მონაწილეობას იღებდა მრავალ რესპუბლიკურ, თუ საქალაქო გამოფენებში. მი-ღებული აქვს არა-ერთი მადლობის სიგელი და დიპლომი... ასევე მონაწილეობდა არტ-გენში.

2004 წელს ვ. ჭაბუკიანის სახლ-მუზეუმში მოაწყო თოჯინების პერსონალური გა-მოფენა.

2005-2006 წლებში გახდა ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის ლაურეატი. მისი ნამუშევარი შესულია - ფესტივალისადმი გამოცემულ კატალოგში.

ჯ. ლეჟავას სახელობის სამეცნიერო აკადემიის
და ფაზისის აკადემიის წევრი -
თეა კანდელაკი

უფლის საჩუქარი

ღაღადებს სული, გამოსვლას ლამობს,
რომ ფრთანათელი გაფრინდეს სადღაც,
გადაიაროს და უსასრულოდ
მთელი სამყარო შემოიაროს.
მაგრამ ვერ ტოვებს უფლის საჩუქარს,
მერე რა უხრას როცა მოჰკითხავს?
თავს რით იმართლებს გზააბნეული,
მიტოვებულს რომ ვერსად ვერ ნახავს.
და შეეკვრება ფრთები ნათელი
გვიან იქნება ღვთის შეცოდება,
წინ გადიშლება დიდი უფსკრული
და სამუდამოდ იქ შთაინთქმევა.
გარდაცვალება არ არის ძნელი,
ამოსუნთქვაა, მორჩა გათავდა,
სიზმრად ქცეულა ამაოება
რა ხანმოკლეა ჩვენი აქ ყოფა.
თუ გინდა მშვიდად დალიო სული
ნუ აბობოქრებ სიავეს შენსას,
ის სათნოება და სიყვარული,
ლოცვად გიკურთხოს უფალმა ღმერთმა.

***

.....სული სარკეაო გამიგია წყაროსავით სუფთა კია?
ქრისტიანმა ვერ გაიგო რა მისია აკისრია.
ანგარება ამა ქვეყნის საღ გონებით ვარგისია?
უძლეველი ხარო მაშინ, თუ შენ რწმენა გაგაჩნია.
და ვინც ქვეყნად მოევლინა ყველას რაღაც შეუძლია,
სიმშვიდე სულს მორგებია სიკვდილსაც კი მორევია.
სიყვარულზე წავიმღერებ თმის ბეწვივით მომდებია,
გაიხარე და იწამე, სანთელივით ნაღვენთია.
ისიც ვიცი ქართველობა მრავალთათვის ჩვეულია,
ნათელ გზებზე ნავარდობა, ყველას როდი შეუძლია.
დაბადება ჩვილი ბავშვის ნათელ სხივით მოჰფენია,
მომავალი არის ახლის, ძველი ვფიქრობ წარსულია.
სისპეტაკე ზოგს თუ ადრე სიბილწეში არევია,
გაიხსენეთ ათი მცნება თვალი რატომ აგხვევიათ.
გამოფხიზლდით! სანამ დროა კლდის ნაპრალი უძრავია,
გაუფრთხილდით ღვთის საჩუქარს, სააქაო სტუმარია.....

ავტოპორტრეტი - ირმა სადაღაშვილი

“მეფაეტონე”

“ხევსური”

“სოფელი ხევში” - გობელენი

იესო - ნაქარგი

,,მოხუცები" მასალა: სილიკონი, ბამბა, მატერია, მავთული, ფიცარი, საღებავი, წებო. **შესულია ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის კატალოგში. ავტ. ირმა სადაღაშვილი**

"გრემი" ხალიჩა

"ტარიელი - ვეფხისტყაოსანი"

მილოცვა

აბრამ პაატა იოსებაშვილი!

წერილი ქალბატონ
გულნაზი ხარაიშვილს!

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტს, ჟურნალ
"ა თ ი ნ ა თ ი ნ ი ს "
რედაქტორს, საოცარ ადამიანს, გულთბილსა და ენატკბილს, ხალხის სიყვარულს, პოეტს,
მსურს ახლო წარსულში მიმოწერის ეს მშვენიერი დიალოგი აღვწერო:

ბ ა ტ ო ნ ო პ ა ა ტ ა
ჟურნალი ,,ათინათი,, რომელიც წმინდა ნინოს ხატით გამოდის, გამოვიდა,
სადაც თქვენდამი მოძღვნილი ქალბატონი მადონა დვალის წერილია დაბეჭდილი და პატარა მოსაფერებელი მწირი სიტყვა ჩემგანაც მიუთბუნე, რომ კარგად მყავდეს ჩემი აკადემიის შვილი აბრამ პაატა იოსებაშვილი!

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი
საერთაშორისო აკადემია მადლობას საჯაროდ უცხადებს მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, ქალბატონ

მ ა ყ ვ ა ლ ა გ ო ნ ა შ ვ ი ლ ს !
ბატონო აბრამ პაატა, თქვენი კანდიდატურა, ქალბატონმა მაყვალამ წამოაყენა აკადემიაში და სიხარულით გადმოგეცით საერთაშორისო აკადემიის დიპლომი.
მიხარია, რომ სიტყვა მეთქმის ისეთ პიროვნებასთან, როგორიც თქვენ ბრძანდებით. მეიმედებით, მეამაყებით და გლოცავთ აკადემიის შვილო აბრამ პაატა იოსებაშვილო!

ეს საოცარი და მოულოდნელი წერილი ჩემ ერთ ერთ პოსტში მომწერა ძვირფასმა ქალბატონმა, პოეტმა, აკადემიკოსმა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის დამაარსებლებმა და მისმა პრეზიდენტმა, ქალბატონმა

გ უ ლ ნ ა ზ ი ხ ა რ ა ი შ ვ ი ლ მ ა !
ქალბატონო გულნაზი, გავიმეორებ იმ სიტყვებს, რაც თვენ ბრწყინვალებას არა ერთხელ უთქვია, არ არის იმაზე მეტი ბედნიერება, როცა ხალხს უყვარხარ და აფასებს შენს გაწეულ ღვაწლს ხალხის საკეთილდღეოდ!
თქვენი სიტყვებით, თქვენი ჩემში ღრმა რწმენით, პრესტიჟულ სამეცნიერო საერთაშორისო მრავალპროფილიან აკადემიაში გაწევრიანებით და მისი დიპლომით დაჯილდიებით მომანიჭეთ დიდი სიხარული და ბედნიერება, რაც ჩემთვის ყველანაირ ღირებულებაზე მაღლა დგას!

დ ა ბ ო ლ ო ს,
ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ო გ უ ლ ნ ა ზ ი
უძვირფასესო და უკეთილშობილესო ადამიანო, გილოცავთ

დ ა ბ ა დ ე ბ ი ს დ ღ ე ს !
უ კ ვ დ ა ვ ე ბ ი ს დ ღ ე ს !
გისურვებთ მზით გაბრწყინებულ დღეებს, თვეებს და წლებს, ურყევ ჯანმრთელობას, ბედნიერ წელთა სიმრავლეს, რომლებსაც ისევ და ისევ
თქვენდამი ღრმა პატივისცემით და თქვენ შვილებს, აკადემიის წევრებს ახარჯებთ და უნაწილებთ, თავს დაფუსფუსებთ, ლოცავთ და ლოცავთ!
იმ გარემოსაც დაგილოცავთ სადაც თქვენი კურთხვა-ლოცვა ფასდება!

უსაზღვრო სიყვარულით,
ლოლა და აბრამ პაატა იოსებაშვილი!
საერთაშორიო ორგანიზაცია
"მეგობრობის მერიდიანები"ს
დამფუძნებელი და მისი პრეზიდენტი.
საქართველოს კულტურის დესპანი ისრაელში.
საქართველოს მწერალთა კაშირის დიპლომირებული "ღვაწლმოსილი".
საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე.
ხარაგაულის საპატიო მოქალაქე, ხარაგაულის კარიბჭეს გასაღების, ჯილდოს და ნამდვილი ოქროს მედლის მფლობელი!
საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე!
დავით აღმაშენებლის აკადემიის პროფესორი და სრულუფლებიანი წევრი!
ფაზისის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის დიპლომირებული წევრი, მისი ოქროს მედლის მფლობელი!
6 სამეცნიერო საერთაშორისო აკადემიის წევრი დიპლომირებული აკადემიკოსი!
არქიტექტურის მეცნიერებათა დოქტორი!

ნინა გიორგაძე-გაჩეჩილაძე

ვარდობისთვე

/ვუძღვნი ქ. გულნაზ ხარაიშვილს/

ვარდად შვილი ვარდობისთვე
ვარდის სურნელს არიგებს,
ბარში ბულბულს აამღერებს,
მთას შეასევს არწივებს.
    სიყვარულის მწველი ცეცხლი
    ცდება, ცდება – ნაპირებს!
    კაცს სიამის ცრემლებს მოგვრის
    ტირილს თუ დააპირებს.
უფლის ხატად შექმნილ მოყვასს
არჩევს თითზე დათვლილებს,
ამაისებს, ააყვავებს,
ზეციურ ნამს აპკურებს.
    უკვდავების თეთრი ვარდი
    ვინ იხილოს, ვინ პოვოს?!...
    ჭრელ ხალიჩად გადაშლილი
    გულმა გული იპოვოს.
ნაჭერ– ნაჭერ დაჩეხილი,
გამომწვარი ქურაზე...
მლოცველი და მადლიერი,
მყოფი-პურის ყუაზე.
    სიკეთის ნერგს, მწიფე მარცვალს-
    გაღვივებულს ეხაროს,
    სპეტაკ, კეთილ ადამიანს
    გამარჯვებულს ეაროს.

ბელა მოდებაძე

იდღეგრძელეთ დედი ❤

დიდი სიყვარულით გულნაზი ხარაიშვილს (ცისკარელი)

როგორ გადაღლილხართ ფიქრით
თითქოს, ძლიერ ქალად ჩანხართ,
მრავალ ჭირ-ვარამის შემდეგ
ფეხზე როგორ მყარად დგახართ.
    როგორ ეფერებით ყველას
    ლექსის ფრაზებით თუ ლოცვით,
    მინდა მოგეხვიოთ მხრებზე
    ცრემლი ამოგიშროთ კოცნით.
მთელი ცხოვრებაა ვეძებ
სულის ჰარმონიას თითქოს,
ბევრჯერ დამაჩოქა ბედმა,
მაინც, წამოვდექი იმ დროს.
    ვერა, ვერ წაუვა თურმე
    წმინდა უფლის ნებას კაცი,
    თავად მომიყვანა იმ სახლს,
    სადაც ემოციებს დავცლი.
მინდა დიდხანს, დიდხანს გვყავდე
ყველას იმედად და ფარად
,,გულის ორეულო" ჩემო,
კვლავაც იდღეგრძელე მარად.❤



გილოცავთ ათინათელებო

ბედისწერისგან გულმოკლულ ქალს უფალმა გამძლეობის სამოსელი შემომაშველა. გილოცავთ ათინათელებო 52-ე ნომრის გამოცემას! დღეიდან უკვდავების გემით უნდა გამოგზაუროთ, სადაც მხოლოდ სიყვარული და ერთმანეთის მიმართ პატივისცემაა, რადგან უფალს უბრალოება და თავდაბლობა უყვარს. რეზო ადამიას მიერ შექმნილი წმინდა ნინოს, წმინდა გიორგის და დედა-ღვთისმშობლის ხატები დაგიცავთ ამ გზაზე. წმინდა გიორგის ხატის შიგა ველი დათმობილი აქვს უკვდავ ლეგენდას, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას, სადაც აკადემიის ფიცი არის ქართული და ინგლისური ვარიანტით წარმოდგენილი. ცისკარელის ალბიონის ქვეყანაში შოთა რუსთაველის პორტრეტი დაგხვდებათ, რომელიც ასევე ბატონი რეზოს მიერ არის შესრულებული. ''ათინათის'' ყველა ნომერი გამოვა სქელი ყდით. სამეცნიერო შემეცნებითმა წიგნმა უნდა იმოგზაუროს მსოფლიოს გარშემო, ამ დევიზით: ''ვინ მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია". მე კი დავჯექი და ამბავი გიამბეთ მომავლის სასიხარულოდ!

პატივისცემით,

რედაქტორი გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

“ATINATI” MEMBERS!

ongratulations on the publication of the 52st issue of the "Atinathi". The Lord gave me a garment of endurance for a woman heartbroken by fate! This time, I must travel with you on the ship of immortality on this long voyage. In this ship, there is only love and respect for each other. God loves simplicity and humility, so in this journey, the icons of St. Nino, St. George, and the Mother of our Lord created by Rezo Adamia will lead and protect you. The inner page of St. George's icon is dedicated to the immortal legend Mr Jumber Lezhava, where the oath of the Academy members is placed in Georgian and English versions. In the land eternal Albion of Ciskareli, you will find a portrait of Shota Rustavrli, also created by Rezo Adamia. All issues of «Atinati» will be published with a thick cover and the scientific cognitive book should travel around the world with this motto: "The one who does not look for a friend is an enemy for oneself." And I sat down and told the news, for the joy of the future! God bless you, Members of "Atinati!"

Sincerely,

editor Gulnaz Kharaishvili (Ciskareli)

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი 2

წმინდა ნიკოლოზი 3

ხატმწერი ხატია ლარიაშვილი

დაბა წყნეთის მერვე საუკუნის წმინდა

გიორგის სახელობის მონასტერი

შობა 4

აღდგომა 4

ხატმწერები გელა, გიორგი და ხატია

ლარიაშვილები

მამა გაბრიელი 5

უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 6

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 7

გულნაზ ხარაიშვილი 8

უცნობი ჰოეტი

მემ ელოუნი 9

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე 17

კახა ბაციკაძე 19

გიორგი ზუხბაია 20

პოეზია

მამა ამირან ამირანაშვილი 22

ბერდიაკონი ნეოფიტე 24

ია მოსულიშვილი 26

ნანა ცინცაძე 28

თინათინ უზარაშვილი-თორდუა 30

ტიტე მოსია 35

ედუარდ უგულავა 36

ეთერ ჭელიძე 38

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 40

მალვინა ჭელიძე 42

ნელი საგინაძე 44

გულიკო კაპანაძე 46

ხათუნა თედიაშვილი 50

გერონტი მესხი (სამაჩაბლოს ბულბული) 54

ლეილა გაფრინდაშვილი 56

ლიანა ჯანეზაშვილ-თათანაშვილი 58

დარეჯან ღონღაძე 60

ნელი მუჯირი-ტორონჯაძე 62

თემურ გოგსაძე 72

მთვარისა ზეინკლიშვილი 75

გარი ჩაფიძე 76

ნორა მგელაძე 78

მაგული კორძაია 80

ლამზირა შეყილაძე 84

ირმა ტყემალაძე 86

ხათუნა ციმაია 88

ქეთევან გელაშვილი 90

"ანდრია" ანზორ შერვაშიძე 91

იოსებ ტაბიძე 94

ნატალია აბდუშელიშვილი 96

ეთერ ლობჟანიძე 100

დავით მოდებაძე 102

ლეილა ვადაჭკორია 104

გიგი თეთრაძე 106

ანამარია ლილუაშვილი 108

მანანა სამყურაშვილი 110

თენგიზ ფანცულია 112

მირზა ვარძუკაშვილი 114

ბესო ჩუბინიძე 116

გვანცა პაატაშვილი 120

ლეილა მაჩაიძე 122

მაია ქასრაშვილი– რამიშვილი 126

ბელა მოდებაძე 128

მარინა მანჯგალაძე-თამაზაშვილი 131

ცაგო აბაშმაძე 134

ელისო ფიჩხაია 136

გაგა გოგრიჭიანი 137

ია ხალვაში 138

ნანა ჩარკვიანი 140
ნესტან გეგენიძე 146
მზია ერგემლიძე 148
დარეჯან მაჭარაშვილი 150
მზია ელიაძე 153
თეა ბარბაქაძე 154
აზა შანავა 156
ნინო მოსაშვილი 158
ნინო უძილაური 160
ნინა გიორგაძე-გაჩეჩილაძე 162
თამრო ნიუარაძე 164
ვალია კვაშილავა 166
ეთერ ისაკაძე 168
ვერიკო პარწიკანაშვილი 170
მარინა დიერაშვილი 172
ლალი სოხაძე 175
მაკა გრიგალაშვილი 176
გოჩა ჭამუკაიძე 177
თამარ ფიცხელაური 178
ლია ალადაშვილი 180
თინა სტეფლიანი 182
ირინა ბერიანიძე 184
ნანა გიგუაშვილი 186
მზია გირგვლიანი 190
იზოლდა ნიბლაძე 192
ნათია ჯიქურაშვილი 194
ნათელა ხარაიშვილი 196
მარინა კოლხელი 197
თინათინ ხაბურზანია 198
მარეხი რიკაძე 199
ელენე ზურაბაშვილი 200
მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე 202
თინა ბასაბაშვილი 204
ბეჟან ხარაიშვილი 206
გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი) 208

მიძღვნები

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი) 215

თარგმანები

მზია კვირიკაშვილი ლოურენსი 221

ხაბავშვო განყოფილება

მარინა დიერაშვილი 245

არდავინყება მოღვაწეთა

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 248
დავით გამთენაძე 249

პროზა

რევაზ მიშველაძე 250
ნელი საგინაძე 259
ელგუჯა მგელაძე 263
ირმა კეკელიძე 269
ლია ჩიქოვანი-გოგრიჭიანი 278
მარინე ქარსაულიძე-სიბოშვილი 296
ნათელა ხარაიშვილი 299
ნინა გიორგაძე-გაჩეჩილაძე 301
მირანდა ზაბაძიძე 303
კლარა გელაშვილი 305

ჰუბლიკა

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი) 307
დარიკო ონიანი 341
ციური ხუჭუა 342
გვანცა ხარაიშვილი 344

წერილები

ლუარა სორდია 347
ტიტე მოსია 353
გულნაზ ხარაიშვილი 356
ირმა კეკელიძე 361
ხათუნა ელიაშვილი 364

მოგზაური

ჯემალ კასრაძე 365

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 375

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 379

ისტორია

გოჩა ჭელიძე 393
მზია კვირიკაშვილი 396

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი, მერი ნეკრესელაშვილი390

ხელოვნება

ირმა კეკელიძე 395
თეა კანდელაკი 400

მილოცვა

აბრამ პაატა იოსებაშვილი!..... 404
ნინა გიორგაძე-გაჩეჩილაძე..... 406
ბელა მოდებაძე 406
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 407

ავტორთა სყურადღებოდ

„ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

მასალები მიიღება ელექტრონული სახით, საბოლოო სამუშაო Word-ის გაკორექტირებული ფაილი. რედაქცია პასუხს არ აგებს ავტორების გადმოგზავნილ მასალებზე.

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE05TB7698236080100014

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე და ბოლო გვერდზე რეზო ადამიას შექმნილი ხატი „წმინდა ნინო“ და „წმინდა გიორგი“.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი
რედაქტორი: ნანა სხირტლაძე

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: მალხაზ ჩხიტუნიძე – ეკონომისტი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) – პოეტი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი

ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების
რედაქტორი: თენგიზ ფანცულაია — სამართალმცოდნე

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები: ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.
ლიტერატურისა და პუბლიცისტიკური წერილების განყოფილების რედაქტორი: ეთერ ჭელიძე.

ხელოვნების განყოფილების რედაქტორები:
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და გულიადა სანოძე – მსახიობი.
მედიცინის განყოფილების რედაქტორები: ნაირა უგულავა – ექიმი (პოეტი),
ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.
იურიდიული განყოფილების რედაქტორი ირაკლი ნადარეიშვილი — სამართალმცოდნე, პროფესორი (პოეტი).

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი (აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე – პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
gulnazi5@bk.ru

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com